# მნათობი

5

1973

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე № 5 მაისი, 1973 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ირაკლი აბაშიძე — ამინდი: ლექსი . . . 3
მუხრან მაჭავარიანი — ლექსები . . . 4
იაროსლავ იოსელიანი — წყალქვეშელი გოგი თარხნიშვილი. თავები წიგნიდან „მტრის ხრიკები“ . . . 9
აკაკი გეწაძე — ლექსები . . . 35
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . 38
ხუტა გაგუა — ლექსები . . . 87
ემან დავითაძე — ლექსები . . . 89
ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები. რომანი. გაგრძელება . . . 91
ნოდარ ხუნდაძე — ცრემლი. მოთხრობა . . . 103
იაკინთე ლისაშვილი — მეგობრის ღიმილი. რომანი . . . 108
ალექსანდრე პუშკინი — ევგენი ონეგინი. გაგრძელება. თარგმნა ოთარ ჭელიძემ . . . 118


### ნარკვევი


ლეონიდ როსტოვცევი — მეტი რა უნდა ადამიანს . . . 126


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გიორგი გაჩეჩილაძე — რომანი და მკითხველი . . . 136
ვლადიმერ ჯიბუტი — მგზნებარე პატრიოტი და მოქალაქე . . . 151



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



კ. მარქსის სახ. სახ.

დიმიტრი ქუმსიშვილი — ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფის სამწუხარო შედეგი . . . . . . . . . . . . . 160
რევაზ მიშველაძე — ფორმის ძიებაში . . . . . . . . . . . . . 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ანდრო მირიანაშვილი — „მორბის არაგვი, არაგვიანი“ . . . . . . . 181
გ. მჭედლიძე — „ნარკვევი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“ 186
გ. გამსახურდია — საინტერესო მონოგრაფია ეროვნულ საკითხზე . . . 188

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური (პ/მგ. მდივანი), ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20/II-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V-73 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 01883, ტირაჟი 13.300, შეკვ. 667.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## ა მ ი ნ დ ი:

### ქარები რიონის ხეობაში

არის ევფრატის, არის ანგარის,
არის ალაზნის, არის არაქსის...
არსად ამგვარი,
არსად ამგვარი,
არსად ამგვარი ქარი არა ქრის.

ქარი უგრძესი და უმკაცრესი,
ქარი დალოცვის, ქარი დალახვრის...
არსად ასეთი,
არსად ასეთი,
არსად ასეთი ქარი არა ქრის.

ქარი კოლხეთის, ქარი ლაზეთის,
ქარი სულორთან გამქრალ ქალაქის...
არსად ასეთი,
არსად ასეთი,
არსად ასეთი ქარი არა ქრის.

მუდამ ცეცხლივით,
მუდამ დენთივით,
მუდამ ბორგვით რომ
ჟინს ვერ იოკებს...
მე იმ ქარებით ვარ გაჟღენთილი
სულს სიკვდილამდე რომ აწიოკებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მუხრან მაჭავარიანი*

## ქართლის გზაზე

გაზაფხულია საქართველოში:
მზე დახრტნობია ყველაფერს ირგვლივ...
მოდიდებული მოღელავს მტკვარი.
დუმან ციხენი ცითმოვლენილის...
ყოველ სოფელთან სასაფლაოა ჩასაფრებული დიდოელივით
და
მოიტაცებს წუთისოფლიდან,
კაცმა არ იცის,
ვის
როდის
იგი.

## რისთვისღა

წავალთ,
ჩვენც წავალთ,
ვით ჩვენამდე წაბრძანდა ბევრი!
რომ წავალთ, —
ჩვენგნით რა დარჩება ამ ქვეყნად მერმე?!

როდემდე უნდა იამაყოს ქართველმა ხალხმა
ისევ და მხოლოდ:
გინდ შოთათი,
გინდა ცოტნეთი?!...
დევგმირთა ძეგლთა ვერ შევმატებთ უკეთეს ახალთ?! —
რისთვისღა ვზრდავთ ამდენ ვაჟკაცს?! —
ვაჟკაცს მოტრეტილს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაც არ უნდა იყოს

მხოლოდ ფორჯალით,
მხოლოდ გარჯით,
მხოლოდ შაშხანით
ვერ ელირსები, —
გსურს იხელთო უკეთუ ხვითო!...
ქვეყნად ყველაფრის დავარგებას სჭირდება ხანი! —
გინდ იყოს ხილი,
გინდ აზრი და
გინდ ხანი თვითონ!

## გურამიშვილის არ იყოს

ვიტყვი, —
ჯვარზე მაცვან თუნდა:
გამოადგე მამულს უნდა:
ან
სიცოცხლით,
როგორც ვაჟა!
ან
სიკვდილით,
როგორც ცხრა ძმა! —
არ არსებობს
სხვა გზა!

ვაჟო, — მამულის ტარიგო, —
შემკულო ვაჟას ენითა, —
გურამიშვილის არ იყოს:
— შენა გწადს აწ რომელითა?!

## სულაც არ მიკვირს

სულაც არ მიკვირს, —
ცერად როა დღეს ჩემთან ვინმე! —
ღრმა გაცნობამდე
ვინაიდან ასევე ცერად
იყვნენ ჩემს მიმართ, —
დღეს, — ერთგულნი ძმაკაცნი ჩემნი!

სულაც არ მიკვირს, —
დღეს განზრახ რომ არ მამჩნევს ზოგი! —
ღრმა გაცნობამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდან ასევე ზუსტად
ცდილობდნენ, მახსოვს,
ჩემს არხილვას, — დღეს — ძმანი ჩემნი!
. . . . . . . . . .
წინაპართანი,
ღრმად დავრწმუნდი,
სწორია აზრი:
კაცი ხარ, —
კაცი უნდა იყო!
ღმერთი ხარ, —
ღმერთი!
კაცი ხარ როცა
და სხვა როცა არ გიცნობს კაცი! —
ეს კია, ოღონდ,
თვით სიკვდილზე
სიკვდილით მეტი!

## კახთ-მაჭავარი

„...სამღვდელო მსახურებითაც გვმსახურებდი და იარაღის მოხმარებითაც... ფრიადისა ერთგულებისა შენისათვის, სანატრელი პატრონი მამა ჩვენი და ჩვენ, გარეთ მყოფობაში, ქალაქს გარეთ აღსარებას შენთან ვიტყოდით...“

სიგელი ერეკლე II-სა, ბოძებული
მღვდლის იასე მაჭავარიანისადმი

საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი რჩვარი! —
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

## ორი სტუდენტი

ოცი წლის წინათ, —
არ მესმოდა როცა სიბერე
(ხეირიანად, კაცმა რომ თქვას,
არც ახლა მესმის), —
გამოვაქვეყნე ოდეს სულხან-საბაზე ლექსი:
ორი სტუდენტი, —
ერთი სვანი,
ერთი იმერი, —
ამ ლექსის გამო
თქმა მადლობის
გულით რომ სურდა, —
გამიმასპინძლდა,
მახსოვს,
თითო ნოღრათო ლუდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სვანთან რომ ვიდექ, —
მაშინ თოვდა,
იმერთან, — წვიმდა).

რამდენი ტაში მიმიღია
მაშინაც,
მერეც...
რამდენ სუფრაზე თქმულა ჩემი გულწრფელი
ქება,
მაგრამ ვერაფერს:
სტუდენტების იმ გულის ძგერას,
იმ ლუდს,
იმ ღიმილს, —
ვერც ვადრი და, —
არც შეედრება!

## ტანძია

როგორც მაშინ,
ოდეს ციდან
ჩამობრძანდა თვითონ საბა...
რომ იცოდე,
როგორ მინდა, —
ტანძიაში გნახო კვლავაც.

როგორც მაშინ,
ოდეს მინდვრად
შენ უეცრად ნახე ქამა...
რომ იცოდე,
როგორ მინდა
ტანძიაში გნახო კვლავაც.

როგორც მაშინ,
შენთან ერთად,
საბას ტაძრის წითელ ქამარს,
ერთხელ კიდევ შემახედა, —
მერე მომკლა, —
არა მგამა!

• • •

ხევსურ ჩამოდის ლიქოკით:
მოყმენი ფრანგულს უქებენ...
რამდენი რამე იყო ყე
კარგი და ჩემი ურგები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომაა გარშემო:
ქალიშვილს უჩანს მუხლები...
რამდენი რამე არსებობს
კარგი და ჩემი ურგები!
მერცხლები ძალას იკრებენ:
გაფრინდებიან უკლებლივ...
რამდენი რამე იქნება
კარგი და ჩემი ურგები!

## პინა და პინა

— არ ეწყინება ყოვლადძლიერსო! —
და, ჩვენში წინათ,
ძალიან ხშირად, —
პინას, —
რომელზეც იდგა იესო, —
მამულიანი
ჯაბნიდა
პინა.
. . . . . . . .
არაფერია, მე მგონი, ახლაც, —
ღირსი
დადგომის
მამულზე
მაღლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იაროსლავ იოსელიანი**
საბჭოთა კავშირის გმირი

# წყალქვეშელი გოგი თარხნიშვილი

ბალტიკის ცას ნისლი გადაეყარა.

დიდი ხნით ოჯახს მოწყვეტილი გოგი ქეთილ გობზემიკებთან ჩადის, შორეულ ლატვიაში. აქ ეგულება ცოლ-შვილი. ამ მზიანი დილით თავი სამოთხეში ჰგონია. უახლოვდება ბინას და გული საგულეს ვეღარ ეტევა. წარმოიდგინეთ, რა სიხარული ელის: სადაცაა გულში ჩაიკრავს მერცხალა ასულს, რომელიც უკვე ტიტინებს. ახლა ქეთო? მისი ქეთინო ალბათ დაიტანჯა ულმობელ ზღვაში ყურებით. რა გაეწყობა, ასეთია ყველა მეზღვაურის ბედი და მეტადრე წყალქვეშელისა! ქეთინომ ეს იცის, მაგრამ ცოდნა მუდამ ნუგეში როდია. ქალი ვერასოდეს ვერ შეეგუება საყვარელი ადამიანის გამუდმებით შორს ყოფნას. ამას შეიძლება შეურიგდე, მაგრამ ვერ შეეჩვევი.

დღეს გოგის არაფერი არ აწუხებს. სამსახურის საქმეები რიგზეა. შვებულება აქვს. მისმა ნავმა „ს-621“ მაღალი შეფასება მიიღო „ცისფერთა წინააღმდეგ უნარიანი მოქმედებისათვის“. მეცადინეობამ, რომელზედაც ეს მოხდა, ჩინებულად ჩაიარა. პირველმა ადმირალმა კუზნეცოვმა პირადად მიულოცა ნავთა უფროსებს. თარხნიშვილს სამუდამოდ ჩარჩება ხსოვნაში, როგორი სიყვარულითა და რწმენით ჩამოართვა ხელი ამ სახელოვანმა მეზღვაურმა, რომელმაც ომისათვის მოამზადა საბჭოთა სამხედრო ფლოტი. მაღალი, ახოვანი, როგორც გმირის ქანდაკება, უჩვეულოდ თბილი, მაგრამ ნებისყოფით მომადლებული თვალების მზერით ეს ახალგაზრდა ადმირალი ადამიანს თავს შეაყვარებდა, და თანაც ერთგვარ მოკრძალებას, რაღაც შიშსაც უნერგავდა. გოგი ძალიან გაახარა ფლოტის სარდლის ქებამ.

გადადგა ფეხი სახლის ზღურბლზე თუ არა, ცოლი და შვილი გოგის ძალუმ მხრებზე ეკიდებიან, სიხარულს დასასრული არა აქვს. ლიზა გობზემისი და მისი რვა წლის გოგონა დაინა, ნინიკოს გულითადი მეგობარი, საერთო სიხარულს იზიარებენ, ალტაცებით ხვდებიან „დაკარგულ მეზღვაურს“, შორეულ საქართველოს „მერცხლების მამას“.

ვიდრე გოგი ქეთინოს ცრემლიან სი-

თავები წიგნიდან „მტრის ხრიკები“

ხარულსა და ნინიკოს ტიტინს თავს აღწევს, დიასახლისი ჯადოქარივით სწრაფად შლის სუფრას.

მთელი ოჯახი საუზმობს. უცებ გოგის ლიზა ეკითხება:

— ამბობენ, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება მოდისო. მუშები და გლეხები გვიხარია, — სტუმარი სიცილით ხვდება დიასახლისის დამტვრეულ რუსულს, მაგრამ პასუხის გაცემა უჭირს.

— არ ვიცი, ძვირფასო, როგორ გითხრა. საბჭოთა ხელისუფლება კი არ მოდის, მას ესა თუ ის ხალხი ბრძოლით მოიპოვებს ხოლმე. ჩვენ კი, სამხედროები სამხედროები ვართ და მორჩა, ასეთ რამეებს არ გვეკითხებიან. იმისათვის კი მადლობელი ვართ, რომ თქვენმა მთავრობამ ფლოტისათვის ბაზები დაგვითმო. თუ ინტერვენტები თქვენთან შემოჭრას განიზრახავენ და თქვენი სურვილიც იქნება, დაგეხმარებით, მეტი არაფერი ვიცი.

— მე კიდევა, თქვენმა პროფკავშირის უფროსმა მითხრა: ლენინი ამბობდა, პროლეტარიატს დაეხმარეთო...

— ლიზა, ძვირფასო, შენ რა პოლიტიკოსი ყოფილხარ! — იცინის ქეთინო. — აქამდე არ ვიცოდი. ხომ იცი, გოგი დაღლილია, შენ კი აიძულებ მოიგონოს პასუხები ისეთ კითხვებზე, რომ მინისტრებსაც გაუჭირდებათ...

ნინიკო მამის ვაჟკაცურ მხრებზე აცოცებულა, ღონიერ კისერზე ეხვევა, თითქოს უნდა დაიცვასო, და ყველას გულიანად აცინებს.

— შენ რაღა ამბავი გაქვს, პატარა ქაჯო? — უწყრება დედა. — ქვეყნის დამცველს შენი დაცვა დასჭირდა? შენა გგონია, ლიზა მამას აწყენინებს? რომელი უფრო გიყვარს, ლიზა თუ მამა?

— მამა და ლიზა! — დაუფიქრებლად განუმარტავს ნინიკო, — კიდევ დედა, დაინა, დეიდა ლიზა და... მამა!

— ო, ჩემი ნინიკო ადრე იჩენს თავს: პურს ნუ აჭმევ, ოღონდ ალაპარაკეო! — იცინის ქეთინო. — დიდი ენაჭარტალა ქალი იქნები.

გოგი მადიანად მიირთმევს ლატვიურ ლორს. მთელი ღორის გვერდი ისე შეუმჩნევლად გაქრა, რომ პატარა ნინიკომ გაკვირვებისაგან ტაში შემოჰკრა და შესძახა:

— ვინ აიღო აქ ის... „ვიცაპა?"

საერთო სიცილში ბავშვი ვერაფერს გებულობს, ყველაზე მეტად ლიზას უხარია, სიცილით აწვალებს რუსულ ენას:

— აი, მომწონს აგეთი კაცი, რომ ბევრი ხორცს ჭამს. ეს ღონიერი, კარგი კაცი არის. ჩემი ქმარი ცოტას ჭამს, თევზი არ უყვარს, ხორცი არ ჭამს, არაყი სვამს... არაყი რა არის? დაასუსტებს კაცს და მერე სუსტი კაცი რა კაცია!

ოსკარ გობზემისს მართლა უყვარდა სმა. ამისათვის საკმაოდ ხშირად და მკაცრად ხვდებოდა ხოლმე თავისი ჯანიანი და მოურიდებელი ცოლისაგან. ახლა გოგიმ გადაწყვიტა კარგად მოლაპარაკებოდა ამ კაცს და გადაეჩვია „მწვანე გველეშაპის" თაყვანისცემისაგან. ოსკარმა გულდასმით მოუსმინა ოფიცერს და მადლობაც არ დაივიწყა.

— თქვენ არ იცით, ბატონო ოფიცერო, რატომ სვამს კაცი. როცა კარგს არაფერს ელის და ხელს ჩაიქნევს, მაშინ იწყებს დალევას: იქნება სასმელში დარდი ჩავახრჩოო.

ლიზა წყალქვეშელთა ცხოვრებით დაინტერესებული ქალი აღმოჩნდა, კითხვას კითხვაზე აყრის, ბოლოს კი, როცა ატყობს, რომ სტუმარი პირდაპირ პასუხებს გაურბის სხვა საგანზე გადადის:

— აი, თქვენს მეგობარს კი ცურვა არც აგრე უყვარს. ცურვა იმისი საქმეა, ვისაც ხმელეთზე საქმე შემოლევიაო.

— რომელ მეგობარზე ლაპარაკობთ? ჩემი მეგობრები მეზღვაურები არიან, ასეთი მეზღვაური კი არ მეგულება, — შეწუხდა გოგი.

ქეთინო უხალისოდ უხსნის:

— არ მინდოდა მისი ხსენება, ძვირფასო. გრიშანოვი იყო, ვასილი, ის ლოთი-შფოთი, შენ რომ დაიჭირე და დასაჯეს. სასჯელი მოვიხადეო...

— გრიშანოვი? ნაციხარი ლოთი... აქ როგორ მოვიდა ის ჯიბგირი?

— რა ვიცი, სწორი გზით არ უნდა იყოს აქ მოხვედრილი, საზღვარგარეთ... შეცვლილია, ურიგოდ და ურცხვად ლაპარაკობს რაღაც...

გოგის სძაგდა ის ტიპი, რაღაც შიშისა თუ ზიზღის გრძნობას უნერგავდა.

ქალს კი მით უმეტეს. ახლაც ხენეში მოგონება აეშალა.

იმ საღამოს ქეთინო და ნინიკო სანაპირო პარკში სასეირნოდ წავიდნენ, მთელი საღამო მხიარულად გაატარეს. რა მალულობია, რა ოინი არ მოიგონეს. შინ შებინდებისას ბრუნდებიან. ჭიშკართან ნინიკომ ვილაცის აჩრდილი დალანდა. დგას გოგონა და უყურებს. უცებ ლანდი ამეტყველდა:

— საღამო მშვიდობისა, მადამ თარხნიშვილო! პირდაპირ ბანქოს ლამაზ ქალს არ დამსგავსებიხარ!

— ვინა ხარ, გზა მომეცი! — გაბრაზდა ქეთინო.

— მე მაშინ გიცნობდი, მიქელაძე რომ იყავი, კომკავშირელებში სეირნობდი, მარწყვივით გოგო იყავი, თითებს ჩაიკვნეტდა კაცი. ბიჭები ოცნებობდნენ.

— გრიშანოვი! — შესძახა ქეთინომ, როგორც კი ქუჩის შუქი ჩაირთო. — რა მაჯლაჯუნასავით გადამიდექი! საიდან მოხვედით?

— რატომ მაჯლაჯუნა, ლამაზო? თანამემამულეები შევიყარეთ, მაგას რა ჯობია, ჰა? — გრიშანოვი წინ გამოდის, ხელოვნური თავაზიანობით უწვდის ხელს. — რატომ ხმას არა მცემ? ჩვენ ხომ ერთხელაც არ ჩამოგვირთმევია ერთიმეორისათვის თათები, რამდენი ხნის ნაცნობები კი ვართ!

სიკვდილივით სძაგს ქეთინოს, არაფრად ეჭაშნიკება ამ ლოთისათვის ხელის ჩამორთმევა, მაგრამ არც ასე შეიძლება, მხეცი შეურაცხყოფას უარესი თავხედობით უპასუხებს, და ხელი გაუწოდა. ლოთის წებოვანი ხელი ხომ სულ არ ესიამოვნა. მაგრამ მთელი ეს უსიამოვნება არაფრად გამოჩნდა მაშინ, როცა გრიშანოვმა თავი სტუმრად გამოაცხადა და ლიზა გობზემისის სუფრასთან აღმოჩნდა. აქ მოხადა გუდას თავი და ათასი უხამსობის, ჭორისა და მონაჩმახის როშვას მოჰყვა: ასე და ასე ვებრძოდით ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს, ქურდებსა და კონტრაბანდისტებს, კულაკებსაც კი. მსმენელიც ისეთი შეხვდა, ბედმა გაუღიმა. ლიზას ერთი-ორჯერ თვალებიც კი აუცრემლა „ჩაგრულთა შემწის“ სიბრალულმა.

ლიზამ ლატვიურად გამზადებული ვირთევზა გამოიტანა, მაგრამ გოგიმ უკვე გული იჯერა ლორით, თანაც ახლა გრიშანოვის გამოჩენის ცნობამ საერთოდ დაავიწყა სუფრაცა და მთელს ბალტიკაში განთქმული ეს ლატვიური ვირთევზაც. რა უნდოდა აქ გრიშანოვს? ვინ გაუშვა ასეთი რეპუტაციის კაცი „სახლიდან“, საზღვარგარეთ, შორეულ ბალტიკაში? ეს ცოტა დამაფიქრებელი საკითხი ჩანს.

— მე გავიგე, რომ აქ დაქირავებული მკვლელები დაძრწიან და ჩალის ფასად იყიდებიან თურმე, — ხმადაბლა ეუბნება ქეთინო ქართულად გოგის. — ამ ბანდიტის ზრახვები კი საერთოდ არ მომეწონა. რაღა ბევრი გავაგრძელო, სადღაც ჩვენი სახლის გარშემო გველი დაცოცავს. .

— სისულელეს ლაპარაკობ, ქეთინო, — უკვე რუსულად მიმართავს გოგი ცოლს, რომ მეტისმეტად არ გამოეთიშოს მასპინძლებს.

— ჰო, რატომღაც ძალიან ლანძღავს იმ ყმაწვილს, — ღიმილით შენიშნავს ლიზა, — ჩემი ფიქრით კი სულაც არაა ცუდი კაცი. ეტყობა, ცოტა რეგვენი კია, თორემ სხვაფრივ კაცია, ქრისტიანი. ტრაბახი ჰყვარებია, რაებს არ აპირებს, დიდი კაცი უნდა გავხდეო, ის კი ჯერ არ იცის, რანაირად უნდა გახდეს დიდი კაცი. ჰო-ჰო, ძალიან დიდი კაცი გავხდებიო!

— მართალს ამბობს, უდასტურებს ქეთინოც, — მერე, შემთხვევით კი არ წამოუროშავს, დაბეჯითებით ამტკიცებს, ბატონი ვიქნებიო და მორჩა.

— ჰო, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, ჯანდაბას იმისი თავი! — წყრება გოგი. — განა ცოტა გიჟი და მანიაკია ქვეყანაზე!

ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღება ადვილია, მაგრამ სინამდვილეში მისი შესრულება ჭირს. გრიშანოვს აღარავინ ახსენებს, მაგრამ მისი საკითხი სულაც არაა მოხსნილი. მეტადრე ქეთინოს თავიდან არ გამოდის შიში, რომ ბანდიტი შორეულ ლიეპაიში იმისათვის ჩამოსულა, სამაგიერო გადუხადოს თარხნიშვილს, რომელმაც ოდესღაც ის შეიპყრო. განა მარტო დღეს? ქეთინოს მოსვენება არა აქვს იმ დღიდან, რაც სახლის მახლობლად მხოხავი უხსენებელი დაინახა.

დღე დღეს მისდევს. თარხნიშვილი ცოლ-შვილშია და თავს ბედნიერად გრძნობს. სეირნობენ, ბანაობენ, ზღვაში კენჭებს ისვრიან, და პატარა ნინიკო ხომ თვითონაც ისე გადაეშვება ტალღებში, მშობლები შიშით აღარ არიან.

ხანდახან მთელ დღეს ღია ცის ქვეშ ატარებენ და სადილადაც კი ზღვის პირას, მოდურ ყავახანა „ლიეპეში“ რჩებიან ხოლმე. მზეც გადაიხარა, როცა ოჯახი ვიწრო ბილიკებით შინისაკენ გზას გაუდგა.

— იცი, გოგი, გენაცვალე, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჭიშკართან რომ მივალთ, რაღაც უსიამოვნება გველის, — მხიარულად ამბობს ქეთო და განზრახ ხაზს უსვამს ორაზროვან სიტყვას „გველის“ — შენა?

— არა... შენ, ჩემო კარგო, რაღაც ისე ლაპარაკობ, ენამ არ გიყივლოს, — და მეუღლეს ლოყაზე ჰკოცნის. — შეიძლება შენაერთში გამომიძახონ, ხომ იცი, რა დროა! დაიღუპონ ის ფაშისტები, მოსვენება არ არის ქვეყანაზე!

— ფაშისტები გაბოროტებული ხალხია. გრიშანოვიც ასეთია. თუმცა ყველა თავს იქებს, მაგრამ ასეთი პარაზიტები და ეგოისტები, რომლებიც საკუთარ მუცელს ხალხის ოფლით და სისხლით იყორავენ და თავისუფლების ნიღბით მონობის ბორკილებს დააჩხრიალებენ, ერთიანად გასაულეტია, ბუნება ამით მხოლოდ გასუფთავდება.

— შენ აქ ორატორი გამხდარხარ, ჩემო მეგობარო!

— ორატორები დუმილით არ ხდებიან, — იცინის ქეთინო. — მე უბრალოდ ფაქტებს მოგაგონებ და მინდა ცოტა სიფრთხილეც გასწავლო.

სახლს რომ უახლოვდებიან, ნინიკო წინ გარბის. ქეთინო სირბილით ეწევა, იჭერს და ხელში აჰყავს, თან ტუქსავს. უცებ თვალწინ მეზღვაური აეტუზა. დგას № 23 სახლის წინ და ელოდება. გოგის დანახვაზე მის შესახვედრად გარბის და ზომაზე დიდ ჩექმებს მიაბარტყუნებს. პატარა ბარათზე მოკლედ წერია: „პაკეტის მიღებისთანავე ნაწილში გამოცხადდით“.

ქეთინო წინასწარვე გრძნობს, როგორ დასრულდა ერთად ყოფნის ხანმოკლე დრო. ასეთია მისი ბედი. დილას შინაა, საღამოს — ზღვაზე... ან პირიქით. არავინ იცის, როდის სადაა და სად იქნება. მოკლედ — მისი ქმარი მეზღვაურია.

დამშვიდობება სულ ხუთ წუთს გრძელდება. გოგი მალე ლუთერანელთა ეკლესიის იქით იმალება. გზა ნავებამდე საკმაოდ გრძელია. გოგი და ახმახი მეზღვაური მადუნცევი იმდენ ხანს მიდიან ფეხით, რომ უკვე დაგვიანებაზე ლაპარაკი შეიძლება. ქეთინო ფანჯარას შორდება და შინაურ საქმიანობას იწყებს, ნინიკოც აღარ ტირის.

— სად არის შენი მეზღვაური? — ეკითხება მდგმურს დიასახლისი, რომელიც ოთახში შეუმჩნევლად შემოდის. — მეკითხებიან სამსახურში, გაუგიათ...

— ჩემი გოგი აქ აღარ არის, ლიზა, უკვე გემზე იქნება.

ქეთინო ცდება. გოგი და მეზღვაური გემიდან შორს არიან. როგორც კი ხის ხიდი გაიარეს და ერთადერთი, სუსტად განათებული გზატკეცილით ნავსადგურს მიაშურეს, გოგი უცებ ამჩნევს, რომ უკან სამი ახალგაზრდა კაცი მოჰყვებათ ისე, რომ ორმოცდაათ ნაბიჯზე

ახლოს არ ეკარებიან. მადუნცევისთვის თავისი ეჭვი არ გაუზიარებია, მხოლოდ აჰქარებს მეზღვაურს, რომ ნავსადგურში მალე ჩავიდნენ და საეჭვო პირებს გაერიდონ. საქმე ისაა, რომ უცნობებიც უმატებენ ნაბიჯს და იმავე მანძილზე მოჰყვებიან, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სირბილით უხდებათ სვლა. ახლა მატროსმაც შენიშნა საეჭვო პირები და წარამარა უკან იყურება, გოგიმ კი მხოლოდ პისტოლეტი ამოიღო და გულდამშვიდებით მიმართავს:

— აიღე პისტოლეტი და მე მომბაძე: ერთბაშად მივბრუნდეთ უკან და ხულიგნები შევიპყროთ.

უცნობები ახლოვდებიან. ნაბიჯის ხმა გარკვევით ესმით და აი, სადაცაა თავს დაესხმიან, ისე რომ მადუნცევი მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამს. ოფიცრის გადაწყვეტილება მოსწონს, მაგრამ რატომ აყოვნებს? მერე რომ გვიან იყოს? ეტყობა, ვეღარ მოითმენს. კიდევ ნაბიჯი, ორი...

— ხელები მაღლა! — შესძახა ავტომატურად მობრუნებულმა თარხნიშვილმა და ლულა ერთ-ერთ ბანდიტს შიგ მუცელში დაუმიზნა.

იმავე წამს გაისმა სროლა, მეორე, მესამე...

ბინდბუნდში საგნების გარჩევა ძნელია, თარხნიშვილმა ვერ გაიგო, ვინ ისროლა. თვითონ მას სახსლეტი არც კი მოუწევია, ძირს კი დაეცა სწორედ ის, ვისაც ლულა მიაბჯინა. დანარჩენი ორი კი ისე გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო და თან ჩაიტანაო.

— შენ ისროლე? — მკაცრად ეკითხება გოგი მადუნცევს.

— სწორედ ასე გახლავთ, მაპატიეთ, ამხანაგო უფროსო, — მატროსი სულს ძლივს ითქვამს, — მგონი მოვკალი, ეს ოხერი... უნებურად მომივიდა, ვღელავდი, სასამართლოში ვარ მისაცემი...

— რა ნერვიანი ყოფილხარ, ძმობილო? აბა, ასწიე... ხომ არ დაინახე, სად წავიდნენ დანარჩენები?

გაისმის სასტვენების ხმა, ძაღლების ყეფა, ხმაური ახლოვდება და მეზღვაურები გვამს არ ეკარებიან.

— პოლიცია მოდის! — წყნარად ამბობს თარხნიშვილი. — დაველოდოთ.

თარხნიშვილს აოცებს პოლიციის ზუსტი ორგანიზაცია. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ჩვენც იქა ვყავდით და ოქმის შედგენაც კი მოესწროთ.

— რაკი სასწრაფოდ გემზე ხართ გამოძახებული, ვერ გავბედავ თქვენს შეჩერებას. დაჭრილი ეროვნებით გერმანელია, სხვას ვერაფერს გეტყვით, — სუფთა რუსულ ენაზე ეუბნება გოგის პოლიციის უფროსი. — მისი მოქალაქეობის საკითხს მაშინ დავადგენთ, როცა შემოჯობინდება, ვერც დანარჩენები გაგვექცევიან. ვფიქრობ, ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეები არ უნდა იყვნენ.

მადუნცევის ნასროლმა სამხედრო ნაწილი შეაშფოთა, ზედ განაპირას, ზღვასთან რომ იყო დაბანაკებული. გუშაგებმა შენიშნეს, რომ პოლიციამ ორი საბჭოთა მეზღვაური სადღაც წაიყვანა, ასე რომ როდესაც თარხნიშვილი და მისი მხლებელი ნაწილში მივიდნენ, ადმირალისთვის მოულოდნელი არ ყოფილა ყველაფერი ის, რაც მოახსენეს.

— ყველაფერი ეს მხოლოდ დადასტურებაა ჩვენი ღონისძიების დროულობისა, — კონტრ-ადმირალმა პოლიტგანყოფილების უფროსს გადახედა, მაგიდის ბოლოში რომ იჯდა სმენადქცეული. — გერმანელებმა ფართო ფრონტით დაიწყეს პროვოკაციები.

— ამჯერად მგონი ლატვიელთათვის უნდა გადაებრალებინათ თავიანთი დანაშაული, — მონოტონურად იწყებს შენაერთის უფროსი, — ორი საბჭოთა მეზღვაურის მოკვლა და ლატვიელი ნაციონალისტებისათვის გადაბრალება — მარტივი ხერხია, მაგრამ ამჯერად შეეშალათ.

— მე ცოტა სხვანაირი ეჭვი მაქვს, ამხანაგო ადმირალო, — ვეღარ იკავებს თავს თარხნიშვილი. — მე აქ ერთი მტერი მყავს.

კონტრ-ადმირალის მზერა კითხვას

გამოხატავს. გულისყურით ისმენს გრიშანოვის ამბავს.

— საგულისხმო ამბავია,—და კონტრ-ადმირალი აპარატზე ნომერს კრეფს. — მაცნობეთ, არის თუ არა პერსონალთა სიაში გრიშანოვი ვასილ მაქსიმეს-ძე?— მისი კილო არავითარ შეპასუხებას არ ითვალისწინებს, და ისევ თავის ადგილზე ათავსებს ყურმილს.

— არა, ეს ის არ არის, — შენაერთის უფროსი ბოლთის ცემას იწყებს. — გრიშანოვს არაფერი საერთო არა აქვს თქვენზე მოწყობილ თავდასხმასთან. საქმე ასეა, ამხანაგო წყალქვეშა ნავის უფროსო, — და მეგობრულად არტყამს მხარზე ხელს, — ფაშისტები ძალზე მონდომებული არიან, რომ ძველ მეგობრებთან, ლატვიელებთან წაგვაჩხუბონ და ამით გამარჯვების საქმე გაიადვილონ.

— არა მგონია ამას მიაღწიონ. როგორც მე შევნიშნე, ლატვიელებს ჩვენდამი ნდობა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი...

— ეეე, გულუბრყვილო ნუ ხართ, ამხანაგო თარხნიშვილო! თქვენ რომ მოეკალით, გაზეთებში ასეთი სათაურები გამოჩნდებოდა: „ლატვიელი პატრიოტები ოკუპანტებს ხოცავენ“ და სხვა ამგვარი. მოკლედ, პოლიტიკა ისეთი რამეა, ბუზიდან სპილოს გაბერავს. მთავარია ძალა და რაიმე ჩასაჭიდი, ფეხის მოსაკიდებელი... თქვენი შემთხვევა ერთადერთი არ არის. ამან გვაიძულა გამოგვეწვია ყველა, ვინც დაქირავებულ კერძო ბინებშია, გამოგვეცხადებინა ყაზარმული რეჟიმი და შინ, საბჭოთა კავშირში გაგვეგზავნა. საგანგებოდ გამოვყავით ოფიცერი და ვინც აქ დარჩა, ხვალვე გავამგზავრებთ. დილით პატარა თათბირს მოვიწვევთ და დავაზუსტებთ ზოგ რამეს... სატანის მოძმემ, ჰიტლერმა გასულ გაზაფხულსა და ზაფხულში შედარებით იოლად აიღო დანია, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია... საფრანგეთის დაცემის შემდეგ ხომ სულ გათავხედდა. ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ. შფოთიანი დრო დგება...

ნუთუ ნინიკო და ქეთო მარტოკანი უნდა გაემგზავრონ, უცხო ადამიანებთან იყონ მატარებელში... გოგის აღარ შეუძლია ადმირალთან დაწყნარებული საუბარი, მას გულზე ლოდად აწევს ეგზომ არეულ დროში ცოლისა და პაწია ასულის შორეულ საქართველოში უპატრონოდ გამგზავრების ამბავი.

ტელეფონის ზარმა გულისწამღები ზრიალი გააბა. ადმირალი ცდილობს წონასწორობა შეინარჩუნოს, ორიოდე სიტყვით პასუხობს და მილს დაბლადებს.

— მატროსი გრიშანოვი ვასილ მაქსიმეს-ძე დამხმარე ბატალიონში მსახურობს, — ზანტად მოახსენებს ადმირალი გოგის, — სანაქებო დისციპლინით არ გამოირჩევა, მაგრამ არც განსაკუთრებული საჩივარიაო, მომახსენეს.

— უწინ საერთოდ ბანდიტი იყო, ციხეში იჯდა.

— მერე რა ვუყოთ, რომ იჯდა, — პოლიტგანყოფილების უფროსი სიტყვის დამთავრებას არ აცლის გოგის. — ადამიანები გარდაიქმნებიან, აღიზრდებიან ხოლმე. მთავარი ისაა, გიორგი იორამის-ძევ, რომ ადამიანს გვერდით დავუდგეთ, მივეშველოთ, ფეხი არ დაუცდეს და არ დაეცეს, ესაა ჩვენი ვალი.

— მართალია! — ადმირალი მაგიდას ტოვებს, რითაც ყველას ანიშნებს, დაშლის დროაო. — თუ ნაციხარი მთლად გადაგვარებული და წყალწაღებული არაა, ვალდებული ვართ ყველა ღონისძიებით ვეცადოთ ფეხზე დავაყენოთ, ადამიანად ვაქციოთ...

— და თუ წყალწაღებულია?

— მაშინ ისევ იქ მოხვდება, საიდანაც მოვიდა, და ტვირთის სიმძიმეს თავს დააბრალებს... ეს მართალია, ზოგი ფეხზე დგება, ძალიან სწრაფადაც კი, რათა ისევ თავზე დააჯდეს ვინმეს და ნამდვილი პარაზიტი, ხელჩაქნეული, უიმედო უსაქმური გახდეს.

თარხნიშვილი კაბინეტიდან დაღვრემილი გამოდის. სიმართლე რომ ითქვას, ახლა ადამიანების გამოსწორების ზოგადი იდეები ნაკლებად აწუხებს, სულსა და გულს ცოლ-შვილთან დაშორების კაეშანი უღრღნის. სად უნდა გაამგზავროს? თბილისში? ეს შეუძლებელია! მაშინ როდისღა ნახავს? ახლანდელ დაძაბულ ვითარებაში განა შეუძლია შვებულების იმედი ჰქონდეს? წელიწადში ერთხელ ძლივს ინახულებს. არა, ჯობია ლენინგრადში დატოვოს, იქ ხომ სოფი ცხოვრობს ოჯახით და სიხარულით მიიღებს რძალს! ეს გადაწყვეტილება ხსნა ჰგონია, და სწორედ ის აღმოჩნდება საბედისწერო: თბილისში რომ გაეგზავნა, ლენინგრადის ბლოკადის მთელი საშინელება ასცდებოდათ.

ოჯახის დაბინავების ადგილი რომ დაადგინა, გოგის ერთბაშად გულზე მოეშვა. ხვალვე გააცილებს. მართალია, ეს წუთიერი შეხვედრა იქნება, მაგრამ რა გაეწყობა! ადამიანის ნებისყოფის გამოცდა არა მარტო ბრძოლის ველზეა, არამედ მშვიდობიან დროსაც. ხანდახან ვერც გაიგებ, სად უფრო ძნელია და სად უფრო იოლი.

აი, შუაღამისას პაკეტს იღებს: დაუყოვნებლივ ზღვაში გადით. ეს კიდევ რა ბედის რისხვაა! ხანმოკლე იქნებაო გაცილება, იმას დარდობდა და ახლა სულაც ვერ ნახავს, თვალსაც ვერ შეავლებს საყვარელ ადამიანებს! აი, აქ დააწვა ყველაზე მძიმედ წუთისოფლის მუხანათობა. მაგრამ „ს-621“ ნავის უფროსს ერთი ნაოჭითაც არავისთან გაუმჟღავნებია თავისი სულის მღელვარება, მხოლოდ ერთი წუთით შეიარა პოლიტგანყოფილების უფროსთან, გადასცა ცოლ-შვილის ლენინგრადში დასთან დატოვების განზრახვა და სთხოვა, პირადად ინახულე ქეთინო, გამგზავრების დარდი შეუმსუბუქეო როგორმე.

წყალქვეშა ნავი პირსიდან დაუყოვნებლივ გადის და ბნელში იკარგება. გოგის სულ ორიოდე საათის ძილი დასცალდა. ამინდი ისე შეცვლილა, ვერც გაარკვევ, დღეა თუ ღამე. კოკისპირულ წვიმაში ცივი ნორდ-ოსტი უბერავს, გვიანი შემოდგომა გეგონებათ. გოგის გულშიაც შემოდგომაა.

## კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა

ბალტიკაზე იშვიათი მოვლენაა შტილი, და მით უარესია ზღვის სიწყნარე წყალქვეშელებისათვის. თუ შავ ზღვაზე კიდევ როგორმე მიჩვეულნი არიან და ეგუებიან, ბალტიკაში მეზღვაურებს შტილისა მტერივით ეშინიათ. პერისკოპის სულ მცირე ნაწილიც კი ზღვის სპეტაკ ზედაპირზე ისე ჩანს, როგორც ბურთულა ხელისგულზე. მოწინააღმდეგეს იოლად შეუძლია წყალქვეშა ნავის ადგილსამყოფელის გაგება, და განსაკუთრებული ხელოვნებაა საჭირო, რათა მეზღვაურებმა საკუთარი საიდუმლო არ გასცენ.

1941 წლის 25 ივნისის ოთხშაბათი სწორედ ასეთი „არახელსაყრელი“ დღე იყო. სიოც არ ქროდა. ნისლი დასწოლოდა მთელს სანაპიროს, ლიბავის სამხრეთსა და ჩრდილოეთ მხარეს. პერისკოპიდან მხოლოდ ორი რამ ჩანდა მკაფიოდ: ქალაქის ცენტრში აღმართული პროტესტანტული ტაძარი და ლუთერანელთა კირკა. პერისკოპი სახიფათო რამეა ასეთ ამინდში, მაგრამ გოგის არ შეუძლია მცირე ხნით ამ კირკის გუმბათს არ შეავლოს თვალი: აი, იმ ადგილას დაემშვიდობა ცოლ-შვილს უკანასკნელად. მას შემდეგ მხოლოდ წელიწადია გასული, მაგრამ უკანასკნელი ერთი თვე ამ მანძილს სამმაგად ზრდის.

ბურჟუაზიული ლატვიის ისტორია დასრულდა. ისიც ერთ-ერთ თანასწორუფლებიან საბჭოთა რესპუბლიკად იქცა. გოგის კარგად ახსოვს ლიბავის მშრომელთა ზეიმი. ქეთინო და ნინიკო უკვე ლენინგრადში ჰყავდა, მაგრამ

გობზემისებთან შევლა არ შეუწყვეტია. რა საზეიმო განწყობილება სუფევდა ლიბავაში, და ვინ ელოდა, რომ ეს სიხარული მოულოდნელი მწუხარებით შეიცვლებოდა. ბალტიკას ომის საბედისწერო ღრუბელი ჩამოაწვა, და ვინ იცის, რა იქნება მისი ბოლო.

ცენტრალურ საგუშაგოზე სმირნოვი შემოდის. უსიტყვოდ მიდის რუკასთან, იქვე დახრილა გოგიც.

— რა ამბებია? გაქვს რამე ცნობები?

— ამბები... უკეთესს ინატრებდი. ჯერჯერობით კატასტროფაა, — თითქმის ჩურჩულით პასუხობს სმირნოვი ნავის უფროსს. — ლიბავა უკვე აიღეს, ან აგერ-აგერ აიღებენ. ყველა ჩვენი გემი წასულია. მხოლოდ აი, ამ ზონაში ვიბრძვით თავისუფლად: ვანადგურებთ ყველაფერს, რისი განადგურებაც შეიძლება.

— მაშ სამხედრო-საზღვაო ბაზას იღებენ არა ზღვიდან, არამედ ხმელეთიდან, — თავისთვის დუდუნებს გოგი, ისე მშვიდად, თითქოს სმირნოვს არაფერიც არ ეთქვას, — თავისუფალი ომი ჩვენის მხრივ, ეს კარგია. ვფიქრობ, მალე გერმანელთა რომელსამე გემს შევიპყრობთ, — პერისკოპის ღილაკზე თითს აჭერს და სამზირი თანდათან იწევს მაღლა. — აბა, მიფრთხილდი, სვასტიკავ! სტალინი შუაგზაზე არ გაჩერდება. სისწრაფეს სიდინჯე შეაჩერებს, ელვას — კლდე.

პერისკოპი სულ რამდენიმე სეკუნდით ჩერდება ზედაპირზე, მერე ისევ ძირს ეშვება და გოგი რუკაზე რაღაცას ინიშნავს.

— აი, შტურმანო, ესაა ჩვენი დაზუსტებული ადგილსამყოფელი. ამ საბრუნი ტივტივის გარშემო ვიწყებთ მანევრირებას. ლიბავის გათელვისათვის სწორედ აქ ვიძიებთ შურს, ლიბავის კარიბჭესთან. თუ ფაშისტებმა ნამდვილად აიღეს ქალაქი, აქ ხომ მათი გემებიც გამოჩნდებიან და მაშინ ვუჩვენებთ სეირს.

გოგი თავის ადგილზე მეგუშაგე ოფიცერს ტოვებს და დასასვენებლად მიდის, თან დეპეშები უნდა წაიკითხოს.

— თქვენ კი გთხოვთ მეზღვაურებს მოელაპარაკოთ, — მიმართავს სმირნოვს. — უთხარით მხოლოდ სიმართლე, რარიგ მწარე და უნუგეშო მდგომარეობაც არ უნდა იყოს. ისედაც ყველამ იცის ჩვენი დროებითი წარუმატებლობის ამბავი და არაფერი ისე სულელური, თუნდაც თავხედური ღონისძიება არ არის, როცა ხალხს ეუბნები, თეთრი შავიაო და შავი — თეთრი. უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანებს ტვინი აქვთ და მათი „გაღმობირების“ ან დაშოშმინების ცდა მუდამ საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს. ლაჩრები არა გვყავს, გმირისათვის კი სიძნელე მხოლოდ ვაჟკაცობის სკოლაა. უთხარი ის, რაც არის და რაც გვესმის.

სმირნოვი ცოტა ჭოჭმანობს.

— მე მაინც არ მესმის... რა უნდა ვუთხრათ ხალხს? თუ ლიბავა დაკავებულია, ჩვენ ხომ იქ ველარ შევალთ?

— ვარაუდებით უნდა დაკმაყოფილდეთ, პავლე პეტრეს-ძევ, მითითებები ჯერ არა გვაქვს, მაგრამ... ალბათ კრონშტადტში ან ლენინგრადში დაბრუნებას გვიბრძანებენ. ფლოტის მთავარი ბაზა -ტალინია, იქ ალბათ არ გაგვიშვებენ, რადგან ეს ქალაქიც მტრის მთავარი დარტყმის ქვეშაა.

„ლენინგრადის“ ხსენებაზე გოგის გული ეკუმშება. სად არიან და როგორ არიან, ვინ იცის! ეს სვასტიკიანი გველეშაპი საზღაპრო ნახტომებით მოიწევს. სამი დღეა ომი დაიწყო და უკვე აღებულია რიგა, ლიბავა, ვენტსპილსი, და ვინ იცის, კიდევ რა... მათი გზა იწვის, მათი ნატერფალი — ფერფლია. რა ხდება ზღვაზე, რა ხდება ხმელეთზე! რა დღეში იქნება ქეთინო, როგორ ითამაშებს ნინიკო?.. ნეტა რა მოხდა? გერმანელები წინ მოიწევენ. ნუთუ მათზე სუსტი ვართ? — მძიმედ ჩაფიქრებული გოგი თავის კაიუტაში შედის, გაუხდელი წვება გაშლილ ლოგინზე და იგონებს ორი ოფიცრის საუბარს, ვაგონში რომ მოისმინა ლიბავის გზაზე: ერთი

ამბობდა, ომში მთავარიაო საშუალებათა ორგანიზაცია, ძალის სწორი განაწილება. შეიძლება სახელმწიფოს მეტი ტექნიკა ჰქონდეს და მეტი ცოცხალი ძალა ჰყავდეს, მაგრამ ომი წააგოს. მეორე მხრივ, შეიძლება ასეთი უპირატესობა არ გააჩნდეს, მაგრამ მეტი გამოცდილება ჰქონდეს, კარგი ორგანიზაცია, და ორთა ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდესო. შეიძლება ის ოფიცერი მართალს ამბობდა. ორი წელიწადია გერმანელები ევროპას აზანზარებენ, აქვთ სისხლში გამჯდარი ორგანიზაცია, ომის დიდი გამოცდილება, და ყველაფერი იმ ოფიცრის თეორიის თანახმად მიდის.

„ეტყობა, გაგვიჭირდება, ვიდრე გერმანელების ამ უპირატესობას გავაწონასწორებთ... მაგრამ ეს მარცხი ფეხზე დაგვაყენებს, შუა გზაზე არ გავჩერდებით. არა, ომს საბოლოოდ უსათუოდ რუსი ჯარისკაცი მოიგებს, მით უმეტეს, რომ ის მარტო არაა“.

ამ ფიქრებში გოგის შეუმჩნევლად ჩასთვლიმა. უეცრად ფიცხელი ბრძოლის მაუწყებელი ზარის ხმა ლოგინიდან აგდებს. ერთი წუთიც და ნავის უფროსი უკვე პერისკოპთანაა. სამხრეთიდან გემები მოდიან, უთუოდ ლიბავისაკენ აუღიათ გეზი. ეტყობა, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზაში შესვლა განუზრახავთ. აი, მასპინძლობაც მაგათ უნდათ!

— სატორპედო იერიში! — გაისმის ყველა მილში უფროსის მკაცრი ხმა.— ცხვირის მხარის აპარატები მოამზადეთ!

წყალქვეშელები ჯერაც ვერ არიან ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილნი, ამით აიხსნება მათი გაფითრებული სახის ფერი და ნერვული ფაციფუცი, რაც სასწავლო იერიშების დროს არ იგრძნობოდა. საქმე ახლა უფრო სერიოზულია. ეკიპაჟის ყველა სამოცდაორი წევრი ღელავს ნამდვილი საბრძოლო ტორპედოების გაშვების წინ. თავისთავის ფიქრობს, ჩავძირავთ თუ ჩაგვძირავენო? თუნდაც ტორპედოების გასროლა მოასწრონ, გაცეცხლებული მტერი უმოწყალოდ დაედევნება და სიღრმის ბომბების ნიაღვარს დაატეხს თავს. არც ერთ წყალქვეშელს ჯერ ფაქტიურად სიღრმის ბომბების ხმა არ გაუგონია, მაგრამ ყველამ იცის, რა ძნელია და ამაზრზენი წყალქვეშ მანევრირება, როცა მდევარი მოგდევს და სიკვდილს თესავს. მერე, როცა ჯერაც არ იცი, როგორ მოხდება ეს, ორმაგად უფრო საშიში გეჩვენება.

— დამხმარე გემი და ოთხი საესკადრო ნაღმოსანი! — ხმამაღლა აზუსტებს გოგი მტრის სახომალდო შემადგენლობას. — იერიშ მივიტანთ კრეისერზე!

გოგი ძლივს ასწრებს პერისკოპის ოდნავ აწევას და მაშინვე ძირს უშვებს. სულ რამდენიმე წამს აკვირდება მტრის გემებს: საით უჭირავთ საჭე, რა სიჩქარე აქვთ, რა განლაგება?

ზღვაზე შტილია. რა ძნელია ახლა იერიშის მიტანა! პერისკოპის თუნდაც წამიერი აწევა დაკავშირებულია რისკთან, რომ შენიშნავენ, იერიში ჩაიშლება, საბჭოთა წყალქვეშელები უაღრესად საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან... მაგრამ მტრის გემი აუცილებლად უნდა ჩაიძიროს! ნავში სიმშვიდეა, მხოლოდ მანქანების ყრუ გუგუნი არღვევს დაძაბულ დუმილს. უკვე უახლოვდებიან გემებს, რომელთაც ეჭვიც ვერ აუღიათ, არც ფიქრობენ, ვინმე გვითვალთვალებსო. გულდამშვიდებით მიეშურებიან ლიბავისაკენ. საესკადრო ნაღმოსნის ხმა, აკუსტიკოსს კი არა, ყურმახვილ წყალქვეშელებსაც ესმით. ეს გემი ფაშისტური კრეისერის მარცხენა ქიმს იცავს.

გოგი ერთხელ კიდევ ავლებს წამიერად პერისკოპის თვალს მტრის გემების წყობას, სწრაფად აჭერს ღილაკს და მესაჭე-მეჰორიზონტალეს ჯიქურ ბრძანებას აძლევს:

—ჩაყვინთე ოცდაათ მეტრზე! — და მესაჭე-მევერტიკალეს უბრუნდება: — რუმბზე! ასე გეჭიროთ! — და ყველას უხსნის: — ვყვინთავთ ფლანგიდან შემოვლის მიზნით, გავალთ გე-

მების ქვეშ და საესკადრო ნაღმოსანს გავუსწორდებით!

მართლაც, სულ ორი წუთის განმავლობაში მიცურავს 30 მეტრის სიღრმეზე „ს-621“, და ანაზდეულად ყველა გრძნობს წყალთა წიაღის აბობოქრებას, ძალუმი ხომალდის ხრახნებს რომ აუფორიაქებია. მეზღვაურები უნებურად ძირს იხრებიან, ამ საშინელი სამხედრო გემის მთელი ძლიერება თითქოს თავზე დააწვათ.

არასასიამოვნო წუთი დიდხანს გრძელდება, როგორც ყოველთვის.

— აცურე პერისკოპის სიმაღლეზე! სატორპედო აპარატები მზად იყოს! — გოგი მოკლედ და რისხვით ლაპარაკობს. — სროლა ბათქით!

პერისკოპი წინასწარვე აღმართეს, რათა ერთი სეკუნდიც არ დაკარგონ ეგზომ ძვირფას მომენტში, როცა ტორპედოების ჯერის გაშვების ჟამი დაჰკრავს. ჯერ უფროსმა ზუსტად უნდა იპოვოს ძაფების გადაკვეთის ადგილი და საჭირო დროს გასცეს განკარგულება. სატორპედო აპარატები იცდიან. ეს ყველაზე უფრო გადამწყვეტი წუთია, რაც ნავის უფროსისაგან უჩვეულო დაძაბულობასა და ნებისყოფის ძალას ითხოვს.

ახლა ნავი პირდაპირ მტრის ვეშაპთა ჯოგის მუცელქვეშაა და მოსასმელი ხრახნების ხმაური ყოველი მხრიდან ესმის. უფროსმა ყველაფერი უნდა შენიშნოს და ყველა მოულოდნელობა გაითვალისწინოს. ამ გადამწყვეტ წუთს მცირეოდენი დაუდევრობა საბედისწეროა ხოლმე.

ხდება ყველაზე უარესი: მტერმა პერისკოპი შენიშნა. ყველა გემზე ერთდროულად ცხადდება საბრძოლო განგაში. მთვრალი სპილოებივით ირევიან გაავებული ხომალდები, პერისკოპს უმიზნებენ, მანევრებზე გადადიან, რომ პირდაპირ ბომბების განყოფილებაში მოახვედრონ. ამას თარხნიშვილი ყველაფერს ხედავს, მაგრამ ცდილობს სასიკვდილო საფრთხეს ყურადღება არ მიაქციოს და შეუპოვრად მიიწევს მიზნისაკენ. კრეისერი გრძნობს საშიშროებას და განზე გარიდებას ცდილობს, მაგრამ გვიანაა. ასე ახლო მანძილზე ტყორცნილ ტორპედოებს ეშმაკი ვერ დააღწევს თავს.

—ა-პა-რა-ტებო! ცეცხლი! — თარხნიშვილის მჭექარე ხმას ტორპედოების გუგუნი და წყლის ზარდამცემი შხუილი მოსდევს. სამი წამიც არ გასულა, რომ „ს-621“ მთელი ტანით შეძაგძაგდა, თითქოს ნავი ბრაგებს მოხვდა: ეს წინ გაფრენილმა ტორპედოებმა „უბიძგეს“ უკან.

გამაყრუებელი აფეთქება მარცხნივ, მარჯვნივ, პირდაპირ ცხვირზე, და შუქი ქრება. ყველაფერი ირყევა, ყველა ბარბაცებს, ადამიანები ძირს ეცემიან, წყვდიად სიბნელეში „იჩუმქრებიან“, აფეთქება კი გრძელდება. ვეგონებოდათ, წყალქვეშა ნავი ჯოჯოხეთის ჭიშკარში შესრიალდა და ერთბაშად ეშმაკის სამზარეულოში მოხვდაო. სიღრმის ბომბების გამაყრუებელ ქუხილში გოგი მაინც არჩევს მისი ტორპედოების ხმას: მიზანში მოხვდა! ახლა მოხდეს, რაც მოსახდენია! თუნდაც „ს-621“ დაიღუპოს, მან უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა, ახლა უზარმაზარი კრეისერი მთელი თავისი ეკიპაჟით ზღვის ფსკერისაკენ მიდის, და ეს ხდება იმ ქალაქის მისადგომებთან, სადაც გოგიმ ხანმოკლე, მაგრამ თავისი სიცოცხლის უძვირფასესი დღეები გაატარა იმ ადამიანების გვერდით, რომელთაც აღმერთებს. ნეტავ, უწერია თუ არა ბედის წიგნში ქეთინოს და ნინიკოს ნახვა, თუნდაც ერთხელ მაინც? სიცოცხლის ბილიკი ალაგ ვიწროა, ალაგ ფართო და ალაგ სულაც უფსკრულის თავზე გადის... ნუთუ ესაა ბეწვის ხიდი? ამ ფიქრებმა სულ ერთი წამით გაუელვეს გონებაში, და არცაა გასაოცარი: დაღუპვის წინ ხომ ადამიანის წარმოდგენაში მთელი მისი წარსული გადაიქროლებს თურმე, და ეს სწორედ დაღუპვის ინსცენირებაა!

— ჩართეთ საავარიო შუქი! მარჯვნივ ქიმზე! აიღეთ ოცდაათი მეტრი სიღრმე! ორივე საშუალო წინ! — ჩვეულე-

ბისამებრ გარკვევით და მშვიდად ბრძანებს თარხნიშვილი. — აცნობეთ დაზიანების ამბავი ნაკვეთურებში. შეაკეთეთ დაზიანებული მექანიზმები!

ნაკვეთურებში ავარიული განათების მბჟუტავი შუქი თითქოს ავტომატურად ინთება. უფროსის მშვიდი და ძხნე ხმა რომ ესმით, ადამიანები დაუყოვნებლივ გონს მოდიან და უთვალავი ზიანის გამოსწორება-შეკეთებას იწყებენ .

შიში ჩვეულებრივ პირველი აფეთქების დროს იჩენს თავს მთელი ძალით, შემდეგ კი ასეთი განცდა ჩლუნგდება. თუ ხელქვეითები გრძნობენ, რომ მათი უფროსის ნებისყოფა არ დაზიანებულა, სხვა დაზიანებათა აგრერიგად აღარ ეშინიათ და სიძნელეები არაფრად მიაჩნიათ. ეს საერთოდ ასეა და წყალქვეშაც იგივე ხდება. თარხნიშვილს არსებითად ბრძოლის ველზეც ისევე მშვიდად ეჭირა თავი, როგორც მშვიდობიან დროს, ასეთი განწყობილება კი გადამდებია, და ჰისმა ხელქვეითებმა შეიძაგეს ბრძოლის დროს შიში.

ბომბთაშენაში შესვენება დიდხანს არ გრძელდება, ყუმბარების ახალი სერია უკვე მარცხენა ქიმთან ხვდება, შემდეგ ორი სხვა გემიც იწყებს შენას მარცხნიდან.

— მგონი, აგვაცდინეს... — იწყებს კომისარი, მაგრამ მის ვარაუდს იქვე აბათილებს ერთი მატროსის სუსტი ხმა:

— პირველ ნაკვეთურში კორპუსი გახვრეტილია, ნავში ზღვის წყალი შემოდის. — ნება მიბოძეთ შევაერთო წყალსატუმბი, რომ გადავქაჩო...

— წყლის გარეთ გადაქაჩვა აკრძალულია! — დაუყოვნებლივ პასუხობს გოგი. — მოახდინეთ ნაკვეთურის ჰერმეტიზაცია! შექმენით საპირისპირო წნევა მაღალი წნევის ჰაერით! ცენტრალურ საგუშაგოს დაუკავშირდით ტელეფონით!

— ახლა მალე შეწყვეტენ დევნას, — ვარაუდობს გოგი, — საჭიროა წავიდეთ რაც შეიძლება შორს, დავწვეთ ფსკერზე და ნავი შევაკეთოთ. მაგრამ ძალიან შორს ვერ წავალთ, ასე დაზიანებულნი. ნავი ძლივს იმართება, [illegible]ია დარღვეულია... ნაკვეთურში წყალი შემოდის...

— ის საიდანღა იცით, რომ ბომბვას შეწყვეტენ? — უკვირს სმირნოვს.

— ზედაპირზე უთუოდ მრავალი მათი მეზღვაური ფართხალებს. მათ არა მარტო გადარჩენა უნდათ, აფეთქებაც უნდა შეაჩერონ, თორემ საკუთარ მეზღვაურებს ჩვენზე ადრე მოუღებენ ბოლოს. დიდ სიღრმეზე აფეთქებული ბომბიც იოლად დაღუპავს ზედაპირზე მცურავ ადამიანს.

თარხნიშვილის ვარაუდი მართლდება. დაბომბვა წყდება, ნავი საკმაოდ შორს სცილდება იერიშის რაიონს, წვება ფსკერზე და იწყებს ჭრილობების მოშუშებას. მაგრამ მტრის დევნას, როგორც მალე ირკვევა, მთლიანად თავს მაინც ვერ აღწევს. ძვირფასი დრო იკარგება. აუცილებელია მექანიზმების კვლავ მწყობრში ჩაყენება, პირველი ნაკვეთურის ნახვრეტების შეკეთება, საჭის დაზიანებული მოწყობილობის აღდგენა. მეზღვაურებს ესმით, რომ მტერი დიდი ხნით არ შეასვენებს, ამიტომ წუთსაც არ კარგავენ, მთელი ძალა და უნარი სიკვდილთან ბრძოლაში ჩაუბამთ, ავტომატებს დამსგავსებიან.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა პირველ ნაკვეთურში, ნახევარი სენაკი ზღვის წყლით ავსებულა. კორპუსის ნაკერი გარღვეულა, ისიც ნაკვეთურის ქვედა ნაწილში, მუშაობა წელამდე წყალში დგომით უხდებათ, ან სულაც ჩაყვინთულებს. ჭახრაკების, საწნეხი მოწყობილობის მართვა, მოჭერა, მირგება, ჰერმეტიზაცია — ყველაფერი ეს მღვრიე წყალში სრულდება, სოლიარისა და ზეთოვანი ტალახის ნარევში. დაბომბვის დროს აკუმულატორთა ბატარეების ავზებს მლაშე წყალი მოსვლა, საშინელი გაზი გამოიყოფა. ნაკვეთური ჰერმეტულადაა დახურული, რომ მხუთავი გაზი მთელს ნავში არ გავრცელდეს, და ოსტატები აირწინაღების შემწეობით მუშაობენ. სხვა განყოფილებებში კი-

დევ რა უჭირთ, მშრალში მაინც მუშაობენ. ელექტრომოტორულ, სადიზელო, სატორპედო, საცხოვრებელ და სხვა ნაკვეთურებში ერთ მუჭა ადამიანებს მთელი დანგრეული ტექნიკის აღდგენა უწევთ საოცრად შეზღუდულ დროში, მაგრამ ომი ომია. ცის თაღიდან ზღვის ფსკერამდე ადამიანი წვალობს, და ისიც ბედია, თუ არ მოკვდა.

— წავალ, ნაკვეთურებს დავივლი, ამხანაგო კომისარო, თქვენ აქ დარჩით, ერთხელ მეცა მხვდეს ასეთი პატივი, რემონტს დავჴედავ...

მაგრამ თარხნიშვილი კომინგსზე ფეხის გადადგმასაც ვერ ასწრებს, ისე მოახსენებს ჰიდროაკუსტიკოსი:

— ცენტრალურში! 128 გრადუსიანი კუთხით კურსის გზაზე სწრაფი გემის ხრახნების ხმა ისმის, სწრაფად ახლოვდება. საესკადრო ნაღმოსანსა ჰგავს.

ცუდი ნიშანია. ასეთ ვითარებაში ცენტრალური პოსტიდან უფროსის წასვლა არ შეიძლება. ჩანს, აქამდე მტერი ზღვაში მოფართხალე მეზღვაურთა გადარჩენით იყო გართული, მაგრამ მისი კრეისერის დამღუპველი ნავისთვისაც უდევნებია თვალყური. ახლა, როცა დაზიანებული ადგილები შეაკეთეს და მექანიზმები როგორმე მწყობრში ჩააყენეს, დევნა ისევ დაიწყო. მტერმა, ცხადია, იცის, რომ ნავი დაზიანებულია და შორს ვერ წაუვა.

— ფაშისტები უთუოდ ფიქრობენ ბოლო მოგვიღონ, — ღუღუნებს გოგი, — პირველად არამზადებმა პირდაპირ თავზე დაგვაწყვეს ბომბები, ეს აღარ უნდა განმეორდეს.

— ომი ომია, ამხანაგო გიორგი იორამის-ძევ! აქ მთავარია არ შევრცხვეთ, ისე კი ვინ იცის, ვინ ვის...

— ჩვენ ისეთ კერძს არ შევჭამთ, რაც აქამდე არ გვიჭამია. ამხანაგო კომისარო.

— რატომ კომისარო, უფროსო? ეს ხომ მოძველებული ტერმინია! მე ნავის უფროსის მოადგილე ვარ პოლიტიკურ ნაწილში, მეტი არაფერი. ჩემთვის სულერთია, მაგრამ მეზღვაურებიც იმეორებენ და...

ეროვნული

— კომისრის ინსტიტუტის გაუქმება ნაადრევად მიმაჩნია... კომის...

— ამხანაგო უფროსო! — გაისმის ჰიდროაკუსტიკოსის ხმა. — ოცდათორმეტ და ასოცდარვა გრადუსის პელენგზე ხრახნების ხმაური სწრაფად ახლოვდება! მანევრირებას ახდენს, მიმართულებას არ იცვლის. ვფიქრობ, ყველა საესკადრო ნაღმოსანი აქეთ მოეშურება!

— განაგრძე მოწინააღმდეგის მოქმედებაზე თვალყურის დაჭერა! — თითქოს თავისთვის ბრძანებს გოგი, ხელში ფარგალი უჭირავს და რუკაზე რაღაცას ზომავს თუ არკვევს: ხან ნავის ადგილსამყოფელს ჩასცქერის, ხან სანაპირო ხაზებს. — შტურმანო! გამიგეთ, რა დრო დარჩა დაღამებამდე! — უკან გადასძახის ლეიტენანტს და თვითონ რუკაზე „მარჩიელობას" განაგრძობს, — შემატყობინეთ ნაკვეთურებიდან, რამდენი დროა საჭირო რემონტის დასამთავრებლად? მოემზადეთ საბრძოლო იერიშისათვის...

სმირნოვი გვერდით დგას და ყურადღებით აკვირდება უფროსის საქმიანობას. ვერ იქნა. ვერ გამოიცნო, რა ფიქრები უტრიალებს ამ თმახუჭუჭა თავში, რას აპირებს ამ ეგზომ საბედისწერო წუთებში.

— გიორგი იორამის-ძევ, რაკი კომისარი ვარ, გთხოვთ გამანდოთ, რა აზრი გიტრიალებთ ამ მოუსვენარ თავში.

გოგი სმირნოვისაკენ ბრუნდება, მაგრამ არ უყურებს, სხვაგან ქრის მისი გონება, ფიქრობს, თვალები მოუჭუტავს, თითქოს სუნთქვაც შეუკრავს.

— რა მითხარი? — ისე იკითხა, ვითომ ახლა გაეღვიძა.

— რას გეტყოდი?... რას ვაპირებთმეთქი.

— ვფიქრობ, პავლე პეტრეს-ძევ, ახლა ჰიდროაკუსტიკური აპარატებით მოგვაგნებენ, დაიწყებენ დაბომბვას, — ჩურჩულით უხსნის სმირნოვს. — აქტიურად უნდა გავეცალოთ. ფსკერზე ერთ

მდგომარეობაში დგომა საშიშია. თუ მოწინააღმდეგე ცოტას დაგვაცლის და დაღამდება, უნდა ავცუროთ და იერიშის მიტანა ვცადოთ. საესკადრო ნაღმოსნები ურიგო სამიზნეები როდია ჩვენთვის. დელფინგრადს ერთი ზედმეტი ფაშისტური ნაღმოსანი არ აწყენს... ცხადია, ჩვენც მოგვხვდება, მაგრამ ომი ომია!

— ჰო, მაგრამ... პირველ ნაკვეთურში წყალია. შესძლებენ სატორპედო აპარატების სროლას?

— იმედი ვიქონიოთ ჩვენი არწივებისა. იქ ზემდეგი პარტორგია, ხომ იცი, რა ბიჭია?

— ამხანაგო უფროსო! მარცხნიდან სრული სვლით გვიახლოვდებიან... ჰიდროაკუსტიკოსის ხმას სიღრმის ბომბების ახლო მანძილზე აფეთქების ხმა ფარავს. როგორც მცელავ ფრენაზე გადასული თვითმფრინავები, ისე მისრიალებენ ნავის თავზე საესკადრო ნაღმოსნები, რომელთაც ძველთაგანვე სამართლიანად თვლიან წყალქვეშა ნავების მკვლელებად. მიუხედავად ძლიერი აფეთქებისა, ამჯერად ნაკვეთურებიდან იუწყებიან, რომ ახალი დაზიანება არ ყოფილა. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ იერიში განმეორდება. კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს.

— ორმოცდარვა მეტრის სიღრმეზე ჩავჯდეთ! — მშვიდად ბრძანებს უფროსი — ბომბების აფეთქების სიღრმე ფაშისტებმა, ეტყობა, ნაკლები ივარაუდეს, თორემ ცხელი დღე დაგვადგებოდა. ასეა თუ ისე, კვალი ნახეს. ამ ადგილზე დარჩენა აღარ შეიძლება. საბრძოლო განგაში! მოემზადეთ ასაცურავად! — უეცრად იცვლის აზრს. — იკითხეთ: როგორაა საქმე პირველში?

— ამხანაგო უფროსო, დაღამებამდე ორმოცდახუთი წუთი დარჩა, — მოახსენებს შტურმანი.

— ცენტრალურში! — ტორპედისტების ზემდეგის მჭექარე ხმას ყველა კარგად იცნობს. — პირველ ნაკვეთურში ნახვრეტი შეკეთებულია. ზედა სატორპედო აპარატურა საბრძოლო მწყობრშია.

— აცურეთ! ბუშტი შუაში!

მაღალი წნევის ჰაერი სწრაფად იშ-რება სამანევრო სის[illegible]-რი შიშინით დევნის თ[illegible] წყალს. წამიც და შემსუბუქებული ნავი ზედაპირისაკენ მიეშურება.

— ორივე მოტორი საშუალო სვლით წინ! კურსი ნოლ გრადუსზე! იცურეთ ოცდაათი მეტრის სიღრმეზე! — თარხნიშვილი ბოცმანის გვერდით დგას, ორივე ყურადღებად ქცეულა. ახლა მთავარია ბოცმანი, იმაზეა დამოკიდებული სიღრმის სიზუსტე, სიღრმე კი მთავარი მონაცემია მაშინ, როცა ნავი მდევარ გემებს გაურბის.

აკუსტიკოსმა გვაცნობოს: სად იმყოფებიან მტრის გემები! — ისმის გოგის ხმა.

— ამხანაგო უფროსო, ხმაური აღარ ისმის. საესკადრო ნაღმოსნები ოთხმოცდახუთი გრადუსის პელენგზე გაუჩინარდნენ.

ყველაფერი გასაგებია. ფაშისტებს მხოლოდ მოძველებული ჰიდროაკუსტიკური აპარატურები გააჩნიათ და ხმის დაჭერა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარი მანქანების ხმაური შეწყვეტილია. ახლა უსმენენ. მალე ისევ იპოვიან და იერიშზე გადავლენ. მაშასადამე, როგორც კი საესკადრო ნაღმოსნები ახმაურდებიან, დაუყოვნებლივ უნდა იცვალონ კურსი, განზე გასხლტებიან და მაშინ მტერი სუფთა წყალს დაბომბავს. ასეთი თამაშით შეიძლება ფაშისტების შეყოლიება შეღამებამდე... ეჰ, ოღონდ კი ეს მოხერხდებოდეს! რა საწყენი იქნება, თუ დაღამებამდე ნაღმოსნებს ყუმბარები გამოელევათ და ბაზაში წავლენ! მაშინ მხოლოდ კრეისერი დარჩებათ. მერე, რა კარგი იქნებოდა ლენინგრადში ჩასულებს ჯიბეებში ერთდროულად კრეისერიც და ნაღმოსნებიც აღმოაჩნდეთ! ადამიანი გაუმაძღარია! ახლა გოგის თავში სულ ეს წარმოდგენა უტრიალებს.

„Ս-621“ ნაჩვენებ სიღრმეზე ადის და კურსს იღებს. ნავში სიჩუმეა. ერთი სული აქვთ გაიგონ, რას მოიმოქმედებს გაბოროტებული მტერი. ყოველ წამს

ახალი იერიშია მოსალოდნელი. შიშის გრძნობა ახლა, მართალია, უფრო დაუჩლუნგდათ, მაგრამ ნერვები უფრო დაჭიმული აქვთ, ვიდრე თვით იერიშის დროს.

— ცენტრალურში! — ჰიდროაკუსტიკოსის ხმამ ყველა შეაკრთო. — მარჯვნივ ოთხმოცდაათსა და ასხუთ გრადუსზე სრული სვლით გვიახლოვდებიან კრეისერები! დისტანცია ოცია!

— დაწოლა მარჯვენა ქიმზე! ორივე სრული სვლით წინ! კურსი ოთხმოცდაათი! — ქუხს მშვიდი, მაგრამ მკაცრი და მბრძანებლური ხმა გოგი თარხნიშვილისა, თანაც საჭის მართვის მოწყობილობასა და ინდიკატორებს თვალს არ აცილებს.

— რათა? — ჩურჩულებს სმირნოვი, — რატომ მარჯვნივ?

— სულერთია, საით მივბრუნდებით, ოღონდ მტერი დავაბნიოთ, — უკმაყოფილოდ უხსნის გოგი, — კონტრკურსი კი უკეთესია, უფრო ჩქარა ავცდებით და გავერიდებით ამ წყეულ მარტორქებს! თუ გვერდის აქცევა მოვახერხეთ, ფაშისტების იერიში მარცხენა მხრიდან აგვცდება და...

სიღრმის ბომბების ახალი ჯერი მართლაც მარცხენა მხარეს ეცემა, მაგრამ ისე ახლოს, რომ ორი კაცი არ დარჩენილა ზეზე. ამის მიუხედავად მთელი ზარალი და ზიანი ორი ელნათურის დამსხვრევით ამოიწურა, ნავი არხეინად განაგრძობს სვლას ნაღმოსანთა საპირისპირო მიმართულებით.

— ჩავიდე ნაკვეთურებში, რომ ხალხს ვითარება ავუხსნა?

— კარგს იზამ! კარგი ცნობით ვისაც გაახარებ, დაგიმადლებს! — ისევ ხუმრობის გუნებაზეა გოგი.

კომისრის გამოჩენა მეზღვაურებისათვის მუდამ სასიხარულოა, მეტადრე ახლა, როცა მას კარგი ამბავი მოაქვს. განსაკუთრებით ელექტრომოტორულ განყოფილებაში გაიხარეს.

— როგორა ხართ, არწივებო, ცოტა შეგვეფერთხეს, არა?

— რა თქმა უნდა, ამხანაგო კომისარო, ქორწილში ყოფნა უფრო სასიამოვნოა, თუ ძალით არ გვასვეს, მაგრამ ფაშისტებსაც პასუხის გაცემა უნდათ, და როცა მათ ცივ ღვინოში ჩაახრჩობ, ესეც სასიამოვნოა, — ძლიერი ბალტიისპირული აქცენტით უქცევს ზემდეგი იან კოოპი, ისე რომ მოტორებთან საქმიანობას არ წყვეტს.

ესტონელი იან კოოპი ბავშვობიდანვე შეუპოვარი და უდრეკი ვინმე იყო. მისთვის თითქოს არ არსებობდა შიში, სუსხი და გასაჭირი, მაშინვე გულგრილად შეუდგებოდა მათს გადალახვას: დაღვრემილობა რას მიქვია, სიძნელეც ბუნების ნაჩუქარიაო.

— ო, იან, თქვენ კარგად გიცნობთ, — განაგრძობს სმირნოვი, — თქვენ კი როგორღა გრძნობთ თავს, სტარჩენკო? წაგაქციეს სიღრმის ბომბებმა თუ ვერ წაგაქციეს?

— ვერანაირად! — მხნედ მიუგო ფართო მხარბეჭიანმა ელექტრიკოსმა. — ჩვენს უფროსთან ვერაფერი შეგვარყევს. სულერთია, ის გაიმარჯვებს.

— უფროსი მართლაც ღმერთმა გვაჩუქა, — სიტყვას ართმევს ისევ კოოპი. — მაგრამ ყველა ვერ არის მისი ღირსი. ზოგი ზარმაცია, ძილი უყვარს. იქნებ იოლი გამარჯვება დამესიზმროსო.

ეს იყო სტარჩენკოს მისამართით ნათქვამი ნაკვესი. ამ მატროსზე მართლაც ყველა ამბობდა: მისი ნატვრაა ჯერ ძილი და მერე გამარჯვებაო. ხშირად, ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, თავისუფალ დროს, როცა ზოგი სალამოებზე მიდიოდა, ზოგი თავისიანებთან, კინოში და თეატრში, სტარჩენკო დასაძინებლად წავიდოდა ხოლმე და შინ დაბრუნებული მეზღვაურები ძლივს აღვიძებდნენ.

— საგუშაგოზე არასოდეს არ მძინავს, მეტი რა გინდათ? — თავს იმართლებს სტარჩენკო.

— ხედავთ, რა მოუნდა კიდევ — საგუშაგოზე ძილი! — იცინის კოოპი.

— სატორპედო აპარატები გაამზადეთ! — ბრძანებს ცენტრალური პოსტიდან გოგი. — საესკადრო ნაღმოსანს ერთ ჯერად უნდა ვესროლოთ!

ხანმოკლეა წყალქვეშელთა მშვიდობიანი საუბარი.

ყველა სმირნოვს შესცქერის. კომისარიც თითქოს შეცბუნებულა.

— რა უნდა იყოს? — შეშფოთებით ეკითხება იან კოოპი.

— რა უნდა იყოს? — იგივე კითხვა მიაგება სმირნოვმა. — ნავის უფროსი მტრის ნაღმოსანს უტევს. არ მოგწონთ, ბიჭებო?

— არა, გადაწყვეტილება ჩინებულია, — „ასწორებს" კოოპი, — მართალია, ბატარეების ძაბვა სუსტია, მაგრამ სამაგიეროდ ენთუზიაზმით ზედმეტად ვართ დამუხტული.

— ყოჩაღ,... უფროსო! — წამოსცდა მატროსს. — ასე უნდა, მაშ აკვარიუმში ხომ არა ვართ, მალულობია!; შეტევა ჯობს.

— უკვე პერისკოპის სიმაღლეა! — იანი ნაკვეთურის მანომეტრს აკვირდება, ჰაერის წნევას რომ ზომავს. ამითაც შეიძლება ნავის სიღრმის გარკვევა. — მაგრამ ახლა პერისკოპით რას დავინახავთ? ზედაპირზე ალბათ ბნელა... სიღრმე კი კლებულობს... აი, ზედაპირზე ამოვცურეთ, ეს რა არის?

ნავის რყევაზე ატყობენ, რომ ზღვაზე აღარაა ის მზაკვრული შტილი, წინა დღეს რომ ასე აფიქრებდათ.

— ა-პა-რა-ტებო! ცეცხლი! — თითქოს მიღმა ქვეყნიდან ისმის უფროსის ხმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სმირნოვი შეუმჩნევლად ქრება ნაკვეთურიდან. უკვე ცენტრალურ პოსტზეა, როცა აპარატებიდან ნატყორცნი ტორპედოების ქუხილი ესმის. ბოგირზე არბენას ველარ ასწრებს. სწრაფი ჩაყვინთვის ბრძანება და მაღლიდან ხალხის „ცვენა" აიძულებს ლუკში თავის აყოფამდე უკან დაიხიოს, ისე რომ ფეხი თოკის კიბეზე ვერც შედგა.

ორი უზარმაზარი ცეცხლის სვეტი ავარდა იმ ადგილას, სადაც საესკადრო ნაღმოსნები მოცურავდნენ. მალე ცეცხლიც ჩაქრა, გემიც გაქრა და ზედაპირზე რჩება მხოლოდ ნავთის, ზეთისა და ჭუჭყის ნარევი. გემის ნამუსრევებში ადამიანები ფართხალებენ, ეჭიდებიან ხის ნაგლეჯებს და შველას ითხოვენ.

პირველად მთელი სიცხადით გამოჩნდა, რას ნიშნავს ნიჭი და სიმამაცე ადამიანისა, რომელიც თითქოს ჩვეულებრივი მეთაურია, ჩვეულებრივი ადამიანი, სხვების მსგავსი და ტოლი, სინამდვილეში კი გამოუვალ მდგომარეობაში ახერხებს ისეთი საგმირო საქმის მოხდენას, რაზედაც „ჩვეულებრივ" ადამიანებს ოცნებაც ავანტიურად მიაჩნიათ.

## ომის კანონი ძლიერია

უმთვარო ღამე ბალტიკის ტახტზე დაბრძანდა. შემოდგომის ქარში ცივი ტალღები ათასწლოვან ცეკვას იმეორებენ, ნაპირს აწყდებიან, ჯანსაღ ჰაერში ცივ შხეფებს აფრქვევენ. მწუხრის ზეწარი ეფინება ზღვასა და ხმელეთს. ბუჩქნარით ასე მოხერხებულად შენიღბული გრძელი პირსები უბრალო დანისლული სანაპირო გეგონებათ. კრონშტადტში ისეთი სიწყნარეა, მშვიდობიანი დრო გეგონებათ. მაგრამ ლენინგრადის თავზე წამდაუწუმ აიტყორცნებიან პიროტექნიკური რაკეტები, სივრცეს გაანათებენ და ქრებიან, ძირს ვარდებიან. ეს ორივე მოპირდაპირე მხარე „თამაშობს", საეჭვო საგნების შემჩნევასა და მტრის მოძრაობის გარკვევაში ეჯიბრებიან ერთიმეორეს.

პირსზე ორი ადამიანი დააბიჯებს. ერთი წყალქვეშა შენაერთების უფროსი კონტრ-ადმირალი ნაუმ გრიგოლის-ძე ვერხოვსკია, ისე ჩამრგვალებული, რომ კასრისაგან ვერ გაარჩევ, მეორე კი პავლე პეტრეს-ძე სმირნოვი, ამჟამად უკვე პოლიტგანყოფილების უფროსი. წამდაუწუმ იყურებიან შემოსასვლელი ფარვატერების მხარეს, ერთიმეორეს ხმადაბლა ესაუბრებიან და მოუთმენლად ელოდებიან ზღვიდან იმ ნავის დაბრუნებას, რომელსაც ახლა „მინოგას" უწოდებენ. შენაერთის უფროსი ბევრს ლაპარაკობს. ეს უშიშარი წყალქვეშელი

სულ ახლახან „გადმოსვეს“ თავისი „უნაგირიდან“. ნავს მეთაურობდა, ფაშისტებს ძირავდა, თავი გამოიჩინა, ჯილდოები მიიღო, და უეცრად ნაპირზე გადმოსვეს, თითქოს აქ უფრო საჭირო იყოს. ახლა ჯილდოდ მხოლოდ „პატრუქებს“ იღებს: ასე ეძახიან ხელქვეითების საყვედურებს.

— კარგით, ნაუმ გრიგოლის-ძევ, სამაგიეროდ როგორ დაგაწინაურეს! წყალქვეშა ნავების გაერთიანების მეთაურობა ომის დროს — უბრალო რამე ხომ არ არის! — ედავება თუ ამშვიდებს სმირნოვი. — ასეთ რამეს ყველას როდი აძლევენ!

— ყველას როდი აძლევენ! — აბრაზებს ვერხოვსკი. — ჩემი წინამორბედი ამ პატივს გაექცა, ხომ იცით?

— ო, ეს იყო საშა ორიოლი. ვიცნობთ იმ გულად „მწყერს“, მყუდრო ადგილი მოძებნა. ასეთ ტარასკონელებს ნუ შეადარებით, ჩვენ ხომ მებრძოლი ოფიცრები ვართ!

— მებრძოლი იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა, მაგრამ...

— ნაუმ გრიგოლის-ძევ! ეგერ, მოდის!

მართლაც, საბრუნი ტივტივის მხრიდან წყალქვეშა ნავის ფოლადის კორპუსი მოირწევა და სწრაფად იზრდება. თითქმის ბნელა, მაგრამ პირსს თამამად უახლოვდება.

შენაერთის უფროსი ნავს შეჰხარის:

— ეს უფროსი მომწონს, — თითქოს თავისთვის ამბობს ვერხოვსკი, თავმდაბალია, მცოდნე, კულტურული, და რაც მთავარია, ეშმაკივით უშიშარი და უდრეკი... მოკლედ, მაგისმა დედამ უნდა დაიტრაბახოს, შვილი გამიზრდიაო .

ბნელში არ ჩანს, როგორ იღიმება პავლე პეტრეს-ძე: ასე იღიმება მამა, როცა შვილს უქებენ.

— ჰო, აბრეგი ნამდვილი კომუნისტია, პატიოსანი ოჯახის შვილი და ბრწყინვალედ აღზრდილი. არწივი თქვენი წინამორბედი კი არა, ესაა. მოგაგონებთ, თერთმეტი გემი ჩაძირა მტრისა — მეტი, ვიდრე ვინმე სხვამ. განა ეს პატარა საქმეა?

— მისმინე, პავლე პეტრეს-ძევ! — უცებ იცვალა კილო ვერხოვსკიმ, — იქნებ თარხნიშვილმა უკვე იცის რამე თავისი ოჯახის დაღუპვის შესახებ. ჩვენ ხომ ასეთ სულელურ მდგომარეობაში ვართ!

— არა მგონია, — ოხვრით ამბობს სმირნოვი და პირსზე ბოლთის ცემას იწყებს. — „მინოგა“ უკვე ზღვაში გადიოდა, როცა ეს გავიგეთ და ისიც ვიწრო წრეში. ვინ ეტყოდა?

—მართლაც, ვინ ეტყოდა? ეს რომ სცოდნოდა, ასე გულდაგულ ვერ იბრძოლებდა: ერთ ლაშქრობაში სამი გემის ჩაძირვა არ შეუძლია სასოწარკვეთილ ადამიანს.

— ჰო, მაგრამ აბრეგის ნერვებისა და ნებისყოფისათვის შემიძლია თავდები ვიყო, რაც არ უნდა მოხდეს წუთისოფელში.

— მიაწოდეთ გემსაბელები! — ისმის პირსზე, — მოტორები გააჩერეთ.

— რა ნერვებიც არ უნდა ჰქონდეს, ჩემო კარგო, ადამიანი არის ადამიანი. არავის არ შეუძლია საყვარელი ცოლ-შვილის დაღუპვის ამბავს ითლად გაუძლოს. დღეს მაინც ნურაფერს ვეტყვით, გამოიძინოს, ალბათ რამდენიმე დღე თვალი არ მოუხუჭავს. ხვალ ვუთხრათ, რა გაეწყობა!

ბაგირი მიაწოდეს, ნავი ცხვირით პირსს შეეხო, თარხნიშვილი პირველი გადადის ხმელეთზე, ხელს ქუდთან იდებს და შენაერთის უფროსთან მიდის მოსახსენებლად.

პირსი ხალხითაა გაჭედილი. თუმცა გვიანაა, ყველა ულოცავს ამ დღის სწორუპოვარ გმირს, გამარჯვებით დაბრუნებულ მეომარს, მაგრამ შენაერთის მეთაური დაწვრილებითი მოხსენებისათვის იწვევს და თარხნიშვილი ნახევარსაც ვერ ართმევს ხელს.

საუფროსო პუნქტში რომ მიეშურება „მინსქვეშ“, სმირნოვი დიდ საგონებელშია. თარხნიშვილს ამჯერად რატომღაც არც უკითხავს ლენინგრადის ამბავი, თითქოს გვერდი აუარა ცოლ-შვილის საკითხსაც, რაც ყველაზე მეტად აღელვებს, ბუნებრივია. ნუთუ ასე დაიღალა?

მიწისქვეშეთში, როგორც სარდლობის ადგილსამყოფელს ეძახიან, ფლოტის მეთაურთა გარდა მთელს ოფიცრობას მოუყრია თავი და სანოვაგისა თუ საბრძოლო მარაგის საწყობთა გვერდით უჩვეულო გამოცოცხლებაა, რადგან ფაშისტების წინააღმდეგ კონტრშეტევა მზადდება. წყალქვეშელები ამ ჭიანჭველების ბუდეში შეუმჩნევლად გადიან, სხვა მხარეს მიემართებიან.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, მე ახლავე მოვალ! — ვერხოვსკი გოგის სავარძელს სთავაზობს და გადის, ტელეფონის მილს ართმევს მორიგეს. სახის გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ საქმე, რაზედაც საუბრობენ, სერიოზულია. „მესმის... გავიგე...“ ნეტა, რა უთხრეს ასეთი?

სმირნოვს უკვირს: თარხნიშვილს მშვიდი სახე აქვს და მოლოდინსაც კი არ შეუცვლია ეს სიმშვიდე. მიეჩვია ნალხი ძნელბედობას, მტრისაგან სიმშვიდესა და შეწყალებას აღარავინ ელისო, ფიქრობს.

— დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს, — ამბობს კონტრ-ადმირალი. — ამხანაგო თარხნიშვილო, გთხოვთ უფრო დაწვრილებით მიამბოთ თქვენი საკვირველი ლაშქრობის ამბავი.

— საკვირველი ბევრი არაფერია, ამხანაგო კონტრ-ადმირალო, — გოგი მხედრულად იჭიმება, საჩვენებელ ჯოხს იღებს და რუკაზე უჩვენებს შეხვედრის ადგილებს.

ისევ ტელეფონი. ფაშისტების საჰაერო თავდასხმა მოგერიებულია. შვიდი თვითმფრინავი ჩამოგდებულია. ვინ მოიწვია?

კონტრ-ადმირალი ზეზე დგება, ბოლთასა სცემს, იქნებ ცოტა გავხდეო. მერე ისევ ჯდება და განაგრძობს:

— კარგია, სანაქებოა! ამხანაგო კრუგლოვ, როგორია ეკიპაჟის განწყობილება?

კრუგლოვი პოლიტხელია და ურიგოს რას იტყვის!

— ზღვაზე განწყობილება ჩინებულია, ამხანაგო ადმირალო! ყველა ანთებულ ცეცხლში ხტება, რომ ლენინგრადისათვის შური იძიონ...

— ცეცხლში გადახტომას ერიდეთ, მტერი აიძულეთ გადახტეს, — იღიმება კონტრ-ადმირალი, — ახლა კი ხმელეთის ამბავსაც გეტყვით. ჯერ მხოლოდ თქვენ დაბრუნდით... და თქვენ მხოლოდ დღეს დაბრუნდით. აქ რა ხდება, იცით?

— ვიცი, ამხანაგო ადმირალო, განა აქ იოლია? ჩვენ ვხედავდით ლენინგრადის თავზე ავარდნილ ხანძარს. რამდენ ვინმეს ჰყავს იქ მშობლები, ცოლ-შვილი! ედარდებათ, რა თქმა უნდა.

სმირნოვის ადგილზე ახალი დანიშნული სერაფიმ ისიდორეს-ძე კრუგლოვი, ტანადი, მხიარული, ხუმრობის მოყვარული ლეიტენანტი დღეს ვერ არის გუნებაზე.

— მდგომარეობა მართლაც მძიმეა, — ვერხოვსკი ისევ დგება და ბოლთის ცემას იწყებს. — ზღვაზეც და ხმელეთზეც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებია, ქალაქს ბარბაროსულად ბომბავენ. მაგრამ ლენინგრადს მტერი ვერ აიღებს. ბოლოს ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ. ახლა დიდი სიფხიზლე გვმართებს, პოლიტხელთა როლი გაიზარდა.

ცხადია, ეს მხოლოდ ზოგადი ლაპარაკია, იგივე შეეძლო ყოველ რიგით მეომარს ეთქვა. არც ნავზე მისვლა და წყალქვეშელთა პირადი მონახულებაა უჩვეულო ისტორიული ამბავი. ბრძოლაში თავს ისედაც არავინ იზოგავს. ლენინგრადი იწვის და მაინც იბრძვის. მტრის არტილერია გარშემო შემოსდგომია და ცდილობს რაკეტების საშუალებით შეინარჩუნოს, ღლის სინათლე ღამითაც კი, რომ ერთადერთი ბილიკიც ჩაუკეტოს გარესამყაროსთან დამაკავშირებელი, კუნძულთან რომ აერთებს. გაშმაგებული ბრძოლები ორანიენბაუმთან, სადაც გერმანელები სტრელნის და პეტერჰოფის დაკავების შემდეგ ცდილობენ წაწევას, მაგრამ მტერმა არა თუ ვერ აიღო ფინეთის ყურის სანაპირო. ეს სახელგანთქმული „ორანიენბაუმის პატოჩეკი“, არამედ ეს ადგილი გახდა შემდეგ პლაცდარმი საბჭოთა არმიის კონტრშეტევისათვის.

სმირნოვი და შენაერთის უფროსი ნავში დადიან. წყალქვეშელებს თითქოს მოსწყინდათ გამამხნევებელი ლაპარაკი და ნავის კომკავშირის კომიტეტის ორგანიზატორი მოურიდებლად მიმართავს:

— ამხანაგო უფროსო, მოგვეცით ტორპედოები და გაგვიშვით ისევ ზღვაში.

— დახეთ, მაშინვე გაბრუნება მოუნდა! — იცინის კონტრ-ადმირალი, — მაგრამ, ამხანაგო პოპოვ, დასვენებაც ხომ საჭიროა!

ნავის სტუმრებს შტაბში იბარაბენ. პირსზე ვერხოვსკი თარხნიშვილს ხელს ართმევს და მეგობრულად მიმართავს:

— დაასვენეთ, ამხანაგო ნავის უფროსო, თანამებრძოლები, და დაისვენეთ თვითონაც. ლენინგრადში თავისიანებთან შეძლებისამებრ გავუშვებ ყველას, ახლა კი, თქვენც მოგეხსენებათ...

— მესმის, ამხანაგო კონტრ-ადმირალო, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა.

სმირნოვი უფროსთან ბოდიშს იხდის, დაგეწევითო, თარხნიშვილს განზე იხმობს და ეუბნება:

— დღეს პარტიული კრებაა, გთხოვენ დასწრებას.

— მე... განა ასე აუცილებელია?

— უნდა გითხრათ, რომ თქვენს ნაცნობ გრიშანოვს პარტიაში იღებენ, თქვენი აზრი იციან და არ უნდათ გვერდი აგიარონ... ხომ იცით, სურსათით მომარაგებაში მუშაობს, საქმე ფეხზე დააყენა, ორი თქვენი თანამემამულეც ჩამოიყვანა. თუ კაცი გამოსწორდა? მოგეხსენებათ, პარტიის აღმზრდელობითი როლი დიდია...

— ისევე როგორც თაღლითებისა და კარიერისტებისა, რომლებიც პარტიულ ბილეთს ნიღბად იყენებენ, რომ თავიანთ შავბნელ საქმეებში მეტ წარმატებას მიაღწიონ... ერთი საქმეა ჩემი საბრძოლო წარმატება და მეორე — ჩემი აზრი მოვლენებზე... მაინც ვინ ჩამოუყვანია?

— რა ვიცი... ოვსესაშვილი და ხაჩიკაშვილიო... კარგი ბიჭები ჩანან, მხეცებივით მუშაობენ.

— ამაში არ ცდებით! — [illegible] სიცილით თარხნიშვილმა. — ჰმ! მაშ მთელი ბანდა აქ ჩამოსახლებულა!

— რა ვუყოთ, რომ ბანდა იყო, ხალხი გამოსწორდა, ბოროტ მტერთან მოწინავე მებრძოლთა შორის...

— ამხანაგო სმირნოვ, თქვენ სხვების აღზრდა გევალებათ, თვითონ კი გამოდიხართ გულუბრყვილო როლში, ამ ბავშვურ სააგიტაციო სიტყვებს რომ იმეორებთ. ვინც იდეის ერთგულია, ცოტა უფრო პრაქტიკული ჭკუით უნდა გამოირჩეოდეს, თუმცა ჩემგან რა გესწავლებათ!.. თქვენ ხართ ჩემი ძმა, მეგობარი, მამა, რაც გნებავთ, მაგრამ ნურაფერს მეტყვით გრიშანოვზე! ის იყო გველი, არის და იქნება გველი.

— ვწუხვარ, რომ ამ ერთადერთ საკითხში ჩვენი აზრი ერთი არ არის!

— იმედი მაქვს, იქნება...

— შენ ამბობ, რომ ის ხალხი საერთო საქმის გამარჯვებისათვის იღწვის! მომისმინე, — გოგის ხმაში ირონიის დაუფარავი კილო იცნობა. — როცა ზღვაში გავდიოდი, ის გრიშანოვი ჩემთან მოვიდა და პირდაპირ პირსზე მახარა: შენი ცოლ-შვილი ლენინგრადში დაიღუპენო. იცი, როგორი ბოროტი სიხარულით უელავდა თვალები?

— რას ამბობ, გიორგი, ნუთუ ეს შესაძლებელია? მაშ შენ...

— დიახ, ყველაფერი ვიცი, თავს ნუ იწუხებთ! მე რომ უფრო სუსტი ნერვები მქონოდა, სამი გემის ნაცვლად ერთს ჩავძირავდი და ეს ერთი — ჩემი იქნებოდა...

—ეს კი ჩემთვისაც სასწაულია! ძვირფასო მეგობარო, შენ ანტიკური ყაიდის გმირი ხარ! სპარტა იამაყებდა შენით! — და სმირნოვი ძმასავით ეხვევა მებრძოლ მეგობარს. ამაში თანაგრძნობაც არის,მადლობაც და გაოცებაც. — შენ ფოლადის კაცი ხარ, ჩვენი სამშობლოს სიამაყენი სწორედ ასეთები არიან!

თარხნიშვილი პირსამდე აცილებს სმირნოვს და უკან ბრუნდება. ჯერ ნავა-

მდე არაა ჩვეული, რომ ვიღაცა უძახის:

— გოგი, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო რჩეულო და სახელოვანო მამულიშვილო! — თარხნიშვილი გაოცებული შეჰყურებს უცნობ ოფიცერს და ისეთი სახე აქვს, თითქოს მისი მომაბეზრებელი ეპითეტები ყელში ამოსვლოდეს. ის კი განაგრძობს:

— შენ როგორ მიყურებ? ვერ მიცანი? შენი სკოლის ამხანაგი ვარ, შენი გულითადი მეგობარი, ღარიბოვი...

— ახლა გიცანი! — უხალისოდ უწვდის ხელს „გულითად მეგობარს“, რომელმაც კომკავშირის კრებაზე ოდესღაც თავადიშვილობისათვის ლაფის ძელზე გააკრა. — უფროსი ლეიტენანტი ხარ? სად მსახურობ? წყალქვეშ?

— არა, გოგი, ჯანმრთელობამ არ გამიმართლა,— ისაწყლებს თავს ღარიბოვი, — კლუბის გამგედ დამნიშნეს, მიწისქვეშა ვარ და ...რა გაეწყობა, ზოგს ბედი არა აქვს. თავისთავად ცხადია, რა ძნელია, როცა შენი მეგობრები ზღვაზე სისხლს ღვრიან, შენ კი უზიხარ ამ ბროშურებს და უყურებ ცეკვას... ასტან კესაევი გახსოვს? უთუოდ გახსოვს, ის ხომ შენი მეგობარი იყო! შავ ზღვაზე თავი გამოუჩენია, რვა გემი ჩაუძირავს. ვაჟკაცი გამოდგა, არა? მე მგონია, ნაპირზე დაბრუნება და დასვენება არ აწყენდა, ის კი სულ ზღვისკენ მიიწევს და თავის გამოჩენა უნდა... ალბათ კონტრადმირალობასაც უმიზნებს. აი, შენც დაისვენე, გოგი, რას აკლავ თავს? ხომ იბრძოლე, ისახელე თავი, ხუთი ორდენი მოაქუჩე, ახლა კი თბილი ადგილი მოძებნე სადმე და იყავი... რას აკლავ თავს?

— ადმირალობას ვუმიზნებ! — და გოგის სახეზე ზიზღნარევი ირონიული ღიმილი თამაშობს.

ღარიბოვი ირონიას ვერ ამჩნევდა და მზრუნველი მეგობრის როლის თამაშს განაგრძობს:

— რა ჭირად გინდა? მე პირადად კონტრადმირალობას ერთი კარგი სადილი მირჩევნია. გეყოფა. მაგათი ამბავი ხომ იცი, გიმსახურებენ, ვიდრე სადმე არ აფეთქდები... მოიმიზეზე რამე, საკუთარ თავში ავადმყოფობის პოვნაზე ადვილი არაფერია...

— გეყოფა! თვითონ გეყოფა და მომშორდი თავიდან, თუ ძმა ხარ! წადი შენს მიწურში. არაფერი აფეთქდეს! — და თარხნიშვილი ისე აჩქარებით მიეშურება ნავში, თითქოს გზაში რამე უწმინდურობის გუბეში ჩაედგა ფეხი. ეს კაცი თავიდანვე შესძაგდა, როგორც გრიშანოვი. რამ შეახვედრა?

ნავში სასიამოვნო მოულოდნელობა ელის: პირველი რანგის კაპიტანი ივანე კოლი. ერთხანს უსიტყვოდ შესცქერიან ერთმანეთს, მერე ძმებივით ეხვევიან. ხალხი გაკვირვებულია: მუდამ მკაცრი და ზევრის მომთხოვნი კოლი მკაცრად იცავდა სუბორდინაციის წესებსაც, და არც ისე იოლად არღვევდა დარბაისლურ კილოს.

— მიხარია შენი წარმატებაც და შენი ნახვაც, ძმაო გოგი.

— მეც. ახლა აღარც მშობლები მყავს, აღარც ოჯახი... ყველა დამეღუპა და ერთი თქვენღა მეგულებით, მასწავლებელი და მეგობარი.

— დიახ, ცხოვრებამ მძიმე განსაცდელი დაგვატეხა ყველას, მაგრამ გვიხარია, რომ შენ მაინც გადარჩი ყველა ხიფათს. ყველანი ვამაყობთ, გუშინ პეტრე ბელსკი მელაპარაკებოდა, ჩემზე მეტად ამაყობს.

— ო, ბელსკი სად ავიდა! ფლოტის პოლიტიკური განყოფილების უფროსი! კარგი ადამიანია, რაც მთავარია. ასეთები გვესაჭიროება სწორედ ახლა.

— ჩვენი ლოველასი გახსოვს, პეტრე სუდარიკოვი, შენ რომ იხსენი?

— როგორ არა... ყოველთვის ვერ იხსნი... დაიღუპა გმირულადო, თქვეს.

— ამბობენ, სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე უნდა წარადგინონო. ღირსიც არის.

— გმირობაზე შეიძლება თავი შეიკავონ. ახლა ბევრი საგმირო საქმე ხდება და შეიძლება მათი გარჩევაც გაჭირდეს, მაგრამ მთავარია, რომ ასე ვაჟკაცურად შეეწირა სამშობლოს, მტერს ზიანი მიაყენა და იმედი გაამართლა.

— წარმოიდგინე, შენი „ძმაკაცი“ ბორშჩენკოც არ ყოფილა წყალწაღებული, ხელი გამოიღო, საზღვაო ფეხოსანთა სანაქებო მეთაურია, ტყუილად არ უჭამია ამდენი ბორშჩი! — იცინის კოლი.

— რატომაც არაა ჩემი ძმაკაცი? მე ყოველთვის ვამბობდი, რომ კარგი ოფიცერი დადგებოდა. სმა უყვარდა, დროებითი ამბავი იყო, შემთხვევითი. გამახარა თავისი სამხედრო საქმის ერთგულებითა და საბრძოლო წარმატებებით ამბობენ წვერი მოუშვია, ხელქვეითები ჩერნომორს ეძახიანო, ესეც ხომ პატივია! სადღაც შავ ზღვაზეა თურმე ვასია ჩულქოვიც, ფეხოსნებში.

— დაიღუპა! — წარბი შეიკრა კოლმა. — დაიღუპა საბრალო ვასია, ის „ოპორტუნისტი“, ასე არ ეძახდი? სულ ახლახან წერდა გაზეთი „კრასნი ფლოტი“, ნოვოროსიისკთან დაცემულა, მებრძოლთა მცირე ჯგუფით აკავებდაო მთელს ასეულს.

— მეწყინა! მართალია, თვითონ რატომღაც მუდამ მიბღვერდა, მე კი მაინც მიყვარდა. ვანია მატროსი ისევ ჩვენს შტაბშია?

— არა, გემზე წასვლა ითხოვა, საესკადრო ნაღმოსანზე, უფროსის თანაშემწედ. ამბობენ, ისე იბრძვის, როგორც მის უცნაურ გვარს ეკადრებაო: მატროს!

— ჰო, გვარი მართლაც გამოსაცვლელი აქვს: ჯარისკაცის გვარი ოფიცერს აღარ შეშვენის! მით უმეტეს, რომ კარგი ყმაწვილია.

— ახლა კი დროა წავიდე! — შეკრთა კოლი — თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შეგხვდი. დაისვენე. მერე შტაბში მოდი და უფრო წვრილად ვილაპარაკოთ.

წამიერი შეხვედრა დასრულდა. მეგობრები ისე დაშორდნენ, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ბედის წიგნში კვლავ შეხვედრა აღარ ეწერათ. ადამიანების ბედს ომის პირქუში ღმერთი განაგებდა. მისი კანონი ჯარისკაცთა ნებისყოფაზე ძლიერია.

## უკანასკნელი ლაშქრობა

„მინოგა“ ზედაპირზე ამოცურდა. უკვე გაიარა გოტლანდი, მშვიდობიანად გაცურა ფინეთის სანაპიროსა და ამ კუნძულის ჩრდილოეთს შორის გაშლილი ღია წყლები, გზის ყველაზე უფრო საშიში ნაწილი. სწორედ აქ მოუყარეს თავი ფაშისტებმა ნავთსაწინააღმდეგო კატარღებს, აქ დანაღმეს მთელი ველები, ზღვა ბადური ღობურებით დასერეს და არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა წყალქვეშა ნავებისათვის ეს სრულიად გაუვალი ადგილია.

ბოგირზე პირველად უფროსი ამორბის, მას კვალდაკვალ მოსდევს მესიგნალე და კომისარი სერაფიმე ისიდორეს-ძე კრუგლოვი.

— ეჰ, ნაადრევად ამოვცურეთ, ცხადია,—გაგვევლო კიდევ წყალქვეშ ერთი ორმოცი მილი, — დუდუნებს თავისთვის და არწივის მზერას ჰორიზონტს ავლებს, — მაგრამ რას იზამ, ჩვენი „ნაუტილუსი“ უარზეა, აკუმულატორებს დამუხტვა უნდათ.

იშვიათი წყნარი ღამეა. სამბალიანი ტალღისა და ნისლის სუსტი საფარველის მიუხედავად ნავის აღმოჩენა არ გაუჭირდებათ სანაპირო დაზვერვის მსახურებს, არც მონადირე კატარღებს. მგლებივით რომ დაძრწიან ლუკმის მოლოდინში.

— არაფერია, ჩვენი „მინოგა“ იოლად არ აეგება მტრის ანკესზე, — ანუგეშებს კომისარს გოგი, — რვა გემი ჩაძირა და ჯერაც მხნედ სერავს ბალტიკის ტალღებს. მარაგი დამთავრდა, ხომ უნდა ამოგვეცურა. ადამიანსაც სჭირდება ჰაერი.

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ნავები მეტისმეტად შეზღუდული იყვნენ წყალქვეშ დაყოვნების დროით. აკუმულატორების დამუხტვა აუცილებელი იყო, რომ ცურვა განევრძო. 40-

60 საათის ცურვის შემდეგ უნდოდათ თუ არ უნდოდათ, „სუფთა ჰაერი უნდა გადაეყლაპათ". ჩვენი წყალქვეშელები ზოგჯერ ისე ტექნიკას მიმართავდნენ და „გამოსწურავდნენ ლიმონს", ვიდრე უკანასკნელი წვეთი არ გამოილეოდა. „მინოგამ" ყველა წესსა და ნორმას გადაამეტა. ასი საათი დაჰყო წყალქვეშ, ვიდრე საშინელ წყალქვეშა და წყალზედა საფრთხეს თავს არ დააღწევდა. ფინეთის ყურეში ფაშისტებს 15 000 ცალი ნაღმი ჰქონდათ ჩადებული. ნავს შეეძლო ან ნაღმზე აფეთქებულიყო, ან წყალქვეშა ბადურებს მოსდებოდა, ან მონადირე კატარღების მსხვერპლი გამხდარიყო. ყველაფერს გადარჩა. „ზღვის თავადი თარხნიშვილი" სწორედ არისტოკრატიული სინატიფით წინამძღოლობდა „მინოგას" და ყველა ხიფათს აარიდა.

„ჯადოქარი" უფროსი („არავითარი ჯადოქრობა! მწამდა და ვიბრძოდი. ვაი მას, ვისაც არა სწამს ან აღარ სწამსო! ამბობდა) ნავის ბოგირზე დგას და ჭოგრიტით გასცქერის ზღვას. იქ, სადღაც თვალსაწიერზე, წამიერი შუქი აენთო და კვლავ ჩაქრა. კუნძულის მხარეს პროჟექტორის გაელვება რა გასაკვირია, მაგრამ ნავის უფროსი ყველაფერს ეჭვის თვალით უნდა უყურებდეს, თუ სურს, რომ საერთოდ რამეს უყუროს. შუქი ველარ შენიშნა და ისლა დარჩა, განკარგულება გაეცა: ჩქარა დამუხტეთ ბატარეები, რომ ვიწრო სრუტეს თავი გავარიდოთ და ღია ზღვაში გავიდეთო.

ნავის დიზელის ძრავები სრული სვლით ამუშავდნენ. ეს გულისხმობს არა მარტო სვლას, არამედ ბატარეების დამუხტვასაც. „მინოგა" მთლიანად წყალზემოთ კი არ ამოცურდა, ტალღებში ჩანს მხოლოდ ჯიხური და საბრძოლო კოშკი, და დანარჩენი ნაწილით კი ზღვას ისე „ხნავს", რომ კვალში ბურთი გაგორდება. მეთაური თავის კანონიერ ადგილზე დგას, ჯიხურის ზედა მარცხენა ნაწილში, ბოგირის წინაფრის თავზე, ხელში ღამის დურბინდი უჭირავს, და როგორღაც მთის არწივსა ჰგავს, ერთი წუთით რომ დამჯდარა ქარაფის თავზე, რათა გარემოს თვალი მოატყუოს, მერე კი ისევ აფრინდეს.

ბიბლიოთეკა

საერთოდ ლაღი და ბუნებით მხიარული გოგი, განსაცდელშიაც რომ ხუმრობდა ხოლმე და ირონიით ებრძოდა სიძნელეებს, დღეს რაღაც უჩვეულოდ დაღვრემილია და მკაცრი. რატომღაც არსენას ლექსის ეს ტრაგიკული ადგილი აეკვიატა და გონებიდან არ გამოდის:

— წუხელის სიზმარი ვნახე,
სისხლში ვილებავდი წვერსა:
წრეულს მე ვერ გადავრჩები,
რაც არ უნდა გადაწყდესა,
ვერ დავესწრები აღდგომას,
ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა...

ხალხი ბრძენია. ვაჟკაცის სიკვდილს სიზმრის ბურუსში ახვევს და უფრო ამძაფრებს. არსენა გოგის საყვარელი გმირი იყო, მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდა მისი ბავშვობიდანვე: მტერს რომ ინდობდა, და მერე მტერმა არ დაინდო!

ნავი სახიფათო გზით მიეშურება. მეტად მძიმე პირობებში ვითარდება ეს საიერიშო ლაშქრობა. ზღვაზე, მეტადრე ღამით, წყალქვეშა ნავში, სამართლიანად ამბობენ: ვინც პირველი დაინახავს, ის გაიმარჯვებსო.

გოტლანდის მხრიდან ისევ აიჭრა პროჟექტორის შუქი, წყალქვეშა ნავისაკენ წამოვიდა, მაგრამ ვიდრე მიაღწევდა, ჩაქრა. თითქოს უფრო ჩამობნელდა.

— მგონი, ვიღაცას ნიშანს აძლევენ, — ვარაუდობს თარხნიშვილი. — კურსი უნდა ვიცვალოთ. მოსალოდნელია ამ გზით ბადრაგის გამოჩენა.

— ამ მიმართულებით ბადრაგი საით უნდა წაიყვანონ?

— როგორ საით? კოტკაზე, ფინეთის სანაპიროზე, იქიდან რკინიგზით ლენინგრადის ფრონტზე, — უხსნის გოგი, — აქ ყოველი ფაშისტის ჩაძირვა განსაკუთრებული დახმარებაა მათთვის, ვინც ლენინგრადს იცავს.

„მინოგა“ კურსს იცვლის და ბადრაგის სავარაუდო გზაზე დრო დაძაბულ ლოდინში გადის, მტერი არ ჩანს. ასე გადის მთელი საათი. თარხნიშვილი უკვე ძველ კურსზე გაბრუნებას აპირებს, როცა პროჟექტორის შუქი ისევ გამოჩნდა. ამ შუქზე უფროსი, მენიშნე და კომისარი ერთბაშად ამჩნევენ მტრის ბადრაგს, ორი დიდი ტრანსპორტია, ორი საესკადრო ნაღმოსანი და ათზე მეტი მონადირე კატარღა, წყალქვეშა ნავების მდევართა ჯგუფი ზვიგენების ჯოგივით მსუბუქად დანავარდობს ბალტიკის ტალღებში.

— საბრძოლო განგაში! სატორპედო იერიში! — წყალქვეშა ნავები სწრაფნი არიან, უფროსს ბევრი განსჯის დრო აღარა აქვს, როცა მტრის ბადრაგს უყურებს.

„მინოგას“ მთელს კორპუსს ერთბაშად ედება ფიცხელი ბრძოლის ზარების ხმა. ნავი თითქოს შეხტა და მრავალრიცხოვანი მტრის შესახვედრად გასრიალდა.

— ცხელი დღე კი დაგვადგება, მეტად ბევრი მონადირე მოდის ჩვენს „ნაუტილუსზე“, — ჩურჩულით ეუბნება კომისარი თარხნიშვილს, — მერე აქ სიღრმეც უმნიშვნელოა, თევზი ძლივს დაიმალება...

— არწივები არ იმალებიან! ჩვენ ხომ მთის არწივები ვართ! — ერთხელ კიდევ ხუმრობის კილო იელვებს თარხნიშვილის ხმაში.

— ყოველ შემთხვევაში, ერთი არწივი ნამდვილად გვყავს...

— პირველად ხომ არა ვართ ჭარბი მტრის პირისპირ! — იმავე კილოზე განაგრძობს გოგი და კომისრის კომპლიმენტს უპასუხოდ ტოვებს. — მთავარია თავდასხმა, მერე კი როგორმე მივიმალებით. შეიძლება გაგვიჭირდეს კიდეც, მაგრამ არ დაგავიწყდეს. ყოველ ასეთ ტრანსპორტზე ორი ათასიდან სამი ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერია. ასეთი ნადავლი ღირს საფრთხედ.

ყოველი მხრიდან მოდის ნავის მზად ყოფნის ამბავი. „მინოგა“ სრული სვლით მიდის, მაგრამ მტერი ჯერ არ ჩანს. „მინოგა“! ეს სიტყვა ხომ „სალამურას“ ნიშნავს და მართლაც ზღვის სალამურასავით მსუბუქად აპობს ნავი მოლივლივე ზვირთებს, თუმცა სიგრძით ერთმეტრიან ზღვის სალამურას ისევე აღემატება, როგორც ლიფსიტას—ზვიგენი.

მტრის პროჟექტორი აღარ ეხმარებათ, წყვდიადში ბადრაგის შემჩნევა არ ხერხდება და წყალქვეშელების შეშფოთება უსაფუძვლოდ არ მატულობს.

აღმოსავლეთი ნისლითაა დაფარული, იქიდან უფრო იოლად შენიშნავენ, ვიდრე პირიქით. გოგის მოსვენება დაუკარგავს: ვაი თუ ტორპედოების გაშვებამდე შეგვნიშნონო! ანაზდად ისევ აკიაფდა პროჟექტორის სხივთა სვეტი. ნავის უფროსი უკვე ყველაფერს გარკვევით ხედავს, წამიერი მზერით იმახსოვრებს გემთა განლაგებას. თვითონვე უკვირს თავისი თავდაპირველი ვარაუდის სისწორე: ზუსტად საჭირო მიმართულებით წამოსულა.

— სერაფიმ ისიდორეს ძევ! — ჩვეულებრივი სიმშვიდით მიმართავს კომისარს. — სასტიკი ბრძოლა მოგველის. ნაკვეთურებში გაიარეთ, ყველას აუხსენით და იზრუნეთ იმისათვის, რომ ყოველი მებრძოლი გულგრილად შეხვდეს ცეცხლის გრიგალს, რომელშიაც მოვხვდებით.

კომისარი ქვასავით ეშვება ძირს. მეზღვაურებს აგიტაცია არცა სჭირდებათ. თვითონაც იციან, საკუთარი თვალების მეტი რომ ვერაფერი იხსნის ნავსაც და ნაოსანსაც. ახლა უკვე უბრალო თვალითაც ხედავენ მტრის „მარტორქების ჯოგს“. პროჟექტორი აღარ სჭირდებათ, გოტლანდზე შეუძლიათ დამშვიდებით იძინონ, „ღმერთების ქვეყანაში“.

„მინოგა“ მოხერხებულად სხლტება დაცვის ჯაჭვის შიგნით, ბადრაგის შუაგულშია. კიდევ წუთი, სეკუნდი, და ყველაფერი თავის რიგზე იქნება! მაგრამ... მთავარმა ნაღმოსანმა საბჭოთა ნავი შენიშნა და დაუყოვნებლივ ხსნის ცეცხლს. ცხადია, იწყება განგაში. ყოველი გემიდან ურაგანული ცეცხლი იხსნება, ყველა ერთ ციცქნა ნავს უმი-

ზნებს, მტრის განლაგების შუაგულში რომ შეჭრილა ჯადოქარივით.

ჭურვების აფეთქება ერთ წუთში ჯოჯოხეთურ მორევად აქცევს ზღვის იმ ნაწილს, სადაც ჩვენი „სალამურა“ და მისი დევგმირები არიან. კვამლი, წყალთა სვეტები, პროჟექტორების შუქი უშლის მტერს, რომ მიზანში სწორად მოახვედროს მომაკვდინებელი ლითონი. ტრანსპორტები პირველნი გრძნობენ საფრთხეს და უზარმაზარი სპილოებივით, რომლებიც ხანძრის რკალში მოხვედრილან, სწრაფად ცდილობენ შემობრუნებას, რათა ტორპედოებს გაერიდონ. მაგრამ გვიანღაა. არც თარხნიშვილს სძინავს.

— მარცხენა აპარატებით — ცეცხლი! ა-პა-რა-ტებო, ცეცხლი! — გაისმის უფროსის ბრძანება. — მარჯვენავ — ცეცხლი! აპარატებო, ცეცხლი!

ნავიდან ტყორცნილი აპარატები საშინელი შიშინითა და მხეცური გაბორონტებით მიჰქრიან მიზნისაკენ: ორი მეთაურ ტრანსპორტს ხვდება, ორიც მეორეს.

მტრის გაშმაგებული ცეცხლის ნიაღვარში გაისმის სწრაფი ჩაყვინთვის ბრძანება. ოთხივე ნატყორცნი ჭურვი იმავე წამს იძლევა იმის ნიშანს, რომ სამშობლოს წინაშე ვალი მოხდილია. გიგანტური ძალის აფეთქება სიხარულსა და იმედს უნერგავს მეზღვაურებს, რომელთა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. მტრის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერია განადგურებული. თუ ვინმე გადარჩა კიდეც, ნოემბრის ბალტიკის ყინულოვან წყალში უმალ გაითოშება, ვიდრე ბანზე აყვანას მოახერხებენ. აშკარაა, ათასობით კბილებამდე აღჭურვილი ფაშისტი დასამარდა უმალ, ვიდრე ბრძოლის ველზე მივიდოდა.

არც „მინოგას“ დაადგა კარგი დღე. ბოგირზე დაილუპა მტრის ჭურვისაგან მენიშნე ვალოდია სიდელნიკოვი, სასიკვდილოდ დაკრუნჩხული გადავარდა ტალღებში. რამდენიმე კაცი დაიჭრა. კიჩოს მხარეს კორპუსი გაირღვა. დაზიანდა სხვაგანაც, რამდენსამე ადგილას. მთელი ზედა ბანი ჭურვებისაგან დასერილა. დაზიანებული ნავი მტერს უნდა გაექცეს უაღრესად მძიმე პირობებში. ზღვა დანაღმულია და გადაღობილი. წყალზედა გემს შეუძლია თავისუფლად იცუროს, ნაღმი სიღრმეზეა, წყალქვეშა ნავი კი საკმარისია ერთ-ერთ ვერაგულად მიმალულ ნაღმს გადააწყდეს, რომ იქვე აფეთქდეს.

გერმანელთა გემების შეუნელებელ დევნას პირველად ნავი მოხერხებულად აღწევს თავს, სიღრმის ბომბები ჯერებად სკდებიან ახლომახლო და ვერაფერს ავნებენ ზღვის ჯადოქარს, მაგრამ აკუმულატორების ძალა იფიტება და მანევრირება სულ უფრო ჭირს.

თარხნიშვილი თავის ადგილზე დგას, ცენტრალურ პოსტზე, იღებს მოხსენებებს, იძლევა ბრძანებებს, დასცქერის რუკას და სახელოთი იწმენდს შუბლზე მომსკდარ ოფლს.

— მარჯვნივ ასორმოცზე საესკადრო ნაღმოსანია, პელენგი არ იცვლება!

აკუსტიკოსის შიშნეული ხმა უფროსის ყურადღებას იქცევს. ჩვენ აქ ილოლად ვლაპარაკობთ და ზღვაზე კი სურათი რთულდება. საქმე სიცოცხლეს ეხება. პელენგი არ იცვლებაო, ეს ნიშნავს, რომ ნაღმოსანი პირდაპირ ნავზე მოდის. ფიქრის დროს ვინ იძლევა! სიღრმის ბომბების მთელი სერია ძირფესვიანად აზანზარებს ნავს. ელექტრომოტორები თითქოს უჩინარმა ხელმა ერთბაშად გამორთო. „მინოგა“ ჩაჩუმდა. მართვის სადგური მწყობრიდან გამოდის. დამძიმებული ნავი ქვასავით მიეშურება ფსკერისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კიჩოს მხარის დიდი დეფერენტი წვება ფსკერზე, მარჯვენა ქიმით ეფლობა შლამში. დახრილობა ორმოც გრადუსს აღწევს. ნავში ბნელა. საავარიო განათებაც კი მწყობრიდან გამოდის, რაც თითქმის დაღუპვას მოასწავებს.

— გამოასწორეთ დაზიანება ელექტრომოტორების პულტზე! — დამშვიდებით ბრძანებს უფროსი, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყოს. ეს სიმშვიდე ერთი ბრძოლის მოგებად

ღირს ახლა, იმედდაკარგული მეზღვაურებისათვის. — ელექტროენერგია ჯერ კიდევ გვაქვს, გვეყოფა იმისათვის, რომ ღევნას თავი დავაღწიოთ.

ოსტატები დაუყოვნებლივ იწყებენ მუშაობას და არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში, სრულ წყვდიადში, საოცრად სწრაფად კვლავ მწყობრში აყენებენ ელექტრომოტორების პულტს. მალე „მინოგა" ისევ წელში იმართება, ფსკერს ტოვებს და სწრაფად მიიწევს წინ, რომ გამხეცებულ მტერს გაერიდოს.

— დიზელის განყოფილებაში ნახვრეტია! ზღვის წყალი შემოდის! — თითქოს კასრის ფსკერზე ზისო, ისე აცხადებს კიჩოს მხარის ნაკვეთურიდან რომელიღაც წყალქვეშელი. ეს მორიგი იერიშის შედეგია.

— ნაღმი ღრჭიალებს! — თითქმის ერთდროულად გაისმის ცხვირის მხრიდან რამდენიმე ისტერიული ხმა.

ნაღმი — აშკარა სიკვდილია, ნაღმოსანზე უარესი. წყალქვეშა ქაჯის კუდი ნავის კორპუსს ედება, სხლტება და ღრჭიალებს. კიჩოს მხარემდე გადის ეს გულის გამაწვრილებელი ღრჭიალი, და როცა თავი უკვე გადარჩენილი ჰგონიათ, გაისმის აფეთქების ხმა. ყველაფერი ნამსხვრევ-ნამუსრევთა გროვას დაემსგავსა. წყვდიად სიბნელეში მხოლოდ მეზღვაურთა რაღაც წამოძახილები, გმინვა, მექანიზმების ჰექა და ნაკვეთურში შემოჭრილი წყლის შადრევნის ხმა გაისმის, გოგის ჯიბის ფარანი დასჭირდა. ციფერბლატზე 22 მეტრი სიღრმე აღინიშნება. „მინოგას" დასახიჩრებული კორპუსი-უმწეოდ ასვენია ფინეთის ყურის ფსკერზე.

ცენტრალურ ნაკვეთურში კომისარი შემოიჭრა, ერთიანად შემოფლეთილი და ტალახიანი სამოსიდან სოლიარი მოწვეთავს.

— მძიმე მდგომარეობაა, უფროსო....

—ამას მეც ვხედავ... მუნდირი დაგისვრია...

— ვერაფრით ვერ იბრძვიან ნავის სიცოცხლის უნარისათვის...

— საავარიო ნაკვეთურებიდან ხალხი გაიყვანეთ! ნაკვეთურებში ევაკუაცია სწრაფად მოახდინეთ! საარტილერიო განგაში!

— მართალია, ამხანაგო უფროსო! — მოუწონა კომისარმა. — სხვა გზა აღარ არის... შევეტაკოთ... თუ აცურვის სისტემა არ დაზიანებულა და ზედაპირზე ავიწიოთ.

საარტილერიო სიგნალი მეზღვაურებს რაღაც იმედს კიდევ აძლევს, მეტადრე უფროსის ბრძანება რომ ესმით:

— სწრაფი აცურვა! ბალასტის გაქრევა! შეასრულეთ!

„მინოგა" ზედაპირზე დიდი დიფერენტით ხტება. მთელი ცხვირის ნაწილი წყლის ზედაპირზე ამოშვერილა, ხოლო კიჩო მთლიანად წყალშია, რაც ნიშნავს, რომ ნავი სასიკვდილოდაა დაჭრილი.

ფაშისტები ფიქრობენ, რომ მძიმედ დაზიანებულ ნავს ტყვედ დანებება განუზრახავს და არც იერიშზე გადმოდიან, არც საარტილერიო ცეცხლსა ხსნიან. უნდობლად, მაგრამ დაჟინებით უახლოვდებიან ნავს და ძალიან მოწადინებული არიან, რომ ტყვედ ჩაიგდონ. წარმოიდგინეთ მათი სინანული, როცა გადახრილი ნავი სწრაფად ხსნის ცეცხლს და პირველსავე სროლაზე წვავენ მეთაურ მონადირე-კატარღას. „მინოგას" თავისი ორადორი ქვემეხის ცეცხლი ახლა მეორე კატარღაზე გადააქვს და მასაც ცეცხლს უკიდებს, მაგრამ იმავე დროს ათობით გემის ერთიანი ცეცხლი თავს ატყდება განწირულ ნავს. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები ცეცხლის სეტყვას აფრქვევენ ჯიხურს, ბოგირს, გმირულად მებრძოლი ერთადერთი საბჭოთა გემის მთელს კორპუსს. დაჭრილი „სალამურა" კი ისევ ისე უკრავს თავის საბედისწერო მუსიკას. კიდევ ერთ ფაშისტ მონადირეს წაეკიდა ცეცხლი და კელაპტარივით აენთო ბნელ ღამეში. ეტყობოდა, ჭურვი სწორედ ბომბების განყოფილებაში მოხვდა და ისე სწრაფად აფეთქდა, რომ ბობოქარმა ტალღებმა დაწვაც არ აცალეს, ისე

შთანთქეს. ორმა სხვა კატარღამ ფერდებში მიიღო ჭრილობები. ისეთი სურათია, თითქოს „მინოგა“ ვეშაპად იქცა და თვითონვე ნადირობს მონადირეებზე. მაგრამ მტერიც სულ უფრო მძიმე დარტყმებს აყენებს ნავს. ბოგირზე სულ რამდენიმე კაცი რჩება ცოცხალი და ისინიც მძიმედ დაჭრილი არიან. თანდათან იკლო ცხვირის ქვემეხის ხმამ და ბოლოს სულაც გაჩუმდა, რადგან ყველა მსროლელი დაიღუპა.

— გემი ჩასაძირავად მოამზადეთ! კანჯოები ჩაუშვით მარჯვენა ქიმიდან! — ესაა სასიკვდილოდ დაჭრილი გოგი თარხნიშვილის უკანასკნელი ბრძანება — ხალხი ნაპირზე გაიყვანეთ! ეცადეთ მიაღწიოთ იქ, სადაც ესტონელი პარტიზანები არიან! მედესანტეები ზემდეგ პოპოვს ჩააბარეთ... პოპოვს... დოკუმენტები ჩააბარეთ...პოპოვს...

ორი პატარა კანჯო შეუმჩნევლად ეშვება წყალში, ნავს ეფარება მტრის განლაგების მეორე მხარეს და ბნელში მიმალვას ახერხებს. აქაფებულ ზღვაში ნაფოტივით მონავარდე კანჯოები უვნებლად გადიან სუფთა წყალში.

კიჩოს ქვემეხი მცირე ხნით კიდევ განაგრძობს კანტიკუნტად სროლას და ბოლოს ისიც დუმდება.

კანჯოებიდან უყურებენ, როგორ არტყამს მტერი ცეცხლოვან ალყას განწირულ ნავს, რომელიც რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ ზედაპირზეა. ზედა ბანსა და ბოგირზე აღარავინ არ არის. გემები უფრო და უფრო უახლოვდებიან დასახიჩრებულსა და უკაცრიელ „მინოგას“.

— ნუთუ ტყვედ ჩაიგდებენ ქვეწარმავლები? — და ჯმუხი მეზღვაური სლასტნიკოვი თავს ვეღარ იკავებს. ლამის კანჯოდან გადავარდეს.

— დაჯექი! — უხეშად ჰკრავს ხელს პოპოვი. წერვებს მოუარე! კინაღამ კანჯო გადააბრუნე, გიჟო!

— როგორ მოვუარო, როცა...

— ნავში კომისარი და მეთაური დარჩნენ, უშენოდ მოუვლიან! — და პოპოვი ნიჩბებს აწვება, — ჩვენ დოკუმენტების გადარჩენა დაგვევალა.

— უფროსი ალბათ უკვე... კომისარიც ალბათ უკვე მოკლეს წყეულებმა.

—რაღაც არ მჯერა, რომ ჩვენი მამა სიკვდილს ქედს ასე მოუხრის, — მძიმედ, გაბზარული ხმით დუდუნებს პოპოვი, თუმცა თვითონვე აღარ სჯერა საკუთარი სიტყვა. თარხნიშვილს სიყვარულით ეძახდნენ მამას და ერთგულ შვილებს ვერასოდეს წარმოუდგენიათ საყვარელი წინამძღოლისა და მოამაგის დაღუპვა.

კომკავშირის ორგანიზაციის უცვლელ მდივანს, ტანდაბალსა და ჯანმაგარ ვალოდია პოპოვს გოგი თარხნიშვილი მუდამ ენდობოდა და განსაკუთრებით აფასებდა. ბევრ რამეში ჰგავდნენ ერთიმეორეს. რაც მთავარია, საქმე უყვარდა, წუთსაც ვერ ნახავდით უსაქმოს, ხან რას უკირკიტებდა და ხან რას. დავალებას რომ აიღებდა, თავს გამოიდებდა და შეასრულებდა. ჯერ კიდევ ომამდე მეგობრობდა ეს ორი შესანიშნავი წყალქვეშელი. პოპოვი ტულის კომკავშირმა გაგზავნა ფრუნზეს სახელობის სასწავლებელში, სადაც იმავე კომკავშირის აღზრდილი თარხნიშვილი თბილისიდან გაიგზავნა. ნავზე შეიკრა მათი საბრძოლო მეგობრობა.

მიცურავდა პოპოვი და გული უკან რჩებოდა, მაგრამ უფროსი მეგობრის ბრძანება მისთვის კანონი იყო.

კატარღები ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით უახლოვდებიან „მინოგას“. საბჭოთა ნავის კიჩო სულ უფრო ღრმად იძირებოდა აქაფებულ ტალღებში. მაგრამ გერმანელებს ჩასაძირავად არ ემეტებათ, ცდილობენ ხელთ იგდონ ადამიანები, ნადავლი, იარაღი, დოკუმენტები, და სულ უფრო ვიწროვდება მათი ალყა.

კანჯოები უკვე შორს არიან. წყალქვეშელები უკვე ძლივს არჩევენ მტრის ხომალდების სილუეტებს, და უეცრად...: მთელი ფინეთის ყურეს არყევს საშინელი აფეთქების ხმა. ზღვა უზარმაზარმა ჩირაღდანმა გაანათა, ასობით მტრის სიმაღლეზე აჭრილა ცეცხლი და მდუღა-

რე წყლის ორთქლის სვეტი. ერთიანი ქაოსია იქ, სადაც წუთის წინ ჯერ კიდევ გარკვევით ჩანდა „მინოგა“ და მის გარშემო თავმოყრილი მტრის ოთხი მონადირე და ერთი საესკადრო ნაღმოსანი. გავარვარებული ლითონის ნამუსრევი რაღაც ჯოჯოხეთური ცეცხლის წვიმის სახით ცვივა ძირს და დაცემის ადგილზე წყლის ახალ-ახალ სვეტებს აყენებს. წყალქვეშელები მოულოდნელობისაგან ნიჩბების მოსმას წყვეტენ, მაგრამ ყველა იოლად ხვდება, რაც მოხდა.

— ეს... მამიკო გაუმასპინძლდა უკანასკნელად ქვეწარმავლებს! — პოპოვი ზეზე დგება, მერწევ ნავში თავს ძლივს იმაგრებს, მაგრამ ქუდს იხდის და მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად თავს დაბლა ხრის, თან აგონდება თარხნიშვილის სიტყვები: „გადაეცი სარდლობას, რომ იაფად არ დავთმობთ სიცოცხლეს“.

ცხადია, გოგიმ არ ისურვა ტყვედ დანებება, ააფეთქა საკუთარი ნავი, და „მინოგა“ ორ ფაშისტურ კატარღასთან ერთად ჭაღარა ბალტიკის წიაღში ჩაიმარხა.

— ამხანაგებო! — ხმას იღებს დაბოლოს პოპოვი, — ჩვენმა „მინოგამ“ ბოლომდე მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე! მტრის ხუთი საბრძოლო გემი და ორი ტრანსპორტი ჩაძირა. ეს საარაკო, დევგმირული წარმატებაა. ჩვენ, შესანიშნავმა შვიდეულმა, ვინც ცოცხალი დავრჩით, საკადრისად უნდა გავამართლოთ იმათი ნდობა, ვისთვისაც ახლა ცრემლი გვდის, — სულშეგუბებულმა პოპოვმა შეისვენა, რათა ყელში გაჩრილი „ბურთი“ გადაეყლაპა. — ნაპირზე უნდა გადავიდეთ, ესტონელი პარტიზანები ვიპოვოთ და შევუერთდეთ, მათი შემწეობით ჩავიდეთ სამშობლოში და დანიშნულების ადგილზე მივიტანოთ დოკუმენტები, რომლებიც კაპიტან თარხნიშვილის საბრძოლო გმირობას უკვდავჰყოფს და შთამომავლობას შემოუნახავს რუსი მეზღვაურების საბრძოლო გმირობის კიდევ ერთ ეპიზოდს... მყვირალა ფრაზების გულისათვის კი არ გეუბნებით ამას, არამედ იმ მიზნით, რომ ღრმად შეიგნოთ იმ ამოცანის სერიოზულობა, რაც ჩვენი უკანასკნელი ლაშქრობის დასასრულს გარემოებამ დაგვაკისრა. დააწექით ნიჩბებს!

შვიდი მამაცი მეზღვაური უხმაუროდ აწვება ნიჩბებს, ორი პატარა ჭანჭო აქაფებულ ტალღებს შორის იმალება და კურსს ფინეთის უბის კლდოვანი სანაპიროებისაკენ იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

## ლოცულობს მიწა

მთვარე გედივით ცურავს ღრუბლებ'ში,
ადამიანი მთვარეზე დადის...
მიწას გაუჩნდა სულ სხვა ნუგეში,
სულ სხვა ტკივილი, ცრემლი და დარდი.

ცის გზას ახალი ტკივილი ჰქვია
და ფიქრიც სულ სხვა იალქნებს კეცავს.
ყური მიუგდეთ ბალახის შრიალს,
ლოცულობს მიწა და უსმენს ზეცა.

## როდესაც ბავშვი წამოიკვნესებს

მძინებია — როცა ირგვლივ წიოდა ტყვია,
მძინებია — სანგრებს ნამქერი როცა ავსებდა,
როცა ღრუბელი ელვისფრთიანი
არბევდა ზეცას ვარსკვლავებიანს.
მძინებია — სველ მიწასა და ეკლიან ბალახზე,
კლდეზე მძინებია, ხეზეც მძინებია.
მრავალჯერ მიწა მეგო ლეიბად,
ცა ღრუბლიანი მეხურა საბნად.
ლაშქრობის ღამეს თოვლიან გზაზე
ზოგჯერ მძინარეს მივლია კიდეც.
ძილი ეკიდა წამწამს ტყვიებად,
მივდიოდი და თვალს ვერ ვახელდი.
ახლა კი...
როცა ღამეს სძინავს მშვიდად და წყნარად,
თუ ჩემმა პირმშომ ერთხელ მაინც წამოიკვნესა,
სიზმარი ნახა უცნაური
თუ სტკივა რამე,
ეს სულ ერთია,
ამის ძიების იმ წუთებში ვისა აქვს თავი,
რაკი მძინარეს ჩუმი კვნესა ჩამესმა ჩვილის,
ორი-სამი დღის უძილარიც რომ ვიყო, მაინც
დაფეთებული ვიღვიძებ წამსვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კი, მერე,
მე მთელ ღამეს მიტყდება ძილი,
ყურს ვუგდებ, ჩვილი კიდევ ხომ არ წამოიკვნესებს
და თუ პატარა ღამით აღარ წამოიტირებს,
მე მითენდება ბედნიერი, ლამაზი დილა.

## ეპიტაფია

ვიდრე მიწაზე დავდიოდი, მეგონა ასე:
არასოდეს მოვკვდები-მეთქი.
არ ვამხელდი და...
ჩემი თავი მეგონა ღმერთი,
პატარა ღმერთი...
ზღვა ფიქრი მქონდა,
ვაშენებდი,
ვხატავდი,
ვწერდი.

მერმე გამიწყდა წუთისოფლის ბილიკი ვიწრო
და შუაგზაზე მივატოვე ბედის ანაბრად:
ლექსი ბოლომდე დაუწერელი,
დიდი სურათი დაუხატავი,
სახლი და კიბე დაუხურავი,
ზეცისქვეშ დამრჩა ურიცხვი ფიქრი.

მე ვიცი, ახლა კვლავ მიმოდის მიწაზე ხალხი
და თითქმის ყველას ჰგონია ასე:
სხვა მოკვდება და ის კი დარჩება.
ფიქრობს, აშენებს, წერს, ძერწავს, ხატავს,
არ ამხელს, მაგრამ თავისი თავი
ჰგონია ღმერთი,
პატარა ღმერთი.

მე ცარგვალისქვეშ ერთი კაციც არ მეგულება,
არ გაუწყდება ვისაც ბილიკი,
ვინც ყველა სტრიქონს დაუსვამს წერტილს,
ვინც ყველა ტილოს მოხატავს ფუნჯით,
ვინც გამოძერწავს ბოლომდე თიხას,
ვინც ააშენებს სახლ-კარს მთლიანად
და არ დარჩება ცისქვეშ ფიქრები...

და მრავალს მაინც ასე ჰგონია·
სხვა მოკვდება და ის კი დარჩება·
ის რომ გაიგოს სულდგმულმა კაცმა:
ხვალ მოვკვდებიო აუცილებლად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე წუთში გასძვრება სული.
სახრჩობელაზე რომ აჰყავთ კაცი,
ისიც არ კარგავს სიცოცხლის იმედს,
ბუნების რაღაც სასწაულს ელის.

სულდგმულს გულში რომ შუქად უნთია:
სხვა მოკვდება და ის კი დარჩება,
სულაც არ არის ეს ფუჭი ფიქრი,
სწორედ ეს არის, კაცს რომ აცოცხლებს,
ხოლო ყოველი ცოცხალი კაცი
წერს, ძერწავს, ხატავს,
ფიქრობს, აშენებს,
ხნავს, თესავს, პურს მკის
და წურავს ყურძენს...
უკვდავების გზას დოვლათითავსებს.

ამ ფიქრით ბრუნავს
წუთისოფლის დიდი ბორბალი,
ცაზე მზე დადის
და მიწაზე — დიდი სიცოცხლე,
დიდი სიცოცხლე იმედიანი.
მწამს, კაცთა მოდგმა ამ იმედით იცოცხლებს მარად.

## შემოდგომა ქეიფობს

ცას და მიწას ვინ მისცა
ფერი ასე ბევრი?
ტკბილი ცეცხლით ამღერდა
ქვა ბუხრის და კერის.
აგალობდა შარაგზა,
აგალობდა ქვევრი...
შემოდგომა ქეიფობს,
შემოდგომა მღერის.
ძირს დააგდო ბოხოხი,
გზას ავარდა მტვერი:
— აი, ასე დაემხოს,
მიწავ, შენი მტერი!

ყველას მარად უყვარდე,
შეგელიოს ვერვინ!
გაუტოლდეს მეცხრე ცას,
შენი სახლის ჭერი,
ვინც სიკეთის გზაზე დგას,
გყავდეს ბედნიერი,
როცა მზე მოგწყინდება,
დადგეს წვიმის ჯერი,
მიწის ლოცვით აივსოს
ზეცა მტრედისფერი...

შემოდგომა ქეიფობს,
შემოდგომა მღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი

## წიგნი პირველი

### X

მხედრებმა წყალწითელას ხეობით არჩიეს წასვლა. კვახჭირისა და გოდოგნის მხარეს რომ ევლოთ, გზა იქნებ უფრო მოკლე და ადვილი სავალი ყოფილიყო, მაგრამ ვაითუ აქ შეთქმულთა ან გოლოფაშას რაზმების საფარს წასწყდომოდნენ. ისინი სწორედ ამ გზით გამოემართებოდნენ ცუცხვათისაკენ, სადაც ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილის სასახლეში მეფე სოლომონი და მისი მცირე ამალა ეგულებოდათ. ლევან აბაშიძეს, ერისთავსა და მათ გავლენაში იძულებით მოქცეულ გურიელს, შესაძლოა, არც კი დასჭირვებოდათ ცუცხვათს ჯარის გაგზავნა. ცუცხვათის მიუვალი ციხე, აგიაშვილების საგვარეულო საკუთრება, ოსმალების ხელთ იყო, შიგ მუსულმან ქართველთაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარი იდგა და, თუ თავის ზემდგომ უფროსთა განკარგულებას მიიღებდა, ციხისთავს შეეძლო, ეს საქმე — ქეჰასთან უსირცხვილოდ დაბეზღებული ახალბედა მეფის შეპყრობა და თხმელის ციხეში გაგზავნა — სწრაფად და უხმაუროდ აღესრულებინა. სოლომონმა და მრავალი დიდი და მცირე ლაშქრობის მონაწილე გიორგი წულუკიძემ მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ გაითვალისწინეს და ფათერაკიან გზას გვერდი წინდახედულად აუქციეს.

მეფის მცირერიცხოვან რაზმში, რომელმაც კორტოხზე წამოდგმული და ბებერ კაკლებში ჩაფლული ჩხეიძისეული სასახლე გამთენიის ჟამს დასტოვა, მდგომარეობის უეცარი შეცვლით განცვიფრებული მეგრელებიც ერივნენ. მათთვის არავის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ეგ იყო, ცხენებზე ამხედრება და გაყოლა კი უბრძანეს. შიშნაჭამ კაცო ჩიჩუას უკვე მოესწრო საეჭვო ქალალდების განადგურება და ამ მხრივ ახლა შიში აღარაფრისა ჰქონდა, მაგრამ იმ უცნაურმა ფუსფუსმა და აჩქარებამ, გამომგზავრებას წინ რომ უძღოდა, ის მაინც საგონებელში ჩააგდო. სად მიდიოდნენ? რას უპირებდა სოლომონი ან მას ან მის კაცებს? რატომ იყო ყველა ასე სიტყვაძვირი, ხოლო გამომგზავრება ასე საიდუმლოებით მოცული? რატომ ჩამოსტიროდათ ასე ცხვირ-პირი მეფესა და ახალგაზრდა ბატონიშვილებს?

ოდიშის მთავრის დესპანს შიში და ავი წინათგრძნობა მოერია. ორიდან ერთი იყო: ღამის სადგომიდან ასე ფაცაფუცით აყრილი სოლომონი ან საიდანღაც გამომტყვრალ ძლიერ მტერს გა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

ურბოდა უშიშარ ადგილზე თავის შესაფარებლად, ანდა საძულველი ოდიშარები სამაგალითო ანგარიშის გასწორების მიზნით სადღაც მიჰყავდა...

ეს უკანასკნელი მოსაზრება ჩიჩუას ისე ახირებულად ჩაეჭედა გონებაში, ისე ააწრიალა, მთელი გამბედაობა მოიკრიბა, გიორგი წულუკიძეს ანიშნა, ცოტა ჩამოვრჩეთ, მცირე რამ სალაპარაკო მაქვსო, მაგრამ, როცა ვერც ახლა შეიტყო, რის დანამდვილებით შეტყობასაც ლამობდა, გადაწყვიტა, თავის დასახსნელად ერთადერთი საშუალება — გაქცევაღა მრჩებაო.

წინ მიმავალი სოლომონისა და არჩილ ბატონიშვილის ყურადღება გაჭენებული ცხენების უწესრიგო თქარათქურმა მიიპყრო. მათ უმალ იარაღზე გაიკრეს ხელი და ცხენები ადგილზევე მოატრიალეს მტრის დასახვედრად. ხელთ თვით გიორგი წულუკიძე შერჩათ. ის დაწინაურებულებს წამოეწია და მეფეს სიცილით მოახსენა, რაც მომხდარიყო. ოდიშარები მირბოდნენ...

— გადარეულან ეგ ღვთისაგან წყეულები! — თქვა სოლომონმა. — თითო მათრახი კი დედის რძესავით შეერგებოდა თითოს...

გიორგი წულუკიძე ჰაღარა ულვაშებში იღიმებოდა, თვალებგაბრწყინებული არჩილ ბატონიშვილი კი ამ თავშესაქცევ სანახაობას უჩვეულოდ გამოეცოცხლებინა. ისინი კიდევ კარგა ხანს იდგნენ გზის გასაყართან და მდინარე ყვირილას ჭალას დაჰყურებდნენ. მევერლები გამეტებულად მიაჭენებდნენ ცხენებს თავდაღმართში. ყველაზე წინ კუდგამოსკვნილ წითელ ულაყზე ამხედრებული ჩიჩუა მიჰქროდა და თეთრი ჩაბალახის ტოტებს პირქარი უფრიალებდა. უკან ერთსაც არ მოუხედია. ეშინოდა(?), ალბათ, არავის ეპარებოდა, რომ მეფის მიერ დადევნებული მდევარი გზის მოჭრას შეეცდებოდა და ისინიც მთელი სისწრაფით მიიჩქაროდნენ სალორიის ტყისაკენ, სადაც, გეგუთის ციხე-დარბაზის გამოსწვრივ, კახნიაურთან, რიონზე ბორანი ეგულებოდათ.

სოლომონს არა უთქვამს რა. შეეძლო, რასაკვირველია, კაცი გაეგზავნა და ჩიჩუასათვის ეცნობებინა, სად გარბიხარ, შე კაი კაცო, დადიანის საპასუხო წიგნის შედგენა მაინც გეცლიაო, მაგრამ ამის მაგიერ სადავე მიუშვა, მტრის გულზე დასახლელად შემართული დამბაჩა სარტყელში გაირჭო და ცხენი ჩორთით დასძრა.

მზემ რომ გაიმინდვრა, წალიკ-წალიკ მიმავალი მხედრების ჯგუფმა წყალწითელას კლდეებს შუა შერგო თავი. შუადღისას მდინარის ორივე მხარეს, კორდებზე შეფენილი ყურსები და ორპირიც უკან დარჩა და მხედრები ხრესილის მინდორზე გავიდნენ. აქედან საწირემდე, სადაც მეფის განუყრელ ძიძიშვილებს — დათუნა და ნიკოლოზა ნაფიჩვაძეებს, ყავრით გადახურული მამისეული ქოხი და მოხუცებული დედა — მეფის ძიძა ელოდებოდათ, ორიოდე საათის სავალი გზა თუღა იქნებოდა დარჩენილი.

ძეძვით შემოღობილ ვენახებში, მდინარის განიერ რიყეს რომ გასდევდა, ჭრელი ჩვრით თავწაკრული გლეხები და თალხებში გახვეული დედაკაცები გამოფენილიყვნენ. დაბლარი ვენახის სხვლის ალო იყო. ვენახებში მინდვრის პრასასა და ღორანჭყრიალას სუნი იდგა. გლეხები აუჩქარებლივ სხლავდნენ ვაზს, ბარჯენ-ბარჯენით გარეშემო უვლიდნენ, მეათეჯერ ამოწმებდნენ, ხომ არაფერი დაგვრჩაო, დედაკაცები კი ვაზებს შუა მობნეულ ნაზამთრალ წალამს კრეფდნენ, პატარ-პატარა კონებად ერთ ადგილზე აგროვებდნენ და თხილის თუ შინარწყლის წნელებით ჰკონავდნენ. ცხენების ფეხისხმის გაგონება და გლეხების წელში გამართვა ერთი იყო. აქ, რაჭიდან ვაკე იმერეთში მომავალ საქარავნო გზაზე, მგზავრი არცთუ იშვიათად გაივლიდა, მაგრამ თვალს მაინც სწყუროდა რაღაც ახალი და უჩვეულო. გლეხები ხელს მოიჩრდილებდნენ და ცხენოსნებს მოურიდებლად აკვირდებოდნენ, ქალები კი თავს იკავებდნენ და გზას ნამალევად, ქვეშ-ქვეშ ზვერავდნენ.

მგზავრებმა წყაროსთან შეისვენეს, გზის პირას, ცხენებს წყალი დაალევინეს, თავადაც დალიეს და ის იყო ხელახლა ამხედრებას აპირებდნენ, რომ ძეძვის ღობეს, სამაგალითოდ გასხლულ ახალშენ ვენახს გზისაგან რომ ჰყოფდა; სიბერისაგან დალეული, ბეჭებში საგრძნობლად მოხრილი ბერიკაცი მოადგა და უცხო მგზავრებს „კაი სალამი“ ჰკადრა. სოლომონმა და მისმა მხლებლებმა გლეხს სალმითვე უპასუხეს და ცხენებს მოახტნენ. ეს რომ დაინახა, შეწუხებული ბერიკაცი საწყალობლად დაელრიჯა ამათში ყველაზე უფროსს და შესახედავადაც დარბაისელ გიორგი წულუკიძეს, „ერწამა“ შეჩერება სთხოვა. საქმე ის იყო, რომ მოხუცს რძალი აევგზავნა სოფელში ერთი დოქი ღვინისა და ჭადის ნატეხის ჩამოსატანად, უცხო მგზავრებს გავუმასპინძლდებიო და ყელს უწევდა გიორგი წულუკიძეს, იმ შენი პატიოსანი მიცვალებულების სულის ცხონებამ, ღარიბულ პურმარილზე ხელს ნუ მიკრავთო. გიორგის ღიმილი მოერია და სოლომონს გადახედა, რა ვქნათო.

— შევიცადოთ! — ყველასათვის მოულოდნელად გადაწყვიტა მეფემ და ცხენიდან პირველი ჩამოქვეითდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენებიც ასევე უნდა მოქცეულიყვნენ. ამის შემხედვარე მასპინძელი თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ატროკდა, თითქოს წელშიაც კი გაიმართა.

— რა გვარი ხარ, ბიძია? — ჰკითხა სოლომონმა და ძეძვის ღობეს, რომლის გადაღმაც მხოლოდ ჭაღარა თავი მოჩანდა მასპინძლისა, გზის მხრიდან მიადგა.

— ბრეგვაძე, შენი ჭირიმე, — მოხუცი ღობეს გადმოაწვა და ხმელ ძეძვს ლიწინ-ლიწინი დააწყებინა.

— ბევრი ხართ ხრესილში ბრეგვაძეები?

— ბევრი, შენი ჭირიმე, რომ არ მოგატყუო, ნახევარი სოფელი მაინც ვიქნებით.

— გამრავლოთ მამაზეციერმა!

— იცოცხლე, შვილო. თქვენ, ბატონო? თუ უკაცრავად არ ვიყო... — ბერიკაცი თვალებს აცეცებდა, ველარ გადაეწყვიტა, ეს ვისთვის ეკითხა: — ვერ შეგიცანით. აგიაშვილის სტუმრები ბრძანდებით?

— არა, — მეფემ ცოტა შეაყოვნა პასუხი. — რაჭას მივდივართ.

— კაი დაგემართოთ, — მოხუცებულმა გლეხმა ეს ისე თქვა, თითქოს ყველაზე უფრო მხურვალე ლოცვა წარმოეთქვას და მოუსვენრად გაიხედა ვენახის თავისაკენ. ზევით ლასტის ჭიშკარი იყო, უფრო ზემოთ კი, კაკლებით დაბურულ ფერდობზე, სოფელი მოჩანდა. — ამ წუთში გიახლებათ, ბატონო. ოჯახში მიგიპატიჟებდით, მარა... რა დაგიმალოთ, ვერა ვართ სასტუმროდ მოწყობილი.

— რავა შეგაწუხებთ, — ჩაერია ამ ორის საუბარში გიორგი წულუკიძე. — საჭირო არც ეს იყო, მაგრამ ბერიკაცს უარი ველარ გკადრეთ. აგიაშვილის ყმები ხართ?

— არა, ჩემო ბატონო, ჩვენ სახასო გახლავართ, — რაკი საუბრის გაბმის საშუალება მიეცა, გლეხმა შორიდან დაიწყო. — ადრე ჩვენ საეკლესიო ვიყავით, გელათს ვეკუთვნოდით, მერე სულკურთხეულმა მეფემ, ბატონმა ალექსანდრემ, ჩვენი თავი გელათს ჩამოართვა და სახასოდ გაგვხადა.

— ასე გირჩევნოდათ, თუ...

— თქვენგან არ მიკვირს, ბატონო? გლეხკაცს ვინ კითხავს, ასე გირჩევნია თუ ისეო! რავარც ბატონის ნება იქნება, ჩვენც ისე ვიქნებით.

— საურს ხომ იხდით?

— იჰ, მაგან არ ამოგვაგდო? ვინ შეგაწევს თუ არა, კი! — გლეხმა გაღიმება სცადა და მზით დამწვარი, ტარანივით ვამომშრალი სახე დაუნაოჭდა. — გლეხკაცის საშველი მიდღემჩი ყოფილა, ჩემო ბატონო? არც ყოფილა და არც იქნება! — მოხუცმა უკან გაიხედა და ცერის სახსარში გადამსკდარი ხელი საწიაღოდ მოვლილ ვენახისაკენ გაიშვირა. — ეს ორი კიმპალი ყურძენი და

ათიოდე ძირი სიმიდია ჩვენი მარჩენალი. მტერსაც ეს გვისტუმრებს და მოყვარესაც. ახლა, რაც ეს თათარი ჩამოგვისახლდა, ამ ჩემი ცოდვით სამსე ღვინოსაც ფასი სულ დოუვარდა. თათრები, ქე იცით, ღვინოს სათოფეზე არ ეკარებიან, არა და ფული მაგათ ხელშია. კი არა, ჩვენც ქე გვიშლიან. ისევე აქოური კაცი თუ იყიდის ვინმე, ან რაჭველები თუ გადმოვლიან, მარა ვის რა აბადია დღეს, ყველა ჯიბეგაფხეკილია. სანამდი საეკლესიო ვიყავით, ბატონო და გელათს ვეკუთვნოდით, რა გვიჭირდა, მარტვა ეკლესიის გადასახადი გვხდებოდა. ახლა, ჩემო შვილო, აქით საურიო, იქით სათათროო... ამოვლიან გზირები და... ღედიშენის შვილი ხარ... თათრდება ბევრი. აღარ დეეძებს, ბატონო. ან იმან რა ქნას — ველარ დაარჩინა ოჯახი! ბოვშებს რო არ გვტაცებდენ კიდე...

სოლომონი მწარედ ჩააფიქრა მოხუცის სიტყვებმა. დღეს ის, ვინ იცის. მერამდენედ ისმენდა ნივთიერი ხელმოკლეობისაგან წელში გაწყვეტილი გლეხკაცის გულისმომკვლელ ჩივილს. ამ ალალი და ღვთისნიერი მიწის შვილის თან ნაღვლიანი, თანაც იმედიანი ხმა გულში საკუთარი სინდისის ხმად სწვდებოდა და გუნებას უწამლავდა. აი, რად არ შეიძლებოდა დათმობა, აი, რისთვის იყო საჭირო მეფის ხელისუფლება, რომელსაც ხელიდან აცლიდნენ და მას კი, ვიდრე პირში სული ედგა და საგულეში გული უძგერდა, დათმობის ნება არაჩც და არამც არ ჰქონდა. გლეხი ჩიოდა, მაგრამ მაინც დიდსულოვნობას იჩენდა, უდიერი სიტყვით არ იხსენიებდა ქვეყნის ხელისუფალს — მეფეს, რომელიც მას გათათრებისაგან ვერ იფარავდა, ბატონის სულის ცხონებას ღმერთსაც კი ავედრებდა. მოხუცებულმა ხრესილელმა გლეხმა ერთხანს კიდევ ილაპარაკა. სოლომონს თავი ისე ეჭირა, თითქოს სასხვათაშორისოდ უსმენდა, ნამდვილად კი ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია. მოხუცმა ერთხელ კიდევ მოიგონა მეფე ალექსანდრე. ბოლო დროს გავრცელებულ ჭორს ხახულის ღვთისმშობლის ხატის გაპარვის თაობაზე თითქოს წინასწარი მოსაზრებით გაურბოდა. არ იცოდა თუ არა სჯეროდა დაყრილი ხმების სიმართლე?

ამასობაში თეთრი თავსაფრით პირმობუდნული ბრეგვაძის ახალგაზრდა რძალი, შვილის თუ შვილიშვილის ცოლი, გამოჩნდა, ვენახი ნაპირ-ნაპირ ჩამოიარა, დამხვდურთ მორცხვად მიესალმა და ძეძვის ღობეზე ჯერ სველი დოქი შემოსდგა და შემდეგ ქათქათა თეთრ ხელკალათსაც მოუნახა ადგილი. ქალი ფეხმძიმედ იყო, ამდენი უცხო მამაკაცის წინაშე სახეზე ალმური ასდიოდა, მაგრამ მოხუცებული ბაბუისათვის ხათრი ვერ გაეტეხა და დარცხვენილი საქმიანობდა. სოლომონს თვალი მოსტაცა ახლახან კეცებიდან ამოყრილმა პიწკინა მჭადებმა, სქლად დათლილმა ჰყინტმა ყველმა და ნაადრევმა ხასხასა მწვანილმა. ყველა ეს ქალმა ისე მოხდენილად გააწყო სუფრაზე, იმდენი ძადლი მოაფერქვია, მაძღარსაც კი მოაშიებდა და ნერწყვს მოჰგვრიდა. თითო მოზვრის ყანწი დალიეს, ადგილის დედა ახსენეს და მოხუცებულ მასპინძელს მონაგარი, სახლ-კარი და ყანა-ვენახი დაულოცეს.

— სახელი შენი? — ჰკითხა შეჭორიკებულ ბერიკაცს წულუკიძემ და ცხენს მოსართავები ჩამოსჭიმა. უკვე დრო იყო დაძვრისა.

— ოქროუა, ჩემო ბატონო.

— მადლობას მოგახსენებთ, ოქრუა, გადაგვეხადოს შენი პატივისცემა!

— რა სამადლობელოა...

— გზა რავარია რაჭისკენ, თუ იცი?

— თოვლი აღარ არი რა ხანია. გუშინ ერისთავის კაცებმა ჩამეიარეს.

ყველამ ყურები სცქვიტა, ცხენებს თავი ანებეს. მოხუცს ეს არ გამოჰპარვია. შეწუხდა, ნეტა რა ვთქვი ამისთანაო.

— ბევრი იყვნენ? — ისევ წულუკიძემ ჰკითხა.

— იქნებოდა ასი ხუთასი. რავა?

— სულ ცხენოსნები?

— კი, ბატონო, სულ მარტვა ცხენოსნები.

— საით მიდიოდნენ, თუ იცი?

— მაგას ვერ მოგახსენებ, ჩემო ბატონო, ასე კი ჩეიარეს. ერისთვიშვილი მეთოდე მოუძღოდათ, ნაზერალიაო, რო ამბობენ. ვითამ... — ბერიკაცი ისევ გადმოაწვა ლობეს და ძეძვმაც ისევ დაიწყო ლაწა-ლუწი. — ღმერთო, კაი ყურით გეიგონე!.. მე ასე მოვკარი ყური: ჩვენ ახალგაზრდა ბატონს, სოლომონს, ომი ექნება თათართანო.

სოლომონი გაწითლდა. ესიამოვნა თავისი სახელის გაგონება, მაგრამ ამაზე უფრო ცნობის წადილი სწვავდა იმის გასაგებად, თუ სად და რა მიზნით მიბრძანდებოდა ნაზერალი მეთოდე. ის ხომ კაცხიდან დაბრუნებულს ვარციხეში დაუხვდა, შემდეგ კი ორი თუ სამი დღე გვერდიდან არ მოშორებია! რაჭას ასვლა და ლაშქრის შეყრა როდისღა მოასწრო? ახლა საით გაეწია, სად მიეჩქარებოდა?

ოქრუა ბრეგვაძე მეორედ დაიბადა, როცა მგზავრებს და მეტადრე ამ დარბაისელ დიდებულს, გიორგი წულუკიძეს, სადღაც რომ ენახა და ვერ მოეგონებინა, სად, მისი ნათქვამის გამო დაინტერესება შენიშნა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს! — შესძახა და შემწეობის სათხოვნად ცას აჰხედა. — მეფე დევ-გმირი მეომარია. მისი მომრევი კაცი, ღმერთმანი, დედამიწის ზურგზე არ მეგულება.

— შენ რა იცი, გინახავს? — ჰკითხა გიორგიმ და გაიღიმა.

— ჩემი თვალით, ბატონო, რავარც ახლა თქვენ გიყურებთ. ჩიხორის ომში სულკურთხეულ მეფე ალექსანდრეს ვახლდი. ბატონიშვილი სოლომონიც იქ ბრძანდებოდა. ჯერ ბოვში კაცი იყო, მართალია, მარა ლომივით იომა, თავი ნუ მამიკვდება, ვკვირობდით ყველა...

ჩიხორის ომის დღეს სოლომონი საში წლისა გახდა, ყბაყურა ბატონები სჭირდა და ბაბუა ლევანთან იყო სტუმრად კაცხის სასახლეში. მამას არ ურჩევდნენ ომში წასვლას, ბატონებს გაარისხებო. არ დაიშალა, ამბობდა, მე თუ არ წავედი, თვით ოტია დადიანი მოვა აქაო. დიდი ზამთარი იყო. სასახლე ორჯერ გადმოთოვლეს იმ ზამთარს სახლთუხუცეს ესტატე ფალავანდიშვილის კაცებმა. ომში სოლომონს, რასაკვირველია, მონაწილეობა არ მიუღია. ეს გიორგი წულუკიძემაც და ზოგიერთმა აქ მყოფმაც იცოდა. აჭიკჭიკებულ ბერიკაცს მაინც ბოლომდე ათქმევინეს თავისი სათქმელი. ოქრუას ეჭვიც არ დაჰბადებია, რომ წმიდა წყლის სიმართლეს ამბობდა. უთუოდ მეფის რომელიმე ძმა, გიორგი ან მამუკა, სოლომონ ბატონიშვილად მიიღო, ასე დაახსომდა და შემდეგ მეხსიერებაში ასე ჩარჩა.

— კიდევ რას ამბობენ? — ჰკითხა სოლომონმა.

— რაზე, ბატონო?

— მეფეზე რას ამბობენ?

— რა ვიცი, იქნებ არც კი იყოს მართალი.

— რაიო, მაინც?

— ვითამ სოლომონს, — მოხუცმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და ძეძვის ლობე ერთხელ კიდევ აალაწუნა. — ჩვენ მეფეს, კაცი გოუგზავნია დიდ სულთანთან და შოუთვლია, მე შენი ასე და ისე ვქენი, რაც აქამდი ხალხი მამტაცე და ბაზარზე საქონელივით დამიყიდე, ხო მამტაცე და დამიყიდე, მარა აწი მობრძანდეს, ვინც ვაჟკაცია და... გეიხედე შენ, ბოშო, იქით! — ბერიკაცმა რძალს შეუტია და ამანაც მეტი გაფაციცებით განაგრძო სუფრის ალაგება. — თუ აქიდან რამე გამოვატანო, იმ შენს...

— რავა ატყობ, ოქრუა, — გიორგიმ ცხენებზე შესასხდომად მომზადებულ თანამგზავრებს გადახედა და შეთქმულივით თვალი ჩაუკრა. — მართალი იქნება ეგ ამბავი?

— რა მოგახსენო, ბატონო, — მოხუცი შეწუხდა, ნამეტნავ დიდ სისულელეს ხომ არ ვროშავო და ამჯერად სოლომონს მიმართა, შემდეგ კი ისევ გიორგი წულუკიძეს მოუბრუნდა. — ხალხი ასე ლაპარაკობს, შვილო, ხალხი კი, ხო მოგეხსენება, მოხსნის გუდას თავს და ხან ამას იტყვის და ხან იმას. ისიც ქე თქვეს, მეფე სათათროს გააუქმებსო. გააუქმებს? წადი და კითხე! ეკლესიის გლეხები, ვინც ახლა სახასო ან სა-

ბატონოა, ისევე ეკლესიებს დოუბრუნდებაო. ბესარიონ კათალიკოსს უჩივლია. იჩივლებდა. არ იჩივლებდა? ხალხს გაჭირვება ალაპარაკებს, ჩემო ბიძიკო. გლეხკაცის სიცოცხლე დაბმული ძაღლი არ არის. თქვენ რაღა დაგიმალოთ, ქრისტიანები ხართ, ჩვენი მიწაწყლის შვილები. აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ, რომელ წყალს მივცეთ თავი, რომელ კლდეზე გადავვარდეთ. მარჯვენა შემახმეს, თუ ტყუილს გეუბნებოდეთ. თუ არაფერი გვესაშველა... თქვენ უკეთ გეცოდინებათ, დიდი ხალხი ჩანხართ, მართლა აპირობს რამეს ის სულკურთხეულის შვილი?

— ვინ იცის, — ორჭოფულად თქვა გიორგი წულუკიძემ და იღლიაში ამოდებული ალვირი დაამოკლა. — შეიძლება აგრეც მოხდეს, რავარც ხალხს ულაპარაკია.

— ღმერთო, შენით!.. — მოხუცმა ისევ ცად აღაპყრო ნაოჭებდასხმული გატანჯული სახე.

სოლომონი და მხლებლები ცხენებს მოახტნენ, დეზი ჰკრეს და მზის სხივების აბლაბუდაში გაბლანდულნი მოსახვევს იქით თვალს მიეფარნენ.

— ბაბუა! — წამოიძახა ქალმა და წვრილწინწკლებიანი თეთრი თავსაფარი, თმასა და სახეს რომ უფარავდა, თავიდან მოიგლიჯა. დიდრონი წყლიანი თვალები უელავდა, ალმურმოდებული ლაწვები და ატკეცილი ლოყები თურაშაული ვაშლივით უღვიოდა. — რა ქენი ეს?!

ოქრუა გაოგნდა, რას მეუბნებაო. გაწცვიფრებულმა რძალს ნახევრად დაბრუციანებული, თითქოსდა ფოსოებში ჩამდნარი თვალები მიაპყრო.

— მართლა ვერ იცანი ეს ხალხი?

— ვერა, შვილო, თვალით ვეღარაფერს ვიხედები. რავა, შენ იცანი თუ?

— მეფე იყო, ბაბუა...

— მეფე? — ოქრუას უფერული გუგები გაუფართოვდა. ქალამნის თასმებით ამოკრული ფეხები გააბაჯიჯგა და ხელები სახესთან მიიტანა. — რომელი?

— ახალგაზრდა, შავწვერიანი, სულ ბოლოს რო გელაპარაკა.

— შენ რა იცი, ვინ გითხრა?

— რავა ვინ მითხრა, ბეჩა, გუშინ გელათში არ ვიყავი? მიცვალებულ მამას უდგნენ თავთით ეგ და ბატონიშვილი იოსები...

— მადლობა შენ, ღმერთო, რო ასე ბედნიერი გამხადე!..

— მადლობა კი არა, რო დაგვიჭიროს ახლა ყველა და თათარში გაგვყიდოს, ახი არ იქნება? რო მოხსენი გუდას პირი და... გაგიგონია ასე?

— ღმერთმა ნუ შემასწროს მაგ დღეს, შვილო, თუ მაგანაც ეგ დღე დაგვაწია, აღარ ყოფილა საწყალი კაცის საშველი!..

— წამო ახლა, წამო, ეს კალათი და დოქი ჰიშკართან ამიტანე, მე წალამს წამოვიძღვან.

— მძიმე არაფერი აწიო, შვილო, მტრის და ავისას, მუცელი არ მოიწყვიტო. წადი, წადი შენ, კალათსაც მე ამოვიტან და წალამსაც.

მათ ერთხანს კიდევ იდავეს და იპატიქეს, ბოლოს ისევ მოხუცის დაჟინებამ სძლია ქალის სიჯიუტეს. მან კალათი და ცარიელი დოქი ჩამოართვა რძალს, ქალი წინ გაიძღოლა და ვაზებს შუა აღმართს აუჩქარებელი ბაჩუნ-ბაჩუნით აუყვა.

## XI

არჩილ ბატონიშვილს მალე მოსწყვიტა ყინწი ძილმა. სანამ ნიკოლოზა და დათუნა არ მოვლენ და თინათის არ მოიყვანენ, არ დავიძინებო, იქადნიდა, მაგრამ შუაღამე რომ წამოვიდა და ისინი კი მაინც არ გამოჩნდნენ, თავს ვეღარ მოერია. ერთხანს კიდევ ჯიუტად იჯდა შუაცეცხლთან, ბოკონზე და ზურგით დედაბოძს მიყრდნობილი უფროსების ხმადაბალ საუბარს უსმენდა. დანარჩენებიც, გარდა ორად ორი მზირისა, გარეთ რომ დაეტოვებინათ, ცეცხლს შემოსხდომოდნენ. სოლომონი მოუსვენრად წრიალებდა, ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. ან ბოლთას სცემდა ნაფიჩვაძეების მამა-პაპურ, შუაცეცხლის კვამლისაგან კედლებშებოლილ დარბაზში, ანდა პარმაღში გადიოდა და ღამის სიჩუმეს ყურს უგდებ-

და. ჩამიჩუმი არ იყო. სმენას მხოლოდ ჭოტის კივილი და რიონის თუ რომელიღაც სხვა მდინარის შორეული დუდუნი სწვდებოდა. ერთი ორჯერ გაპარვა სცადა, გულზე ცეცხლმოდებული უკან დაბრუნებას აპირებდა. გიორგი წულუკიძე და სხვა მხლებლები, თავიანთ ახალგაზრდა ბატონს თვალს რომ ერთი წუთითაც არ აშორებდნენ, წინ გადაუდგნენ და ძლივს-ძლივობით დაიყოლიეს, ტყუილ-უბრალოდ თავი ხიფათში არ გაება და როგორმე მოთმინებით აღჭურვილიყო.

სხვებზე ადრე ისევ სოლომონზე არანაკლებ შეშფოთებულმა და აწრიალებულმა ძიძამ შენიშნა, პატარა ბატონიშვილს ეძინებაო და მაშინვე დაფაცურდა: ცაცხვის ხისაგან ოსტატურად გამოთლილ განიერ ტახტზე, რომელზედაც ოდესღაც ნაფიჩვაძეების მთელი ოჯახი იძინებდა, ჭრელი ფარდაგი გაშალა და სტუმრის მოსასვენებლად ქოხზე მოდგმული ფიცრული სანთიობოდან სუფთა ქვეშაგები შემოიტანა.

მთლად გაჭაღარავებული, ტანსრული ძიძა, სოლომონს რომ მთელი ორი თუ სამი წელიწადი არ ენახა, საგრძნობლად მოტეხილი, მაგრამ მაინც კვლავინდებურად მოძრავი, ხაშხაშა და დაუზარელი ჩანდა. მის ხელში ყოველგვარი საოჯახო საქმე თითქოს სულს იდგამდა, მღეროდა და გვერდიდან მაცქერალს ისე ადვილი გეჩვენებოდა, იტყოდი, ამის გაკეთება ხომ ბალღსაც შეუძლიაო. ძიძა დღეს სტუმრებს არ ელოდა, თუმცა ყოველ ცისმარე დღე თვალი გზისკენ ეჭირა, ან ახლა გამოჩნდებიან ჩემი გადაკარგული ბიჭები, ან ახლაო. თავისი მონატრებული გაზრდილის, აწ უკვე იმერეთის მეფე სოლომონის, დანახვამ თითქოსდა ფრთები გამოასხა, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა, მისი საფიცარი შვილები ძუძუს მოზიარეს არ ახლდნენ, ისევ მოიწყინა და ყურები ჩამოჰყარა. იხტიბარს მაინც არ იტეხდა. არ უნდოდა, სასურველი სტუმრისათვის ეგრძნობინებინა, რომ გულს აკლდა და თავისი ნიკოლოზასა და დათუნას დანახვა მთელ ქვეყნიერებას ერჩივნა. სოლომონს სამძიმარი უთხრა თავს დამტყდარი მწუხარების გამო და ქვრივ-ოხრის შავი თავსაფრის ყურით თვალთაგან გადმოვარდნილი ორიოდე ცრემლი მოიწმინდა. გაზრდილი დედა-შვილურად მოეფერა, თავსაფრიდან ვამოვარდნილი ჭაღარა თმის ბღუჯა თავისი ხელით აუკრიფა, თავსაფარში დაუმალა და ყვრიმალზე სათუთად ეამბორა. მან ახლაღა იგრძნო, რომ ამ ადამიანის წინაშე, ვისი ძუძუ ეწოვა და ვისგანაც ოდესღაც დედობრივი სალბუნი ეგრძნო, უპატიებელი დანაშაული მიუძღოდა. მან, სწორედ მან და არა სხვა ვინმემ ძალღივით ერთგული თანშეზრდილი ძმები ნიკოლოზა და დათუნა სასაკლაოზე გაგზავნა. ძმებმა კარგად იცოდნენ, სადაც მიდიოდნენ, მაგრამ წარბი არ შეუხრიათ, უკან არ დაუხევიათ. რა პასუხი გაეცა მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ საბრალო დედისათვის, მაინ რომ რაიმე ფათერაკი მოსვლოდათ? არა, ყოვლის მხილველი და სამართლიანი ღმერთი არ იზამდა ამას, თინათის გამოსახსნელად ვარციხეში წასულ ძმებს არაფერს გაუჭირვებდა. რაც უნდა იყოს, ნაფიჩვაძეები თვით მიტროპოლიტ იოსებს ახლდნენ. იოსების გვერდით მგონი არა უნდა მოსწეოდათ რა, მაგრამ დღევანდელ დღეს მაინც ძნელი იყო კაცს ვისიმე და რისამე იმედი გქონოდა. შეთქმული ვაჟბატონები თვით მეფეს გადაუდგნენ, მეფის მხარდამჭერ დიდგვაროვანთა წინააღმდეგაც კი აღმართეს ხელი და ბატონიშვილს, თუნდაც მღვდელმთავარს, ხათრს ვინ და რატომ გაუწევდა?

ძიძას უთუოდ დედის ალღომ უკარნახა, მე უბედურს რაღაცა საშინელს მიმალავენო. დასაბმელი გახდა. ვერც კითხვა გაებედა, დანამდვილებით კი ვერც ვერას მიმხვდარიყო და აქეთ-იქით აწყდებოდა, საქმეს გულს ვერ უდებდა.

უცებ უბანში ძაღლები აყეფდნენ. ყეფა, წკავწკავი და გნიასი მალე მთელ სოფელს მოედო. მტერი მოვიდა თუ მოყვარე? კერიასთან კაცები წამოიშალნენ, არჩილსაც გამოეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და მაშინვე თინათი იკითხა.

გარეთ არავის გაუხედია, მხოლოდ ძიძა გავიდა, სხვებმა კი იარაღი აისხეს და მტრის დასახვედრად მოემზადნენ. ქოხის უკანა კარი ლაფაროში გადიოდა. იმას იქით კარის ვენახი იყო. ამას გარდა, ქოხს სამი, გაქონილი ქაღალდით აკრული სარკმელი ჰქონდა, ორი წინ და ერთიც მარცხნივ, სასოფლო კალოების მხარეს. თუ ვინიცობაა, მტერი მოუხტებოდათ, ქოხში მყოფნი მის მოსაგერიებლად სამივე სარკმელს გამოიყენებდნენ და უკეთუ საქმე გაჭირდებოდა, ქოხიდან შეუმჩნევლად გაქრობასა და ღამის წყვდიადში შერევასაც შესძლებდნენ.

ძიძას ქარმა თავსაფარი წაართვა, თმას უწეწდა, ანთებულ ჟინჟღილს უქრობდა. ის მაინც ჯიუტად იდგა შუა ეზოში და ხმაგაკმენდილი სიბნელეს აკვირდებოდა. აბრიალებული კვარი მხოლოდ ეზოს ერთ ნაწილს ანათებდა. იმას იქით რაიმეს გარჩევა, გარდა ჭიშკართან ასვეტილი ასწლოვანი კოპიტისა, შეუძლებელი იყო. ალაგესთან ვიღაცამ დაიძახა.

— ვითომ მდევარია? — ორჭოფულად ჰკითხა მეფემ გიორგი წულუკიძეს, ბოლთა შეწყვიტა და გულხელი დაიჭდო. — თუ ბიჭები მოვიდნენ? დაძახება რისთვის დაჭირდათ?

— არც მტერი დაიძახებდა, — მიუგო ხოტევის ციხის პატრონმა.

— მოვტყუვდი, კაციშვილისთვის არ უნდა დამეჯერებინა!

— დაწყნარდი, ბატონო, ცოტა კიდევ მოვიცადოთ და თუ არ გამოჩნდნენ, ან ასე ვიზამთ და ან ისე. მე თუ დამიჯერებთ, ჯერ არ ეგვიანებათ.

— ვინ არის, ვინ მოვიდა?

— შეიძლება, სწორედ ისინი არიან!

გამზრდელი და გაზრდილი ამ საუბარში იყვნენ, როცა სიცივისაგან გათოშილმა მზირმა, ნაბდის ძველაში გახვეულმა მოლაშქრემ, რომელსაც საფარი კალოებთან ჰქონდა მოწყობილი, მუხის ძელებისაგან შეკრული მძიმე კარი შემოაღო და მეფეს აუწყა:

— ქაიხოსრო აგიაშვილი გეახლა, ბატონო...

— მერე რაღას უცდის, ვერ შემოვა?

— სოლომონის მაგიერ უპასუხა თავის კაცს გიორგი წულუკიძემ და [illegible] ბატონის შესახვედრად კარს მიაშურა.

ახალ მოსულთაგან დარბაზში მხოლოდ ქაიხოსრო აგიაშვილი, ჭმელ-ხმელი, ორმოც წელს მიტანებული მაღალ-მაღალი კაცი შემოვიდა, სხვები კი გარეთ, პარმაღში დარჩნენ.

— რა ამბავია ჩვენ თავს, ბატონო მეფევ? — პირდაპირ ჰკითხა ქაიხოსრომ სოლომონს, როგორც კი დამხვდურთ სათითაოდ მიესალმა და ყველა ღირსებისამებრ მოიკითხა.

— ამბავს შენგან მოველი, — თავშეკავებულად უპასუხა სოლომონმა.

—მართალია, რაც მითხრეს?

— როგორც ხედავ. ჩემმა გამოგზავნილმა კაცმა დროზე ამოგისწრო?

— სერს გადავადექით თუ არა, ეზო ჯარით გაივსო, — აგიაშვილმა მტვრისაგან გათეთრებული შავი ნაბადი მოიხადა, ორად მოკეცა და კუთხეში დააყუდა. — ქვას ქვაზე აღარ დატოვებდნენ. რა ვქნა, რა გაეწყობა, მეფევ, შუბლზე რაც გაწერია. კაცი იმას ვერ ასცდები. ერთი ის მიბრძანეთ, ბატონო, — მოსული ახლა გიორგი წულუკიძეს მიუბრუნდა, რადგან მეფის შემდგომი გამოკითხვა ქვეშევრდომისათვის შეუფერებლად ჩათვალა. — ისიც მართალია, რაც ქვემო მხრის სარდალზე და ზურაბ მიქელაძეზე მითხრეს?

— ჩვენდა სამწუხაროდ, აგრეა, ბატონო ქაიხოსრო, — უპასუხა გიორგი წულუკიძემ. — ჩემი ძმა ბერი და სახლთუხუცესიც იმათთან არიან. მარტო პაპუნა წერეთელმა გამოასწრო. სათივეში გამოუმწყვდევიათ. მე და თქვენც რომ იქ ვყოფილიყავით, ჩვენც ეგ დღე გველოდა...

— მერე? რა ვქნათ ახლა? როდის მოასწრეს, დავღუპულვართ და ეგ არის!

— მოასწრეს. კაცს თუ გულში ავი განზრახვა გიდევს...

— ვითამ დიდხანს იყოლიებენ, რომდემდე უნდა დააკავონ?

მეფემ თავი ასწია, ჩაერია:

— დრომდე, ალბათ, სანამ მე ჩამიგდებდნენ ხელში...

აგიაშვილმა შორს დაიჭირა.

— ღმერთმა ნუ გოუთენოთ ეგ დღე, ბატონო, ჯაბანები კი არა ვართ, წელზე ხმალი ჩვენც გვარტყია!..

— ეჰ, ჩემო ქაიხოსრო...—სოლომონს გული მოულბო აგიაშვილის რაინდულმა გაფიცხებამ. — ხმალი... ერთი ხმლით ათასის წინააღმდეგ რას გააწყობ!

— ვეღარა გცნობ, დიდებულო მეფევ, — ოკრიბის ბატონმა კიდევ მეტი გამბედაობა გამოიჩინა და სოლომონს უფრო მხნედ მიმართა. — ე რა გული გაგტეხია! ნუ გამირისხდები და... ახლა იმედის გადაწურვა კი არა, განძრევა გვმართებს. ღმერთი ჩვენ მხარეზეა, სიმართლე ჩვენ გვინათებს გზას. ისე რავა წავხდებით, ქვეყნის ორგულს საქმე სანანებლად არ გავუხადოთ. შენ არ მომიკვდე, არ შეგშვენის მაგისთანა წუწუნი. ჩვენ, ერთგული ყმები, ცოცხლები გყავდეთ და შენ ნებაყოფლობით იღებდე ხელს ყველაფერზე? რანაირად მოგიწონო ახლა ეგ? ვერა, ბატონო, ვერ მოგიწონებ, ვერც ბატონი გიორგი მოგიწონებს, ვერც სხვები მოგიწონებენ. რამე უნდა ვიღონოთ. გაგვიძეხი, თავი არ გვეზოგება!..

— ხელში არაფერი გვაქვს, ქაიხოსრო, — თქვა სოლომონმა. — ყველაფერი მტერს უკავია. ვაკე იმერეთის ციხეებში, ჩემზე უკეთ იცი, ოსმალები სხედან, არგვეთის და რაჭის ციხეები ბაბუაჩემ ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავს უპყრიათ. ეგ კი არა, მართლა რომ დამედევნონ და დაჭერა მომინდომონ, ვერსად გავექცევი: ჯარი მე არ მყავს და ციხე მე არ მაბადია, რომ დრომდე თავი შევინახო და ომის თადარიგი გავწიო...

— ვითომ აგრეა საქმე? — ქაიხოსრო აგიაშვილი მეფეს არც ახლა დაეთანხმა და თავისი საპირისპირო შეხედულება მხოლოდ ამ შეფარული კითხვით გამოხატა. სამეფო სახლის მოშლა, ანდა ტახტზე დიდგვაროვანი თავადების სასურველი მეფის დამკვიდრება მთელ მის ყმა-მამულს გარდაუვალი გაჩანაგებით ემუქრებოდა. ძლიერ მეზობლებს: აქეთ — არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძეს, ხოლო იქით — როსტომ — რაჭის ერისთავს, პატარა და მწირი ოკრიბა ლუკმადაც არ ეყოფოდათ. ერთადერთი ხსნა წვრილფეხა თავად-აზნაურობის და ეკლესია-მონასტრების მოწყალე სოლომონის მხარში ამოდგომა და მისი ტახტის განმტკიცება იყო. —მართალია, ზოგიერთმა წყეულმა გიღალატა და გადაგვიდგა, მაგრამ სხვები ხომ შენთან ვართ, მეფეო. თუ შევერთდებით და გაერთიანებული ძალით დავარტყამთ...

ომის ქინით შეპყრობილ ერთგულ ქვეშევრდომს სოლომონმა მშვიდი მზერა მიაპყრო:

— მე ბევრი ვიფიქრე, ქაიხოსრო. თუ დატუსაღებულები ვერ გამოვიხსენით და გვერდში ვერ ამოვიყენეთ, ხელსაც ვერ გავანძრევთ. ხომ მართალია? იმათი გამოხსნა კი... ბევრი ხალხი დაგვეხოცება და ვაითუ ვერც ვერაფერი გავაწყოთ.

— ორი ათას მხედარს საწერეთლოში მოვაგროვებთ. ქუდზე კაცი გამოვა, — აგიაშვილი არ თმობდა, კვლავ თავისი მოსაზრების სისწორეს უმტკიცებდა ნაადრევად გულგატეხილ ახალგაზრდა მეფეს. — ათას კაცს, თუ მეტს არა, მე მოვუყრი თავს. აქედან ნახევარი მაინც ცხენოსანი ჯარი იქნება. ამდენსავე ბატონი გიორგი მოგვაშველებს... ჰა? — თავისივე ნათქვამით აღგზნებული ქაიხოსრო აგიაშვილი წულუკიძეს მიუბრუნდა, იქნებ ესეც მოვიბირო და ამ გზით მეფის დარწმუნება გაადვილდესო.

— ყველა ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, ბატონო ქაიხოსრო, — აუჩქარებლივ ჩაერია ბჭობაში მეფის აღმზრდელი. — არაფერი გამოდის.

— რატომ, ბატონო, რა უშლის ხელს?

— წერეთლები ვერ მოგვეხმარებიან.

ქაიხოსრო შეკრთა, თითქოს უცაბედად გავარვარებულ რკინას შეახო შიშველი ხელიო. ამ სიტყვების გაგონებაზე მოიღუშა, ჯერ ხოტევის ციხის პატრონს შეხედა, მერე თავჩაღუნულ და თავის ფიქრებში გართულ მეფეზე გადაიტანა მზერა. როგორ? ნუთუ პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლებმა, მეფის ერთგულმა

ყმებმა, სოლომონს ღალატი გაუბედეს და თავს ლაფი დაისხეს?

— არა, წერეთლები მეფეს არ მიატოვებენ, — წულუკიძე უმალვე მიხვდა, აგიაშვილი რა ფიქრმაც შეაშფოთა და თავისი ნათქვამი მსწრაფლ განმარტა. — მაგრამ ჯერჯერობით ისინი ვერ შეიძლებენ ჯარის გამოყვანას. ჯრუჭულის ხეობაში როსტომ ერისთავის ვაჟები არიან ჩამდგარი და ყოველდღე სოფელ-სოფელზე ართმევენ.

— მეც აგრე შევიტყე, — თქვა აგიაშვილმა.

— წამოსვლაც რომ შეიძლონ, ბატონო ქაიხოსრო, გამოატარებს კი ლევან აბაშიძე წერეთლებს თავის მიწა-წყალზე? არ გამოატარებს. იქავე ვიწროში დაუხვდება და ომს გაუმართავს. არის კიდევ ერთი — ქართლის გზა, მაგრამ ძალიან შორეა...

— ჩუ, ძაღლები ყეფენ, მგონი, თუ არ მეჩვენება, — თქვა უცებ სოლომონმა. წელში გაიმართა და სმენა დაძაბა. სხვებიც სმენად გადაიქცნენ. ერთ წამს სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ სარქველგადაწეული პირფართო ქოთანი თუხთუხებდა ცეცხლის პირას და დარბაზში ქალაკოდას მადისმომგვრელ სუნს აყენებდა. ძაღლების შორეული ყეფა და წკავწკავი, ყველაზე ადრე მეფეს რომ შემოესმა, თანდათან მინელდა და ბოლოს მთლიანად მიწყდა.

— რა ვქნა, — მცირე დუმილის შემდეგ თქვა სოლომონმა და მისმა ხმამ რაღაც უცნაურად დარეკა სიჩუმეში. — თუ მირჩევთ, ჯანი გავარდნია, ახლავე წავალ და ჩავბარდები.

ყველამ მეფეს შეხედა. ის ამას გულწრფელად ამბობდა. სახეზე ორჭოფული გამომეტყველება აღბეჭდვოდა. ეტყობოდა, სულ მცირე ბიძგი იყო საჭირო, ან იქით ან აქეთ, რომ გადაწყვეტილება მიეღო და შემდეგ მისი განხორციელებისათვის ასევე ულონოდ და ყოველგვარი ხალისის გარეშე ეზრუნა.

— ეგ რა ბრძანე, ბატონო, — ისევ აგიაშვილმა გაუბედა. — მერე ჩვენ ვის იმედად გვტოვებ? ხომ გაგვიყიდიან სახლ-კარს და ჩვენც დედა-ბუდიანა თან მიგვაყოლებენ! მაგნაირ რამეს გულშიაც ნუ გაივლებ, ბატონო, რა ვუყოთ მერე, ეს დალოცვილი ბედის ბორბალი ხან წაღმა ტრიალებს და ხან უკუღმა...

— ადვილი სათქმელია, ქაიხოსრო. ერთი ჩემ გულში ჩაგახედა.

— ვიცი, ბატონო, არ ვიცი, გგონია? არც ჩვენა ვართ დალხინებული.

— ამდენ ხანს რად შეგაგვიანდა?

— მუხლი არ ჩაგვიხრია, მეფევ, არ დავმჯდარვართ.

— თან გახლავს ჯალაბი?

— მუხურაში დავტოვე. ხვალ დილას, თუ ღმერთმა ინება და მდევარი არ წამოეწიათ, — აგიაშვილმა წულუკიძეს გადახედა. — ნაჯიხურევზე გადავლენ და რაჭას შეაფარებენ თავს. ბატონი გიორგი ვგონებ არ შევაწუხო — ზემო თლუღში ნათელ-მირონები მყავს...

— მობრძანდი! — ხოტევის ციხის პატრონო გულწრფელად შეეპატიჟა. — შენთვის, ბატონო ქაიხოსრო, ჩემი ღარიბი სახლის კარი ყოველთვის ღია გახლავს.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებ, ბატონო გიორგი, მეც ყმად და შემწედ მიგულე. თუ გაჭირვებაში ერთმანეთს არ მივეშველეთ და მხარში არ ამოვუდექით...

მუხის მძიმე კარს გარედან ვიღაცამ ხელი მოუფათურა, მოაწვა და ჭრიალით შემოაღო. ზღურბლზე ისევ ის მზირი და კიდევ ხუთი თუ ექვსი სხვა მოლაშქრე იდგა, დარბაზში მყოფთ ქაიხოსრო აგიაშვილის მოსვლა რომ აუწყა. ამჯერად სახე უცინოდა, უთუოდ რაღაც ძალზე სასიხარულო ჰქონდა სათქმელი.

— ხმა ამოიღე, ბიჭო, — შეუტია გიორგი წულუკიძემ. — რა ამბავია, მობრძანდა?

— მობრძანდა, ბატონო...

გიორგიმ წელზე გაისვა ხელი, სევადიანი ხანჯალი თვალის დახამხამებაში შეიხსნა და თავის ქმრიანად ყმას გადაუგდო.

— ყოჩაღ! დაიჭი სამახარობლო!..

მზირი შეხტა, ძვირფასი საჩუქარი ჰაერშივე დაიჭირა, ჩაბღუჯა და ბატონებს გზა მისცა. მეფე და მისი მხლებლები

რომ გარეთ გაცვივდნენ, ხელისდადება ოღროჩოღრო ეზო და ორღობე შეიარაღებული ხალხითა და ცხენებითავსებული დაუხვდათ. მეფეს ეუცხოვა ერთად ამდენი მხედრის დანახვა. უმეტესობა, ეტყობა, ოკრიბელი მოლაშქრეები იყვნენ, რომლებიც თავიანთ ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილს მოჰყოლოდნენ მეფის რაზმთან შესაერთებლად და აქამდე ეზოსა და ორღობეში უცდიდნენ. გაფაციცებული ძიძა ჭიშკართან იდგა, ცალ ხელში შავი თავსაფარი ეკავა, მეორეში კი ახრჩოლებული ქინქლილი, ახალ მოსულ ცხენოსნებს უნათებდა და თითქოსდა მკვდრეთით აღმდგარ ვაჟიშვილებს ხმამაღლა ესიყვარულებოდა:

— თქვენა ხართ, შვილებო? აქეთ, დედა, აქეთ! რაკიღა ცოცხლები ხართ, რაკიღა თვალით დაგინახეთ... ასე რატომ შეგაგვიანდათ, დედა, დედოფალს გზაშ ხომ არ აწყინა?

პასუხის გაცემისა და ამბების მოყოლის თავი აბა ვისა ჰქონდა. ხიფათით; მომქანცველი მგზავრობითა და ათასი სხვა გაჭირვებით გატანჯულმა ძმებმა მარგილზე ღვლერჭით ჩამობმული ლარტყის განიერი ჭიშკარი გაალეს და მომცრო ტანის ჯიშიან ცხენს, რომელზედაც ნაბადმოხურული კაფანდარა მხედარი იჯდა, ეზოში შემოუძღვნენ. თინათი ქინქლილებით გაჩირაღდნებულ დერეფანში ჩამოვიდა ცხენიდან, თვალებზე ჩამოფხატული კბენია ჩაბალახი მოიხადა და ირგვლივ შემოჯარულ თავისიანებში სოლომონი რომ დაინახა, ღონემიხდილს მუხლები მოეკვეთა. ქმარმა დროზე შეაშველა ხელი. ქალი მთლად მოსხლტა, საყვარელ ადამიანს შუბლით მხარზე მიეყრდნო და ამდენ ხანს გულში ჩაგუბებულ სიტყვებს გზა მისცა:

— ცოცხალი ხარ, სოლომონ? არაფერი მოგწიეს იმ ულმერთოებმა?

— მე რა მიჭირს, თინათი, შენ რას შვრები, შენ? — ჭაბუკი მეფე აქეთ მოჩერებულ ათას წყვილ თვალს არ მოერიდა, ცოლს მხრებზე შემოჰხვია ხელი, დარბაზში შეუძღვა და კერიაზე გაჩაღებულ შუაცეცხლისაკენ ისე წაიყვანა, თითქოს პატარაა და ფეხს ახლა აღგმევინებსო. — შეგცივდა განა გზაში? ძალიან დაგღალა ცხენმა? — ნუ გეშინია, გაგათბობთ, დაგასვენებთ და ვახშამიც მალე იქნება. არჩილი აგერ წევს. გიცადა, გიცადა, მაგრამ ვერ გასძლო, დაეძინა. მოდი, — სოლომონმა ჯორკო გამოსწია, წინ დაუდგა. — ეი, ვინ ხართ მანდ, დედოფალს ნაბადი მოართვით!..

— არ მინდა ცეცხლთან, სოლომონ, — წაიჩურჩულა თინათიმ და მძინარე ბატონიშვილ არჩილს დახედა, ნიკაპქვეშ საბანი შეუსწორა. — არ მცივა, პირიქით, დამცხა კიდეც. თბილად მაცვია. რაც კი რამ გვებადა, ხვაშაქმა სულ ზედ შემომახვია, გზაში არ გაცივდეო.

— თან ვერ წამოიყვანე?

— ბევრი ვეხვეწე, არ წამომყვა. დიდ დედოფალს ვერ დავტოვებ, უჩემოდ ყოფნას არ არის დაჩვეულიო.

— ჩვენ შიშით აღარა ვართ. რანაირად გამოხვედი სასახლიდან, ბიჭებმა როგორ მოგაგნეს?

—მე არაფერი ვიცოდი, სოლომონ. ხვაშაქმა გამაღვიძა და მითხრა. სანთელიც არ აუნთია. ბნელაში ჩავიცვი. სული აქამდე ძლივს მოვიტანე. მეგონა, შენ რაიმე გიჭირდა და არ მიმხელდნენ...

— მაშ, ხვაშაქმა გვიხსნა? საცოდავი! თავი გადაუდვია. ახლა უკვე დილეგში იქნება. ქოჩრით ათრევენ. ღმერთი მოწყალეა. იქნება ვერც შეიტყონ. იასე ხომ ნახე?

— ჩემი თავი იასეს ჩააბარა ხვაშაქმა, იასემ კი დათუნასთან და ნიკოლოზასთან მიმიყვანა. ამათ ცხენებიც მოემზადებინათ და საღორიის ტყეში მელოდნენ.

— ყოჩაღ, ძმაო, იასე, შენი ამაგი და ხელისშეწყობა ნურც მოგვეშალოს. გამჩენმა შემაძლებინოს სამაგიერო პატივის მოგება! ღმერთს მადლობა შევწიროთ, თინათი, რომ ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა და ისევე ერთად ვართ. თავი სიზმარში მგონია. მე, რაღა დაგიმალო, იმედი დავწმინდე. ვერ გეტყვი.

რა გუნებაზე დავდგებოდი, გათენებამდე რომ არ მოსულიყავი.

— ვაი, რა გლახა გზებია, სოლომონ, თან ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან. მოწამეთას რომ გამოვცდით...

— მოიცა, სხვა ამბებს მერე მომიყვები. ახლა დაისვენე. ხვალაც დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ნაქერალა უნდა გადავიაროთ. მაშ, ცეცხლთან არ დაჯდები?

— ლოგინი გამიშალონ...

— უვახშმოდ?

— არაფერი არ მინდა, ღმერთმანი, სოლომონ, ოღონდ ლოგინში ჩამაწვინეთ და შენ ჩემს ახლოს იყავი. რაღა დროს ვახშამია, ადამიანო, სადაც არის გათენდება!

ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ, ტყუპისცალ ძმისებრ მოსულმა და კევრივით ბეჭბრტყელმა ვაჟკაცმა, კარი შემოაღო და დედოფალს ნაბადი შემოუტანა.

— დედას დაუძახე, ნიკოლოზა, — თავის მოუბრუნებლად მიმართა მას მეფემ. — დედოფალს ეძინება.

— ამას რა ვუყო, ბატონო, ნაბადი აღარ უნდა?

— დადე აგერ!

ძიძა სათონეში იყო. საცოდავ ქალს სული კბილით ეჭირა, როდის მიიხმობდა გაზრდილი, თავის მზეთუნახავ თანამეცხედრეს, რომლის საარაკო სილამაზესა და სათნოებაზე აქაც ბევრს ლაპარაკობდნენ, როდის აჩვენებდა. თვით მის ბიჭებს, დათუნასა და ნიკოლოზას, ცოლის თხოვა აგვიანდებოდათ. დედა ჯავრით აღარ იყო, მთლად დაუოჯახებელი არ დამრჩენო. შვილოსნობას გადაჩვეულ ქალს ჩვილი ბავშვის ტირილი და აკვნის ჭრიალი ენატრებოდა. დიდ დედოფალ თამარს, როგორც დედა — დედას, გულში შენატროდა, პირმშო შეილმა რომ ამისთანა ღვთისნიერი ქალი მოჰგვარა და რძლად დაუსვა!

ხელის წასაშველებლად გადმოსული მეზობლის დედაკაცები თორნეში პურს აკრავდნენ. ძიძას მეფის საყვარელი რაჭული ბაჭულები გამოეცხო, ცხრილზე დაემწკრივებინა და ბატის ფრთით ზედ ნიგვზის ზეთს უსვამდა. მეფე გხმობილობსო, რომ შეატყობინეს, საქმე მიატოვა, ფქვილიანი ხელები წინსაფარზე შეიწმინდა, წინსაფარი იქვე მიაგდო და გულაჩქროლებულმა ქოხს მიაშურა.

თინათი ძიძას მიეხალისა. გლეხის ქალს თვალები ცრემლებით აევსო. ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო. დედოფალი გულში ჩაიხუტა და, რაკი დამშლელი არავინ ჰყავდა, როგორც თავის ღვიძლ შვილს, კოცნა დაუწყო. თინათის რძისა და გამომცხვარი პურის მსუყე სუნი ეცა. ძიძა ენას უჩლექდა, ეფერებოდა, რა საალერსო სიტყვებს არ იგონებდა!

ლოგინი ფიცრულ ოთახში გაუშალეს. სხვა დროს ძიძა აქ სასტუმრო ქვეშაგებელს, ფარდაგებს, ადრე გარდაცვლილი ქმრის ტანსაცმელსა და იარაღს ინახავდა, მაგრამ სახლში ახალგაზრდა ცოლქმრის გამოსადეგი სხვა ცალკე ოთახი არ იყო და ისიც იძულებული შეიქნა, სტუმრად მობრძანებული მეფე და დედოფალი ამ პაწაწინა, უსარკმელო სანთიობოში დაებინავებინა.

— ზამთარში აქ, ალბათ, საშინლად ცივა, — თქვა თინათიმ ძიძა რომ გავიდა და ისინი მარტო დარჩნენ. უმნიშვნელო ამბებზე ყურადღებას განზრახ ამახვილებდა. ამით ცდილობდა სოლომონისათვის ეგრძნობინებინა, რომ იმას, რაც მოხდა, დიდ რამედ არ თვლიდა. ეს, ქალის აზრით, თავის სიცოცხლეში პირველად დამარცხებული სოლომონის ნუგეშისცემის ერთადერთი უტყუარი ხერხი იყო. — შენ უნდა წახვიდე? — ჰკითხა ქმარს.

— ცოტა ხანს გავალ და ისევე მოვბრუნდები.

— მე არ დავიძინებ, იცოდე, დაგიცდი.

— საბანი ხომ არ დაგიმატო? თუ გინდა, შენს ნაბადს დაგახურავ, აგერ არის.

— არა, ცოტა შემცივდა, მაგრამ უკვე გავთბი.

— დილას ადრე გავდივართ. ძილის დრო ძალიან ცოტა დარჩა.

— რაჭაში?

— ჰო, ხოტევის ციხეში გავატარებთ ორ-სამ კვირას.

— მერე?

— ვნახოთ, საქმე გვაჩვენებს.

— ომს აპირებ?

— თუ სხვა გზა არ იქნა... გამოსადენი სისხლი უნდა გამოდინდეს!

— შენ მაგას წინათაც ამბობდი.

— წინათაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ!

— დედა, ბაბუა, ბიძები?

როგორღაც გაუცხოვებული და პირქუში სოლომონი, ზეთის ჭრაქით განათებულ პაწაწინა ოთახში გულხელდაკრებილი რომ იდგა და ლოგინში წამომჯდარ ცოლისათვის სანახევროდ ზურგი შეექცია, მთელი ტანით შემოტრიალდა.

— დედაჩემმა გითხრა რამე თუ?

— კი, — თინათიმ ქმრის ანთებული თვალების შემოხედვას ვერ გაუძლო და თავი ჩაღუნა. — მითხრა...

— რა უნდა? შენთან რა ესაქმებოდა, შენ რომელი პასუხის მიმცემი ხარ!

— ძალიან ნაწყენი იყო, სოლომონ, როგორ თუ ბატონ ბაბუას გაუბედა სიტყვის შებრუნებაო...

— მაგას დაავიწყდა, რომ ამ ქვეყანაში მე ვარ პირველი კაცი, მეფე და არა ბაბუაჩემი? კიდევ რას ბრძანებს?

— ეს ისე გამოდის, თითქოს მე ენა მოგიტანე და შენიანების წინააღმდეგ გამხედრებ. თუ გიყვარვარ და გებრალები, ნუღარაფერს მკითხავ, არ მინდა ამ საქმეში გავერიო...

— როგორ თუ არ გინდა, შენს ნებაზეა?

— ჩვენ აღარაფერს გვიჯერებს, უგვარო წულუკიძეები, წერეთლები და აგიაშვილი დაისვა მრჩევლებადო, — თინათიმ თვალი ისევ აარიდა ქმარს და უცებ ვერ მოიგონა, როცა ამას ამბობდა, ზურაბ მიქელაძე და ბერი ლორთქიფანიძე ახსენა თუ არა დიდმა დედოფალმა.

— სწორედ აგრეა! მერე შენ რა უპასუხე მაგაზე?

— მე რა უნდა მეპასუხა, სოლომონ, ეგ რომ გავიგონე. მირჩევნოდა, მიწა გამხეთქოდა და თან ჩავეტანე.

— არა ჰგავს, თინათი, ეგ დედოფლის პასუხს! — სოლომონს ხმა სულ გაუცივდა. მრისხანება თანდათან იპყრობდა და თავს ძლივს უმკლავდებოდა. — ბატონი დედაჩემი რომ სადედოფლო ტახტზე იჯდა, სხვაგვარად იქცეოდა. ხელში ვეკავეთ ყველა, აი, ასე! — მან თითები მომუშტა. — ქმარიც და შვილებიც...

— მე არ შემიძლია, სოლომონ... — ქალს უცებ გული ამოუჯდა და თვალები ცრემლებით აევსო. — მე არ შემიძლია... მე... მეშინია დედასი... საერთოდ მეშინია, არაფერი აგიტეხონ. შენ არ იცი, იქ რა ხდება. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, რომ გელათიდან შინ არ მოხვედი.

— ქსნის ერისთავის და ჩოლოყაშვილის ყურამდე მივიდა ეს ამბავი?

ქმარი რომ უფრო არ განერისხებინა, თინათიმ ცრემლები ნამალევად მოიწმინდა და, როგორც შეეძლო, საქმიანად უპასუხა:

— არა მგონია, სოლომონ, დესპანებს ამ დილას გააცილებენ. ჩხერის ციხემდე გაჰყვებიან...

— ვინ აცილებს?

— მაგას მე ვინ მეტყოდა!

— ურიგო როდი იქნებოდა, ვინმე მივგევგზავნა. — თავისი ფიქრების პასუხად თქვა მეფემ. — ვინ იცის, რას ეტყვიან, რას ჩააგონებენ. ახლა ქართლ-კახეთის მეფეების მომდურება მაკლია სწორედ!

— საშიშია, სოლომონ, ვერავის ენდობი. ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი მარგველებს და ერისთავის კაცებს უჭირავთ. რაც არ უნდა მოხდეს, ლე-

ვან ბაბუას და გიორგი ბატონიშვილს აგებინებენ...

გიორგი ბატონიშვილის ხსენებაზე სოლომონს მწარედ გაეღიმა.

— მაშ, მეფობა მოუწადინებია ჩემს ბატონ ბიძიას? ღმერთმა ხელი მოუმართოს! რაც საწყალი მამიჩემის ხელში ვერ ქნა, ახლა უნდა შეისრულოს. კარგი, გენაცვალე, თინათი, დაიძინე ახლა, დახუჭე თვალები. საუბარს მერეც მოვესწრებით! ხოტევის ციხეში სხვა რა უნდა გავაკეთოთ... ხალხი მელოდება.

— ჩიჩუა, სოლომონ? ჩიჩუა სად არის?

მეფე უკვე კართან იყო მისული, ქალმა რომ ეს კითხვა დააწია. სოლომონი შეკრთა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, მობრუნდა და ვითომდა შემთხვევით, ცოლს თვალებში შეხედა. ქალის თვალებში მას უფრო იმის ამოკითხვა სწადდა, თინათიმ ხომ არაფერი იცოდა ოტია დადიანის წიგნისა. საიდან და როგორ უნდა სცოდნოდა! თუმცა... სოლომონმა თავისდა უნებურად შუბლზე იტაცა ხელი და მოისრისა. ვაითუ იმ წიგნის პირი, ჩიჩუამ რომ მოუტანა, დიდ დედოფალსაც მიუვიდა? ლევან აბაშიძის ვერაგი ასული, ბატონი დედა, ხელმწიფის ძალაუფლება და სხვათა ბედიღბლის ტრიალი ქმარსაც რომ ერჩივნა და შვილების კეთილდღეობასაც, ძვირფას შემთხვევას ხელიდან როდი გაუშვებდა, უმალ თინათის გაუგზავნიდა წიგნს და წააკითხებდა, ნახე, შენს ორპირ ქმარს რასა სთავაზობენ და ის კი, ნაცვლად იმისა, თავგასული ოდიშარი ძელზე გაასმევინოს ან ანთებულ საკირეში ჩააგდოს, მას დიდი პატივითა და მოწიწებით ეპყრობაო.

სოლომონს მოეჩვენა, რომ თინათიმ რამდენჯერმე დააპირა დადიანის მოციქულის მოსაკლისება, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერ გაბედა, ახლა კი მხნეობა მოიკრიბა და ქმარს პირდაპირ ჰკითხა.

მეფემ მხრები აიჩეჩა. მე რა ვიცი ვიღაცა ჩიჩუას ასავალ-დასავალიო. თავს უკვე დამნაშავედ გრძნობდა, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული, მართლა იცოდა რამე თინათიმ თუ არა. დღეს ეს პირველად ხვდებოდა, რომ ცოლს რაღაცას უმალავდა. უმალავდა კი არა, თუკი თინათი რომელიმე სხვა გზით ვერ შეიტყობდა, დადიანის უხამს შემონათვალს არც არასოდეს გაუმხელდა. სოლომონმა ცოლის მორჩილ, მაგრამ მაინც რაღაც შეუცნობელი შინაგანი ძალით აღვსილ მზერას თვალი აარიდა.

— ერთად არ ყოფილხართ? — ჰკითხა თინათიმ.

— სად? — სოლომონი შეეცადა დრო მოეგო და სანამ ქალი თავის შეკითხვას დააზუსტებდა, პასუხი მოეფიქრებინა.

— ჩხეიძისეულ სასახლეში.

მეფემ შეატყო, თინათიმ ყველაფერი თუ არა, ზოგი რამ მაინც იცისო და გადაწყვიტა, თუ სხვა გზას ვერ გამოძებნიდა, დადიანის მოციქულთან განმარტოება გულმართლად ეღიარებინა, ოღონდ იმაზე კი, რაც ყველაფერზე მთავარი იყო, კრინტი არ დაეძრა...

— ხვაშაქმა გამაგებინა, — განაგრძო თინათიმ და მეფე მიხვდა: ის სრულებითაც არ ცდილობდა ქმრის გამოტეხას. — ხვაშაქმა ყველაფერი იცოდა, სოლომონ, თამაზა მესხმა თუ უთხრა...

თამაზა მესხი! ეს მერამდენედ უხსენეს სოლომონს მისი სახელი. ვინ იყო ეს ახალგაზრდა და მოხერხებული სამცხელი აზნაური, ნემსის ყუნწში რომ გაძვრებოდა, მართლაც მეფის ფარული მოკეთე თუ ლევან აბაშიძის მიერ გაღაბირებული გაიძვერა? პირდობოდა თუ არა, მტრად მიეჩნია თუ მოყვარედ? თუ მოყვარე იყო, ხვაშაქს რად გაუტყდა, რის საფუძველზე ვარაუდობდა, რომ დიდი დედოფლის ერთგული მოახლე ყველაფერს თავის ბატონს არ ჩაუკაკლავდა? ხოლო თუ გულში მეფის მტრობა ედო, რად არ აჩქარდა და ლევან აბაშიძის მარგველები თავზე ზემო დიმშივე არ დააყენა? სოლომონი თვალს არ აშორებდა გულუბყვილო ბავშვივით

აქტიწებულ ცოლს. ქალმა უტყუარი ალღოთი შენიშნა, მე აღარ მისმენს, სხვა რამეზე ფიქრობსო და თავი ბალიშზე მისდო, საბანი ნიკაპამდე წაიფარა.

— წადი. აკი ხალხი მელოდებაო?

— რა გითხრა კიდევ დედამ? — თითქოსდა თავის გასამართლებლად ჰკითხა სოლომონმა, საწოლთან გაჩნდა, საბანს ყური გადაუწია და ცოლს ტახტზე ჩამოუჯდა.

თინათი გაწითლდა. ქმარი ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა, სულში უძვრებოდა.

— აღარ მიდიხარ?

— რა გითხრა, რატომ არ მეუბნები?

— შენ ნუ მომიკვდები, აღარც კი მახსოვს. რაკი უვნებელს გხედავ... ყველა ჭირი უკვე დამავიწყდა.

— ადრე იმშვიდებ თავს! — მკაცრად შეაწყვეტინა ქმარმა. — ჩვენი და ქვეყნის ჭირი მხოლოდ ახლა იწყება!

— ვიცი, — თინათიმ წამწამები ასწია და ბუდეებში ირიბად ჩამსხდარ დიდრონ თვალებში აუხსნელი წუხილი და ზრუნვა ჩაესახა. — ყოველთვის ამის მეშინოდა. ვერ გეუბნებოდი. სიზმრებიც უკუღმართი მქონდა. რისაც მეშინოდა, ის მოხდა სწორედ. უარესი ღმერთმა გვაშოროს. შეიძლება, უარესიც მომხდარიყო. ჩემმა ლოცვამ გვიხსნა...

— მითხარი, რა გითხრა დედაჩემმა, — სოლომონმა ცოლს დაუყვავა და შეძლებისდაგვარად კიდევაც აუხსნა, ასე რადაც აცივდებოდა: — მე მინდა ვიცოდე, საქმეს ჭირდება...

— თუ უყვარხარო, — თინათის კვლავ სიწითლე მოერია სახეზე და თვალები დახარა. — სოლომონსო...

— მერე?

— არ ვიცი მეთქი... ალბათ მეთქი... დავიბენი. რა მეთქვა? ეს ისე მოულოდნელი იყო...

— მაგის კითხვა რისთვის დასჭირდა? — დადიანის უგვანო წიგნის წაკითხვის შემდეგ სოლომონს ეს მეორედ შემოეგზნო გულზე ცეცხლი და ღაწვები აეწვა.

— თუ მართლა უყვარხარ, შეეხვეწე და დაგიჯერებსო. მე ვიცი, შენ ბევრჯერ გითქვამს, სოლომონ: ასე არ არის... ვუთხარი.

— რა უნდა დაგიჯერო მაინც?

— სიახლოვეს არ გაიკაროს დადიანიო, ოტია ჩვენი სახლის ძველი მტერია და იმის გვერდში ამოყენება ბაბუა ლევანის დასამარება იქნებაო. გელათიდან რომ მოვბრუნდით, მაშინაც ეს მითხრა. შემახვეწეო...

— ჰმ... შენ თავად რას ფიქრობ?

— მე? — თინათი განცვიფრდა, გრძელი წამწამები რამდენჯერმე დაახამხამა. თავად მას რა უნდა ეფიქრა, ამას განა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა?

— ჰო, შენ თავად რას ფიქრობ? — გაიმეორა მეფემ, თავი გვერდზე გადახარა და პასუხს დაელოდა.

— მე... — გაუბედავად დაიწყო თინათიმ, ქმარს წამიერად თვალი გაუსწორა, მართლა მეკითხება თუ მცდისო და როცა დარწმუნდა, მეფე პასუხს ელოდა, ასევე გაუბედავად განაგრძო: — მე იმისთანა რა უნდა გითხრა, სოლომონ, შენ რომ საქმეში გამოგადგეს...

— აგრე რატომ გგონია? სხვები თუ ამბობდნენ? — ამ „სხვებში“ სოლომონმა თავისი დედა, დიდი დედოფალი თამარი, იგულისხმა. — თქვი! მე გისმენ... შემოვირიგო დადიანი თუ არა? ჰა, როგორ მოვიქცე?

— გეგუთში წავიდეთ, — მცირე ყოყმანის შემდეგ ძლივს გასაგონად წაილაპარაკა ქალმა და სახეში შემოჩერებულ მეუღლეს მზერა მოარიდა.

სოლომონს გაუკვირდა.

— გეგუთში? გეგუთში რა გინდა?

— ეგ ხომ შენი საუფლისწულო მამული იყო, — თინათი უკვე მიხვდა, რომ გეგუთი საერთოდ არ უნდა ეხსენებინა, ვერ გაეგო, რად ახსენა, ახლა კი აღარც გაჩერება შეეძლო. — იქ სასახლე და კარის ეკლესია გვაქვს...

— მერე?

— წავიდეთ და... ვიყოთ ჩვენთვის.

— ჩვენთვის ვიყოთ? — სოლომონი კიდევ უფრო განცვიფრდა, ეს ადამიანი რას მეუბნებაო, მოიქუფრა, სახეზე საწვიმარმა ღრუბელმა გადაუარა. — ვინ გვამყოფებს, თინათი, „ჩვენთვის“. შენ მაგას მართლა მეუბნები?

თინათი თავს ებრძოდა. ყველაზე სანუკვარი საიდუმლოს გამჟღავნების წამი მგონი უკვე დამდგარიყო. გაემხილა სოლომონისათვის, რომ მალე დედა გახდებოდა? ამ ამბის შეტყობა ერთბაშად დააცხრობდა სოლომონის სიფიცხეს, მათ საუბარს სულ სხვა ელფერს მისცემდა. უკანასკნელ წუთს ქალმა თავი შეიმაგრა და მხოლოდ ეს თქვა:

— შვილები გვეყოლება, სოლომონ, ჯერ ქალ-ვაჟი, მერე...

— ოსმალო რომ დაგვეცეს და ორივე მოგვტაცოს?

თინათი გაშტერდა. პასუხის გასაცემად პირში ენა ველარ მოატრიალა. ერთხანს ასე დარჩა, სოლომონს თავზარდაცემული შეჰყურებდა, ბოლოს ძალღონე მოიკრიბა, წამოჯდა, ქმრის მკლავი ორივე ხელით ჩაბღუჯა, ზედ ისე მიეკრო, თითქოს ჩვილ პირმშოს იხუტებს გულშიო და შეცვლილი ხმით წასჩურჩულა:

— ეგ რა თქვი, სოლომონ, ღმერთმაც ნუ მომასწროს!..

— ჩვენი მტრები ოსმალოსაც არ დაელოდებიან, — მეფემ გაიღიმა, მაგრამ ეს ღიმილი რისხვისა იყო. — თავად ეახლებიან ძღვენით ახალციხეში. გგონია, არა?

— ვინც მეფე არ არის, ყველას ხომ ეს დღე არ ელის!

— ყველას მოელის ეს დღე, თინათი, თვით მეფესაც. ქვეყანა გაჩანაგდა, სისხლისაგან დაიცალა. შენ ვერც კი წარმოიდგენ, გარეთ, ამ კედლის იქით, ჩვენ რომ გვფარავს, რა ხდება, რა ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს. აიშვეს თავი ჩვენმა გაზულუქებულმა ქვეშევრდომებმა. დღე ერთია და მაგათი კაცები ათობითა და ასობით გოგოსა და ბიჭს ყიდიან ახალციხის, ბაღდადის და ყულევის ბაზრებზე. შენ იცი, თინათი, რა არის ადამიანის გაყიდვა? — სოლომონი წამით დადუმდა და მერე ისევ განაგრძო. — ან აქამდე რა სასწაულით მოვედით, ღმერთო, როგორ არ გამოვილიეთ! დედას შვილს აგლეჯენ გულიდან, ოჯახს მარჩენალ მამას უკარგავენ, მთელ უბანს თუ სოფელს ნაწილ-ნაწილ ყიდიან, ბუხარში კვამლს აქრობენ. ხე რომ ხეა, თინათი, მომჭირნე და ჰკუათმყოფელი კაცი იმასაც არ მოჭრის ასე უყაირათოდ და უთავბოლოდ. მარჩენალ ყმას რჯულსა და დედულ-მამულს უკარგავდე, ორიოდე გროშის გულისათვის სულის წასაწყმედად იმეტებდე... შენ იცი, რომ თუ მიწისმუშა ყმაგლეხი არ გვეყოლა, ჩვენ არარაობა ვართ? ქვეყანა კამეჩის რქაზე კი არა, გლეხკაცის მარჯვენაზე დგას. თუ ქარქაშიდან ხმალი დროით არ ამოვიღეთ და ეს ჭირი არ მოვიშორეთ, ქრისტიანი კაცი ველარ იბოგინებს ამ არემარეზე. სანთლის ამნთებიც კი აღარავინ დარჩება. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა. უცხო თესლი იხარებს. აგარიანი ისედაც ბევრი ჩამოგვისახლდა. ქალი და ბავშვი წირვაზე ველარ წასულა. ჩვენ ვინა ვყრივართ, ბატონო, ვის დავკარგივართ! ისე მოისვეს თავზე ხელი, ისე გათამამდნენ, ადამიანის შვილებადაც აღარ გვაგდებენ. გასკდა გული, თინათი. შენ კი, იმერეთის დედოფალი, ამ დროს შენს ქმარს, იმერეთის მეფეს, ემუდარები, გეგუთში წავიდეთ და იქ ჩვენს საუფლისწულო მამულში მყუდროდ ვიცხოვროთო? წყევლისა და შეჩვენების მაინც არ გეშინია? ნუ გამამწარებ, თინათი, სიტყვას დაუფიქრდი. გახსოვდეს: ჩემ მამულზე უფრო ძვირფასი და გუნდრუკის საკმევი მე მეორე არაფერი გამაჩნია. ამისთანა წყეულ ვარსკვლავზე გავჩნდი. საქმე თუ საქმეზე მიდგა... არ მინდა, საცოდავი მამაჩემის ძვირი ვთქვა. შენ ხომ იცი, როგორ მებრალებოდა საწყალი ამ სისხლით გაუმაძღარი ნადირების ხელში,

მაგრამ მე რომ არა ვთქვა, სხვა იტყვის, შვილსა და მომავალს ვერსად დაემალები: ვერ გაუძლვა ქვეყანას მამაჩემი, ვერ მოერია ამ... — მეფე შებორძიკდა, პირს უდიერი სიტყვა მოადგა. — ცხვირიდან ძმარი უნდა ედენინებინა. ამან კი რა ჰქნა? ციხეები ჩამოურიგა, თავად ხელცარიელი დარჩა. ეგონა, დავთმობ და ამით ორგულს გავიერთგულებო. როდის მომხდარა ასე? როგორც საკუთარ ჩრდილს ვერ გაასწორებ კაცი, ისე არ გასწორდება ზოგიერთი ძაღლი და მამაძაღლი. მამაჩემს ეს უნდა სცოდნოდა. არ უნდა სცოდნოდა? მეფე იყო, ვალდებული იყო... თავად დაფიქრდი: სკანდის თუ სვერის ციხეში რომ ბაბუაჩემი ლევან აბაშიძე გამაგრდება, მინდაციხეში რომ როსტომ რაჭის ერისთავი მოიწყობს ბუდეს, ხოლო ოზურგეთს ბატონი ბიძაჩვენი მამია გურიელი გადაეფოფრება, შენ გამოიყვან ან ერთს, ან მეორეს და ან მესამეს იქიდან, შენ ჰკუაზე გაატარებ?

— საშველი აღარ ყოფილა, აბა, სოლომონ! — ნიბლია ჩიტივით დამფრთხალი თინათი თრთოდა, ქმრის მიერ წარმოთქმული ყოველი ახალი სიტყვა თავზარს სცემდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

— საშველი არის. ვინ გითხრა, არ არისო! — მკაცრად შეაწყვეტინა ცოლს მეფემ. — ომი, ხმალჩაუგებელი ომი, სანამ ერთი ოსმალო მაინც თელავს ჩვენი უბედური სამშობლოს მიწა-წყალს!..

— ვინ იომებს, სოლომონ, მარტო შენ?

— ყველა უნდა შემოვიკრიბო, ყველა კაცური კაცი, ვისაც გული მამულის საკეთილდღეოდ უძგერს. დადიანს კი არა, მგონია, ეშმაკსაც შევეკრა, თუკი საქმეში გამომადგება და ზურგს გამიმაგრებს. მე არა მრცხვენია, თინათი. რა მაქვს სასირცხვო! დედამთილმა შეგაშინა? დადიანი ჩვენი სახლის ძველი მტერიაო! თუ არ იცის, იმან უნდა იცოდეს, რომ მე ჩემი ქვეყნის კანონიერი მეფე ვარ და ჩემს სამეფოს სახლებად და ეზოებად არ ვანაწევრებ. სანამ გარეშე მტერს წესს ავუგებდე, თუ ღმერთი ჩემკენ იქნა, ჯერ შინაურ ორგულს გავუსწორდები. გახსოვს, ერთხელ რა გითხარი?

— გეხვეწები, ნუ გაიმეორებ, ტანზე ეკლები მაყრის, ეგ რომ მომაგონდება.

— ამას, თინათი, შენი თვალით დაინახავ. მე ღმერთს აღთქმა მივეცი. სანამ სული მიდგა პირში, ამ აღთქმას არ ვუღალატებ. სამშობლო უნდა გავათავისუფლო. ვერ ვიზამ, ვერ შევწვდები? შვილსა და შვილიშვილს დავუბარებ. მე არა მაქვს შიშისა და უკან დახევის ნება. მხედარი ვარ და თუ მოსწრაფებული სიცოცხლე მიწერია, ომში უნდა მოვკვდე!..

— ღმერთი იყოს შენი შემწე! — მხურვალედ წარმოთქვა თინათიმ და სველი ღაწვები საბნის ყურით შეიმშრალა. — მე ყოველდღე ვილოცებ, მაღალ ღმერთს, იესო მაცხოვარს, შევსთხოვ შენს დღეგრძელობას და გამარჯვებას. ვაი რომ ქალი ვარ...

— თუ არა, რას იზამდი?

— შენს გვერდით დავდგებოდი, სოლომონ, როგორც ყველა შენი ერთგული და ვიომებდი. ბოლო, იცოდე, კეთილია. გული მეუბნება...

— ამას შენ ამბობ?

— მე ვამბობ, სოლომონ, რა მოგივიდა!

მეფემ მუხლი მოიყარა, ცოლს ორივე ხელი მოჰხვია, გულზე სათუთად მიიხუტა და თავისი ცხელი ტუჩები ქალის ნაზ ყვრიმალს შეახო.

## XII

ვარციხის სასახლეში დაბინავებულ ქართლ-კახელ დიდებულებს და მათ მხლებლებს დილამდე მართლაც არაფერი შეუტყვიათ. რისამე სარწმუნოდ შეტყობა მათ ვერც მეორე დღეს შესძლეს. გუმანით ყველა მიმხვდარი იყო: სანამ სტუმრებს ეძინათ და ძილში ტკბილ სიზმრებს ხედავდნენ, აქ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბები დატრი-

ალდა. მაგრამ რა ამბები? მათ, უცხო ხელმწიფეთა ქვეშევრდომებს, ამის გამოძიება და ყველაფრის შეტყობა არ შეეძლოთ. ქართლის მეფისა და კახბატონის დესპანების მხრივ ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენა იმერთა ახალგაზრდა ხელმწიფეს ვაითუ საკუთარ საქმეებში ჩარევად მიეჩნია და ამ ამბავს შემდგომი უსიამოვნებაც მოჰყოლოდა.

სასახლეს მთელი ღამე არ სძინებია. ორჯერ თუ სამჯერ ჭიშკრის მცველებმა ვიღაც ცხენოსნები შეაჩერეს, მერე ჭიშკარი გაუღეს და ყველა გალავანში შემოუშვეს. ერთხანს სიწყნარე სუფევდა. რა ხდებოდა? რას მოასწავებდა ეს გაუთავებელი მისვლა-მოსვლა და კიბეების ჭრიალ-ჭრიალი? თავიანთი ეჭვი და ფარული შეშფოთება ჩოლოყაშვილსა და ქსნის ერისთავს ერთმანეთისთვისაც კი არ გაუზიარებიათ. ერთსაც და მეორესაც, რასაკვირველია, მსტოვრები ეყოლებოდა მიჩენილი და ყოველი გაუფრთხილებელი სიტყვა ან ნაბიჯი მათ საზიანოდ შემობრუნდებოდა. დესპანებს არც ის დარჩენიათ შეუმჩნეველი, რომ ოდიშის მთავარ ოტია დადიანის ნების გამომხატველი კაცო ჩიჩუა ჭირის სუფრაზე მათ გვერდით არ იჯდა, ხოლო თვით სოლომონი სასახლეში დილასაც არ გამოჩენილა.

რით უნდა აეხსნათ ახალგაზრდა მეფის ეს უცნაური საქციელი? ახსნა მხოლოდ ერთი მოიძებნებოდა: იმერთა მეფე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უარს აცხადებდა ქართლ-კახეთის მეფეებთან სამეგობრო ურთიერთობაზე, რაკი მათ კაცებს ასე უმადურად და უპატიურად მოეპყრო. სოლომონის ამგვარი გამომწვევი მოქცევა ოსმალთ, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ისიც სულ მალე მიიღებდა შესაფერ ჯილდოს და მხარდაჭერას ჯერ ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადისაგან, ხოლო შემდეგ კი, ვინ იცის, თვით სულთნისგანაც...

ქსნის ერისთავმა იასემ დილაადრიან უბრძანა თავის მხლებლებს, ცხენები შეეკაზმათ. კახელებს კიდევ უფრო ადრე გაეწიათ გამგზავრების თადარიგი და თითქმის უკვე გზას ადგნენ. დიდად საპატივცემულო სტუმრებს სწორედ ამ დროს მოაკითხა მეფის ბაბუამ, ბატონმა ლევან აბაშიძემ, დარბაისლურად მოუბოდიშა, აქამდე უყურადღებოდ დაგტოვეთო და უკვე სამგზავროდ გამოწყობილთ მეჯლისების დარბაზისაკენ გაუძღვა. აქ დილის საუზმე იყო გაშლილი. დიდ დედოფალს, თამარს, თავი ასტკივნოდა და მიუხედავად უაღრესი მოწადინებისა, ვერ ახერხებდა სტუმრებთან გამოსვლას. პატრი ლეონე თავისი ხელით შემზადებულ წვეთებს ასმევს და შეიძლება თვალში გამოახედოსო. დესპანებს დარბაზში არავინ დახვედრია. მხოლოდ ხუთიოდე წუთის შემდეგ შემობრძანდა ღამენათევი, ცოტათი ხმაჩახლეჩილი კათალიკოსი ბესარიონი, რომელსაც კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი ახლდა, და სუფრა აკურთხა...

სტუმრებს დანა პირს არ უხსნიდა, ლუკმა ყელში არ გადადიოდა. ირგვლივ აუხსნელი დაძაბულობა გამეფებულიყო. თითოეული აქ მყოფი თითქოს თოფისწამლით სავსე კასრზე იჯდა. სტუმრებმა აქვე, აბაშიძისაგან შეიტყეს: ქართლ-კახეთის დიდებულ მეფეთა წარმოგზავნილ დესპანებს, იმერეთის სამეფო კარს ნეტარხსენებული ალექსანდრეს გარდაცვალების გამო ძმური სამძიმრისა და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად რომ ესტუმრნენ, თვით ქართლის საზღვრამდე — ჩხერის ციხემდე — მიაცილებდა ორასი რჩეული მხედრისაგან შემდგარი რაზმი. ასე რომ, გზაში მარბიელ ლეკთა მოულოდნელი თავდასხმის შიში აღარ უნდა ჰქონოდათ. რაზმი სწორედ წინაღამეს ჩამოიყვანა რაჭიდან როსტომ ერისთავის საუალმა ვაჟმა ნაბერალმა მეთოდემ თვით როსტომი, გურიის მთავარი მამია და ზოგიერთი სხვა დარბაისელი, გუშინ რომ რატომღაც დააკლდნენ ჭირის

სუფრას. არც დღეს ჩანდნენ. სად წავიდნენ ნეტავ? ასე საჩქაროდ და ჰაიჰარაზე ყველა სად გაიკრიფა?

ლევან აბაშიძე მასპინძლობდა. სტუმრებს დღეს ის უფრო ნაღვლიანი, დაღლილი და შეფიქრიანებული ეჩვენა, ვიდრე წინა დღეებში, მაგრამ ბატონ ლევანს თავი მაინც ისე ღირსეულად ეჭირა, თითქოს შინ — კაცხია მამულში ყოფილიყოს და არა იმერთა მეფის სასახლეში. მეფე — თავისი შვილიშვილი, ერთხელაც არ უხსენებია, არც ბოდიში მოუხდია მის მაგიერ, გადაუდებელი საქმე შეხვდა და იმ საქმის გადამკიდე დიდებული თანამოძმეები ველარ მოინახულა და ჯეროვანი პატივით ვერ გააცილაო. ეტყობა, როგორც დიდებულსა და დარბაზის წევრს, ლევანს ამის რწმუნება მეფისაგან არ ჰქონდა...

საუზმეს მოგვიანებით შემოესწრნენ გიორგი და მამუკა ბატონიშვილები. ბატონიშვილ გიორგის ლევან აბაშიძე განსხვავებული მოწიწებით, თანაც საკუთარი ღირსების სრული შეგნებით შეხვდა, მისი სკამი მსახურებს თავისი სკამის გვერდით დაადგმევინა, მამუკამ კი სუფრას შემოუარა და უფროსი ძმის საპირისპირო მხარეს დაჯდა. გრძელი და შეფარული აზრის შემცველი სადღეგრძელოები არც ახლა წარმოუთქვამთ. ამისა არც ხალისი იყო და არც დრო...

გიორგისა და მამუკას მობრძანების შემდეგ ქართლ-კახელი დიდებულები და მათი მხლებლები აჩქარდნენ. ისინი აქამდეც ეკლებზე ისხდნენ და ამ საიდუმლოებით მოცული ჯურღმულიდან თავის დაღწევას ესწრაფვოდნენ. გამომშვიდობებისას დესპანებმა საგანგებო სინანული გამოთქვეს, ბატონი მეფისა, დიდ დედოფალ თამარის და დედოფალ თინათის უნახავად გვიხდება შინ გამგზავრებაო. შემდეგ მასპინძლებს აცალეს, ვნახოთ ერთი, რა პასუხს მოგვცემენო, ყოველივე კეთილი, გამრავლება და სიმრთელე უსურვეს ღვთისაგან კურთხეულ მათ სახლს და, რაკი უკვე აღარ ეგვიანებოდათ, წასასვლელად წამოიშალნენ. ყველაზე ლევან აბაშიძეს უყურებდა. ლევანმა ახლაც წინდახედული დუმილი არჩია, თუმცა შეეძლო კი ამ შეუსაბამობათა გამო სინანული მაინც გამოეთქვა. გამგზავრებამდე კიდევ რამდენიმე წუთი რჩებოდა. მალე მასპინძლებმა სტუმრები კარის ეკლესიაში ჩაიყვანეს. სვიმონ მღვდელი წირავდა. დესპანებმა გიორგი და მამუკა ბატონიშვილებთან, ლევან აბაშიძესთან და კათალიკოს ბესარიონთან ერთად ილოცეს და, ამრიგად, როგორც კი ყველა სავალდებულო რიგი და წესი აღსრულებულად სცნეს, გალავნის კარიბჭესთან მორთმეულ ცხენებს მიაშურეს. ნაბერალი მეთოდეს რაზმი უკვე გარეთ იყო და დესპანებსა და მათს საკმაოდ მრავალრიცხოვან ამალას სვირის გადასახვევთან უცდიდა. ხუთუ ამ დავიდარაბას ბოლო მართლა მოეღო. ყოველივემ მშვიდობიანად ჩაიარა და ისინი ცოცხალნი და უვნებელნი გამოვიდნენ გამოუცნობი მოულოდნელობებით პირამდე აღვსილი სასახლიდან? თუ ეს მხოლოდ მოხერხებული ფანდი იყო და მთავარი საშიშროება ქართლ-კახელთ წინ ელოდათ?

შიში და შინაგანი შფოთი, რომლის გამხელა ორივე დიდებულს სასირცხვილოდ მიაჩნდა, უსაფუძვლო როდი იყო. ქსნის ერისთავი და ჩოლოყაშვილი, მართალია, ძველი საქართველოს სამეფოს ფარგლებში, თავის ღვიძლ ქვეყანაში ღვიძლ ძმებს შორის იმყოფებოდნენ, მაგრამ ქვეყანაც და მისი მკვიდრი მოსახლეობაც დღეს ხომ ოსმალი ბატონის მათრახის ქვეშ გმინავდა. აღმოსავლეთის მეორე გველეშაპის—სპარსეთის ხელდებული ქართლ-კახეთის მეფეთა დესპანების აქ მოსვლას სულთნის მოხელეები, ახალციხის ფაშა თუ მისი სანდო პირები, რასაკვირველია, უნდა შეეშფოთებინა. ხომ არაფერი იცვლებოდა ოსმალეთ-სპარსეთის ახლანდელ ურთიერთობაში? ეს გარემოება წინდაწინვე გათვალისწინებული იყო. ტფილისში,

ისნის სასახლეში, სადაც მამა-ბატონის მოწვევით ერეკლე მეფე საგანგებოდ ჩამოვიდა თელავიდან, ეს იცოდნენ, მაგრამ ტახტის მაძიებელთა ცილობით დაუძლურებულ თეირანთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დესპანების გამოგზავნა და იმერეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასაწყარებლად ხელსაყრელი დროის გამოყენება მაინც გადაწყდა. დესპანები გააფრთხილეს, საქმე, იცოდეთ, საშიშია და თქვენის მხრივ ვაჟკაცობასა და თავდადებას მოითხოვსო...

იასე ქსნის ერისთავი და ეშიკაღაბაში კონსტანტინე ჩოლოყაშვილი ახლა ყველა იმედს ნაბერალ მეთოდზე ამყარებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ მეთოდეს მამას — სწავლულ და ჭკვიან როსტომ რაჭის ერისთავს — მუდამ თავი მოჰქონდა კახბატონ ერეკლეს მეგობრობით. მეფე და ერისთავი ხშირად მოკითხვის წიგნებსა და მდიდრულ საჩუქრებსაც კი უგზავნიდნენ ერთმანეთს და თუმცა ეს ამბავი აწ უკვე გარდაცვალებულ მეფე ალექსანდრეს მაინცდამაინც დიდად არაფრად ეჭაშნიკებოდა, ერეკლე და როსტომი, თითქოს მის გამოსაჯავრებლად, მაინც თავისას შვრებოდნენ.

დღეს რომ როსტომი აღარსად ჩანდა? თუ იმერეთის ახალმა მეფემ ის გზიდან უკვე ჩამოიცილა, ხოლო როგორც მეფეთა რიგია, ერისთავის ძე მშობელი მამის წინააღმდეგ აამხედრა, რაღა თქმა უნდა, გამოკეთების მაგიერ, ამიერიდან კახბატონ ერეკლესა და იმერთა მეფე სოლომონს შორის ურთიერთობა უნდა გაფუჭებულიყო...

მსგავს ამბებში ფრიად გამოცდილმა და თავის ჭარმაგ თანამგზავრზე ასაკითაც გაცილებით უფროსმა იასე ქსნის ერისთავმა ცხენს დეზი ჰკრა, ჩოლოყაშვილს უსიტყვოდ ანიშნა, მოჰყეო და როგორც კი აჯამეთის ხშირ ტყეში ოციოდე ნაბიჯით დაწინაურდნენ, მას თავისი ეჭვები გაანდო. ჩოლოყაშვილმა მდუმარედ მოუსმინა ბატონ იასეს და შემდეგ სულ სხვა ვარაუდი წამოაყენა. მისი შეტყობით, წუხელ შეთქმულება მოუწყეს იმერთა ახალგაზრდა მეფეს, მეფის ყველა თანამდგომი წინასწარ მოხერხებულად დაატუსაღეს და ტახტზე სულ რაღაც ორი-სამი საათის ასული სოლომონი მანამ დაამხეს, ვიდრე ახალციხიდან საამისო დასტური და ბრძანება მოვიდოდა...

იასე, ეს დროული კაცი, გაშტერდა. ჩოლოყაშვილის ვარაუდი, ახლა რომ უფიქრდებოდა, ნამდვილად სიმართლეს ჰგავდა.

ის, რაც კახმა დიდებულმა თქვა, მაშინ უფრო ცხადი და თვალნათლივი შეიქნა, როცა ტყე გალიეს და მხედრების ყურადღება ასობით ადამიანის ყაყანმა, ყვირილმა, მოთქმა-გოდებამ და დაფეთებული საქონლის ბღავილმა მიიპყრო. თვალწინ შემზარავი სანახაობა გადაიშალა. ვენახებს, ბოსტნებსა და საყანეებს შუა მოქცეული შარაგზა, მთის დამრეც ფერდობზე თავდაღმა რომ მოიკლაკნებოდა და ვაკეზე ბაღდადისაკენ მიმავალ საქარავნო გზას ერწყმოდა, ერთიმეორეში ათქვეფილი ცხენოსნით და ქვეითით, ქალითა და ბავშვით, ხარით, ძროხით თუ კამეჩით ავსილიყო. ისმოდა ღრიალი, ღმუილი, ბღავილი, გადარეული ცხენების ჭიხვინი, ბაღლების ყურისწამღები წივილი, კაცების მოთქმა და დედების შეცხადება. ზღვა ხალხსა და საქონელს, ვიწრო თემშარა ღობიდან ღობემდე რომ გაევსო, ეტყობა, გადალმა სოფლებიდან: სვირიდან, გოდოგნიდან, ცუცხვათიდან და სიმონეთიდან მოერეკებოდნენ. საშოვარზე გამოსულ ლეკ მარბიელებს, იანიჩრებსა და ასკერებს, რომლებიც უთუოდ თხმელისციხეში დაბანაკებული გოლა-ფაშას ნებართვითა და ბრძანებით მოქმედებდნენ, იარაღი გაეშიშვლებინათ, უამისოდაც ცხოველური შიშისაგან გულგახეთქილ ბრბოს ზედ დასჭყიოდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ, დროდადრო თოფებს აქუხებდნენ და ნაძარცვით დასაპალნებულ ტანმორჩილ ცხენებს ხან

აქ შეაგდებდნენ ადამიანებისა და პირუტყვის უსახო მორევში და ხან იქ ირგვლივ კვამლი და ტრუსის სუნი იდგა. საურმე გზის გასწვრივ, ტაფობში და კლდოვან ფერდობზე რამდენიმე ოდა-სახლი, ნალია, მარანი და ქოხ-ბოსელი იწვოდა. ისლით ან ჩალით გადახურულ ამ პატარ-პატარა ნამშრალებს ხანძარი კვარივით ედებოდა და ვიდრე თვალის დახამხამებას მოასწრებდი, ნამშრალი ცეცხლისა და კვამლის ვეებერთელა გორგლად იქცეოდა. თავჩალმიანი აგარიანები, გუშინ რომ ასე თვინიერად დააბიჯებდნენ ამ გაპარტახებული ქვეყნის მკვიდრებს შორის, ახლა თვალის ჩინივით მოვლილ ვენახებსა და ნაადრევად ამწვანებულ ეზოებსაც შესეოდნენ. სასხლებით, ნამგლით, წალდით, ნაჯახით ჩეხდნენ ვაზებს და ხეხილს. ვისაც რკინეული ვერ მოეხელებინა ან დაბლაგვებოდა, შვილივით ნაზარდ ვაზს იატაგანით სხეპავდა, ფეხით ამტვრევდა, ნორჩ ნერგებს კი ძირფესვიანად თხრიდა მიწიდან და აქეთ-იქით ისროდა.

ადვილი მისახვედრი იყო: გოლა-ფაშამ პირი გატეხა, უკუაგდო გელათში დათქმული სიტყვა, ახალგაზრდა და გამოუცდელ მეფეს „ბედნიერი სულთნის" ღალატი შესწამა და ახლომახლო სოფლებს, ფეხი რომ არ დაესველებინა და შორს არ წასულიყო, კალიასავით მოედო. ამ გზით გაცილებით მეტ ტყვესა და ალაფს იშოვნიდა, ვიდრე მეფესთან შეთანხმებით. აი, რად ასტკივდა თურმე თავი დიდ დედოფალ თამარს, ლევან აბაშიძის ასულს, აი, რად არ გამოჩნდნენ იმერთა დარბაისელნი, რომლებიც სწორედ წინა საღამოს ათაბაგის ქეჰამ სულთნის ერთგულებაზე დააფიცა. შინაურ გამცემთა ხელისშეწყობით, ვინ იცის, ყველა მათგანი გოლა-ფაშამ დაატყვევა და ნაძარცვ ალაფთან ერთად ახალციხის გზას გაუყენა...

ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალები ტყის პირას შეგროვილ უცხო მხედართა გუნდს შეამჩნევდნენ, საომრად დაეწყობოდნენ და ახლა ამათ მოაშურებდნენ. მაგრამ იმის რიდით, რომ ცოტა უფრო წინ მეთოდე ერისთავიშვილის ორასი შეიარაღებული მხედარი იდგა თუ რაღაც სხვა გაუგებარი მიზეზის გამო, მომხვდურნი ამათ ზედაც არ უყურებდნენ, თითქოს ვერც კი ხედავენო და ბეჯითად მიერეკებოდნენ უცხოეთში გადასაკარგავად განწირულ ადამიანებს და სახორცე პირუტყვს.

დესპანები გაშრნენ. ხელი თავისთავად მიიწევდა იარაღისაკენ და ხმლის ვადას აწვალებდა. ოსმალებს დიდი ძალა ჰყავდათ. ჯარს ბოლო არ უჩანდა. ადგილიც ვაკე, გაშლილი და საომრად გამოუსადეგარი იყო. თავიანთი ასი მხედრით, ნაბერალი მეთოდე კიდევაც რომ მოშველებოდათ, ვერას გახდებოდნენ. ოსმალები ადვილად სძლევდნენ მცირერიცხოვან მტერს. ისინი თითქოს კიდევაც ელოდნენ ამათგან ხელის გამოღებას, მხოლოდ ხმლის პირველი მოქნევის უფლებას ქართლ-კახელთ უტოვებდნენ, რათა შემდეგ მიზეზი მოედოთ, თვით დაგვესხნენ თავსო და საძულველი სპარსეთის ურჯულო ქვეშევრდომებს სასტიკად გასწორებოდნენ.

იასემ დაძვრა და ერისთვიშვილ მეთოდეს რაზმთან შეერთება ბრძანა. ღამემ ძირულის პირზე მოუსწროთ. თენდებოდა, გამუდმებული ცხენზე ჯდომითა და გადატანილი ხიფათით ქანცგამოლეულებმა რომ ჩხერის ციხე უკან მოიტოვეს და ფეხი ქართლის მიწაწყალზე დასდგეს. ვახანის ციხესთან, ქართლის საბაშიოში, მათ საომრად აღჭურვილი სამასიოდე ცხენოსანი ელოდებოდა. სურამს ლეკები დასცემოდნენ. მცირე ლაშქარს, რომელსაც ქსნის ერისთავის უფროსი ვაჟი ელიზბარი სარდლობდა, მძარცველნი გაეფანტა, ბევრი კიდევაც დაეტყვევებინა და თეიმურაზ მეფის ბრძანებისამებრ შემდეგ აქეთ წამოსულიყო იმერეთიდან მობრუნებული მოხუცებული მამისა და ელჩიონის დასახვედრად. გზა სურამიდან გორამდე, სადაც კახბატონი ერეკლე და მეფე თეიმურაზი თავიანთ წარგზავნილებს უნდა

შეხვედროდნენ, სახიფათო იყო. ერწო-თიანეთის მხრიდან ქართლში შემოჭრილი ლეკები, მართალია, სურამთან დამარცხდნენ და ნაძარცვთან ერთად საკუთარი ავლადიდებაც ბრძოლის ველზე დატოვეს, მაგრამ შესაძლოა, ქართველები მხოლოდ მტრის მეწინავე რაზმს შეებნენ, მთავარი ძალა კი უკან იყო და გადამწყვეტი ბრძოლის გასამართავად ემზადებოდა.

მეთოდე თავისი ორასი ცხენოსნითურთ ჩხერის ციხეში დარჩა. ამათ ეს დღე ხარაგაულელ აბაშიძეთა საბრძანებლოში უნდა გაეტარებინათ და მომდევნო დილას ისევ უკან გაბრუნებულიყვნენ.

ჩოლოყაშვილმა და ქსნის ერისთავმა მხოლოდ მეთოდესთან განშორების შემდეგ, ვახანის ციხეში შეიტყეს ყოველივე, რაც მათი დესპანობის დროს იმერეთის სამეფო კარზე მომხდარიყო. ფოთიდან ტფილისში, ხოლო იქიდან თეირანსა და ისპაჰანში მიმავალ ვენეციური ბროლით მოვაჭრე იტალიელ დიდვაჭრებს, რომელთაც გზად ქუთაისი გამოევლოთ, იმერეთის არეულობისა და ოსმალთა თარეშის ამბავი ქართლში მოეტანათ. მთელი ეს ამბავი შემზარავი და გულისამრევი იმითაც ჩანდა, რომ ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ მიმართულ სისხლიან შეთქმულებაში მეფისავე ღვიძლი ადამიანები ერივნენ: ბაბუა ლევანი, მამის ძმები გიორგი და მამუკა ბატონიშვილები, მამიდის ქმარი მთავარი მამია გურიელი და, რაც ყველაზე საზარელია, თვით მშობელი დედა ხელმწიფისა, ლევან აბაშიძის ასული თამარი.. ჩანდა, შეთქმულება ადრევე იყო მოფიქრებული, რაკი მისი განხორციელება ასე სწრაფად და დაუბრკოლებლივ მოხერხდა.

გიორგი ბატონიშვილი, სოლომონის უფროსი ბიძა, რომელმაც ქვეყნის მმართველობის სათავეში გადაყენებული მეფის ადგილი დაიკავა, ჯერ მეფედ არ იხსენიებოდა, რადგან სულთნის საგანგებო რაყამით არ იყო დამტკიცებული, მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ უკეთუ ოსმალთა ორგულად და დაუძინებელ მტრად შერაცხული სოლომონი ძლიერ თანამდგომებს ვერ იშოვნიდა და რაღაც მანქანებით ტახტს ვერ დაიბრუნებდა, რაყამსაც ადრე თუ გვიან მიიღებდნენ...

გოლა-ფაშას მხარდაჭერის გამოსათხოვნად ლევან აბაშიძემ, რაჭის ერისთავმა როსტომმა და მამია გურიელმა, დღესაც რომ ჰაჯი-აჰმადის ქეჰას ახლდნენ თხმელისციხეში, ორმოცდაათი ქესა თეთრი გაიღეს, ამის ნახევარი კი ლეკე მარბიელების ბელადსა და გოლა-ფაშას ასისთავებს ჩაუჩხრიალეს ჯიბეში. გოლა-ფაშა ხარბი კაცი იყო. ფულის გულისათვის, რასაც გნებავთ, მოიმოქმედებდა. სიხარულით ცასა სწვდა, ციხისთავმა რომ ბაშიაჩუკთა დიდკაცების თხოვნის წიგნი და თეთრი მოართვა. იმავ წამს გადაწყდა ტახტის ბედი. აღარც ფიცი ახსოვდა ვისმე, აღარც სიტყვა და არც შიში იმისა, რომ ადრე თუ გვიან დამნაშავეს სამართალი მოეკითხებოდა.

გიორგი ბატონიშვილისაგან ბევრს არაფერს ითხოვდნენ; მას, ქვეყნის მმართველს, ოსმალთა ჯარებისათვის მოქმედების სრული თავისუფლება უნდა მიენიჭებინა და დიდი ვეზირის გულის მოსაგებად თავის მხრივაც ხანგამოშვებით წარეგზავნა ღირსეული საჩუქრები. მეფის სალარო ცარიელი იყო. უბედურ ალექსანდრეს ტყუილად როდი განეზრახა ხახულის სასწაულმოქმედი ხატის გაძარცვა! ქვეყნის ახლანდელ მმართველს უნდა ეზრუნა და სათათრო ხარკი თავისი კუთვნილი ყმა-გლეხების კისრიდან ამოეღო. ბევრი დედა ატირდებოდა, ბევრგან გამოქრებოდა კერიის ცეცხლი, მრავალ გაყიდულს გაჰყვებოდა მშობლიური ველ-მინდვრებისა და ანკარა წყაროების ხილვის აუხდენელი ნატვრა. მეფე ალექსანდრეს ქვრივს, დიდ დედოფალ თამარს, მამის სრული და უყოყმანო მორჩილება დაეკისრა. ჯერჯერობით ასე უნდა მოქცეულიყვნენ, ხვალისას კი ხვალე იტყოდა...

## XIII

ხარება დილას, 25 მარტს, მზიანი დარი იდგა. იმდენად დათბა, ჰაერი გაღვივებული მიწისა და ასწლოვანი მუხების ყოველ შტოში აჩუხჩუხებული წვენის სუნით გაიჟღინთა. სასახლის ბაღში ერთბაშად იფეთქა ნუშმა და ტყემალმა. ატამიც აფერადდა და ქვეყანას აუწყა, ნანატრი გაზაფხული ეგ არის დადგაო. სასახლის პარმაღში ფუტკრები დაბზუოდნენ. მზემ თანდათან დაასცხუნა და ყოველი სულდგმული ზამთრის სამალავიდან გამოიყვანა. კარის ეკლესიის სამრეკლოზე აბობღებულმა მნათემ სწორედ მაღალ სადილობისას შემოჰკრა ზარს. ზარების რეკვა მეზობელი სოფლებიდანაც კანტიკუნტად ისმოდა. ძველთაგან დაწესებული ჩვეულებისამებრ გელათის, ხონის, ჩხარისა და ნიკორწმინდის ტაძრებში ხარება დღეს დიდ წირვას იხდიდნენ და ეს წირვა-ლოცვა და ლიტანიობა მთელ ღამეს გრძელდებოდა. საიდან არ მოიჩქაროდნენ ღამისმთევლები, საიდან არ მოეხარებოდათ! ვინ ქვეითად დასდგომოდა გზას, ვინ ცხენზე ან სახედარზე ამხედრებულიყო, ვის მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაესხა ქართულ ურემზე და თავისი გლეხკაცური სალოცავის თაყვანის საცემად დედაბუდიანა აყრილიყო. საყდრების ირგვლივ, გალავანში და გალავნის გარეთ, კოცონებს ანთებდნენ. სადღაც ზურნა ჰყვიტინებდა და ძარღვებში სისხლაჩუხჩუხებულ ყმაწვილ ბიჭებს საჭიდაოდ ეპატიჟებოდა. სხვაგან ფიცხი დაირა გრიალებდა. მოცეკვავენი ფეხის წვერებზე დგებოდნენ და მაყურებელთა შემოძახებით დარცხვენილნი ჩუმი გულისკანკალით ერთმანეთს თავს აწონებდნენ. რამდენი წყვილი ელოდა ამ ბედნიერი წუთის დადგომას. დიდი და მცირე ერთმანეთს სიმღერასა, შაირობასა, ფეხის მარჯვედ გასმასა და ხმლის მოქნევაში ეჯიბრებოდა.

ყველა ეს სიკეთე სადღეისოდ მოშლილი იყო. ქვეყანას დიდზე უდიდესი გასაჭირი დასდგომოდა. ვინც ღვთის განგებით ჯერ ისევ საკუთარ ჭერქვეშ ათევდა ღამეს და მშობელი ქვეყნის წყაროს წყალს ეწაფებოდა, მომხვდური აგარიანის შიშით შინიდან ფეხის გამოდგმა ველარ გაებედა და შვილისა და მონაგრის უვნებლად გადარჩენას ერთადერთ შემწესა და მწყალობელს — ზენაარს ევედრებოდა.

გოლა-ფაშას მძვინვარე ლაშქარმა კიდით კიდემდე მოითარეშა იმერეთის სამეფო, საჭილაოსა და სალორთქიფანიძოს მომიჯნავე ოდიშისა და გურიის სოფლებიც კი დაარბია, თხმელისციხეში და კაკასხიდთან, ხანისწყლის ხეობაში, დიდძალ ტყვე გოგო-ბიჭებსა და საკლავს მოუყარა თავი, ბარგი შეკრა და უზღვავი ალაფით დამძიმებული სამცხეში დასაბრუნებლად განემზადა.

ოტია დადიანი გაყუჩებული იყო. თვით ოსმალებზე უფრო დაუნდობელი და ურჯულო გოლა-ფაშას გადაკიდებას, ალბათ, ის ერჩია. მტრისათვის მორჩილება ეჩვენებინა და უფრო მეტი დაზარალების შიშით თითო-ოროლა სოფლის დარბევა არაფრად ჩაეთვალა. ხელის შემშლელი არც სხვაგან ჩანდა ვინმე. გამწარებულ ხალხს წინ გამძღოლი და ბრძოლის სულის ჩამდგმელი ესაჭიროებოდა. ქვეყანა ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული და ვისაც არ ეზარებოდა, ყველას შეეძლო მისი ძარცვა და აკლება. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაუვალ ტყეებსა, ციხეებსა და მიუდგომელ კლდე-ღრეებში გაიხიზნა. თან მიჰქონდათ, რის აკიდებაც ცხენზე ან სახედარზე შეეძლოთ, ან რაც ჩოჩიალა ურემზე დაიდებოდა, სხვა ყველაფერი კი — გამართული სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი. მტრისაგან გასატიალებლად რჩებოდა. ხალხმა რაჭა-იმერეთისა, ლადოსა და ლიხის მთებისაკენ ჰქნა პირი. საწერეთლო აივსო ქვემოთიდან უგზოუკვლოდ გადმოხვეწილი ლტოლვილებით. ბევრი, ვისაც უძლური მოხუცებულები ან წვრილშვილი ხელ-ფეხს არ უბორკავდა, კიდევ უფრო ჩრდილოეთისაკენ მიიწევდა და ნაჯიხურევის, საწალიკის, კვეშლევის, ბრავალზლისა

და ცხრაწყაროს გზაწვრილებით რაჭას გადადიოდა. რაჭა უშიშარი და მტრისაგან მიუდგომელი იყო. ვისაც ბედი გაუღიმებდა და ქედს გადაივლიდა, შეეძლო თავი გადარჩენილად ჩაეთვალა. მაგრამ რა ბედენაა მარტოოდენ სიცოცხლის გადარჩენა! შიშველ-ტიტველ, უგზოობითა და ათასგვარი სნეულებით გაწამებ ადამიანებს, ღარიბული საგზალი გზაშივე რომ შემოელეოდათ, ისღა დარჩენოდათ, უკანასკნელი ფლასები ორ-სამ ჯამ სიმინდში ან ძროხეულში გადაეცვალათ, შემდეგ კი კარდაკარ სამათხოვროდ ევლოთ. გახშირდა ძარცვა და ტყვევნა. ტყეში გავარდნილი თავზეხელაღებული მძარცველები, ძლიერ მტერს რომ ვერ მორეოდნენ და ვერაფერს უბედავდნენ, თავისიანებსავე ესხმოდნენ, ლუკმას პირიდან გლეჯდნენ, იჭერდნენ, ატყვევებდნენ და დამწვარზე მღუდარეს ასხამდნენ...

უჩვეულოდ სახეარეულმა გიორგი ბატონიშვილმა ბრძანა საპყრობილის კარი გაეღოთ და ლევან აბაშიძის თვითნებური განკარგულების თანახმად დაკავებული ქვემო მხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე, სარდალი ბერი წულუკიძე, გამოღმა საჭილაოს პატრონი ზურაბ მიქელაძე და მათი თანმხლები აზნაურეები სასწრაფოდ გამოეშვათ. ეს გონივრული გადაწყვეტილება ბატონიშვილმა იძულებით მიიღო. უკვე აშკარა გახდა: მტრისაგან გაჩანაგებული ქვეყანა თვალდათვალ უკაცრიელდებოდა. ამ უსასოო მდგომარეობით არ შეიძლება არ ესარგებლა რომელიმე გულხარბ მეზობელს და ღვთის ანაბარა მიტოვებული მიწა-წყალი თავისი ლაშქრით არ დაეკავებინა. ყველაზე მეტად გიორგის კვლავ ოტია დადიანის შიში ჰქონდა. ოტიას სწორედ ახლა დაუდგა იმერეთზე გამოლაშქრებისა და ძველი ჯავრის ამოყრის დრო. ჩიხორის ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ მას ამის შესაძლებლობა აღარ მისცემია.

სასახლეში ყოვლად დაუმსახურებლივ შეურაცხყოფილი თავადები ზურაბ მიქელაძე და ბერი ლორთქიფანიძე მოინდომებდნენ და შესძლებდნენ კი თავიანთი საზღვრების ისე სამედოდ გამაგრებას, რომ დადიანი, თუკი ომს განიზრახავდა, ცხენისწყალს აქეთ არ გადმოეშვათ? ეყოფოდათ ხალხი და ძალა საამისოდ?

ვიდრე ბედის ჩარხი უკუღმა არ დატრიალდა და ოსმალებმა მთა და ბარი არ მოაოხრეს, სამეფო კარზე ყველას ისე მიაჩნდა, რომ გვარტომობით ქართველი გოლა-ფაშა თავის სამშობლო მხარეს ყელის გამოსაჭრელად არ გამოიმეტებდა და გარდა იმ ქრთამისა, აბაშიძემ, ერისთავმა და გურიელმა თხმელისციხეში რომ მიართვეს, იმას იკმარებდა, რაც სოლომონის მეფედ კურთხევისას გელათში მოითხოვა. მომხდარმა ამბავმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. გოლა-ფაშამ ყველასა და ყველაფერს ზურგი შეაქცია. ვიღაც თითის სიგრძე გოგოსთან ერთად ციხის საკანში ჩაკეტილი გარეთ აღარ გამოდიოდა. დღესა და ღამეს, მეციხოვნე ჯარის თვალწინ, სმასა და ღვინახსნილ ავხორცობაში ატარებდა. ღამით გაუბედურებული ქალის ძმები და მამა-ბიძები მოუხტნენ. შერცხვენილსა და გაბახებულ ჩვენს ქალს ბოლოს ჩვენვე მოვუღებთო, მაგრამ ვერას გახდნენ. მამა და ორი ბიძა იქვე აკუწეს გოლა-ფაშას მცველებმა, ორი ძმა კი ცოცხლივ შეიპყრეს და უწყალო ცემით დაოსებულნი ახალციხის ბაზარზე გასაყიდი ტყვეების ჯოგს შეურიეს...

ნებაზე მიშვებულმა ლეკებმა, ასკერებმა და იანიჩრებმა არამცთუ მარტო ქოხები და სასახლეები, თვით ოდითგანვე ხელუხლებელი ეკლესია-მონასტრებიც აღარ დაზოგეს. ურმებით გაიტანეს ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ძვირფასი ხატები, მინანქარი, სწორუპოვარ ოქრომჭედელთა ნახელავ ყდებში ჩასმული უძველესი ხელნაწერები, ოქრომკედით ნაქსოვი შესამოსელი, თვალ-მარგალიტით ნაქარგი დიდი ომფორები, ვერცხლის კუბოები, სპარსული ხალიჩები, ჩერქეზული უნაგირები, კოლხი ხუროების ნახარატევი ძველე-

ბური ავეჯი, სპილენძი, რკინა, გვარჯილა, ფარჩა, აბრეშუმი...

შეპყრობილი ქვეწევრდომების დათხოვნის გადაუდებელ საჭიროებაზე გიორგი ბატონიშვილს სიტყვა კათალიკოსმა ბესარიონმა ჩამოუგდო. კათალიკოსი დამფრთხალი და შეშფოთებული იყო. კანონიერი მეფის ტახტიდან გადაგდების ერთ-ერთ მთავარ წამომწყებად ყველას მისი ღვიძლი ძმა როსტომ რაჭის ერისთავი მიაჩნდა. ღმერთმა ნუ ქნას და, სოლომონს რომ კვლავ დაეპყრო თავისი კუთვნილი ტახტი და ორგულთა დასასჯელად მახვილი აღემართა, რაღა იქნა უნდა, უწმიდეს კათალიკოსსაც შეთქმულების მონაწილედ ჩასთვლიდა და არც მას მოეფერებოდა. ამიტომაც სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ჭკვიანი და ყოველ საქმეში წინდახედული ბესარიონი ისე იქცეოდა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. ის ჯერ მომხდარი უბედურებით შეფიქრიანებულ ძმას ეთათბირა, დაარწმუნა, ქვეყნის ცოდვას კისერზე ნუ დავიდებთ, სულ ერთია, ღმერთი პასუხს მოგვთხოვსო, შემდეგ ჯავრით გულშემოყრილი დიდი დედოფალი მოინახულა...

თამარი ხედავდა, რა შორსაც შესტოპა. ახლა უკან დაბრუნება და რისამე შეცვლა, მისდა სავალალოდ, უკვე ძნელი და შეუძლებელი იყო. მოსახდენი მოხდა, გადასადგმელი ნაბიჯი გადაიდგა. საგონებელში ჩავარდნილმა ქალმა მხოლოდ ის შესძლო, რომ შურისძიების ყინით შეპყრობილ შამას თინათის უვნებლად განტევება სთხოვა. თინათი რომ მშვიდობიანად გააპარებინა, დიდი დედოფალი თავის ოთახში ჩაიკეტა, თვით იოსებ ბატონიშვილის შემოშვებაზეც კი უარი განაცხადა, გულის ჭრილობა კიდევ უფრო რომ არ გაეღრმავებინა, ღვთისმშობლის ხატის წინაშე პირქვე დაემხო და მდუღარე ცრემლებს გზა მისცა. შენც ხომ დედა ხარო, ევედრებოდა ღვთისმშობელ მარიამს, შენ მიმიხვდებიო, ჯოჯოხეთის გეენიაში მწვავს და მდაგავს ჩემგნით უარყოფილი პირმშო შვილის დარდი, მაგრამ რა მექნა მე, უმწეო დედაკაცს, ვერც აღზევებულ მამასა და გაუმაძღარ მაზლებს გადავუდექი, და, მე უბედური, ცხენის კუდზე გამოსაბმელი გავხდიო.

დედოფლის ოთახის კართან, კიბისთავში და ყველა შესასვლელ-გამოსასვლელის წინ შუბოსანი მარგველები იდგნენ. მხოლოდ ხვამაქს შეეძლო განმარტოებული თამარის მონახულება. ისიც ორ-სამ წუთს რჩებოდა შიგნით, კრიჭაშეკრული ერთ ადგილზე იდგა ან ოთახში დაბორიალებდა, თითქოს რაღაც ჰქონდა სათქმელი. თქმით კი ვერაფერს ამბობდა და მალე ისევ გარეთ გამოდიოდა.

მოისმინა თუ არა, რაც უწმინდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა უთხრა, გიორგი ბატონიშვილმა მაშინვე ის იკითხა, ლევან აბაშიძემ თუ იცის ეგ ამბავიო. არაო, მიუგო კათალიკოსმა, ბატონ ლევანს მე განზრახ არაფერს ვეუბნები, რადგან, ვიცი, გაჯიუტდება და კიდევ მეტ უსიამოვნებას შეგვამთხვევსო.

ჭკვიანი მღვდელმთავარი და ეკლესიის საჭეთმპყრობელი აქაც წინდახედულად წონიდა ყოველ სიტყვას. ტახტის მიმტაცებელ ბატონიშვილს გადაკრულად აგრძნობინებდა, ყველა სიავე, ქვეყანას რომ თავს დაატყდა, მხოლოდდამხოლოდ არგვეთის ბატონის გაუმაძღრობის ბრალი იყო და პასუხისმგებლობაც ყოველივე ამის გამო მხოლოდ ლევან აბაშიძეს ეკისრებოდა.

ბატონიშვილმა წაუყრუა. თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერ მიხვდა, რასაც კათალიკოსი ამბობდა. მას აშკარად ეშინოდა ლევან აბაშიძისა, ეშინოდა, ზედმეტი სიტყვა არ დასცდენოდა და ამით არგვეთის ბატონის რისხვა არ დაემსახურებინა. ლევან აბაშიძე დღესდღეობით მთავარი ძალა იყო, რომელსაც ის ეყრდნობოდა, მაგრამ ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ არც არა ნაკლებ ძლიერი, გავლენიანი და სოლომონის სულითხორცამდე მოძულე ერისთავის მომდურება და განაპირება არგებდა. დღეს-

დღეობით, ვიდრე სამეფოში სრული არეულობა სუფევდა და ძალლი პატრონს ვერ სცნობდა, აბაშიძე, გურიელი და ერისთავი ერთად იყვნენ. ამ სამი ძლევამოსილი ქვეშევრდომის მტკიცე ერთობა გიორგის საერთო მტრის — სოლომონის და მისი მომხრეების დასათრგუნავად უნდა გამოეყენებინა. როცა წელს მოიმაგრებდა და ტახტზედაც განმტკიცდებოდა, შემდეგ იქნებ მცირე უთანხმოებაც ჩამოეგდო სამივეს შორის. საქმე ისე უნდა წარემართა, რომ ყველა სათითაოდ მეფეს მიჰკედლებოდა და ხელახალ გაერთიანებაზე ფიქრი ვეღარც კი გაებედა. ტახტის შენარჩუნება სხვაგვარად შეუძლებელი იყო...

ეს რთული და დახლართული გეგმა ბატონიშვილმა გიორგიმ დიდი სიზუსტით მოიფიქრა და კათალიკოსის შეგონებას მომზადებული შეხვდა. ბესარიონს კიდევაც რომ არ ეკარნახა, გიორგი თავადვე აპირებდა საპყრობილის კარის გაღებას. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეერთგულებინა მენაპირე თავადები, რომლებსაც შავი ჭირივით სძაგდათ ერისთავიც, აბაშიძეც და გურიელიც. თავიანთი შემვიწროებლები. მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს ისე, რომ ლევან აბაშიძისა და დიდ დედოფალ თამარის გულისწყრომა არ გამოეწვია? ერთადერთი გონივრული გზა კათალიკოს ბესარიონთან დაკავშირება იყო. მადლობა უფალს, მისი უწმინდესობა კათალიკოსი თავისი ფეხით მობრძანდა და სწორედ ის ურჩია, რაც თვით გიორგის გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა!

მცირე ყოყმანისა და ორჭოფობის შემდეგ კათალიკოსმა თავს იდო შეურაცხყოფილ თავადებთან მოლაპარაკება. მათ გიორგი ბატონიშვილისათვის ერთგულების პირობა უნდა მიეცათ და ეს პირობა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში საქმით დაემტკიცებინათ. მეფის მთელი ოჯახის სახელით ბესარიონს ცოტა ბოდიშიც უნდა მოეხადა შეპყრობილთა წინაშე, რომ ასე მოხდა და, თუ მოხერხდებოდა, ყველა გაუგებრობა ოსმალებისათვის გადაებრალებინა. ბესარიონს არც ამაზე უთქვამს უარი. მას როგორმე ისე უნდა მოეწყო, რომ სოლომონის მომხრე დარბაისელთა წრეში ძმა როსტომ რაჭის ერისთავი არგვეთის ბატონ ლევან აბაშიძის, მამია გურიელის, დიდ დედოფალ თამარისა და უფროსი ბატონიშვილების უცოდველ მსხვერპლად წარმოესახა. როსტომს გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა: მას უკვე აღარ შეეძლო შეთქმულებაში გარევაზე უარი ეთქვა...

ამგვარი ხმების დაყრა რაჭის ერისთავთა სახლს ხვალ და ზეგ გამოადგებოდა, უკეთუ გადაგდებული მეფე სოლომონი წამოწევას და ფეხზე დადგომას მოახერხებდა, ოღონდ ეს ისე ოსტატურად, ისე ზედმიწევნითი სიფრთხილითა და ზომიერად უნდა მომხდარიყო, რომ ხვალინდელ ქათამზე ზრუნვას დღევანდელი კვერცხები არ დაემტვრია.

შერისხული სარდლები, სახლთუხუცესი და აზნაურები დილის წირვის დროს გამოუშვეს. ლევან აბაშიძემ ყველაფერი წინასწარ იცოდა. რადგან ერთგულმა მსტოვრებმა სიტყვა-სიტყვით ჩაუკაკლეს კათალიკოსისა და გიორგი ბატონიშვილის ნალაპარაკევი, მაგრამ თავად არც კარგი უთქვამს და არც ავი, მხოლოდ იმას ფიქრობდა, საჭიროების შემთხვევაში როგორ გამოეყენებინა ეს ამბავი თვით გიორგი ბატონიშვილის წინააღმდეგ...

ხარება დღე ყოველმა კაცმა, თუ თავზე ცა არ ექცევა, საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ კერასთან უნდა გაატაროს. შეპყრობილთა მიმართაც მოიღეს ვითომ ეს წყალობა და იგი თვით კათალიკოსის პირით ეუწყა სათივეში გამომწყვდეულ დარბაისელთ.

სადღესასწაულოდ შემოსილი ბესარიონი თვით წირავდა კარის ეკლესიაში. კათალიკოსს კარის მოძღვარი სვიმონ წერეთელი და ორი დეკანოზი ეხმარებოდა. საკმაოდ ბნელი, პირქუში,

შიგნიდან ახლახან მოხატული საყდარი ოქროცურვილი ჭაღებით გაეჩირაღდნებინათ. ეს საყდარი, ალბათ, ერთადერთი იყო, ამ ღირსსახსოვარ უბედურ დღეებში მომხვდური მტრის მსახვრალი ხელი რომ არ შეჰხებია. გოლა-ფაშამ მოწყალება მოიღო და ბრძანება გამოსცა, ვარციხის სასახლესა და კარის ეკლესიას ხელი არავინ ახლოსო.

ბესარიონი საკურთხევლის წინ დახრილიყო, ხელები აღეპყრო და თავისი ხავერდოვანი ბოხი ხმით, მაღალ ღმერთს რაჭის ერისთავთა ყველა ნაშიერი ასე უხვად რომ დაეჯილდოებინა, მთელ საყდარს ავსებდა:

— წმინდაო ღვთისმშობელო, შენდა მოვილტვი, ქალწულო უბიწოო, და ვითხოვ წყალობასა, მოხედენ წყლულებასა ზედა ქუეყნისა ჩემისასა, ევედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩემსა, მოტევებად ურიცხუთა მათ ბრალთა ჩუენთა, მხოლო კურთხეულო...

იარაღაყრილი ბერი ლორთქიფანიძე, ლომკაც ჯაფარიძე, ზურაბ მიქელაძე და ბერი წულუკიძე რომ საყდარში შემოვიდნენ და მუხლი მოიყარეს, კათალიკოსმა მხოლოდ ცალი თვალი გამოაპარა აქეთ და მხურვალე ლოცვა განაგრძო:

— ყოვლად წმინდაო სამებაო, ერთ არსებაო, ერთ ღუთაებაო, შემოქმედო ყოვლისა სოფლისაო, შემწე მეყავ მე ჟამსა ამას, განახვენ გონებანი ჩემნი გულის-ხმის ყოფად, რათა გონიერად და გულს მოდგინედ ვიწყო აღსრულებად კეთილთა საქმეთა და აღმოვსთქუნა ღუთის მეტყველებანი ამის წიგნისანი რომელი სთქუენ, სულითა შენით წმიდითა პირითა დავითისითა, რომელ აწ მნებავს თქმად მე ულირსსა, რათა გონიერ ვიქმნა და ვსცნა ძლიერება შენი, ამისათვის გევედრები შენ, რათა მოგუიტევნე ურჯულებანი ჩუენნი...

პატიმრებმა ღრმად დაუკრეს თავი საკურთხევლის წინ დაჩოქილ, თავიდან ფეხებამდე თალხებში გახვეულ დიდ დედოფალ თამარს, გიორგი და მამუკა ბატონიშვილებს, მათ თანამეცხედრეთ და უკანასკნელი კვირის განმავლობაში მთელი ოცი წლით დაბერებულ და მოტეხილ ლევან აბაშიძეს. ლევანი მარჯვენა ხელით პირჯვარს იწერდა, მარცხენა მუხლზე დაედო და გარინდებული სადღაც წინ იყურებოდა. იქ, ოქროსწყლით მოვარაყებულ ხის კანკელში, ღვთისმშობელ მარიამისა და ყრმა იესოს შარავანდედმოსილი ხატი იყო ჩასმული...

XIV

ხოტევში, სადაც იმერთა მეფის მხარდამხარ მდგომ წულუკიძეებს გემოვნებით გაწყობილი სასახლე და მამა-პაპის დანატოვარი მტკიცე ციხე ედგათ, მახარობლად ქუთაისიდან ონს მიმავალი კაპუჩინელი ბერები მოვიდნენ. ბერი წულუკიძის, სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძის, ბერი ლორთქიფანიძისა და ზურაბ მიქელაძის საპყრობილიდან გამოშვების ამბავი სწორედ მათ მოიტანეს ხოტევში. დაუჯერებელი აქ არაფერი იყო. მეფის მომხრე თავადების დილეგიდან გამოშვება ქვეყნის ახლანდელ ხელისუფალთა სისუსტეს მოასწავებდა. ისინი ხავსს ეჭიდებოდნენ, ოღონდ კი რითიმე თავი გადაერჩინათ და ქვეშევრდომთა ნდობა მოეპოვებინათ. მენაპირე თავადების დილეგში ყოფნა ქვეყანას სახეიროს არაფერს მოუტანდა, ის ამით გარეშე მტრისათვის მხოლოდ ადვილად მისაწვდომი გახდებოდა.

რაკი პატიმრები გარეთ გამოუშვეს შეთქმულნი, მაშასადამე, დარწმუნებული იყვნენ, რომ სოლომონი მათი შემწეობითაც ვერაფერს გახდებოდა, ვინაიდან ქვეყნის უმთავრესი ძალა მაინც აბაშიძე - ერისთავ - გურიელის ხელთ იყო...

პატარებმა სხვა ამბებიც მოიტანეს. გოლა-ფაშასა და მის მოთარეშე ლაშქარს იმერეთი უკვე დაეტოვებინა და დიდძალი ტყვეებითა და ალაფითურთ ახალციხის გზას გასდგომოდა. თხმელისციხიდან გამობრძანების წინ გოლა-ფაშას გიორგი ბატონიშვილი მიეხმო და

ეთქვა, მეფევ, აი, დაწყნარებულ, დაშოშმინებულ ქვეყანას გიტოვებ და ვინძლო მოუაროო. თუ ვინიცობაა, რაიმე გაგიჭირდეს და ვინმე ავაზაკმა შეწუხება გაგიბედოს, ერთი ხმა მოგვაწვდინე და მეორე დღესავე აქ გავჩნდებითო. გიორგი ბატონიშვილს, რაკი მეფედ მოიხსენიეს, მადლობის მეტი რა ეთქმოდა. ლევან აბაშიძე, როსტომ ერისთავი და მამია გურიელი გაეყოლებინა და თავისი უძლეველობის შეგნებით გაფხორილ გოლა-ფაშას კაკასხიდამდე მორჩილად ხლებოდა. ხალხი თურმე პირს არიდებდა. ხმამაღლა წყევლიდნენ და აქვავებდნენ. გიორგი თავჩაღუნული იჯდა ცხენზე და ისე იქცეოდა, თითქოს არაფერიც არ ესმოდა...

ახლა, როგორც პატრებს შეეტყოთ, ლევან აბაშიძე ჯარს აგროვებდა, ხოლო მათ მფარველ ერისთავ როსტომს კიდევ ჩამოსვლოდა ცხენოსანი ჯარი რაჭიდან და ყაბარდოდან. ზოგი იმას ამბობდა, ბატონები დღე-დღეზე ოტია დადიანის შემოჭრას ელიან და ჯარი იმის დასახვედრად სჭირდებათო, ხოლო მეორენი ამ ხმას ხალხის თვალის ახვევად თვლიდნენ: იმერეთის ნამდვილ განმგებელ ლევან აბაშიძეს და მის ერთგულ თანამოსანგრეთ რაჭას გალაშქრება და ტახტიდან გადაგდებული მეფე სოლომონის შეპყრობა აქვთ განზრახულიო.

დაუჯერებელი და სათუო აქაც არა იყო რა, მხოლოდ საეჭვოა, როსტომ ერისთავს თავის საერისთავოში აბაშიძის ლაშქრის შემოშვების ნება დაერთოს. თუ სოლომონის შეპყრობას აუცილებელ საქმედ მიიჩნევდნენ, ეს კი ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო, ამას თვით როსტომი შეეცდებოდა თავისი ძალებით და ლევან აბაშიძეს არამცდაარამც არ მოიხმარდა. ლევანი სოლომონის შეპყრობას საბაბად გამოიყენებდა, ისე კი ჩუმ-ჩუმად აქ თავის სასარგებლო საქმეების გაჩარხვას შეუდგებოდა და, თუ ხელს არ შეუშლიდნენ, გაჩარხავდა კიდეც.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, როგორც კი კაპუჩინელი ბერების ნაუბარი მოისმინა, გიორგი წულუკიძემ გაზრდილს გაუზიარა. სოლომონი დაფიქრდა. მას ბოლო დროს მარჯვენა თვალის კანკალი დასჩემდა. ახლაც აუცახცახდა მარჯვენა თვალის ქუთუთო. ეს ავის მაუწყებელი ნიშანი იყო, მარჯვენა თვალის „თამაში“ უხეირო ამბის შეტყობას მოასწავებდა.

ნაშუადღევს თვით სარდალიც მობრძანდა. მას ჭიშკარში და ჭიშკარგარე დაუხვდნენ დედა-წული. ვინ იცინოდა, ვინ ტიროდა. სასახლის უკან, სასიმინდის ქვეშ დაბმულმა კარ-მიდამოს მცველმა ქოფაკებმაც იგრძნეს ახალგაზრდა პატრონის მოსვლა და საშინელი ყეფა და წკავწკავი ასტეხეს, მწევარ-მეძებრები ხომ სულ გადაირივნენ სიხარულისაგან. როდესაც სიცოცხლითა და ხალისით სავსე ბერი, მეფის უახლოესი და უსაყვარლესი სიყრმის მეგობარი, შინ არ იყო, მათთვის არავის ეცალა. ბერი მოვიდაო, რომ დაიძახეს, სასახლის კიბე პირველმა წულუკიძეების უმცროსმა დამ, გულქანმა, ჩამოირბინა, ერთი კი შეჰკივლა, ძმიკოო, ახალგაზრდა სარდალს მიეგება და პატარა გოგოსავით კისერზე დაეკიდა. თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის, მოულოდნელად დაქალებული და გავსილი გულქანი დანიშნული იყო, ზურაბ მიქელაძის აზნაურ ქაჯაიაზე ათხოვებდნენ კულშში, ქორწილის სამზადისიც ჰქონდათ, მაგრამ ჯერ მეფე ალექსანდრეს სიკვდილმა და შემდეგ არეულობამ, სოლომონის ტახტზე ასვლას რომ მოჰყვა, ეს ამბავი განუსაზღვრელი დროით გადასდო. ვიდრე შეთქმულთა ყოფილი ტყვე ნებიერად გაზრდილ უმცროს დას თავს დააღწევდა და თვითონაც გულს მოიჯერებდა მონატრებული დედმამიშვილის ალერსით, ეზო და სასახლის ფართო დერეფანი შინამოსამსახურეებით აივსო. გულითადმა დახვედრამ და საყოველთაო სიხარულმა ბერი მთლად დააბნია. ის ახლაღა მიხვდა, რა ხიფათში

ყოფილიყო ჩავარდნილი და განგების ნებით რა ფათერაკს გადაურჩა. ნამგზავრმა და მოშიებულმა ყურთმაჯებიანი ლურჯი კაბა ეზოშივე გაიხადა, მანამდე კი ქამარ-ხანჯალი, ვერცხლით შეჭედილი თოფი, დამბაჩა და მხარიღლივ გადაკიდებული გრძელი ხმალი მოიხსნა, ყველაფერი ეს მხლებლებს მიაჩეჩა, გზადაგზა შავი ახალუხის ღილკილოები შეიხსნა და ცივი წყალი მოითხოვა. ათი თუ თორმეტი გოგო-ბიჭი გაიქცა ჭის წყლის ამოსაღებად, სხვებმა სპილენძის პირფართო სათლი და კიდეებამოქარგული ხამის პირსახოცი გამოარბენინეს. ბერი ხარბად დაეწაფა მსხვილმსხვილი წვეთებით დაწინწკლულ ვერცხლის სურას, მოღეღილ მკერდზე წყალი წურწურით ჩამოუვიდა, შეისვენა, ღრმად ამოისუნთქა, გულჭანს თვალი ჩაუკრა და ერთხელ კიდევ დალია.

სოლომონისა და თინათის ხოტევში ყოფნას გიორგი წულუკიძე საიდუმლოდ ინახავდა. ხალხში თვით ძმები ნაფიჩვაძეები და ქაიხოსრო აგიაშვილის კაცებიც კი არ ჩნდებოდნენ. არავის არ უნდა სცოდნოდა, ვინ და როდის მოვიდა აქ, ან როდემდე აპირებდა დარჩენას.

სიფრთხილის ყველა ზომის მიუხედავად, გვირგვინოსანი სტუმრების მობრძანების ამბავი ხოტევსა და მის ახლომახლო სოფლებში დიდსა და პატარას პირზე ეკერა. ქალი თუ ბავშვი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, დადარაჯებული იყო, იქნება ბედმა გაგვიღიმოს და მეფე სოლომონსა და მის ყმაწვილ თანამეცხედრეს, ღვთიური სილამაზითა და ღვთისმოშიშობით განთქმულ თინათის, სადმე თვალი მოვკრათო.

ბერიმ, რასაკვირველია, უკვე იცოდა, რომ ბატონი მეფე, მისი ბავშვობისა და სიყრმის თანაზიარი, ხოტევის სტუმარი იყო, მაგრამ თავშეკავებას იჩენდა და სანამ უფროსი ძმა არას ეტყოდა, არავის არაფერს ეკითხებოდა. ლოდინი კარგა ხანს დასჭირდა. სოლომონისა და ბერის შესახვედრებლად გიორგი დაღამებას ელოდებოდა.

მეფე და მისი მხლებლები ციხის გალავანს შიგნით ცხოვრობდნენ. ციხის კარიბჭეში, ხუთი ნაბიჯის სიგანის ღრმა თხრილი და ასაწევი ხიდი საიმედოდ რომ იცავდა, წულუკიძის მეთოფეები იდგნენ და ციხის მოურავის ნებართვის გარეშე არც შიგნით და არც გარეთ კაცს-სულიერს არ აჭაჭანებდნენ. სხვა დროს, თუ ლეკების ან ერისთავის მხრივ შიშიანობა არ იყო, ციხეში შესვლა-გამოსვლა არავის ეკრძალებოდა, ახლა კი, ციხის კარში რომ მეთოფეები ჩააყენეს, ხალხმა უმალ იაზრა, შიგნით თვით მეფე, წულუკიძეების აღზრდილი ბატონი სოლომონი, უნდა ბრძანდებოდესო. ვიღაცას ის გადაცმულიც ენახა ციხის გარეთ, ეცნო კიდევაც და ამის შემდეგ ეჭვიც აღარავის ეპარებოდა, რომ თავისიანების მიერ ტახტიდან გადაგდებული სოლომონი ნამდვილად აქ, ხოტევში, იყო...

ამ გარემოებამ მასპინძელიც შეაშფოთა და თვით მეფეც. რომ ერისთავსა და მის თავზეხელაღებულ ვაჟიშვილებს, თუკი მოიწადინებდნენ, ადვილად შეეძლოთ სოლომონის ადგილსამყოფელის შეტყობა და მეფის ხელში ჩასაგდებად ჯარის გამოგზავნა. მართალია, ეს საშიშროება გიორგი წულუკიძემ ადრევე გაითვალისწინა, მოურავებს ლაშქრის წვევის წიგნები დაუგზავნა და სამასიოდე რჩეული ვაჟკაცი თვით ხოტევში დააბანაკა, მაგრამ თუკი ერისთავი ავს რასმე განიზრახავდა, ამ მცირე ლაშქრით მისი შეკავება მაინც შეუძლებელი იქნებოდა.

გადაწყდა, მეფისათვის სხვაგან მოეძებნათ უფრო საიმედო ადგილსამყოფელი. ქაიხოსრო აგიაშვილის დაბრუნებასღა ელოდებოდნენ. როგორც კი მეფე და დედოფალი საწირიდან ტყირბულისა და ნაქერალას გზით ხოტევს მშვიდობით მოიყვანეს, ქაიხოსრომ ათიოდე კაცი გაიყოლა და მაშინვე უკან გაბრუნდა. ოკრიბის ბატონი იმავე ღა-

მეს მუხურაში უნდა გადასულიყო და იქ მოკეთეებთან შეხიზნული თავისი ჯალაბი ზემო თლუღში გადმოეყვანა. თლუღი ქვემო რაჭის ერთი განაპირა სოფელია, უგზო, მივარდნილი და, რასაკვირველია, უშიშარიც. თლუღსა და შემდეგ სხარტალს იქით, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, უღრანი ტყეები იწყება. სოფელს მართალია, ციხე არაფერი ჰქონდა, მაგრამ ისე მაღლობზე იყო გაშენებული, მტრის მოახლოებამდე სულ ადვილად შეიძლებოდა თავი ტყისათვის შეეფარებინა და იქ მანამ მოგეცადა, სანამ გარეთ ყველაფერი დაწყნარდებოდა.

გიორგი წულუკიძემ მეფის თავშესაფრად სხარტალი შეარჩია და თანხმობაც მიიღო. იქ თითქმის ტყეში მოუხდებოდათ ცხოვრება. იქნებ უჩვეულოდ დანაღვლიანებული, დღენიადაგ მოწყენილი თინათი სოლომონს სანადიროდაც წაეყვანა და ცოტათი მაინც გაერთო? რამდენჯერ აღუთქვა, წაგიყვანო და ეს გულწრფელი შეპირება დღემდე ვერ შეესრულებინა.

თავიანთ ახალ ადგილსამყოფელში, სხარტალში, სულ ცოტა, ორ თვეს მაინც მოუხდებოდათ გაჩერება. უფრო ადრე სოლომონი ჯარს ვერ შეკრებდა და ქედს უკანვე ვერ გადაივლიდა. ბევრი ფიქრისა და მდგომარეობის აწონდაწონვის შემდეგ სოლომონს გადაწყვეტილი ჰქონდა მოციქულები გაეგზავნა ქართლისა და კახეთის მეფეებთან, თავისი უსასოო ყოფა წვრილად ეცნობებინა და შემწეობა ეთხოვა. ვითომ საეჭვოდ გაყუჩებულ ოტია დადიანთან კი არ მოხერხდებოდა თანხმობის დამყარება? მაგრამ ვინ ჰყავდა, ვინ გაეგზავნა ან ლიხს გადაღმა და ან ოდიშში? ვის ნდობოდა? ძმა იოსებზე უკეთეს სამსახურს, ახლა რომ აქ ყოფილიყო, ვერავინ გაუწევდა. სოლომონს ღრმად სწამდა ძმის ერთგულება. მის სიდარბაისლესა და უანგარო მამულიშვილობასაც დიდად აფასებდა. იოსებმა ეს იცოდა და თავის მხრივ ძმის მადლიერი იყო.

სოლომონს თანდათან მოუმწიფდა და განუმტკიცდა მიტროპოლიტის მოციქულად გაგზავნის აზრი. არჩილიც ხომ არ გაეყოლებინა? არჩილი, მართალია, ჯერ პატარა იყო, მაგრამ როგორც მეფის ძმა, ბატონიშვილი, დამხვდურებზე სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენდა...

ასე ჩამოყალიბდა ელჩიონის შედგენის გეგმა. მეფის აღმზრდელმა ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე მოიგონა. წლების მანძილზე მაქსიმეს არა ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში მიეღო მონაწილეობა, უცხო ენებიც ზედმიწევნით იცოდა, თუმცა ეს ამჯერად საჭირო არ იყო, რადგან საქმე ქართველ მეფემთავრებთან ჰქონდათ, და სოლომონის წინადადებას უყოყმანოდ მიიღებდა.

სად იქნებოდა ახლა მაქსიმე? ისევ ხონს გაბრუნდა თუ იოსებს გაჰყვა გელათში? სადაც არ უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ უნდა ეპოვნათ და სასწრაფოდ მოეყვანათ მეფის ბანაკში. ეპისკოპოსი ოტია დადიანს პირადად იცნობდა, რამდენიმეჯერ იყო ნამყოფი გორდსა და ზუგდიდში და იმაზე უკეთ, ყოველგვარი ღირსების დაცვით, ოდიშის ბატონთან მოლაპარაკებას ვერავინ გამართავდა.

აქ ისევ დასჭირდათ ოკრიბის ბატონი ქაიხოსრო აგიაშვილი. ის, როგორც „ადგილის კურდღელი“, ან თავად უნდა წასულიყო მეფის ნების აღსასრულებლად და ან თავისი კაცები გაეგზავნა. სოლომონი ხედავდა, რომ ეს გზა ტახტის დაბრუნებისა და დამნაშავეთა ღირსეულად დასჯის ერთადერთი გზა იყო და გამზრდელს აჩქარებდა, მალე წარევლინა ხალხი მიტროპოლიტ იოსებ გენათელისა და ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძის ამოსაყვანად. მეფის მოუსვენრობა გიორგი წულუკიძესაც გადაედო. თუ აგიაშვილი ამაღამაც არ გამოჩნდებოდა, ის თვითონ აპირებდა რაზმის მომზადებას და საიდუმლო ბილიკებით გელათს წასვლას.

ღმერთი მოეხმარათ, შეთქმულთა ტყვეობიდან თავდახსნილი ბერი სწო-

რედ ამ დროს მოვიდა. ძმები რომ სოლომონს ესტუმრნენ ციხეში, მეფე და მისი მხლებლები ვახშმად ისხდნენ. სუფრაზე ვერცხლის სინებით მოეტანათ ფქვილში ამოგანგლული და შემდეგ კეცზე შებრაწული ხოტევურას კალმახი, რაჭული ლობიანები, აქ რომ ბაჭულებს ეძახიან, ყურებაპრეხილი ოსური ხაბიზგინები, ჭყინტი ყველი, ნადუღი, მჭადი და მწვანილი. სოლომონის აზარფეშაში კრიხული წითელი ღვინო ლივლივებდა.

— სიმამრიც გყოლიათ და სიდედრიც! — მხიარულად შესძახა მეფემ, თავისი გამზრდელი რომ დაინახა და საკნის ბინდბუნდში, კარის თავზე მიმაგრებული ქინქლილი რომ ანათებდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაარჩია, ვინც მას მოჰყოლოდა. — ბერი! — დაიყვირა მან, გაპიპინებული აზარფეშა სუფრაზე დაუშვა და აქვთ გამოქანებული სიყრმის მეგობარი გულში ჩაიკრა. — ფუი ეშმაკს, მართლა შენ ხარ, კაცო? ხომ არ გვეჩვენები?

— მე ვარ, სოლომონ, მე... — გულღიად იცინოდა ბერი და მასაც მეფესავით სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა თვალებში.

— ბატონო გიორგი, — სოლომონი შორიახლო გაჩერებულ გამზრდელს მიუტრიალდა. — საყვედური უნდა შემოგკადროთ. რატომ აქამდე არ გამაგებინეთ?

— ახალი მოსულია, ბატონო, — ღიმილით მიუგო ციხის პატრონმა. — ტანზე არც კი გამოუცვლია, მაშინათვე აქეთ გამოგვექცა.

— სინათლეზე მოდექი, ბერი, კარგად დაგინახო! ყველა გამოგიშვეს?

— კი ბატონო, ყველა.

— რავა ბატონობით მელაპარაკები, შე გლახა, დაგავიწყდა, რამდენი გვიჭყუმპალია ერთად ხოტევურაში?

— რა ვუყოთ მერე, ბატონო, ახლა მეფე ბრძანდები.

— კაი, რაკი არ იშლი... ვის მოუვიდა თავში თქვენი გამოშვება?

— მის უწმიდესობა კათალიკოს ბესარიონს, მე მგონია.

ეროვნული

— ერთგულების პირობა ჩამოგართვეს?

— ისე ვინ გამოგვიშვებდა!

— მერე რას აპირებ ახლა?

— რას უნდა ვაპირებდე, რასაც გუშინ და გუშინწინ ვაპირებდი, ახლაც იმას ვაპირებ.

მეფეს სახე გაეხსნა. მის შემხედვარეთ სხვებსაც ღიმილი მოერიათ. ბერიმ განაგრძო:

— მისმა უწმიდესობამ ბოდიში მოგვიხადა. გაუგებრობა მოხდაო. ყველაფერს გოლა-ფაშას აბრალებენ...

— ჩხეიძისეული სასახლე გოლა-ფაშამ გადასწვა?

— არა, მარგველებმა.

— ქაიხოსრო აგიაშვილს ვინ მიუხტა ცუცხვათში?

— იქაც მარგველები ყოფილიყვნენ, ბატონო...

— ვის ეძებდნენ, თუ იცი?

— ვითამ ჩიჩუას ვეძებდითო.

— ცუცხვათშიც და ზედა დიმშიც? ისემც რა ვუთხრა... ჩიჩუა, ბერი, დადიანის კაცი იყო, დესპანი. ჩემთან სამძიმრის გამოსაცხადებლად მოვიდა. მობარებული მგელმა შეინახაო. ჩიჩუას მტერი ჩემი მტერია! ბაბუა, ბატონი ლევან აბაშიძე, ხომ მშვიდობით ბრძანდება? იქნება ისიც კი თქვეს, რომ ბაბუასა და ბატონ ბიძაჩემებს ტახტის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვით, აღდგომის კრავივით უცოდველები არიან?

— მისმა უწმიდესობამ, კათალიკოსმა, სწორედ ეგ მოგახსენა, სოლომონ. გოლა-ფაშას უპირულობა ისე მოულოდნელი იყო, ყველა დავიბენით და ავირ-დავირიეთო. ბატონ ლევანს, ბატონიშვილებს და... — ბერი წულუკიძემ ხმას დაუწია, უკანასკნელი სიტყვები მეტი კრძალვითა და მოწიწებით წარმოთქვა. — დიდ დედოფალს თავზარი დაეცა. ნუთუ გგონიათ, სოლო-

მონის მტრობას ისინი გულში გაივლებდნენო?

სოლომონს სახე მოეჭმუხნა. ხელები ყვრიმალებზე იტაცა.

— რაიო, რაიო? ეგ რა მესმის! მაშ, დავბრუნდე და ვიმეფო? თავად შენ გჯერა, ბერი, რასაც მეუბნები?

— მე ვალდებული ვარ სიტყვა მოგიტანო, მეფევ. თავად რაც მჯერა და რასაც ვფიქრობ, მაგას, ალბათ, მერე გეტყვი. მისი უწმიდესობა კათალიკოსი ბესარიონი ბრძანებს, ბარძიმზე იფიცებს, რომ შენ ვინცაღა გარეწარმა დაგაბეზღა ფაშასთან, სულთნის ორგულობა შეგწამა... გოლა-ფაშა ქვეყანას შეესია და შენი შეპყრობაც სცადა. გიორგი ბატონიშვილს — უფროსი კაცია! — სხვა გზა აღარა ჰქონდა, სახლკარს უნდა მოპატრონებოდა, ისე ხომ არ დასტოვებდა.

— ხედავთ, რა ჰკვიანურად მოუფიქრებიათ ყველაფერი? — ახლა კი ყველა იქ მყოფს სათითაოდ მიმართა სოლომონმა. — მე, თქვენ წარმოიდგინეთ, ფაშა მემტერება. ტახტის დასაბრუნებლად რომ ომი ავტეხო, ტყუილად სისხლს დავღვრი, ვინაიდან მოწყალე სულთანმა მე, როგორც მოღალატე, შემრისხა და მამიჩემისეული ტახტი სხვას, ბიძაჩემს, მისცა. ხედავთ, როგორ არის საქმე? ეგენი, — მეფემ თითი იმ მხარეს გაიქნია, საითაც ბარში დატოვებული ვარციხე ეგულებოდა. — იძულებული გამხდარან, იარაღით გადაეღობონ წინ ჩემი სურვილის შესრულებას და თუ საჭიროებამ მოითხოვა, ძმათა სისხლიც დაღვარონ. ქვეყანა ხომ უნდა იხსნან!.. ასე არ არის? მაშ, ვინ გამოდის დამნაშავე? — მეფემ წამით იყუჩა და რადგან არავინ უპასუხა, თავადვე განაგრძო: — მე, მე გამოვდივარ დამნაშავე, ისევ მე გამოვდივარ!— მან მწარედ გაიცინა, მხოლოდ კბილები გამოაჩინა და თვალებმაც ნაკვერცხლებივით გაიელვეს. — ტყე-ტყე უნდა ვიარო, ჩემ სამეფოში ნადირივით უნდა დავიმალო, რომ უდროო დროს არსად წამომესწრონ და... ეჰ, რა გაეწყობა, ძმებო, ასე მეწერა, ალბათ, და ასეც მოხდა. ჰო, ბერო, წამო, თინათი ვნახოთ, გაეხარდება შენი სტუმრობა. გუშინ გახსენებდა სწორედ. დაბრძანდი, ბატონო გიორგი! ნუღარ დაგვიცდით, მე და ბერის შეგვაგვიანდება...

ეს თქვა თუ არა, მეფემ გაშლილი სუფრა მიატოვა, სიყრმის მეგობარს, რომლის მოსვლასაც ასე გაეხარებინა, წინ გაუძღვა და კედელში შერჭობილი მხრჩოლავი კვარით სუსტად განათებულ ვიწრო ტალანში გავიდა.

## XV

კაპუჩინელი ბერები წულუკიძეებისას მთელ კვირას დარჩნენ. ისინი სოლომონთან ან რომელიმე მის მხლებელთან არ შეუხვედრებიათ. პატრებს მხოლოდ გუმანით თუ შეიძლებოდა სცოდნოდათ მეფის აქ ყოფნა. თავის მხრივ, არც სტუმრებს გაუმხელიათ მასპინძლებისათვის, რომ თვალი გზისკენ ეჭირათ და აქ როსტომ ერისთავის გამოვლას ელოდნენ. ოკრიბიდან რაჭის საერისთავოსაკენ მიმავალი საქარავნო გზა სწორედ ხოტევში გაივლიდა და საიდანაც არ უნდა წამოსულიყო, როსტომი და მისი ლაშქარი ამ გზას ვერ ასცდებოდა. პატრები ხოტევიდან ლაშქარს გაჰყვებოდნენ, წესში გაივლიდნენ, იქ ერისთავის ოჯახის სტუმართმოყვარეობით ისარგებლებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელებდნენ გზას ონისაკენ. წესში ერისთავი ახალ კარის ეკლესიას აშენებდა. კედლები სანახევროდ ამოყვანილი იყო. ამ ზაფხულზე ციხეებისთვისაც აპირებდა ხელის შევლებას და საქმის მცოდნე კაცის თუნდაც უბრალო რჩევა დაუფასებელ რამედ უღირდა. ორი თუ სამი წლის წინათ როსტომმა ციხეების გასაახლებლად მთელ საქართველოში განთქმული კალატოზების, ძმები იამანიძეების, დაბარება განიზრახა, დროთა განმავლობაში დაზიანებული ციხეების

ხელახლა გაწყობა ვითომ მათთვის უნდა მიენდო, მაგრამ ამ განზრახვაზე ბოლოს მაინც ხელი აიღო. იამანიძეები ლევან აბაშიძის ყმები იყვნენ და, რა თქმა უნდა, თუ დასჭირდებოდათ, ერისთავის ყველა ციხესიმაგრის საიდუმლოებას თავიანთ პატრონს გაანდობდნენ. ამიტომ როსტომი ისევ გათათრებულ მესხს, ქუთაისის ციხიდან გამოქცეულ ალი ენგიჩარს, ენდო. ალის როსტომს იქით გზა არა ჰქონდა. რაღაც დიდი სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის გამო მას მოსაკლავად ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში დასდევდნენ, სადაც დიდი მიწისძვრის დროს ჩამოქცეული აია-სოფიას გუმბათი განეახლებინა. იქიდან თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო და ერთხანს ეთიოპიაში ებრძოლა. ადის-აბებიდან ბედს როგორღაც კარნუ-ქალაქში მოეხვედრებინა, ხოლო კარნუ-ქალაქიდან ახალციხის საფაშოში ამოეყო თავი. აქ, რაღა თქმა უნდა, თავისიანებს ეცნოთ, შეეპყროთ, ხელ-ფეხში ბორკილები გაეყარათ და კვლავ სტამბოლში დაბრუნება დაეპირებინათ, მაგრამ ალი ენგიჩარს ბადრაგი მოესყიდა, გზიდანვე გაქცეულიყო, ზეკარი გადმოევლო და ოსმალების მიერ დაკავებულ ქუთაისის ციხეს შეფარებოდა. აქ მანამ იყო, ვიდრე ქუთაისის განმგებელმა კიკიანმა-ფაშამ ვიღაც ენატანიასაგან არ შეიტყო, რა საშიში დამნაშავეც შეივრდომეს. ალი კიკიან-ფაშასაც გაუსხლტა ხელიდან, ქუთაისის ციხიდანაც გაიქცა და რაჭის ერისთავ როსტომს თავისი სამსახური შესთავაზა. თუკი როსტომი მიიღებდა, აქ, ყოველი მხრიდან დაცულ და მიყრუებულ რაჭაში, მას ვეღარც ფაშა მოსწვდებოდა და ვეღარც სულთანი. როსტომი მიხვდა, ეს კაცი საქმეში გამომადგებაო და დიდხანს აღარ უყოყმანია, ციხისთავის ფრიად საპატიო სახელო უბოძა. ალი ბინად მინდა-ციხეში დამკვიდრდა და როსტომის უერთგულესი მოხელე გახდა. რაჭაში ქვას ქვაზე არ დასდებდნენ, ალი ენგიჩარისათვის რომ არ ეკითხათ. როსტომი არც მარტო ამით კმაყოფილდებოდა... ვინ ვინ და მან სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ქვეყანა ვრცელია და ამ ქვეყნად ალი ენგიჩარზე უკეთესი ხუროთმოძღვრებიც არსებობენ. უცხოელ ბერებს, რომელთაც ნახევარი დედამიწა შემოევლოთ და სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალისას ბევრი რამ საკუთარი თვალით ენახათ, როსტომმა ადრევე სთხოვა, ონს მიმავალთ კარის ეკლესია მოენახულებინათ და, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ და მასპინძლის სიკეთე სურდათ, ხუროებისათვის აუცილებელი რჩევა-დარიგება მიეცათ. პატრებმა სიხარულით შეიწყნარეს ერისთავის ეს თავმდაბლური თხოვნა: მისი შესრულება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ხოლო სანაცვლოდ როსტომის კეთილგანწყობილებასა და კაპუჩინელი ძმობისათვის ეგზომ საჭირო მუდმივ ზრუნვა-მფარველობას მიიღებდნენ. თავისი ჭეშმარიტი სარწმუნოების საქადაგებლად და გასავრცელებლად ასე შორს გადმოხვეწილ პატრებს ისიც ჩინებულად მოეხსენებოდათ, რომ როსტომ რაჭის ერისთავი ნეტარხსენებული მამის — შოშიტას და ჯვარცმული ქრისტეს მხევალი დედის — წულუკიძის ასულ მარიამის მოსაგონრად და სულის საოხად მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, თვით იერუსალიმში, წმინდა ბარბარეს სახელობის დიდებულ მონასტერს აშენებდა და ერისთავის ღვთისმოშიშობით, უპირატესად მას შემდეგ, რაც ის კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი გახდა, აღფრთოვანებული იყვნენ.

როსტომი არც მეორე კვირის დამლევს გამოჩენილა. საწერეთლოდან და ვაკე იმერეთის სოფლებიდან გადმოხვეწილ ლტოლვილებს ყოველ ცისმარე დღე ერთიმეორეზე უარესი ამბები მოჰქონდათ. ეს ამბები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა.

მაგრამ უმთავრესი აზრი მაინც ცხადი იყო — ქვეყანა სისხლში ცურავდა...

გიორგი და ბერი წულუკიძეები ხოტევს ვერ შორდებოდნენ. ხარითვალზე მზირები დააყენეს. თუ ვინიცობაა, როსტომს დაინახავდნენ, მზირებს სადარაჯო კოშკიდან ნიშანი უნდა მოეცათ. ნიკორწმინდის ტაძრის სამრეკლოზე ზარების რეკა ატყდებოდა და ახლომახლო სოფლებს მტრის შემოსვლას აუწყებდა. როსტომს, შესაძლოა ისე გაევლო, ხოტევის ციხისათვის ზედაც არ შეეხედა, მაგრამ ისიც ადვილად შესაძლებელი იყო, ალყა შემოერტყა, წესიდან ზარბაზნები დაებარებინა, იერიში მიეტანა და დევნილი სოლომონის შეპყრობის საბაბით ციხე დაეზიანებინა.

დაღამებისას, ქათამი რომ დაიბუდებდა და ზანზალაკების ჟღარუნ-წკრიალით სოფლის ჯოგი საძოვრიდან მობრუნდებოდა, ნიკორწმინდის ტაძრის სამრეკლო კი კვლავინდებურად სდუმდა, ძმები ხან მორიგეობით, ხანაც ერთად სტოვებდნენ ციხეს და მცირე ამალის თანხლებით, ქვეყნის ყურადღება რომ არ მიექციათ, სხარტალს, მეფის ბანაკში ადიოდნენ. უკვე ორი კვირა სრულდებოდა, რაც მეფე იქ ათევდა ღამეს და ბედის განაჩენს მოთმინებით ელოდა. სოლომონსა და თინათის ერთი პატარა ქოხი ეკავათ სოფლის განაპირას. ფიცრული სახლის ერთადერთი სარკმელი, რომელზედაც ქინძისთავით დაჩხვლეტილი გაქონილი ქაღალდი იყო გაკრული, მწვანე ტაფობს და იმას იქით წამოქოჩრილ ნორჩ ნაძვნარს გადაჰყურებდა. დილაადრიან, გათენდებოდა თუ არა, ტაფობში ჭრელი ხბოები ბალახობდნენ, აღმა-დაღმა დაკუნტრუშებდნენ და ახლად გამოკვირტულ თხილისა და იელის ბუჩქნარში დედებს ეძებდნენ. დედები სხვა საძოვარზე ჰყავდათ გარეკილი მწყემსებს. დამშეული ხბოების ბღავილისაგან მთელი დღე ყურთასმენა აღარ იყო. თინათი ფანჯარასთან იჯდა, ხვაშაქის გამოტანებული თეთრი შალი ბეჭებზე წამოესხა, ფეხებიც დაეთბუნა და თავსხმაში გაწუწულ ბახალასავით დაღონებული მწვანე ტაფობს, ტყისპირას და მოკუნტრუშე ხბოებს გაჰყურებდა.

სოლომონი იშვიათად თუ მოიცდიდა შინ. მთელ დროს, დილიდან საღამომდე, სხვაგან ატარებდა და მხოლოდ დასაძინებლად მოდიოდა. თინათი ამითაც კმაყოფილი იყო. სულ ჩემს გვერდით ყოფნამ და ირგვლივ გამეფებულმა ერთფეროვნებამ ვაითუ თავი მოაბეზროს, ჯობს ისევ გული გადააყოლოსო.

ერთადერთი არსება, ვისთანაც ქალს გაშინაურება და დამეგობრება შეეძლო, გულქანი იყო. ახლა, როცა წიაღში ახალი სიცოცხლის გამოღვიძებას და გულის ფეთქვას გრძნობდა, განსაკუთრებით ესაჭიროებოდა ხმის გამცემი და მესაიდუმლე. ამ მესაიდუმლის მაგივრობას სოლომონი ვერ გაუწევდა. სოლომონი, ჯერ ერთი, მამაკაცი იყო და ბევრი რამ იქნებ ვერც კი გაეგო. მეორეც: თინათის ქმრისა რცხვენოდა, სოლომონს ისე ერიდებოდა, როგორც ვინმე უცხო მამაკაცს... მაგრამ გულქანი? ამ სისხლითა და ხორცით გატენილმა თვალებბრიალებულმა ქალიშვილმა ყმაწვილი დედოფალი პირველ დანახვისთანავე მოხიბლა. გულში გულქანისადმი აუხსნელმა ქალურმა შურმა და ქიშპმაც კი გაიღვიძა. შეხვედრის პირველსავე ღამეს დედოფალს საზარელი რამ დაესიზმრა: დედიშობილა გულქანი ვითომ ხოტევურას მორევში ბანაობდა, ხოლო მდინარის პირას, თხმელებში, სოლომონი იწვა და ქალის ატეხილ ძუძუ-მკერდისათვის თვალი ვერ მოეწყვიტა...

რა იყო ეს? დაესიზმრა, თუ მართლა ცხადლივ ნახა რაღაც ამის მსგავსი?

თინათიმ საღვთო წერილი გადაფურცლა. რა ეწერა იქ ამის თაობაზე? ეწერა თუ მას სურდა რაიმე წერებულიყო! ბევრი ძებნის შემდეგ მიაგნო და თვალებით ზედ დააკვდა:

„...გესმა, რამეთუ ითქვა: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ

ყოველნი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“...

სანამ გიორგი წულუკიძე თავის ალზრდილსა და მის ახალგაზრდა თამეცხედრეს სხარტალში ამ პატარა ქოხს გამოუძებნიდა და დაუცლიდა, ქოხის პატრონი მოხუცებული ცოლ-ქმარი დროებით მეზობელ გლეხს შეუსახლა. მეფისა და დედოფლის ნამდვილი ვინაობა არ გაუმხელიათ. იგი ბოლომდე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. დედაბერი მხოლოდ საღამოობით მოდიოდა, საძოვრიდან დაბრუნებულ ძროხას მოწველიდა, სპილენძის ტოლჩით თინათის თბილ რძეს შეუტანდა და თითქოს იმის შიშით, ეს ცით მოვლენილი ანგელოზი ჩემი მოხუცებულობის სიმახინჯემ არ დააფრთხოსო, მაშინვე წავიდოდა. თინათი ხედავდა და გრძნობდა, რა გამოუთქმელი თაყვანისცემითა და დედობრივი ალერსით შემოხედავდა ხოლმე ეს სიდუხჭირეში დალეული ღარიბ-ღატაკი ბებერი ქალი, როგორ ნატრობდა, თინათის რაიმე სურვილი, თუნდაც სულ უმნიშვნელო რამ აესრულებინა და რა გულდაწყვეტილი რჩებოდა, როცა თინათი, თითქოს ესწრაფვის როგორმე თავიდან მოიშოროსო, დაბნეულად გაუღიმებდა, მადლობას წაიბუტბუტებდა და ისევ მიტოვებულ ხელსაქმეს მიუბრუნდებოდა, ანდა ფსალმუნს გადაშლიდა და მეათასეჯერ ბუტბუტებდა ერთსა და იგივეს:

„— უფალო, ძალითა შენითა იხარებდეს მეფე, და მაცხოვარებითა შენითა იშვებდეს ფრიად. გულისთქმა გულისა მისისა მიეც მას, და ნება ბაგეთა მისთა არა დააკლე მას. რამეთუ მისწიფე იგი კურთხევასა სიტკბოებისასა, დაადგ თავსა მისსა გვირგვინი ქვისა მისგან პატიოსნისა. ცხოვრებაი გთხოვა შენ და მიეც მას, განგრძობა დღეთა უკუნითი უკუნისამდე. დიდ არს დიდება მისი მაცხოვარებითა შენითა, დიდება და დიდად შვენიერება დაადგ მას ზედა. რამეთუ მისცე მას კურთხევა უკუნითი უკუნისამდე და ახარო მას სიხარულითა პირისა შენისათა...“

ბიბლიოთეკა

გულში ჩაბუდებული აუხსნელი სიძულვილის მიუხედავად, სოლომონისა და თვით წულუკიძეების ხათრით, თინათი ყველა ღონეს ხმარობდა, გულქანისათვის არაფერი ეგრძნობინებინა და მას შეძლებისდაგვარი ალერსითა და თავაზით მოპყრობოდა. თავისი გამოუცდელობისა და მიუხვედრელობის წყალობით გულქანი, შესაძლოა, ვერც კი გრძნობდა, თუ ნუკრივით უწყინარ და ნაზ დედოფალს რაგვარ უშფოთებდა სულს მისი ყოველი დანახვა და იმის მაგიერ, მორიდებოდა და შორს გასცლოდა, თვითონვე ცდილობდა, მეფის სათაყვანებელ თანამეცხედრესთან ორისამი საათი ზედმეტად გაეტარებინა. გულქანი იშვიათად თუ ახერხებდა სხარტალში ამოსვლას. უფრო ხშირად შინ იჯდა და გზას გაჰყურებდა, რადგან დღეს ან ხვალ კულაშელი სასიძო უნდა მობრძანებულიყო ქალის წასაყვანად...

დროთა განმავლობაში თინათი ისე შეეჩვია სახლის პატრონი დედაბერის მოსვლას და მასთან უსიტყვო საუბარს, ერთ მშვენიერ დღეს ნავსი გატეხა და კიდევაც გამოელაპარაკა. დედაბერს ყურს აკლდა. ალღოთი იგრძნო, ამ ზეციურმა არსებამ კაციშვილის ხმით დაილაპარაკაო და რამდენადაც მოხუცებულობა და სიძაბუნე ნებას აძლევდა, გახარებული მოიჭრა.

თინათის სულ უბრალო რამის თქმა ეწადა: რძით სავსე ქოთანი მეზობლისას რატომ მიგაქვს ყოველ საღამოს, განა აქ, შენს ქოხში, კი არ შეიძლება ყველის ამოყვანაო?

დედაბერმა უკბილო პირის ჩიფჩიფით უპასუხა:

— ყველუკას ამოსაყვანი რძეუკა ქვევ სადა გვაქ, დედუა, ი ბოშუნეებს ვეღარ ოუდივართ ყე...

თინათი განცვიფრდა. ჯერ ხეირიანად ვერ გაიგო, რა უთხრა დედაბერმა, რომელიც ნამეტნავ რაჭულ კილოზე უქ-

ცევდა, მერე თითქოს მიხვდა და ცნობისმოყვარეობა კიდევ მეტი სიცხოველით შემოეგზნო. მაშ, დედაბერს რძე სადღაც დააქვს, სადაც „ბოშუნეები“ ელოდებიან? ვინ „ბოშუნეებია?“ სად არიან, კიდევ ვინ პატრონობს მათ ამ უმწეო დედაბრის გარდა?

მზე ახალი ჩასული იყო. ძიძიშვილებისა და წინა დილას ვარციხიდან ამოსული სახლთუხუცესის თანხლებით სადღაც გადაკარგული სოლომონი დაბინდებამდე არ გამოჩნდებოდა. ჯერ არც წულუკიძეებისა და აგიაშვილის ჯალაბი ამოაკითხავდა სხარტალში შეხიზნულ მეფის ოჯახს. ამით თინათიმ გული გაიმაგრა, ბეწვმოვლებული თბილი ქურქი მოიცვა და დედაბერს ანიშნა, მეც შენთან ერთად მოვდივარო. დედაბერი გადაირია. არა და არ უნდოდა მისი წაყვანა. ხვეწნა და მუდარაც კი დაუწყო, ნუ დამღუპავ, ბატონები შემიტყობენ ამას და მე უბედურს ცხენის კუდზე გამომაბამენო. თინათი გაკერპდა. დედაბერს უბრძანა, წინ წასულიყო და გზა ესწავლებინა. საბრალო ქალი დამორჩილდა. ერთხანს სოფლის შუკაში იარეს. გზადაგზა საძოვრებიდან დაბრუნებული საქონელი და ფლასებში გახვეული ცნობისმოყვარე ბავშვები ხვდებოდათ. მენახირე გოგო-ბიჭები ისე განცვიფრებულები იყვნენ თინათის დანახვით, ამას არც კი მალავდნენ და ყმაწვილ ქალს პირდაღებული და თვალებგაშტერებული მისჩერებოდნენ. მალე ახალი გადაბარული ბოსტნები, ბაღჩები, ქერის ნათესები და ძეძვის დაბალი ღობეები უკან დარჩა და დედაბერმა ტყისკენ გადაუხვია. ის წინ მიხანხალებდა, კორძებიან მაღალ ჯოხს იბიჯგებდა, თავისუფალი მარცხენა ხელით კი ძლივს იმაგრებდა გულზე მიხუტებულ ქოთანს.

სად მიდიოდნენ? თინათის შიში შეეპარა. ინანა კიდევაც, ნეტა არ ავჩქარებულიყავიო. ვაითუ დედაბერი სულაც არ იყო დედაბერი, კუდიანი იყო და თინათი, მარტო რომ დაიგულა, სულის წასაწყმედად მიჰყავდა?

ქალმა უნებლიეთ ძუძუებზე და მუცელზე იტაცა ხელი. აქ დედის წიაღში მთვლემარე სიცოცხლე ფეთქავდა. „ღმერთო, შენ დაგვიფარე, არული კუდიანებს!...“

დედაბერს, თუ ის მართლა ავი სული იყო, შეეძლო ერთი რაღაც ეშმაკეული ლოცვა წარმოეთქვა და ნაყოფი დედის მუცელშივე გაეწყალებინა. თინათიმ დრო შეარჩია, პირჯვარი ისე გადაიწერა, რომ ქალს ეჭვი არ აეღო...

დედაბერი წელანდებური ფაცხაფუცხით მიდიოდა და მწვანე ტაფობში შეუჩერებლივ ეშვებოდა. უღრანი ტყე სულ ახლოს იყო, ოციოდე ნაბიჯზე. იქამდე ჯერ კიდევ არ მისულიყვნენ, რომ თინათის ისევ დაუარა ჟრუანტელმა. სხვა დროს იქნებ კიდევაც ეკივლა, მშველელი მოეხმო, მაგრამ ახლა კრიჭა შეეკრა და სულიც შეუგუბდა.

ხეებს შორის შავი აჩრდილები დაბორიალებდნენ. ტყის სიღრმეში, რამდენიმე ადგილას, მგონი, ცეცხლიც ენთო...

— ნუ გეშინია, დედუა, ქრისტიანები არიან, რავარც მე და შენ, ისე, აქანა თათრის შიშმა... ვაი მის დედააას!.. — მოესმა მას დედაბრის ჩიფჩიფი.— თათრის შიშმა და გაჭირვებამ მოიყვანა უბედურებიი..

თინათის გონება გაეხსნა, რაღაცას მიხვდა. ის უკვე თავადაც არჩევდა, რომ ტყეში მობორიალე არსებანი მართლაც ადამიანები იყვნენ, იმ სხარტალელ მენახირე ბალღებივით კონკებით შემოსილი ქალები, კაცები და ბავშვები. სოფლიდან აქეთ მომავალი ორი დედაკაცი დამხვდურთ შორიდანვე დაენახათ და იქიდან აქამდე ხარბად აკვირდებოდნენ, ვინ მოდიოდა, მტერი თუ მოყვარე და რა მოჰქონდა.

თინათი ცახცახმა აიტანა. ნუთუ ეს ცხადი იყო და არა გულში ჩაყოლილი შემზარავი სიზმარი?

ვინ იცის, ქვეყნის რომელი კუთხი-

დან გადმოხვეწილ და მიუვალ მთებსა და ღარტაფებში შემოხიზნულ ლტოლვილებს ტყე სახლად და თავშესაფრად გადაექციათ. უხარმახარი ხეები ალაგ-ალაგ თავ-ბოლოშექცევით იყო წაქცეული. აგარიანს თუ შინაურ მტერს ეს ხელოვნური ზღუდე გზას წუთით მაინც გადაუღობავდა და მის უკან შეფარებულთ აქეთ-იქით გაქცევისა, გაფანტვისა და უშიშარ ადგილზე დამალვის საშუალება მიეცემოდა.

თინათიმ და დედაბერმა ხუთ თუ ექვს ამგვარად ჩახერგილ ადგილს შემოუარეს. ტყეში კვამლი დაიზლაზნებოდა და ორი-სამი ნაბიჯის იქით თითქმის აღარაფერი ჩანდა. დედაბერი ერთი დიდი კოცონის შორიახლო გაჩერდა. კოცონს უამრავი ხალხი ეხვია გარს. იქ, ალბათ, მთელ სოფელს ან უბანს მოეყარა თავი. ფეხზე არავინ წამომდგარა და მოსულთ არავინ მიგებებია. ბევრს მგონი არც კი შეუტყვია ვისიმე მოსვლა.

თინათის უცნაური შიში ჩაუსახლდა გულში. ის ახლა ხედავდა, საკუთარი თვალებით ხედავდა, რაც სოლომონმა საწირეში, ნაფიჩვაძეების სახლის იმ პაწია ოთახში აუწერა, ხედავდა და თვალებისათვის ვერ დაეჯერებინა. ნეტა რას იზამდა გამწარებული ბრბო, ვინმეს ან თვით დედაბერს რომ ეყვირა, ეს პატარა ქალბატონი, თავზე რომ წამოგადგათ, თვით თინათია, დედოფალი, ჩვენი დამღუპველი მეფის, სოლომონის, თანამეცხედრეო?

— არა, სოლომონი ამათი — ხალხის დამღუპველი არ არის! — წაიჩურჩულა გულში თინათიმ, — ის ჯერ ახალგაზრდაა და ძლიერ და ვერაგ მტრებს ვერ მოერია, მაგრამ მოერევა უსიკვდილოდ, ყოველ მიზეზგარეშე მოერევა...

ეს ასე იყო, თინათიმ კარგად იცოდა, მხოლოდ ამათ, ამ გატყიურებულმა ადამიანებმა არ იცოდნენ და სწორედ ამიტომ შეიძლებოდა, ვინმე ტანჯვისაგან სასოწარკვეთილს საზარელი სიტყვები ეღრიალა, ხალხი გადაერია და უდანაშაულო ქალს პირველი სძგერებოდა ყელის გამოსაღადრავად, — ბრბო მუდამ დამნაშავეს ეძებს. — ვინმეზე ჯავრი ხომ უნდა იყაროს, ვინმე ხომ უნდა იყოს დამნაშავე!

არა! თინათიმ ჩუმად დაიკვნესა და ისევ გადაიწერა პირჯვარი. „მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, რომელი აღდგომილ არიან ჩემზედა, განმარინე მე! მიხსენ მე მოქმედთაგან უსჯულოებისათა და კაცთა მოსისხლეთაგან მაცხოვნე მე, რამეთუ ესერა მონადირეს სული ჩემი და დამესხნეს ჩემ ზედა ძლიერნი. არცა უსჯულოება ჩემი, არცა ცოდვა ჩემი, უფალო, უცოდველად ვრბიოდე და წარვმართე, განიღვიძე შემთხვევად ჩემდა და იხილე!..“

მოსულთ ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი დედაკაცები შემოეხვივნენ დედაბერს ქოთანი ჩამოართვეს, თინათის კი ზედაც არ უყურებდნენ. ამ დღეების განმავლობაში, რაც შინიდან გამოსულიყვნენ და თავი ტყისათვის მიეცათ, გზად ვის არ გადაჰყროდნენ, მდიდარსაც და ღარიბსაც, ღვთისნიერსაც და ქრისტეს ფეხის მომეტხსაც, დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც, ყველას შესჩვეოდნენ და არავინ და აღარაფერი აკვირვებდათ.

დედაკაცთაგან ზოგს საკინძე გაეხსნა, ჩვრებში გამოკრული, აღნავლებული ჩვილი ბალღისათვის, მკერდზე რომ მიეხუტებინა და საკუთარი სხეულის მხურვალებით ათბობდა, პირში რძეგამშრალი ძუძუ ჩაედო. ზოგი უბავშვოდ იყო, ოღონდ ზედვე ეტყობოდა, ბავშვი სადღაც ახლოს, თავისიანებისათვის დაეტოვებინა და გულისყურიც იქით გაურბოდა. რძე იქვე გაინაწილეს,ცეცხლის შუქზე და აყაყანებულებმა, რადგან ყველას არ ეყო, უკანასკნელ წვეთამდე გამოწურული შავი ქოთანი კვლავ პატრონს დაუბრუნეს. თინათი არც ახლა შეუმჩნევია ვისმე, ის თითქოს არც ყოფილიყოს. ქალს ეს შვებას ჰგვრიდა, ტკივილს უმსუბუქებდა: ოღონდ ნუ დაინახავდნენ, ნუ შეამჩნევდნენ, ქვეყანას ნუ შეუყრიდნენ...

ტყიდან გამოსასვლელი გზა უფრო გრძელი და თითქმის გაუთავებელი აღმოჩნდა. ფერმიხდილი თინათი ამჯერად წინ მიდიოდა და მსგავს ვითარებას სრულიად შეუჩვეველი სიბნელეში ხელების ფათურით ბილიკს ეძებდა. ორჯერ თუ სამჯერ ფხრეწის ხმა მოესმა. მხრებზე წამოხურული შალი რაღაცამ უკან გაქაჩა. უთუოდ ეკალი იყო. ამან თითქოს კიდევაც გაართო და წუთის წინ ნანახი ამქვეყნიური ჯოჯოხეთი ცოტა ხნით გადაავიწყა. სამაგიეროდ დედაბებერი მარჯვედ იყო. ის, მგონი, ღამით უკეთ ხედავდა, ვიდრე დღისით. თავისებური ჩიფჩიფით ამხნევებდა, ცოტა, ცოტუნიკა კიდევ მოითმინე, ახლა სულ მალე მივალთო და ასწავლიდა, სად მარჯვნივ მოეხვია და სად — მარცხნივ.

ტყიდან რომ გამოვიდნენ და ცის კიდურზე ნაცნობი ქოხ-ბოსლები და ნალიები გამოჩნდა, თინათის ღონემ უცებ უმტყუნა, ერთი სუსტი წამოყვირება კი მოასწრო, მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა.

უბანში ვიღაცამ დაიძახა, ხალხო, დედოფალი დაიკარგაო. სხარტალელებს ჯერ გაუკვირდათ, მაგრამ მერე მალე მოეგნენ გონს, მიხვდნენ, სიტყვა ვისაც შეეხებოდა და ამბის უკეთ გასაგებად დიდიან-პატარიანა შუკაში გამოცვივდნენ. ბევრმა მათგანმა აქამდე მხოლოდ კილოკავად იცოდა, რომ მათ სოფელში თვით იმერეთის მეფე სოლომონი აფარებდა თავს, ხოლო ყრუჩუნა აღათის მდგმური თვალმშვენიერი ყმაწვილი ქალი, დედოფალი, სოლომონის თანამეცხედრე თინათი იყო. რაკი აქაურობის ბატონ-პატრონი წულუკიძეები და მათი სახლეული მეფე-დედოფლის ვინაობას განურჩევლივ ყველას უმალავდნენ, ხალხიც, ბატონების რისხვა არ დავიმსახუროთო, პირში წყალს იგუბებდა, ახლა კი, საგანგაშო ძახილი რომ მოისმა, იდროვა და ცნობისმოყვარეობითა და მოუთმენლობით შეპყრობილი გარეთ გამოეფინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინამოსამსახურეებს, მეფესა და დედოფალს წულუკიძეებმა რომ ხოტევიდან აახლეს, თავიანთი პატრონი გვიან მოესაკლისებინათ. ის იყო, კაცის გაგზავნას აპირებდნენ ზემო თლუღში, სადაც მუხურიდან გადმობარგების შემდეგ ქაიხოსრო აგიაშვილის ჯალაბი ცხოვრობდა, რომ სწორედ ამ დროს მენახირე ბალღებმა დაიძახეს კარზე, დედოფალი ტყისკენ მიდიოდა, ჩვენი თვალით ვნახეთ, ყრუჩუნა აღათის მიჰყვებოდაო. დიდება შენდა, ღმერთო! ბალღების მოტანილმა ამბავმა კიდევ უფრო გააკვირვა და შეაშფოთა ისედაც გაკვირვებული და შიშისაგან გულგახეთქილი მოახლეები. ადამიანის მოტაცება, ქალი იქნებოდა თუ ბავშვი, წლისა და დღის ყოველ დროს, დღეს არავის უკვირდა. სანამ ხეირიანად რაიმეს შეიტყობდი, მნახველს ვისმე გადააწყდებოდი და მდევარს თავს მოუყრიდი, იმას უკვე ნაჯიხურევს გადაატარებდნენ...

ღმერთი მოეხმარათ, სოლომონი თითქოს განზრახ იგვიანებდა. რა გუნებაზე დადგებოდა თავისი უყისმათობით ისედაც გულშემოყრილი კაცი, შინ რომ მოვიდოდა და საღ-სალამათად დატოვებულ ცოლს ვერ დაინახავდა? ვაი მოახლეებისა და სოფლის ბრალი!..

ღონემიხდილი თინათი კარგა ხნის ძებნისა და დავიდარაბის შემდეგ ამოიყვანეს ტაფობიდან. წივილ-კივილისაგან ხმაწართმეული აღათი თავს იკლავდა, დიდსა და პატარას ეხვეწებოდა, ნულარ მაცოცხლებთო, თავში მჯიღებს იცემდა და ბრავალზლის წმიდა გიორგის ქალის უვნებლად გადარჩენას ევედრებოდა.

ფერწასული, გალეული, სიცივისა და ელდისაგან მთლად გალურჯებული, ტანისამოსშემოფხრეწილი თინათი შუაცეცხლთან ჩასვეს საკარცხულში და გარს ჰირსა და ლხინში გამოცდილი სხარტალელი დედაკაცები შემოეხვივ-

ნენ. ყველას სწყუროდა, დედოფალი ახლოს ენახა, დაკვირვებოდა და, თუ შეიძლებოდა, ხელიც კი მოეკიდა. ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა. ქალი გათვალულს ჰგავდა. ხმა ვერასგზით ამოაღებინეს. კრიჭა შეჰკვროდა, ფართოდ გახელილი თვალები კი უაზროდ მიშტერებოდნენ ამოჩემებულ წერტილს. ვიღაცამ სოფლის მკითხავი და ექიმბაში კალისტა მოიგონა...

— უებარი შელოცვა იცის. უი, ჰი!.. რას გაბლეხილხართ, ხალხო, მივდგეთ-მოვდგეთ, გევინძრეთ-ყე, მტრისას და ავისას, ქალუკა ხელში ჩაგვაკვდება!

სხვებმა — წყალი გავაცხელოთო, გობზე დავასხამთ, ავადმყოფს ფეხებს ჩავაყრევინებთო. შემოძახებამ დაბნეული ხალხი გამოაფხიზლა. კაცები და ბალღები კალისტას მოსაყვანად გავარდნენ გარეთ. მკითხავი სულ ზემოთ, სოფლის თავში ცხოვრობდა. სოფლის აურზაურს, ეტყობა, იქამდე არ აუღწევია, თორემ ჯაბანი ქმრის პატრონი კალისტა, სახლში გაჩერებას რომ საფლავში წოლა ერჩივნა, უკვე აქ იქნებოდა. ქალებმა ქოხის ჩაბნელებულ კუთხეს მიაშურეს, სადაც ჯამ-ჭურჭელი, დერგები და ქოთნები ეგულებოდათ. ერთმა სპილენძის თუნგს წამოავლო ხელი და სოფლის წყაროზე წყლის მოსატანად გაიქცა.

კალისტა ლოგინიდან წამოეგდოთ. ჩაცმა-დახურვისა და კეკლუცობის მოყვარულ დედაკაცს უმარულის წაცხებაც ვერ მოესწრო და მობერებული სახე უცნაურად აჭრელებოდა. კალისტა რომ ქოხში შემოცუხცუხდა, თინათი კვლავ საკარცხულში იჯდა კერიასთან და ერთ წერტილზე უაზროდ მიშტერებული არც კარგს ამბობდა და არც ავს. სხვებზე მეტი სიმარჯვე და მოხერხებულობა ისევ უბედურმა ალათიმ გამოიჩინა. შუა დარბაზში უხეიროდ მობორიალე კაცები დაითხოვა, წადით დედუა, აქ სათქვენო საქმუკას აბა რას ხედავთო. დარცხვენილი ახალგაზრდა ბიჭები რომ გარეთ გაისტუმრა, ყრუჩუნა ალათიმ შავად შეჭვარტლულ კარში უშველებელი ურდული გაუყარა, თან პირჯვარს იწერდა და ბრავალზლის წმიდა გიორგის შეწევნას თხოვდა, კალისტამ თავსაფარი წაიძრო, თიხის ჯამი, წყაროს წყალი, შავტარიანი მჭრელი დანა და ნახშირი მოითხოვა. როცა ყველაფერი მოუტანეს, ცეცხლის გარეშემო შემოჯარული ქალები მისწი-მოსწია, თავისი ავლადიდება თინათის ფეხებთან სოხანეზე დააწყო, შავტარიანი დანა მოიმარჯვა, ნახშირი ორომზე დაჭრა, წყლით გაპიპინებულ ჯამში ჩაყარა და ცეცხლის სიმხურვალისაგან წამოფიცხებული ჟინჟღილა სახე მოაბრუნა, რათა დანის პირით გათვალულისათვის პირჯვარი გადაეწერა და შელოცვა დაეწყო.

თავსაფრით პირმობუდნული დედაკაცები სულგანაბული უგდებდნენ ყურს, თვალს ადევნებდნენ მის ყოველ მოძრაობას და ტუჩების უხმო ცმაცუნს.

— უი, ჰი! — შესძახა ყველასათვის მოულოდნელად კალისტამ და შავტარიანი მჭრელი დანა ძირს დაუშვა. — ამის საფერო შელოცვა მე ქვე რა ვიცი, გადეირია ჩემი მტერი?

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს, თუ ღმერთი გწამთ, რა დროს ლაზღანდარობა არისო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, თავსაფრის ყურქვეშ დამალულმა ღიმილმა ყველას მაინც გაუხსნა სახე. გულისგამაწვრილებლად ჩამოწოლილი მკვდრული სიჩუმე გაიფანტა, ჭირისუფლებივით გულხელდაჭდობილი დედაკაცები ახლა უკვე იმედიანად ილიმებოდნენ.

კალისტა გათამამდა.

— ამას ჩვენი ბატონი მეფე მეიყვანს ფერზე. — თქვა მან. — მობრძანდეს ჯერე!..

— სუ, ქალო, თავი ხომ არ მოგძულებია!

— ტყუილს ვამბობ თუ?

— შენ კი მეისპე, მწკლარტე ენის პატრონი შენ ხარ!

— ვითომ არ გაგეხარათ! — კალისტამ თანასოფლელებს აჰხედა და თით-

ქოს აქ არაფერი მომხდარაო, თავისი საქმე განაგრძო.

— შეულოცე, შე სასიკვდილე, შეულოცე, შელოცვა ხომ არ დაგავიწყდა!..

— არ იჯერებთ, გოგუებო, ჩემს სიტყვას? აბა, ერთი ბატონმა მეფემ შემოაღოს კარი, ხელათ თუ არ წამოხტეს ფეხზე. რა ვუყოთ, შეშინებულია, გოუვლის. მეც ბევრჯერ შემშინებია, მარა ქვე კი არ მოვმკვდარვარ.

— მერე შენ და ეგ ერთი ხართ?

— რატომ არა ვითომ, ფერი მაკლია თუ ხორცი!

— დედა, ღმერთო, არ მოგვჭრა თავი ამ ჩასიკვდილემ?

— გაჭრი შენ, კალისტუკა, კაცუნეებმა არაფერი გეიგონონ, ბოშო, ქემაინც მართლა იყო რამეს გამკეთებელი!

— შენ რა იცი, ვარ თუ არა?!

— ნეტაი შენს მამამთილს! — მაღალმაღალ, წარმოსადეგ ქალს, აქ მყოფთა შორის რომ ყველაზე ახალგაზრდა და თვალტანადი ჩანდა, სახეზე სიწითლე მოერია.

— არ მათქმევინო ახლა! — ვითომ შეუტია მას კალისტამ.

— თუ არა რას იტყვი? — ქალი გამომწვევად, ეშმაკურად იღიმებოდა, თან თვალი ურდულგაგდებულ კარისაკენ ეჭირა, მართლა ღმერთი არ გაგვიწყრეს და ყურს არავინ გვიგდებდესო.

— თვალებში შემომხედე!

— შემოგხედე, მერე?

— დედა, დედა, დედა, დედა, მეხი დამეცეს, თუ ამისთანა ურცხვი ქალუკას მნახველი ვიყო!..

— რატომ, რატომ, შე სასიკვდილე? — ახლა სხვა დედაკაცებიც ახმაურდნენ და ვითომდა თავშესაქცევი ამბის მოსასმენად მოემზადნენ.

— დედოფალთან ნუ მათქმევინებთ მაგას. ამ მოსასპობს რავა შევარცხვენ, სახლში აღარ უნდა მისვლა?

— ისემც შენ იხარე, რავარც შენ რამე იცოდე და ენუკაზე დაგადგეს! — ტანადმა ქალმა, კალისტას პილპილმოყრილი ოხუნჯობის მიზეზი რომ გახდა, ცეცხლმოკიდებული ლაწვები და ყურები თავსაფარში დამალა და სიტყვამრავალ მეზობელს, ვისთანაც ეტყობოდა, შეხუმრებული იყო და დამალულიც მაინცდამაინც არაფერი ჰქონდა, მუჯლუგუნი ჰკრა.

კალისტამ უეცრად მოიწყინა. ყურს უკვე აღარავის უგდებდა. მუდამ ასე იცოდა ხოლმე, გულში ზეგარდმო გადმოსულ ძალას რომ იგრძნობდა, ხოლო გონებას არაჩვეულებრივი სიცხადე დაეუფლებოდა. ქალებმა ხმა გაკმინდეს. ყველა სმენად გადაიქცა. კალისტა ალმაცერად ჩასცქეროდა ,ჯამს, თითქოს შიგ ყურის დასველებას აპირებსო, წყალს დანის პირით ურევდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ამას რომ მორჩა, ხელი თინათის შეახო მუხლზე, მეორე ხელით, რომელშიაც დანა ეკავა, სამგზის პირჯვარი გადასახა, თვალები ამოიბრუნა, ჭვარტლით გაშავებულ თავხეს მიაშტერდა და გაზეპირებული, ათასჯერ ნათქვამი შელოცვა სულმოუთქმელად დაიწყო:

ალისასა, მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა,
თვალშავისასა,
თვალჭრელისასა,
ვაი ავი თვალისასა!..
მოდიოდა შავი წყალი,
მას მოქონდა შავი გველი.
ჩავყავ შავი ყავარჯენი,
ამოვიღე შავი გველი.
მივკიდე შავსა ლობესა, ყორესა,
ჰკნებოდა შავსა ლობესა, ყორესა.
გასკდა რვალი,
დეემსო თვალი...

—შეხედეთ, ქალებო, თავი ნუ მოგიკვდებათ, ფერი მოუვიდა! — კალისტამ პირზე ხელი მიიფარა და იმავე ხმით, რითაც შელოცვას ამბობდა, თანასოფლელებს მიუბრუნდა. — ფუ, ფუ! ღმერთო, კაი ყურით გეიგონე!..

ქალებმა ერთხმად მოხსნეს გუდას პირი, გახარებული აყაყანდნენ. გათავალულ დედოფალს უკეთესობა მგონი მართლა ემჩნეოდა. კალისტამ ისევ მინაბა თვალები, კვლავ გამჭვარტლულ

თავხეს მიაშტერდა და ბოლოწაწყვეტილი შელოცვა სხაპასხუპით დაასრულა:

გასკდა რვალი,
დეემსო თვალი
ამ ჩვენი დედოფლის, თინათის,
ავი თვალით შემხედვარესა...

კალისტა აღტკინებული იყო. აქ ვეღარავის ამჩნევდა. ბოლოში რომ გავიდა, სული მოითქვა და უმალვე თავიდან დაიწყო, ოღონდ ხმას დაუწია და სახეზეც რაღაც იდუმალი გამომეტყველება დაედო. დროდადრო, შელოცვის ცალკეული სიტყვების წარმოთქმისას, სველი დანის პირით პირჯვარს სწერდა თინათის. სასწაულის მოწმე ქალები ხან მას უყურებდნენ და ხან თვალდათვალ მოფერიანებულ დედოფალს. თინათი მაინც უქეიფოდ იყო, მხოლოდ ლოგინში ჩაწვენისას იკითხა, სადა ვარო და როცა მოახლეების გაუბედავი პასუხი მიიღო, გამოფხიზლდა, წამოჯდა, ერთბაშად ყველაფერი მოაგონდა და უბრალო გლეხურ დარბაზს, სადაც ეს ერთი ხანია ცხოვრობდა, დაფეთებული მზერა მოავლო.

სოლომონი კიდევ არ იყო მოსული. ამან თინათი ააწრიალა. ადგომას და სადღაც წასვლას აპირებდა. ქალებს ელდა ეცათ. ნუთუ უბედური ყმაწვილი დედოფალი თავის ჭკუაზე აღარ იყო! გარს შემოეხვივნენ და დიდი გაჭირვებით კვლავ ლოგინში ჩააწვინეს. თინათი მოსხლტა, თავი სასთუმალზე მისდო და დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით დაეძინა. ნაშუაღამევს ქალები წავიდწამოვიდნენ. კალისტა და მისი მეზობელი ლამაზი ტანადი ქალიც თავის გზას გაუდგნენ, ყრუჩუნა ალათის ქოხში მარტო ხოტეველი მოახლეები და თვით ალათი დარჩნენ. გამთენიის ხანს ტყისკაცივით თავპირგაბანჯგვლული დათუნა ნაფიჩვაძე მოვიდა. მეფის ძიძიშვილი ქოხის ლაფაროშივე შეაჩერეს, მთელი ღამის ნატანჯი საბრალო ქალი არ გამოვაღვიძოთო და ამბები წვრილად გამოჰკითხეს.

სოლომონს საშური საქმე გამოსჩენოდა და გუშინ საღამოს საწერეთლოში წასულიყო. ზეგ ან მაზეგ უსიკვდილოდ აპირებდა უკან დაბრუნებას. მეფეს მცირე ამალა ახლდა. აქ იყვნენ ბერი წულუკიძე, ქაიხოსრო აგიაშვილი, სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე და ოდიშის ელჩობიდან ნაჩქარევად დაბრუნებული ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე. დათუნას დამხვდურებისათვის არ გაუმხელია, შეიძლება, არც თავად იცოდა, რომ სოლომონი თეიმურაზ ქართლის მეფესთან და ერეკლე კახეთის მეფესთან დესპანად გაგზავნილი ძმების — გენათელი მიტროპოლიტი იოსების და ბატონიშვილ არჩილის შესახვედრად გადავიდა საწერეთლოში. აბა, მას, მართალია, სოლომონის უსაზღვროდ ერთგულ, მაგრამ მაინც მდაბიო წარმოშობის ყმას, ვინ ეტყოდა, რომ ტფილისიდან მომავალმა იოსებმა გორიდანვე გამოგზავნა მალემსრბოლები და მეფეს შეატყობინა, შინ ალისა და კორბეულის გზით დავბრუნდები, რადგან ვარციხეში უკვე შეუტყვიათ ჩვენი აქ ყოფნა და ვაითუ საბაშიოზე გამოვლისას შეპყრობა მოგვინდომონო. სოლომონის კაცები ბატონიშვილებს გორაძირში უნდა დახვედროდნენ, ჭერათხევის უღელტეხილზე და უმოკლესი გზებით მეფესთან მოეყვანათ. სოლომონს გულმა აღარ მოუთმინა, თვით გაეშურა ძმების შესახვედრად, დათუნა ნაფიჩვაძე კი შუა გზიდან გამოისტუმრა სხარტალში, რათა თინათისათვის თავისი ამბავი შეეტყობინებინა.

ჯრუჭულის ხეობა, რომელიც რაჭიდან საწერეთლოში მიმავალმა კაცმა უთუოდ გზად უნდა გაიაროს, უკვე როსტომ რაჭის ერისთავის ხელთ იყო. მეფესა და მის მხლებელთ ყოველ ნაბიჯზე დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. თითოეულ გადასახედთან როსტომს სადარაჯო კოშკები აეშენებინა და შიგ შეიარაღებული მზირები ეყენა. კოშკი კოშკს უყურებდა. თუ რაიმე საგანგაშო და შესატყობინებელი იყო, მზირები წამსაც არ დააყოვნებდნენ, კოშკზე ატა-

ნილ ბუღულ თივას ცეცხლს წაუკიდებდნენ და მთელი ხეობა მსწრაფლ ფეხზე დადგებოდა. ამიტომაც ღამით გადაწყვიტეს მგზავრობა. გზას ტყე-ტყე მიიკვლევდნენ, ტყეში კი ისე ბნელოდა, ცხენსა და კაცს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდი...

თინათის გულში ჯავრი ჩაჰყოლოდა და მალე გამოღვიძა. სახე უკვე დაწყნარებოდა, ტუჩების უცნაურ სილურჯესაც, წუხელ რომ ისე შეაშინა სხარტალელი დედაკაცები, გაევლო. მოახლეებმა მეფის ძიძიშვილის მოსვლა ახარეს. თინათიმ გულზე საბანი მიიფარა და წამოჯდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალემსრბოლი უნდა შემოეყვანათ. დათუნას ბევრი აღარ ულოდინებია, იქვე კარს უკან იყო დადარაჯებული და ელოდა, როდის დაუძახებდნენ.

— სადა ხართ, დათუნა, ცოცხლები ხართ? — მოაგება ტყისკაცს თინათიმ, როგორც კი იმან კარი შემოაღო და ზღურბლს გადმოაბიჯა.

— ღვთის შეწევნით, ბატონო... — დათუნამ ფაფანაკი მოიშვლიპა, იღლიაში ამოიდო, გულხელი დაიჭდო და თავი მორჩილად დახარა.

— მოდი ახლოს, რა შორს დადექი! სად არის მეფე?

— საჩხერეში გეახლა, ბატონო, დიდი ბოდიში შემოთვალა, ერთი სიტყვით...

— არ შეიძლებოდა, წასვლისას ეთქვა?

— არ იცოდა, ბატონო, კაცი მოვიდა და უცაბედად გადავწყვიტეთ.

— ვინ ახლავს თან, საიმედოები ხომ არიან?

დათუნამ სათითაოდ ჩამოთვალა ყველა, ვინც სოლომონს გაჰყოლოდა საჩხერეთლოში და თანაც ყოველი ახალი სახელისა და გვარის წარმოთქმისას მარცხენა ხელის თითებს რიგ-რიგობით ღუნავდა.

— იოსების და არჩილის რა ისმის?

— ჯერ არაფერი, ბატონო.

— აბა, კაცი ვისი იყო?

— ვერ მოგახსენებ, ბატონო, მეფეს არ უბრძანებია.

— შენ უნდა გაბრუნდე?

— არა, იქ დარჩი და მომიცადეო.

კარი გაიღო, ზღურბლზე ხოტეველი მოახლე გოგო გამოჩნდა.

— ბატონმა გიორგიმ ძღვენი მოგართვა, დედოფალო...

— თავად აქ ბრძანდება?

— არა, ბატონო, კაცების ხელით გამოუგზავნია.

— მადლობა უთხარით. კაცებს უპატივცემოდ ნუ გაუშვებთ.

— კი, შენი ჭირიმე, ახლავე დავსხამთ... წახემსებას ხომ არ ინებებ?

— მე დღეს გვიან ავდგები.

— ცოტუნიკა რომ მაინც მიგერთმია...

— მადლობელი ვარ, თავად დაგიძახებთ. აღათი სად არის?

— მოვიყვანო, ბატონო?

— ცოტა ხნის მერე შემოვიდეს, აგერ დათუნას გავისტუმრებ და...

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე...

გოგო რომ გავიდა, თინათი დარბაზის დედაბოძთან იმავე ბოძივით გაუნძრევლად დარჭობილ ნაფიჩვაძეს მიუბრუნდა:

— თუ ხათრს არ გამიტეხ, დათუნა, ერთი სათხოვარი საქმე გამომიჩნდა...

ნაფიჩვაძე წელში გაიმართა, ხელები ჩამოუშვა, სათაყვანებელ პატარა დედოფალს განცვიფრებული მზერა მიაპყრო. როგორ თუ სათხოვარი! დედოფალს თავისი ერთგული ყმისათვის აბა რა უნდა ეთხოვა, მას მხოლოდ ბრძანება მართებდა! ტყისკაცს ეს სიტყვები, რასაკვირველია, ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ მისი მოუხეშავი, უხერხული მოძრაობები და გამოხედვა ამას სიტყვებზე უფრო მკაფიოდ მეტყველებდნენ.

— ოღონდ იცოდე, დათუნა, მე და შენს გარდა ეს ამბავი კაციშვილმა არ უნდა შეიტყოს, თვით სოლომონმაც კი... გაიგე?

დათუნა აიმრიზა, ხელები მოიფშვნი-

ტა, დედოფალს წამით მზერა დაადგა და უსასოოდ დაიღრიჯა:

— უიმე, ბატონო, რა არი მაგისთანა!..

— ყური მიგდე. აქ ახლა მოხუცებული ქალი შემოვა, ადათი, კეთილი და სანდო ადამიანი...

— კი, ბატონო.

— იმას წაყვები.

— სად, შენი ჭირიმე, ბატონო თინათი?

— გაღმა, ტყეში, ხალხია... ქრისტიანები... ურჯულოს ემალებიან.

— შენ ვინ მოგახსენა, ბატონო?

— ვიცი. გუშინ ვიყავი.

— ტყეში? ვაი ჩვენ თავს! ეგ რომ მეფემ შეგვიტყოს, რაღა გოუძლებს იმის საყვედურებს, ხომ ამოგვჟუჟა ყველა!

— ყური დამიგდე, დათუნა, რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე. დახვიეთ ხელი ყველაფერს, რაც წულუკიძემ გამოგზავნა და, თუ ღმერთი გწამთ, იმ უბედურებს გაუტანეთ ტყეში. მადლია! ჩვენ ჭერი მაინც გვახურავს თავზე და ცივ მიწაზე არ ვყრივართ. ნურავის გააგებინებთ, ვისი რა არის, ან...

— კი, ბატონო, თუკი... — ნაფიჩვაძე უხერხულად შეიშმუშნა. ის ჯერ აქამდე არავის ენახა ასე უსასოო და ასე ფარ-ხმალაყრილი. — ერთი სიტყვა მეც მათქმევინე და ნუ შემრისხავ.

— გისმენ!

— ნუ იზამ მაგ საქმეს, ბატონო, მეფეს ეწყინება. შემომხვეწა, ბატონი თინათის თავს შენ გაბარებო. რა ღირსი ვარ! სანამდი თავათ არ მოვალ, სახლიდან ფეხი არ გამოადგას, ჭიშკართანაც ნუ გამოვაო. დიდი შიშიანობა ჩამოვარდა. აოასი ქურდი და ავაზაკი დადის. ქვეყანა აწიოკებულია. არც ერისთავს და აბაშიძეს ძინავთ... გაჭირვებულ ხალხს ახლა სად არ ნახავ. ერთი და ორი კიდევაც რომ დააპურო, მესამე და მეოთხე მაინც მშიერი დაგრჩება. ეგ კი არა, თუ ჭკუით არ ვიქენით და უცხო თვალს არ დავემალეთ, ღამე შეიძლება დაგვეცენ და... რავარც გინდა, ბატონო, მარა მე ჩემი უნდა გითხრა. მეფის სიტყვა...

— აი, ის მაღალი კიდობანი გააღე, დათუნა, შიგ პატარა კოლოფია, ამოიღე და აგერ დამიდგი.

დათუნამ ახლაღა შენიშნა, რომ დედოფალი არ უსმენდა, მისი ფიქრები სულ სხვაგან ტრიალებდნენ და მხოლოდ ზრდილობის გულისათვის იყო გაჩუმებული. ადგილიდან მოირღვა და ერთი ნახტომით დარბაზის იმ კუთხეში გაჩნდა, საითაც თინათიმ მიუთითა. რკინის ბრჭყვიალა სალტეებით შეჭედილი ჭყეტელა კიდობანი, ჯერ ვარციხიდან საწირეში, იქიდან კი აქამდე რომ ძლივს ამოიტანეს, სადღაც კედელში ჩატანებული ეკვნის ჟღრიალით გაიღო. ზურმუხტის ქვებით შემკული მომცრო სადაფის კოლოფი ოქროულობით და ძვირფასი თვალ-მარგალიტით იყო სავსე. ძველი ოქრომჭედლების უნატიფესი ნახელავი მნახველს თვალს მოსჭრიდა. დათუნას სუნთქვა შეუგუბდა, გულმა გამალებით დაუწყო ცემა, ნერწყვი ყელზე დაადგა. ერთ ადგილზე მოგროვებული ამდენი სიმდიდრე თავის სიცოცხლეში არ ენახა და ვერც კი წარმოიდგენდა თუ ამგვარი რამ ქვეყნად არსებობდა. მწვანე ხავერდის ბუდეებში მორცხვად ციმციმებდნენ და ფერიდან ფერში ცურავდნენ ბრილიანტის თვლებით აბრდღვიალებული ხელსაბამები და გულქანდები, ბაჯაღლო ოქროს ნატიფი საყურეები, ზოგი მრგვალი, ზოგიც ოთხკუთხა მოყვანილობისა, ბეჭდები, სამაჯურები და ერთიც იაგუნდის, სარდიონისა და ლალის დიდრონი ქვებით გაწყობილი ოქროს პაწაწინა ჯვარცმა, ოდესღაც საარაკო სილამაზით განთქმულ დიდ დედოფალ კოჭიბროლას ნაქონი...

თინათიმ სათითაოდ გადააწყ-გადმოაწყო ყველა ნივთი, თითოეულს, როგორც დიდი ხნის შეჩვეულ და მოშინაურებულ ცოცხალ არსებას, ხელი შეავლო, მოეფერა, მოესიყვარულა, მერე მხოლოდ ჯვარცმა ამოარჩია, ზედ ემ-

ბორა, ბალიშქვეშ ამოიდო, კოლოფს კი თავი დაჰხურა, ოქროს რაზით გადაკეტა და სრულიად დამშვიდებული სახით ნაფიჩვაძეს გაუწოდა.

— დათუნა, რაღაი ჩვენ ბატონ სოლომონს ჯერ არა სჭირდები და აქ უნდა დარჩე, და-ძმური სამსახური გამიწიე: ვინმე სანდო ვაჭარი მონახე და ეს ოქროულობა გამიყიდე. თეთრი მჭირდება...

— რას ამბობ, დედოფალო? გინდა, ბატონმა მეფემ ჩემი თავი ფეხებით დააკიდებინოს? ღმერთს რა პასუხს აძლევ? მომკალი და მაგას არ ვიზამ!

— ურჩობას თავი დაანებე, დათუნა, ეგ შენთვის ბატონ მეფეს არ უბრძანებია.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი დათუნა ნაფიჩვაძე მუხლებზე დაეცა და ორივე ხელი გულზე იტაცა:

— დოუძახე, ბატონო, ახლავე თავი წამაცალონ. თუ ხელი გავანძრიო, ულვაშგაპარსული კაცი მერქვას, ოღონდ მაგ საქმის გაკეთებას მე ნუ დამავალებ!

— მაგით გინდა, გადაწყვეტილება შემაცვლევინო?

— არაფერი არ მინდა, ბატონო, ოღონდ ნუ მიბრძანებ და მეფის საღალატო საქმეს ნუ ჩამადენინებ!

— გულით მიხარია, რომ ჩვენი სოლომონის ასე ერთგული ხარ. გმადლობ!..

— მე რა მადლობა მინდა, ბატონო!

— შენ ხომ შემომფიცე, რომ ჩვენ ორის გარდა ეს ამბავი კაციშვილს არ ეცოდინება?

— კი ბატონო, ხატზე დევიფიცეფ, არავის არ ვეტყვი, უბრძანე და ენა ამომგლიჯონ, თუ სადმე რამე წამომცდეს!

— გმადლობ, დათუნა. ახლა ადექი და ის გააკეთე, რაც გითხარი. გესმის? აბა!

დათუნამ ჭერს აჰხედა, ნუთუ არ არის საშველიო, პირჯვარი გადაისახა, ზლაზნვით წამოდგა და წელმოწყვეტილმა თინათის ძვირფასეულობით სავსე კოლოფი გამოართვა, მერე კი მოტრიალდა და ბარბაც-ბარბაცით, როგორც უგონოდ მთვრალი, კარისაკენ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XVI

მხედრების პატარა ჯგუფმა ნაშუალამევს ყვიჩორის განები ჩაიარა და წვეტიან მთაზე აღმართული და ჯვრით ცაში აჭრილი ჯრუჭის მონასტერი მარჯვნივ დასტოვა. მონასტრის გალავანში, თუ სადღაც აქეთ, სოფელში, ძაღლები აყეფდნენ. ბერებს გამოეღვიძათ. ერთი ორი ამათაც გასძახეს წყვდიადს, რომელი ხარ, ამ შუაღამისას აქ რას დაეხეტებიო. პასუხს, აბა, ვინ გიჟი-გადარეული გასცემდა. მეფემ და მისმა მხლებლებმა ცხენებიააჩქარეს და გაღმა გადასასვლელად მდინარეში შეჰყარეს.

პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული, ბატონი მეფე მობრძანდებაო. ძმები სახლდახელო პურმარილითა და ასიოდე რჩეული მხედრით ჯრუჭულის წისქვილებთან შეეგებნენ დიდებულ სტუმარს.

სოლომონი აქეთ ნავალი არ იყო. თვალწარმტაც მიდამოს ხარბად აკვირდებოდა და გული ხან სიხარულით ევსებოდა, ხანაც მწუხარებით. მოდინახის გადასახედმა მთლად მოაჯადოვა. განთქმული ციხის ქონგურებიდან მნახველის თვალწინ განსაცვიფრებელი სანახაობა იშლებოდა. ძირს კიდით კიდემდე განრთხმულიყო თითქოსდა პირველქმნილი სამყარო, აგრე ნორჩი, აგრე წმიდა და აგრე ნაყოფიერი. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ოდნავ დაფერდებული უზარმაზარი ვაკე, სადღაც პერანგას მთის ძირში რომ იწყებოდა, გამჭვირვალე ლურჯ ბურუსში გახვეულ ლიხის მთებამდე აღწევდა. ვაკე მჭიდროდ დასახლებული იყო. ერთიმეორეზე წაბმულ ხეხილსა და ბაღ-ვენახებში ჩაფლულ სოფლებს არც თავი უჩანდა, არც ბოლო. მუქ სიმწვანეში თვალის მომჭრელად ერჩეოდა კრამიტის წითელი სახურავები.

ბატონმა მეფემ პირველად შემოსდგა

ფეხი მოდინახეში და ამ ზღაპრული სიმშვენიერის მნახველი, ლურჯ ცამდე აზიდულ ხოხბისფერ ციხეს გარს რომ ერტყა, ჯერაც ვერ გამორკვეულიყო. მწვანე ხოდაბუნებში, ყვირილას გაღმა, ტყემალი, ბალი და ბია ჰყვაოდა. ჰაერი მსუბუქი იყო, გამჭვირვალე, როგორც მთის ბროლი და ყვავილის მოტკბო სურნელით გაჟღენთილი. მზიანი დარი იდგა. წერეთლების შინაყმები და მოახლეები ამიტომაც ცისქვეშ, ციხის გალავანში შლიდნენ სეფესუფრას. ხორაგი ურმებით ამოეტანათ, საკლავი ახლომახლო სოფლებიდან მოერეკათ და მინდორში აბალახებდნენ. ათიოდე ცხვარი და ბატკანი უკვე ამოეღოთ ოთხში. გასისხლიანებული ტყავები ციხის კედელში ამოსულ ლეღვზე ეკიდა. კოკიან საარაყე ქვაბებში ხორცი იხარშებოდა. მზარეულებს, ქალებს და კაცებს, ქაფქირები და გრძელი ჩქიფები მოემარჯვებინათ, ქვაბებს თავს დასტრიალებდნენ და სიცხისაგან შებრაწულნი თან პირში შემოჩერებულ ბალღებს უცაცხანებდნენ აქედან დაგვეკარგეთ, თქვენი აქ ძუძგური და ფეხებში გამოხლართვა გვაკლია სწორედო. ბალღები თითქოსდა საწობაოდ გამოეწყოთ. უფროსების წყრომასა და ცაცხანს ისინი, აინუნშიაც არ აგდებდნენ. ხუმრობა საქმე იყო? მოდინახეში თვით ფეხბედნიერი მეფე მობრძანდებოდა, ბალღები საკუთარი თვალით ნახავდნენ მეფეს...

სოლომონი და მისი მხლებლები, სამასი თუ ოთხასი კაცი, ციხის გორაზე სხვიტორის მხრიდან ამოვიდნენ. ერთადერთი შემოსასვლელი კარი, რომელიც შიგნიდან მუხის უზარმაზარი ურდულით იკეტებოდა, მოდინახეს ჩრდილოეთიდან, დუნთის მხრიდან ჰქონდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მომხვდურ მტერს ციხის კარამდე მოსვლა ულმერთოდ გასჭირვებოდა. ციხის მშენებლებს ესეც არ ეკმარათ. ვიწრო ბილიკს, რომლის მარჯვნივ უფსკრული იყო, მარცხნივ კი ციხის გლუვი კედელი, სათოფურები და გამდნარი ფისის ჩამოსასხმელი თიხის მილები დაჰყურებდნენ.

ვიდრე ციხის კარს ამოაღწევდა, სოლომონი წამის-წამ ჩერდებოდა და ერთხელ კიდევ ხარბად აკვირდებოდა ხოლმე ფერხთით განრთხმულ აყვავებულ დაბლობს, გამდნარი ლითონის ღელესავით მოლაპლაპე ყვირილას, შორეული ლურჯი მთებიდან მართლაც ყვირილითა და ზათქით რომ მოედინებოდა და აღტაცებას აქაურობის მომხიბლველობით მასპინძლებსა და მომყოლთ უზიარებდა. ხანდახან გული ეთანაღრებოდა, ნეტა თავსავე აქეთ რატომ არ წამოვედი, რაღა მაინცდამაინც რაჭა ავირჩიე დროებით თავშესაფარადო. საწერეთლო ქვეყნის შუაგული იყო. ოდესღაც ის ქართლის მეფეებს ეკავათ. საქართველოს ყველა კუთხეს, იმერ და ამერ, აქედან უფრო დაუბრკოლებლივ მისწვდებოდი. ხმამაღლა ეს არ გაუმხელია. ვაითუ ბერი წულუკიძეს საწყენად დარჩენოდა...

საწერეთლოში მეფე-ბატონის მობრძანებამ აუწერელი სიხარული და ზეიმი გამოიწვია. იმით იმედმოცემული ხალხი, რომ მეფე, თუმცა ჯარსა და ხელმწიფურ ძლიერებას მოკლებული, მათთან იყო, სახიზრებიდან უშიშრად გამოეფინა და სოლომონსა და მის ამალას მიეგება. ხალხთან შეხვედრის პირველი წუთებიდანვე სოლომონს ისე უცნაურად აუჩუყდა გული, ვერ იქნა, თავს ვეღარ მოერია — თვალები ნიადაგ სველი ჰქონდა.

— დღეგრძელობა მეფე სოლომონს!.. — გაისმოდა ხან აქ, ხან იქ.

— დიდება მეფეს!..

— დიდი დღე მიეცეს ჩვენ კანონიერ მეფე სოლომონს!..

ამ ყოფით გამოვლეს ქვემოხევი, სარეკი, ნაჩერქეზევი, ბოლოს კი საჩხერეგადაღმა სოფლებში: საირხესა, გორისასა, სავანესა, ქორეთსა და ზოდში ეკლესიის ზარებს აგუგუნებდნენ. მალე ამათ ბაჯითის თამარ მეფის ეკლესია, გორიჯვარი და ჩიხისა და ჭალის უძვე-

ლესი ეკლესიებიც შემოუერთდნენ. მოდინახეზე ძელსა ჰკრეს. ციხის დასავლეთის ქონგურზე ჯერ თეთრი კვამლი ავარდა, შემდეგ კი ზარბაზანმა დაიგრიალა, დაიგრიალა და ეხო მთამ მთას გადასცა. საჩხერის თავში, მოდინახის გორის ძირას, სადაც წერეთლების საძმო სასახლე, ბრტყელი ქართლური კრამიტით გადახურული, ქვის თეთრსვეტებიანი დიდებული შენობა იდგა და შემოგარენს გადმოჰყურებდა, უამრავი ხალხი მოგროვილიყო. სოლომონი განცვიფრებას ველარ მალავდა. ერთად თავმოყრილი ამდენი ხალხი მას მხოლოდ სატახტო ქალაქ ქუთაისში თუ ენახა, ისიც დიდი ჯარიანობის დროს...

სასახლეს ჯერ ორასი ნაბიჯითაც კი არ იქნებოდნენ მიახლოებული, რომ ამალის წევრები ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ, მეფეც ჩამოხდა და ცხენის ალვირი წინ შემოგებებულ ქულაჯიან ყმაწვილს დაუთმო. ფილაქნით მოკირწყლული განიერი ქუჩის მთელ სიგრძეზე ხალიჩები იყო დაფენილი. აქეთ-იქით ფერად-ფერადად მოკაზმული ზღვა ხალხი იდგა, განუწყვეტელი შეძახილებითა და ღრიანცელით მეფეს მიესალმებოდა და ფეხქვეშ იებს უყრიდა.

„სად არის ახლა თინათი? — ფიქრობდა სოლომონი და უპეებზე მომდგარ ცრემლებს ძლივძლივობით იმაგრებდა. — რატომ არ წამოვიყვანე? ნახავდა ამას, გაიხარებდა...“

ჩაცმულობითა და მიხრამოხრით თავისი ქვეშევრდომი იმერი მხედრებისაგან მეფე არაფრით გამოირჩეოდა. უბირ კაცს იქნებ ვერც კი გამოგეცნო, რომელი იყო სოლომონი მათ შორის. აქაური ჩვეულებისამებრ თავზე ოქროსფრად მოსირმული ფაფანაკი ეხურა. ფეხთ ცხვირაწეული ყელიანი წაღები ეცვა ყვითელი მეშისა, ხოლო მხარბეჭზე წმიდად ნაქსოვი შინაური შალის გრძელკალთებიანი კაბა შემოტმასნოდა. მსუბუქად და ამავე დროს მეფური სიდარბაისლით მიაბიჯებდა. გრძნობდი, რომ სწამდა საკუთარი ძალისა, უმალ თავს დათმობდა, ვიდრე მტრის წინაშე პირს იბრუნებდა...

სასახლის მეორე სართულზე ამავალი სადარბაზო კიბის წინ მეფეს სადღესასწაულოდ შემოსილი სამღვდელოება დაახვედრეს. დეკანოზებმა, მღვდლებმა, არქიმანდრიტებმა და უბრალო ბერებმა ჯერ მეფეს, ხოლო შემდეგ ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს, ვითარ მღვდელმთავარს, შესაფერი თაყვანი სცეს, ჯვარი გადასახეს და საეკლესიო დროშების ფრიალით კარის ეკლესიისაკენ წაუძღვნენ. მირონცხებული მეფის მობრძანების აღსანიშნავად აქ ღვთისადმი აღვლენილი სამადლობელო პარაკლისი უნდა გადაეხადათ. ეკლესიის კარი ღია იყო. შიგნიდან უკვე მოისმოდა გუნდის ზეციური გალობა.

მაქსიმე აბაშიძე ამბიონზე შედგა, ალმასისა და იაგუნდის თვლებით შემკული ფსალმუნის მძიმე ყდა გადაშალა და გალობით წაიკითხა „დავითის ძეგლის წერა, რაჟამს იგი შეიპყრეს უცხოთესლთა გეთსა შიხა“. ლოცვა ღრმა მეტანიით დასრულა. მრევლმა მუხლი მოიყარა და გამაღლებულ პირჯვრის წერას მოჰყვა. მაქსიმე გაიმართა, მგალობელთა ხმების გუგუნში — „ნათელი ჭეშმარიტი ვიხილეთ...“ — სანთლებით გაჩირაღდნებულ საკურთხევლის ხატებს მიეახლა, აიაზმის წყალი აპკურა, შემდეგ შემობრუნდა, შავი ანაფორის ფართო სახელოები გადმოიკეცა და მრევლს ქადაგებით მიმართა. ქადაგება მორწმუნე ხალხის უბრალო შეგონება და ღვთისადმი უანგარო სამსახურის მოწოდება როდი იყო. ეპისკოპოსი საერო პირის სიფიცხითა და შემართებით ლაპარაკობდა. მან პირდაპირ და შეულამაზებლად თქვა, რომ ქვეყანას თავს ღვთის რისხვა დაატყდა, ანტექრისტე მოევლინა და ღვთისმშობლის ხვედრი მიწა-წყალი აგარიანთა თარეშისა და მართლმორწმუნე ქრისტიანეთა გაუგონარი რბევის სარბიელი გახდა. თავისი ჯვარის მტვირთველი ღმერთის, იესო ქრისტეს, მოღალატე-

ებმა ურწმუნო აგარიანებთან ღვთის განმარისხებელი კავშირი შეჰკრეს და ზენაარის მიერ კურთხეული კანონიერი მეფე ტახტიდან ჩამოგდებულად გამოაცხადეს. ურჯულო მტერი მარჯვედ სარგებლობს ქვეყნის შინა არეულობით. მომხვდურს არც ოცდაათი ვეცხლის მოტრფიალე შინაური ორგულნი უდებენ ტოლს. იროდეს სისასტიკით აწიოკებენ ქალაქსა და სოფელს, მთასა და ბარს, დაუსჯელად სჩადიან ათას ნაძრახ საქმეს, სწვავენ და ჰბუგავენ ეკლესია-მონასტრებს, ატყვევებენ გლეხს თუ აზნაურს, სამღვდელო პირს, ვაჭარს თუ ხელოსანს, კაცისა და პირუტყვის გარჩევა აღარ არის. ცოლსა და ქმარს, დედასა და შვილს ერთმანეთს აცილებენ და ურცხვად ჰყიდიან...

— როდემდე, შვილნო ჩემნო? — საყდრის მაღალ ბჭეებს შეჰღაღადა თავისივე გამონათქვამით შეძრულმა ეპისკოპოსმა და მრევლში აქა-იქ ყრუ ქვითინი გაისმა. — აღმოსავლეთის რომელ ქვეყანაში არ ნახავ დღეს გაუბედურებულ ქართველთ. ამათ აღარც მშობლიური დედა-ენა შერჩენიათ, აღარც თავისი სალოცავი ღმერთი, აღარც მოყვასის სიყვარული და აღარც რისამე იმედი...

ეპისკოპოსის ამ სიტყვებზე თვალი თვით სოლომონსაც მოენისლა. ცხელი კურცხალი წამწამს მოსწყდა და ღაწვზე ჩამოუგორდა. ბერი წულუკიძე, აგიაშვილი და წერეთლებიც ასევე უხმოდ იცრემლებოდნენ და სასოებით პირჯვარს იწერდნენ. მათთან ერთად ცხარე ცრემლს ღვრიდა საყდარში თავმოყრილი ერი. მეფის მობრძანებით გამოწვეული სიხარული ხვალინდელ დღეზე ფიქრსა და გლოვას შეეცვალა.

— ჩვენს მეფეს, ღვთივ კურთხეულ ბატონ სოლომონს, — მაქსიმე აბაშიძემ იგრძნო თავისი სიტყვების სასწაულმოქმედი ძალა და მეტი გაალმასებით განაგრძო. — დიაღაც შესწევს უნარი, წმიდა გიორგის ძლევამოსილი მახვილით ეკვეთოს გველეშაპს და ჭირნახული სამშობლო სატანჯველიდან გამოიხსნას. მტერი ღონიერია და ულმობელი. დიდი ლაშქარი ჰყავს, არც ზარბაზნები და ფული აკლია. მასვე უდგანან გვერდში და ზურგს უმაგრებენ ქვეყნის ახლანდელი მმართველი, თავის თავს რომ მეფეს უწოდებს, გიორგი ბატონიშვილი, არგვეთის ბატონი ლევანი, რაჭის ერისთავი როსტომი და გურიის მთავარი მამია...

ხალხი შეინძრა, აგუგუნდა, თითქოს ახლავე აპირებს მძვინვარე მტერზე გალაშქრებასო და კვლავ სმენად იქცა.

— დღეს საწერეთლო პირნათლად დგას მეფის დროშის ქვეშ. მალე გონს მოეგებიან და სარწმუნოებისა და მეფის მხარეს დაიჭერენ მოღალატეების მიერ გაბრიყვებული და გადაბირებული სხვა სადროშოებიც. სალორთქიფანიძოს ბატონი ქვემო მხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე უკვე მზად არის თავისი ფიცის კაცებით და მეფის ნიშანს ელოდება. ფოთისა და ყულევის გზა საიმედოდ უკავიათ ტახტის ერთგულ ზურაბ მიქელაძეს და მის ვაჟიშვილებს. ოკრიბა და საწულუკიძო ხმალს ილესავს. ისე რომ, არცთუ სუსტნი ვართ, შვილებო. თუ გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ, თუ არა და მტერს შევაკვდებით ყველა, როგორც ერთი კაცი. შვილნო და ძმანო ჩემნო, ჩვენთან არს ღმერთი!..

— ჩვენთან არს!.. ჩვენთან არს!.. — იგრიალა ხალხმა და ეს ხმა მტრის დამთრგუნველ მრისხანე მუქარად გაისმა მლოცველებით გაჭედილი საყდრის თაღებს ქვეშ.

სოლომონს ისევ გააჟრჟოლა, სახე წამოუხურდა და გული უცნაურად აუჩქროლდა.

ქადაგება რომ დაასრულა, მაქსიმემ კისერზე ძეწკვით ჩამოკიდებული ვერცხლის ჯვარი მოიხსნა, მაღლა ასწია და მით სამგზის გადასახა ჯვარი მრევლს, თან აღუთქვა, საღმრთო ომში მარტო როდი ვიქნებით, მთელი სა-

ქართველოს მეფე-მთავრები გვერდში ამოგვიდგებიანო. მეფე-მთავრებში, რაღა თქმა უნდა, ერთის მხრივ თეიმურაზი და ერეკლე, ხოლო, მეორეს მხრივ, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები იგულისხმა...

ამ უკანასკნელი სიტყვების განცხადება უთუოდ ნაადრევი იყო. ჯერ დანამდვილებით არავინ უწყოდა, თუ რა პასუხით გამოისტუმრეს იმერთა მეფის დესპანები მიტროპოლიტი იოსებ გენათელი და პატარა ბატონიშვილი არჩილი ქართლისა და კახეთის მეფეებმა. სოლომონმა მხოლოდ ოტია დადიანის პასუხი შეიტყო. იგი თვით მაქსიმე აბაშიძემ მოიტანა ოდიშიდან და მეფის ბრძანებისამებრ დღემდე საიდუმლოდ ინახავდნენ.

ოდიშის ბატონი, თითქოს კაცო ჩიჩუას სახელთან დაკავშირებული ის გაუგებრობა არც მომხდარიყოს, კვლავაც სიყვარულითა და თავმდაბლობით მოიკითხავდა იმერთა ახალგაზრდა მეფეს, ძველი მეშურნისა და მტრის — ალექსანდრე მეფის მემკვიდრეს და სიტყვასა და სიტყვას შუა სოლომონს ერთგული თანადგომის ადრევე შემოთავაზებულ პირობას მოაგონებდა...

შორსმჭვრეტელ მთავარს, ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას სოლომონის ასაკსა და პიროვნულ თვისებებსაც რომ წინდახედულად ითვალისწინებდა, ამჯერად მოკითხვის წიგნი აღარ უახლებია, მეფის მიერ მოგზავნილ შუამავალს თავისი სათქმელი სიტყვიერად დაბარა. მთავარი ხედავდა, რომ სოლომონი მგლის ორმოში ჩავარდა და იქიდან მანამ ვერ ამოვიდოდა, ვიდრე ოტია დადიანი ხელს არ გაუწოდებდა. მთავარი ამიტომაც არა ჩქარობდა. არანაკლებ ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ეპისკოპოსი ალლოთი და მთელ ოდიშში ატეხილი მითქმა-მოთქმის წყალობით მიხვედრილი იყო, თუ რას გულისხმობდა დადიანი „ერთგული თანადგომის ადრე შემოთავაზებულ პირობად“, მაგრამ რაკი ეს პირობა ოტიამ ასე ნათლად და გარკვეულად აღარ ჩამოაყალიბა, მაქსიმემაც ასევე გადმოსცა მეფეს, სიტყვა რომ სიტყვაა, თავისი მხრივ ისიც არ დაუმატებია. სოლომონი წუხდა, რომ თავისი მოცქულის წინაშე ბოლომდე გულახდილი არ იყო, ზოგი რამ თავდაპირველადვე დაუმალა და ახლა კი უჭირდა ამბის თავიდან წამოწყება...

ზუგდიდსა და გორდში უკვე ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ლაპარაკობდნენ მომავალ დიდ ქორწილზე. თუ ხმებს დაუჯერებდი, დადიანი მდიდრულ მზითევს უყრიდა თავს და ერთადერთ ასულს, ჭკვიან და მშვენიერ მარიამს, დასაქორწინებლად ამზადებდა. ვინ იქნებოდა სიძე? ამას კი ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს ოდიშარნი: მარიამი, ისევე როგორც მამიდამისი დარეჯანი, მამუკა ბატონიშვილის თანამეცხედრე, იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის რძალი უნდა გახდესო.

აბა, რა დიდი კვლევა და ძიება უნდოდა — ოტიას ღრმად ამოეჭრა გულში მეფის დამოყვრება და იმერეთის საშინაო საქმეებში ხელების ფათური. დადიანი, უპირველეს ყოვლისა, ლევან აბაშიძის წინააღმდეგ გალაშქრებით დაიწყებდა და ერთხანს, სანამ ძველ გულისჯავრს არ ამოიყრიდა, მეფეს ედგომებოდა მხარში. იქნებ სულაც სხვა მიზანი ჰქონდა? ეს ყველაფერი სოლომონის მიხვედრები და ვარაუდები იყო...

მარიამის მომავალი ქორწინების გარშემო არც დადიანის ოჯახის წევრთ და არც, რასაკვირველია, თვით ოტიას, მაქსიმე აბაშიძისათვის სიტყვა არ უთქვამთ, მხოლოდ არც დაყრილი ხმები უარუყვიათ, მგონი თვითონვე უწყობდნენ ხელს ამ ხმების გავრცელებას.

აქ მთავარი და საგულისხმო სულ სხვა რამ იყო: სოლომონს, ჯერჯერობით მაინც, ვიდრე ბედის სასწორი მის მხარეს არ გადმოსძლევდა, დადიანის

იმედი არ უნდა ჰქონოდა. ჯიუტსა და უზომოდ პატივმოყვარე ოდიშის ბატონს, როგორც ჩანდა, აგრე ადვილად ვერ დაიყოლიებდი. ის ახლა ცოტათი შეურაცხყოფილ მხარედაც კი აჩვენებდა თავს: როგორ გაუბედა ღარიბღატაკმა იმერეთის მეფემ, თანაც ტახტწართმეულმა და სიძობაზე უარი უთხრა! მუდამ შარის მაძიებელ დადიანს ეს საბაბი საუკუნო მტრობის ჩამოსაგდებად ეყოფოდა. ოტიას მხრივ ისიც დიდი სიკეთე იყო, იმერეთის შინაური არეულობით რომ არ სარგებლობდა და ცხენისწყალს არ გადმოდიოდა. მას ადვილად, სულ ადვილად შეეძლო, ოსმალებთან შეთანხმებით იმერეთი დაეკავებინა, ასიოდე ქესა თეთრი გაეღო, ახალციხის ფაშა მოესყიდა და ტახტზე ასულიყო. მაშ, რად არ იყენებდა მარჯვე შემთხვევას? უფრო უკეთეს დროს ელოდა?

სოლომონი მწარე საგონებელში იყო ჩავარდნილი. რას ეტყოდა თინათი, ყველა თავისი გასაჭირი რომ გაემხილა, რას ურჩევდა? როგორ შეხვდებოდა დადიანის თავხედურ შემონათვალს, მეფეს ამჯერად თავისივე დესპანის პირით რომ მოუვიდა? არა, არ ეგებოდა რისამე გამხელა! თინათი, შესაძლოა, ვერც მიმხვდარიყო, რა მძიმე არჩევანის წინაშე იდგა სოლომონი და გულში სულ სხვა რამ წვრილმანი ფიქრი გაევლო...

ლოცვით, თვით მეფის აქ ყოფნით და ეპისკოპოსის ქადაგებით აღტკინებული მრევლი საკურთხევლისაკენ დაიძრა, სადაც მაქსიმე იდგა და ხელთ ჯვარი ეკავა. ჯვარს, წესისამებრ, ჯერ მეფე ემთხვია, შემდეგ მისი ადგილი საკურთხევლის კიბეზე დიდებულებმა და მათი ოჯახის წევრებმა დაიკავეს. ხალხი ორად გაიყო. შეძახილებით — „დიდება და დღეგრძელობა მეფეს!..“, „დიდება ჩვენს მეფე სოლომონს!..“ — ბატონს კარისაკენ გზა მისცეს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

## მ თ ე ბ ი

როცა ჩემს ირგვლივ წვანან ველები და ტრამალს იქით ტრამალებია,
მომენატრება —ნეტავი, მთების ცინცხალი წყარო დამალევინა!
მომელანდება ნაკადულები — შიშველი მთების თეთრი ბზარები;
მომენატრება უშბა და შხელდა — ჩემი ერთგული თანამგზავრები.
მომელანდება, მომენატრება... იმ ტრამალებზე სულ სხვა ხედია —
ვერ შევეგუე, მამულის მთებო, უალმართებო გზებზე ხეტიალს;
ვერ შევეგუე, იმ სვანის მსგავსად, რომელმაც თვალი შეასწრო არწივს
და გაირინდა ციცაბო კლდეზე — ამ უსასრულო სამყაროს თვალწინ.
ამპარტავნობა რა შუაშია, მერწმუნეთ, ფრთხილი კაცის იერით
ფეხქვეშ იმიტომ არ ვიხედები — მამხნევებს თქვენი თვალსაწიერი.

თავაწეული ვივლი ყოველთვის, სანამ მიზიდავს თქვენი სიმაღლე,
სანამ მეგულვით სალოცავ ხატად და აუღებელ ციხე-სიმაგრედ.

## ზამთრის უკანასკნელი დღე

ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობილი, მთლად დანესტრილი სხივების ეკლით,
ეზოში იდგა თოვლის ბაბუა — ბებერი ზამთრის უმწეო ძეგლი.
თვალ და ხელს შუა ისე ქრებოდა, ვისაც უნდოდა, ამჩნევდა ალბათ:
ცას თავის წილი უბრუნდებოდა, მიწა — თავისას იწოვდა ხარბად.
გაქრა კიდევაც: რაც მისგან დარჩა, ეს იყო — თეთრად დაფშვნილი გუნდა,
რომელიც ახლა მწვანე მდელოზე ელავდა რაღაც ჯადოსნურ ქუდად.
ხელი შევახე — თითქოს ეს ქუდი ფარავდა, რასაც ვეძებდი დღემდე.
ხელი შევახე -- ოდნავ შეტოკდა — და გადნა ისიც ცოტა ხნის შემდეგ.
და დავინახე — ორი ენძელა, გაოცებული ორი დობილი,
ბავშვური ნდობით მომჩერებოდა, ერთმანეთს ნაზად გადაჭდობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცამეტი სტრიქონი—დაბადების დღეს

თითქოს უმეცარს ყურად არ მეღოს მშობლების რჩევა და შეგონება —
კარგი შვილები არ გამეჩინოს, ან გამეფლანგოს მამის ქონება;
ან თითქოს თავზე ხელაღებული და განწირული კაცის სურვილი
არ მომეთოკოს, რომ რკინის კედელს არ შესკდომოდა გული ჭურვივით;
ახლოსმხედველის წინაშე თითქოს გამომეჩინოს შორსმხედველობა,
ანდა თამაშად წარმომედგინოს ყველა პოეტის გზა და ხელობა;
თითქოს, როდესაც უთანასწორო და ცხარე ბრძოლა მქონდა რითმებთან,
მეც მათთან ერთად არ ვყოფილიყავ, ვისაც უმძიმდა, მაგრამ ითმენდა;
თითქოს სტრიქონიც არ დამეწეროს ყურად საღები და მოსაწონი,
ან წაებილწოს ვიღაც გარეწარს ჩემი ყველაზე წმინდა საწოლი;
ლოთს გამეცვალოს ჭიქა არაყზე ცოლის ბეჭედი ანდა საყურე;
თითქოს თავს დღემდე არ დამტყდომოდეს, რაც სიძულვილი დავიმსახურე, —

ეს დღე თავიდან ისე აეწყო, მგონია, ყველა მაღლით დამყურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემან დავითაძე

# „ხასანბეგურას" მღერის ხიხანი

მრავალჟამიერ,
იყავ ბედნიერ
და არ დასრულდე, არ დაპაწავდე.
მე აჭარელის ჯილაგს მეტყვიან,
წინაპარს როგორ არა ვბაძავდე.
არ ვათენებდე ღამეს ჩირუხთან
და ჩემი მტრების ჯავრი არ მკლავდეს.
რომ შენმა მიწამ, მიწამ ჭირუხემა
მშვიდად უცინოს ძილში ვარსკვლავებს.
ან ვით არ მექო ციხის ქონგური
და ოროველა ღამის მეხრისა.
არ დამეჭირა მკლავი ორგულის
და მარილივით არ დემეხრისა.
ო, წინაპარო,
სულო, აჩრდილო,
ძვალო, ჩაზრდილო ბექობს, ბექურად.
როგორ იქნება რომ არ გავსინჯო
შენი მქუხარე „ხასანბეგურა".
როგორ იქნება არ დავიმუხლო
ყველა სამარის ქვასთან, ბალახთან.
და თუკი ვიტყვი, ყველაზე უფრო
„ხასანბეგურა" როგორ არა ვთქვა.

იყავ ბედნიერ,
იყავ ბედნიერ,
შენი ჭოროხის ზვირთთა ჭიხვინით.
ბედთან ჭიდილი გამაბედვინე
და გადამჩეხე თუნდაც ჯიხვივით.
ო, წინაპარო, შენი ნადურის,
შენი ხანჯლურის ნამი მეპკურა.
მაგრამ ძარღვებში მიმოფანტული
სხვა არის შენი „ხასანბეგურა".
როგორც ჭიუხთან ორბის შეფრთხობა,
როგორც ხიხანზე შეხლა მაჭახლის.
შენს შიშველ სხეულს როგორც ეტყობა
პირდაჯღჯგვილი მტრების ნაჯახი.
„ხასანბეგურა", — ხმაო, ჯიქურო,
შენ ზართა-ზარო, სხალთის ტაძარში.
სხვამ როგორც უნდა ისე გიყუროს,
ხომ ვიცი, შენგან, შენით გადავრჩი.
და ისევ შენვე გამაბედვინე,
შენა ხარ შემწეც და გამკითხავიც.
იყავ ბედნიერ, იყავ ბედნიერ,
„ხასანბეგურას" მღერის ხიხანი!

# ნადიმი

გოლიათებო,
ოქროს მთებო,
მზის აჩრდილებო,
სულ ერთი წუთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩემთან ბჭობა ინებოთ.
თქვენს დევურ ნადიმს
უნდა ერთხელ მეც მაზიაროთ,
დღეები ჩემი უნდა თქვენებრ აამზიანოთ,
რომ თქვენი რიხი გადმოედოს ჩემს სადღეგრძელოს,
დიდების ექო რომ ამ მკერდზე მეც დამეძგეროს.
გოლიათებო, ცის დევებო, მზის აჩრდილებო,
თუკი ინებებთ, ისევ თქვენვე უნდა ინებოთ.
მე, როგორც მუხას, მჭრიდნენ როცა,
როცა მამხობდნენ,
ვეთხოვებოდი მიმავალი ამ ტკბილ სამყოფელს, —
ოცნებას ჩემსას აცრემლებულ თქორში ვალხობდი,
ვამბობდი თქვენთვის ყველა ლოცვას,
თუკი ვამბობდი...
ჰეი, გახედეთ,
წყალს რომ მოაქვს და მოაბოტებს,
ეს, — სხეულს ჩემსას ლექსი კორტნის
და ანაფოტებს.
ყალყზე შემდგარა სული ჩემი თუ ეს ქაფია,
თუ ჭიუხებმა აქ შვიდფერი მტყორცნეს კაფია.
გაფრენილ ჩანჩქერს შეელეწა სხივი მზის ფრთებით,
თუ ძირს ბროლივით ჩამოიმსხვრა ციდან ზვირთები.
თუ მთის ამირანს გამირისხდნენ ისევ ღმერთები,
რომ მეც მიშველოთ მაგ ზღაპრებით
და ლეგენდებით.
ჰეი, მოვსულვარ,
თქვენთან, როგორც ძმებთან, ტოლებთან,
სიმაღლის ჟინი თქვენებრ მუდამ
მეც მაზმორებდა.
მეც მაწამებდა ეჭვი იგი და სულს მიხრავდა,
მაგრამ, მიყვარდა თქვენებრ გულით,
რაიც მიყვარდა.
და თუ ავავსებ, თქვენთვის ისევ, ჩემს სადღეგრძელოს,
დიდების ექო რომ ამ მკერდზე
მეც დამეძგეროს,
რომ ფიქრი ჩემი ნატვრის ხეთა მისწვდეს
კენწეროს
და მზის სიმღერა უბერებელ გულზე მეწეროს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიჯავაძე

# თვითმკვლელები

## რომანი

* * *

ჩვენ იგი მონპარნასზე, კაფე „დომ“-ის პირდაპირ დავიჭირეთ, სადაც მან თავისი დანჯღრეული ტაქსიდან ერთი აყლაყუდა უცხოელი გადმოსვა მეძავ დედაკაცთან ერთად.

შეზარხოშებული უცხოელი ტროტუარზე მდგარი უხდიდა შოფერს ფულს, დედაკაცი კი ჯერ მას ეხმარებოდა მუჭიდან ხურდის არჩევაში, მერე კი, ფეშქაშის სიმცირით უკმაყოფილო, შოფერს ეჩხუბებოდა.

ტაქსიში პირველები შეძვრნენ პატარა ფაშა და ყორა, მათ მერე — გედეონი და მე.

— სად გინდათ? — კუშტად შეგვეკითხა შოფერი და მოგვიბრუნდა. — აჰ, ეს თქვენა ხართ...

— გამარჯობა, მიშა! — როგორც ძალიან ახლობელს, ისე მიესალმა გედეონი.

მიშამ მოტორი გამორთო, იდაყვები საჭეზე დააყრდნო და მწარედ ამოიოხრა.

— გამარჯობა, მიშა!... — თითქმის ერთდროულად თქვეს ფაშამ და ყორამ.

— მე ეს-ეს არის გამოვედი სამუშაოზე. —თქვა ბოლოს მიშამ.

— ჩვენ მხოლოდ ოთხი ფრანკი გვჭირდება... — რაც შეიძლება დამაჯერებლად დაიწყო ფაშამ.

— ნახევარ-ნახევარი კილო პური თითოეულს... ჩვენ უკვე ორი დღეა არაფერი გვიჭამია! — სიბრაზით, თავისი უფროსი ძმის მაგიერ დაამთავრა ყორამ.

— რაღა მე ამეკიდეთ, სხვა მეტაქსე ვერ ნახეთ?!

— ჩვენს იღბალზე, ესე იგი, ეს შენი იღბალი ყოფილა... — დაიწყო თავის მართლება ფაშამ.

— ჰო... კაი იღბალი მქონია!.. ბენზინი საყიდელი მაქვს და ჯერ კაპიკიც არ ამიღია.

— სტყუი!.. ვუთხარი მე. — ცარიელი რეზერვუარებით სამუშაოზე არ გამოდიან.

— აბა, რა არი შენთვის ოთხი ფრანკი?.. — შეეცადა გედეონი გამოესწორებინა ჩემი უხეშობა.

— და მანქანიდან გადავალთ. — დაუმატა ფაშამ.

მეტი სათქმელი ჩვენ აღარა გვქონდა რა. მიშა კი ჯიუტად დუმდა.

— ასე ვიდგებით, თუ გვასეირნებ? — ბოლოს ველარ მოვითმინე მე.

— პოლიციის პირველივე განყოფილებაში რომ გაგასეირნოთ? — ასეთნაირადვე მიპასუხა მიშამ.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

— მერე, სიცოცხლე აღარ გინდა?! — წაიწრიპინა გედეონმა.

მიშა მოგვიტრიალდა და ერთიდან მეორეზე გადაიტანა თავისი ამღვრეული, ავადმყოფი თვალების მზერა.

— რა გინდათ ჩემგან, ბიჭებო?

იგი კაფანდარა და ბინძური იყო, მაგრამ სამუშაო ჰქონდა.

— შენგან ჩვენ არაფერი არ გვინდა... — უთხრა ფაშამ.

— მაშ გადადით, დროს ნუ მაკარგვინებთ.

— ჩვენ, პირადად შენგან კი არა... აი, უკვე მეორე დღეა... დაიწყო ყორამ, მაგრამ მე შევაწყვეტინე.

— რას უხსნი, განა თვითონ არ იცის?!

— მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ კაცის მოკვლა არაფრად მიღირს... — ყრუდ თქვა გედეონმა.

— იცით რა... — აფორიაქდა მიშა — თქვენ აქ დამიცადეთ და დიდი-დიდი ერთ საათში მოვალ და მოგცემთ ფულს.

— რომ არ მოხვიდე? — თქვა ფაშამ.

— არა, სჯობს ახლავე მოგვცე: კლიენტმა ხომ მოგცა! — თქვა ყორამ.

— ბენზინი მაქვს საყიდელი. არა გჯერათ, რეზერვუარი გასინჯეთ.

— აბა, სად არის რეზერვუარი? — იკითხა გედეონმა. — არა. ჩვენ გვჯერა შენი.. მაგრამ შენ ხომ მე მიცნობ და მაგას არ გვიზამ.

— კაცურ სიტყვას გაძლევთ. აი, კაფეში შედით, დაუკვეთეთ რაიმე იაფი... და იმასაც გადავიხდი.

— ყავა? — ჰკითხა ყორამ.

— შეგიძლიათ ლუდი მოითხოვოთ, ოღონდ, თითო ტოლჩაზე მეტი არა. აბა, გადადით, გადადით, ხედავთ კლიენტები მოდიან.

— შენ ჩვენგან არაფერი უნდა გეწყინოს... — დაიწყო ბოდიშის მოხდა ფაშამ, როცა ჩვენ მანქანიდან გადმოვდიოდით.

— ახლა ოთხია. ხუთ საათს არ გადავაცილებ, აქ ვიქნები.

მიშამ კლიენტები წაიყვანა, ჩვენ კი კაფესკენ გავემართეთ.

სექტემბრის ყინულიანი დღე იყო, მაგრამ ტენტით გადახურულ ტერასზე ისხდნენ განმარტოების მაძიებელი წყვილები.

შიგ კაფეში თბილოდა, თამბაქოს ბოლში ძნელი გასარჩევი იყო სად თავდებოდა სიგრძეზე ჩამწკრივებული მაგიდები. ყოველი ორი რიგის შემდეგ პატარა მაგიდები გამოყოფილი იყო მაღალზურგიანი სავარძლებით, რომელთაც თაროები ჰქონდა, ზედა ტანსაცმელისათვის, და ეს ერთგვარად აცალკევებდა ხალხს, და მყუდროების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

— აი, აქ დავსხდეთ, რომ მიშამ უცებ დაგვინახოს. — თქვა ფაშამ და მიგვითითა იქვე, შესასვლელის კართან მდგარ თავისუფალ მაგიდაზე.

ახალგაზრდა, ფერმკრთალი, სახეშელახული კელნერი უკვე გვერდით გვედგა და უსიტყვოდ ელოდა დაკვეთას.

— ოთხი ლუდი! — დაუდევრად ვისროლე მე.

— და, რაც შეიძლება მალე! — თავისი თავის ფასის მცოდნე ადამიანის ტონით დაუმატა გედეონმა.

ყორა რატომღაც მე და გედეონს გვიყურებდა და იღიმებოდა.

— რას იღიმები? — ჰკითხა მას გედეონმა.

— ერთი უნდა გენახათ, რა ფასონით უკვეთავდით თქვენ ლუდს!.. დაწყევლის ღმერთი, ეს გონორი თქვენ ალბათ ამ კარგმა კოსტუმმა შეგძინათ!

სხვა ვითარებაში არცერთი ჩვენგანი ამას არ მოითმენდა, მაგრამ გვესმოდა, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად ეგუებიან თავზე დამტყდარ უბედურებას — ზოგი დამცირებული და საცოდავი ხდება, ზოგი ფიცხი და ბრაზიანი... და, გარდა ამისა, რაღაცაზე ხომ უნდა გველაპარაკა!

კოსტუმები მე და გედეონმა კარგ მკერავს შევაკერინეთ ნისიად, ჩვენი ფეხბურთის ერთერთი გულშემატკივრის წყალობით, იმ არცთუ ისე შორეულ ეპოქაში, როცა ვმუშაობდით და, რა თქმა უნდა, მკერავს ახლა შეეძ-

ლო მიღლო საფასურის დანარჩენი ცხრა მეათედი... როცა ვირი ხეზე ავიდოდა.

კელნერმა მოგვიტანა დაკვეთილი. ჩვენ უხმოდ, დიდი პაუზებით ვწრუპავდით ლუდს და თან აქეთ-იქით ვიყურებოდით.

წელიწადზე მეტია პარიზში ვცხოვრობ და რამდენჯერმე ვარ აქ ნამყოფი.

აქ არტყამდა ჩლიქს პელიკონის მთიდან ჩამოსული ზევსის ფრთოსანი მერანი — პეგასი, ხოტბის შესხმით გალობდნენ მშვენიერი მუზები და აღუსრულებელი ოცნებებით თავბრუს ასხამდნენ მიამიტ ნეოფიტებს ავბედი ქიმერები... ირგვლივ კი ირეოდნენ კრაზანები, კოღოები და ყოველგვარი ბუზანკალები — პარიზის მრავალსახოვანი ნაძირალები, რომელთა მოღვაწეობის აღწერა მთელ კრიმინალურ ბიბლიოთეკას შექმნიდა.

ერთი შეხედვით ეს ორი ერთმანეთისაგან სრულიად საწინააღმდეგო სამყარო ძალიან მეგობრულად ცხოვრობდა, ნამდვილად კი ისინი ერთმანეთს ვერც კი ამჩნევდნენ. ერთნი თავის მოწოდებით გატაცებულნი, მეორენი კი ბნელი საქმეებით გართულნი.

მიამიტი მომსვლელი გარეგნული შეხედულებით ვერც გაარჩევდა მათ ერთიმეორისაგან... და მხოლოდ „თეთრი ყვავებივით“ გამოირჩეოდნენ აქაური მუდმივი კლიენტებისგან უცხოელი ტურისტები, რომლებიც თავის მოვალეობად თვლიდნენ ენახათ მთელ მსოფლიოში ეს სახელგანთქმული კაფე, სადაც თავს იყრიდნენ ხელოვანი ადამიანები.

ლუდი, ჩვენი უქმად ყოფნის გამო განაზებული კუჭებისათვის, საკმაოდ მაგარი აღმოჩნდა.

— აი, მიშას ჩვენს საქმეში პოლიციელები რომ გაერია, როგორც გვემუქრებოდა, უსათუოდ მოვკლავდი! — მთვრალის ხმით თქვა ჟორამ.

— შენ რა, უკვე ენა გებმება? — ჰკითხა გედეონმა.

— მე გეუბნები მოვკლავდი-მეთქი! — უფრო მკაფიოდ, ჯიუტად გაიმეორა ჟორამ.

— მშიერისთვის არაფერია კაცის მოკვლა... სიტყვით! — ირონიით ვთქვი მე.

— არა, რა თქმა უნდა... — ჩაიღიმა გედეონმა. — მაგრამ ერთი ცემის ღირსი კი არის!

— მიშა ამას არასოდეს არ გააკეთებდა. მაშინ არცერთი ქართველი ხმას არ გასცემდა, ეს კი სიკვდილზე უარესი იქნებოდა. — თქვა ფაშამ.

შემოვიდა ერთი კოხტა ქალიშვილი, რომელსაც ხელში პატარა კალათა ეჭირა და გავლისას მორიდებული ღიმილით, პაწაწინა პარკიდან მაგიდაზე გადმოგვიყარა მარილში მოხალული რამდენიმე არაქისი.

ეს ჩვეულებრივი სტრატოგემა იყო. უკან გამოსვლისას ქალიშვილი თუ დაინახავდა, არაქისი შეჭმულია, იგი მაგიდაზე დადებდა მიწის თხილით სავსე პარკს და არაფრით არ წავიდოდა მანამდე, ვიდრე ერთ ფრანკს არ მიიღებდა.

ჩვენ მოუთმენლად ველოდით ვიდრე ქალიშვილი კაფედან გავიდოდა.

— უკვე ექვსის თხუთმეტი წუთია... — გვამცნო ფაშამ, მის შემდეგ, რაც ხანგრძლივად აშტერდებოდა ბრილიანტებით მოჭედილ პატარა მაჯის საათს, რომელიც ეკეთა მეზობელ მაგიდასთან მჯდომ ხნიერ უცხოელ ქალს და რომელსაც მიბნედილად შესცქეროდა თვალებში, მისი პარტნიორი, თმაგადაქლესილი და პომადაწასმული ახალგაზრდა.

— იმან კი გვითხრა, რომ სრულ ხუთ საათზე მოვალო... — თქვა ჩაფიქრებულმა ჟორამ.

— მეტაქსემ წინასწარ არ იცის, როგორი რეისი ექნება — ახსნა გედეონმა.

— ბიჭო, ეს რამოდენა ბრილიანტები აქვს ბეჭდებზე და საყურეებზე... ალბათ ყველა ყალბია, — თავი დაიმშვიდა ფაშამ.

— ვისა? — გამოცოცხლდა ჟორა.

— აი, ამას, ჩემს გვერდით, მოხუც შვედ ქალს, ახალგაზრდასთან რომ ზის.

— შენ რა იცი, რომ ეგ შვედია? — ჰკითხა გედეონმა.

— მე და, არ ვიცოდე?..

— ფაშას საყვარელი ყავდა შვედი ქალი, ორი მეტრი სიმაღლისა! — თავისი ძმისადმი სიამაყით თქვა ჟორამ.

— მე მიყვარს დიდი ქალი, — მორიდებულად დაადასტურა ფაშამ.

— დიდ ქალებს კი პატარები უყვართ... ეს ნორმალურია. — ვთქვი მე.

ფაშამ შემომხედა, უნდოდა გაეგო დავცინოდი მას, თუ ეს შემთხვევით მომივიდა. მერე ლაპარაკი ისევ იმ თემაზე გადაიტანა.

— თუ კი ბრილიანტები ყალბია, მაშ ასე ძალიან რატომ ბრწყინავს?

— ნამდვილია!.. დარწმუნებული იყავი, რომ ეგ ალფონსი მაგის სინორჩითა და სილამაზით არ არის გატაცებული! — ვთქვი მე.

— მიმიფურთხებია ასეთი გზით ნაშოვნი ფულისათვის! — აღშფოთდა გედეონი.

გედეონი ძალიან ლამაზი კაცი იყო და ამას ორპირობით არ ლაპარაკობდა.

გამყიდველი ქალიშვილი დაბრუნდა, თვალი გადაავლო ჩვენს მაგიდაზე დაყრილ ხელუხლებელ არაქისს, ჩაგვიარა და პარკი დაუდო მაგიდაზე შვედ ქალს, რომელმაც უნებლიეთ ასწია მისკენ მომღიმარი სახე. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ პირველი პარკის გვერდით, კიდევ ორი გაჩენილიყო.

— რამდენი გინდათ? — შეეკითხა შვედი ქალი.

— სამი ფრანკი.

შვედმა ქალმა გაუწოდა ქალიშვილს ხუთფრანკიანი და უთხრა, ხურდა არ მინდაო.

ჩვენ შეუმჩნევლად ვადევნებდით თვალს ამ სცენას.

— შვედ ქალს არ უნდა გაეღიმა ქალიშვილისათვის! — თქვა სხვისი ფრანკების სინანულით ჟორამ.

— სულელი! — ვთქვი მე.

— რასაკვირველია. — დამიდასტურა ფაშამ.

— მოიცა, მოიცა!.. ვისზე ამბობ, ჩემზე? — მკითხა ჟორამ.

— ჰო!.. ვუთხარი მე.

— მე კი მეგონა, რომ შენ იმ ქალის ალფონსზე ამბობდი... — მოიბოდიშა ძმის წინაშე ფაშამ.

თუმცა ტანით პატარანი იყვნენ, ორივე ძმა ძალიან თავმოყვარე და სიგიჟემდე გაბედული იყო.

მაგრამ კონფლიქტი არ მომხდარა. არაქისის გამყიდველი კაფედან გავიდა და ყოველი ჩვენგანი უკვე ღეჭავდა თითო არაქისს. მერე, ჩვენ გართულები ვიყავით მეხუთე, დარჩენილ არაქისზე წილისყრით. არაქისი გედეონს ერგო და ჩვენ შურით შევცქეროდით, როგორ გაამგზავრა მან თავისი ყისმათი პირისაკენ.

— ამას რომ ყველაფერში იღბალი აქვს!.. — გადაიტანა ბრაზი გედეონზე ჟორამ.

— ჰო... მე ძალიან იღბლიანი ვარ. — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა გედეონმა, რომელმაც საჭირო მომენტში დათმობა იცოდა.

მოვიდა კელნერი, აკრიფა ცარიელი ტოლჩები, ერთიერთმანეთზე დაალაგა ნაბდის ოთხი მრგვალი ნაჭერი, რომლებიც ლამბაქის მაგივრობას ეწეოდა და რომელთა რაოდენობის მიხედვითაც უნდა გადაგვეხადა დალეული ლუდის ფული.

— თქვენ სხვა არაფერი გნებავთ? — იკითხა კელნერმა.

— ჰო... — თქვა ფაშამ და ჩვენ ყველამ შიშით შევხედეთ მას. — მოგვიტანეთ, თუ შეიძლება გაზეთები:

დრო მიდიოდა. თითოეულს გაზეთში ცხვირი ჰქონდა ჩაყოფილი, მე კი ვერაფრით ვერ მოვიკრიბე გონება. ყურადღებას მიფანტავდა ასეული ხმის გუგუნი, მოულოდნელად ატეხილი სიცილი. აზარტში შესულ მოკამათეთა წამოძახილები ანდა შორს მანძილზე მყოფ,

სირბილით მოღლილ კელნერთან ყვირილით სასმელს დაკვეთა.

— უკვე შვიდის ნახევარია... ის აღარ მოვა. — ნაღვლიანად თქვა ფაშამ, როცა კვლავ ისარგებლა თავისი ახლო მჯდარი შვედი ქალის საათით.

— ვერ ვიტან იმ საზიზღარს! — თქვა ჟორამ.

— ამასწინათ, მთელი სამი საათი მელაპარაკებოდა ერთობ პირადულ ამბებზე. მე კი სულელივით ვუსმენდი... — თქვა ფაშამ.

— აი, იმის შესახებ, როგორ მკურნალობდა იმ ამბავს, არა? — იკითხა გედეონმა.

— ჰო.

— მე კი მეგონა, მხოლოდ მე მომიყვა... — მე ვგრძნობდი, რომ მაზიდებდა შიმშილის. წყენისა და ყველაფრის გამო.

ჩვენ კვლავ გაზეთებს მივუბრუნდით.

— შეხედეთ, — თქვა გედეონმა და მაგიდაზე გაშალა თავისი გაზეთი.

— მე კარგად ვერ გავიგე, რა სწერია ამ სურათის ქვეშ.

— უჰ... — ჩაიბუზღუნა ფაშამ, როცა სურათს შეხედა. — ისევ ურიგებენ უმუშევრებს ცხელ სუპს და ნახმარ ტანსაცმელს ეს ქველმოქმედი ორგანიზაციები.

— ამერიკაში უკვე ათეული მილიონობით უმუშევარია! — აღმოხდა ჟორას. — და ჩვენთანაც, აქ...

— არა, კაცო! — თქვა გედეონმა.

— როგორ თუ არა! ეს-ეს არის, წავიკითხე! — და ჟორამ თავისი გაზეთი გედეონის გაზეთს დაადო. — აი, შეხედეთ ერთი ჩიკაგოელი უმუშევარი თავს მონად ჰყიდის... ეს პანკრატზე სწერია, მკერდზე რომ ჰკიდია.

—ყოველთვის რას ეჩრები ხოლმე! -- გაბრაზებულმა გედეონმა ჟორას გაზეთი იატაკზე გადააგდო.

ჟორამ ღრმად ამოიოხრა და დააყოვნა გაზეთის აღება.

შენ რა... ხომ არ გინდა... — დაიწყო გაფითრებულმა ჟორამ.

—-კმარა!—შეაწყვეტინა მას ფაშამ.

— დაიცა, მოდი, წავიკითხოთ — ვთქვი მე.

ეს იყო ცნობილი ფრანგი ჟურნალისტის დიდი სტატია ბერლინის, ჰამბურგისა და დიუსელდორფის უმუშევართა შესახებ.

— რა ჭირად მინდა მე ეგ. შენ ის წაიკითხე, რაც ფოტოს ქვეშ წერია! — აწრიპინდა გედეონი.

ფოტოზე დიდი მისაღები ოთახი იყო აღბეჭდილი. კედელთან განლაგებულ სკამებზე რაღაცის მომლოდინე საკმაოდ საცოდავი ახალგაზრდები ისხდნენ. „ახალგაზრდა გერმანელი ხელოსნები და შეგირდები, შიმშილის გამო თავიანთ თავს ჰყიდიან ჰომოსექსუალისტთა საროსკიპოში“. წავიკითხე მე.

— ჰომოსექსუალისტი, ეს იგივეა, რაც... — სისხლით ავსილი გედეონის თვალები ხან მე მაშტერდებოდა, ხან ფაშას.

— სწორედ რომ! — ვთქვი მე.

— დიახ, ზუსტად ასეა! — დაადასტურა ფაშამ.

— უ, მე თქვენი-ი-ი! — ხმამაღლა აყმუვლდა გედეონი და მუშტი აწია. — კმარა! იმაზე კრინტი აღარ დასძრათ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ.

ახლო მაგიდებთან მსხდომნი ჩვენკენ შემოტრიალდნენ.

— შენ ისტერიკებს თავი დაანებე, როცა ჯიბეში ერთი სანტიმიც არ გაგდის! — გადავუჩურჩულე მე გედეონს.

გედეონმა, რომელსაც მართლა ისტერიკა ჰქონდა, მუშტი დაუშვა და დამნაშავესავით გაიღიმა, მე კი ვფიქრობდი — რატომ მივატმასნე იმ ჩემს ნათქვამს სანტიმი... ნუთუ ის იყო მთავარი არგუმენტი?

შვედი ქალი კელნერს გაუსწორდა და დიდხანს ელოდა, ვიდრე ზლაზვნით ადგებოდა მისი ალფონსი, რომელსაც სურდა კაფეში კიდევ დარჩენილიყო. მას, ალბათ არც ისე უნდოდა ქალთან განმარტოვება. როცა ისინი გადიოდნენ, ქალმა მოინდომა ხელმკლავის გაკეთება, მაგრამ ალფონსი ამას აერიდა.

— რვას ათი წუთი აკლია. ახლა მიშა უკვე ნამდვილად აღარ მოვა! — გვამცნო ფაშამ, რომელმაც მოასწრო შეედი ქალის საათზე დახედვა.

— ხა, ხა, ხა!... ისე მიჰყავდა ქალს, როგორც კრუხს, რომელსაც ეშინია წიწილის დაკარგვისა! — ხარხარით თქვა ჟორამ.

— კაი კრუხია, ღმერთმანი!.. ჩაიცინა გედეონმა.

წასულების მაგიდა მაღალმა ამერიკელმა დაიკავა და შოტლანდიური ვისკი დაუკვეთა.

ვიდრე ის ფრანგულისა და ინგლისურის ნარევით დაუკვეთავდა კელნერს სასმელს, ჩვენ დავადგინეთ, რომ ამერიკელი იყო.

უკვე კაი ხანია რაც ჩვენ ვახერხებთ თითქმის ყველა უცხოელის ეროვნების გამოცნობას და ზოგჯერ ჩრდილო დასავლეთ ევროპის მცხოვრებ ხალხში თუ შევცდებით, რომლებიც ძალიან გვანან ერთმანეთს.

— ჰო... მაგრამ ჩაგვსვა ამ ლუდმა! — მიაპყრო მზერა ნაბდის მრგვალ ნაჭრებს ფაშამ.

— უ, ის სალახანა, თანაც რომ გვითხრა „თითო ტოლჩა ლუდი აიღეთო". ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ აქ საერთოდ არ შემოვიდოდით! — სიბრაზისაგან დუღდა ჟორა.

თმა ჟორას თითქმის ზედ წარბებთან ეწყება და როდესაც ღელავს, თავის პატარა შუბლს ჭმუხნის და ძალიან სასაცილოა.

— არაფერია. — დაამშვიდა გედეონმა ჟორა. — აი, როცა მიშას მოვიხელთებთ, შენ პირველი სცემ მას.

ფაშა თავის მეზობელ ამერიკელს ესაუბრებოდა და მგონი რაღაცას „აჭმევდა", რადგან ძალზე ზეშთაგონებული გამომეტყველება ჰქონდა.

— ნახა თავისზე უფრო სულელი — წაიბურტყუნა გედეონმა.

— აბა, რა. — ეწყინა ამის გამო ჟორას. — ასეთები ბევრნი არიან.

ძმები ძალიან მეგობრობდნენ და სრულებით არ იყვნენ სულელები, პირიქით.

ფაშამ ამერიკელის წინაშე ბოდიში მოიხადა, ჩვენკენ შემოტრიალდა, პირადად არავის მიმართა და მშვიდი ღირსებით, რომ არავითარი ეჭვი არ გამოეწვია, ქართულად გვითხრა:

— მე ამას ვუთხარი, რომ ოთარი და გედეონი... განთქმული პოეტები არიან.

— ჩემზე? — იკითხა ჟორამ.

მაგრამ ორი განთქმული პოეტიდან არც ერთმა ჟორა შეხედვის ღირსიც კი არ გახადა.

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ქართულად ვლაპარაკობდით.

— ჩვენს მაგიდასთან ხომ არ მოვიწვიოთ? — გაბღენძილად მკითხა გედეონმა. რადგან ეგონა, რომ ასე ლაპარაკობენ განთქმული პოეტები.

— და ჩვენი ლუდიც შევაპაროთ. — დაუმატა ჟორამ.

— ყველაფერი იქნება! — თქვა ფაშამ. — შეიძლება ვახშამიც, ოღონდ ნუ ვიჩქარებთ, რომ არ დავაფრთხოთ.

— ჰო, უცებ ნუ მოვიწვევთ, ჯერ შორიდან გავაღვივოთ ურთიერთ სიმპათიები... — აუხსნა გედეონს ჟორამ.

— რასაკვირველია. — დაეთანხმა გედეონი და ამერიკელი მომხიბვლელი ღიმილით დააჯილდოვა.

ჟორამ, თავის მხრივ, თუმცა შედარებით ნაკლები მომხიბვლელობისა იყო, ამერიკელს მისალმების ღიმილი სტყორცნა და მხოლოდ მე ვიჯექი აფხვერილი და გაბრაზებული, რაც ეტყობა, არ მოეწონა ამერიკელს, მან რაღაც ჰკითხა ფაშას და თავი ჩემსკენ შემოატრიალა.

— შენ ყველაფერს აფურთხებ! — ჩამისისინა ყურში ჟორამ.

მე უკვე მინდოდა ავღრენილიყავი, მაგრამ სმენად ვიქეცი, ფაშა ამერიკელს უხსნიდა:

— აი, ის, პირქუში... იმდენად ნიჭიერია, რომ თანამედროვე ვერლენად სთვლიან... მაგრამ ნევრასტენიკია, ახ-

ლახან ლამაზმა ცოლმა მიატოვა... და ორჯერ თავის მოკვლა სცადა.

ახლა ამერიკელი ღრმა თანაგრძნობით მიმზერდა და მე უნებურად დავიწყე ჩემზე დაკისრებული როლის შესრულება.

მხოლოდ ყველა ამის შემდეგ მე უცებ გამახსენდა როზეტა... და ეს იყო არა ჩემი, არამედ შიმშილის ბრალი.

მერე ბიჭებმა შემაქეს, ეს პანტომიმა ბრწყინვალედ შეასრულეო. თურმე მე ნიკაპი მიკანკალებდა და თვალებზე, რომლებიც სადღაც შორს იყურებოდნენ, ცრემლები მქონდა მორეული.

და მართლაც იმ დროს მე ხომ ნამდვილად შორს ვიყავი... და ვაგონიდან, რომელსაც მივყავდი, გავცქეროდი პერონზე მტირალ როზეტას, რომელიც სულ პატარავდებოდა და პატარავდებოდა... მე კი ვიყავი აღსავსე გადაწყვეტილებებით... ხა, ხა, ხა... გადაწყვეტილებებით!..

— რა? — მკითხა გედეონმა.

— გადაწყვეტილებებით. — ვთქვი მე.

ბიჭებმა ვერაფერი გაიგეს, ალბათ ეგონათ, რომ ეს ჩემს მიერ გათამაშებულ პანტომიმაში შედიოდა. როცა საბოლოოდ გონს მოვედი, ამერიკელი უკვე ჩვენს მაგიდას უჯდა, ფაშა კი, ჩვენი ლუდის ნაბდების მრგვალ ნაჭრებზე შოტლანდიური ვისკის ორ თეფშსა სდებდა. თეფშებს ზედ ფასი ეწერა და საკმაოდ დიდიც.

— თქვენ რას დალევთ? — გულთბილად გვკითხა ამერიკელმა და თან თვალებით კელნერს ეძებდა.

— თქვენ რაღას მიირთმევთ? — ჰკითხა მას ფაშამ.

— არა, არა, მე გეპატიჟებით... ბოდიშს ვიხდი, რა ეროვნებისა ხართ?

— ჩვენ ქართველები ვართ! — ამაყად გამოთქვა ფაშამ.

— ქართველები? ეგ სად, საიდან?

— კავკასია... — დაიწყო ახსნა ფაშამ, მაგრამ ამერიკელმა შეაწყვეტინა:

— ა, ა, ა... ჰო, ჰო!.. სტეპი... არაყი... ტროიკა!..

— არა! — ვერ მოითმინა ყორამ. — იცით, შავი ზღვა და კასპიის ზღვა... მათ შუა.

— არ ვიცი... — თქვა ამერიკელმა.

— მე შენი... — ქართულზე გადავიდა გედეონი.

— რაო, ამან რა თქვა? — იკითხა ამერიკელმა.

— შავი ზღვა არ იცით? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ფაშამ.

— ვიცი.

— ჰოდა, მერე კასპიისა... და საქართველო...

— არ ვიცი მე საქართველო! — დაუდევრად ჩაიქნია ხელი ამერიკელმა, — ამას არა აქვს მნიშვნელობა...

და როგორც ჩვენ ყველას მოგვეჩვენა, აგდებულად გაიცინა.

—თქვენ სადაური ხართ?—ვკითხე მე.

— მე?.. მე ჩიკაგოელი.

როგორც ჩვენ კვლავ მოგვეჩვენა, მან ეს კვლავ დიდი მაღალფარდოვნებით წარმოთქვა.

— სად არის ეგ? — ვკითხე მე.

— ჩიკაგო? — გაიკვირვა ამერიკელმა. — ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

— არ ვიცი. — ვუთხარი მე.

ამერიკელმა დროებით დაკარგა ლაპარაკის უნარი, ბიჭები კი ყველაფერს მიხვდნენ.

— თქვენ არ იცით, სად არის ამერიკა? — ბოლოს აღიდგინა სიტყვის უნარი ჩვენმა სტუმარმა.

— არა! — კვლავ მივუგე მე.

— თქვენ ხომ არ იცით, სად არის საქართველო! — უთხრა ყორამ.

— თქვენ გიჟები ყოფილხართ!.. — აღრიალდა ამერიკელი და სკამიდან წამოხტა.

გედეონიც წამოხტა, პიჯაკში სტაცა ხელი და თავისკენ გამოსწია.

— შენ თუ არ იცი, სად არის საქართველო, მე რატომ უნდა ვიცოდე სად არის ამერიკა?! — ცოფისაგან თვალებდამრგვალებული გედეონი დიდხანს მოუნდა ამ ფრაზის შედგენას.

ამერიკელმა გლეჯით გაითავისუფლა თავი და დიდი ნაბიჯებით გაემართა კაფეს სიღრმეში.

— მან თავისი ორი ვისკი დაგვიტოვა! — წამოიძახა ჟორამ.

— ნუ გეშინია, მე ვხედავ, ის·სადაც დაჯდა. — დაამშვიდა ძმა ფაშამ.

— აფერუმ შენს ვაჟკაცობას! — ვუთხარი მე გედეონს. — ლაპარაკობდი ნელა, არ აჩქარებულხარ და არც წრიპინზე გადასულხარ.

— ეს კიდევ რა არი... როცა უფრო ნელა ვლაპარაკობ, მაშინ შალიაპინისებური ბანი გამომდის, — გაიცინა გედეონმა.

არცერთ ჩვენგანს კრინტი არ დაუძრავს ამერიკელის წასვლის გამო დაკარგულ შესაძლებლობაზე. ეს იყო თავისთავად აშკარა პატრიოტული აქტი და ამისთანა ამბებზე კი, — არ ლაპარაკობენ.

ჩვენს მაგიდასთან მოვიდა კელნერი, ამერიკელის თეფშები აიღო და შეგვეკითხა:

— ნეტავი ასე რით გააბრაზეთ?

— ჯანდაბას მაგის თავი, სულელი! — თქვა ჟორამ.

— სულელი... შეიძლება სულელი იყოს, მაგრამ ფულის გაკეთება იცის!

დრო მიდიოდა, მდუმარედ ვისხედით, ტვინს ვიჭყლეტდით, რომ გვეპოვა ხსნის გზა. დალეული სასმელების ფასის გადაუხდელობა წვრილ თაღლითობად ითვლებოდა და გამასწორებელი ტრიბუნალი ამისათვის მოკლევადიან პატიმრობას უსჯიდა. მაგრამ უცხოელებისათვის საქმე ამით არ მთავრდებოდა. მათ ართმევდნენ კარტ დ' იდანტიტეს — უცხოელის პასპორტს. რის შემდეგ სამი დღის განმავლობაში უნდა დაეგტოვებინა საფრანგეთი.

ასეთი უმუშევრობის დროს, ყოველი საბაბი ხელს აძლევდა მთავრობას, რომ თავიდან მოეშორებინა მისთვის ახლა ზედმეტი, უსარგებლო უცხოელები.

რა თქმა უნდა, ჩვენ კენჭს ვიყრიდით და ოთხის ნაცვლად მხოლოდ ერთი დაზარალდებოდა, მაგრამ ეს არ იყო შეღავათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უკვე ათის ნახევარია... — სამგლოვიარო ამბის მაუწყებელი რადიოდიქტორის ხმით გვამცნო ფაშამ.

— რაღაც უნდა ვიღონოთ. — თქვა გედეონმა.

— რა? — ვკითხე მე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

და აქ, უცებ შეუჩერებლივ ალაპარაკდა ფაშა:

— აი, გიყურებთ სამივეს და მიკვირს, რა ძალიან გავხართ ღრმა ჭაში ჩაცვენილ პითეკანთროპებს...

— გეყოფა, ნერვებს ნუ გვიშლი! — ვუთხარი მე, მაგრამ ფაშას წარბიც არ შეუხრია, ისე განაგრძო:

— ინფუზორიების აზროვნების მქონე საცოდაო არსებანო, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რომ არსებობენ...

— ენა ჩაიგდე, თორემ სიფათში მოგდებ! — შეაწყვეტინა მას გედეონმა.

— ჯერ ერთი, არ არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელიც მე მომდებს და ხურდას არ მიიღებს!... და მეორეც, თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ არსებობა...

— გეყოფა, თორემ მეც მოგდებ სიფათში! — ველარ შევიკავე თავი მე.

— ბატონებო, რატომ გავიწყდებათ პარაგრაფი მეორე, სადაც სიფათში მოდების სტატიაში ლაპარაკია ხურდაზე?.. მაგრამ ჩემი ზეორგანიზებული ინტელექტი ახლა სხვა რამით არის შეპყრობილი. სახელდობრ: ჯავშნოსანი მატარებლის გენერლით, რომელიც თუ წინათ ყუმბარებით ბოლშევიკებს ანადგურებდა, ახლა მაწვნის ქილებით პარიზელებს ანადგურებს.

— ფაშა,—შეიჭმუხნა შუბლი ჟორამ. — მატრაბაზობას თავი დაანებე და თქვი, რა ამბავია, თორემ ნამდვილად მოგდებ.

— აბა, რადგან თქვენ სამივე ერთსა და იმავეს ამბობთ... — ფაშას სჭირდებოდა დრო, რომ განელებულიყო. — მე

მემაწვნეებთან წავალ, ახლა სწორედ ის დროა, როცა მაწონს ადედებენ. გენერალი მე კარგად მეპყრობა და ვფიქრობ...

ფაშამ ლაბადა ჩაიცვა და გასწია.

იგი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და არც თუ ისე კმაყოფილი.

— აბა, რას გვეტყვი? — ჰკითხა ჟორამ.

— გენერალი იქ არ იყო. მთელი მუშათა პერსონალი სამი კაცის შემადგენლობით..

— ფუი, შენი ღმერთი არ იყოს!.. ლუდის ფული თუ მაინც იშოვე?— აწრიპინდა გედეონი.

— ზუსტად ოთხი ტოლჩისა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მიშას ბრალი იყო.

ჩვენ ანგარიში გავასწორეთ და წავედით.

სცრიდა. ნისლისებურ წვიმაში მკვეთრად მოჩანდა კიდევ ორი დიდი გაჩირაღდნებული კაფე — „როტონდა“ და „კუპოლი“.

ბულვარის მოპირდაპირე მხარე ჩაბნელებული იყო და მხოლოდ ერთ ადგილას, სარდაფისებურ ჩასასვლელზე ეკიდა განათებული თეთრი ბირთვები, რომლებზეც ეწერა: „თეთრი ბირთვი“.

თეთრ ბირთვებს აქ დაცინვით ეძახიან შავკანიანებს.

ეს იყო ზანგების კაბარე, სადაც მეტწილად დადიოდნენ ფერადი პროსტიტუტკების მოყვარულნი.

ჩვენ გავყევით ოდნავ ზევით მიმავალ ქვითკირის ლამაზსახლებიან რესპექტაბელურ ქუჩას, გადავჭერით უკაცრიელი ბულვარი და გავჩერდით მეტრო „გეტეს“ — სიმხიარულეს სადგურთან.

იმის იქით ჩვენი რაიონი იწყებოდა, ქუჩა „გეტე“ და მის ბოლოში, მოსახვევთანვე იყო კაფე „სამი მუშკეტერი“, — თავმოყრის პუნქტი თუ ყველა ქართველის არა, პარიზში მყოფ ქართველთა უმეტესი ნაწილისა მაინც.

ქუჩა „გეტე“ დიდი პარალელოპიპედის ერთერთი ვიწრო მხარე იყო. პარალელოპიპედის სამ დანარჩენ მხარეს წარმოადგენდა მაღალი, შემურული კედელი, რომელიც მონმარტრის სასაფლაოს გარს ერტყმის.

— სასაფლაოს ჩავუარეთ... ბოლოში, პერპენდიკულარულ ბულვარზე დიდი უნივერმაღია და იქვეა ტაქსების გაჩერება — თქვა ფაშამ.

—მერე, შენ გგონია, მიშა იქ დაგვხვდება, რადგან შენ ასე გინდა? —წაუგესლა გედეონმა.

— მიშა რა შუაშია, ოღონდ რომელიმე ქართველი მეტაქსე იყოს.

ბულვარზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო და მხოლოდ ჟანდარმებმა, რომლებსაც ველოსიპედები სასაფლაოს კედლებზე მიეყუდებინათ, დაბღვერილი მზერით გაგვაცილეს.

კედელი დაუსრულებელი იყო. ჩვენ ლაპარაკით მივდიოდით.

— წაიკითხეთ გუშინ გაზეთებში, რომ უმუშევრობისათვის დახმარების გაცემის თაობაზე პარლამენტში საკითხის დასმას აპირებენ?

— ალბათ ისევ კომუნისტური პროპაგანდაა...

— ცუდი კი არ იქნებოდა!

— ჩვენ, უცხოელებს მაინც არ მოგვცემენ.

— რა, ჩვენ განა ადამიანები არა ვართ!

— ვიყავით ადამიანები.., როცა მათ მუშა ხელი სჭირდებოდათ. ახლა კი ჩვენ ჭუჭყიანი უცხოელები ვართ.

— დაგიძახებენ კიდეც. რატომ მუშაობდნენ უცხოელები, როცა ფრანგები გაიფიცნენ?

— გახსოვს, ჯეკ ლონდონს ერთ მოთხრობაში გამოყვანილი ჰყავს მოკრივე, რომელიც ნავსადგურში შეცდომით მიიღეს შტრეიკბრეხერად და ძალაყინით ორივე ხელი გადაუმტვრიეს.

— ჰო.. მერე, გადანამტვრევი შეუხორცდა და იგი უკეთესი მოკრივე დადგა!

— ჯეკ ლონდონი, მშიერ უმუშევრებზეც წერს... მაგრამ იქ ყველაფერი ისე რომანტიკულად არის..

— მიმიფურთხებია მისი რომანტიკისათვის... და ჩემი ამქვეყნად გაჩენის დღისთვისაც...

— შენ ძალიან უტილიტარულად აზროვნებ.

— შენ კი, საერთოდ რომ გაუაზროვნა, აქ არ ამოყოფდი თავს!..

ჩვენ სასაფლაოს კედლის კუთხემდე მივედით. გასწვრივ, მოშორებით შუქურასავით ანათებდა დიდი უნივერმაღის გაჩირაღდნებული სართულები, დაბლა კი, ტროტუარზე წინ წამოწეული ბეტონის ჩარდახის ქვეშ საქონლით სავსე დახლები იყო და ხალხი ფუსფუსებდა.

ჩვენ უნებლიეთ ფეხი ავაჩქარეთ. უნივერმაღის პირდაპირ ტაქსების გაჩერება იყო და ჩვენ უკვე შორიდანვე გადავთვალეთ, რომ იქ ხუთი მანქანა იდგა.

— ნუთუ ჩვენს ბედზე არცერთი არ აღმოჩნდება... ხმამაღლა გამოთქვა თავისი შიში გედეონმა.

ასეც მოხდა, და ერთი დახლიდან მეორესაკენ ხეტიალი დავიწყეთ.

პარფიუმერიის განყოფილებაში ხალხი ირეოდა. რეკლამის მიზნით იქ მუქთად იძლეოდნენ თითო ნაჭერ ხელის საპონს.

ჩვენ თითო-თითო ნაჭერი საპონი მივიღეთ, გვერდით გავდექით და გავხსენით. პაკეტი ნამდვილი „ბებე კადუმისა“ იყო. ქაღალდზე ღია ვარდისფერ ტონებში ეხატა ლამაზი, მომღიმარი თოთო ბავშვი, შიგ კი, საპნის ნაცვლად საპნის ბურბუშელა ეყარა.

— არაუშავს, — თქვა გედეონმა და ლაბადის ჯიბეში ჩაიდო გახსნილი პაკეტი.—ერთი-ორჯერ პირს მაინც დავიბან.

ჩვენ მის ჭკვიანურ რჩევას დავუჯერეთ და პაკეტები ჯიბეებში ჩავილაგეთ. მერე დიდხანს ვიყიალეთ უნივერმაღში. ოთხივე, გარეგნულად სრულიად პრეზენტაბელურები ვიყავით, მაგრამ სახის გამომეტყველება ალბათ ისეთი არა გვქონდა, როგორიც საყიდლებზე მოსულ ხალხს აქვს ხოლმე, რადგან უნივერმაღის კერძო პოლიცია აშკარად გვითვალთვალებდა.

ეს რომ შევნიშნეთ, ჩვენ უკვე წასვლას ვაპირებდით, როცა ქორამ მაგრად ჩამომქაჩა სახელო.

— შეხედე, მიშა! — მითხრა მან.

მაგრამ ეს სხვა მიშა იყო. „სონკა-ოქროხელას“ ანალოგიით, ამ მიშას ვეძახდით „მიშა-ოქროხელას“, და იგი ამ სახელს პატიოსნად ამართლებდა.

ქუთაისში ყველაზე ცნობილი ჯიბგირი, იგი აქაც თავის ხელობას ეწეოდა, მით უმეტეს, რომ ჯიბგირები საფრანგეთში, ფულის სწრაფად შეძენის სხვა ოსტატებთან შედარებით, არც ისე ბევრნი იყვნენ.

ამის მიზეზი მიშამ თვითონ გვიამბო კაფე „სამ მუშკეტერში“ ერთი ვიზიტისას. მისი სიტყვებით, რეციდივისტ ჯიბგირებს აქ თავიდან იშორებენ თურმე საკმაოდ უბრალოდ. — სველ ბრეზენტს გადააფარებენ და თირკმელებზე ურტყამენ.

თირკმელებჩანგრეული ჯიბგირი ჩივილს ვერ შესძლებდა, რადგან გარედან არაფერი ემჩნეოდა... და მალე საიქიოს მიემგზავრებოდა, ანდა პროფესიას იცვლიდა.

მიშამ აგრეთვე გვიამბო, რომ მას ფარულ ჯიბეში ყოველთვის საკმარისი თანხა აქვს, რომ „ჩავარდნის“ შემთხვევაში პოლიციელისაგან თავი გაითავისუფლოს.

ჩვენი ბიჭების სიტყვით, ორიოდე წლის წინათ მიშა თურმე არხეინად ცხოვრობდა, მაგრამ მერე გაიტაცა დოღზე თამაშმა, რომელიც პარიზში ყოველდღიურად იმართება და მთელ თავის „ოფლით ნაშოვნ“ ფულს აგებდა.

ჩვენ რომ დაგვინახა, მიშას აშკარად გაუხარდა, რამაც უფლება მოგვცა, ყოველგვარი მომზადების გარეშე ფული გვეთხოვნა.

—კაცობრიობას გეფიცებით... არცერთი სანტიმი არა გვქვს...

— არა მჯერა!.. კოხტად გამოწყობილი, სუფთა პერანგი, თან პომადაგა-

დასმული თმა... — არც თუ ისე დიდი ტანის მიშას ზევიდან ქვევით ჩამოხედა გედეონმა.

— დღეს მთელი ფული დოღში წავაგე, უკანასკნელ სანტიმამდე!... სწავლა-განათლებას გეფიცებით!... დასაწყისში ყველა ჩემი ცხენი პირველი მიაჭენებდა, ფინიშთან კი... — მწარედ გაიღიმა და ჩაიქნია ხელი მიშამ. — და ახლა კი აქ, არცერთი კლიენტი. რაღაცა ოცი-ოცდაათი ფრანკისათვის ხელს ხომ არ გავისვრი!

— ჩვენ ხუთი ფრანკიც გვეყოფა. — თქვა ფაშამ.

— არ შემიძლია!.. მე ჩემი საქმის არტისტი ვარ... და ტყუილ-უბრალოდ რისკის უფლება არა მაქვს.

— ჩვენა ვართ ტყუილ-უბრალონი?! აბა, გაგიმარჯოს და კარგად მენახე... წავიდეთ, ბიჭებო. — გედეონი გასასვლელისაკენ გაემართა, ჩვენც მას გავყევით.

გაჩერებასთან კვლავ ხუთი ტაქსი იდგა.

— მოიცათ, ბიჭებო!.. — წამოგვეწია აქოშინებული მიშა. — ოღონდ თქვენ აქ დაიცადეთ, თორემ ყურებას დამიწყებთ და მეთვალყურეებს ჩემზე მიაქცევინებთ ყურადღებას.

ფაშამ თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ თავი დაუქნია.

მართალია, დრო შეფარდებითი ცნებაა, მაგრამ მე მგონია, რომ მიშა მაინც მალე დაბრუნდა.

— აი, — თქვა მან და ჯიბიდან ამოიღო ძველი, დაფლეთილი საფულე, — ერთ ვიღაცა გაჭირვებულ, ძველებში ჩაცმულ დედაკაცს ამოვაცალე ალბათ, შინამოსამსახურე იყო. საოცარი ხალხია, რაც უფრო ღარიბები არიან, მით ნაკლებ უფრთხილდებიან თავიანთ ფულს. ჰო, მე კი არ მინახავს შიგ რამდენია.

საფულეში ოთხი თითო ფრანკიანი და ოთხმოცდაათი სანტიმი ხურდა აღმოჩნდა.

— ასე გონია, ზუსტად იცოდა ჩვენთვის საჭირო მინიმუმი! — გაიცინა ფაშამ.

ეროვნული

მე კი ტირილი მინდოდა, მაგრამ განა იმ შინამოსამსახურის შებრალების გამო?!

— აბა, ჯერჯერობით!.. მე წაველი! ჰო, დაგენაცვლე, ეს საფულე სადმე ისეთ ადგილას მიაგდეთ.

— ამას არ დაგივიწყებთ, მიშა! — მიაძახა თავისი საქმის არტისტს ფაშამ.

საფუნთუშე-საკონდიტრო, რომელიც შუაღამემდე არ იკეტებოდა, ქუჩა „გეტეს“ სულ ბოლოში იყო და იქვე, კუთხის იქით კი ჩვენი კაფე „სამი მუშკეტერი“ მდებარეობდა.

ახლა ჩვენ პარალელოპიპედის მეორე მხარეს გავყევით, — იგივე სასაფლაოს კედელს, გავუარეთ ჩვენს კაფეს და საფუნთუშეში შევედით, სადაც მე აქ ვმუშაობდი ერთ დროს და ხშირად ვიტკბარუნებდი პირს ტკბილეულით.

— პური, ოთხი ექვსას-ექვსასი გრამი და ორი სამას-სამასი! — შევუკვეთე მოხუცს, რომელიც თვლემდა.

— ეს ორი სამას-სამასგრამიანი რად გინდა? — იკითხა ქორამ.

— ერთს ტოგოს წავუღებ, მეორეს კი გედეონს გოგისთან გავატან.

— ჰო, რაღა თქმა უნდა. — უცებ დამეთანხმა ქორა. ფაშამ კი დასტურის ნიშნად თვალი ჩამიკრა და გამიღიმა.

ვერაფერს ვერ იტყვი, მშვენიერი ბიჭები არიან!

— უჰ, ბოდიშს ვიხდი, ათი სანტიმი აკლია...—ვთქვი, როცა ფულს ვიხდიდი.

— არაუშავს, მერე მომიტანეთ... — თქვა მოხუცმა დუქნის პატრონმა.

პური ლაბადის ჯიბეებში ჩავალაგეთ.

— უკან დავბრუნდეთ და დამშვიდებით, უმოწმეებოდ ვჭამოთ, — შემოგვთავაზა ფაშამ.

პური ახალი იყო, კბილებში ხრამუნი გაჰქონდა, მაგრამ ლუკმის ჩაყლაპვა რატომღაც ჭირდა. და ვიდრე ჭამას დავამთავრებდით, სასაფლაოს კედლის ზედ კუთხემდე მივედით და დავბრუნდით „სამ მუშკეტერამდე“.

ქორა კაფეში შევიდა, რომ ენახა ტოგო და გოგი იქ იყვნენ თუ არა, ჩვენ სამნი კი ნეონის რეკლამის ქვეშ ვიდექით და ველოდებოდით.

— გედეონ, ე მაგ ტუჩებზე რა გაქვს, თითქოს ქაფია? — ჰკითხა ფაშამ.

გედეონმა ენით გაილოკა ტუჩები და მერე ცხვირსახოცით გაიწმინდა.

— უცნაურია, რაღაცა საპნის გემო აქვს... — თქვა გედეონმა.

— ჰო, ო, ო... ალბათ იმ საპნის ბურბუშელა მოხვდა პურს! — თქვა ფაშამ.

მე შეუმჩნევლად ტუჩები მოვიწმინდე.

ქორა დაბრუნდა.

— ისინი იქ არ არიან, — თქვა მან.— რა იყო, ასე რას მიყურებთ?

— ტუჩები მოიწმინდე!.. — უხეშად დაუყვირა ძმას ფაშამ. — პურსა ხეთქავ და ვერც კი ამჩნევ, რომ საპონია!

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

# ცრემლი

## მოთხრობა

— რაო, ცხენების დეპოო? — გაკვირვებისაგან პირდაღებული პაატა უმცროს ძმას შესცქეროდა.

— ჰო, ასე მითხრა ამირანმა...

პაატა დარწმუნებული იყო, ლერი არ ცრუობდა. როცა ლერი ტყუილს ამბობდა, თვალს ვერ უსწორებდა ძმას, წამწამებს უცნაურად აპარპალებდა და შორეთს გასცქეროდა.

არც მეზობლის ბიჭი, პაატას თანაკლასელი ამირანი იყო ცრუპენტელა, მაგრამ პაატას მსგავსი რამ არასოდეს სმენოდა და როგორ უნდა დაეჯერებინა?

— ცხენების დეპო... — ისევ გაიმეორა უანგარიშოდ.

— ფრონტზე ნამყოფ ცხენებს კურნავენ თურმე... ზოგი მათგანი დაჭრილია, ზოგიც — ავადმყოფი. — სიტყვა ჩამოართვა ლერიმ. — მერე ისევ ფრონტზე ჰგზავნიან.

სოფლის განაპირას აშენებულ თამბაქოს საშრობ ფარდულში ცხენების რემა და რამდენიმე ჯარისკაცი რომ დაბინავდნენ, ეს პაატამაც იცოდა, მაგრამ ის ვერ დაეჯერებინა, რომ ამ ფარდულს უცნაური სახელი — „დეპო“ ერქვა.

— ამირანს უკვე გაუცვნია ერთი ჯარისკაცი, — უთხრა ძმას ლერიმ. — ქართველი ყოფილა, ვანელი...

მარტის მიწურული იდგა.

მარტი კი ჩვენთანაც ისეთივე ჭირვეული და ხუშტურიანი თვეა, როგორც ყველგან: დღეს რომ წვიმს და ცა ფეხად ჩამოდის, ხვალ ცხრათვალა მზე აფიცხებს წვიმით დამბალ დედამიწას.

იმ დღესაც მზიანი დარი იყო.

პაატა მოაჯირზე იჯდა, ფეხები გარეთ გადაეწყო და რიკულებზე ქუსლებს უბრაგუნებდა. ლერი კი იქვე იდგა და ახალ ამბავს გულმოდგინედ უყვებოდა:

— ამირანს თამბაქო მიუტანია იმ ჯარისკაცისთვის... მამამისის დანატოვარი, წვრილად დაჭრილი თამბაქო...

პაატა გულგრილად შეხვდა ძმის ამ ცნობას, ვინაიდან აქ წარმოუდგენელი არაფერი იყო — იცოდა, რომ ამირანის მამას შინ დაჭრილი თამბაქოს მარაგი ჰქონდა დატოვებული და, რა გასაკვირია, თუ ბიჭი ერთ ჯიბე თამბაქოს ჯარისკაცს მიართმევდა ძღვნად.

ლერი უხმოდ უცქეროდა პაატას და ელოდა, რას ეტყოდა უფროსი ძმა. რაღაც შინაგანი კითხვა თუ სურვილი აწუხებდა, მაგრამ გამხელა უჭირდა.

— შენც ხომ ნახე ის ცხენები?..

— ვნახე... — უხალისოდ მიუგო პაატამ და მოაჯირიდან ჩამოხტა. — დიდრონი, ზორზოხა ცხენებია...

— ჰო, დიდრონი და ზორზოხა ცხენებია!.. — დაუფიქრებლად გაიმეორა

ლერიმ. — ჩვენც ხომ არ გავიაროთ ფარდულისაკენ? — ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა მან და ის ჩანაფიქრი გაამხილა, გულში რომ უღიტინებდა. — მეც ძალიან მინდა ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცები გავიცნო და ცხენები ვნახო.

— გავიაროთ რა... — ისე უგერგილოდ ჩაილაპარაკა პაატამ, თითქოს დიდად არც ჯარისკაცების გაცნობა ეწადა და არც ნაფრონტალი ცხენების მონახულება.

თუმცა ლერი კარგად იცნობდა უფროს ძმას და ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ პაატას ერთი სული ჰქონდა, როდის გაჩნდებოდა ფარდულის ეზოში.

— ამირანის გარდა არავინ ყოფილა იმ დეპოში? — ჰკითხა პაატამ და ლერიმ მხოლოდ იმ წუთს იგრძნო, რომ მის ძმას ისიც საწყენად დარჩენოდა, ამირანმა როგორ დამასწრო იმ ხალხის გაცნობაო. ასეთი ბიჭი იყო პაატა — თავისზე წინ არავის გაშვება არ ეწადა.— ზღვაში საბანაოდ პირველი უნდა გადამხტარიყო, მასწავლებლის შეკითხვისათვის სხვებზე უფრო ადრე უნდა ვაეცა პასუხი, თუკი შურდულს მიზანში სხვები მასზე უკეთ მოახვედრებდნენ, გულს შეასკდებოდა.

ასეთი იყო ბუნებით და რა უნდა ექნა?!

— არა, არავინ, — მიუგო ლერიმ, თუმცა დარწმუნებული არ გახლდათ, რომ ეს ასე იყო, მაგრამ სხვა პასუხი ახლა მის ძმას გააბრაზებდა და შეიძლებოდა მისი დაუმსახურებელი რისხვა დატყდომოდა თავს. — ეს ხომ გუშინდელი ამბავია და... — უკანასკნელი სიტყვები იმისათვის დასძინა ლერიმ, რომ თავისი ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა.

პაატა ნელა დაეშვა აივნის კიბეზე. მას ლერიც მიჰყვა.

პაატა ხმას არ იღებდა, მაგრამ ლერიმ იცოდა, რომ მისი ძმა ახლა სწორედ ფარდულისკენ აიღებდა გეზს.

მაგრამ გაკვირვებული დარჩა, როცა პაატა გზისკენ კი არ გაემართა, არამედ ბოსლისკენ იბრუნა პირი.

„სად მიდის?“ — გაიკვირვა ბიჭმა და ძმას ჩამორჩა.

პაატა კი უკანმოუხედავად მიადგა ბოსლის კარს, ფართოდ გააღო და წუთით გაუჩინარდა.

ლერი მიხვდა, რაც ჩაეფიქრებინა მის ძმას — პაატას ფარდულის ეზოში უსაქმოდ გამოჩენა არ უნდოდა, ახალწამოქოჩრილ მდელოზე ძროხას მიუშვებდა საბალახოდ, რომ ვერავის ეთქვა, აქედან აიბარგეო.

ბოსლიდან ჯერ „ჩაკურა“ გამოვიდა. შემდეგ კი პაატა გამოჩნდა.

„ჩაკურა“ აგურისფერი ძროხა, იყო. უზარმაზარი რქები და საოცრად დიდრონი თვალები ჰქონდა. ვინც ამ ძროხას არ იცნობდა, შეხედვისთანავე იტყოდა, რქენია იქნებაო. სინამდვილეში კი ერთი უწყინარი და საოცრად მშვიდი პირუტყვი იყო. გარდა ამისა, „ჩაკურა“ კარგი მეწველიც გახლდათ და შინაურებს ოჯახის წევრივით უყვარდათ.

ლერი წინ გაიჭრა, ჭიშკარი გააღო და, რომ არ დაკეტილიყო, ხელით გააჩერა.

პაატა ნელი სტვენით მოჰყვებოდა ძროხას. ხელი მის გავაზე ედო და მშვიდად მოაცილებდა.

პაატა და „ჩაკურა“ გზაზე რომ გავიდნენ, ლერიმ ჭიშკარი მიხურა და წინ წასულთ გამოუდგა.

* * *

ფარდულის ბოძზე გამობმული წითელი, მაღალ ფეხებზე შემდგარი ცხენი მშვიდად იდგა. ხანგამოშვებით გრძელ კისერს ბოძს შეაფხანდა, ზოგჯერ კი კისერს მოიღრეცდა და მის გარშემო მოფუსფუსე ჯარისკაცებს გულგრილ მზერას შეავლებდა. მას თითქმის მთელ ზურგზე ჰქონდა ტყავი გადამძვრალი და ნაიარევი დამაშვრობოდა.

ერთ ტანმორჩილ ჯარისკაცს მალამოთი ავსებული ვედრო ეჭირა და მეორე მაღალ, მხარბეჭგანიერ ჯარისკაცს უმა–

რჯვებდა, რომელსაც ხაკისფერი გიმნასტურა ბეჭებზე ისე მჭიდროდ შემოკვროდა, იფიქრებდით, ერთი ღონივრად რომ გაიქაჩოს, ტანზე შემოასკდებაო, მას ჩვარი ეჭირა ხელში, ჩვარს ვედროში ჩაჰყოფდა და მერე ცხენს გადატყავებულ ზურგზე უსვამდა.

ეტყობოდა, ცხენს სიამოვნებდა, გატრუნული იდგა და დროგამოშვებით კმაყოფილად ხვიხვინებდა.

პაატა და ლერი ფარდულის ეზოში ალაგეზე ისხდნენ და ჯარისკაცებისაკენ იცქირებოდნენ, თან „ჩაკურაზედაც“ ეჭირათ თვალი.

ძროხა ღობის კიდეში მიმდგარიყო და ლორთქო ბალახს მადიანად შეექცეოდა

— რას შვრებიან, პაატა? — ჰკითხა ძმას ლერიმ და ფარდულის წინ მოფუსფუსე იმ ორ ჯარისკაცზე მიუთითა.

— მალამოს უსვამენ, არ ხედავ? — ისე მიუგო პაატამ, ძმისკენ არ მიუხედავს, ისევ ფარდულისკენ იცქირებოდა, საიდანაც წამდაუწუმ ისმოდა ცხენების ხვიხვინი თუ მომვლელთა შეძახილები: „ტპრრ, დადექ, შე წყეულო!“

ეტყობა, ჯარისკაცები საქმეს მორჩნენ, დაბალმა ვედრო დადგა, ცხენი ახსნა და ფარდულში შეიყვანა.

გარეთ დარჩენილმა ჯარისკაცმა ფარდულის წინ გაიარ-გამოიარა, მერე უცებ ბიჭებისკენ მოტრიალდა და ხელი დაუქნია, აქეთ მოდითო.

ბიჭებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ მას გრძელი, მზით გახუნებული სიმინდის ფოჩივით ულვაშები ჰქონდა.

ძმები ალაგედან უხმოდ ჩავიდნენ და ფარდულისკენ გაემართნენ. „ჩაკურამ“ ბალახს წუთით ანება თავი, ფარდულისკენ მიმავალ ბიჭებს თვალი გააყოლა და ისევ თავის საქმეს მიუტრიალდა.

— გამარჯობათ, ვაჟკაცებო! — მიესალმა შორიახლო გაჩერებულ ბიჭებს ჯარისკაცი, რომელსაც გიმნასტურის გალეღილი საყელოს ორივე მხარეს სამსამი სამკუთხედი ჰქონდა ჩამწკრივებული. — აქაურები ხართ?

— ჰო, აქაურები ვართ, — მიუგო პაატამ და ჯარისკაცი შეათვალიერა.

მას დიდრონი, შუქიანი თვალები და ნათელი შუბლი ჰქონდა, რაც მოწმობდა, რომ გულკეთილი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სახის ორსავე მხარეს გრძლად ჩამოშვებული სქელი ულვაშები რაღაცნაირ სიმკაცრეს სძენდა ჯარისკაცის გამომეტყველებას.

— რა გქვიათ, ბიჭებო? — დაინტერესდა ჯარისკაცი და ჯერ ერთს, მერე მეორეს დაკვირვებით დააცქერდა.

— მე — პაატა, ამას — ლერი.

— ძმები ხართ?

— კი, ძმები...

უცებ ჯარისკაცი შეტრიალდა და ფარდულში შევიდა. მიმავალი ნელა მიარხევდა უზარმაზარ ტანს, მართლაც რომ უსაშველოდ გრძელ ხელებს: ხელები დაკაპიწებული ჰქონდა და, ალბათ, ამიტომ ჩანდა ასე გრძელი.

— კაკო! — ქუხილივით ვაისმა მისი ხმა ფარდულის სიღრმიდან. — სად დაიკარგე, ბიჭო, გამოიყვანე!

— მომყავს, კაცო, რა გეჩქარება! — დამტვრეული რუსულით შეეპასუხა ფარდულიდან ვიღაცა.

ულვაშებიანი ჯარისკაცი ისევ გარეთ გამოვიდა, მაგრამ ბიჭებს აღარ გამოლაპარაკებია, ფარდულის წინ დაფიქრებული დააბიჯებდა და მხოლოდ ამას ამბობდა წამდაუწუმ:

— მდა-ა...

მალე მეორე ჯარისკაციც გამოჩნდა. მან ფარდულიდან საღარი ცხენი გამოიყვანა და აღვირით იმავე ბოძზე მიაბა.

— ბოგდან, ამას თითქმის მორჩენია ჭრილობა! — აღტაცებას არ მალავდა კაკო. — რა უებარი მალამო ვცოდნია!

ბოგდანმა არ უპასუხა, მხოლოდ გრძელ ულვაშებში კმაყოფილად ჩაიღიმა და ცხენს ბეჭის არეში ღრმა, ხელისგულის სიფართოე ჭრილობას სინჯვა დაუწყო.

— კიდევ სამიოდე დღე უნდა, კაკო, — უთხრა მცირე ჩაფიქრების შემდეგ. მერე კი შეიძლება გზას გავუყენოთ. — მან თვინიერად მდგარ ცხენს განიერ

გავაზე ფრთხილად გადაუსვა ხელი და ჭრილობაზე მალამო წაუსვა. — მოვრჩით? — მიუტრიალდა უცებ კაკოს.

— მოვრჩით, — მოკლედ მიუგო კაკომ და ცხენი ფარდულში შეიყვანა.

ბოგდანმა მალამოიანი ვედრო აიღო, ფარდულში შეიტანა და დირეზე მიჭედებულ ლურსმანზე დაკიდა. სამაგიეროდ მეორე, სუფთა ვედრო გამოიტანა.

— ერთი წყალი მომირბენინე, შენს გაზრდას, — უთხრა პაატას და ვედრო გაუწოდა. პაატამ დაუფიქრებლად ჩამოართვა ვედრო და ეზოს ბოლოსაკენ გაიქცა, საცა ჭა ეგულებოდა.

ბოგდანი ისევ ფარდულის წინ ბოლთისცემას მოჰყვა. ოღონდ ახლა ტუჩებს ოდნავ აცმაცუნებდა და რაღაცას გაუგებრად ჩურჩულებდა.

პაატამ წყალი მოარბენინა.

— აბა, დამისხი, — სთხოვა ბოგდანმა, წელში მოიხარა და ხელები მიუშვირა.

პაატამ წყალი დაუსხა. ჯარისკაცმა ხელები საგულდაგულოდ დაიბანა, მერე მიტრიალდა და იქვე, ფარდულის დირეზე ჩამოკიდებულ ლაქებიან ხელსახოცზე შეიწმინდა.

— თქვენი ძროხაა? — „ჩაკურაზე" მიუთითა უკან გამობრუნებულმა და იქვე ხვნეშით ჩამოჯდა.

— დიახ.

ჯიბიდან ალუმინის სათუთუნე ამოიღო და გაზეთის ქაღალდში წეკო გაახვია.

— რატომ არის ასე გამხდარი? — უმისამართოდ იკითხა ბოგდანმა და სიტყვებს ტყვიისფერი კვამლის მოზრდილი ბოლქვი ამოაყოლა.

— რა ვიცი, — მხარი აიჩეჩა პაატამ და ძროხას თვითონაც ყურადღებით დააცქერდა. მართლაც გაძვალტყავებული ეჩვენა თავისი საყვარელი „ჩაკურა".

„ალბათ, აქამდე იმიტომ ვერ ვამჩნევდი, რომ თვალი მიჩვეული მქონდა", — გაიფიქრა ბიჭმა.

— იწველის? — ისევ იკითხა ბოგდანმა. იგი ახლა ლერის არ აშორებდა თვალს. გულით ეწადა, ამ თითისტოლა ბიჭს ეპასუხა მის კითხვებზე, რატომღაც სწყუროდა მისი ხმის გაგონება.

— დიახ, იწველის.

ბოგდანმა ბიჭს უხმოდ გაუღიმა, ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა და კითხვა მოუნაცვლა:

— სკოლაში დადიხარ?

კი, თავი დაუქნია ლერიმ.

— რომელ კლასში სწავლობ?

— მეხუთეში.

მერე არც ერთს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. ბოგდანი ზედიზედ ექაჩებოდა პაპიროსს, ბიჭები კი იდგნენ და ბოლში გახვეულ ჯარისკაცს უხმოდ უცქეროდნენ.

— ჩვენთან დიდი, ჯიშიანი ძროხები ჰყავთ... სტეპის ძროხები... — ისე თქვა ბოგდანმა, თითქოს იდუმალი ფიქრი გაეგრძელებინოს.

— თქვენ სადაური ხართ, ძია? — შეჰბედა ლერიმ და წამწამები უცნაურად შეახამხამა.

— მე? — რატომღაც შეაკრთო ამ კითხვამ ბოგდანი. — ზუბოვკა ან დიდი სოროჩინცი გაგიგონიათ? — უცნაურად სახეწამოზნებულმა პაპიროსი მოისროლა და ხელი ხეშეშ ულვაშებზე გადაისვა.

— გამიგონია, — დაბეჯითებით მიუგო პაატამ. — ზუბოვკაში ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი ცხოვრობდა, დიდი სოროჩინცი კი გოგოლის სამშობლოა!..

— ყოჩაღ, ბიჭო! — მუხლზე ხელი დაიკრა პასუხით კმაყოფილმა ბოგდანმა. — საიდან იცი?

— მამაჩემისაგან... სკოლაში ლიტერატურას ასწავლიდა... შარშანწინ იმოგზაურა უკრაინაში, მირგოროდშიაც იყო, ზუბოვკაშიც და სოროჩინცშიც...

— ხედავ, როგორ ყოფილა საქმე! — თქვა ბოგდანმა. — ახლა სად არის მამათქვენი? — მიუბრუნდა ისევ ბიჭებს.

— შინაა... — კვლავ ჩაერია საუბარში ლერი. — ფრონტიდან ხელებდასხეპილი დაბრუნდა და გარეთ აღარ გამოდის...

ბოგდანი უხერხულად დადუმდა.

ახლა იგი უძრავად იჯდა და თავის ხელებს ისე დასცქეროდა, თითქოს აქამდე არასოდეს ენახა.

ფარდულიდან კაკო გამოვიდა. ბოგდანთან შედარებით იგი ბავშვი გეგონებოდათ, თუმცა ასაკით მასზე ბევრად უმცროსი არ იქნებოდა.

— დიდ სოროჩინცს იქით ერთი პატარა სოფელია, ობუხოვკა... — თქვა ბოგდანმა და ხმა შეუთრთოლდა. — მე იმ სოფლიდან ვარ...— აშკარად ეტყობოდა, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვის გაგრძელება ვეღარ მოახერხა, ტუჩები აუცახცახდა და წყვილი კურცხალი თვალებიდან ისე სწრაფად მოსწყდა, მათი დამალვაც ვერ მოახერხა.

ბიჭები განცვიფრებული მისჩერებოდნენ ბოგდანს. ცხადია, მიხვდნენ, რომ მას რაღაც უჭირდა, გულში რაღაც ცეცხლი უტრიალებდა, მაგრამ რა იყო ეს, აბა, საიდან უნდა მიხვედრილიყვნენ.

— არ გინდა, ბოგდან! — თავშეკავებულად შეუწყრა კაკო და გვერდით მიუჯდა. — არ გინდა!..

ბოგდანს ხმა აღარ დაუძრავს, წამოხტა და ფარდულში დაფეთებულივით შევარდა.

გაკვირვებული და დაბნეული ბიჭები ადგილიდან არ იძვროდნენ. ისინი უხმოდ შესცქეროდნენ კაკოს, რომელიც გაზეთის ქაღალდში წეკოს ზანტად ახვევდა.

პაპიროსი რომ შეახვია და გააბოლა, ბიჭებს ისე ახედა, თითქოს ახლაღა გაახსენდა, რომ იქ იდგნენ.

— გაზეთში წავიკითხა, რომ მაგის სოფელში... — კაკომ სოფლის სახელწოდება ვერ მოიგონა.

— ობუხოვკაში... — გაახსენა პაატამ.

— ჰო, ობუხოვკაში გერმანელებს ერთ დღეს სამასამდე კაცი დაუხოცავთ... სულ მოხუცები, ქალები და ბავშვები... სხვა ვილა იქნებოდა ახლა სოფელში დარჩენილი?..

პაატას ყურებში უცებ რაღაც უცნაური გუგუნი ჩაესმა. თითქოს ეს-ეს არის სოფლის გასაღევარზე გერმანელები გამოჩენილიყვნენ და უბრალო მოსახლეობისთვის სროლა აეტეხოთ.

ბიჭმა თვალები დახუჭა და კბილები ერთმანეთს დააჭირა.

— მერე? — ძლივს მოითქვა სული პაატამ.

— ცოლი და ორი ბავშვი ჰყავდა სოფელში დატოვებული... — თქვა კაკომ და ამოიოხრა. — უფროსი ბიჭი ამ შენი ძმის კბილა ჰყოლია...

ახლა, პაატას გულზე საოცარი სევდა შემოაწვა. საშინლად ინანა, რომ აქ მოვიდა. აქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა, უხმოდ და, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა წასულიყო აქედან, თორემ...

პაატა გატრიალდა და ძროხისკენ თითქმის სირბილით გაემართა.

ლერი წუთით დააბნია ძმის უცნაურმა საქციელმა, მაგრამ მალე თვითონაც მოეგო გონს და ის იყო, უკან უნდა გამოდგომოდა, რომ ბოგდანი ისევ გამოვიდა ფარდულიდან.

ახლა დამშვიდებული ჩანდა, სახეზე ჩვეულებრივი კეთილი ღიმილი აუხვეწდოდა, თუმცა სევდის აშკარა ნაკვალევი მაინც აჩნდა.

ხელში გატენილი თოფრაკი ეჭირა.

— წაიღე, ბიჭიკო! — უთხრა და თოფრაკი გაუწოდა. — გამომართვი.

— რა არის ეს? — უცებ ბიჭმა ხელები უნებარიშოდ დამალა ზურგსუკან.

— კარტოფილია, კარტოფილი, — უმალ მიუგო ბოგდანმა. — დაალპეთ და ბრონხას აჭამეთ, წველასაც მოუმატებს და თვითონაც შეპატივდება... რომ გაგითავდეთ, ისევ მოდი და გაგატან, ოღონდ თოფრაკი არ დამიკარგო...

ბოგდანმა თითქმის ძალისძალად შეაჩეჩა თოფრაკი და ფარდულში აუჩქარებელი ნაბიჯებით შევიდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**იაკინთე ლისაშვილი**

# მეგობრის ღიმილი

## რომანი

### თავი პირველი

### I

მიიწურა გაზაფხულის დღეები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს გამოცდებზე გაებათ ბაასი; კარებში ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ და ხმაურით აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

ეზოში ერთი ამ ჯგუფთაგანი ილიას, აკაკის და ვაჟას ძეგლების პირდაპირ შედგა.

მაღალმა, ოდნავ გამხდარმა ვაჟმა უკან გადავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა, — ამხანაგებს გასძახა:

— მაშ, შვიდ საათზე ყველანი—დარეჯანთან!

— დაგვიანებულს კარი დაკეტილი დახვდება! — დაუმატა სახემომრგვალებულმა ქალიშვილმა და ცისფერი თვალები აუციმციმდა, ყველა ღიმილით შეათვალიერა, ჯეირანივით თავი მაღლა ასწია.

— დარეჯანი სწორია! ქალმერთთან მისვლაზე ვინ იტყვის უარს! — წამოიძახა წელწერწეტა ვაჟმა და მის მოუსვენარ, წაბლისფერ თვალებში ღიმილის ნაპერწკლებმა გაკვესეს.

— ხუტაც მართალია! — დაუდასტურა ჰროლათვალებიანმა, საშუალოზე მაღალმა ვაჟმა და მის გვერდით მდგარ მეგობარს მკლავში ხელი გამოსდო:

— წავიდეთ, დავით!

მხოლოდ ერთი, ტანჩამკვრივებული ვაჟი ხმას არ იღებდა. იდგა და დარეჯანს თვალშეპარვით უთვალთვალებდა. მისი გამომეტყველება თითქოს ყველაფრისადმი გულგრილობას გამოხატავდა და დიდ ყურადღებას არც იმას აქცევდა, რასაც ახლა მისი მეგობრები ამბობდნენ.

— შენ რატომ დუმხარ, გიორგი? განა არ მოხვალ? — ჰკითხა პირველმა და მხარზე ხელი დაადო.

— როგორ არა, მოვალ, — შემკრთალი ხმით უპასუხა გიორგიმ.

— ჰო, კარგი! წავიდეთ!

ქუჩაში გავიდნენ და გზა ფეხით განაგრძეს. დანარჩენები ავტობუს-ტროლეიბუსებს მიაწყდნენ. ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით მიმოიფანტნენ.

— ერთმანეთს მალე დავშორდებით, გიორგი, თუმცა გულით რა დაგვაშორებს...

— რა დაგვაშორებს... მეგობრები ბევრი გვყავს. ჩვენ კი...

— ერთმანეთს ომში რომ არ შევხვედროდით, დაშორების სინანულს არც კი ვიგრძნობდით, სამაგიეროდ იმ განძს ვერასოდეს შევიძენდით, რომელსაც ასეთი მეგობრობა გვანიჭებს.

— ვისი გულიც ცარიელია, ვერც მიხვდება, რაა სინანული ან სიხარული. ასეთები ყველაფერს გულგრილად გვერდით ჩაუვლიან და ისე ჩავლენ მიწაში, ვერ გაიგებენ, როგორია ნამდვილი სიცოცხლე.

— გახსოვს, გიორგი, ჩემს გადასარჩენად თავი რომ დასდე. ჩემთან მოსვლას ვერავინ

იბეჭდება წარმოდგენილი სახით.

ბედავდა, შესაძლოა, თვითონაც დაღუპულიყო, მაგრამ შენ გაბედე...

— ზოგჯერ გრძნობა გონებას უსწრებს და მაინც იმარჯვებს, ასე მოგვივიდა, — შენ ორჯერ გადამარჩინე და რაღ გავიწყდება. აა, გეღიმება? შენ მუდამ ასეთი გულმართალი ღიმილი იცოდი, არჩილ, — უთხრა გიორგიმ.

რუსთაველის ძეგლთან შეჩერდნენ.

მათ თვალში რუსთაველის სახე მიუწვდომელ სიმაღლეზე მოჩანდა.

დუმდნენ. თითქოს თვით მარად ცოცხალ რუსთაველთან გაებათ ბევრის მთქმელი, იდუმალი ბაასი. მეთორმეტე საუკუნეში უქრობ კოცონივით ანთებული სიტყვა რუსთაველისა, ახლაც უმწვერვალესად ამაღლებული გრძნობებისა და სიბრძნის ღაღადისად ესმოდათ.

გზაც უხმოდ განაგრძეს.

— უკვდავი მოკვდავებსაც გვამაღლებს სულით და ხორცით; უამისოდ შესაძლოა თვით საქართველო ჟამთა სიავეში აღგვილიყო მიწის პირიდან, — თითქოს ქველა თავის ფიქრს უპასუხა არჩილმა.

— ტარიელი და ავთანდილი... — თავისავე ფიქრებს გამოეხმაურა გიორგი.

რუსთაველის გამზირზე ტანაყრილი ჭადრები ნელა ირხეოდნენ, იშმუშნებოდნენ, შრიალებდნენ. იმ შრიალში ჭადრები თითქოს თვითონ დროს მიაცილებდნენ უჩინარს, უხმოს, უსხეულოს, უენოს, თუმცა ყველაფერზე მაღლა მდგომს, უმაღლეს კანონმდებელს, ყველაფრის შემქმნელს და თავისივე შექმნილის მომსპობს, რომ ყველაფერი ხელახლა აღმოაცენოს და ასე დაუსრულებლად.

— აღარ გემშვიდობები, საღამოს დარეჯანთან შევხვდებით.

— დარეჯანთან, — ძლივს გასაგონად უთხრა გიორგიმ.

საოპერო თეატრის წინ, მოსახვევში დაშორდნენ ერთმანეთს.

„დარეჯანი, — გაიმეორა შინ მიმავალმა გიორგიმ და სვლა შეანელა, — მალე წავალთ აქედან. გავიფანტებით. თბილისში მარტო დარეჯანი დარჩება. მარტო?“ — შეეკითხა თავისთავს, — როცა მოვდიოდი, გული კახეთში მრჩებოდა, ახლა მივდივარ და თბილისში მრჩება“ — ამგვარი ფიქრი არ ეშვებოდა, რადგან გრძნობდა განშორების მოახლოებას.

გზაში არჩილიც ფიქრებს წაეღო, თუმცა უფრო თამამსა და საიმედოს. დარეჯანის სახე თვალწინ ედგა, მიაცილებდა. დარეჯანი ხან შორს მოჩანდა, ხან ახლოვდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალის სათნო ღიმილი თითქოს ეძახდა, იზიდავდა, აჯადოებდა: „აქ რჩება, მაგრამ ვინ იცის, იქნებ არც დარჩეს, იქნებ...“ და აქ ფიქრი შეუწყდა. მერე გიორგის ხმადაბლა თქმული; — „დარეჯანთან“, თითქოს შემოესმა, შეჩერდა. „არა მგონია“ — დაასკვნა და ფეხს აუჩქარა.

ბახმაროს მთასა და შავი ზღვის შუა თაიგულივით აბიბინებული გურიის სოფლებს თითქოს აქედანაც ხედავდა; ჩაიღიღინა: „გურიაში მიველ, მარა...“ — რაღაც გრძნობა უკარნახებდა, გურიაში მარტო არ წავალო. დედაქალაქში განა მარტო ცოდნა შეიძინა? სიცოცხლის თანამგზავრიც გულში შუქივით ჩაესახა, — ამითაც გამდიდრდა. უფრო შინაარსიანი გახდა მისი ცხოვრება...

შინ მალე მივიდა. სუფრა გაშლილი დაუხვდა და სადილობას შეუდგნენ.

— შვილო, არჩილ, სოფელში შენი გამგზავრების დრო რაც ახლოვდება, მით უფრო ვღელავთ და გული გვწყდება; შეგეჩვიეთ, შვილივით შეგითვისეთ მე და ლევანმა.

— მალე გინახულებთ, ტასო ბიცოლა. განა შორს ვიქნებით? ზაფხულობით თქვენც ჩვენთან ჩამოხვალთ...

— ჩამოვალთ, შვილო, მაგრამ... — ტასოს სიტყვა გაუწყდა.

— შე ქალო, თითქოს ქვეყნის დასასრულს მიემგზავრებაო არჩილი, — უთხრა ლევანმა. ხმაში დაეტყო, რომ ისიც ღელავდა. ხელში ლუკმაც გაუშეშდა და ამ მდგომარეობაში კარგა ხანს დარჩა.

ტასომ კერძი გამოიტანა და უხმოდ დაჯდა. გვერდით, მაღალ სკამზე წამოსკუპებულ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, აკოცა:

— ჰამე, შვილო, ჩვენო ნაბოლარა! სანამ შენი ძამიკო ჯარიდან დაგვიბრუნდება, მე და მამაშენს მარტო შენ გვრჩები... ლევან, იქნებ არჩილი სამუშაოზე აქ, ცენტრში მოვაწყოთ.

— იცი, ტასო, ვინც სად იბადება, დედამიწის ცენტრიც მისთვის იქაა.

— დედიკო, არჩილი სოფელში მიდის? — ჰკითხა თოჯინასავით სკამზე დასკუპულმა გოგონამ.

— ჰო, მიდის, შვილო.

— არსად გავუშვებ! მე მაგას ვუჩვენებ! — დაემუქრა გოგონა.

არჩილმა გაუღიმა. მერე ყრუდ თქვა:

— ბიძია ლევანი მართალია; გული სოფლისაკენ მიმიწევს. მერე კი ვნახოთ... ციცო ნებას არ მრთავს, მაგრამ მოვრიგდებით, იმედი მაქვს!

სადილის შემდეგ ტახტზე წამოწოლილი არჩილის სასთუმალთან ციცო დაბალ სკამზე ჩამომჯდარიყო, ეტიტინებოდა და პაწაწინა მუშტით ემუქრებოდა:

— აი, ამით ცხვირს მოგტეხ, იცოდე და მერე წადი სოფელში!

— ჰო, კარგი, ციცო; ვიცი, ჭკვიანი გოგონა ხარ და არ გამაჩერებ. მერე შენც ჩამოხვალ სოფელში და ზღვას გიჩვენებ.

— ზღვას! ვიცი, მინახავს ზღვა! ზღვა აქაც არის! ვერ მომატყუებ, იცოდე!

— ჰო, კარგი. მერე კიდევ მოვითათბიროთ და გადავწყვიტოთ, — უთხრა არჩილმა და თვალი მოხუჭა.

სალამოს, შვიდი საათი რომ სრულდებოდა, დარეჯანი სარკმელთან იდგა. ხალხი შემეჩხერებულიყო ქუჩაში და მანქანებიც იშვიათად თუ არღვევდა სიჩუმეს. მისი ამხანაგებიდან ჯერ არვინ ჩანდა, თუმცა ერთ მათგანს გონების თვალით მაინც ხედავდა. ქუჩაში აქეთ-იქიდან გარაზმული ხეები ამოდ შლიდნენ ხელებს, თუმცა არ ამხელდნენ, რაც ახარებდათ. დარეჯანი კი ახლა მეტს გრძნობდა და მეტს ხედავდა ვიდრე ოდესმე. ხეები იდგნენ; დარეჯანი მთელს დედამიწაზე, როგორც რუკაზე, ხედავდა ძალზე შორს მიმავალ გზებს, რომლებზედაც მარტო იმ ერთის თანხლებით მიდიოდა და უნდოდა ევლო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. საბოლოოდ არ იყო დარწმუნებული, აღსრულდებოდა თუ არა მისი ეს სანუკვარი ოცნება და ამ მხრივ ოდნავი დაეჭვებაც გულს უკაწრავდა, მაგრამ მაინც იმედს არ კარგავდა. „ყველა კარგია; პირველად გიორგი და არჩილი ერთნაირად მომწონდა, მერე უფრო არჩილს შევეჩვიე და შემიყვარდა. საკუთარი ავკარგი ყველას გააჩნია. ის მაინც სულ სხვაა ჩემთვის. ალბათ მარტო ჩემთვის მოჩანს ასეთი, მე ასე ვგრძნობ, ასე განვიცდი. მთელს სიცოცხლეში ასე მინდა ვიფიქრო“.

ქუჩაში ერთი იმათგანი შენიშნა, ვისაც ელოდა.

— ჰიჰიკო, ჰიჰიკო! — გადასძახა.

— მოვდივარ, დარეჯან! — მოაძახა და ჰროლა თვალებით მოაჩერდა ღია სარკმელში თავგადმოყოფილ დარეჯანს. სადარბაზოში სირბილით შემოიჭრა და კიბე სულმოუთქმელად აირბინა.

მეორე სართულზე კარი ღია დაუხვდა, — დარეჯანი შემოეგება:

— სხვები სადღა არიან, ჰიჰიკო?

— მოვლენ, მაგრამ პირველი კაცი პირველად მოდის!

— ვინც უფრო მსუბუქად დადის.

— როგორ, დარეჯან, სიმსუბუქის ბრალია, ვითომ? — გადაიხარხარა ჰიჰიკომ.

სანამ დარეჯანი კარს მიკეტავდა, კიბეზე ხუტას ხმაც გაიგონა:

— არ გაბედოთ, კარი არ დაუკეტოთ ოდიშის სიამაყეს და ჰკუის კოლოფს, ხუტა ხურციას!

— კოლოფით მარმელადი რომ მოგეტანათ, ის აჯობებდა, — შეესიტყვა ჰიჰიკო.

— შე კაცო, მარმელადი რომ წამომეღო, აქ მოსვლამდე ათჯერ შევჭამდი. ეს ხომ ასეა, მარა, იმერეთის ხრიოკებში კუდამწვარი სტუდენტი ოყა ჰადის ფქვილსაც არ დამიწუნებდი!

— პაექრობთ, არა? — მოისმა უკვე ოთახში შემოსული არჩილის ხმა.

— არჩილ! — წამოიძახა დარეჯანმა. თვალები გაუნათლდა, მიეგება, — აი, ჯერ ოთახში შემოსვლა არც მოუსწრიათ და ძერებივით ეცნენ ერთმანეთს!

— თუ ასეა, ახლა მეც მომწვდებიან, თუმცა აგერ გიორგიც მოვიდა და მარტო არ ვიქნები.

— გიორგიც... — რაღაც მოკრძალებით თქვა დარეჯანმა.

— განა საქმე აგრეა?! — ჩაილაპარაკა გიორგიმ და კუთხეში დაჯდა.

მალე დავითმაც მძიმედ შემოდგა ფეხი კარებში:

— ბოლო ვყოფილვარ! — სარკმელთან მიდგა და იქვე სკამზე დაეშვა, დაუმატა: — ქართული ლიტერატურა უძველეს დროიდან დღევანდლამდე გრძელი ამბავია და განმეორებასაც საკმაო დრო ჰირდება, დავიწყოთ.

— დავიწყოთ!

მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ.

დარეჯანმა თმა გაისწორა.

— დაიწყე, დარეჯან! — მიაძახეს და სმენად იქცნენ.

დარეჯანი ნელა ლაპარაკობდა. მისი დაწმენდილი, კრიალა ხმა ყველას გულში ებეჭდებოდა.

„წყარო რაკრაკებს“ — იფიქრა გიორგიმ.

„დარეჯანი თვით შემოქმედებაა, ჯადოსნური ხელით გამოქანდაკებული და ქალის სახით გაცოცხლებული“ — ფიქრობდა არჩილი.

„ნეტავი დარეჯანი არასოდეს დაიღლებოდეს და მუდამ ასე რაკრაკებდეს“ — ფიქრობდა ჰიჰიკო.

„ასეთი ქალი რომ კაცმა შეიყვაროს, განა დიდი ცოდვა იქნება?“ — ეკითხებოდა ხუტა თავისთავს.

„დარეჯანი ქართლის გულში ამოსული ყვავილია“ — ფიქრობდა დავითი.

— შეგვენაცვლები, დარეჯან, — კარგახნის შემდეგ უთხრა არჩილმა.

— დარეჯანმა განაგრძოს! — დაიძახა ჰიჰიკომ.

— შე კაცო, დარეჯანი მექანიზმი როდია! — უთხრა დავითმა.

არჩილი ჰყვებოდა.

ახლა გასუსული დარეჯანი ფიქრობდა:

„ჰიჰიკოს ჩემი ხმა მოსწონს, მე კი — არჩილისა“.

მერე არჩილს დავითი შეეცვალა.

სულ ბოლოს დარეჯანის სუსტი, ქალური სინაზით დამტკბარი ხმა ისევ გაისმა.

მალე მეორე ოთახის კარი ოდნავ გაიღო და თმაშეჭაღარავებული ქალის თეთრი სახე გამოჩნდა.

ყველა მიხვდა, ეს მეცადინეობის დამთავრების ნიშანიაო.

შუქიც აინთო და წამოიშალნენ.

— ღმერთმა აგაშენოს! — დაიძახა ჭიჭიკომ.

— დეიდა ეკატერინე, კაი ქალიშვილი კი გამოგიზრდიათ, მარა ისე კითხულობს, ზოგჯერ რუსთაველის ნესტან-დარეჯანი და თქვენი დარეჯანი ერთმანეთში გვერევა, — უთხრა ხუტამ და თვალები ეშმაკურად მოწკურა.

— იცოცხლეთ შვილებო, ეს ერთი ქალ-ვაჟი გვყავს და ამით ვცოცხლობთ ბებერი მშობლები.

— დარეჯანი ერთია, მაგრამ ათასს ჯობს, დეიდა, — ისევ ჩაერია ჭიჭიკო.

— დედი, ამ საღამოს ჭიჭიკო ძალიან მაქებს, მაგრამ გულში ალბათ მაგინებს ცუდი კითხვისათვის.

— როგორ გეკადრება, რას ამბობ, დარეჯან!

— გინება კი არა, კაცი თუ სიმართლეს იტყვის, აქ ყველა დარეჯანის ეშხმა შეგვყარა! — დაუმატა ხუტამ.

ყველას გაეცინა, მხოლოდ გიორგის ბაგეზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი გაჩნდა.

— ჭიჭიკო და ხუტა უფრო ახალგაზრდები არიან, დედი; უნივერსიტეტში პირდაპირ კერიიდან მოვიდნენ და ცელქობენ. დანარჩენებს კი ომის სიმძიმე მოჰყვა, — უთხრა დარეჯანმა; თანაც ერთად მდგარ არჩილს, გიორგისა და დავითს თვალი მიაპყრო.

— უნივერსიტეტს რომ დაამთავრებთ, ერთმანეთს ნუ დაშორდებით შვილებო; ნუ დაივიწყებთ ერთმანეთს.

— სწორია, დედი! თუ ერთად ვიქნებით, არ დავიჩაგრებით, — უპასუხა დავითმა.

— ჩვენ საქართველოს ყველა კუთხიდან ვართ და აქვე დავთქვათ: სადაც ვიქნებით, იქ ვინახულებთ ერთმანეთს და ჩვენს ავკარგს ურთიერთს გავუზიარებთ, — დაუმატა არჩილმა.

— კარგია!

— სწორია!

— შევთანხმდეთ, ბიჭებო!

— მხოლოდ ერთი პირობით, — დაიძახა ხუტამ, — თბილისში დარჩენილი დარეჯანიც ჩვენთან იქნება.

დარეჯანმა გაიღიმა და ნიშნად თანხმობისა თავი დახარა:

— უსიკვდილოდ, მეც თქვენთან ვიქნები.

„თბილისში დარჩენილიო? რომ აღარ დარჩეს?“... იფიქრა არჩილმა.

„ნულარ მომაგონებთ ბიჭებო“ გაიფიქრა გიორგიმ.

დარეჯანის ბინა ხმაურით დატოვეს.

კარებში სულ ბოლოს გამოსულ არჩილს დარეჯანმა გამოაცილა.

— არჩილ!

— რა იყო, დარეჯან?

— იქნებ ხვალ კინოში წავიდეთ; კარგი სურათია. ლალიც იქნება.

— კარგი. საღამოს მეცადინეობის შემდეგ წავიდეთ.

— ბოლო სეანსზე.

— ნახვამდის, დარეჯან!

— ნახვამდის, არჩილ, — ხმა შეუსუსტდა დარეჯანს.

არჩილი წავიდა. დარეჯანი ახლა არჩილის ფეხის ხმას უსმენდა. როცა მიწყდა, კარი ფრთხილად მიხურა, ძალიან ფრთხილად, თითქოს ეშინოდა სამუდამოდ არ დაიკეტოსო. გამობრუნდა.

ოთახში სახემომღიმარი დედა შემოეგება.

— შვილო, კარგი მეგობრები გყავს და მიხარია.

— შენ რომელი უფრო მოგწონს, დედიკო?

— არ ვიცი, შვილო; ყველა კარგია. ყველა ჩვენია.

დედა გავიდა.

დარეჯანი სარკმელთან მიდგა: განათებული ქუჩა ხმაურობდა. ხალხი ირეოდა. მისი მეგობრები იქ აღარ ჩანდნენ. მაინც მათთან იყო. ყველას ხედავდა, მაგრამ უფრო ისევ იმ ერთს.

სარკმელთან სკამზე დაეშვა და ახლა ცას მიაპყრო ცისფერი თვალები.

## II

მეორე დღეს მეცადინეობა რომ დაამთავრეს, დარეჯანთან მხოლოდ არჩილი დარჩა.

მალე სუსტი აგებულების შავთვალწარბა ქალიშვილი მოვიდა.

— აი, ლალიკ! კარგია, დროზე მოხველი! — უთხრა დარეჯანმა.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა ლალი. მერე მაყვალივით შავი თვალების ციმციმით არჩილს ხელი ისე გაუწოდა, სახეში არ შეუხედავს.

არჩილმა იგრძნო, როგორ გაიტკაცუნეს მის მაგარ ხელში ლალის პატარა ხელის თითებმა:

„ლალის ხელიც სუსტი ჰქონია,“ — იფიქრა და სკამი მიაწოდა:

— დაბრძანდით!

— არა ღირს. დროცაა, ბარემ წავიდეთ!

— წავიდეთ, ლალი... დედი, მივდივართ!

ლალი წინ გავიდა; მსუბუქად მოტრიალდა და გარეთ კართან შეჩერდა.

დარეჯანმა მკლავში ხელი გამოსდო და ქვის კიბეზე შეწყობილი ნაბიჯით დაეშვნენ.

არჩილიც მიჰყვა.

— ლალი, ჩვენმა სტუდენტებმა ფეხად გაგასწრეს; რომელი მოგწონს? — ჰკითხა დარეჯანმა.

— არავინ.

— როგორ, განა ასგრე ცუდნი არიან?

— ქველა კარგია, მაგრამ...

— თუ კარგებია...

— ისე, თავისთავად. მაგრამ მე რა, — განსაკუთრებით რატომ უნდა მომწონდეს.

— სხვა გუვარებია და არავის უმხელ.

— არა, არა მგონია. — ჩაიჩურჩულა.

— აა, შე ეშმაკო, მაშ არა ვცდები.

— ცდები, დარეჯან, მე რომ მიყვარდეს, ჩემისთანას ვინ შეიყვარებს.

— თავს რატომ იმცირებ, მშვენიერი გოგონა ხარ... მათემატიკურს დაამთავრებ და გზა ხსნილი გექნება. საითკენაც ინებებ, იქით გაფრინდები.

— ჩემზე როდია. ქალაქში არ დამტოვებენ. არც მინდა დავრჩე, სადმე სოფელში მივიმალები.

— მაინც საით აპირებ?... იქნებ არჩილმა მოგაწყოს, სადაც თვითონ იქნება.

— რა ვიცი...

— მართლაც, შესაძლოა მოხერხდეს. თქვენ ხომ დარეჯანის განუყრელი მეგობარი ხართ და თუ ის გირჩევს...

— ვარ და მინდა ბოლომდე დავრჩე, მაგრამ...

— ჰო, ჩემო ლალი, არჩილი თუ იტყვის, უკან არ დაიხევს. უკან ფრონტზედაც არ დაუხევიაო, აგრე თქვა გიორგიმ.

— გიორგიმ?... კარგი კაცია; ტყუილს არ იტყოდა.

— მშვენიერი ახალგაზრდაა. დინჯი, გულკეთილი. მართალი.

— ცეცხლიდან გიორგიმ გამომიყვანა, როცა სანგარში უგრძნობლად ვეგდე. — ჩაერია არჩილი, მერე იფიქრა: „მეც უქმად არა ვყოფილვარ, მაგრამ გიორგისათვის რაც მეტი გამიკეთებია, მით უფრო მიყვარს“.

— აი, კაცობა; ვაჟკაცი ყოფილა! — დაუმატა ლალიმ.

— მე ყველაფერი ვიცი, თუ რა მომხდარა — თქვა დარეჯანმა.

— რა იცი, დარეჯან? — ჰკითხა არჩილმა.

— ერთხელ გიორგი ამხანაგებს უყვებოდა და მეც იქ ვიყავი.

— თქვი, რა, დარეჯან! — სთხოვა ლალიმაც და ხელი მკლავში ჩაავლო, შავად აკიაფებული თვალებით ჩააჩერდა სახეში.

— რაც მთავარია, არჩილმა თქვა, თუმცა თავისთავზე არაფერს ამბობს. შენ კი, ლალი, მერე გეტყვი ყველაფერს, როგორ გაჯიუტეწაში არ დამარხეს... მეც მიქელ-გაბრიელი ბულა არჩილი, სანამ მტრის ყუმბარებმა მიორჯერ გამომეცხადა, მაგრამ ორივეჯერ ჩემი თავი ხელიდან გამოსტაცა არჩილმაო, — დაუმატა ბოლოს გიორგიმ.

— კარგი, დარეჯან, ამაზე შემდეგშიაც რომ არაფერს მომაგონებდე, მადლობას გეტყვი; ომში ომისათვის მიდიან, ეს ქველას ერთნაირად ეხება და აქ გასაკვირი არაფერია.

— ზოგიერთს თავისი სილაჩრე არცხვენს, ზოგს კი თავის საგმირო საქმეების გამხელა. კარგი, აგრე იყოს, მე გავჩუმდები, — თქვა დარეჯანმა, და მომნუსხველი ღიმილით არჩილს გადახედა.

— თუ აგრეა, ნუღარ შევაწუხებთ დარეჯან, არჩილს, — სთხოვა ლალიმ და დარეჯანის მკლავს ლოყით მიეყრდნო.

გაიარეს ქუჩა. რუსთაველის სახელობის კინოთეატრში შევიდნენ.

ლალი დარეჯანის თბილ მარჯვენას არ ეშვებოდა, ეხუტებოდა, მისთვისაც შეუცნობელ სიხარულს გული ვერ იტევდა:

— ჩემო დარეჯან, ჩემო დაიკო! — ჩურჩულებდა.

ომის თემაზე შექმნილ კინოსურათში დარეჯანი თავისდა უნებლიედ არჩილსა და გიორგის ეძებდა, ყოველი მებრძოლის გმირობას ადარებდა და უფარდებდა იმას, რაც არჩილსა და გიორგიზე უამბეს. გულით უნდოდა ისიც ენახა, მძიმედ დაჭრილი არჩილი და გიორგი როგორ მიეშველნენ ერთმანეთს. თანაც, რაც ეკრანზე ვერ იპოვა, თვითონ უმატებდა, რომ არჩილისა და გიორგის გმირობის სურათი დაესრულებინა.

ლალი ამაზრზენ სცენებს თვალს არიდებდა და აოცებდა, თუ იმ ჯოჯოხეთს როგორ გადაურჩა არჩილი. ამიტომ ხშირად სახეში აცქერდებოდა, რომ ამოეკითხა, როგორ მოქმედებდა მასზე ეკრანზე განმეორებული ომის სურათი. არჩილის სახეზე ვერაფერს განსაკუთრებულს ის ვერ ამჩნევდა.

არჩილი ისე გამოიყურებოდა, თითქოს რასაც ახლა ეკრანზე ხედავდა, ათასჯერ ჰქონდა ნანახი, განცდილი და არავითარ შეშფოთებასა თუ გაოცებას მასში არ იწვევდა.

„ცეცხლშია გამომწვარი და რა გააოცებს“ — დაასკვნა ლალიმ.

ომის მკაცრი სურათით ფეხამძიმებული ხალხი კინოთეატრის კარებში ხმაგაკმენდილი გამოდიოდა.

ქუჩაში გამოსულმა დარეჯანმა თავისუფლად ამოისუნთქა და წამოიძახა.

— გადავრჩით!

— ძლივს. — უთხრა არჩილმა.

— განა ყველა დაბრუნდით...

— შვიდი ერთად წავედით, სამი დავბრუნდით.

— უბედურები; ველარასოდეს ნახავენ მშობლიურ მიწას.

— მათი სახეები არა მშორდება: ზოგჯერ ჩხვას ვუცქერი და იმათ ვხედავ. სიზმარშიც ვხედავ. რა ვაჟკაცები ჩაიწვნენ ცეცხლში? — ნაღვლიანად აღმოხდა არჩილს.

ლალი შინ მიაცილეს და გამობრუნდნენ.

სახლის შესასვლელთან მდგარი ლალი იძახდა:

— არ დამივიწყოთ!

ლალის ჩამოშორებამ თითქოს სათქმელი წაართვაო, არჩილი და დარეჯანი უხმოდ მიდიოდნენ უკვე დამშვიდებულ ქუჩაში.

ორივე გრძნობდა, ახლა, ამ სიმარტოვეში რაღაც, მეტად მნიშვნელოვანი რამ უნდა თქმულიყო, შესაძლოა ისეთი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმათთვის. ამის თქმა კი ადვილი როდი იყო და ამიტომ დუმდნენ.

დაცარიელებულ ქუჩაში იშვიათად ისმოდა დაგვიანებული მგზავრების ფეხის ხმა თუ ბაასი. ქალაქი თვლემდა და ეტყობოდა მალე მიიძინებდა. ამას აშრიალებული ხეებიც ამბობდნენ თითქოს, მაგრამ ფიქრებში წასულ არჩილსა და დარეჯანს ეს აღარ ესმოდათ. ისინი შორს იცქირებოდნენ, უფრო შორს ხედავდნენ იმას, რისი ხილვა, განცდა მათ ერთნაირად ახარებდა, ატკბობდა, თუმცა ურთიერთის გრძნობაზე ბევრი არაფერი იცოდნენ. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ამ მშვენიერ ქვეყანაში მათი მომავლის გზები ვარდ-ყვავილებით იყო მოფენილი, დახატული, ამოქარგული და ამ ვარდ-ყვავილების გამაბრუებელი სურნელებით გაჟღენთილი ჰაერით სუნთქავდნენ.

„ამაზე სანეტარო რაღა იქნება? განა მომავალში უფრო ბედნიერი ვიქნები? უკეთესი რა უნდა იყოს?“ — ეკითხებოდა დარეჯანი თავისთავს. ვერ წარმოედგინა, უფრო დიდი ბედნიერება თუ იყო შესაძლო, თუნდაც ათასი წელი რომ ეცხოვრა. იქნებ ეს იმით აიხსნებოდა, რომ საამოა მარტო მიზნის მიღწევა კი არა, თვითონ მიზნისაკენ მიმავალი გზით სიარულიც.

„მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე დარეჯანი განუყრელი თანამგზავრი იქნებოდა თუ კი...“ — იმეორებდა არჩილი და რატომღაც აქ აზრი უწყდებოდა, წამით ჩერდებოდა, გული ძალუმად უცემდა. მერე ფეხს რომ გადადგამდა, ფრონტზე დაშავებული თავის ტკივილი გულში უფრო მწვავედ ურტყამდა. „არა მგონია, არ დავიჯერებ“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

არჩილმა დარეჯანი შინ მიაცილა და გამომშვიდობებისას თვალი გაუსწორა.

— დარეჯან.

— რა იყო, არჩილ? — ძლივს ხმა ამოიღო დარეჯანმა.

— მალე შევხვდებით, რაღაც მქონდა სათქმელი.

— ჰო, კარგი, არჩილ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი აღარაფერი უთქვამთ.

არჩილი წავიდა.

სახლის შესასვლელთან მდგარმა დარეჯანმა ქუჩაში მიმავალ არჩილს თვალი გააყოლა, გული აჩქარებით უცემდა.

არჩილი უკან მოუხედავად მიაბიჯებდა. ცოტაც და თვალს მიეფარა.

დარეჯანმა თავზე ხელი გადაისვა. სახლის შესასვლელში გულათრთოლებით შევიდა. კიბეზე რომ ადიოდა, ეგონა უხილავი ტალღები მიმაცურებსო და იწევდა, ადიოდა სადღაც დიდ სიმაღლეზე. აი, მიაღწია, შეჩერდა. მიმოიხედა, აქ სად მოსულა? მალე გონს მოვიდა. მიხვდა, სად იყო. კარი გაალო. ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. შინ ქველას ეძინა. მაგიდაზე დედის ხელით მისთვის დალაგებულ საჭმელს დააცქერდა, მაგრამ აღარაფერს ხელი არ მოჰკიდა. ღია სარკმელში ქუჩას გადახედა. ქუჩაც ის აღარ იყო, რაც ოდეს ენახა. ახალი იყო, სუფთა, უკაცრიელი. თითქოს ახლად გაყვანილი, რომელზედაც პირველად, შესაძლოა, არჩილთან ერთად გაივლიდა და გახსნიდა სადღაც, უცნობ წალკოტისაკენ მიმავალ გზას.

„მე ვიცი, ვიცი, რა უნდა მითხრას. ყველაფერს ვგრძნობ, ყველაფერს ვხედავ. არა მგონია, ვცდებოდე. ახლა კი, ღმერთო, რა მემართება რა დამამშვიდებს!“

ვახშამი დაავიწყდა. ლოგინში ჩაწვა. დაუსრულებელ ოცნებას გაჰყვა. არა თუ ეძინებოდა, ძილისათვის არც კი ეცალა. რამდენი რამ უნდა წარმოედგინა, განეჭვრიტა, შეეგრძნო, მოეხილა. სად რამდენი გზა უნდა გაევლო, რამდენი ცა უნდა გადაეცურა და ძილით როგორ დააკუჩოს ეს მშვენიერი ოცნება? განა კიდევ, ოდესმე, ამას ეღირსება? რაც არ უნდა მოხდეს, ვერ ეღირსება. ამ ღამეს თავისი უცვლელი ადგილი აქვს მის ცხოვრებაში, არც განმეორდება და აგრე უბრალოდ ხელიდან ვერ გაუშვებს, ვერ შეელევა, სანამ ბოლომდე, მთელის არსებით არ შეიტკბობს მას.

„ჯოჯოხეთური ცეცხლიც იმიტომ გამოიარა, ჩემთან მოსულიყო, ჩემთვის შეენახა სიცოცხლე?“ ეკითხებოდა თავისთავს. ისე წარმოედგინა, არჩილმა ცხოვრების მთელი საძნელო გზა იმიტომ გამოიარა, რომ დარეჯანისათვის მოეტანა გულის მთელი საუნჯე. „მაგრამ ალბათ მეც არჩილისათვის ვარ გაჩენილი“. გულზე ხელები დაიკრიფა. ახლა უფრო შორს გაჰქვა ოცნებას...

მერე არჩილის ცხოვრებიდან ზოგი რამ ისეთი წარმოიდგინა, რაც მან უკვე იცოდა: უნივერსიტეტიდან გამოდიოდნენ. კარებში თმახუჭუჭა სტუდენტი შეეჩეხათ. სტუდენტმა არჩილს მხარი გაჰკრა და მიაძახა:

— არჩილ, ასეთ მზეთუნახავს მე, სიკო ქარციაძეც არ დავიწუნებდიო! — და მომაჩერდა.

არჩილი გაწითლდა, სახეზე ალი შეენთო.

— მართლაც, თავში ქარი გიქრის, მაგრამ ცივი კი არა, ცხელი! თმა ხუჭუჭი გაქვს და ქკუა თხელი! — დაუყვირა.

— რაო? როგორ მიბედავ! თუ ასეა, ჩვენ გავსწორდებით! — უთხრა იმ სტუდენტმა და გაეცალა. მერე ისიც გაიგო, როგორ „გაუსწორდა“ არჩილს ქომაგი: ჩხუბი ვერ გაუბედავს, საქიდაოდ გაუწვევია და ქვეშ მოქცევია. აგრე უთხრეს სტუდენტებმა. ყველამ სიცილი რომ დააყარა, ისევ დამუქრებია სიკო და გაქცეულა. მერე არჩილს შერიგებია, მაგრამ დარეჯანისაკენ გახედვასაც ველარ ბედავდა.

ერთხელ სტუდენტები კახეთში გაემგზავრნენ. კლდეში გამოკვეთილი დავით გარეჯის მონასტერი დაათვალიერეს. არჩილიც იქ იყო. გაუქმებულ სენაკს მიადგნენ. არჩილთან ერთად ჩაიხედა თვალივით ჩამქრალ სიძველეთა სავანეში. იქ, სადაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ერთ ადგილას მიჯაჭვული, ქვაში ჩაკირული ადამიანები აზროვნებდნენ, ქმნიდნენ, ღამეებს ათენებდნენ სანთლის მკრთალ შუქზე და მერე თვითონაც სანთელივით დნებოდნენ ქვის ვიწრო კედლებში. და მან, გაოცებულმა წამოიძახა: „ო, ღმერთო, აქ როგორ ცხოვრობდა ადამიანი!“. არჩილმა უპასუხა: „სიყვარულს, დარეჯან, ქვაშიაც შეუძლია იცოცხლოს“.

და წამოვიდნენ წინაპართა სევდით დამძიმებულნი.

გიორგი კახეთში თავს მასპინძლად გრძნობდა და სტუდენტების ჯგუფს წინ მიუძღოდა. ველზე კომბლებმომარჯვებული მეცხვარეები, ცხვრის ფარას მიერეკებოდნენ და გაჰკიოდნენ. მურა ძაღლები ყეფით მისდევდნენ ფარას. მოშორებით ფარა ამწვანებულ გორაკზე გადადიოდა და თითქოს სადღაც ინთქმებოდა უფსკრულში. ამას რომ ხედავდა, იფიქრა მაშინ: „ჩვენი ცხოვრებაც ხომ აგრეა, ჯერ მაღლა ავდივართ, მერე სადღაც მოუსვლელში ვეშვებით და ამით ყველაფერი თავდება, — ხელმეორედ აღარაფერი განმეორდება“. ასეთი გრძნობით გამსჭვალულნი ბრუნდებოდნენ დავით გარეჯის ხილვის შემდეგ, მაგრამ დარეჯანი მაინც გრძნობდა, სად, ვისთან იყო; თითქოს არჩილიდან წამოსული იმედის სიო ეხებოდა მის გულს და ეს ასულდგმულებდა. ბოლოს ისევ იმ საღამოს თქმული არჩილის სიტყვები შემოესმა, შეირხა, გაფერმკრთალებულ ცას მიაჩერდა. „არჩილი ალბათ სოფელში წამიყვანს, მეც სიხარულით გავყვები, უსათუოდ გავყვები. სადმე ტყეში, ხეზე რომ ვიცხოვროთ, იქაც ბედნიერი ვიქნები არჩილთან“. მაგრამ იქნებ არჩილს სხვა რამე აქვს სათქმელი? მე კი ჩემებურად მინდა ავხსნა მისი მოსვლის მიზეზი. თუ აგრეა, მაშინ რაღა ვქნა?“.

ცის ტატნობზე ვარსკვლავები ზედმიწევნით ქრებოდნენ. ღამე იცრიცებოდა, დნებოდა ჩუმად, უხმაუროდ. სამაგიეროდ დარეჯანის ღია თვალების ვარსკვლავები უფრო ციმციმებდნენ, კაშკაშებდნენ; — იმასაც ხედავდნენ, რაც მომავალში უნდა მოეხილა და განეცადა. მერე უცებ მოეშვა, ჩაეძინა.

ლალი, იმ საღამოს, როგორც არასდროს, თავს ბედნიერად გრძნობდა და ოთახში თვალდაცეცებით მიმოდიოდა; უსულო საგნებს, როგორც მისთვის საყვარელ, ცოცხალ არსებას ეალერსებოდა. მაგიდაზე ლარნაკში გატრუნულ ყვავილებს ხელი გადაუსვა, მიუალერსა:

— ჩემო კარგებო, რა მშვენიერები ხართ, რა სანეტარონი, თქვენთან რა მომკლავს; თქვენზე საყვარელი ღმერთს ქვეყნად არაფერი გაუჩენია.

— ლალი, შვილო, ვის ესაუბრები, სტუმრები გვყავს? — შემოესმა მეორე ოთახიდან, უკვე ლოგინში ჩაწოლილი დედის ხმა.

— არა, დედი! კი არ ვესაუბრები, ვმღერი!

არა თუ დედამ, ალბათ თვითონ ლალიმაც არ იცოდა, რომ მთელი ის საალერსო სიტყვები ყვავილებს კი არა, სხვას ეკუთვნოდა. „როგორი მშვენიერი საღამო იყო; სურათი მძიმე იყო, მაგრამ ჩემი თავი სამოთხეში მეგონა. როგორ გავიხარე. ღმერთო, დარეჯანი და არჩილი რა მშვენიერი წყვილია, როგორი შესაფერნი არიან და როგორ შეუძლიათ იხარონ ერთად. მეც მათი ბედნიერი მომავალი მახარებს. ამ ვარსკვლავებს ქვევიდან შევყურებ“ — იფიქრა ლალიმ და შეკრთოლა. კეთილ თვალებში ცრემლის ნაკური აუციმციმდა.

დაცარიელებულ ქუჩაში მარტო მიმავალი არჩილი ფუტკრის გაუქმებულ სკასავით შუქჩამქრალი სახლების ფანჯრებს რომ აცქერდებოდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს შეჩერებულიყო ქალაქის სიცოცხლე და სულს არც მოითქვამდა, სანამ თვითონ დარეჯანთან არ შეუღლდებოდა. მიდიოდა მსუბუქად, შორს ისმოდა მისი ფეხის ხმა, ამითაც სალათას ძილს მიცემულ ქალაქს თითქოს ამცნობდა: „მოვდივარ, მალე ჩემს საწადელს მივაღწევ და შენც გაიღვიძებ“.

შეუმჩნევლად თავისი ბინის კარებს მიადგა. გაალო და ფეხაკრეფით შევიდა.

„ჰო, კარგი, არჩილ“, — დიდი მორჩილებით და სათნოებით თქმული დარეჯანის სიტყვები ისევ შემოესმა; რამდენი რამ, მისთვის ფასდაუდებელი განძი იყო დაფარული ახალგაზრდა ქალის ხმადაბლა თქმულ, დამდნარ სიტყვებში!

სავარძელში ჩაეშვა. დარეჯანი ახლა მთელი ტანით და ქალური სინაზით დაამებული ღიმილით თითქოს კვარცხლბეკზე გაცოცხლებულ ქანდაკებასავით აღიმართა მის თვალწინ: „როგორ დავიჯერო, მე ამ ბედნიერების ღირსი შევიქენი... რა შეეძლო ჩემში დაენახა ისეთი, რაც სხვაში ვერ აღმოაჩინა? რითი მოვინადირე მე მისი გული? მაგრამ თუ მოსაწონი რამ თვისება იპოვა ჩემში, მაშინ რაღა ვქნა, თუ ჩემდა შეუმჩნევლად დავკარგე ეს თვისება? ჰო, მაშინ დარეჯანიც შეიცვლება, დამეკარგება და ქინულზე დავრჩები. ამიტომ უნდა შევეცადო, ჩავწვდე გულის ფსკერამდე და ყველაფერი წავიკითხო, რაც დარეჯანის გულში წერია" — ფიქრობდა. ძილის დრო იყო, მაგრამ ისიც ძილისათვის ამ ბედნიერ წუთებს ვერ იმეტებდა. ადამიანის ცხოვრებაში ასეთი წუთები განა ბევრია? შესაძლოა, ბევრს არც კი ღირსებია მსგავსი რამ არასდროს. „მე კი მეღირსა და რა დამაძინებს? ასეთი გრძნობით კაცი განა ოდეს მოკვდება? არა, არ მოკვდება. ადამიანები ალბათ მაშინ კვდებიან, როცა ამგვარ გრძნობას კარგავენ. აქ ახლა რასაც ვხედავ, ყველაფერი საყვარელია: აი, ფანჯრებს გავაღებ და ჩემს გრძნობას მთელ ქვეყანას გავუზიარებ, გულს დავანახვებ. თუ ყველა ამ გრძნობით იქნება გულამოვსებული, ყოველგვარი ბოროტება მოისპობა, ამ ქვეყნად ადამიანები ერთმანეთს შეიყვარებენ და ომებიც არასოდეს განმეორდება... მაგრამ ხომ არ ვცდები? რატომ ვარ დარწმუნებული, რომ დარეჯანს მართლა ვუყვარვარ?" — ბოლოს იქვეც შეეპარა. შორს სივრცეს გაჰხედა. თითქოს მთელ ქვეყანას ხედავდა და ყველას უზიარებდა, რაც გულში ედო.

დადუმებულ ქალაქში ელნათურების ციმციმი მის გულშიაც მეორდებოდა და ამ ქვეყნის გზებზე შორს მიაცილებდა.

თვალები მიელულა. გამობრუნდა. საწოლთან შეჩერდა. ტანთ რომ იხდიდა, უნებლიედ თავზე ხელი მოისვა და მისი თითები რბილ ადგილს შეეხო. თითი ოდნავ დააჭირა, შენახორცები ჩაიზნიქა და მაშინ მიხვდა, რა იყო იქ. ეს ომის სამახსოვროა, მაგრამ"... — აღარ დაასრულა. ხასიათი გაუფუჭდა. ლოგინში ჩაწვა. ახლა ძილს ეს ახალი, უსიამოვნო „აღმოჩენა" უფრთხობდა; ამაზე ფიქრი არ ასვენებდა. ზოგჯერ, სადღაც იმედის ნაპერწკალიც გაიელვებდა მის გონებაში და ამუქებდა მისი ცხოვრების წარმტაც მომავალს, თუმცა ყველგან, ჭირშიაც და ლხინშიაც თავს დარეჯანთან ხედავდა. სულ ერთად იყვნენ, ერთნაირად განიცდიდნენ ცხოვრების ავ-კარგს. ამ ორი სასიხარულო და სამწუხარო გრძნობით გამსჭვალული უფრო მოიქანცა. რაღაც საიმედო გრძნობამ გაიმარჯვა, დაწყნარდა.

III

დილით არჩილი ჩაფიქრებული მიდიოდა ქუჩაში. ხანდაყოვნებით ხელს თავზე ისვამდა. თუმცა ფიქრით შორს იყო, ხელი მაინც შეხორცებულ ჭრილობისაკენ გაურბოდა და რომ გამოფხიზლდებოდა, თავისთავს ეტყოდა: „დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხელი ჩემია თუ სხვისია, ვერ გამიგია. რაღა ახლა მოაგონდა ძველი ჭრილობა". ცდილობდა „ხელი ჰკუაზე მოეყვანა", რომ თავზე ოპერაციის შემდეგ დარჩენილ რბილ ადგილს არ შეხებოდა, დაევიწყა სამუდამოდ.

უნივერსიტეტის ეზოში გიორგის შეხვდა. გაუხარდა, რაღაც უჩვეულო აღტაცებით მიეჭრა:

— გიორგი, სად დამეკარგე?

— გუშინ ერთად ვიყავით და არ გაგონდება?

— როგორ არა, ვიცი მაგრამ ასე მგონია, წლები გავიდა.

— რაღაც მომხდარა და ალბათ იმიტომ.

— მომხდარა? ჯერ არაფერი. შენი ნახვა მინდოდა.

— მეც თვითონ მინდოდა, მენახე არჩილ, თუ საღამოს შინ დამხვდები...

— დაგხვდები, გიორგი, მოდი უსათუოდ,— და უნივერსიტეტის კარებში ერთად შევიდნენ.

აუდიტორიაში არჩილმა ფანჯარასთან მდგარი დარეჯანი დაინახა და სახე გაუბრწყინდა, მისკენ წავიდა.

დარეჯანი, ოდნავ თავდახრილი მიუახლოვდა. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

გიორგიც მივიდა, დარეჯანისათვის სახეში არც შეუხედავს, ხელი ისე ჩამოართვა და უმალ გაშორდა.

არჩილი და დარეჯანი დუმდნენ. თუმცა რაღაც უსიტყვო ბაასი გრძელდებოდა მათ შორის. ორთავესათვის იმდენად მიმზიდველი იყო ეს წუთები, რომ მის დასრულებას აღარ ჩქარობდნენ. რაღაც საოცარი მომავალი ლაჟვარდივით ბრწყინავდა მათ თვალწინ, თუმცა ყველაფერს უფრო მომნუსხველი და ახლობელი, ადამიანური მიწიერების დაფარული ძალა ათბობდა.

გავიდნენ დერეფანში. ფანჯრიდან შორს გაჰხედეს მტკვრის ამწვანებულ ხეობას, უფრო შორს — მარადიული თოვლით დაფარულ ყაზბეგის მთასაც თვალი მიაწვდინეს და გაუღიმეს.

— როგორ ციმციმებს ყაზბეგის მწვერვალი, — ხმა ამოიღო არჩილმა.

— მწვერვალი, — გაიმეორა დარეჯანმა და არჩილს სახეში მხოლოდ ახლა შეხედა პირდაპირ.

— ხვალ საღამოს გინახულებ, დარეჯან, საათის შვიდზე, — ხმა დაშვებით, თუმცა განსაკუთრებული დაბეჯითებით უთხრა არჩილმა.

— კარგი, შინ დაგხვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამობრუნდნენ, აუდიტორიისაკენ აიღეს გეზი.

იმავე დღეს, საღამოს, არჩილი თავისი განუყრელი მეგობრის, გიორგის მოსვლას რატომღაც მღელვარებით ელოდა, რაღაც ეჭვი არ ასვენებდა. ოთახში ჩაფიქრებული მიმოდიოდა. რა საქმე აქვს გიორგის, აგრე დაბეჯითებით რომ თხოვა შინ დამიხვდიო? „იქნებ... რაღაც კი აწუხებს. უფრო ამ ბოლო დროს ჩაფიქრებული და უენო დადის. ამხანაგებში საუბარსაც გაურბის“ — ოთახში ვეღარ მოისვენა. ქუდი დაიხურა და ქუჩაში გავიდა. იქვე, სახლის წინ, აქეთ-იქით დადიოდა ფიქრს მიცემული.

— არჩილ! არჩილ! — შემოესმა.

— აა, გიორგი! ოთახში ვერ მოვისვენე. აქ გელოდებოდი. შევიდეთ შინ.

— კარგი, შევიდეთ.

კიბე აიარეს. ოთახში შევიდნენ. სავარძელში უხმოდ ჩაეშვნენ.

— არჩილ, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, მაგრამ... — დაიწყო გიორგიმ, — იმდენად გაბრუებული, დარეტიანებული ვიყავი, შენთანაც, ჩემს ერთგულ მეგობართანაც ვერაფერს ვამბობდი, მხოლოდ ახლა, როცა უკიდურესობამდე მივედი, სხვა გზა არ იყო, ძალა მოვიკრიფე და შენთან მოვედი.

„გიორგის ხმა რაღაც არ მომწონს“ — გაიფიქრა არჩილმა, გული აუძგერდა, — თვალები მიელულა და გაირინდა.

გიორგი თითქოს შეკრთაო, ხმა ჩაიკმინდა.

— განაგრძე, გისმენ, გიორგი!

— ჰო, შენთან მოვედი. იქნებ რამე მირჩიო, არა და, ჩემს ჭირს მე თვითონ გავუძლებ. ახლა მივხვდი, კაცი მარტო ომში კი არა, აქაც, ერთი შეხედვით მშვიდსა და წყნარ ცხოვრებაშიაც შეიძლება დაიღუპოს: ომში ფიზიკურად, აქ სულიერად. ომში შეიძლება მტერმა დაგღუპოს, აქ კი შენთვის ყველაზე საყვარელმა, სათნო არსებამ.

„დაჩუმდი, გიორგი; მეტი აღარ თქვა. არ გააღო საშიში კარი, თორემ მხეცი გამოიჭრება და მე შენზე ადრე დამღუპავს“ — უკვე შეშფოთებით გაიფიქრა არჩილმა.

გიორგი აღარ ჩუმდებოდა, განაგრძობდა.

— ვგრძნობ, თუ აგრე გაგრძელდა, შესაძლოა ტანჯვად გადამექცეს მთელი სიცოცხლე. ხოლო თუ მოხდა სასწაული და ამისრულდა გულის წადილი, ამ ქვეყნად ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. ვერ მომიხერხებია, ვერაფერი მითქვამს, სახეშიაც ვერ შემიხედავს პირდაპირ. როცა მინდა ვუთხრა რაიმე, ენა მიშეშდება და ვამჯობინებ გავშორდე, რომ რაიმე სისულელე არ ჩავიდინო, თავი სამუდამოდ არ შევირცხვინო...

— ვინ არის ის? — ძლივს ხმა ამოიღო არჩილმა, სუნთქვა შეეკრა, სახე მოექცა.

— დარეჯანი.

— დარეჯანი?! — წამოიძახა არჩილმა და წამოდგა.

— რა იყო არჩილ?

— არაფერი...

— რაღაც...

— კბილის ტკივილმა შემომიტია! — უთხრა არჩილმა, სახემოქცევით შემოტრიალდა და ისევ სავარძელში ჩაეშვა.

— ჰო, რა ცუდია კბილის ტკივილი!

— მერე, მერე?

— დაბნეული ვარ, ღამეები აღარ მძინავს. აი, თვალებში მაინც ვერ მატყობ? არჩილ, იქნებ შენ მირჩიო რამე?

— მე?

— შენ. სხვას ვერც გავუმხელ.

— იცი, გიორგი; ამ საკითხს მხოლოდ ქალიშვილი წყვეტს...

— რადგან აგრეა, მე ახლა წავალ... ვეცდები ვნახო. ჰო, თვითონ, თვითონ!

— მოიცა, გიორგი!

— არა, წავალ, ნახვამდის!

— ნახვამდის, გიორგი! — გიორგი კარამდე მიაცილა და რომ გამობრუნდა, ოთახში მოწამლული თევზივით შემოტრიალდა. „კარგია, რომ წავიდა. მირჩევნია მარტო ვებრძოლო ჩემს თავს“ — იფიქრა, თავზე ხელები შემოიჭდო და თვალები დახუჭა. თავში რაღაც გუგუნებდა; თითქოს ყველაფერს ცეცხლი ედებოდა, იწვოდა ყველაფერი, რაზედაც დღემდე ფიქრობდა, ოცნებობდა.

როცა თავში ავარდნილმა ცეცხლმა წინანდელ ნაოცნებარს ფრთები შეუტრუსა, თვალი გაახილა; ოთახი თითქოს გულჩათხრობით გამოიყურებოდა, გულცივობის ელფერი გადაჰკროდა ყველაფერს. „მეეჭვებოდა, ახლა კი... დამასწრო გიორგიმ! თუ გიორგი წახდა, დაეცა, სიცოცხლე მაინც მომეწამლება. მე რომ დამესწრო და ჩემს გრძნობებზე დარეჯანის მიმართ გიორგისათვის ადრევე მეთქვა, გიორგი წინ არ გადამიდგებოდა, ხელის შეშლას არ შეეცდებოდა... ახლა კი... დარეჯანი რას იტყვის? მაინც მთავარია, დარეჯანი რას ეტყვის გიორგის... თუ მე ვუყვარვარ, ვაშლის ხე ხომ არაა, თავი გადაჭრა და მეორე დაამყნო? სადაა გამოსავალი? ნუთუ არაა გამოსავალი? თუ არ ვუყვარვარ? ჰო, მაშინ მარტო მე აღმოვჩნდები დასჯილი და როგორმე გავუძლებ“.

გაღებულ ფანჯარაში ქალაქი დაბინდული მოჩანდა. შორს, კავკასიონის თეთრად მოლაპლაპე მთაგრეხილები თითქოს აკავებდა, საზღვრავდა მის აშლილ ფიქრებს.

ტახტზე წამოწვა, ბორგავდა. თითო-ოროლა სიტყვას ისე წამოიძახებდა, თითქოს მორევის სიღრმიდან ამოტივტივებული ბუშტები სკდებაო: „დარეჯანთან მივიდე?“, „გიორგიზე“, „რა ვუთხრა?“. თვალები დაასცეცა. მძიმედ

წამოდგა. უხმაუროდ ჩაიცვა. ოთახი ფეხაკრეფით დატოვა. „ახლა საით? უნდა გავიარო“ —

რუსთაველის გამზირი გაიარა, ზევით შეუხვია, შეჩერდა. აღარ ახსოვდა, გზაში ნაცნობი თუ შეხვდა ვინმე, თუ მიესალმა, თუ გაეპასუხა, უფრო ზევით, ნარიყალას მთაზე, ძველ ციხე-სიმაგრეს მიადგა. ლოდზე ჩამოჯდა. თბილისს დაჰყურებდა. ძველი თბილისი გადაბერებულ მოხუცივით საცოდავად გამოიყურებოდა. ქედმაღლურად მხრებგაშლილი, ახალი თბილისის გვერდით რომ იდგა, ალბათ სირცხვილი წვავდა, დაბლდებოდა, ეშვებოდა მიწაში. შემდეგ იმ გორაკის მეორე მხარეს, ბოტანიკურ ბაღისკენ დაეშვა. ბაღში დიდხანს იარა, იხეტიალა. ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული შეათვალიერა, რომ ბაღის სიმშვიდე სულში ჩაეტანა, დაემშვიდებია მის სიმშვენიერეს, შეემსუბუქებია ესოდენ, უკვე ტკივილებით დაისრული გრძნობები. ჩანჩქერთან შედგა... მის ხმაურში თვითონ ბუნების სიტყვები ესმოდა: „ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი, აი, ასეთი ხმაურით თუ უხმაუროდ მიჰქრის, მიედინება და მას არც დასაბამი აქვს, არც დასასრული“ — ასეთი აზრები ერთი მხრივ აწყლულებდა, მეორე მხრივ ამაგრებდა არჩილის გულს: აწყლულებდა იმით, რომ არარაობის გრძნობა ეუფლებოდა და მის თვალში ყველაფერი იაფდებოდა; ამაგრებდა იმით, რომ თვით სიყვარულიც, იმავე მიზეზით, ადამიანების მიერ მოგონილ თამაშად ეჩვენებოდა. გაშორდა ჩანჩქერს, აღმართს შეუდგა. ბაღში ახლად გაშლილი ფოთოლ-ყვავილის გამაბრუებელი სურნელი იდგა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და გზა განაგრძო. ისევ ნარიყალას ძველ ციხე-სიმაგრესთან რომ ააღწია, დასავლეთით გადახრილი მზე ის იყო ეშვებოდა, ეფარებოდა მთაწმინდის მთას. ცოტა კიდევ და მთლად მიეფარა, ჩავიდა. ახლა მთაწმინდის კლდეში ჩადგმული თეთრი ტაძარი უფრო ახლო და ნათლად მოჩანდა: უკვდავთა სავანე თითქოს რაღაც ფიქრებში წასული გარინდულიყო. თუმცა იქ განსვენებული სულიერი მამები თავგანწირვაზე, ძმობაზე, მეგობრობაზე, — სულისა და ხორცის სისპეტაკეზე სამუდამო დუმილშიაც კი ღაღადებდნენ. იმ ღაღადისის პირველი სიმი ქართველთა ისტორიის შორეულ საუკუნეებში აჟღერებულიყო, მას მეთორმეტე საუკუნიდან რუსთაველის გენიის მზე ასხივოსნებდა და უღალატოს? ამას უღალატოს? „ალბათ შორიდან მოსული სხივი გააგრძელებს თავის გზას სანამ საქართველო იცოცხლებს“ — მოღლილ-მოქანცულმა თბილისს ახლაც გაუხედა: შეეცვლილიყო დედაქალაქი, წინათ მისი ხილვა სიხარულს გვრიდა, ახლა ტკივილს აგრძნობინებდა. მაინც გული იქითკენ მიუწევდა, არც შეეძლო, არ წასულიყო და ჩაჰყვა იმ ფერდობს, ჩავიდა ქვევით და ქალაქის ხმაურს თითქოს უპასუხა: „ვერ გავექცევი გიორგის თვალებს, ვერ გავექცევი“ — იფიქრა, ფეხს აუჩქარა. გიორგის უძილობით ჩაშავებული თვალები თან აედევნა, შინ რომ მივიდა, თავზე ხელები შემოიჭდო, წამოიძახა: „მას უფრო უყვარს, მას უფრო უყვარს!“ — კედლები უაზროდ შეათვალიერა. მაგიდაზე დაწყობილ ხან ერთ ხან მეორე წიგნს იღებდა, შლიდა, ჩასცქეროდა, თუმცა არაფერს კითხულობდა, თითქოს საიმედო აზრი უნდოდა ეპოვნა წიგნში თუ თვით თავისთავში; ვერ პოულობდა და წრიალებდა. ბოლოს საათს დახედა. „შვიდი საათი მალე იქნება; როგორ მოვიქცე? ახლა მისვლა არ შემიძლია; სჯობს დავურეკო. ვნახოთ დარეჯანი რას ეტყვის გიორგის და მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება. ჰო, აგრე ჯობს“. — გადაწყვიტა. მივიდა. ტელეფონით დარეკა. დარეჯანის ხმა იცნო.

— დარეჯან, მაპატიე; დღეს ველარ მოვალ, არ შემიძლია, — ეს უთხრა თუ არა „კარგიო“, ძლივს გასაგონად უპასუხა დარეჯანმა და ტელეფონის მილიც დაჰკიდა.

„შესაძლოა ჩემი მიუსვლელობა დარეჯანს ეწყინოს, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი“...

ქუდი აიღო და გარეთ გავიდა.

საღამო გრილი იყო, ქროდა ნიავი და ხან აქ, ხან იქ ქუჩაში ახლადგაშლილი ფოთლები ჩანჩქერივით შხუოდნენ, შრიალებდნენ, დუმდებოდნენ. არჩილი რაღაც მორჩილების გრძნობით უსმენდა ფოთლებს, მერე ჩამოვარდნილ დუმილს და ფეხს მექანიკურად მიადგამდა ფიქრდახშობილი, აბედივით გამომშრალ-გამოფიტული. აზრი უწყდებოდა, ეფანტებოდა. იმ სახლს მიუახლოვდა, წინად მისი ხილვა რომ ახარებდა. აქ ერთ ბინადარს სული ჩაედგა, გაეცოცხლებინა თვითონ ქვის შენობა და არჩილის თვალში ყოველთვის კეთილ მასპინძელივით გამოიყურებოდა. ახლა კი სახლიც თითქოს პირქუშად იდგა, — ტანშეკრული გარინდულიყო და ალბათ ესეც იმ ერთი ბინადრის მიზეზით. წამით შეჩერდა, მერე უეცრად პირი იბრუნა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ

# ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ

## თავი მეხუთე

ო, ნურც გეხილოს ის საშინელი,
ბნელი სიზმრები, ჩემო სვეტლანა!
ჟუკოვსკი

იმ წელს ავდრებით ვერ გველეოდა,
ვერ სცილდებოდა კარს შემოდგომა:
ბუნება ზამთარს დიდხანს ელოდა
და ორ იანვარს ღამით მოთოვა.
გამოიღვიძებს და ადრიანა
სარკმლით შეავლებს თვალს ტატიანა
დათოვლილ ეზოს, თეთრ ყვავილნარებს,
თეთრ მესერს, სახლებს —თეთრყავრიანებს,
მსუბუქ არშიებს სარკმლის მინაზე,
ხეებს—ზამთრისგან ვერცხლით დაფერილს,
კაჭკაჭებს ლაღად თოვლზე დაფრენილს,
გორაკებს მოსავს ლბილი სინაზე,
ზედ აფენიათ ნოხი ელვარე,
თეთრად მოურთავს თოვლს არემარე.

II

ზამთარი! გლეხი ამდროს ზეიმობს
და გზას ანახლებს თოვლში მარხილით,
მისი ბეხრეკი ცხენი ზერგვინობს,
ძლივს მიჩაკჩაკებს ჩორთით დაღლილი.
ფაფუკი კვალის ამფეთქებელი
მოქრის კიბიტკა დაფეთებული,
კოფოს მეეტლე უზის წახრილი,
წითლად უელავს ქურქზე სარტყელი.
აი, ციგაზე ცუგო დაუსვამს,
დარბის პატარა ბიჭი მსახურის,
თავი აქვს ცხენად წარმოსახული,
ცელქისთვის ყინვას თითი აუწვავს,
კიდეც სტკივა და კიდეც უხარის,
სარკმლიდან დედა უმზერს მუქარით.

III

მაგრამ იქნება თქვენს ყურადღებას
აღარ იზიდავს ასეთ იერის
ბუნების სადა დასურათება,
ცოტა რამ სცხია მას მშვენიერის:
ღვთისგან გამთბარი ზეშთაგონებით,
მდიდრულ სიტყვებით სულ სხვა პოეტი,
გვიხატავს პირველ თოვას ბრწყინვალედ,
ზამთრის სიამის ყველა წვრილმანით.
მის მწველ ლექსებში მოგინადირებთ ,
მჯერა, ნამდვილად ასე იქნება,
მარხილით ჩუმად გასეირნება:
მაგრამ ჯერ ბრძოლას როდი ვაპირებ
არც მასთან და არც შენთან, მგოსანო,
ფინელი ყმაწვილქალის მლოცავო!

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 4.

IV

ტანია (რუსი სულით, შეგრძნებით,
რატომ, თვითონაც როდი იცოდა)
იხიბლებოდა ცივი მშვენებით,
რუსული ზამთრის ტრფობით იწვოდა.
უყვარდა ყინვა, ქროლვა მარხილით,
მზისგულიანი დღე რთვილდაყრილი,
ნაცისკრალს — თოვლის კრთომა
ვარდისფრად,
ნათლისღების ბინდი დაისთა.
მათი ოჯახი დღესასწაულით
ხვდებოდა ხოლმე ამ საღამოებს,
მარჩიელებად ხმობდნენ მსახურებს,
მათგან ყოველ წელს ჩვენი ქალწული
ელოდნენ, ოდენ გასცდნენ ბავშვობას,
მხოლოდ სამხედრო ქმრებს და ლაშქრობას.

V

ტატიანასაც ცხადლივ სჯეროდა
ძველისძველ ხალხურ გადმოცემათა,
სიზმრის, ბანქოთი მარჩიელობის,
მანგით მომავლის ამოცნობათა:
ენიშნებოდა ცუდი ამბავი
და ხვაშიადით ყველა საგანი
მისთვის რაღაცას მოასწავებდა,
წინათგრძნობანი გულს უწამებდა,
ღუმელზე თათით კატა გრეხაა
პირს თუ იბანდა და კრუტუნებდა:
მიანიშნებდა გაუმტყუნებლად,
რომ შინ სტუმრები უნდა ეხილა.
ზეცის მარცხენა მხარეს ახალი
მთვარე თუ ჩანდა წყვილრქანაყარი.

VI

მაშინ ის ტრთოდა და ფითრდებოდა.
როცა ვარსკვლავი მრუმე ზეციდან
ქვემოთ მოქროდა და იპნეოდა,
შემკრთალ ტანიას უცებ ეწადა
მისთვის გაენდო ჩუმად სათქმელი,
ვიდრე ცდომილი ქროდა ნათელი.
ზოგჯერ შემთხვევით ასეც ხდებოდა,
როცა შავოსან ბერს შეხვდებოდა
ან მინდვრებს შუა გზას გაუჭრიდა
კურდღელი სწრაფი, როგორც ისარი,
ის იდგა შიშით ნათილისმარი.
გზაზე ნაბიჯის წარდგმა უჭირდა:
წინათგრძნობებით სავსეს მაშინვე
გული უგრძნობდა რაღაც საშინელს.

ბიბლიოთეკა

VII

მერე რა? ფარულ სიამოვნებას
პოვებდა იგი საშინელებით;
წინაღობანი მოსდგამს ბუნებას,
ასე ვართ მისგან გაჩენილები.
შობას მოჰყვება ლხენა, გართობა.
მკითხაობს ცეტი ახალგაზრდობა,
არ ედარდება მას არაფერი.
მის წინ საწუთროს გზაა საცქერი,
თვალმიუწვდენი; ხოლო სიბერე
სათვალეებით უმზერს სიცხადეს,
მკითხაობს თავის კუბოს ფიცარზე,
მისმა დღეებმა შორს გაიგელვეს.
დაუბრუნებლად; მაინც იმედი
ატყუებს ბალღურ ატიტინებით.

VIII

ცნობისმოყვარე თვალს არ აშორებს,
დასცქერის დამდნარ ცვილს ტატიანა.
უმზერს ჩამოსხმულ ზღაპრულ არშიებს,
მას რომ საოცრად შეეხმიანა.
პირამდე წყალით სავსე თეფშიდან
ბეჭდები მწკრივად წამსვე ჩნდებიან:
როცა ერთ ბეჭედს იღებს ასული,
სიმღერა ესმის ჟამგარდასული:
„აღთქმულ მხარეში გლეხიც მდიდრდება,
ვერცხლი ნიჩბებით აეხვეტება;
ვისაც ვუმღერით — დაებედება
მხოლოდ სიკეთე, მხოლოდ დიდება!"
მაგრამ ავს ამცნობს მას ხმა მწუხარე,
გულს ფისუნია უფრო უხარებს.

IX

ღამეა, ყინავს, გუნდი მთიებთა
მოწმენდილ ცაზე რარივ საოცრად,
რარიგ თანაბრად მოედინება
და ტატიანაც ამ დროს გამოჩნდა
ეზოში, შილიფ ხალათჩაცმული,
მთვარეს უმიზნებს სარკეს ქალწული;
მაგრამ სარკეში ობლად მთრთოლვარე
და ნაღვლიანი მოჩანს მთოვარე.
ჩუ... თოვლი ხმას ძრავს... სადღაც
მგზავრია:

ცერებზე დგება, გარბის ასული,
მისი ძახილი ჰანგად დაძრული
ტკბილ სალამურზე ხმანარნარია.
ვინ ხარ? რა გქვია? ხმა გამაგონე!
უცხო პასუხობს: „ვარ აგაფონი."

X

ტანია ძიძის რჩევას მოისმენს,
ღამის მისნობის იწყებს გაცნობას
და ბრძანებს ჩუმად, მხოლოდ ორისთვის
შიგ აბანოში სუფრის გაწყობას.
მაგრამ შემკრთალი თრთის ტატიანა,
მეც მეშინია — ჩემი სვეტლანა
რომ მახსენდება, მაგრამ შევდგებით...
მასთან სამისნოდ არ გავჩერდებით.
მოიხსნის სარტყელს ყალამქარიშის,
სამოსს გაიხდის, საწოლს გაიშლის,
წვება, გარს უვლის ლელი ქალიშვილს,
სარკმელს ბუმბულის აწევს ბალიში,
როგორც სიჩუმე — ღამეს მთვარიანს;
სდუმს არემარე, სძინავს ტანიას.

XI

და ხედავს იგი სიზმარს საოცარს:
გზად უძევს ველი თოვლით მოსილი,
მოდის და მინდორს ვეღარ გამოსცდა
მწუხარე ბინდით გარემოცული.
ნამქერებს შორის, მის წინ მქუხარებს,
ზვირთებს აზავთებს რისხვით მქუხარე,
ფაფარჭაღარა, ტალღებმოშავო,
ღვარი ზამთარში გაუთიშავი.
ორი ლატანი ყინვით შეკრული
მასზე გადებულ ხიდად ირწევა,
იძვრის, ქანაობს საბედისწეროდ,
ღრიალებს ღვარი გაშმაგებული,
და ტატიანა მაშინ შედგება,
აოგნებს მღვრიე საშინელება.

XII

ვით განშორებას დასანანებელს,
ღვარს ტატიანა მდურვას აყრიდა:
არავინ არ ჩანს, დასახმარებელს
გამოუწოდოს ხელი გაღმიდან.
უცებ შეირხა თოვლის გორაკი
და მის ქვეშიდან, როგორც ქომაგი
დათვი გამოძვრა დიდი, ბომბორა,
ტანია კივის, მხეცი მოგორავს,
თათს ტატიანას უწვდის ბღავილით.
თათს ხშირბალნიანს და ბასრბრჭყალებას,
ქალწული ბედავს ხელის ჩავლებას:
შიშით, ცახცახით უფსკრულს გაივლის;
გაღმა გადადის, მაგრამ რა ხდება?
ქალიშვილს უკან დათვიც გაყვება.

XIII

ჩქარობს, მიჰყვება გზას ტატიანა,
ისწრაფვის უკანმიუხედავად,
მაგრამ ლაქიამ შავბალნიანმა
არ მიატოვა, მისდევს ერთთავად..
ბაჯბაჯებს, ხვნეშის დათვი საზარლად.
წინ ტყე გაშლილა, ფიჭვებს ლამაზად
დამძიმებიათ თოვლით შტოები,
დგანან მშვენიერად მოღუშულები.
შიშველ ცაცხვების, არყის ხეების
თეთრი ვერხვების მაღალ მწვერვალებს
შორის მთიებთა შუქი ელვარებს,
გადასუდრულან ტყისპირ ხევები;
გზები, ბუჩქნარი და ყველაფერი
ღრმად დაფარულა თოვლის ნამქერით.

XIV

ტყეში ტანიას დათვიც შეჰყვება,
თოვლი მუხლამდე სწვდება ქალიშვილს,
უცებ ხან გრძელი როკი ეხლება
კისერზე და ხან ოქროზარიშის
საყურეს სტაცებს, როგორც მძარცველი,
ხან ლამაზ ფეხზე მას ფეხსაცმელი
სძვრება სოველი, ხან ცხვირსახოცი
დაუვარდება ღონეგამოცლილს
და ასაღებად ვერ დასწვდენია,
შიშობს, ფეხისხმა ესმის დათვისა,
ცდილობს აწევას კაბის კალთისას
მთრთოლვარე ხელით, მაგრამ სცხვენია.
მოსდევს ნადირი, ჩქარობს ქალწული
და ვეღარ მირბის ჩამოქანცული.

XV

თოვლში წაიქცა; დათვი ებღლვნება
და გაიტაცებს ასულს ძუნძულით;
ვერც შეირხევა, ისე ნებდება,
ვეღარც კი სუნთქავს უგრძნობ-უძლური
მას ტყის ბილიკით მიყავს ქალწული,

უცებ უღრანში ერთი საწყლური,
შორს გარიყული ქოხი შეხვდებათ,
ქვეყნის ნამქერი ზედ რომ ეხვევა.
ბრწყინავს სარკმელი და შიგ გაისმის
ჯოჯოხეთური ხმები ნამდვილად.
დათვი ბურდღუნებს: „აქ მყავს ნათლია:
მასთან გათბები, ცოტას დაიცდი!“ —
იძახის იგი და ტატიანას
წინკარის ზღურბლზე სტოვებს ტიალად.

XVI

ერკვევა, ახელს თვალს ტატიანა:
დათვი წასულა; ისმის ზღურბლსმიღმა
ზრინვა, გნიასი ჭიქის წკრიალთან,
ვით ხალხმრავალი ჭირის სუფრის ხმა.
სად წევს — გარკვევა უჭირს ტანიას,
შეიჭვრეტს იგი ჭუჭრუტანიდან
და რას შეხედავს: სუფრას სტუმრები
უსხედან ირგვლივ — სულ ურჩხულები.
ჩანს სახეძაღლი ერთი რქოსანი,
მეორეს მამლის თავი აბია,
იქვე დგას ჩონჩხი მკაცრი, ავყია,
გვერდზეა ქაჯი თხის წვეროსანი,
კუდა ჯუჯასთან სხარტად გახედავს
ნახევრად წეროს, კატას ნახევრად.

XVII

თვალს იგი შემძრავ სურათს შეავლებს:
ბობღავს ობობა კიბოს მზიდველი,
ბატის კისერზე ქალა ტრიალებს,
ზედ დამხობია ჩაჩი წითელი.
ქარის წისქვილი ცეკვავს, ბუქნაობს,
ფრთებს ატკაცუნებს, არხევს უქაროდ;
ისმის ხარხარი, ყეფა, ხმაური,
სიმღერა, კაცთ ხმა, ცხენთა თქარუნი.
ხედავს ტანია, მათთან რომ არის
ის ვინც შორიდან იცნო სტუმრებში,
მისთვის საშიში, მისივ ნუგეში —
მთავარი გმირი ჩვენი რომანის.
ზის ონეგინი და ალმაცერი
მზერით სუფრიდან კარებს გასცქერის.

XVIII

იგი ანიშნებს — ყველა ირჯება;
იგი სვამს — ყველა სვამს და გიჟდება;
იგი იცინის — ყველა ბჟირდება,
წარბს შეკრავს — ყველა წამში დინჯდება.
იგი ბატონობს მათზე, ეტყობა.
ტატიანასაც უკეთესობა
ემჩნევა, ფრთხილად კარს ხელს შეახებს,
ცნობისმოყვრულად, ოდნავ შეაღებს.
უცებ დაბერავს ქოხში გრიგალი,
ჭაღებს ჩააქრობს და ავსულები
შეშფოთდებიან გალურსულები;
მათ ონეგინი თვალთა ბრიალით
აჰყრის, სუფრიდან გრგვინვით ადგება
და კარებისკენ გაემართება.

XIX

შიშით ილევა და ტატიანა
მალე გაქცევას ლამობს აკრძალულს,
მოუთმენლობამააწრიალა,
კივილი უნდა, მაგრამ არ ძალუძს.
ევგენი აღებს კარებს ხმაურით
და ჯოჯოხეთის მავნე მსახურნი
მოვლენილ ასულს, როგორც მსახვრალნი
ხვდებიან ველურ, ბოროტ ხარხარით.
დაკლაკნილ ენებს, კუდებს ბამბურებს,
ეშვებს, ულვაშებს, თვალებს ანთებულს,
რქებსა და თითებს გადაძვალებულს,
ხორთუმებს ყველა მისკენ აბრუნებს
და ყველას პირი დაუბჩენია,
— ჩემია! — ყველა ყვირის — ჩემია!...

XX

ჩემია! — მკაცრად ბრძანა ევგენიმ
და უცებ გაქრა ხროვა ავსულთა,
ბნელ და გაყინულ ქოხს ონეგინი
შერჩა მეგობარ სათნო ასულთან,
მიიყვანს იგი მორჩილ ტანიას
კუთხეში, სადაც კოჭლი სკამია.
ზედ დაასვენებს, მერე იხრება
მისი მკერდისკენ; უცებ იღება
კარი და ხედავს — ოლგა ესტუმრათ,
ლენსკიც შემოსდევს; შუქი ენთება,
ონეგინს გულზე ცეცხლი ედება,
ხელს აქნევს, თვალებს ქაჩავს მხეცურად
და ძალადსტუმრებს ლანძღავს ყვირილით.
წევს ტატიანა გარდაცვლილივით.

XXI

დავა თანდათან უფრო აზავთდა,
უცებ გრძელ დანას დასწვდა ევგენი;

ლენსკი დაეცა, და შემზარავად
დაბნელდა; გულის შემქანებელი
კივილისაგან ქოხი შეირწა...
ტანიას ელდით გამოეღვიძა...
ხედავს: ოთახი სუნთქავს სინათლით;
მეწამულ სხივებს ჰფენს განთიადი
გაფიცრულ სარკმლებს, კარი იღება
და ჩრდილოეთის ცისკრის ციალად,
ფრთამალ მერცხალზე სწრაფი, ცქრიალა
ოლგა შემორბის და ეკითხება:
აბა, ვინაა, თქვი, გამიმხილე,
ის ვინც წუხელის სიზმრად იხილე.

XXII

მაგრამ ვერ ამჩნევს დას ტატიანა,
წევს სასთუმალზე თავმიდებული,
წიგნი უჭირავს და მის შრიალა
ფურცლებს მიჰყვება გარინდებული.
თუმცა ეს წიგნი არ გადმოსცემდა
არც მგოსნის ფიქრებს, არც ნაოცნებარს,
არც სიბრძნეს და არც სცენებს ლირიულს,
მაგრამ არც რასინს, არც ვირგილიუსს,
არც ლორდ ბაირონს და არც სენეკას,
არც სკოტს, არც ჟურნალს ქალთა მოდების
ელტვიან მსგავსი თავგამოდებით,
როგორც მას, ძმებო, მარტინ ზადეკას,
სიზმართამომხსნელს, ყოვლის
წინათმგრძნობს,
ქალდეველ ბრძენთა ცნობილ წინამძღოლს.

XXIII

ეს ღრმა თხზულება განმარტოებულ
სახლში ქორვაჭარს მოუტანია,
ცალკე მალვინას ძველი ტომებიც
შეუსყიდია მისგან ტანიას
ძლივს, სამ მანეთად და ათ შაურად,
ჩარჩი უსართოდ არ დაჩაგრულა:
გაშორებია წიგნის კარადა
სრულ კრებულს ბაზრულ იგავ-არაკთა,
ორ პეტრიადას და ტომს მესამეს
მარმონტელისას და გრამატიკას...
შემდგომ ამისა მარტინ ზადეკას
უმხელს ასული ნაღველს მკვნესარეს,
მას შესციცინებს, მას არ იცილებს,
მასთან წვება და მასთან იძინებს.

XXIV

წუხელ ნანახი ზარავს სიზმარი —
არ უწყის, როგორ ურვას იმალავს:
საშიშ ოცნების ნაგულისხმარის
მალე შეცნობა სურს ტატიანას.
დახედავს მოკლე სარჩევს ასული,
ანბანთა რიგში ხვდება: ავსული,
ბინდი, ბურუსი, დათვი, სავალი,
ულრანი, ხიდი და სხვა მრავალი...
ვერ განუქარვებს ეჭვებს ზადეკა:
მაგრამ ბოროტი და საზიზღარი
კარგს არ უქადის არას სიზმარი;
გრძნობს, სამწუხარო რაღაც მზადდება...
რამდენიმე დღეს არ ასვენებდა,
სიზმარი იგი თავს ახსენებდა.

XXV

ცაზე აისი ჩნდება ალისფრად,
თავისი ხელით ფერმეწამულით
დილის ველებზე მზედ და ხალისად
დღეობა მოჰყავს დღესასწაულით.
ლარინთა სახლში ხალხი მოგროვდა
დილიდან, მოდის სამეზობლოდან,
ყველა ოჯახით მოაჯირითებს
ეტლებს, მარხილებს, ბრიჩკებს, კიბიტკებს,
დერეფანს მომსვლელთ ტალღა აწყდება,
უცნობებს ერთურთს აცნობს სასტუმრო,
ლეკვთ ყეფა, ქალთა კოცნა მატულობს,
ზღურბლთან ჭედვაა; წუთით არ წყდება
ზრინვა, ხარხარი, სტუმართ სალამი,
გამდელთა, ბავშვთა კივილ-ვალალი.

XXVI

მოდის მეუღლით ჩათქვირებულით
პუსტიაკოვი — ცოლზე მსუქანი,
სოფლის მეურნედ ხალხში ქებული
გვოზდინი — ღატაკ გლეხთა უფალი.
ჭაღარა ცოლ-ქმრის სკოტინინების
კვალდაკვალ ჯოგი მოდის შვილების,
ოცდაათი წლის მოსდევს ორწლიანს,
ნახავთ პეტუშკოვს მაზრელ კოპწიას
და ჩემს განაყოფ ძმას ბუიანოვს,
ბუმბულით მოსილს, გრძელკარტუზიანს,
ყველასთვის ნაცნობს, როგორც ტუზიანს,
ნახავთ გადამდგარ მრჩეველ ფლიანოვს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილწ ჭორიკანას, გაქნილ აშაქარს,
მექრთამეს, ხარბს და ტაკიმასხარას.

XXVII

ოჯახს პანფილე ხარლიკოვისას
ჩამოჰყვა ახლა და ტამბოვიდან
თხუნჯი, წითურ პარიკოსანი,
მუსიე ტრიკე მათთან მოვიდა...
როგორც ჭეშმარიტ ფრანგს თან ეგულვის
ტატიანასთვის გამზადებული
კუპლეტი ბავშვთა ჰანგზე სამღერი:
Reveillez vous, belle endormie[1]
ძველ ალმანახში იყო მანამდე
ლექსად ნაბეჭდი ესე კუპლეტი.
ვით მიხვედრილი, ძარჯვე პოეტი
ტრიკე მას ხელად მკვდრეთით აღადგენს
და იგი ნაცვლად belle Nina[2]
თამამად ჩაწერს belle Tatiana[3]

XXVIII

ახლო დაბიდან მათთან მობრძანდა
როტის უფროსი — დგება სტუმრებში,
კერპი მოწიფულ გასათხოვართა
და მთელი მაზრის დედათ ნუგეში.
იგი ეწვიათ ნამდვილ სიახლეთ,
პოლკის მუსიკის ხმაზე ვილაღებთ!
თვით პოლკოვნიკმა ასე ინება!
ყველას უხარის, ბალი იქნება!
ქალიშვილობა ხტის სულწასული,
მაგრამ საჭმელი მოაქვთ. წყვილებად
სუფრის გარშემო ხალხი მწკრივდება.
ტანიას მხარეს დასხდნენ ასულნი,
კაცნი პირისპირ, პირჯვარს იწერენ
და ბრბოს ბზუილში სუფრას იწყებენ.

XXIX

წუთიერ წყდება ხმები საუბრის;
ჭამა ჩაღდება; აწი იწყება
დანაჩანგლის და ჭურჭლის ჩხარუნი
და წვრილ სასმისთა არიწკიწება.
მერე ატყდება კვლავ მხიარული
სტუმართ ხმაური და ჟრიამული:
ყურს არ უგდებენ ერთურთს ისინი,
სუფრა კამათობს, ხვნეშის, იცინის,
უცებ იღება კარი ყურთამდის,
შემოუძღვება ლენსკი ონეგინს.
„მადლობა უფალს თქვენის მოვლენით!“ —
დიასახლისი ყვირის პურადი.
მისწი-მოსწევენ თეფშებს და სკამებს,
მოსულ მეგობრებს ერთად დასხამენ.

XXX

მათ ტატიანას თვალწინ დასვამენ
და დილის მანგზე ფერგადასული,
მფრთხალი შველივით ტანმოცახცახე,
ძირს ხრის მინისლულ თვალებს ასული.
სუნთქვას უჩქარებს კვეთა ვნებათა,
ბნდება და ორთა მისალმებათაც,
ვერ ისმენს, ლამის ცრემლი დაღვაროს,
ლამის წაერთვას გრძნობა საბრალოს,
მაგრამ გონება და ნებისყოფა
დააძლევინებს წამებს გამოცდის,
იგი ორ სიტყვას ჩუმად გამოსცრის,
თავშეკავების ძალა ეყოფა,
ძალა — უმწარეს წუთის დაძლევის
და უსიამო სუფრის გაძლების.

XXXI

ტრაგინერვიულ გამოვლენების,
ქალწულთ გულისყრის, ცრემლის
ქალწულთა,
კარგახანია არ სწამს ევგენის,
მათს რაობაში ბევრგზის დარწმუნდა.
თუმც ესწრებოდა დიდ დარბაზობას,
ეს უხიაკი მაინც ბრაზობდა,
მაგრამ ქალიშვილს თრთოლვა მალული
შენიშნა და ხრის თვალს სინანულით.
წამს გაიფხორა გაჯავრებული
და დაიფიცა მან შურისგება,
ლენსკის გაკენწვლა, გაგულისება.
ახლა წინასწარ გამარჯვებული
გასცქერის სტუმრებს, როგორც ნატურებს
და ფიქრში ხატავს კარიკატურებს.

XXXII

და რა თქმა უნდა, ევგენის გარდა
ტანიას ჭმუნვის მოწმე სხვაც არი,
მაგრამ სამზერლად, განსჯის საბაბად
ამჟამად იქცა მსუყე ნამცხვარი...

[1] გაიღვიძეთ, მძინარე მზეთუნახავო.
[2] მშვენიერი ნინა.
[3] მშვენიერი ტატიანა.

(საუბედუროდ გადამწვათხული)
და აი, ბოთლით თავგასანთლულით
მოაქვთ შემწვარს და ბლან-მანჟესშუა
ციმლიანსკური ღვინო შუშხუნა;
მასთან სასმისნი წვრილნი, მაღალნი,
შენი ნარნარი, ნაზი ტანივით;
ზიზი, მიმზევებ სულს კრისტალივით,
ხარ ჩემთა წმიდა ლექსთა საგანი
და მომხიბლავი ვნებათ ფიალა,
ბევრჯერ დამათრო შენმა ტრფიალმა!

## XXXIII

როცა ავარდა სველი საცობი,
ბოთლიდან ღვინომ წამოიჩქეფა;
და აი, რიხით ჩვენი ნაცნობი
მუსიე ტრიკე წამოიჭრება,
კუპლეტით დიდხანს გაწამებული.
სმენად იქცევა სტუმართ კრებული;
ცოცხალ-მკვდარივით ზის ტატიანა.
ფურცელი მისკენ მიატრიალა
ტრიკემ, სიმღერით ყალბად მიმართა.
აქუხდა ტაში, ვაშას ძახილი,
ტანიაც შეხვდა მას თავდახრილი.
პოეტმა მორცხვმა, მაგრამ დიადმა
პირველმა ლოცვა უძღვნა გულწრფელი
და მას გადასცა უცბად ფურცელი.

## XXXIV

უსმენს მილოცვებს და მისალმებებს,
მათ ტატიანა უხდის მადლობას.
ევგენი ამჩნევს ნაღვლელს მწამებელს
და როს აპირებს სიტყვით ადგომას,
მის სულში მკრთალი, ჩამოქანცული
სიბრალულს ბადებს სახე ქალწულის.
ქალიშვილს უხმოდ მიესალმება,
ოღონდ სინაზე მისმა თვალებმა
აელვეს რაღაც თბილი იმედით;
ევგენ გრძნობები მართლა ათრობდა
ან კეკლუცობდა ან თამაშობდა.
ან უნებლიედ ანდა სიკეთით,
მან მზერით სითბო ამოდ გამოსცა,
ტანიას გული გამოაცოცხლა.

## XXXV

დგებიან, სკამებს ახმაურებენ;
სასტუმრო უცბად ხალხით ივსება:
ასე ტკბილ სკიდან გუნდი ფუტკრების
ველზე ზუზუნით გაიხიზნება.
ქებით სადილის შემამკობელი
მეზობლის ცხვირწინ ქშენს მეწოწველი.
ბუხარს უსხედან დასად ქალები,
კუთხეში დგანან ლამაზმანები.
მწვანე მაგიდა ბევრგან გაშლილა;
მოხუცთ ბოსტონი უცდის, ლომბერიც.
სულსწრაფთ განთქმული ვისტი მოელის.
ჰგვანან ერთმანეთს, რაც თამაშია,
ერთფეროვნებით, მოცვეთილობით
პირმშონი ხარბი მოწყენილობის:

## XXXVI

გაითამაშეს ვისტის გმირებმა
მერვე რობერი და მათ ადგილიც
რვაჯერ იცვალეს, ჩაი რიგდება
დროის განსაზღვრა მიყვარს სადილით.
ჩაით და ვახშმით, ჩვენ ანგარიში
დროისა ვიცით ჯაფის გარეშე;
არა გვჭირდება გარჯა ზედმეტი.
კუჭია ჩვენი ზუსტი ბრეგეტი.
აქვე ფრჩხილებში უნდა აღვნიშნოთ,
რომ ჩემს სტროფებში ხშირად ვახსენებ
მეჯლისებს, ლხინებს, საჭმელ-სასმელებს,
სუფრებს, საცობებს უანგარიშოდ;
ვით შენ, ღვთიურო დიდო ომირო,
სამიათასი წლის ოქროპირო!

## XXXVII, XXXVIII, XXXIX

ჩაი შემოაქვთ და ლამაზთაგან
ლამბაქთა დინჯად გადმოღებისას
უცებ ისმინეს ხმას დარბაზიდან
ფლეიტების და ფაგოტებისას.
მუსიკის ჭექა აღაფრთოვანებს,
თმობს პეტუშკოვი ჩაის რომნარევს,
მიდის პარისი დაბა-ქალაქთა
ოლგასთან, ლენსკი — ტატიანასთან;
მუსიე ტრიკე უწყებს ფრანტობას
ძველ შინაბერას ხარლიკოვისას,
მყის გააქანებს ვალსის ხმობისას
ბუიანოვი პუსტიაკოვას.
მალე დარბაზში ყველა გაცვივდა:
დაწყვილდნენ, ბალი ხელად გაჩაღდა.

## XL

მქონდა რომანის წამოსაწყებად
(ნახეთ პირველი ჩემი რვეული)

პეტერბურგული ბალის აღწერა
ალბანის მსგავსად ჩაფიქრებული.
მაგრამ გავფრინდი შორს ოცნებებით
და გამიტაცეს მოგონებებით
თლილმა ფეხებმა ნაცნობ ქალების.
ამყოლი თქვენი მომცრო კვალების,
ფეხებო, კმარა, აღარ შევცდები!
გზა სიყრმის გაცვლით უნდა ვიცვალო,
ნამდვილად დროა — ჭკუა ვისწავლო.
სიტყვის და საქმის მართვას ვეცდები,
და ამ მეხუთე რვეულს უთვალავ
წიაღსვლას კალმით გამოვუკვალავ.

## XLI

ერთფეროვანი და დამთხვეული,
ცინცხალ სიცოცხლის მსგავსი გრიალით
ქუხს და ტრიალებს ტალღად რხეული,
წყვილებს აელვებს ვალსის გრიგალი.
შურისძიების ჟამი ღვივდება,
ონეგინს ჩუმად ჩაეღიმება,
ოლგასთან მიდის, თავს აიცეტებს,
სტუმართა ირგვლივ მასთან იცეკვებს.
მერე ჩამოსვამს სკამზე ქალიშვილს,
ათას რამეზე უწყებს საუბარს
და როცა ვალსი ისევ დაუკრავს,
კვლავ მასთან ცეკვას აღარ დაიშლის,
სახტად დარჩება ყველა ამჯერად,
ლენსკის საკუთარ თვალის არ სჯერა.

## XLII

მაზურკა, გრგვინავს და ჟამს გავხედავ,
ოდეს მაზურკა უცებ ნაფეთქი
ვეებერთელა დარბაზს არყევდა,
და ტკაცუნებდა ქუსლქვეშ ფარკეტი.
ძრავდა ჩარჩოებს კარ-სარკმლებისას,
ახლა კი, მსგავსად ნაზ ქალებისა
სრიალით ვცვითავთ ფიცართ გალაქულს,
ქალაქში წესებს ვიცავთ ქალაქურს.
მაგრამ გვიფარავს ისევ სოფელი,
შემოუნახავს მას მაზურკაში
ისევ ქუსლები, ხტუნვა, ულვაში.
მაზურკის პეწი პირველყოფილი
არ შებღალულა მტარვალ მოდისგან,
სახადით რუსთა ახალ მოდგმისა.

## XLIII-XLIV

ფიცხ ბუიანოვს — ჩემსავ ბიძაშვილს
მოჰყვება ოლგა და ტატიანაც,
ჩვენი რომანის გმირი იმ წამში
ოლგას აცეკვებს ლაზათიანად,
თან დაუდევრად მისდევს სრიალით,
მას ჩასჩურჩულებს პირმომცინარი
რაღაც უშვერ და უზრდელ მადრიგალს,
ხელზე ხელს უჭერს, უბრდღვიალდება
ქალიშვილს სახე ამპარტავნული.
ლენსკი ყველაფერს უმზერს: ენთება,
ეჭვის ალმური გულზე ედება,
წყრება პოეტი თავდაკარგული,
უცდის მაზურკის უცბად ჩახშობას;
კატილიონზე ოლგას თანხმობას.

## XLV

მაგრამ უარობს ოლგა არ ძალუძს?
რა მოხდა? სიტყვა მისცა ონეგინს.
ღმერთო, რას ისმენს?... როგორ სასწაულს!
ვით შესძლო?.. წამი დგას გაოგნების.
მას ჩვილის ჩვრები შარშან გასცლია,
ცეტ და მანჭია ბავშვად გაზრდილა,
შეუსწავლია უკვე მზაკვრობა;
გაცვლა, ღალატი, უკუღმართობა!
ელდის გაძლების ძალა არ დარჩა
და ლენსკი თვალთმაქც ქალთა წყევლისას,
გადის, მოითხოვს მოგვრას ცხენისას;
სწრაფლ გაჭენდება. წყვილი დამბაჩა
და წყვილი ტყვია — სხვა გზა არა ჩანს,
რომ ხვედრი მისი სწრაფად გადაჭრას.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლეონიდ როსტოვცევი**
საქართველოს სსრ დამსახურებული
ჟურნალისტი

# მეტი რა უნდა ადამიანს

— ხომ გაგიგონიათ კატაისკი, ცხრა მთას იქით მდებარე ქალაქი? ჰოდა, იქ მელიტოპოლიდან ჩავედით სატუმბო ქარხნის ევაკუაციის გამო. ორმოცდაერთი წელი იყო. ომი მძვინვარებდა, მაგრამ ამაზე შემდეგ გესაუბრებით, შემდეგ იმასაც გიამბობთ, თუ როგორ მოვხვდი იმ ქარხანაში, ახლა კი ის შორეული კატაისკი ერთმა ეპიზოდმა მომაგონა. ის ამბავი რომ გამახსენდება, სიმწრის ოფლი მასხამს.

მერაბ ორახელაშვილი იღიმება, ღიმილი კი ნაზი და ფიქრიანი აქვს. სადღაც შორს იყურება. არა, იგი ახლა აქ არ არის — მოსკოვის მყუდრო ბინაში, წინ ცხელი ყავა არ უდგას და მაგიდას არ მისჯდომია, ახლა კატაისკშია, დგას ყინვაში წყალსატუმბთან, გამსჭვალავი ქარი ტანსაცმელში ატანს, ხელები გაეყინა, შუბლი და კისერი ოფლის წვრილ-წვრილ წვეთებს დაუცვარავს. დაუმორჩილებელი თითები მერამდენჯერ ეჭიდება ტუმბოს... მაგრამ არ მოქმედებს, თუნდაც ქვეყანა დაიქციე, მაინც არ მოქმედებს, არა და არა.

მიდის და მიდის ეშელონები, ლიანდაგი ჩახერგილია ვაგონებით. ორმოცდაერთი წელია, ომია. ადამიანები და ტექნიკა ფრონტისაკენ მიისწრაფვიან. რკინიგზაზე მოძრაობა რომ არ შეწყდეს, ორთქლმავლებს ბევრი წყალი სჭირდებათ, ვარტინგტონის ტუმბო კი ვერ ერევა ამ საქმეს. რევოლუციამდელი ტუმბო ცოტა წყალს იძლევა, არა და, ეშელონებს ხომ არ შეუძლიათ ლოდინი!

ამიტომაც, მერაბმა ძველ წყალსატუმბზე ცენტრალური ტუმბო დადგა. ეს კი ნამდვილად უზრუნველყოფს წყლით რკინიგზის საჭიროებას. ტუმბო კი არ მოქმედებს, გასინჯა, თითქოს ყველაფერი რიგზეა, განკარგულება გასცა:

— ჩართეთ!

ჩართეს. არა, არ მოქმედებს. ისევ გასინჯეს, ყველაფერი რიგზეა, ეშმაკმა წაიღოს!

— ჩართეთ!

არა და არ მუშაობს.

დრო კი მიდის, წუთები კი არა — საათები. ცოტა კიდევ და მილებში წყალი გაიყინება, რომელიც დიდი წვალებით და გარჯით მოიყვანეს ქარხანასთან, გაიყინება და ყველაფერი დაიღუპება. ქარხანა თუ არ იმოქმედებს, აღარ იქნება საბრძოლო მასალა.

ყველაფერი შემოწმებულია, გასინჯულია, გამოყენებულია მთელი ცოდნა, მთელი გამოცდილება, გაკეთებულია შესაძლებელი და შეუძლებელი. მეტი რაღა უნდა ქნან?

მერაბმა კიდევ ერთხელ შეხედა ტუმბოს, უიმედოდ ჩაიქნია ხელი. თქვა უბრალოდ, უკვე აღარ ცდილობდა ბედის გამოცდას:

— უკანასკნელად ვცადოთ!

ჩართეს — ტუმბო ამუშავდა. აი, როდის იგრძნო ინჟინერმა შუბლსა და კისერზე ოფლის წვრილ-წვრილი ცვარი.

... მერაბ ორახელაშვილს სახე გაუნათდა, — იგი კატაისკში კი აღარაა, წყალსაზიდზე, ფიქრებიდან გამოერკვა. ვუსხედვართ პატარა მაგიდას, კლუპ-კლუპად ვსვამთ ყავას, მერაბი გამოგვიტყდა:

— აქამდე ვერ გამიგია, რა მოხდა, რატომ არ მუშაობდა ტუმბო და უცბად როგორ ამუშავდა და მუშაობდა წესიერად მრავალი წლის

მანძილზე. მე, როგორც ინჟინერმა, ხომ ყველაფერი გავაკეთე თავიდანვე...

ჰიდრავლიკური მანქანების ტუმბოებია მერაბ ორახელაშვილის სპეციალობა და მისი გატაცებაც.

ჰიდრავლიკური მანქანები! ეს ხომ ოცდათორმეტ წელს იყო, როდესაც მერაბი მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ინჟინრის დიპლომით მოვიდა ქარხანაში. მანამდე კი ის ახალგაზრდა იყო, მის გარშემო ის ადამიანები იყვნენ შემოკრებილნი, რომელთაც თავდავიწყებამდე უყვარდათ სიცოცხლე, რევოლუცია, რასაც თავს ანაცვალებდნენ.

მერაბის მამის შესახებ იმდენი ნარკვევი, წერილი და მოგონებაა დაწერილი, რომ ამ სტრიქონების ავტორს აღარაფერი დარჩა დასამატებელი. ძველი რევოლუციონერი, სახელმწიფო მოღვაწე, ფიცხი ტემპერამენტისა და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი მამია ორახელაშვილი მებრძოლი ლენინელის მაგალითი გახლდათ. ის ერთგული მოწაფე იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა, თანამოღვაწე და მეგობარი სერგო ორჯონიკიძისა, სერგეი კიროვისა და მიხა ცხაკაიასი. მისი მეუღლე მარიამი იზიარებდა რევოლუციური ბრძოლის ჭირსა და ლხინს და თვითონაც იდგა რევოლუციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ასეთები იყვნენ მერაბის დედა-მამა, მუშათა კლასის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებმაც გადასახლება, დაპატიმრება, მრავალი გაჭირვება განიცადეს მისი გამარჯვებისათვის.

ამიერკავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მამია ორახელაშვილისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მარიამ ორახელაშვილის სახლი თბილისში მუდამ სავსე იყო ადამიანებით. მერაბი ბავშვობიდანვე შეეჩვია მათ; ზოგის შეუპოვარ დავას, ზოგის გაცხარებას, ზოგისას კი — გონივრულ სიდინჯეს. ამ სახლში დადიოდნენ სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, ნარიმან ნარიმანოვი, სააკ ტერ-გაბრიელიანი, აბელ ენუქიძე, შალვა ელიავა, ნესტორ ლაკობა, ლეგენდარული კამო, აგრეთვე ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, მიხეილ კოლცოვი, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. აქ მაქსიმ გორკიც ჩამოდიოდა. მარიამ ორახელაშვილმა თურმე იგი ზაჰესში წაიყვანა, სადაც სურათი გადაიღეს. ეს სამახსოვრო ფოტო დღემდეა შემონახული.

თხუთმეტი წლისა არც კი იყო მერაბი, თბილისის ცხრაწლედი რომ დაამთავრა. ინსტიტუტში შესასვლელ ასაკს ერთი წელი უკლდა. ამიტომ უცხო ენათა კურსებზე შევიდა, რის დამთავრების შემდეგაც უკვე სრულწლოვანი იყო და უმაღლესი სასწავლებლის გზაც ხსნილი ჰქონდა.

მერაბმა მოსკოვი აირჩია, ბაუმანის სახელობის ცნობილი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. მალაია დიმიტროვკაზე ცხოვრობდა პატარა ოთახში. სტუდენტობის ხუთი წლის მანძილზე ამ თერთმეტმეტრიან ბინაში თავს იყრიდნენ ქართველი სტუდენტები, ღამეს ათევდნენ მოულოდნელად ჩამოსული თბილისელი სკოლის ამხანაგები. ერთხელ ისეც კი მოხდა, რომ პაწაწინა ოთახში რვა კაცმა გაათია ღამე. სივიწროვე და ნახევრად შიმშილი გულს ვერ უტეხდა მხიარულ ახალგაზრდებს, ვერ არღვევდა მათს სიმყუდროვეს.

ამ ბინის ხშირი სტუმრები იყვნენ მერაბის მეგობრები, ხელოვანნი, სკოლის ამხანაგები: სოლიკო ვირსალაძე, არჩილ ებრალიძე, მისი ახალგაზრდობის ამხანაგები: ევგენი მიქელაძე, დავით ანდღულაძე, შალვა ცირღილაძე, ლადო გერმესაშვილი... შემდგომში ყველა ესენი ზოგი საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი გახდა, ზოგი — დირიჟორი, მომღერალი, მოჭადრაკე... მაშინ კი, ოცდაათიან წლებში, თითოეული მათგანი მხოლოდ ოცნებობდა ყოველივე ამაზე.

მერაბი თბილისშივე ფორტეპიანოს დაკვრას სწავლობდა, თავდავიწყებამდე უყვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა. და როდესაც ერთხელ მასთან დავით ანდღულაძემ მიირბინა და კარებიდან შესძახა: „მომილოცე, მერაბ, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრში მიმიღესო!“, მერაბი მოეხვია უფროს მეგობარს და გახარებულმა უთხრა, შენს ყოველ სპექტაკლზე ვივლიო.

მერაბთან პაოლო იაშვილიც მეგობრობდა, თუმცა ისიც ბევრად უფროსი იყო მასზე. ცნობილ ქართველ პოეტს მარტო პოეზია კი არ უყვარდა, არამედ ჭადრაკიც. პოეზია მისი პროფესია იყო, მისი სულის ნაწილი, მისი მეორე „მე“, ჭადრაკს კი სუსტად თამაშობდა. სამაგიეროდ, საოცარი გულშემატკივარი იყო!

მოსკოვში საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა. გაზეთები ლასკერის, კაპაბლანკას, ბოტვინიკის, ფლორის სახელებით იყო აჭრელებული. ამ ტურნირში ქართველი მოჭადრაკე ვიქტორ გოგლიძეც მონაწილეობდა. ის მერაბის გულითადი მეგობარი იყო. ვიქტორს ოფიციალური სეკუნდანტები არ ჰყავდა. მერაბი ცუდად არ თამაშობდა ჭადრაკს და, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა მეგობარს. ქარხნიდან ყოველ საღამოს მიდიოდა ხელოვნების მუზეუმში. იქ პაოლოც მიდიოდა, ბევრი ღამე გაუთევია სამივეს სასტუმროში ჭადრაკის დაფასთან, ვიქტორის გადადებული პარტიისათვის ანალიზი რომ გაეკეთებინათ.

სტუდენტობის წლებში მერაბს განსაკუთრებით მზრუნველობდა აბელ ენუქიძე. მერაბი

თვეში რამდენჯერმე უნდა მისულიყო მასთან. აბელი ძალზე ჯავრობდა, თუ მერაბი დაიგვიანებდა. ენუქიძის ბინა კრემლში იყო, მამია ორახელაშვილისათვის განკუთვნილი ბინის გვერდით, მათ მეზობლად კალინინის, ორჯონიკიძის, მიქოიანის ოჯახები ცხოვრობდნენ. როდესაც მამია მოსკოვში გადავიდა და გრანოვსკის ქუჩის დიდი სახლის მესამე სართულზე დასახლდა, მერაბს უფრო მეტი მზრუნველნი და დამრიგებელნი გაუჩნდნენ. მათ ქვემოთ ალექსანდრე სერებროვსკი ცხოვრობდა — ცნობილი ინჟინერი, რომელმაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ჯერ ბაქოს ნავთობი, შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის ოქროს საბადოები, მათს პირდაპირ რევოლუციონერისა და გამომგონებლის პეტრე ჰერმოგენის ძე სიმიდოვიჩის ბინა იყო, გვერდით — ოტო შმიდტისა, და ემელიან იაროსლავსკისა, ქვემო სართულზე — სიმონ ბუდიონისა, ზემო სართულზე — დიმიტრი მანუილისკისა. ყველა ამ გამოჩენილმა ადამიანებმა თავისი კვალი დააჩინა მერაბის ხასიათს.

ქარხანა, რომელშიაც მერაბი მივიდა ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მიხეილ ივანეს ძე კალინინის სახელობისა იყო. ის მოსკოვის ცენტრის ახლოს მდებარეობდა ბოლშაია ტატარსკაიას ქუჩაზე, ხის სახლებით იყო გარშემორტყმული.

ქარხნის ოსტატები ერთ დროს საფლავის ლობეებსა და ჯვრებს აკეთებდნენ, შემდეგ კი — ფეხსაცმლის საკერავ მანქანებსა და საფეიქრო დაზგებს. შემდგომში მცირე ზომის ჰიდრავლიკურ ტურბინებსაც ამზადებდნენ. ზოგიერთი ტურბინი ახლაც მოქმედებს ლაგოდეხისა და დმანისის ჰესში, ახალციხესა, გერიუსახსა, ლენინაკანსა და დილიჟანიში.

ბევრი რამ ახსოვს მერაბ ორახელაშვილს, მაგრამ ყველაზე დასახსომებელი ძველი ქარხანაა ზემოსეთლონჩიის ცენტრში, ბოლშაია ტატარსკაიაზე რომ მდებარეობს. აქ აიდგა ფეხი, აქ დავაჟკაცდა და ჩამოყალიბდა მერაბი ნამდვილ ინჟინრად.

მთელი წლების მანძილზე და ოთხი ათეული წლის შემდეგაც, როდესაც ჰიდრომანქანათმშენებლობის გამოჩენილი სპეციალისტი, მოსკოვის ენერგოტექნიკის ინსტიტუტის პროფესორი გახდა, მერაბს ყველაზე გულთბილი მოგონებები გამოჰყვა სწორედ იმ ქარხანაზე, სადაც პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა. იგი დაუცხრომლად უმტკიცებდა თავის სტუდენტებს:

— აბა, რისთვის გარბიხართ ახლავე სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში? თუ გინდათ კარგი ინჟინრები გამოხვიდეთ, ქარხნიდან დაიწყეთ, მხოლოდ ქარხნიდან.

კალინინის სახელობის ქარხანა დიდი არ იყო, მაგრამ კოლექტივი მაშინვე მოეწონა მერაბს. აქ მებრძოლი ადამიანები მუშაობდნენ, გულწრფელნი.

მერაბმა მუშაობა თავდაპირველად საკონსტრუქტორო ბიუროში დაიწყო, ინჟინრის თანამდებობაზე. იქვე გაიცნო გამოცდილი ინჟინერი, ჰკვიანი და ნიჭიერი ადამიანი ვლადიმერ სტანისლავის ძე კვიატკოვსკი, რომელიც ბიუროს ედგა სათავეში. ახალგაზრდები მას „მოხუცს“ეძახდნენ, თუმცა ორმოცი წელი ის-ის იყო შესრულებოდა.

ბიუროში ძლიერი, საქმის მცოდნე ინჟინრები მუშაობდნენ, რომლებიც მეგობრულად უდგნენ ერთმანეთს მხარში, მაგრამ მუშებისაგან განცალკევებულები იყვნენ. ეს დაყოფა მერაბმა მაშინვე შეამჩნია. მერაბს პირდაპირ არაფერს ეუბნებოდნენ ამაზე, მაგრამ იგი ხედავდა, გრძნობდა, ესმოდა, რომ კონსტრუქტორებსა და საამქროს მომუშავეთა შორის არსებობდა დისტანცია. ინჟინერ-ტექნოლოგიც კი საფეხურით ქვემოთ იდგა ამ იერარქიულ კიბეზე. კონსტრუქტორის საქმეებში არავინ უნდა ჩარეულიყო. საამქროდან მოსულ შენიშვნებს კონსტრუქტორები ყურადღებას არ აქცევდნენ, ვერ ამჩნევდნენ, ნახაზებში რომ შეცდომა იყო, რომ კონსტრუქცია საკმაოდ არ იყო მოფიქრებული. თუ კონსტრუქტორთან ვინმე რაიმე წინადადებით მივიდოდა, მასში რაციონალურ მარცვალს კი არ ეძებდნენ, როგორც ახლა, არამედ უპირველესად — შეცდომებსა და ხარვეზებს.

ასეთი იყო მუშაობის სტილი.

მერაბი ძალზე ახალგაზრდა მივიდა საკონსტრუქტორო ბიუროში. ხოლო ახალგაზრდის აზრი, როგორც ცნობილია, გამჭრიახია. ამიტომაც შესძლო მან დაენახა ის, რაც სხვებმა უცებ ვერ შენიშნეს!

მერაბ ორახელაშვილი ძალიან ბევრ დროს ატარებდა საამქროებში. აი, სამსხმელი საამქრო. შენს თვალწინ ხსნიან ყალიბებს. ჩამოსხმული მასა ჯერ კიდევ გავარვარებულია, თვალს აბრმავებს მისი ელვარება, შემდეგ კი ნელდება, თანდათან ხდება ბაცი ყავისფერი, წაბლისფერი, რუხი, და ხედავ, როგორ ესხმება ხორცი ნახაზებს, რომელსაც საკონსტრუქტოროში მთელი დღეობით უჯექი.

აი, როცა უკვე ყველაფერი გაცივდა, ყველა ამჩნევს ჩამოსხმულზე ბზარებს, შენთან მოდის ხანდაზმული მუშა და საყვედურით გეუბნება:

— აი, ხომ ხედავ?

შენ კი იცი, რომ ეს ხანდაზმული ადამიანი უკვე ოცდაათი-ორმოცი წელია ჩამომსხმელად მუშაობს და ოქროს ხელები აქვს. იგი შინ არ წავა, სანამ არ გაერკვევა, თუ რა მოხდა, სანამ არ მოიფიქრებს, როგორ გამოასწოროს

მე სამუშაო დღე ელის. შენ მისი პატივისცემით იმსჭვალები. მართალია, ჩინებული მასწავლებლები გყავს საკონსტრუქტორო ბიუროში, მაგრამ ეს მოხუციც ხომ ბევრს გასწავლის. ჯერ ხომ აქ, საკონსტრუქტოროში უნდა ეძიო წუნის მიზეზი!

დაახლოებით, ასე მოხდა იმ, თითქოს ილბლიან, თითქოს ბედკრულ დღეს, როდესაც მერაბს მოუხდა პირველი კონფლიქტი თავის მასწავლებლებთან და ნაცად უფროსთან ვლადიმერ სტანისლავის ძე კვიატკოვსკისთან.

ქარხანა ახალ ტუმბოებს ითვისებდა, საჩამომსხმელოში თუჯის კორპუსს ასხამდნენ, მას ბზარები გაუჩნდა. ამ წუნის შესახებ დაიწერა ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთ „კალინინეცში", სტატიის სათაური იყო „სად იყურებიან კონსტრუქტორები?". საკონსტრუქტორო ბიუროზე პირველად ალაპარაკდნენ ასე მკაცრად. გაზეთის თავხედობა ყუმბარის გასკდომას გავდა.

საკონსტრუქტოროში კრიტიკას თავი აარიდეს. — ჩამომსხმელები ცუდად მუშაობენო. აი აქ მერაბი ოპოზიციაში ჩადგა, ჯერ გაოცდა, შემდეგ კი ალაშფოთა კოლეგები და მათი მხარისდამჭერი ვლადიმერ სტანისლავის ძე.

—განა ჩამომსხმელებია დამნაშავე? — შეეკითხა მერაბი. — მაგრამ ჩვენ ხომ არც კი ვცდილობთ საქმეში გარკვევას. შესაძლოა, კორპუსის კონსტრუქციაა არც თუ უცოდველი, იქნებ, საჭიროა კონსტრუქციის გადასინჯვა?

— რა არის იქ გადასასინჯი? — გაოცდა კვიატკოვსკი.

— ჯერ არ ვიცი. თქვენ ჩემზე მეტად გამოცდილი ხართ, მაგრამ მე მგონია, რადგან წუნი მასობრივია, მიზეზი უთუოდ კონსტრუქციაა. ბზარი ხომ ჩამოსხმული კორპუსის ერთდაიმავე ადგილზე ჩნდება?

კონფლიქტი დიდხანს გრძელდებოდა. მერაბი კვიატკოვსკისთან შედარებით ლლაპი იყო, მაგრამ ამ დავაში მას ჰქონდა ერთი უპირატესობა, რომელიც უნერგავდა სიმართლის რწმენას; იგი დღე და ღამ საამქროში იყო. მან გაუძლო, პირველ შეტევას გაუძლო!

შერიგება უბრალოდ მოხდა. ჭკვიანი და გამოცდილი ვლადიმერ კვიატკოვსკი დარწმუნდა, რომ ჩამომსხმელები კი არა, კონსტრუქტორები სცოდავდნენ. შეცდომაც მალე მოძებნეს. ტუმბოების კორპუსის კონსტრუქცია გადააკეთეს.

კონფლიქტი ამოიწურა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ თუმცა მცირედ, მაგრამ მაინც დაუახლოვდნენ ერთმანეთს საკონსტრუქტორო ბიურო და მუშები. შეირყა დამკვიდრებული წარმოდგენა კონსტრუქტორების უცოდველობისა. იმ დროს გამოჩნდა ქარხნის გაზეთში რეგულარული „ტექნიკური ფურცელი", ჩამოყალიბდა ინჟინერ-ტექნიკური სექცია. მრავალტირაჟიანი გაზეთის ფურცელს და სექციას მერაბ ორახელაშვილი მეთაურობდა.

ეროვნული

ცოტა მოგვიანებით, როდესაც ლენინგრადში ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა პირველი საკავშირო კონფერენცია მიმდინარეობდა, მერაბმა თვითკრიტიკული მოხსენება გააკეთა თავისი ქარხნის შესახებ. ზოგიერთები გაკვირდნენ, რა საჭიროა საჯაროდ თავის გაწკეპვლაო, როდის მომხდარა ასეთი რამ კონსტრუქტორებს შორისო. ბევრი კი მიხვდა, რომ არ უნდა შეგეშინდეს შინაური ამბების გახმაურებისა.

1934 წელი იყო, ქვეყანა სულ ახალ და ახალ ჰიდროელექტროსადგურებს აგებდა, მას ტურბინები და ტუმბოები ესაჭიროებოდა და მხოლოდ ყველაფრის კეთილსინდისიერ ანალიზს, მხოლოდ ხელისშემშლელ მიზეზთა ლიკვიდაციას შეეძლო წარმატების მოტანა.

მაგრამ უაღრესად თვითკრიტიკული მოხსენებაც კი ვერ აღმოფხვრიდა ტურბინებისა და ტუმბოების წარმოებაში არსებულ ხარვეზებს. არ კმაროდა გამოცდილება, ცოდნა. და ერთხელ — ეს იყო 1935 წელს, — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ მანქანათმშენებელ-ენერგეტიკოსთა ჯგუფი გამოიძახა. მათ შორის მერაბიც იყო.

საჭიროა, ყურადღებით შევისწავლოთ უცხოეთის გამოცდილება, — თქვა სერგომ. — გაემგზავრეთ შეერთებულ შტატებში. ყველაფერი ნახეთ, შეისწავლეთ.

ასე აღმოჩნდა მერაბ ორახელაშვილი ოკეანის გაღმა.

ოთხი თვე დაჰყო მერაბმა ამერიკის ჰიდროტურბინებისა და ტუმბოების დიდ ქარხნებში. როდესაც მოსკოვში დაბრუნდა, მოხსენების წერას შეუდგა. ამ დროს მერაბი სერგო ორჯონიკიძემ მიიპატიჟა თავის აგარაკზე. 1936 წლის ივნისის ცხელი და შეხუთული კვირა დღე იყო, მაგრამ სერგოს აგარაკზე გრილოდა. როდესაც მერაბი მიუახლოვდა ჭიშკარს, შავი ლაქით გაპრიალებული მანქანა დაინახა. ეს საცდელი ეგზემპლარი იყო „მ-1"-ისა. მერაბი მიხვდა, ამ მანქანით ლიპგარდტი მოვიდოდაო.

გორკის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ლიპგარდტი ცნობილი იყო, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი ავტომშენებელი. იმ დროს „მ-I"-ის ათვისება ახალი დაწყებული ჰქონდათ. მანქანა, რომელიც ჭიშკართან იდგა, პირველ ეგზემპლართაგანი იყო. მერაბი მიხვდა, რომ კონსტრუქტორი იმ მანქანით საგანგებოდ მოვიდა, რათა თავისი პირმშო სახალხო კომისრისათვის ეჩვენებინა.

— მობრძანდი, — მიიპატიჟა მერაბი ზინაიდა ორჯონიკიძემ. — სერგო ბაღშია.

სახალხო კომისარი, ლიპგარდტი და აკადე-

მიკოსი ბარდინი ხეივანში დასეირნობდნენ. მერაბიც მათ შეუერთდა. სერგო ხან ერთ სტუმარს გამოსდებდა ხელმკლავს, ხან მეორეს და ესაუბრებოდა. როდესაც ჯერი მერაბზე მიდგა, სახალხო კომისარმა სთხოვა:

— აბა, მოგზაურო, მოგვიყევი ამერიკის ამბები, როგორია შენი შთაბეჭდილება?

და მერაბმა დაიწყო თხრობა. იგი დაწვრილებით ჰყვებოდა ყველაფერს. სერგოს არ შეუჩერებია — გერმანული ტუმბოები საუკეთესოდ ითვლებოდა — თქვა მერაბმა, — ჩვენ თავის დროზე გვშურდა გერმანელების გამოცდილება, მაგრამ, თურმე ამერიკული ტუმბოები ეფექტურობით გაცილებით უკეთესი ყოფილა. გაცილებით მსუბუქი და ნაკლები დროც სჭირდება მათს დამზადებას.

— შეერთებული შტატები მაღლა დგას გერმანიაზე. ჩვენ ძალზე ჩამოვრჩებით ამერიკელებს.

— რა უნდა გავაკეთოთ? — ჰკითხა სერგომ.

— ჩემი აზრით, ამხანაგო სერგო, უნდა ავითვისოთ გამოცდილი ნიმუშები ზოგიერთი ამერიკული ტუმბოსი, ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

სერგო დაინტერესდა:

— ყველაზე მეტად რამ გაგაოცა ამერიკის ქარხნებში? მოწყობილობამ?

— არა, მოწყობილობა მათაც ისეთივე აქვთ, როგორიც ჩვენ. დაზგები ყველგან კარგი არ არის. ზოგან ჩვენზე უარესებსაც ნახავს კაცი.

— მათ მეტი მუშახელი ჰყავთ დაბანდებული?

— პირიქით, ნაკლები.

— მაშ აბა მაინც რამ გაგაოცა?

— შრომის ნაყოფიერების მაღალმა დონემ, — უპასუხა მერაბმა. — ნაკლები მუშახელი ჰყავთ და მნიშვნელოვნად მეტ პროდუქციას უშვებენ. ამის მიზეზებია: შრომის კარგი ორგანიზაცია, დეტალების მაღალი ხარისხი, ნაკლები წუნი და განსაკუთრებით, — ფართო კოოპერაცია.

სერგო შეჩერდა, დაეჭვებით შეეკითხა:

— ხომ არ აჭარბებ?

— არა.

— ფაქტები გაქვს?

— მაქვს.

მერაბმა ჩამოთვალა ქარხნები, ასახელებდა ციფრებს, ახდენდა შედარებას, სახკომი ჩაფიქრდა. მერაბი ელოდებოდა.

— როგორ ფიქრობ, — ბოლოს ჰკითხა სერგომ, მაგრამ მის ტონში არც უნდობლობა ჩანდა და არც ეჭვის ნიშანწყალი, — რა იქნება თუნდაც ერთი ქარხანა რომ გადავიყვანოთ ახალ პროდუქციაზე? მაგალითად, თქვენი?

მოულოდნელი კითხვა იყო. მერაბი ეძებდა აზრებს პასუხისათვის, მაგრამ სერგოსათვის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

— ერთი წლის ვადას მოგცემთ. ერთად მოიფიქრეთ, წარმოადგინეთ კონკრეტული წინადადებები. რა არის საჭირო, რით დაგეხმაროთ. დაფიქრდით, მაგრამ ამიერიდან დამშვიდებულ ცხოვრებას მოგანატრებთ!

მართლაც დაეკარგათ დამშვიდებული ცხოვრება ქარხნის დირექტორს, მთავარ ინჟინერს, კონსტრუქტორებს. სერგომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია მოიწვია. მოისმინეს მათი წინადადებები. ქარხნის ადმინისტრაცია ეშმაკობას შეეცადა — ტუმბოები გვაქვს, ისინი ქარხანას გამოადგებაო. მოინდომეს მათი დატოვება, მაგრამ ისინი ხომ იაფფასიანი, უვარგისი ხარისხისა იყო. ორსაფეხურიანიც ასეთი გახლდათ და ხუთსაფეხურიანიც, მხოლოდ ლილვს გამოსცვლიდი, ელექტროენერგიას კი ბევრს ხარჯავდა. წინადადება წამოაყენეს ამერიკულ კონსტრუქციაზე ძირითადი ტუმბოები გადავიყვანოთო, მაგრამ სერგოს ვინ მოატყუებდა?

— ძირითადი? — იკითხა მან. — ყველა კონსტრუქცია უნდა გადავიყვანოთ, მთლიანად!

ერთხელ მერაბს შინ შუაღამისას დაურეკა სერგომ და დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ მიდის ახალი ტუმბოების ათვისების საქმე. მეორედ სახკომმა ჰკითხა:

— თქვენ მთლიანად გადმოგაქვთ ამერიკული კონსტრუქცია?

— არა, — უპასუხა მერაბმა, — ჩვენ რაღაცრაღაცეებს ვცვლით.

— არამც და არამც არ მოიქცეთ ასე! — პროტესტი განაცხადა სერგომ. — დაიხსომე: გიკრძალავთ რაიმეს შეცვლას. — მერე დაყვავებით, მამაშვილურად უთხრა, რომ ნათელი ყოფილიყო: — ჯერ ასლი გადაიღეთ, რადგანაც გაქვთ ასეთი ბედნიერი შესაძლებლობა, დარწმუნდით, რომ ის თქვენს იმედებს გაამართლებს, შემდეგ გააუმჯობესეთ, გააგრძელეთ.

ექვსი თვის შემდეგ ჰიდრომანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში სამი ტუმბო გამოსცადეს — მცირე, საშუალო და დიდი. ისინი ეფექტური აღმოჩნდა. მერაბმა ვრცელი წერილი მისწერა სახკომს. ეს ბოლო მოხსენებითი ბარათი იყო ტუმბოების თაობაზე, რომელიც სერგომ წაიკითხა. გარდაცვალების შემდეგ მოხსენებითი ბარათი „ფრენჩის“ ჯიბეში უპოვეს.

მართლაც, წარმატება უზარმაზარი იყო. ერთ წელიწად-წელიწადნახევრის განმავლობაში კალინინის სახელობის ქარხანამ არნახული ხარისხობრივი ნახტომი გააკეთა ტუმბოების მშენებლობაში, მან 35 წლით გაუსწრო დროს. ჩვეულებრივად კი ასე როდი ხდება ტექნიკაში. ძველს ახალი, გაუმჯობესებული მანქანა სცვ-

ლის, რადგან ის უკეთესია. აბა რა საჭიროა გაუმჯობესება? მაგრამ შეძლებს კი ის დიდი ხნით პრიორიტეტის შენარჩუნებას? ვთქვათ, ხუთი ან ათი წლით შეძლო. შემდეგ ისევ ახალი რეკონსტრუქცია, ახალი სრულყოფაა საჭირო. რამდენი ცვლილება განიცადა ჩვენმა სამამულო ავტომანქანამ? ჯერ „მ-1“ გვქონდა, შემდეგ — „პობედა“, „ვოლგა“ და ბოლოს მეორე მოდელის „ვოლგა“...

ტუმბოების ამბავი კი სხვაგვარად მოხდა. ისეთი ტიპის ტუმბოები, ჯერ კიდევ 1937 წელს რომ აითვისეს, მერაბ ორახელაშვილი რომ მონაწილეობდა მათს შექმნაში, დღესაც არ არის მოხსნილი (და კიდევ დიდხანს არ მოიხსნება) წარმოებიდან. მოგვიანებით ათვისებულმა ტუმბოებმა ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ვერ შეცვალა „მერაბისეული“ ტუმბოები. მერაბსაც და ამერიკიდან დაბრუნებულ ინჟინერს მ. დ. აიზენშტეინსაც, მის სხვა კოლეგებსაც დიდად ეამაყებათ ეს ამბავი.

დღე და ღამეს ასწორებდა მერაბი კალინინის სახელობის ქარხანაში. ეს ქარხანა მის სახლად იქცა. ბევრი მეგობარი გაიჩინა ქარხნის ინტელიგენციაშიც, მუშებშიც.

იგი დაუმეგობრდა მჭედელ თედორე ტარანიჩევს, მაღალ, თუმცა ნაჯვავილარ, მაგრამ მაინც ლამაზ მოხუცს, პირდაპირ კაცს, მკაცრსა და უკომპრომისოს. თედორე ივანეს ძე სამჭედლოს უფროსი იყო და მათს დაახლოებას ხელი შეუწყო შემთხვევამ, რომელთანაც მერაბს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. მერაბის ერთ-ერთი კოლეგა, კონსტრუქტორი ტუმბოს აპროექტებდა, სხვებთან შედარებით უკვე დაპროექტებულს, უფრო დიდს. რადგან ახალ ტუმბოზე ქანჩებიც დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. მან პროპორციულად გაადიდა თავის პროექტში ქანჩების გასაღების ყველა ზომა. სამჭედლოში გასაღები გამოჭედეს, მაგრამ ძალიან ძნელი ასაღები იყო ხელში, სამუშაოდ. რასაკვირველია, არ ვარგოდა.

აი, როდის დაინახა ნამდვილად მერაბმა თედორე ტარანიჩევი. მოხუცმა მოატარია უზარმაზარი გასაღები საკონსტრუქტორო ბიუროში და იკითხა: — „ვინ დააპროექტა?“, ყველას შერცხვა, ვინც მაშინ იქ იმყოფებოდა, პროექტის ავტორსაც და სხვებსაც.

ამის შემდეგ მერაბი უფრო ხშირი სტუმარი გახდა სამჭედლოსი. მოხუცი მჭედელი აკვირდებოდა მას და ხედავდა, რომ ახალგაზრდა ინჟინერს უნდოდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, თავისი ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით გაემდიდრებინა. მოხუცი მერაბის მიმართ დიდი სიმპათიით იმსჭვალებოდა. ეს სიმპათია იზრდებოდა, მტკიცდებოდა და მეგობრობაში გადადიოდა.

მერაბს სხვა მეგობრებიც ჰყავდა: ივანე ივანეს ძე კლადოვი, შემკეთებელი საამქროს ოსტატი, ნათელი გონების პატრონი; ხელსაწყოთმკეთებელი ივანე კარლოს ძე ტიტცე, ოქროს ხელის მქონე ადამიანი — რასაც გნებავთ იმას დაამზადებდა ლითონისაგან — იგი იუველირი გახლდათ! სხვებსაც ასწავლიდა და აიძულებდა კიდეც, რომ ესწავლათ; სამოდელო საამქროს უფროსი ივანე ვასილის ძე სუხაჩევი, რომელიც მცირემცოდნე კაცი იყო, მაგრამ ნახაზებს ერთი თვალის გადავლებით კითხულობდა...

ყველა ეს ადამიანი — ტარანიჩევი, კლადოვი, ტიტცე, სუხაჩევი და ათობით სხვები მარტო მერაბისა კი არა, ყველა ახალგაზრდა კონსტრუქტორის მეგობრები იყვნენ. ახალგაზრდა კონსტრუქტორებმა შეიგნეს, რომ კონცეფცია: „თუ შენ ინჟინერი ხარ, უნდა ასწავლო“, ტრაგედიამდე მიიყვანდა კონსტრუქტორს. მიხვდნენ, რომ ნამდვილ ინჟინერს არ შეუძლია და უფლება არა აქვს წარმოებას ზემოდან უცქეროდეს, იგი ვალდებულია მისი მონაწილე გახდეს.

მერაბმაც შეიგრძნო ეს ბედნიერება. და, ალბათ ამიტომ, მრავალი წლის შემდეგ დაჟინებით უმეორებდა, ურჩევდა, მოითხოვდა სტუდენტებისაგან:

— როდესაც დიპლომს მიიღებთ, წადით ხასწავლებლად ქარხანაში... ტარინიჩევებთან და კლადოვებთან...

იყო ისეთი დღეები, როდესაც მერაბს ეგონა: მორჩა, მეტს ველარ გავუძლებო. მაგრამ გაუძლო. 1937 წელს დაიღუპნენ მისი მშობლები. ომის წინა წლებში იძულებული გახდა დაეტოვებინა მოსკოვი და ქარხანასთან განშორებაც მოუხდა, იმ ქარხანასთან, რომელმაც ინჟინერი გახადა, რომელსაც იგი, როგორც იტყვიან, შეედულაბა.

მაგრამ მერაბი ერთგული დარჩა თავისი თაობისა, თავისი პროფესიისა, თავისი ქვეყნისა. ჩავიდა მელიტოპოლში, რათა იქ ტუმბოებზე ემუშავნა. დაბინავება ვერ მოასწრო, რომ დიდი სამამულო ომი დაიწყო და ქარხანა მელიტოპოლიდან ურალში იქნა ევაკუირებული.

ასე აღმოჩნდა მერაბ ორახელაშვილი შორეულ, ბევრისათვის უცნობ კატაისკში.

ახლა კატაისკი ქალაქია. მაშინ კი სოფელი კატაისკი გულს არ აჩარებდა ქუჩებითა და დიდებული სახლებით. ქარხნის მშენებლობა ჩასვლისთანავე გაჩაღდა. ბეღლები და სხვა, ცოტად თუ ბევრად ხეირიანი შენობა ნაღმების გამოსაშვებად გამოიყენეს.

მერაბი ძალური სადგურის უფროსად დანიშნეს. სადგური ეკლესიაში მოათავსეს. დაამონტაჟეს და აამუშავეს დიზელი, ლოკომობილები, სამსხმელო საამქროსათვის დააპროექტეს მომცრო ბრძმედი. ყველაფერი ეს ომიანობის დროისთვისაც კი გასაოცრად მოკლე ხანში გაკეთდა.

ახლა ის შორეული დღეები, როდესაც გასაოცარი ტემპებით აღიმართა ქარხანა თითქმის ტრიალ ადგილზე, უკვე ისტორიაა. და ეს დაჭუელებული ქაღალდის ფურცლებიც, რომლებიც ჩემს წინ დევს, უკვე ისტორიაა. ფურცელს „გაზეტა“-მოლნაია“ ჰქვია. ზედ შავი ფანქრით დასმულია თარიღი — 1942 წელი, 24 ივლისი, და მთელ გვერდზე მელნით მოხაზულია მოწოდებები: „მეტი საბრძოლო მასალა და შეიარაღება ფრონტს!“ „მოლნიაში“ მერაბის შენიშვნაა:

„... ვითვალისწინებ სამსხმელო საამქროს მძიმე მდგომარეობას (არ ჰყოფნის მოწყობილობა, მუშახელი) და ვკისრულობ ვალდებულებას:

— როგორც ძალური საამქროს უფროსმა — უზრუნველვყო ელექტროენერგიისა და წყლის შეუფერხებლად მიწოდება სამსხმელო საამქროსათვის.

— როგორც ინჟინერმა — მივიღო მონაწილეობა სამსხმელო საამქროს ყოველგვარ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავებაში.

— როგორც მოქალაქემ — ძირითადი სამუშაოს შემდეგ ვიმუშაო სამსხმელო საამქროს კონვეიერზე იქამდე, სანამ იგი არ დაკომპლექტდება კადრების საჭირო რაოდენობით...“.

გვერდით კი რედაქციის შენიშვნა იყო:

„... დიდი შეგნების მაგალითს იძლევა ინჟინერი ორახელაშვილი. მის მაგალითს მთელმა ჩვენმა კოლექტივმა უნდა მიჰბაძოს“.

მასთან კატაისკაში პრაქტიკას გადიოდნენ ურალში ევაკუირებული მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები: ვლადიმერ სერგიევსკი, ვიაჩესლავ შემელი, ივანე შიპულინი. მოვინდომე მათთან შეხვედრა, რათა მოეგონებინათ ის შორეული წლები.

და შევხვდი კიდევაც. ვზივართ ჰიდრომანქანათა დირექტორის ივანე შიპულინის კაბინეტში. მისი მოადგილე (სამეცნიერო დარგში) ვიაჩესლავ შემელი, ქიმიური ტუმბოების ყველაზე დიდი განყოფილების უფროსი ვლადიმერ სერგიევსკი, სამი ათეული წლის შემდეგ, რამდენიმე საათის განმავლობაში მიყვებოდნენ, როგორ ცხოვრობდნენ კატაისკში, რა ისწავლეს მერაბ ორახელაშვილისაგან, რომელსაც აქამდე თვლიან თავიანთ მასწავლებლად, თუმცა თავად დიდი ხანია გახდნენ პატივსაცემი, ავტორიტეტული მეცნიერები.

— წარმოიდგინეთ, — მითხრა შემელმა, — ისეთ მძიმე დროს, როდესაც ღამითაც გვიხდებოდა მუშაობა, რათა შეგვექმნა ქარხანა და უზრუნველგვეყო პროდუქციის გამოშვება, მერაბ მამიას ძე ისე ხელმძღვანელობდა ჩვენს სტუდენტურ პრაქტიკას, თითქოს ომი არც კი ყოფილიყო. არავითარი შეღავათები, არავითარი მიფუჩეჩება!

— გახსოვთ, როგორ გადაგვარჩინა? — მოიგონა ივანე შიპულინმა. — რაღაც დავაშავეთ. რას იზამ, მოგეხსენებათ ახალგაზრდობა! და ქარხნის უფროსმა ბრძანა ჩვენი უკანვე, ინსტიტუტშივე გამგზავრება. ორმოცდაორი წელი იყო, ომი. უარეს სასჯელს ვერც მოიგონებდა კაცი. მერაბ მამიას ძემ გვიშველა, დაგვიცვა.

— შემდეგ მოსკოვში? — გაახსენა ვლადიმერ სერგიევსკიმ. — მერაბ მამიას ძესთან მე ხომ გავიარე სკოლა რიგითი ჯარისკაციდან გენერლამდე ნუ გეღიმებათ, მე უბრალო ინჟინრის თანამდებობით დავიწყე, მოწინავე კონსტრუქტორი გავხდი და მთელ ამ გზაზე მას მოვყავდი ხელჩაკიდებული...

ის, რაც ვლადიმერ სერგეევსკიმ მოიგონა, უფრო გვიან მოხდა დედაქალაქში. რომ არ დავარღვიოთ ქრონოლოგია, ვტოვებ ორახელაშვილის სამ მეგობარს შიპულინის კაბინეტში და ვუბრუნდები 1942 წელს, კატაისკში მერაბის პატარა დათოვლილ სახლს. გვიანი ღამეა, მაგრამ მერაბის მეუღლეს — მერის არ ძინავს. ელოდება მერაბის სამსახურიდან დაბრუნებას. მოვიდა თოვლისაგან მთლად გადათეთრებული. დეკემბრის სუსხით სახე აწითლებული, დაღლილი და აღგზნებული. შემოსვლისთანავე ეუბნება ცოლს:

— მოვიდა მოწერილობა, ვბრუნდებით დედაქალაქში.

შემდეგ მოუჯდება ღუმელს გასათბობად და უამბობს მერის:

— ამ წელიწადნახევარს ფუჭად ხომ არ ჩაუვლია. რამდენი ვართ აქ? — ორმოცდაათამდე მამაკაცი, დანარჩენი — ქალები. ქარხანა კი მუ-

შაობს, იძლევა პროდუქციას, ძალურ საამქროში ყველაფერი მოგვარებულია, საჩამომსხმელოში ვალდებულება შესრულებულია, ასე რომ, შეიძლება წასვლა დამშვიდებული სინდისით.— გაჩუმდა, დააკვირდა ცეცხლს:

— როგორ ფიქრობ, მერი, ვინ გამიხსენებდა?

მერიმ მხრები აიჩეჩა;

— არ ვიცი, შესაძლოა, ვლადიმერ კვიატკოვსკიმ გაგვიხსენა.

იგი ჩამოვიდა ჩაბნელებულ მოსკოვში ახალი წლის ღამეს. იწურებოდა ორმოცდაორი წელი. დგებოდა ორმოცდასამი. დილით დაწვრილებით შეიტყო ყველაფერი. მართლაც მერაბი ვლადიმერ კვიატკოვსკის მოგონებია.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში ურალის ელექტროფიკაციის საკითხი დადგა. დაიწყო კონსტრუქტორების ძებნა და ვლადიმერ სტანისლავის-ძემ, რომელსაც ჰქონდა დავალებული საკონსტრუქტორო ბიუროს ორგანიზება, სიაში მერაბი შეიტანა, დადგენილებას, რომელშიაც იხსენიებოდა ორახელაშვილის გვარი, ხელს აწერდა თვითონ სტალინი — ურალის ენერგეტიკას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა.

მერაბი დანიშნეს ხელმძღვანელ ინჟინრად საკონსტრუქტორო ბიუროში და ისიც შეუდგა ურალის ჰესისათვის ტურბინების პროექტირებას. შემდეგ ჰიდრომანქანათმშენებლობის ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროს ჰიდროტურბინების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1945 წლისათვის კი მცირე სიმძლავრის ტურბინების დამზადებას მოჰკიდა ხელი.

მცირე სიმძლავრის ტურბინები სოფლის ელექტროფიკაციისათვის იყო განკუთვნილი. უნდა წარმოვიდგინოთ ის დრო: ომი დასასრულს უახლოვდებოდა, სოფელს ენერგია და სინათლე ესაჭიროებოდა.

დამპროექტებლები შეუდგნენ საქმეს. ეს საქმე იოლი როდი იყო. ორთქლის ტურბინებში ყველაფერი ნათელია, ისინი განსაზღვრული წნევის ვარაუდით იგება — ოდესღაც 8 ატმოსფერო იყო, შემდეგ — 15, ახლა 240, ასე რომ, ძირითადი პარამეტრი მუდმივად არის ამორჩეული და უფრო ხელსაყრელია დროის ყოველ პერიოდში. რა უნდა უყონ ჰიდრავლიკურ ტურბინებს? მათი თვისებები მთლიანად წყლის დაწნევაზეა დამოკიდებული, დაწნევა კი — ათას მიზეზზე. რუსეთის ცენტრში ათ-ოცმეტრიანი დაწნევის ჰიდროელექტროსადგურებია საჭირო, ამიერკავკასიაში — ასობით მეტრიანი სადგურები, ზოგან ათმეტრიანის მიღებაც არ არის ხელსაყრელი. კეთილ ინებე და, ყოველი შემთხვევისათვის, განსაკუთრებული ტურბინი დააპროექტე! სწორედ ასეც იქცეოდნენ და მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, — მთელ მსოფლიოში!

მაგრამ ერთხელ სწავლულთა ჯგუფმა, რომელშიც მერაბიც შედიოდა და მისი კოლეგებიც, გამოაქვეყნა, რომ ნაპოვნია — ტურბინების ნორმალიზაციის საშუალება და მათი დაპროექტება ინდივიდუალურად კი არ უნდა მოხდეს, არამედ მთლიანად, სერიულად. ისინი უბრალოდ მსჯელობდნენ: ჩვენ ხომ ფეხსაცმელს ორმოცი ან ორმოცდაერთი ზომისას ვიცვამთ, არცერთ ჩვენგანს არ მოგვდის აზრად, რომ გამყიდველს მოვთხოვოთ, ვთქვათ, ორმოცი ზომა მეოთხედით, ანდა ოცდაცხრამეტი ზომა სამი მერვედით მეტი. ასეთ ზომებს წარმოება არ უშვებს და მყიდველიც უამისოდ მშვენივრად გადის ფონს. ამგვარად, მცირე ჰიდროტურბინების დაპროექტების დროს რატომ არ შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს გამოსაშვები ტურბინების სხვადასხვაობა?

მაგრამ იქვე წამოიჭრა მეორე საკითხი: როგორი კონსტრუქციის მანქანები ამოირჩეს? ზოგიერთის გამოშვება დიდი რაოდენობით შეიძლებოდა, შედარებით უბრალო ხერხით, მაგრამ ხარისხი?.. ღმერთო დაგვიფარე ასეთი ხარისხისაგან! შეიძლება, რასაკვირველია, ყველაზე დიდი ნაყოფიერების ტურბინები დაპროექტდეს, მაგრამ ვინ გამოჰყოფს ამისათვის სპეციალურ, ბრწყინვალედ აღჭურვილ ქარხნებს? ომი მთავრდება, სახელმწიფოს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს, ვიდრე მცირე ტურბინებია. ესე იგი, კომპრომისია საჭირო. უნდა მოიძებნოს ისეთი საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ტურბინები უბრალო საწარმოში დამზადდეს, ისეთშიაც, როგორიც სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებია. ატყდა ცხარე კამათი, შემოიტანეს სხვადასხვაგვარი წინადადება. კონსტრუქტორთა ერთმა ჯგუფმა ხის ტურბინების პროექტიც კი დაამუშავა. მათ ყველაფერი გაითვალისწინეს „წვრილმანის“ გარდა: „ხის ტურბინები ეფექტური და გამძლე არ არის, ყოველ წელს საჭიროებს გამოცვლას“. სხვები ასე მსჯელობდნენ: „რადგან ვაშენებთ ჰესს სოფელში, ბარემ დიდი იყოს, ათასობით კილოვატისა. აბა რას მოგვცემს რაღაც ოციოცდაათი კილოვატი? დიდ სალეწ მანქანასაც კი ვერ აამოქმედებს, მხოლოდ საცხოვრებლებს გაანათებს“. მაგრამ სოფლის დიდი ჰესის დრო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი.

მერაბმა და მისმა მეგობრებმა მოახერხეს დაემტკიცებინათ, რომ შეიძლებოდა ამორჩევა რამდენიმე სხვადასხვა კონსტრუქციისა მთელი წყლის დაწნევის დიაპაზონისათვის, რომ შეიძლებოდა არსებითად შემცირებულიყო ზომების სხვადასხვაობა. ეს რევოლუცია იყო და წყვეტდა სოფლის ელექტროფიკაციის

პრობლემებს იმ მძიმე დროს, როდესაც ქვეყანა ნანგრევებისა და ფერფლისაგან აღდგენას იწყებდა.

იმ დროიდან მერაბ ორახელაშვილის საკონსტრუქტორო ბიურო მცირე და საშუალო სიძლიერის ყველა ტურბინას აპროექტებდა, რომელიც კი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ქარხანაში შენდებოდა.

სოფელს ენერგია და სინათლე ესაჭიროებოდა. სოფელმა მიიღო იგი. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია — ჯილდო სოფლის მეურნეობაში მცირე ჰიდროტურბინების დამუშავებისათვის წილად ხვდათ პროფესორ ვ. კვიატკოვსკის, პროფ. მ. ორახელაშვილს, ნ. შაპოვს, ინჟინრებს გ. სტროევს, მ. კვიტკოს, ნ. კომისაროვს. მათ მიერ დამუშავებული ნორმალიზაციის პრინციპი საფუძვლად დაედო მსხვილ ჰიდროტურბინმშენებლობას, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებში გამოიყენეს და ახლა კი მთელმა მსოფლიომ აღიარა.

მრავალი წლის განმავლობაში მერაბ ორახელაშვილმა ჰიდროტურბინების 150 პროექტი შექმნა. მისი პროექტით დამზადებული ათასობით მანქანა მუშაობს მთელ ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, მისთვის ადვილი არ იყო კაბინეტში მაგიდასთან ჯდომა, ქარხნისაკენ უწევდა გული, სადაც მის მიერ დაპროექტებული მანქანები მზადდებოდა, ჰესზე და მტუმბავ-სადგურებში უნდოდა ყოფნა, სადაც მათ აყენებდნენ. იგი საქართველოს და სომხეთის, ციმბირის, შუა აზიის, ურალის ჰიდროელექტროსადგურებში სწავლობდა, ეხმარებოდა, ასწორებდა თავისსა და სხვის შეცდომებსა და დაუდევრობას.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და წარსული წლების ოდნავ მიმქრალი მოგონებები მეხსიერებაში ბუნდოვანი ფერებით ინახებოდა.

...სტალინოგორსკში, ქიმიურ კომბინატში ავარია მოხდა — აფეთქდა იმპორტული ტურბინა, საამქრო დაინგრა. მერაბი, როგორც სასამართლო ექსპერტი. არჩევდა კატასტროფის მიზეზებს. ექსპერტიზა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიზეზი ლითონების დამზადებისათვის მასალის ცუდი შერჩევა იყო. წყალი ხომ გაზებით არის გაჯღენთილი და ლითონთა ყოველნაირი კომბინაცია არ შეიძლება. ლითონს, რომლისგანაც იყო გაკეთებული საქშენი, გაუჩნდა ელექტროქიმიური კოროზია, საქშენი მოვარდა, კორპუსმა კი ველარ შეაკავა მთლიანი დაწოლა. — რასაკვირველია, კორპუსზე ცოტა ეკონომია როდი იყო გაწეული, — ამბობდა მერაბი, — მაგრამ მნიშვნელოვნად ბევრი დაკარგეს. მოგვიანებით, როდესაც მერაბს სხვა ქიმიური საწარმოსათვის ასეთივე ტურბინების აშენება დაავალეს, კორპუსები ძალზე დეფიციტური ძვირფასი ფოლადისაგან დააპროექტა. და გაუძლო კრიტიკას, აგრეთვე უძლიერეს „დაწოლას ზევიდან“, დეფიციტური მასალის უფრო ძვირფასით შეცვლის გამო. დიახ, მანქანა არ ჯდებოდა იაფი, მაგრამ აფეთქებული საამქრო ასჯერ უფრო მეტი ღირდა! ადამიანთა სიცოცხლე? სამამულო ჰიდროტურბინებით სსრ კავშირის ქიმიურ კომბინატებში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ავარიები აღარ ხდებოდა.

სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხანაში ელექტროჰიდრავლიკურ რეგულატორებს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიანიჭეს. მერაბი თავმჯდომარე იყო საერთო საუწყებო კომისიისა. მან ხელი მოაწერა ოქმს, რომელშიც დიდი შეფასება იყო მოცემული, რამდენიმე დღის შემდეგ კერძო წერილი გაგზავნა სამინისტროში, მისი ასლი კი — ქარხანაში. დიახ, დაადასტურა ორახელაშვილმა, რომ ნაწარმი მაღალი სიზუსტისა იყო, უდავოდ ღირსი გახლდათ ხარისხის ნიშნისა. — რომ დაეწიო ენერგოსისტემის გაზრდილ მოთხოვნილებებს და არ ჩამორჩე საზღვარგარეთულ ფირმებს, რომლებიც, რასაკვირველია გულხელდაკრეფილნი როდი სხედან, იფიქრეთ, გეთაყვა, შესაძლებლობებზე, ხარისხის უფრო მეტ ამაღლებაზე —ამბობდა იგი და დაწვრილებით, გულდასმით ჩამოთვლიდა შესაძლებელ ხარვეზებს.

...შორეულ ჩრდილოეთში, იაკუტიაში, ექსპლოატაციას ჩაბარდა ვილიუისკის ჰესი. ორახელაშვილი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში იყო. მას მოწყობილობის სექციის მეთაურობა დაევალა. კომისიამ იპოვნა დეფექტები და დაუმთავრებელი დეტალები. აქტი შედგა, ოქმს ხელი მოაწერეს. კიდევ რაღა იყო საჭირო? მერაბმა წერილი დაწერა მთავარ სამმართველოში, მოითხოვა ყურადღება მიექციათ ხარკოვის ტურბინების ქარხნის დაუმთავრებელი სამუშაოებისათვის, იგი რჩევა-დარიგებას იძლეოდა, თუ როგორ შეიძლებოდა საჩქაროდ ამუშავებულიყო მოწყობილობა. მერე რა ვუყოთ, რომ ეს სახელმწიფო კომისიის წევრის ვალდებულება არ იყო, კომუნისტის მოვალეობა ხომ იყო!

საქმეში მთავარი სამმართველოს უფროსი ჩაერია. წლების მანძილზე გაჭიანურებული ამბავი სამ თვეში მოგვარდა. და მალე ვილიუისკის ჰესი ამუშავდა...

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა გზაზე, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეძლო იმის შეცვლა, რაც მთავარი იყო მერაბის ხასიათში, ვერ დაარღვია მისი

ქაბუკური ალტაცება, მისი დაუცხრომლობა, დაჟინება, პირდაპირობა და გულითადობა.

ქვეყნიერების მრავალ ადგილას მერაბ ორახელაშვილმა კარგი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა: ჩინეთში დეხმარა ჰიდროტურბინთა დაპროექტებასა და აგებას; ჩეხოსლოვაკიაშიც, ვიეტნამშიც გაუწია მან დახმარება. ვიეტნამიდან ახლახან დაბრუნდა მისი ყოფილი სტუდენტი გუნ ნგოკ ნგუენი. მან მასწავლებელს წერილი გაუგზავნა: „ჩვენ ვაპროექტებთ ელექტროსადგურს და ვიცით და გვჯერა, რომ თქვენ დაგვეხმარებით ძვირფასო პროფესორო ორახელაშვილო“. და ვიეტნამელ მეგობარს უმალ გაუგზავნეს კატალოგები, რჩევადარიგება, რეკომენდაციები, ნახაზები...

როცა პროფესორ მერაბ მამიას ძე ორახელაშვილს შეუსრულდა სამოცი წელი, კოლეგებმა, მეგობრებმა, სტუდენტებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ეს დღე მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ვრცელ დარბაზში და მრავალი გულითადი სიტყვა უთხრეს მას. ისინი იგონებდნენ, თუ რა დიდი და საინტერესო ცხოვრება განვლო მან. რამდენი მრავალი კარგი საქმე გააკეთა ადამიანთათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, ისინი ამბობდნენ, რომ მერაბის მრავალი ყოფილი სტუდენტი გახდა ცნობილი ინჟინერი, და თავად მერაბი საყვარელი უფროსი მეგობარია ასობით თავისი სტუდენტისათ .იგი ისეთივე მგზნებარე, დაუცხრომელი და ენერგიულია, როგორც ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ იყოო.

— უყვარდე ადამიანებს, იყო მათი საყვარელი, მეტი რა უნდა ადამიანს? — ამბობდნენ ისინი.

...— იგი უეცრად გარდაიცვალა. სიტყვით გამოვიდა სამინისტროს სხდომაზე, შესვენების დროს ფანჯარასთან დაჯდა, თამბაქოს მოსაწევად და მორჩა!

ყველას როდი რგებია ასეთი სიკვდილი. და ყველას როდი დაუტოვებია ასეთი ხსოვნა. ნათელი, დაუვიწყარი ხსოვნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გაჩეჩილაძე

# რომანი და მკითხველი

გურამ ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატიოსანი“ მხოლოდ რამდენიმე თავი იყო დაბეჭდილი ჟურნალ „ცისკარში“, რომ უკვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ეს ინტერესი რომანის დამთავრებამდე არ განელებულა. რომანის ჟურნალში ბეჭდვა დასრულდა, მცირეოდენი ცვლილებებით ცალკე წიგნადაც გამოვიდა, მაგრამ მის შესახებ კამათის სიფიცხე არ განელებულა. და მართლაც, იმ პერიოდში, როდესაც „თვალი პატიოსანი“ იბეჭდებოდა, არც ერთ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ისეთი ინტერესი, თვალსაზრისთა შეჯახებები და პოლემიკა, როგორიც წილად ხვდა ამ რომანს.

დაბეჭდვისთანავე მას გულწრფელი ქომაგი და თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდნენ და სკეპტიკოსი ოპოზიციონერებიც. პირველნი დაუფარავად გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას, მეორენი თავშეკავებულად ანელებდნენ ამგვარი განწყობილების ნაკადს. პირველნი უაპელაციოდ იღებენ რომანის მთელ ფაქტურას, მეორენი — ჟურნალისტური პუბლიცისტიკის, დეტექტივისა და მხატვრული პროზის ნაზავად მიიჩნევენ მას.

უკიდურესობანი საბოლოოდ ერთ წერტილში ერთიანდებიან. „თვალი პატიოსანის“ შეფასების უკიდურესობებში აშკარად გამოჩნდა რომანის სულისკვეთებით გამსჭვალვის შეუმოწმებელი ენთუზიაზმიც და განებივრებული სნობის გულმოყირჭებაც, არაფერს ვამბობ მისი შეფასების „მესამე განზომილებაზე“ მედროვე იდეოლოგების მხრივ. ყველა შემთხვევაში გაუთვალისწინებელი დარჩა რომანის რეალური სახე და შინაგანი პათოსი.

გ. ფანჯიკიძის რომანი კი რეალურ და დამაფიქრებელ კითხვებს სვამს თანამედროვე საზოგადოებისა და კრიტიკის წინაშე. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამჯერად მხედველობაში გვქონდეს რომანის ესოდენ გახმაურებული კრიტიკულ-მამხილებლური ასპექტი. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და მის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი. ამჯერად, მხედველობაში გვაქვს ისეთი მომენტები, რომლებიც ჩვენი ლიტერატურული პროცესის საკვანძო საკითხებს უკავშირდება და, პირველ რიგში, ლიტერატურული პროფესიონალიზმისა და მხატვრული აზროვნების სპეციფიკითაა განსაზღვრული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, პირველ ყოვლისა, ჩვენი თვალთამზერა რომანის გმირთა სამყაროზე შევაჩეროთ. მათი აზროვნების სტილსა, ხედვის მასშტაბისა და ინტერესების პრიზმაში ნათლად ისახება მწერლის მხატვრული ამოცანისა და მისი რეალიზების პრინციპები.

## ორი მეგობარი

კაცისა და მოყვასის უფლებით ვსარგებლობ და [illegible] იმ ზომით, როგორადაც ჩვენ გამოვიყვანთ ჩვენს გმირებს, რათა არა მარტო წარმოგიდგინოთ ისინი, არამედ დროდადრო ჩამოვიდეთ ავანსცენიდან და ვისაუბროთ მათ შესახებ. თუ ისინი კარგნი და სათნონი აღმოჩნდებიან, შევიყვაროთ და მივესალმოთ. თუ ბრიყვნი არიან, მკითხველისკენ თავდახრილებმა, ვიცინოთ მათზე. თუ ბოროტები და უსულგულონი არიან ყველაზე ულმობელი სიტყვებით გავკიცხოთ ისინი ზრდილობის ფარგლებში.

უ. თეკერეი

„თვალი პატიოსანის" დრამატული პათოსი კონტრასტულობის პრინციპზეა აგებული. ამ კონტრასტულობის საფუძველს ქმნის გმირის ბუნების ანუ სიტუაციის სუბიექტური ასპექტის შეუგუებლობა ცხოვრებისეულ ვითარებასთან, ანუ სიტუაციის ობიექტურ ასპექტთან.

რომანის დრამატულ კოლიზიად ასეთი მოდელის შერჩევა რომანის გმირთა განსაკუთრებულობასა და მნიშვნელობის ხარისხს უნდა ითვალისწინებდეს. ამ მხრივ, გ. ფანჯიკიძის რომანის მთავარი გმირები ხასიათის მართლაც უაღრესად საინტერესო მასშტაბებითა და განვითარების დინამიურობით ხასიათდებიან. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რომანის მთავარი გმირები ინტელიგენტებია. ინტელიგენტობა არის მათი სოციალური მდგომარეობის ფორმაც და სულიერი არსებობის შინაარსიც. მათი მყოფობა დაკავშირებულია ადამიანური არსებობის ინტელექტთან დაკავშირებულ ძიებებსა და კონფლიქტის სფეროსთან. აქედან — მათი გამახვილებული გრძნობა ეთიკური საწყისისა და საერთოდ, ადამიანური ბუნების ფარულ მიმოქცევათა წვდომისაკენ.

გ. ფანჯიკიძის რომანის ღერძს ერთი გმირის, ოთარ ნიჟარაძის პიროვნება წარმოადგენს. ყველა დანარჩენი პერსონაჟი ამ ღერძის გარშემო უვლიან წრეს. ისინი მხოლოდ იმდენად არიან საინტერესონი, რამდენადაც მათთან ურთიერთობა, კონფლიქტის თუ ინტიმის შეხებაში მოსვლა ხსნის მთავარი გმირის ამა თუ იმ თვისებას, შესაძლებლობას ჰქმნიან ამ გმირის სხვადასხვა კუთხიდან დასანახავად.

მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩევა ერთი პიროვნება. ეს არის ოთარის მეგობარი თამაზ იაშვილი.

ფილდინგი ამბობდა: „ადამიანს სიმპათიურს ხდის მხოლოდ მისი სისუსტეებიო". თამაზ იაშვილი ასეთი სიმპათიის გმირია.

ურთიერთობის ის რთული გამა, რომელშიც ოთარ ნიჟარაძე და თამაზ იაშვილი იმყოფებიან, არ ამოიწურება ცნებით მეგობრობა. ამისათვის ისინი არათანაბარი და არატოლფარდოვანი მონაცემების ადამიანებია. მათი ხასიათებისა და შესაძლებლობათა განსხვავებულობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ ორი ადამიანის გარეგნულ კონტრასტულობას. მაგრამ საგულისხმოა, რომ სწორედ ამ გარეგნულ თანუხვედრელობაზე ააგო ავტორმა მათი იდენტურობისა და თვისობრივი იგივეობის პარადოქსი.

თამაზ იაშვილი, შინაგანად გახსნილი, ფაქიზი, მართლაც თვალი პატიოსანია, მაგრამ ფიზიკურად უმწეო, გარე სინამდვილის ტლანქ ბარიერებთან ჭიდილისათვის შეუფერებელი, მოკლედ ამ ცხოვრებისათვის მოუმზადებელი პიროვნებაა. მის არსებაში, ქვეცნობიერად, მიკრომასშტაბის თავადი მიშკინია დუბლირებული. მაგრამ აქ ერთი კორექტივია გასათვალისწინებელი.

მართალია, თამაზ იაშვილი სუსტი კაცია, მაგრამ სისუსტე, ამ შემთხვევაში დასაზუსტებელი ცნებაა. მისი სწორხაზოვანი და ერთმნიშვნელოვანი გაგება, როგორც უმწეობისა და უსუსურობის გამოვლინებისა არ ითავსებს სიმპათიურობის კატეგორიას.

სისუსტისა და უმწეობის მიმართ, რაც უკვე ავადმყოფობაა, სიმპათიის გრძნობა არ გვიჩნდება. აქ მხოლოდ სიბრალულზე შეიძლება ლაპარაკი.

სისუსტე მაშინაა სიმპათიური, როდესაც რაღაც ძლიერების თანაზიარია, მისი ანტინომიური თვისებაა. აბსოლუტის ხარისხში აყვანილი სისუსტე ხომ ისევე ეგოცენტრული მდგომარეობაა, როგორც აბსოლუტური სიძლიერე. სიმპათიური ადამიანი მათი გამაშუალებელი მედიუმია. მათ შორის რხევის ამპლიტუდა განსაზღვრავს ამ სიმპათიურობის ხარისხს.

თამაზ იაშვილი მართლაც სუსტია, მაგრამ სუსტია მხოლოდ აბსოლუტური ემპირიზმის, ობივატელური პრაქტიციზმის თვალსაზრისით. სამაგიეროდ მასში არის თავის გარშემო მყოფთადმი საოცრად გადამდები და ანგარიშგასაწევი ძლიერი თავისებურებაც. პირველ რიგში ეს არის ეთოსის უკომპრომისო და შეუპოვარი თანმიმდევრობით ტარების უნარი. ამ სფეროში მისთვის არ არსებობს „გადახრები", თუნდაც ისეთი ექსპერიმენტული ხასიათისა, რასაც ხანდახან ოთარ ნიჟარაძე მიმართავს.

მაგრამ თამაზ იაშვილი „არ არის ისეთი კაცი, რომელსაც ბრძოლა შეუძლია“ (226). ამიტომაა, რომ იგი უფრო მელოდრამულ სიტუაციებშია მოქცეული, განსხვავებით მისი მეგობრის წმინდა დრამატული კოლიზიებისა.

ოთარ ნიჟარაძე მისი ანტიპოდია, ენერგიის, თავდაცვის, შემტევი და დაბრკოლებათა გადამლახავი სულისკვეთებით. მაგრამ ოთარ ნიჟარაძე მხოლოდ გარეგნულადაა ასეთი. მისი ურთიერთობა უმწეო იაშვილთან აგებულია საკუთარი ზნეობრივი კომპლექსის დაცვის სტიმულით.

იაშვილი განასახიერებს იმას, რასაც თავის არსებაში შინაგანად ატარებს ოთარ ნიჟარაძე. როდესაც ოთარი იცავს იაშვილს, ფაქტიურად იგი იცავს შეურაცხყოფილ საკუთარ მე-ს, პატიოსნებას, სიწმინდეს.

მაგრამ არის მათ ურთიერთობაში კიდევ ერთი მომენტი. იაშვილი, მიუხედავად თავისი ცხოვრებისეული სისუსტისა, ძლიერი ნიჟარაძისათვის წარმოადგენს მორალურ ავტორიტეტს, ძალას, რომლის ნებას უყოყმანოდ მიჰყვება იგი.

ამდენად, იაშვილი და ნიჟარაძე ერთი მედლის ორი მხარეა. ისინი ერთი ნიადაგიდან და საერთო ფესვებით იკვებებიან. ისინი ავსებენ და ასრულებენ ერთმანეთს.

თავისებური ასოციაციის სახით, იაშვილის შინაგანი სიმართლე და სიწმინდე, იმავე როლს ასრულებს ნიჟარაძის ცხოვრებაში რა ფუნქციაც ალიოშა კარამაზოვის ეთიკურ პათოსს აკისრია „ძმები კარამაზოვების“ ცხოვრებაში.

კარამაზოვების ასოციაცია ამ შემთხვევაში, არ არის შემთხვევითი. გ. ფანჯიკიძის რომანის გმირთა, განსაკუთრებით ექსპერიმენტალურ ძიებებში აშკარად გამოკრთის დოსტოევსკის გმირთა სამყაროდან მონაქროლი მოდელები. ეს მომენტი თავისებურად ზრდის „თვალი პატიოსანის“ გმირთა მოქმედების მასშტაბებს.

ოთარ ნიჟარაძე და თამაზ იაშვილი ხმას იმაღლებენ უსამართლობის წინააღმდეგ პიროვნების სახელით. ეს აიძულებს ოთარ ნიჟარაძეს წავიდეს პრინციპულ კონფლიქტზე ზოგიერთ ადამიანთან, როცა საჭიროა პასუხი აგოს მათზე და როცა საჭიროა პასუხი აზღვევინოს მათ.

ორი მეგობრის მრწამსში ადამიანთა კლასიფიკაციის თავისებური პრინციპია ჩამოყალიბებული. ადამიანები იყოფიან კომპეტენტურებად და არაკომპეტენტურებად ანუ „სველი ნახერხით გატენილ თავებად“, ნაძირალებად და კეთილშობილებად.

მაგრამ როდისაა ადამიანი ნაძირალა? ეს კითხვა თავის დროზე რასკოლნიკოვის საგანგებო დაკვირვების თემას შეადგენდა. „წერილებში მკვდარი სახლიდან“ დოსტოევსკიმ ადამიანის განსაზღვრის ასეთი ფორმულირება ჩამოაყალიბა: „ყოვლის შემგუებელი არსება“. რასკოლნიკოვი ამ ფორმულირებას რადიკალისტურ განვითარებას იძლევა. მისი დასკვნაა: ნაძირალაა ის, ვინც ეგუება ბოროტებას, უსამართლობას, სიკეთის გათელვას.

ცხოვრების გამჭვირვალე ფონზე კი მუდამ გამოკრთის, არა მხოლოდ უთანაბრობა და უსამართლობა, არამედ ამ მოვლენებისადმი ადამიანთა ნებაყოფლობითი შემგუებლობაც. — სოციალური მიმიკრიის კანონი.

„თვალი პატიოსანის“ გმირები ცხოვრების ამგვარი წესისადმი დაუმორჩილებელი ადამიანები არიან. კაპიტულაცია უსამართლობისა და ბოროტების წინაშე. მათ შეგნებაში ნიშნავს თვით უარყოფას, მორალური თვითმოსპობის გამოხატულებას.

ამ მხრივ, მართალია, თამაზ იაშვილის სწორხაზოვანი რადიკალიზმი მიამიტურია, მაგრამ აშკარად შეიცავს ეთოსის ძალით ადამიანთა დამუხტვის შესაძლებლობას.

თამაზ იაშვილი ანგარიშს არ უწევს მის გარშემო შექმნილ ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც სიცრუე სიბრძნეა. სიბრძნე-სიცრუის დიალექტიკა მისთვის უცხოა. პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალში“ ერთ კაცზე ამბობენ: „ეს კაცი ისე უსინდისოა, ეტყობა ძალიან ჭკვიანი იქნებაო“.

ასეთი სიბრძნისაგან იაშვილი განტვირთულია. ანდერსენის ზღაპრის ბიჭუნასავით იგი მუდამ მზადაა თქვას, რომ „მეფე შიშველია“. მაშინაც კი, როცა იცის ამას მისთვის წამგებიანი შედეგები მოჰყვება. გავიხსენოთ კათედრაზე მის მიერ გამოთქმული სიმართლე, რის გამოც მას სამსახურს ატოვებინებენ.

„ნება მიბოძეთ გკითხოთ, როდის აქეთ გახდა სიმართლე დანაშაული“ — მხრების აჩეჩვით კითხულობს გაკვირვებული თამაზ იაშვილი და თავის გარშემო სამართლიანობის ათინათს ფენს.

თავისი ქცევის სისწორეში ღრმად დარწმუნებული, მაგრამ სამსახურიდან გაძევებული თამაზ იაშვილი თავისი ცხოვრების ასეთი კონფლიქტური სიტუაციების შემდეგ ყოველთვის ნიჟარაძისკენ მიეშურება. ეს არის ერთადერთი კაცი, ვისთანაც თამაზ იაშვილს შეუძლია თავისი აზრის არა თუ გაზიარება, არამედ თავისი რადიკალისტური ქცევების შემოწმებაც.

თამაზ იაშვილი მეგობრის სამყაროში მკითხველის თავისებური მეგზურია. ჩვენც ამ გზას დავადგებით. მაგრამ ეს გზა არ არის სწორხაზოვანი და ამ სამყაროში საორიენტაციოდ რამდენიმე მომენტის გათვალისწინებაა საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ნიჟარაძის ექსპერიმენტები

„ეს არის გულწრფელი წიგნი, მკითხველო. ეს წიგნი, რომ მე იმისთვის დამეწერა, რათა მაღალი საზოგადოების გული მომეგო გამოვიპრანჭებოდი და ჩემს თავს სრული აღჭურვილობით გიჩვენებდით. მაგრამ მე მინდა, რომ უბრალო, ბუნებრივი და ყოფითი სახით მიხილოთ, უშუალო და არახელოვნური, რამეთუ ვსახავ არა სხვა ვინმეს, არამედ საკუთარ თავს. მე რომ ისეთ ტომთა შორის ვცხოვრობდე, რომლებიც როგორც ამბობენ, ახლაც ტკბებიან ბუნების პირველადი კანონების თავისუფლების სიამოვნებით, უდიდესი კმაყოფილებით გამოვსახავდი ჩემს თავს მთელი სიმაღლით და თანაც — შიშველს“.

**მიშელ მონტენი**

ასე იწყება მონტენის „ცდები“, წიგნი გულწრფელობისა და მთელი ეპოქის ღირებულებათა გადაფასების შესახებ.

ყოველი ეპოქა ქმნის თავის მითოსს. მაგრამ როდესაც მითოლოგიზირებული პრინციპები გაყალბების სიმაღლეზე ადის, დროს მოაქვს მისი სახიდან ნიღბის ჩამოგლეჯისა და გაშიშვლების მოთხოვნილება. მითოლოგიზირების აბსოლუტიზაციის საბოლოო შედეგი დემითოლოგიზაციაა —დაუოკებელი სურვილი იხილო საგნის ბუნებრივი და ყოფითი სახე. იწყება ღირებულებათა გადაფასების, ხელახალი შემოწმების და განსჯის ულმობელი პროცესი. ასეთია ჩვენი ეპოქის ტენდენციაც.

ოთარ ნიჟარაძე ფსიქოლოგიურად ამ პროცესის მონაწილეა. მისი მწერლური ინტერესების გამო კი ის არის არა მხოლოდ მაძიებელი, არამედ დაკვირვების ობიექტიც. ოთარ ნიჟარაძისათვის ის პროცესი არის თვითშემეცნების და თვითანალიზის სკოლა. მან იცის რომ ფორმულა: „შეიცან ადამიანი“ კლასიკური დევიზიდან იწყება: „შეიცან თავი შენი“.

ამიტომაა, რომ მის გარშემო შექმნილ ზღვრულ-ფსიქოლოგიურ სიტუაციებს იგი აზარტულად განიცდის, განიცდის როგორც საინტერესო და მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს. ექსპერიმენტის თემა ეთიკური პრობლემაა: „სანამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი ან საერთოდ აქვს თუ არა ზღვარი ადამიანის სულიერ დაცემას“ (გვ. 68).

ეს თემა უაღრესად პიკანტურია თუ ექსპერიმენტი სხვას ეხება, აუტანელია და ზურგშესაქცევი, თუ იგი საკუთარ პიროვნებაზე ვრცელდება. ნეტარ ავგუსტინეს ეკუთვნის დაკვირვება იმ ადამიანებზე, რომელთაც ჭეშმარიტება უყვართ, როცა ის, ამჟღავნებს თავის თავს, მაგრამ ეზიზღებათ, როდესაც მათ ამხელს.

ოთარ ნიჟარაძე მოაზროვნეა და ორივე შემთხვევაში მიისწრაფის ჭეშმარიტებისაკენ. მას უყვარს ჭეშმარიტება, როდესაც სახიდან ნიღაბს გლეჯს სიყალბეს და უყვარს მაშინაც, როდესაც უკომპრომისო შემოწმების წინაშე აყენებს თავის თავსაც. ივანე კარამაზოვის მსგავსად იგი ერთი იმათგანია, «которым ненадобно миллионов, а надобно мысь разрешить». რომანში განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობა რომ ოდნავ დავარღვიოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რისკიანი და აზარტული მორალური ექსპერიმენტების წინაშე ოთარ ნიჟარაძე, პირველ რიგში, აყენებს თავის თავს.

ექსპერიმენტს რისკიანს ვუწოდებთ იმის გამო, რომ მორალური ექსპერიმენტი არ არის გულგრილი მოვლენა პიროვნების ხვედრისადმი: ის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. მაგრამ რაც უფრო დიდია განსაცდელის ხარისხი, მით უფრო იზრდება ოთარ ნიჟარაძის ლტოლვა ექპერიმენტის აზარტული ინტრიგისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ექსპერიმენტი ანუ ის ზღვრული სიტუაციები, რომლებიდანაც მას გამოსვლა უხდება, წინასწარვე ნავარაუდევი შედეგებით მთავრდება. ოთარ ნიჟარაძე ინტუიციით გრძნობს მისი წარმართვისა და შედეგების ხასიათს.

თუ რატომ ხდება ასე, ეს თვითონ მკითხველმა უნდა განსაჯოს. ასე ხდება იმიტომ, რომ ოთარ ნიჟარაძის პიროვნებაში ორიგინალური და არსებითია არა იმდენად ინტიმური ცხოვრების ასპექტები, არამედ შეგნების კონცეპტუალური ფორმა. ეს არის მისი მორალური ვალდებულების საფუძველი. მისი მორალური ვალდებულება კი, როგორც ამოსავალი კრიტერიუმი, მისი თვითგამოხატვისა და ინიციატივის სტიმულია.

ჯადოსნური ზღაპრის გმირების მსგავსად ოთარ ნიჟარაძე გზის მუდამ ალტერნატიული არჩევანის წინაშე დგას (ან-ან). გზა ორია. იგი ორ შესაძლებლობას, „ორგვარ სიმართლეს“ შეიცავს.

გზაგასაყარზე მდგარი ზღაპრის გმირი მისი ბედის მაუწყებელ ქვაზე კითხულობს: ვინც აქეთ წავიდეს, — ბედნიერია, ვინც იქით? ვინც იქით, მისი ხვედრი ამჯერად დიდი კითხვითი ნიშნითაა დაფარული.

მაგრამ რა იგულისხმება იმ გზაში, რომელიც

ბედნიერებას უქადის ჩვენს გმირს? ცხადია. ეს არის ბედნიერების ყოფითი, მცოცავი ემპირიზმის გრძნობით ნაკარნახევი განცდა. მისი მიღწევის საშუალებები და ოთარ ნიჟარაძის პიროვნული ღირსების გრძნობა ამ ბედნიერებაში თანუხვედრელი სიდიდეებია. ეს გზა მისთვის მიუღებელია.

მაგრამ თავი დავანებოთ წინასწარ დასკვნებს და თვალი გავადევნოთ ამ სიუჟეტურ ხაზს.

ეს არის გავაშელის ცოლთან ოთარ ნიჟარაძის ფლირტის „სერიოზულ" რომანად გაშლის პერსპექტივა. რა ფსიქოლოგიურ წანამძღვრებს ეყრდნობა ამ რომანის გაფურჩქვნის შესაძლებლობა?

გავაშელის ცოლთან პაემანი საკმაოდ მაცდუნებელია. ლამაზი ქალი ცირცეას დაუოკებელი ვნებით აღაგზნებს მამაკაცურ წარმოსახვას. მაგრამ მამაკაცური წარმოსახვის ულრმეს შრეებში აქ მარტო ლამაზი ქალი არ ფიგურირებს. არა ნაკლებ მაცდურ აღთქმებს შეიცავს ამ რომანის სოციალური სარჩული. მასში ცხოვრებისეული წარმატების ელემენტარული საიდუმლოებაა გამხელილი. იგი გვაუწყებს, რომ ამ ლამაზ ქალთან ტკობის სიამოვნება შეხამებულია ელვისებური სამსახურებრივი კარიერის პერსპექტივასთან. წრე თითქოს იკვრება, შეირწყა „სასიამოვნო და სასარგებლო", როგორც ამას ჰორაციუსი ეტყოდა ძველ რომაელებს.

ამრიგად, ოთარ ნიჟარაძე დგას გზის ალტერნატიული არჩევანის წინაშე. გავაშელის ცოლთან პაემანი დანიშნულია. ექსპერიმენტი თანდათანობით შედის თავის კრიტიკულ ფაზაში. იწყება საკუთარი საქციელის და მის გარშემო შექმნილი ვითარების შეფასებისა და გააზრების პროცესი.

„მაშ, 15 ივლისს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის" წყნარ, მყუდრო ნომერში.

ოთარი თავს ებრძოდა, მკერდზე ისევ გრძნობდა მანანას გრძელი, ნატიფი თითების ნაზ შეხებას და იმედი არა ჰქონდა, რომ ნებისყოფა არ უღალატებდა. მაშინ რაღა განსხვავება იქნებოდა მასსა და იმ ბიჭებს შორის, მხოლოდ თავისი სილამაზის ხარჯზე რომ ცხოვრობენ? ეს ხომ ღალატი იყო, ღალატი მამაკაცის მიმართ, ღალატი მამაკაცთა შორის არსებული ურთიერთ პატივისცემის მიმართ. თანაც ღალატი ნაცნობი, უაღრესად კეთილი და ვაჟკაცი კაცის მიმართ, რომელიც ასეთ პატივსა სცემდა ოთარ ნიჟარაძის პიროვნებასა და ნიჭს.

15 ივლისს, ბათუმში, სატუმრო „ინტურისტის" ვესტიბიულში, ხვადაგობამდე სულ ერთი ნაბიჯი იყო გადასადგმელი და ოთარ ნიჟარაძე თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ ნაბიჯისაგან თავს ვერ შეიკავებდა" (გვ. 111).

ეს გზა აშკარად მცდარია, უღირსი. არის კიდევ მეორე გზა. მაგრამ რისი მოტანა შეუძლია ამ გზას? ცხადია, მხოლოდ უსიამოვნო შედეგებისა. გავაშელის ცოლის გაწბილება თანამედროვე ცირცეას გაწბილებაა, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ქალური პატივმოყვარეობის შელახვა ვერაგულ შურისგებას შეიცავს. გავაშელი ვერაფერს მიხვდება ოთარს ისე დაატეხავს თავს სამსახურებრივ ანუ სოციალურ უსიამოვნებას.

ოთარმა საკუთარ თავზე გამოცადა შემაძრწუნებელი სულიერი წინააღმდეგობანი, რომელიც გავაშელის ცოლთან დაკავშირებით, მის მორალურ მრწამსსა და ინსტინქტურ ლტოლვათა შორის გაიღვარა. ცდუნება მართლაც დიდი იყო. ძნელი იყო მისი გაძლება. ოთარ ნიჟარაძემ მძიმე სახადივით გადაიტანა ეს განსაცდელი.

„თავადაც კარგად იცოდა, რომ ბათუმში წასვლა სულმდაბლობას, ხვადაგობას ნიშნავდა. ეს ღალატი იყო. ღალატი არა მეგობრის, ნაცნობის, კოლეგის ან ნათესავის მიმართ, არამედ ღალატი საერთოდ მამაკაცისა და მამაკაცობის მიმართ. ოთარ ნიჟარაძემ ცალი თვალით გახედა საათს. მატარებლის გასვლას ხუთი წუთი აკლდა. კიდევ შეიძლებოდა წამომდგარიყო, ტაქსი დაეჭირა და მატარებელს მცხეთაში დასწეოდა. ეს ცოტა რომანტიკულიც კი იქნებოდა. მაგრამ არა, არა და არა!" (154).

თეთრად გატეხილი ღამე და ეს გზა გამოირიცხა. ოთარ ნიჟარაძის ვარაუდი რეალობად იქცევა. ცოტა ხანში მას სამსახურს ატოვებინებენ.

ამრიგად, ცდის პროცესმა ჩაიარა. ექსპერიმენტში დაკავებული ადამიანები თავიანთ ძველ ადგილებს უბრუნდებიან. გადაადგილებული მხოლოდ ოთარ ნიჟარაძე აღმოჩნდა. ექსპერიმენტი ექსპერიმენტატორზე გავრცელდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ასეთ ექსპერიმენტს experimenium crucis ეწოდება.

ასე მთავრდება ოთარ ნიჟარაძის ერთ-ერთი მორალური ექსპერიმენტი. ოთარი სამსახურს კარგავს, მაგრამ არ კარგავს პიროვნულ ღირსებას.

ოდესღაც მეფე ლირმა ჩაატარა ექპერიმენტი. ლირის ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა შემოწმებას რწმენისას — საზოგადოებაში ადამიანის ფასის, მისი ღირსებისა და ამ ღირსების ტარების შესაძლებლობის შესახებ. მეფის რწმენა მიამიტური აღმოჩნდა.

ლირის მეფურ დიდებულებასა და სამეფოს გარეშე დარჩენილ მეფობას შორის უფსკრული გამოჩნდა. მოვლენების განვითარებამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო. ექსპერიმენტმა ექსპერიმენტატორი იმსხვერპლა.

თანამედროვე ლიტერატურა კარგად იცნობს

თავისი დროის პრაგმატისტულ სულისკვეთებას. ოთარ ნიჟარაძეც ასეთი დროის შვილია. მიამიტობა და გულუბრყვილო რწმენა ადამიანის სიდიადის შესახებ მისთვის ჯერ კიდევ ლირის ექსპერიმენტის ეპოქიდან უნდა იყოს ცნობილი. მისთვის ისიც ცნობილია, რომ ადამიანის სიდიადის შესახებ შექმნილი მითის დროსაც ესმოდათ ღმერთამდე ამაღლებული კაცის დაცემის შესაძლებლობა. მაგრამ გულუბრყვილო ეპოქაში ეს დაცემა მხოლოდ ცხოველის დონემდე დაშვებად იყო წარმოდგენილი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა შესანიშნავად იციან, რომ ადამიანი ცხოველამდე კი არა, ამ უუნარო არსებამდე კი არა, უფრო შინაარსეულ, ღრმა, უფრო მიზანსწრაფული და „ფაქიზი" დაცემის შესაძლებლობითაა აღბეჭდილი, ვიდრე ბუნების უწყინარი არსება.

ოთარ ნიჟარაძეს ამ დაცემის რხევას ამპლიტუდა აინტერესებს. მას აინტერესებს „ზღვარი", და საერთოდ საეჭვო მიჯნის შეფარდებითობა დაცემის უსაზღვრო შესაძლებლობათა სისტემაში.

ცხოვრებისეული კონფლიქტები, მოუწესრიგებლობა. უსამართლობა, მაფია ოთარ ნიჟარაძესათვის არის არა მხოლოდ საკუთარი მორალური დამოკიდებულების გამოსახატავი ასპარეზი, არამედ საანალიზო ობიექტიც. ოთარ ნიჟარაძე სიამოვნებით, პროფესიონალური კმაყოფილებით ეცნობა და უახლოვდება მისი ბუნებისა და მორალური მრწამსისაგან სრულიად დაშორებულ ადამიანებს. იგი უკავშირდება ბოროტებასაც. ცხადია, არა იმიტომ. რომ თავად იყოს ბოროტების მატარებელი, არამედ იმიტომ, რომ უკეთ იხილოს, გაიცნოს, მიწვდეს მის სახეს, დააზუსტოს მისი ადამიანური ფორმულა.

ეს ამოცანაც მორალურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს უკავშირდება. ოთარ ნიჟარაძეს ახლა ერთ-ერთ ასეთ საექსპერიმენტო სიტუაციაში ვეცნობით.

თამაზ იაშვილი და ოთარ ნიჟარაძე საქმოსნების სუფრას უსხედან. თამაზ იაშვილის ზნეობრივი გრძნობა შებღალულია, შეშფოთებულია. სამაგიეროდ შესანიშნავად გრძნობს თავს ოთარ ნიჟარაძე.

„ოთარ ნიჟარაძეს არაფერი აწუხებდა. სვამდა და ხუმრობდა, სადღეგრძელოებშიც ხშირ-ხშირად ურევდა, „დიდ ქართველს", „დიდ პატრიოტს", „დიდ ვაჟკაცს". თამაზი ცდილობდა გაერკვია, ოთარი ყოველივეს გულწრფელად ამბობდა თუ თანამეინახეებს შეპარულად დასცინოდა" (62).

საგულისხმოა ოთარ ნიჟარაძის ირონია, როგორც სტილი და მისი კავშირი რომანის სტილთან, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საკითხია და აქ მასზე არ შევჩერდებით, დავბრუნდეთ ისევ სუფრაზე.

მოვლენები აქ ისე ვითარდება, რომ [illegible]-საგან გალეშილი ერთ-ერთი ტანმოკლე საქმოსანი, რომელსაც სახელად მიშას ეძახდნენ და „ტუჩები ყულაბის ჭრილივით აჩნდა", გაჭინჭყლდა, გაჭირვეულდა და მოულოდნელად ოფიციანტს თხუთმეტი ათასი მანეთი შესთავაზა თუ ის ტაფაზე შემწვარი საკუთარი ნეკით გაალამაზებდა მათ „ღარიბულ" სუფრას.

სიტუაცია დაიძაბა. ექსპერიმენტი განვითარების კრიზისულ ფაზაში შევიდა.

„მიშა არ ხუმრობდა, ახლა იგი ისე იყო ატესილი, თითქოს თავშეკავების ყოველი ნერვი ვიღაცის უხილავმა ხელმა გადაუჭრაო. მას სხვა ძალა არ ჰქონდა. მას მხოლოდ ყიდვა შეეძლო და ეს იყო ფულით გალაღებული კაცის პატივმოყვარეობის ყველაზე ადვილი დაკმაყოფილების საშუალება. მაგრამ ოთარ ნიჟარაძეს ახლა ოფიციანტი უფრო აინტერესებდა, უნდოდა, გამოეცნო დასთანხმებოდა თუ არა იგი მიშას დელიკატურ წინადადებას" (გვ. 66).

თამაზ იაშვილმა აღშფოთებულმა მიატოვა სუფრა. გარეთ გავიდა. ოთარი, ცხადია, რჩება, „აშომშინებს" მიშასაც და ოფიციანტსაც. ოთარი გამოდის და მეგობარს დაეწევა. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— ბოლოსდაბოლოს მოიჭრა ნეკი? — იკითხა თამაზმა...

— სამწუხაროდ, ყველაფერი ჩაშალეს! — სთქვა სინანულით ოთარმა. იაშვილი მალე დარწმუნდა, რომ ოთარი არ ხუმრობდა და გაოცებისაგან პირი დაალო.

— ვთქვათ, ის კაცი დათანხმებულიყო ნეკის გაყიდვას. შენ, ოთარ ნიჟარაძე, მწერალი და მოაზროვნე ადამიანი, დაანებებდი ვიღაც მათხოვარს, ფულით გალაღებულ უსინდისოს ჩვენს თვალწინ, ადამიანების თვალწინ, ასეთი თავხედობა ჩაედინა, დაეცინა ყველასათვის და ყველაფრისათვის?

— „უ დ ი დ ე ს ი ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი თ" (გვ. 67).

ყოველივე მომხდარით თამაზ იაშვილი აღშფოთებულია, ხოლო მეგობრის თვალსაზრისით — დაბნეული. დიალოგი გრძელდება:

— „... აღიარე, რომ მან ყველა გაგვაბითურა, ფეხებზე დაგვიკიდა.

— პირიქით, ჩემო თამაზ, პირიქით. მან მხოლოდ თავის თავზე უარესი მათხოვარი იპოვა. აბა, რატომ შენ ვერ შეგბედა, ნეკი მომყიდეო. შენ შეიძლება სადისტიც მიწოდო, მაგრამ მე მაინც უნდა ვაღიარო, ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ოფიციანტი დასთანხმებოდა თუ არა ნეკის მოჭრას. ბოლოს და ბოლოს რა არის თითის მოჭრა, ისიც ნეკისა! ნაჯახის ერთი ენერგიული მოქნევა და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, იმავე წუთში შეეძლო ჯიბეში თხუთ-

მეტი ათასი მანეთი ჩაედო, თხუთმეტი ათასი მანეთი, ჩემი ათი წლის ხელფასია. ის კი, ოჯახის ერთგული უფროსი, ერთი წუთიერი ტკივილის საფასურად ამოდენა თანხას ამაყად შეიტანდა ოჯახში. ბოლოს და ბოლოს რას ჰკარგავდა? ბევრი, ბევრი მარცხენა ხელით ოქტავა ვერ აელო როიალზე“ (გვ. 68).

ოთარის აზრთა მსვლელობამ მეგობარი დააბნია. ნუთუ ოფიციანტს ნიჟარაძე მართლა დაანებებდა თითის მოჭრას? ეს ხომ ნამდვილი მარაზმია. კითხვა, რომელიც ახლა თამაზ იაშვილს დაებადა, უკვე ოთარ ნიჟარაძის პიროვნებაზე ვრცელდება, მასში რაღაც საშიში ბზარის გაჩენას უკავშირდება. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, თამაზ იაშვილისათვის იქნებოდა არა მარტო მეგობრის დაკარგვა, არამედ რწმენისა და იმედის გაცრუება, — სრული კატასტროფა.

ოთარი, ცხადია, ოფიციანტს კი არ დაანებებდა თითის მოჭრას, არამედ „უდიდესი სიამოვნებით“ ჩაწვდებოდა ზნეობრივი ცხოვრების შიფრს, რომელიც გაგვაცნობდა იმ საიდუმლოებას, „თუ სანამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი ან საერთოდ აქვს თუ არა ზღვარი ადამიანის სულიერ დაცემას“ (გვ. 68).

თამაზ იაშვილი მხოლოდ ახლა, ოთარის პასუხის შემდეგ ხვდება მთელი სუფრის მანძილზე ოთარის პოზისა და პოზიციის, მისი სადღეგრძელოებისა და საერთოდ, ამ საზოგადოებაში ტრიალის ქვეტექსტს.

ოთარ ნიჟარაძე არც ისე გულუბრყვილოა, რომ არ ხედავდეს მის გარშემო შექმნილი ატმოსფეროს რეალურ ხასიათს, მაგრამ თავადაც არ არის დაცემული, რომ თავისი შესაძლებლობებიც ამ მიმართულებით წარმართოს. მას აინტერესებს ამ ვითარების საზრისის, სწორი მოდუსის მიგნება. აქ არა მარტო გარეგნული მოვლენები, არამედ ადამიანის სულის ულრმესი შრეებიდან ამოტივტივებული ინსტინქტები და ფარული მიმოქცევებიც მძვინვარებენ. საინტერესოა არა მარტო სხვისი სულიერი მიმოქცევების ანალიზი, არამედ საკუთარი სულისა და სინიდისის სამსჯავროზე დაკვირვებაც. ასეთმა შესაძლებლობამაც არ დააყოვნა. ოთარ ნიჟარაძეს ახლა მორიგი ექსპერიმენტის ატმოსფეროში ვხედავთ.

საქმე შემდეგშია: ჩვენი გმირი უბედური შემთხვევის უნებლიე მოწმეა. დიდი სისწრაფით მომავალმა „ვოლგამ“ რომელშიც მძღოლთან ერთად გალაღებული თანამეინახეები ისხდნენ, კაცი გაიტანა და მოკლა. დამნაშავეებმა ღამის სიბნელეში ვერავინ შეამჩნიეს და მიიმალნენ. ოთარ ნიჟარაძემ მანქანის ნომერი ჩაიწერა და შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ მილიციის გამომძიებელს ყველაფერი აუწყა.

დამნაშავის მოკვლევა და დასჯა ასეთ შემთხვევაში, ცხადია, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ თურმე გააჩნია ვინ არის და რა შესაძლებლობისაა დამნაშავე. ეს მომენტი რამდენიმე დღის შემდეგ ნიჟარაძემ გამომძიებლის ქარაგმებით ლაპარაკის დროს იგრძნო.

იგრძნო, რომ ამ საქმეში მისი ყიდვის პერსპექტივაც ისახებოდა. მის გარშემო დამაინტრიგებელი სიტუაცია იხლართება. ექსპერიმენტი თავისი განვითარების კრიტიკულ ფაზაში შედის.

ოთარ ნიჟარაძეს ძველი ფულით ნახევარ მილიონს შესთავაზებენ თუ ის, როგორც უბედური შემთხვევის ერთადერთი მოწმე, დაადასტურებს რომ საჭეს უჯდა არა ნამდვილი დამნაშავე, არამედ მის გადასარჩენად ასევე დიდი თანხით მოსყიდული მოხალისე დამნაშავე.

ამ ამბის შესახებ, ვითომ თამაზ იაშვილისათვის უცნობი მისი მეგობრის თავგადასავალს, ისე ჰყვება ოთარი:

„შენ მათემატიკოსი ხარ და ჩემზე უკეთ იცი ციფრების ყადრი. ორმოცდაათი ათასი. ესე იგი ნახევარი მილიონი ძველ ფულზე. ეს თანხა რომ შენთვის დაედოთ წინ, თანაც რისთვის, მხოლოდ ერთი სიტყვისათვის? განა გაუძლებდი ცთუნებას? განა სული არ წაგძლევდა? მით უმეტეს, რომ იმ დალუპული ამხანაგისათვის სულერთია, ვინ ჩაჯდება ციხეში. კიდევ გეკითხები, გაუძლებდი ამ ცთუნებას?

— ჩემი მეგობარი რომ არ იყო, ამ შეკითხვასაც კი შეურაცხყოფად მივიღებდი.

— ესე იგი, გაუძლებდი. მე კი მეგონა, მარტო ის ჩემი ძმაკაცი იყო ასეთი ჭკუის კოლოფი“ (გვ. 210-211).

რომანში ამით მთავრდება დეტექტივი და მასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ხაზი. დასკვნების გამოტანა მკითხველის საქმეა.

ზუსტად არ მახსოვს და მგონი ცნობილ იურისტსა და ლევ ტოლსტოის მეგობარს, კონის უნდა ჰქონდეს აღნიშნული ერთი საგულისხმო ეპიზოდი საგამომძიებლო პრაქტიკიდან. რევოლუციამდელ რუსეთში დიდი საქმე ატეხრა ციმბირის ოქროს საბადოების კონცესიებთან დაკავშირებით. გავიდა ხანი და გამომძიებლის კაბინეტში უაღრესად ენერგიული სახის ებრაელი შემოვიდა. ცოტა ხნის ქარაგმული საუბრის შემდეგ მან გამომძიებელს მაგიდაზე ოქროს ასიგნაციებით გატენილი ჩანთა დაუდო.

— Это, ведь, взятка! — წამოიყვირა აღშფოთებულმა გამომძიებელმა.

— Успокойтесь, сударь! Это не взятка, это — состояние! — დაამშვიდა ებრაელმა და კარი გაიჯახუნა.

ჩვენ აღარ ვიცით, გამომძიებელმა გაუძლო თუ არა ცთუნებას.

არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენი ეკრანები მო-

იარა კრამერის გახმაურებულმა ფილმმა „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო“. ფილმის მთავარი გმირია პოლიციის უპატიოსნესი კომისარი, რომელიც საცაა პენსიაში უნდა გავიდეს. და აი, მთელი ცხოვრების მანძილზე პატიოსნად და ხელმოკლედ ნაცხოვრებ კაცს უცბად გაუჩნდა უზარმაზარი თანხის მითვისების შესაძლებლობა. კომისარს ნერვებმა უმტყუნა — ცდუნებას ვერ გაუძლო.

დავუბრუნდეთ ისევ ოთარ ნიქარაძის თავგადასავალს. აქ უკვე რაღაც დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ისახება.

ჩვენ ვნახეთ, რომ ოთარ ნიქარაძის ექსპერიმენტები საკუთარ თავზე ადამიანში მდრტვინავი „ორი სულის“, pro et contra-ს, მუდმივი დუელის, შეურიგებელი ანტინომიის გამოხატულებაა.

სიმართლეა ოთარ ნიქარაძის ყველა ბრძოლა საკუთარ ვნებასთან, გავაშელის ცოლთან პაემანის ჩაშლის გამო, მაგრამ სიმართლე იყო მისი ვნებისა და სისხლის ყივილიც ჩქარა წასულიყო პაემანზე.

სიმართლეა მისი აღშფოთება ადამიანისათვის თხუთმეტი ათასი მანეთის შეთავაზებასთან დაკავშირებით, თუ ის ნეკს მოიჭრიდა, მაგრამ სიმართლეა მისივე „სადისტური ინტერესიც“ ადამიანის მიერვე ასეთი „დელიკატური წინადადების“ რეალურად მიღების შესაძლებლობათა შესახებ. სიმართლეა მისი უარი და აღშფოთება საქმოსანთა ცდებზე მოისყიდონ იგი და ნახევარმილიონიანი თანხით დაფარონ დანაშაულის კვალი. მაგრამ სიმართლეა მისი ირონიული სიტყვებიც, როცა ამას არ აკეთებ „ჭკუის კოლოფი ხარო“.

ნიქარაძეში აქ მეორე მე, მისი მეორე ego დრტვინავს. ამ მე-ს თამაზ იაშვილის რადიკალიზმი არც ცნობს და არც იცნობს. მაშ სად არის ჭეშმარიტება და არის კი აქ ერთმნიშვნელიანი პასუხი? თუ ცხოვრების უნივერსალიზმმა არც იცის ასეთი ერთმნიშვნელოვანი განმარტებები? ერთი მნიშვნელობის აბსოლუტიზაცია ხომ ეგოცენტრიზმია. ირონია კი მისგან განტვირთვის გზაა. ოთარ ნიქარაძის ირონია ხომ თავდაცვის ფორმაა — ცხოვრებისათვის თვალის გასწორების ნიღაბი. მის მიერვე ჩადენილი რომელიმე კეთილშობილი საქციელის ან ცდუნების გაძლების მოქცევა ირონიის სამოსელში ხომ ყველაფრის გაბიაბრუებაა „ცხოვრებისეულობის“ სახელით. სად, სად არის გამოსავალი?

ცხადია, აქ მარტო გაძლება არ გაძლებაში სულაც არ არის საქმე. გაძლება არ გაძლების ალტერნატივა არც ნიქარაძის წინაშე მდგარა. გაძლების მოტივი იმათი კუთვნილებაა, ვისაც გასაძლებად აქვს საქმე. ოთარ ნიქარაძე სხვა კატეგორიის კაცია. მის სულიერ მიმოქცევებში სხვა ცეცხლი და სხვა ინტერესები ტრიალებს. ეს არის საზრისის, იდეის, დასმულ კითხვებზე პასუხის მიღების ვნება, ძიების ცეცხლი.

გავიხსენოთ ივანე კარამაზოვის შესახებ ალიოშას საუბარი მიშა რაკიტინთან: «Эх, Миша, душа его бурная. Ум его в плену. В нем мысль великая и неразрешенная. Он из тех, которым не надобно миллионов, а надобно мысль разрешить».

ასეთია ოთარ ნიქარაძის პათოსიც. ცხადია, აქ ივანე კარამაზოვისა და ოთარ ნიქარაძის ლიტერატურულ ანალოგიასა და ხასიათების იდენტურობაზე კი არ არის საუბარი. საუბარია იმ ფსიქოლოგიურ კომპლექსზე, რომელიც შემოქმედი და მოაზროვნე ადამიანის ქმედითობის სტიმულადაა დასახული.

## ვარიაციები პარალიტერატურის თემებზე

„თვალი პატიოსანი“ დამაინტრიგებლად, მკითხველის ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის დამმუხტველი პროლოგით იწყება. რაღაც მისტიური იდუმალებითაა გარემოსილი სახლიც კი, რომელშიც თამაზ იაშვილი ცხოვრობს. ამ სახლთან უცნაური და იდუმალებით მოცული მოგონებებია დაკავშირებული. „თურმე, აქ ოცდაათი წლის წინ სახლის პატრონი ჩამომხრჩვალი უნახავთ სამზარეულოში გადებულ უზარმაზარ დირეზე. უპატრონოდ მიტოვებულ სახლში მალე შეუსახლებიათ ხანში შესული უშვილო ცოლ-ქმარი, ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ ქალს იმავე დირეზე ჩამოუხრჩვია თავი“ (გვ. 5).

იქმნება ყველა პირობა, რომ დაიწყოს ედგარ პოსა და ჰოფმანის კოშმარული ხილვებიდან გადმოსული სანახაობა. ასეთ განწყობილებას აძლიერებს მთელი რომანის გასწვრივ გამყოლი შიშის მოტივი და ვიღაც უცნობის, მახინჯი, ჯოჯო, მეჩხერკბილებიანი კაცის სახე, რომელიც პერიოდულად ევლინება თამაზ იაშვილს და სულისშემაძრწუნებლად მოქმედებს მასზე. მის შეკითხვებს, მეჩხერი კბილებიდან გამოცრილ ღიმილს ექსოვება ექიდნობის, ფარული ქვეტექსტების შემცველი, ალმაცერობის, ქარაგმულობის ორაზროვნება.

მკითხველი დამუხტულია და მთელი რომანის მანძილზე ელის დასაწყისიდანვე შექმნილი კვანძის გახსნას, უცნობის ამოცნობას. მხოლოდ რომანის დასასრულში გაირკვა, რომ ეს არის, ყოვლად უწყინარი, უმწეო და არაქათგამოცლილი მტვირთავი. მისი მეჩხერი კბილები და

შემზარავი სახე მხოლოდ ცხოვრებისაგან გათელილი კაცის ატრიბუტებია. მთელი რომანის მანძილზე შექმნილი ეს იდუმალი ხაზი, მოჩვენებითი საშიშროებით ყოფილა აღბეჭდილი.

თუ ასეა, რა მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა? ეს კითხვა გ. ფანჯიკიძის რომანთან დაკავშირებულ რამდენიმე მომენტის გათვალისწინებას საჭიროებს.

დამაფიქრებელი კითხვა, რომელსაც „თვალი პატიოსანი“ თანამედროვე კრიტიკის წინაშე აყენებს, არის ამ რომანით დაინტერესებულ მკითხველთა მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, სიმპტომატური მრავალრიცხოვნება. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ამ კითხვაზე შესაძლებელ მრავალგვარ პასუხთა შორის, რომლის რხევის ამპლიტუდაც მკითხველთა კულტურის, გემოვნების და პროფესიული მასშტაბების სხვადასხვაობათა შორის მერყეობს — უნდა გვახსოვდეს ერთი ზოგადი ხასიათის პასუხიც: რომანის პოპულარობა განაპირობა მთავარი გმირისა და სიუჟეტის მიმზიდველობის თანხვედრამ მკითხველთა ფართო აუდიტორიის ხედვასთან.

ცხადია, ასეთი პასუხი არ ამოწურავს თანამედროვე რომანისა და მკითხველის ურთიერთმიმართების მთელ სპეციფიკას, მაგრამ მის გარკვეულ თავისებურებაზე კი აშკარად მიგვანიშნებს. მაგრამ რა იგულისხმება „მკითხველთა ფართო აუდიტორიის ხედვასთან“ რომანის სულისკვეთების თანახვედრაში? ვიდრე ამ კითხვას პასუხი გაეცემოდეს, უნდა გვახსოვდეს, რომ ისე როგორც არასოდეს, თანამედროვე ლიტერატურა იქცა მკითხველის მაძიებელ შემოქმედებად. მასობრივი ინფორმაციის უკიდურესი განვითარების ეპოქა, როდესაც ტელევიზია, რადიო, კინო, სპორტი და სხვა სარეკლამო სახეობები ულმობლად ნთქავენ ადამიანის ყურადღებას, წიგნისათვის განკუთვნილი დრო შეიზღუდა. წიგნისადმი ინტერესმა თითქოს მეორე პლანზე გადაინაცვლა. მისი დრო ინფორმაციის სხვა საშუალებებმა გაფლანგეს.

ასეთია, გარეგნულად საქმის ვითარება. მაგრამ ამ საკითხით დაინტერესებულ სოციოლოგთა საგულდაგულო დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მასობრივი ინფორმაციის მოძალების ეპოქაში წიგნისადმი ინტერესის უკანა პლანზე გადანაცვლება მოჩვენებითია. პირიქით, თანამედროვე ეპოქამ წიგნისადმი არნახული ინტერესი წარმოშვა. წიგნების ტირაჟებმა ასტრონომიულ ციფრებს მიაღწიეს. გაჩნდა მისი ამსახველი ცნებაც: „ჰუტენბერგის ვალაქტიკა“.

მაგრამ წიგნიცაა და წიგნიც. როგორი ლიტერატურისადმი იფეთქა ინტერესმა? ირკვევა, რომ მხოლოდ ისეთი წიგნისადმია მასიური ინტერესი, რომელიც თავისი ეფექტის ძალით აჭარბებს ან კონკურენციას უწევს ინფორმაციის სხვა საშუალებათა ეფექტს. ამ ეფექტის შესაძლებლობათა უსაზღვრო არსენალი ე. წ. „შავი სერიის“, დეტექტივის, მეცნიერულ-ფანტასტიკურის, ფოტორომანისა და კომიქსების ბელეტრისტიკას აღმოაჩნდა. გაჩნდა მათი ამსახველი მკრებელობითი ცნებაც — პარალიტერატურა.

ფრანგი სტატისტიკოსების გამოანგარიშებით მხოლოდ ერთი წლის მანძილზე პიერ სუვესტრისა და მარსელ ალენის „ფანტომასი“ წაიკითხა იმდენმა ადამიანმა, რამდენიც ოცი წლის მანძილზე არ წაიკითხავს ჰიუგოსა და ანატოლ ფრანსს.

ლიტერატურათმცოდნეობას კიდევ ერთი თავსატეხი საკითხი გამოუჩნდა. თუ ლიტერატურის არსებობას გამართლება აქვს, რომ ყავს მკითხველი, მაშინ რა არის ნამდვილი მწერლობა პარალიტერატურა თუ მწერლობის ტრადიციული მხატვრულ-შემეცნებითი გააზრება, როგორც ეს აქამდე ესმოდათ? სად უნდა ვეძებოთ განსხვავება ლიტერატურასა და პარალიტერატურას შორის? რა თვისებებით იზიდავს მკითხველს პარალიტერატურა? რა იგულისხმება ნაწარმოების სულისკვეთების თანხვედრაში მკითხველთა ფართო აუდიტორიის ხედვასთან? რამდენადაა ეს თანხვედრა ლიტერატურული წარმატების გარანტია?

ამ საკითხების განხილვას საერთაშორისო კულტურის (სერიზი — ლა —სალის) საგანგებო დეკადა მიეძღვნა.[1]

ჟან ტორტელმა დეკადას პარალიტერატურის ასეთი განსაზღვრა შესთავაზა: „პარალიტერატურა არის ერთნაირი რეაქცია ლიტერატურის ზოგიერთი ფორმების მიმართ. ესაა შემხვედრი ცეცხლი, კომპენსაცია ლიტერატურული ექსტრემიზმისა, მანერული მოწყენილობისა და ჰერმეტიზმისა... მსგავსად „მიზანტროპის“ ერთი სცენისა, რომელშიც ორანტის სონეტისაგან ალცესტი თავშესაფარს ეძებს ხალხურ სიმღერებში“ (გვ. 19).

მაგრამ რა თვისებებით იზიდავენ მკითხველს პარალიტერატურის გმირები? ამ კითხვაზე, მოხსენებაში „ფსიქოანალიზი და პარალიტერატურა“ ჟერარ მანდელმა ასეთი პასუხი ჩამოაყალიბა: „პარას გმირები წარმოადგენენ ჩვენივე ქვეცნობიერი სურვილების ხორცშესხმას“ (გვ. 150). მაგრამ რა იგულისხმება „ჩვენი ქვეცნობიერი სურვილების ხორცშესხმაში“? ეს არის მოთხოვნილებისა და ილუზიის, სურვილებისა და მისი მოჩვენებითი რეალიზების შერწყმაზე დაფუძნებული მხატვრული თვალსაზრისი. აქ ცხოვრებისეული, დაპირისპირე-

---

[1] დეკადის მასალები გამოვიდა ცალკე წიგნად: „საუბრები პარალიტერატურის შესახებ“ (გვერდები მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით. იხ. В. И. Мильдон, Беседы о паралитературе, Вопросы философии, 1972, № 1.

ბულ ძალთა ჰიდილი მძაფრდება, შიშვლდება, მაგრამ ამ ორომტრიალში ჩაფლული გმირი წარმატებით გამოდის განსაცდელიდან.

რა ფსიქოლოგიური კომპლექსი უდევს საფუძვლად ასეთ მიზანს?

ამ საკითხზე, „გრაფ მონტე კრისტოსთან" დაკავშირებით საგულისხმო შენიშვნას იძლეოდა ა. გრამში. „რომანი-დამატება" ცვლის (და იმავე დროს ავითარებს) ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანის ფანტაზიას. ეს არის სიზმარი ღია თვალებით... ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოცნება დამოკიდებულია „არასრულყოფილების კომპლექსზე" (სოციალურად), რომელსაც განსაზღვრავს ხანგრძლივი ოცნებანი შურისძიების იდეაზე, განცდილი ტკივილების გამო დამნაშავეთა დასჯაზე და ა.შ. „გრაფ მონტე-კრისტოში" სახეზეა ყველა ელემენტი, აუცილებელი იმისათვის, რომ ვესალბუნოთ ამ ოცნებებს და, ამგვარად, მივცეთ ხალხს ნარკოტიკი, რომელიც ტკივილის შეგრძნებას შეამსუბუქებდა".[1]

ასეთი განწყობილებებისა და სურვილების რეალიზაციას იძლევიან პარალიტერატურის გმირები. ჟერან მანდელის შენიშვნით ასეთი ნაწარმოებებისადმი საოცარი ინტერესი მომდინარეობს გაუცნობიერებელი სურვილიდან იხილო სხკუთარი ცხოვრება ან ისე იღბლიანი, როგორც ეს გრაფს გამოუვიდა ან ფანტომასივით ყოვლისშემძლედ და ყოვლისმოქმედად.

მაგრამ მიუხედავად ამ ლიტერატურისადმი მკითხველთა ინტერესის ასეთი სიმძლავრისა ჟან ტორტელის თქმით: „არავის მოუვა თავში აზრად ფლობერის, პრუსტის ან რობ. გრიიეს გვერდით განიხილოს ბოროტების მოტივები ფ. სიუსთან, ფაუსტური მოტივები ფ. სულიესთან, სახეების სისტემა პონსონ დიუ ტერაილიდან" (გვ. 13). პარალიტერატურის შესახებ მსჯელობას, ამჯერად, აქ შეიძლება დაესვას წერტილი.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანს".

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გ. ფანჯიკიძე ცდილობს დააინტერესოს და დაიპყროს თანამედროვე მკითხველი. მან კარგად იცის ინფორმაციით გულმოყირჭებული და აკადემიური ლიტერატურისადმი სკეპტიკურად განწყობილი მკითხველის ფსიქოლოგია. ამიტომ ყოველნაირად ცდილობს ამ მკითხველის ინტერესისა და ყურადღების მიპყრობას. ამ მიზნით მისი რომანის გმირი უამრავ შეხების წერტილებს პოულობს პარალიტერატურის გმირებთან. ისევე როგორც გ. ფანჯიკიძის პირველი რომანის „მეშვიდე ცის" გმირი ლევან ხიდაშელი, „თვალი პატიოსანის" ფავორიტი გმირიც დიდი შესაძლებლობების და პოტენციის კაცია. მკითხველი ესალბუნება და გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, არა მხოლოდ მისი სულიერი მიმოქცევების დინამიკას, არამედ იმ საქმეებს და კრიტიკულ სიტუაციებს, რომლის დრამატიზმიდანაც ღირსებით გამოდის ჩვენი გმირი. აქ ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გასაღები ვუპოვოთ გ. ფანჯიკიძის რამდენიმე ლიტერატურულ ტრიუკს, ლიტერატურულ ჩანაფიქრს და წმინდა მწერლური ოსტატობის მექანიზმს.

ამ თვალსაზრისით თვალი გადავავლოთ რომანის ზოგიერთ ეპიზოდს. სიმართლის თქმის გამო თამაზ იაშვილი პროფესორმა ნიკო კაკაბაძემ სამსახურიდან დაითხოვა. როგორც ჩვენ ამას შემდეგში პროფესორთან ოთარ ნიჟარაძის დიალოგიდან გამოვარკვევთ, მის ნაცვლად კათედრაზე პროფესორის საყვარლის ვაჟი მიუღიათ. აბუზული, დაბნეული და დამარცხებული სიკეთე ქუჩაშია გაგდებული. ცხოვრებაში არ არსებობს, ან იშვიათად არსებობს სასწაულმოქმედი ძალა, რომელიც ასეთ შემთხვევაში იაშვილის სამართლიანობის ინტერესს დაიცავს. მაგრამ იმავე დროს დიდია მკითხველის გულისწყრომა უსამართლობის გამო, სიკეთის დაჩაგვრის გამო. ჩნდება შურისგების სურვილიც, დამნაშავეთა დასჯის ოცნება.

ამ კონფლიქტის რეგულირებას მესამე და სასწაულმოქმედი ძალა ესაჭიროება. ამ ძალით ოთარ ნიჟარაძეა აღჭურვილი. გავიხსენოთ ოთარ ნიჟარაძის ვიზიტი და დიალოგი პროფესორ კაკაბაძესთან. მწერალმა დამაინტრიგებელი სიტუაცია შექმნა. მკითხველი აღტყინებულია შურისგების სურვილით, აღფრთოვანებულია ოთარ ნიჟარაძის როლით, მისი პოზით, მისი მეტყველების სტილით, რომელშიც შეზავებულია შურისგება, ირონია, გამჭრიახობა და ყველა ასეთი ბრძოლისათვის საჭირო აღჭურვილობა. მკითხველს არ აინტერესებს ის, თუ საიდან იცის ამდენი ჩვენმა გმირმა, საიდან გაუჩნდა ინფორმაცია კაკაბაძის ბანაკის სუსტი პოზიციების შესახებ.

„— რატომ ბრაზობთ, ბატონო ნიკო, თქვენ კარგი მათემატიკოსი ბრძანდებით, მაგრამ სხვა, ყოვლად ელემენტარული ამბებიც ხომ უნდა გესმოდეთ. თქვენ ამ არცთუ სასიამოვნო საუბრის დაწყებისთანავე უნდა მიმხვდარიყავით, რომ თქვენთან, ინტრიგებში საკმაოდ გაწაფულ და გამოცდილ ადამიანთან, შიშველი ხელებით არ მოვიდოდი. მე მგონი, ის ქალი, პირველსავე ოთახში რომ ტელეფონზე ლაპარაკობს, თქვენი მეუღლე უნდა იყოს. მე შემიძლია ხმამაღლა გავიმეორო ის მოკლე ფრაზა, თქვენ რომ ასე აგაღელვათ და აგაწრიალათ.

— მერე ეგ პატიოსანი ადამიანის საქციელია? ეგ ხომ შანტაჟია.

[1] А. Грамши, Избранные произведения в 3-х томах, т. 3, М., 1959, стр. 178.

— გეთანხმებით, მაგრამ მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ, მე თქვენივე მეთოდით ვიბრძვი. არც პატიოსნებაზე ვდებ მაინცდამაინც თავს, მაგრამ თქვენ ვერც პატიოსნებით, ვერც კაცობით, ვერც ჰუმანიზმით, ვერც მოქალაქეობით ახლოსაც ვერ მიხვალთ იმ კაცთან, რომელიც ასე უსინდისოდ, კინწისკვრით გაისტუმრეთ. თქვენ რომ მართალი კაცი იყოთ, აქედან პანღურით გამაგდებდით. თქვენ რომ ბინძურ საქმეში არ გქონდეთ ხელი გასვრილი, ერთ ვაიუშველებელს ასტეხდით, თავზე მილიციას დამაყენებდით. მე მგონი, ერთ რამეში უკვე დარწმუნდით — როცა მტერი ასე ჯიქურ და პირდაპირ მოდის, იცის სად დაგარტყას. თქვენ კი მშვიდი ცხოვრება გინდათ. თქვენ ახლა ხელს არ გაძლევთ ჩხუბი და ალიაქოთი...

— კმარა, კმარა, რა გსურთ ჩემგან?

— ეს უკვე საქმიანი საუბარია! — ოთარი ისევ მშვიდად მიაწვა სავარძლის საზურგეს და სიგარეტს მოუკიდა. ახლა მის სახეს ისევ დაუბრუნდა პირვანდელი უდარდელი, მშვიდი და ოდნავ დამცინავი გამომეტყველება“ (გვ. 39-40).

ამგვარმა ვიზიტმა და დიალოგმა გადაწყვიტა თამაზ იაშვილისათვის უკეთესი ადგილის გამოძებნის შესაძლებლობა აკადემიაში. ამ საქმის გმირი ოთარ ნიჟარაძეა, ყოვლისშემძლე, დაუმარცხებელი, მშვიდი და „ოდნავ დამცინავი გამომეტყველებით“.

იმავე სულისკვეთებითა და კიდევ უფრო აზარტულადაა შექმნილი ოთარ ნიჟარაძის საქმოსნებთან საუბრის ეპიზოდი ნახევარმილიონიანი თანხის თაობაზე. ოთარ ნიჟარაძე აქ არის ნამდვილი საქმოსნების დონეზე მაღლამდგარი პროფესიონალი, გამომძალავი, ვირტუოზი დეტექტივი, მამხილებელი ალიბების შემოქმედი და ანალიტიკოსი. მისი გამჭრიახობით მკითხველი მოხიბლულია. მოხიბლულია დახლართული სიტუაციებიდან და განსაცდელიდან მისი სუფთად გამოსვლის უნარით.

ის რაც ძნელია გამოვიდეს ცხოვრებაში, რეალური შესაძლებლობაა ოთარ ნიჟარაძისათვის.

ჩვენი ლიტერატურული პროცესის თვალსაზრისით, გ. ფანჯიკიძის მწერლური ლაბორატორიის ეს ასპექტი ბევრ საყურადღებო და დამაფიქრებელ მომენტს შეიცავს. პირველ ყოვლისა ეს ეხება მკითხველის მაძიებელი ლიტერატურის განვითარებისა და თავისებური გამოსვლის ძიების საკითხს.

## ᲨᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘ

ამრიგად, გ. ფანჯიკიძის რომანის მთავარი გმირების სულიერი და პრაქტიკული ინტერესების სფერო განსხვავებულია, მაგრამ საერთოა მათი მიდრეკილება ცხოვრებასთან დამოკიდებულებაში ამოსავალი კრიტერიუმის ძიებისაკენ.

ამ მხრივ, „თვალი პატიოსანში“ შეიმჩნევა ადამიანის სულიერ მიმოქცევებთან დაკავშირებული რამდენიმე მოტივის სისტემატური დამუშავების ცდები. ეს არის პიროვნული ღირსების, შიშის, უნდობლობის, უპირატესობის გრძნობასა და სხვა ფსიქოლოგიურ ნიუანსებთან დაკავშირებული მომენტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოტივთა თავისებური კომბინაციები ქმნიან რომანის შინაგან ატმოსფეროს, საერთო ნერვს, შინაგანად დამმუხტველ ფსიქოლოგიურ გამას, რომელიც მთელი რომანის მანძილზე ხან იკუმშება, ხან იშლება, ვითარდება, ვიდრე არ მიიღებს გარკვეული ინტერპრეტაციის საბოლოო ფორმას.

აღნიშნულ მოტივთა შორის, ამჯერად, საგანგებო ყურადღებას იქცევს შიშის მოტივი. ამ მოტივისადმი ჩვენი ყურადღება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. პირველ რიგში, აღსანიშნავია ამ მოტივის საერთო ფილოსოფიურ-ონტოლოგიური ასპექტი და მისი გამოძახილი თანამედროვე ლიტერატურაში. მეორეა ის, რომ უკანასკნელი დროის ქართულ პროზაში საკმაოდ გამოკვეთილი ხასიათი მიიღო ამ მოტივისადმი საგანგებო ინტერესმა. ამ ინტერესის რეალიზების საყურადღებო ნიმუშებად გ. ფანჯიკიძის რომანის გარდა შეიძლება დასახელებული იქნას თუნდაც ე. ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და სხვა.

მაგრამ ვიდრე გ. ფანჯიკიძის რომანში ამ მოტივის ინტერპრეტაციას შევხვდებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მისი რეალურ-ფილოსოფიური სპეციფიკის გათვალისწინება. შიში (Angst).

უძველესი ფილოსოფიის, ისტორიის ფილოსოფიის და ბოლოს თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ფუნდამენტური კატეგორიაა. როდესაც შიშის ფილოსოფიურ ასპექტზე ვმსჯელობთ. საჭიროა თავიდანვე გარჩეული იქნას შიში, (Angst) და სიმფრთხალე (Furcht, Боязнь). სიმფრთხალეში, ელდის ცემაში მუდამ კონკრეტული, სიტუაციურად გარკვეულ მოვლენაში განსახიერებული შიშის გრძნობა იგულისხმება. ეს არის ისეთი ვითარების გამოხატულება, რომელიც კონკრეტული საფრთხის სახითაა მოცემული და როგორც ასეთი, შეიძლება ინდივიდის განადგურების შესაძლებ-

ლობასაც შეიცავდეს. ეს არის აფექტებთან დაკავშირებული დაფრთხობა.

მაგრამ სხვა არის შიში უპიროვნო, გაურკვეველი ქვეშეცნეული, პირველყოფილი (Urangst).

ეს შიში გლობალურია და ეხება მთელ ყოფიერებას, მისი ჩრდილი განფენილია მთელ სამყაროზე. ეს არის შიში გარეშე კონკრეტული საფრთხისა, გარეშე კონკრეტული მტრისა და მოწინააღმდეგისა. მაგრამ მისი აღმოცენებისათვის გარკვეული პირობებია საჭირო. იგი წარმოიშვება ისეთი სიტუაციების განმეორებადი და ინტენსიური არსებობის ვითარებაში, რომელიც იწვევს საფრთხის განცდას. ეს მომენტი უკავშირდება პიროვნების განცალკევებას, თვითშენახვის, გადარჩენის, განმარტოვების ტენდენციას. მარტოობა შიშის პირობაა.

ასეთ ვითარებაში შიშის კონკრეტული სახეობა იფარება სამყაროსადმი შიშის ფორმით. ეს არის მყოფობის, საერთოდ არსებობის შიში. შიში და ყოფიერება ერთიანდებიან, ისინი გარკვეული მდგომარეობის ფორმას იძენენ. ამ მომენტის გაცნობიერება არის ადამიანური შემეცნების გამორჩეული თვისება. შიში აიძულებს ადამიანს გამოაცალკევოს თავისი თავი, ჩაღრმავდეს თავის მე-ში. შიში არსებობას თავისუფლებს, იცავს გაფანტულობისაგან და აბრუნებს თავისთავისაკენ. ჰაიდეგერის მიხედვით ცალკეულ მოვლენათა სამყარო იმსხვრევა, მაგრამ რაც რჩება შიში არსებობისათვის, ეს არის სამყარო მთლიანად, სამყარო თავისთავად. აქედან იბადება წუხილი, ზრუნვა. როგორც ადამიანის მუდმივი თანამდევი. მისი საფუძველია შიში. ასე განმარტავდა ჩვენი საბაც: „ზრუნვა — შიში დაცემისა".

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ დავუბრუნდეთ შიშის მოტივის ექოს „თვალი პატიოსანში".

გრიგოლ იაშვილი, თამაზის მამა, შიშის გრძნობას აუტანია. მან არ იცის კონკრეტულად რა საფრთხე, რა ფათერაკი ემუქრება, მაგრამ აწუხებს რაღაც „უბედურების მოლოდინის შიში". ეს შიში რაღაც აღსასრულის, ყოვლის წარმხოცი და განადგურების მაუწყებელი ომონოზური სიგნალებივით აღწევს მის არსებამდე და მას შინაგანად ღრღნის. ირკვევა, რომ გრიგოლ იაშვილის მოქმედების, მისი ეგზისტენციისა და საერთოდ თვითმყოფობის მთელი კომპლექსი შიშითაა გარემოსილი. რომანში ვკითხულობთ: „იგი არავის არ მტრობდა, არავისზე ცუდს არ ლაპარაკობდა, სიკეთის გარდა მისგან არავის არაფერი ახსოვდა, მაგრამ ეს მისი კეთილი და პატიოსანი ბუნებიდან კი არა, შიშიდან მოდიოდა". (გვ. 46).

ამრიგად, გარკვეულ სიტუაციებში გრიგოლ იაშვილის მოქმედების იმპულსს შიშის გრძნობა განაპირობებს. მაგრამ რა სახისაა ეს მოქმედება? გრიგოლ იაშვილის მაგალითი, ცხადია, არ ამოუწურავს შიშით გამოწვეული მოქმედების შესაძლებელ მრავალფეროვნებას. თუ იაშვილის ნებელობაზე შიშმა მომთოკველად, შინაგანი ძალების დამთრუნგველად იმოქმედა, ეს არ ნიშნავს, რომ შიშის გრძნობა მხოლოდ პარალიზების უნარით ხასიათდება. ის შეიძლება აგრესიისა და აქტივობის მიზეზადაც მოგვევლინოს.

ამ ფსიქოლოგიურ კომპლექსს კარგად იცნობს ოთარ ნიჟარაძე.

თამაზ იაშვილის ახალ სამსახურში ერთ უცნაურ პრეცედენტს ჰქონდა ადგილი. ლაბორატორიაში ერთი თავისთავში ჩაკეტილი თანამშრომელია — ალექსანდრე კობიძე. თამაზ იაშვილმა წიგნი სთხოვა — მან უარი უთხრა.

„— რატომ, ბატონო ალექსანდრე, არ მენდობით?

— არ გენდობი! იყვირა საშინელი ხმით კობიძემ. თვალები აემღვრა, ყბა მარცხნივ მოექცა და ლოყაზე კუნთი აუთამაშდა, — მერედა, ვინ გითხრა, რომ არ გენდობი" (141).

კობიძე ისტერიკაში ვარდება და ჭკუიდან შეიშალა. ირკვევა, რომ იგი ნაფრონტალი კაცია. ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი, მარტოხელა. „უნდობლობის" კომპლექსი მისი ფრონტული იარაა.

მეგობრები ამ პრეცედენტის შესახებ საუბრობენ.

„— იგი ფრონტზე შეიძლება ორი მიზეზის გამო შეშლილიყო: შიშისაგან ან... ოთარი შეყოყმანდა.

— ან რისგან? — მოუთმენლად ჰკითხა თამაზმა .

— ან სინდისის ქენჯნისგან. თუმცა ეს უკვე ბრალდებაა. არ შეიძლება, უცნობ ადამიანზე ასეთი აზრი გამოთქვა.

— სინდისის ქენჯნისგან?

— ჰო. ეს აზრი, ალბათ მიხვდი, რატომ დამებადა. როგორც შენ მიამბე, კობიძე ერთმა სიტყვამ გაამწარა ძალიან, შენ რომ უთხარი „არ მენდობით". შემდეგ დაჟინებით იმეორებდა ამ სიტყვებს" (144).

ამ საუბრის ვარიაციული დამუშავებაა რომანში ჩართული ინტერლუდია „მეორე მოთხრობის" სახელწოდებით. ინტერლუდია ოთარ ნიჟარაძის დაკვირვების ილუსტრაციაა. მას შეიძლება ოთარ ნიჟარაძის მოთხრობაც ეწოდოს.

საავიაციო დაბომბვის შემდეგ ნაწილი, რომელსაც ბექან აბულაძე ეკუთვნოდა, მთლიანად განადგურდა. ჯოჯოხეთური ხმაურისა და განადგურების შემდეგ გამეფებულმა სიჩუმემ თხრილში ჩაგდებული და დაჭრილი აბულაძე შეაშინა. „ბექანი შეიპყრო საშინელმა შიშმა. ახლა მიხვდა, რომ მარტო ის გადარჩა ცოცხალი თავის თანამებრძოლებს შორის. უზარმაზარი მინდორი მკვდრებით იყო მოფენილი და

ნიკვდილის „ამ სამეფოში მხოლოდ თვითონ იყო სულიერი არსება“ (146).

ინტერლუდიის ფსიქოლოგიური კოლიზია უნდობლობით გამოწვეულ შიშის გრძნობაზეა აღმოცენებული. ტყის კარავში ერთმანეთს ხვდებიან დაჭრილი ბექანი და გერმანელი ჯარისკაცი. ბრძოლის ველი შორსაა და ჯარისკაცის მუნდირში ახლა მხოლოდ მშვიდობიანი ადამიანები შეხვდნენ ერთმანეთს. ამ განწყობილებით მოსული გერმანელი ბექანს ეხმარება, უთანაგრძნობს, დახმარებას აღმოუჩენს. მერე კი დაღლილ-დაქანცული მის გვერდით დაიძინებს. მაგრამ შიში, უნდობლობა, ვაი თუ ყველაფერი ის, რაც მოხდა, ფარსია, თვალთმაქცობაა და ბექანი შეიძლება ამ თვალისახვევის მსხვერპლი შეიქნას, მას საბედისწერო და შემზარავ მკვლელობას ჩაადენინებს. ბექანი შიშის გრძნობის მსხვერპლი შეიქნა. სიტყვა „უნდობლობა“ მისი ტვინის შემაკავებელი ცენტროების მომშლელ ფაქტორად მოქმედებს. ბექანი ჭკუიდან იშლება.

ოთარ ნიჟარაძის დაკვირვების არეალში ამჯერად შიშის ფსიქოლოგიური კომპლექსი მოექცა. შიშის გრძნობის რეალიზაციაში ოთარ ნიჟარაძე სწორ ორიენტირებს პოულობს. კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო რომანში წარმოსახულ შიშის მოტივთან დაკავშირებით, მაგრამ ამჯერად, ამით დავკმაყოფილდეთ.

## კრიტიციზმის სული

„თვალი პატიოსანის“ გმირები რადიკალისტური მრწამსის ადამიანები არიან და ძალიან ბევრს თხოვენ, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს. მათი მოჭარბებული თვითკონტროლისა და თვითშემეცნების გრძნობაა მაქსიმალიზმი, აზროვნებისა და განსჯის პირობა — კრიტიციზმი. ასეთი სულისკვეთების არეალი მათი პიროვნებიდან იწყება და იმგვარი ინტენსივობით ვრცელდება გარემომცველ სინამდვილეზე როგორც ზღვაში ნასროლი ქვებისაგან გაჩენილი რგოლები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ოთარ ნიჟარაძე არ არის სტიქიური, იმპულსური მოქმედების კაცი. კონფლიქტური სიტუაციები, რომლებშიც იგი ექცევა, გამოწვეულია არა იმით, რომ მან არ იცის შექმნილი ვითარების ხასიათი, არამედ იმით, რომ მან იცის მისი თავისებურება, მაგრამ მისდამი მონურ მორჩილებასა და პიროვნული ღირსების გრძნობათა მიმართ იგი შინაგანად დუელიანტის როლშია.

ოთარ ნიჟარაძემ კარგად იცის თეატრალობითა და ფარსით ცხოვრების თავისებურება ცხოვრებაში; კარგად იცის ცხოვრებისა და რეალობის ფასიც, თეატრალობასა და ლიტერატურაში.

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი:

თამაზ იაშვილს სიმართლის თქმისათვის გუდანაბადი აუკრეს ინსტიტუტიდან. რა უფრო სწორი იყო, ის, რომ თამაზმა სიმართლე თქვა და სამსახურიდან გამოაგდეს თუ ის, რომ ეცრუა და ამ ფარსით უფროსის კეთილგანწყობაც შეენარჩუნებინა და სამსახურიც; ოთარ ნიჟარაძე ახდენს ტყუილების კლასიფიკაციას.

„— ეჰ, ჩემო თამაზ, ჭკვიანებმა ყოველთვის იციან რა ილაპარაკონ. შტერები კი იმას ლაპარაკობენ, რაც იციან...

— კარგი, ოთარ, გეყოფა ხუმრობა, ძალიან კარგად გიცნობ — და ჩემს ადგილზე ვიცი როგორ მოიქცეოდი.

— გატყობ ცუდად მიცნობ. იქნებ გგონია, ტყუილის თქმას არ ვიკადრებდი .ან იქნებ გგონია, რომ დღეს ტყუილიც არ მითქვამს? უბრალოდ, ისე შევეჩვიეთ ტყუილების ლაპარაკს, ველარც კი ვარჩევთ, როდის ვიტყუებით.

— მაინც არა მგონია, შენ ამას სერიოზულად მეუბნებოდე.

— აბსოლუტურად სერიოზულად და, საერთოდ უნდა იცოდე, ჩემო კარგო, რომ ტყუილები კატეგორიებად იყოფა. უსინდისო ტყუილების გვერდით არსებობს სრულიად უვნებელი, უმტკივნეულო და ხშირად სასიამოვნო ტყუილებიც კი. ტყუილი, რომელიც შენ უნდა გეთქვა, სრულიად უმტკივნეულო სიცრუე იყო...

...მე დღეს ჩემი მთავარი რედაქტორი შევაქე, გამოცდილი და საქმეში ჩახედული კაცი ვუწოდე. ესე იგი, უსინდისოდ მოვატყუე. ი[…] წუთში კი, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი, იც[…] რას ვფიქრობდი მასზე? მე რომ სიმართლე[…] გამოვკიდებოდი, უნდა მეთქვა, თავი სვე[…] ნახერხით გაქვს-მეთქი გამოტენილი. აი, ე[…] იქნებოდა სიმართლე.

— მერედა, რატომ არ უთხარი?

— იმიტომ, რომ მაშინ აქ ორი უმუშევარ[…] ვისხდებოდით“ (31-32).

როგორც ვხედავთ, ოთარ ნიჟარაძემ იც[…] ტყუილის ფასი: მოძებნილი აქვს „სოციალურ[…] წარმატების“ ერთ-ერთი საიდუმლო მოდუს[…] ამ საიდუმლოების არსი ელემენტარულ დევი[…] შია გამხელილი. ეს დევიზი ასე შეიძლება ჩ[…] მოყალიბდეს: თუ გსურს წარმატება და დრო[…] ის დამორჩილება, საჭიროა ყველას აჯო[…] დროისადმი მორჩილებაში. საჭიროა შეესატყ[…] სებოდე მას. აკი დრო, ეპოქა, ისტორიულ[…]

სტილი ხომ ყოველთვის ითხოვს თავის დონეზე დგომას.

ტყუილების ამგვარი კლასიფიკაციის შემდეგ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ მთავარი რედაქტორის გაცნობა, რომელსაც ნიჟარაძემ „გამოცდილი და საქმეში ჩახედული კაცი“ უწოდა.

პიტერის „იერარქიოლოგიის“ პრინციპის მიხედვით ამ კაცზე შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულყოფილად განასახიერებს არაკომპეტენტურობის სინდრომს.

და მაინც მირონ ალავიძე სასცენარო განყოფილების მთავარი, შეუცვლელი და „ღირსეული“ რედაქტორია, ასეა ცხოვრებაშიც, თავის გარშემო მირონ ალავიძეს ასეთივე „კომპეტენტურობით“ აღჭურვილი თანამშრომლები მოსწონს. მათ სახეებზე თვალის ერთი შევლებაც კი საშიშია.

რეიმონდ ჰალი „პიტერის პრინციპის“ შესავალში იხსენებს იმ შემთხვევას, როცა 1810 წლის კომპანიის დროს ველინგტონი პორტუგალიაში გაგზავნილ ოფიცერთა სიას ეცნობოდა. სარდალმა სია გადაათვალიერა და შეშფოთებულმა წარმოთქვა: „ერთადერთ ნუგეშად ის მრჩება, რომ თუ მტერი ამ სიას გაეცნობა ისევე გააქრქოლებს, როგორც მეო“.

ასეთი ქრუანტელი უვლის ოთარ ნიჟარაძეს როცა ის სტუდიის ამ არაკომპეტენტურ თანამშრომლების პრეტენზიულობით აღსავსე სახეებს ხედავს. მათი გვირგვინი მირონ ალავიძეა.

მიმდინარეობს ერთი ყოვლად უნიჭო, უგემოვნო და პლაკატური სცენარის განხილვა. მირონ ალავიძე და მისი თანამოაზროვნენი ამ სცენარით აღფრთოვანებულნი არიან. ამ დროს მათი გონებრივი სიყალბე და სიცარიელე შენიღბულია სახის მოჩვენებითი საზრიანობით და ყალბი უშუალობის შუქით.

სცენარი მოგვითხრობს თუ როგორ იპოვეს ჭურვი ბავშვებმა, მირონ ალავიძის აზრით საჭიროა გამძაფრდეს ის მომენტი, რომ ბავშვებმა „არ იციან, რომ ხელთ სიკვდილის მანქანა უპყრიათ, ისინი ყუმბარას რკინის ჩხირებს უჩხიკინებენ, ცეცხლის პირას სდებენ. ყოველ წუთში მოსალოდნელია აფეთქება“. მირონ ალავიძის აზრით „მთელი მღელვარება, სწორედ ამ მომენტზე უნდა გადავიტანოთ. ბოლოს... ბავშვები მშვიდობიანად დაშლიან ყუმბარას და მასში მინდვრის ყვავილების კონას მოათავსებენ. ფინალი მოულოდნელია, სიმბოლური — ბავშვებმა ყუმბარა საყვავილედ გადააკეთეს...“ (97). თანამედროვე მკითხველი და მაყურებელი არა ერთხელ დამტკბარა ასეთი „ბამბანიერკის“ ტიპის ნაწარმოებებით.

ოთარ ნიჟარაძე, როგორც წესი, ასეთი შედევრებით აღფრთოვანებულ ალავიძეს და მის თანამოაზრეებს ხასიათს არ უფუჭებდა და თავის აზრს არ გამოთქვამდა, იცოდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ახლა მირონ ალავიძემ პრინციპულად მოითხოვა მოესმინათ მისი აზრი. ოთარმა წინამორბედი ორატორების სტილში შეამკო სცენა კომპლიმენტებით, აღნიშნა უფროსი რედაქტორის გამჭრიახობა და მოკრძალებით შეეცადა მირონ ალავიძის იდეური შთანაფიქრის გაღრმავებას. ახლა მირონ ალავიძე დამტკბარი, ბედნიერი და ოთარისადმი ყოველგვარი აგრესიის გრძნობისაგან განმუხტული ხელმძღვანელია.

ნიჟარაძემ განაგრძო: „სცენარში ნაჩვენებია მშვიდობისმოყვარე ბავშვების სახეები. კარგადაა გახსნილი მათი მისწრაფებანი, მათი ნაზი სული. მაგრამ მსოფლიოში განა ცოტაა ისეთი ბავშვი, რომელთაც მილიტარისტული სულისკვეთებით ზრდიან. ხომ არ აჯობებდა ამ სცენარისათვის დაგვერქმია პირველი სერია... მოგვეწვია სცენარისტი და შეგვეკვეთა მეორე სერია ან მეორე ნაწილი. თუ პირველ სერიაში თუ ნაწილში ბავშვებმა იპოვეს ყუმბარა და მისგან გააკეთეს საყვავილე, მეორე სერია თუ ნაწილში პირიქით, მილიტარისტული სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვები პოულობენ საყვავილეს და მისგან ყუმბარას ამზადებენ...

მირონ ალავიძე დაძაბული უსმენდა უფროს რედაქტორს. მისი წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ცალი თვალი მოჭუტა კიდეც და მომავალი სცენარის რამდენიმე ეპიზოდი უკვე ეკრანზეც წარმოიდგინა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ჩუმად გაიცინა. ბოლოს თავშეკავებული სიცილ ხარხარში გადაიზარდა“ (გვ. 28).

ამ ირონიისა და პაროდიის შემდეგ, ცხადია, სრულიად გარკვეული იქნება მირონ ალავიძის „კეთილგანწყობა“ ნიჟარაძისადმი. რომანის დასასრულს შევიტყობთ, რომ მან მიზანს მიაღწია. ნიჟარაძეს სამსახურს ატოვებინებენ... არაკომპეტენტურობა გამარჯვებას ზეიმობს...

მწერლური ოსტატობისა და პუბლიცისტური სიმახვილის თვალსაზრისით „თვალი პატიოსანის“ ეს პლანი სხარტად და დამმუხტველი ლიტერატურული გამჭრიახობითაა დაწერილი. გროტესკის კარგი გრძნობა და უშუალობის შენარჩუნების უნარი რომანის ამ ეპიზოდს ხდის ნაწარმოების მთლიანი ქსოვილისა და თვალთახედვის აუცილებელ ნაწილად.

უნდა აღინიშნოს, რომ „თვალი პატიოსანის“ კრიტიკულ-მამხილებლური პათოსი, ზოგიერთის აზრით, რომანის წარმატების საფუძველია. ასეთი აზრის გაზიარება ძნელია. როგორც დავინახეთ „თვალი პატიოსანის“ ლიტერატურული ჰორიზონტი გაცილებით უფრო ფართო მიზანდასახულობით ხასიათდება, ვიდრე ამას მხილების ვიწრო ამოცანა ითვალისწინებს. მაგრამ რაკი სიტყვა რომანის ამ პლანზე ჩამოვარდა, ორიოდე სიტყვით მისი ავკარგიც აღვნიშნოთ.

რომანში გამოყვანილ ე.წ. საქმოსნებს პირველად რესტორნის სიტუაციაში ვეცნობით. ამ სიტუაციის კულმინაციას ოფიციანტის ნეკა თითში თხუთმეტი ათასი მანეთის შეთავაზების ეპიზოდი შეადგენს. მაგრამ ამჯერად, ეს პლანი სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ წრისადმი ავტორის დასაწყისიდანვე შემუშავებული თავისებურად აგრესიულ-ირონიული ტონი. ამ განწყობილებამ განაპირობა მათი ტიპაჟის საგანგებო და საკმაოდ ცალმხრივი სატირული შტრიხებიც. ავტორის ასეთი განწყობილების გადამდები პათოსი, პირველ რიგში თამაზ იაშვილის პოზიციაში აირეკლა.

„თამაზი დაძაბული აკვირდებოდა მათ ჩასუქებულ სახეებს, დამსხვილებულ თითებსა და უზარმაზარ მუცლებს“.

სუფრას ახალი წევრი შეემატა და „თამაზ იაშვილი ახლა მიხვდა, იგი უფრო დაბალი რანგის საქმოსანი იყო. თუმცა, სრულიად ახალგაზრდა კაცს მუცელი უკვე გამოვარდნაზე ჰქონდა და ეტყობოდა ბუასილიც აწუხებდა“ (64). ამას ემატება ავტორისეული დახასიათებები: „სუფრას ერთი უზარმაზარი თავწვრილა კაცი თამადობდა“ (59). „უცებ ერთი ტანმოკლე, ხშირთმიანი კაცი გაჭინჭყლდა. მას მიშას ეძახდნენ... მას თავისი ტანისათვის შეუფერებლად დიდი და მრგვალი თავი ჰქონდა. გამობერილ ლოყებზე შიგნით შებრუნებული ტუჩები ყულაბის ჭრილივით აჩნდა“ (64).

ასეთი კოლორიტის შემქმნელი ჩანახატები რომანში უხვადაა. მაგრამ რამდენადაც გონებამახვილურია ასეთი შტრიხები, ამდენად ესკიზური, ფრაგმენტული, დასრულებულობას მოკლებულია ამ სოციალური ფენის ლიტერატურული განზოგადება.

ამის მიზეზია ავტორისეული ხედვის მხოლოდ ერთი და ისიც უმოძრაო კუთხე, საიდანაც საქმოსანთა მხოლოდ ნეგატიური შტრიხებია დასანახი.

შესაძლებელია აქ გასათვალისწინებელი იყოს ის გარემოებაც, რომ ავტორის ყურადღების ცენტრში იდგა არა ამ წრის თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ თავისი გმირების შთაბეჭდილებები და დამოკიდებულება მათდამი. მაგრამ ეს თვალსაზრისი მდგომარეობას არ ცვლის. რომანის ეს პლანი და საქმოსანთა წრე ნეოკლასიცისტური მანერის რესტავრაციის შთაბეჭდილებას ტოვებს და აშკარად ზღუდავს რომანის მთავარ გმირთა დიაპაზონს. მხედველობაშია ის გარემოება, რომ იმავე ოთარ ნიჟარაძის პროტაგონისტ პარტნიორებად ისინი არ ვარგანან და ეს მაშინ, როდესაც სინამდვილეში მათი გავლენის არეალი არ არის ვიწრო, მათი პიროვნულობის ხვედრითი წონა მსუბუქი, ხოლო შინაგანი თვისებების ძლიერებით ეს ადამიანები არც ისე ხელწამოსაკრავნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი პრინციპულ დამოკიდებულებას მოითხოვს, იგი მაინც არ არის არსებითი. არსებითია რომანის მთლიანი ეთოსი, რომელიც ისევე მოქმედებს მკითხველის სულზე, როგორც მდინარის ფსკერზე ჩაგდებული ლოდი წყლის ზედაპირის ფორმაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# მგზნებარე პატრიოტი და მოქალაქე

## ალიო მირცხულავას დაბადების 70 წლისთავის გამო

„ჩანგი და მშვილდი“ — ასე ეწოდება ალიო მირცხულავას ერთ ლექსს, რომლის სიუჟეტს გადავყავართ უხსოვარ დროში, როცა მტერთან ჭიდილსა და ნადირობაში ადამიანმა პირველად შეიგრძნო სიმღერის მადლიანი ძალა, ჩანგის წკრიალს დასაბამი მშვილდის ლარის რწევამ მისცა. ეს შესანიშნავი, ორიგინალურად ჩაფიქრებული ლექსი იმის მაუწყებელია, რომ პოეზია მუდამ აქტუალური, მუდამ მებრძოლი უნდა იყოს. აქ მშვილდისა და ჩანგის ნათესაობა ასე უნდა გავიგოთ; ჩანგი, ადამიანის გულის მესაიდუმლე, მისი ფიქრებისა და გრძნობების გამომხატველი, ამავე დროს, ბასრი იარაღიც არის, მიმართული ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც კი ხალხის ცხოვრებას, მის წინსვლას აფერხებს. პოეზიის ეს მებრძოლი ხასიათი ნიშანდობლივია ალიო მირცხულავას ლირიკისათვისაც, რომლის ამოსავალი წერტილია დღევანდელობა და მომავალი.

ცხოვრება ასაზრდოებს პოეზიას და, პირიქით — ჭეშმარიტი, მაღალიდეური, მაღალმხატვრული პოეზია თავის მხრივ გავლენას ახდენს ცხოვრებაზე, ადამიანის გულზე. ალიო მირცხულავას პოეზიაც სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო, — იგი სუნთქავს და ცოცხლობს ხალხის ინტერესებით, საბჭოთა ადამიანის სიხარულითა და ტკივილებით.

ალიო მირცხულავას შთაგონების წყარო თანამედროვეობა იყო. ჩვენი ქვეყნის აღორძინების აქტიური მონაწილე, შეჰხაროდა მხარგაშლილ სამშობლოს და სიცოცხლის არსს სიკეთისა და უკეთესი მერმისის სამსახურში ხედავდა.

ყველაზე ძვირფასი განძი და დიდი ქონება,— ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში („აპრილის დილა“), — არის სიმართლე, სიწმინდე, რწმენა და პატიოსნება. აი, ალიო მირცხულავას კრედო, მისი პოეზიის შუქი და შარავანდედი:

> აწმყოს უმღერდნენ ჩემი ლექსები,
> ჰვრეტდნენ მომავალს მზის ნაკვესებით.
> ჩანგი საბრძოლოდ მკლავს ჩავიკონე,
> გულის ძაფივით ძგერდა სტრიქონი.

ალიო მირცხულავამ ლექსების წერა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაიწყო. მისი პირველი ლექსი „სიმღერა“ 1921 წელს დაიბეჭდა ფოთის საქალაქო გაზეთ „მუშის ხმაში“. ამ დღიდან იწყება მისი შთაგონებული შემოქმედებითი ცხოვრება. სიმართლე და ბუნებრიობა, ხალხურობა და პარტიულობა — აი რით ხასიათდება მისი ნაწარმოებები.

მწერლობის ისტორიული ვალია განუმტკიცოს ადამიანებს სიყვარული მაღალი საკაცობრიო იდეალებისა, ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა. სწორედ ამ დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით არის გამსჭვალული ალიო მირცხულავას პოეზია.

> ჰე, მამულო, შენს თეთრ გუშაგს განა რული
> მორევია,
> ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის
> მორევია.
> გაქრა ღამე, აღარც ომი, აღარც სისხლის
> ტბორევია,
> ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის
> ნაამბორევია,

მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის ალი
ფრიალებდა,
წკრიალებდა გულის კარი, თუ ცისკარი
ჭრიალებდა,
მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტევრი
მწარედ შრიალებდა,
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ, ტანში
გამაჟრიალებდა.

„ვერხვში“ საინტერესოდაა გახსნილი პატრიოტიზმის თემა. პოეტი ჯარისკაცივით დგას სამშობლოს, სიცოცხლის საგუშაგოზე, ყველა განსაცდელს შეუპოვრად ეგებება, არაფერს არ უშინდება, ვერხვივით ადგილიდან არ იძვრის, საგუშაგოს არ ტოვებს, თუნდ ტყვიებით დაცხრილონ. აქ ვერხვი წარმტაცი და ძალოვანი სიცოცხლის სიმბოლოა. კლდეზე ამაყად მდგარ ვერხვს, რომელსაც მტრისაგან მიყენებული ჭრილობა შეხორცებია, ახარებს მამულის გამარჯვება, სიხარული მშობლიური მიწისა, საიდანაც მისი ფესვები სიცოცხლის ნექტარს სვამენ. ვერხვი ომგადახდილი ვაჟკაცივით ეჩურჩულება სამშობლოს:

შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს, შეწყდა
სისხლი და იარა,
შემიხორცდა ნატყვიარი და ტკივილმაც
გაიარა.

ალიო მირცხულავამ ქართულ პოეზიაში ახალი ინტონაცია მოიტანა, ეს სიახლე ჩანს არა მარტო ლექსის მეტრულ თავისებურებაში, არამედ მის შინაგან რიტმსა და პოლიფონიაში. მაგალითად, ა. მირცხულავას რვამარცვლიანი ან ათმარცვლიანი ლექსები ჩვეულებრივ რვამარცვლიან ან ათმარცვლიან ლექსებს როდი ჰგავს. ეს ლექსები უფრო რიტმულია და ენერგიული, რაც სიტყვათა ბუნებრივი წყობისა და მრავალმარცვლიანი რითმების შედეგია. ლექსის მუსიკალობასა და ფოლადისებურ ჟღერადობას ხელს უწყობს აგრეთვე რითმებში მახვილის დაცვა. აი როგორ ჟღერს მისი რვამარცვლიანი ლექსი:

მცვივა, განა მცილდებიან,
თრთიან, განა ხუნდებიან,
ადრე აბიბინდებიან,
უფრო ადრე ბრუნდებიან,
ეს მტრედების გუნდებია,
მხრებზე დამაფრინდებიან,
ტკბილად აღუღუნდებიან.

ახლა ავიღოთ ათმარცვლიანი ლექსი, როგორი ენერგია და დინამიურობა იგრძნობა ამ სტრიქონებში:

მთას გადაივლი, ისევ მთებია,
ტყის ფარჩეულით შემოსილები,
ისევ ფრიალო დაღმართებია,
ირგვლივ ჟღერაა სხივთა [illegible]
ველზე გაშლილა მდელო[illegible]
ამოქროვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაყარი
ხეები დგანან როგორც ირმები.

ახლებურად და თავისებურად ჟღერს პოეტის ალიტერაცია და მაჯამაც:

ნახეთ ჩვენი ვაჟკაცებიც,
ქართლის ტურფა ასულები,
საგმიროდ და საბრძოლველად
შრომის ველზე გასულები
და უმღერეთ ქებათ-ქება
კრიმაჭულის დასადარი;
ჩვენი ქვეყნის დასადარი
მზის ქვეყანა სხვა სად არის?

საერთოდ, ალიო მირცხულავას პოეტური პალიტრის ფერები გამჭვირვალე და ნათელია, იგი მოულოდნელი შედარებებით, მეტაფორებით ხშირად დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას აღწევს:

შორს, ძალიან შორს გემს ებრძვის წყალი,
ლამის ჩაახრჩოს ტალღების ცემით,
უცებ ავარდა დროშების ალი,
ეს ალბათ, მთვარეს წააწყდა გემი.

ზღვაში მთვარის ანარეკლის ნალმთან შედარება ბრწყინვალე პოეტური მიგნებაა.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ, ლექსის „სიჭაბუკე მეძახის“ გულის სიღრმიდან ამომხდარი შემდეგი სტრიქონები:

ხმები ვთესე — სიმღერებად ამოსულან,
ზღვა ფიქრებიც დღეებს გაყვნენ
ნამქერებად.
ცეცხლი ვთესე — ვარსკვლავებად
გამოსხმულან,
ცისკრად იქცა ქარში ცეცხლის ამღერება.

დაუშრეტელი სიცოცხლის პათოსით არის სავსე ლექსი „მზე და პოეზია“.

გულს ნეტარება გამიცისკროვნებს,
ცა კოსმიური მიპყრობს, მიტაცებს,
შუქთა შურდულით ვტყორცნი სტრიქონებს
და ლექსს გავიყვან მზის ორბიტაზე!

აქ პოეტური შემოქმედება შედარებულია გათენებასთან, და ღრმა ფიქრებით ღამენათევი ლექსიც მზეს ამოყვება, როგორც ახალი სიცოცხლის დაბადება.

ალიო მირცხულავა ხშირად მიმართავს ჰიპერბოლურ მეტაფორებს, მაგრამ მისი ჰიპერბოლა

თვითმიზნური არ არის, არ არღვევს მხატვრული ზომიერების პრინციპს. მისი ჰიპერბოლა, მეტაფორა, შედარება, ეპითეტი დამაჯერებელია და ხელს უწყობენ ნაწარმოების ძირითადი იდეის რელიეფურად, პლასტიკურად გამოსახვას, ზრდიან ლექსის ემოციური ზემოქმედების ძალას.

რა მოსაწყენი არაპოეტური და არაემოციური იქნებოდა ეს სტრიქონები პოეტის მიერ ასე დინამიურად და ამღერებულად რომ არ იყოს გაცოცხლებული:

ჰა, გრაგანებენ კვლავ მანქანები,
ყალყზე დგებიან, გრიგალდებიან,
ტემპს რომ ხვდებიან მძლავრ გაქანებით,
კომკავშირული ბრიგადებია.

აქ ადამიანებთან ერთად მანქანების ტემპი და დინამიკაცაა გადმოცემული. სწორედ ამით გამოირჩევა ალიო მირცხულავა, როგორც სიტყვის შესანიშნავი ოსტატი.

ალიო მირცხულავა ასოციაციით, ზოგჯერ ანალოგიით ქმნის სასიამოვნო მხატვრულ სურათს. მართალია, ალიო მირცხულავას შემოქმედებაში მთავარი ადგილი მოქალაქეობრივ მოტივს უჭირავს, მაგრამ იგი ლირიკოსიცაა, მისი პეიზაჟური ლირიკა ადამიანების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, საზოგადოებრივი პათოსითაა გამსჭვალული, პოეტის მთელი შემოქმედება განათებულია თანამედროვე ადამიანის რწმენით და სიხარულით. ამიტომ ვამბობთ, რომ ალიო მირცხულავას პოეზია მკითხველის მეგობარი და მუდმივი თანამგზავრია ლხინსა და ჭირში.

ჩვენს დროში საოცრად გაიზარდა ადამიანის სულიერი შესაძლებლობანი, მან უფრო მეტი იცის, უნდა უფრო შორს გაიხედოს. და ამან არ შეიძლება არ შეძრას პოეტის გულიც.

რომ ემსახურო ხალხს და ეპოქას,
ერთი სიცოცხლე აღარ ეყოფა.

ხანმოკლეა წუთისოფელი, ერთი სიცოცხლე არ ყოფნის ადამიანს, რათა სრულყოფილად მოიხადოს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, მაგრამ იმ რწმენით აღჭურვილი, რომ მის მიერ დაწყებულ საქმეს მომავალი თაობა გააგრძელებს, იმედით ანთებული შრომობს:

რასაც ამ ქვეყნად ვერ მოვესწრები, —
დე, განაგრძობდეს ჩემი ლექსები!
გმირულ სიმღერას აგუგუნებდეს —
საუკუნიდან საუკუნემდე!

ეს სტრიქონები ზედმიწევნით განსაზღვრავს პოეტის ხასიათს და შემოქმედებითს თავისებურებას.

ალიო მირცხულავას შემოქმედება ყველაჩვენთაგანისათვის მახლობელია. მისი ლექსები და პოემები, რომლებშიც გადმოცემულია ჩვენი გმირული დღეების მგზნებარე სული, ჩვენი ადამიანების ვაჟკაცური შემართება, მათი შრომითი და საბრძოლო პათოსი ყველასათვის ნაცნობი, მშობლიური და გასაგებია. როცა კითხულობთ ა. მირცხულავას ნაწარმოებებს, თქვენ თვალწინ, როგორც ეკრანზე, კაივლის ჩვენი ქვეყნის ისტორია თავისი მძაფრი პოლიტიკური ცხოვრებით, დიდი აზრებით და საქმეებით.

ალიო მირცხულავას მთელი მხატვრული შემოქმედება აქარწყლებს ე. წ. დისტანციის ცრუ თეორიას, რომლის მიხედვით გამოირიცხება მწერლის უშუალო და ცოცხალი მონაწილეობა ცხოვრებაში. პოეტი თავიდანვე წინააღმდეგი იყო იმ აზრის, თითქოს აწმყო არ არის ხელოვნების საგანი.

სწორედ ამიტომ იგი განუყრელად, ყველა სასიცოცხლო ნერვით მუდამ სამშობლოსთან, ხალხთან იყო დაკავშირებული — მას არ შეეძლო დაუყოვნებლივ არ გამოხმაურებოდა ყოველ მოვლენას, მომხდარს ხალხის ცხოვრებაში. როცა პირველი ხუთწლედის დასაწყისში პირველი დამკვრელი ბრიგადები წარმოიშვა, პოეტის სმენამ მაშინვე აიტაცა დაზგების გრიალის რიტმი და მუსიკალური მომხიბვლელობით გადმოგვცა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავის დროზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქო ზაჰესის მშენებლობა. პოეტი ეხმაურება ამ ამბავს და წერს ლექსს „მტკვარისტანი“ (1925).

... მტკვარზე დაჰკიდეს მზის მაგიერ
ზაჰესის გული,
და მტკვარის ტანი
ვარსკვლავებით გადაშლილია.
ზეცა — ბუხარი მოელვარე
იწვის გუგუნით,
ყოველი ღამე
მზით დამწვარი დღის ნახშირია!

ლექსში დახატული ემოციური სურათი მკაფიოდ ლაპარაკობს, თუ რა სიახლე მოიტანა ახალმა წყობილებამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში და როგორ ჩაუყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ ძლიერებას.

ალიო მირცხულავა თავისი ნაწარმოებებით რაზმავს მასებს პარტიის მიერ დასახული სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, ხუთწლიანი გეგმების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის („დამკვრელი ბრიგადები“), იგი იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის („ლაითურის კომკავშირელი“), ამხილებს შენიღბულ კლასობრივ მტერს („ინციდენტი უჯრედის

კრებაზე“), ულმობლად დასცინის მეშჩანებსა და ობივატელებს („აი, ადამიანი“).

„აი, ადამიანი“ გამოქვეყნდა 1928 წელს. ვის წინააღმდეგ არის მიმართული ასეთი მწვავე სატირა? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც მან ესოდენ ულმობლად გაამათრახა? „აი, ადამიანის“ მოქმედების დრო ნეპის წლებია. ამ ნაწარმოების პერსონაჟები ვიწრო ინტერესებით ცხოვრობენ. მათი სულიერი მანკიერების სამხილებლად პოეტი ოსტატურად იყენებს იუმორს, ზოგჯერ კი სარკაზმსაც. პოეტი გონებამახვილურად დასცინის მათს, ასე ვთქვათ, „აურზაურს არაფრის გამო“.

ამ ნაწარმოებს თავის დროზე უეჭველად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც, როდესაც ჩვენ აქტიურად ვიბრძვით ადამიანის შეგნებიდან წარსულის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, „აი. ადამიანი“ მლიქვნელობისა და პატივმოყვარეობის წინააღმდეგ ბრძოლის ბასრი იარაღია.

კლასობრივ ბრძოლას, რევოლუციური სიფხიზლის თემას ალიო მირცხულავას შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ინციდენტი უჯრედის კრებაზე“ (1927).

ალიო მირცხულავა ეხება არა მარტო ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, არამედ ისტორიულ თემებსაც. ლექსში „წინაპრები“ პოეტი უდიდესი სიყვარულით და მოკრძალებით ლაპარაკობს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებზე და მათ მიერ საუკუნეთა მანძილზე მშობელი ერისათვის გაწეულ დაუვიწყარ ღვაწლზე.

დღე მოკლეა და... საქმე — ურიცხვი,
ვაჰ, თუ სიკვდილი გადაგველობა?
ჩვენ ხომ საქვეყნო სამსახურისთვის
ერთხელ სიცოცხლე აღარ გვეყოფა?
განა წარსულში სძინავთ აჩრდილებს,
აწმყოს ანათებს მათი ლამპარიც,
ვუხმობთ მამულის დარდით დაჭრილებს,
და ჩვენს წინაშე, დგას წინაპარი.
ჩვენი წარსულიც ემახსოვრებათ,
როგორც გმირობა და თავდადება,
ისევ გაჩნდება ჩვენი ცხოვრებაც, —
გმირთა სიკვდილი ჰგავს დაბადებას.

ალიო მირცხულავას პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ თემას. ჯერ კიდევ 1927 წელს პოეტმა გამოაქვეყნა ლექსი „რიქშა“, რომელშიც იგი მთელი სიცხადით ხატავდა ევროპელი კოლონიზატორების მძიმე უღელქვეშ მგმინავი ჩინელი ხალხის ცხოვრების ამაღელვებელ სურათს.

პოეტი გამოხატავს კოლონიზატორთა მიერ დაჩაგრული ჩინელი ხალხის მძიმე ყოფას და შემართების სულისკვეთებას აღვივებს, თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოუხმობს მას.

დააგდე ეტლი, დააგდე გზაზე,
ძმების ღრიალი ხომ გეყურება?!
ნუ შეგაშინებს მტერთა სიბრაზე,
გწყუროდეს მათი განადგურება.
თუ ეს ქვეყანა დასაგმობია,
დასამხობია და სატიალო,
მონურ ცხოვრებას მუდამ სჯობია,
რომ ხელში თოფი დაატრიალო.

ა. მირცხულავა თანამიმდევრულად იცავს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, მის ძირითად მოთხოვნილებებს. ამ პრინციპების მიხედვით არის შექმნილი მისი „მტკვარისტანი“, „საზეიმო თქმა“, „სიმღერა შრომის გამარჯვებისა“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“ და სხვა. ამ ნაწარმოებებში ხალხი ჩანს, როგორც „სასწაულების შემოქმედი“. სწორედ ამ სასწაულმოქმედმა ხალხმა „მზის პირზე ამოიტანა წყალში ჩაფლული ხმელეთი“, და თუ ჩვენს ქვეყანაში ახლა „დაუდეგარი მშენებლობის და ინდუსტრიის ხმაა გაბმული“ — ეს არის ხალხის თავისუფალი შრომის ნაყოფი. მანამდე წარმოუდგენელ შემოქმედებითს აღმავლობას, ყოველ უმნიშვნელოვანეს წამოწყებას სათავეში უდგას მშრომელი მასების ავანგარდი „ბოლშევიკური პარტია, გმირული, სახელოვანი“. ქვეყნის ასეთმა ფერიცვალობამ შთამაგონებელი გამოხატულება ჰპოვა ალიო მირცხულავას ლექსებში.

პოეტი მკითხველის წინაშე ცოცხალ და შთამბეჭდავ სურათებად შლის ახალი სამყაროს ლამაზ ჰორიზონტებს:

როს ალიონი
ცას ოქროსფრად მოავარაყებს,
მზე გადმოდგება —
ამირანი ჯაჭვ-აშვებული,
მივქრი ნაპირზე,
მტკვარი ვნახო გაშმაგებული,
ტალღების ენით
გიჟმაჟურად მოლაპარაკე.

სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს არა მარტო სინამდვილის მართლად ასახვას (ამას კრიტიკული რეალიზმიც მოითხოვდა), არამედ მის რევოლუციურ განვითარებაში ჩვენებას, მოვლენების ნათლად ხედვას, აწმყოს დანახვას მომავლის სიმაღლიდან. ალიო მირცხულავას ნაწარმოებები ამ მხრივ მკვეთრად გამოირჩევა. მის ლექსებში ცხოვრება მარად მოძრაობასა და განვითარებაშია, უკეთესი მომავლის პერსპექტივაშია დანახული.

ამ ცხოვრებაში მე რაც მიყვარს,
მე რასაც ვეტრფი,
ეს მხოლოდ თქვენ ხართ,
თქვენ, მომავლის გარიჟრაჟებო!

მებრძოლი და ოპტიმისტი პოეტი ა. მირცხულავა პესიმიზმში საზოგადოების დაცემის ნიშნებს ხედავს:

დღეს ჩემი სიტყვა
ახალია და უჩვეულო,
ჩემს სიმღერაში
არც ბოდვაა, აღარც წუხილი, —
ცეცხლიან ფრთებით
ინავარდე, სულო რჩეულო,
ვებრძოლოთ ბნელეთს,
შენ ელვა ხარ — და მე ქუხილი!

პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის ყოვლისშემძლეობის რწმენა.

ზამთარ და ზაფხულ,
ღამით და დღისით,
ძლევის ხმა ისმის
ჩქარი დინება
ჩვენი სიცოცხლე
ტალღაა მისი,
იგი არასდროს
არ იყინება.

ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობა, აღმავლობა და წინსვლაა, ის არასოდეს არ იყინება, ეს დიდი ჭეშმარიტება შეადგენს ალიო მირცხულავას პოეზიის საფუძველსა და დედააზრს, ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა აძლიერებს მისი შემოქმედების ოპტიმისტურ ხასიათს.

პოეტის ფილოსოფიური ლექსების ძირითადი აზრით ყველაფრის შემოქმედი და დასაბამი მზე და მიწაა და არა აბსტრაქტული, უხილავი სული („მზესთან“, „ნახტომი მზისაკენ“, „მზესთან ერთად“, „მზის ამბორი“ და სხვა).

ალიო მირცხულავა სამამულო ომის დაწყების პირველ დღიდანვე სიტყვით და ლექსით აქტიურად მონაწილეობს საერთო-სახალხო ბრძოლაში, კაცობრიობის უბოროტესი მტრის ფაშიზმის წინააღმდეგ („სიმღერა გამარჯვებისა“, „მყინვარი“, „წერილი“ „დემონი“, „ჩანგი“, „მამა, „ზღვის არწივი“ და სხვა). ეს ნაწარმოებები სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მტერზე გამარჯვების გარდაუვალი რწმენითაა დაწერილი. პოეტი მზადაა სამშობლოს ინტერესებისათვის დაეცეს, ვითარცა ელვა, ქვეყნად სიბნელის დამამხობელი.

დაე, დავეცე ვითარცა ელვა,
ქვეყნად სიბნელის დამამხობელი,
ვეთხოვებოდე მზეს და სიცოცხლეს
სხივთა სიმების ჰანგთა მპყრობელი,
სისხლით შეღებილ მკერდზე მფენს
ჩანგის გვირგვინი ჩაუქრობელი!
მხოლოდ ცოცხლობდეს ჩემი სამშობლო,
მისი ლამაზი მთები და ჭალა.
მუდამ ჰყვაოდეს დროშა წითელი
ხალხთა ძმობის და სიმართლის ალად,
თუ არა მამულს, ვის ენაცვალოს
ჩემი ჯანი და სიმღერის ძალა?

განა ამაზე ნათლად და შთამბეჭდავად შეიძლება გამოითქვას ხალხის გრძნობა, მისი განცდები? ხალხის ყოველდღიურ ყოფასთან, მის მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოეტს კარგად ესმის საბჭოთა ადამიანის გულისცემა. ამიტომაცაა მისი სიმღერის ზემოქმედებითი ძალა ესოდენ ძლიერი.

პოეტი მირზა გელოვანი ალიო მირცხულავას ფრონტის მოწინავე ხაზიდან სწერდა: „რამდენჯერმე გადავიკითხე სანგარში თქვენი ბრწყინვალე ლექსი „მყინვარი“, ძალზე აღმაფრთოვანა. განა მარტო მე, ხვალ იერიშზე მივდივართ მხნედ და გულადად.

გისურვებ ძალზე დიდ წარმატებებს, ჩემო სათაყვანებელო მგოსანო“.

„მყინვარი“ აღსავსეა ჭეშმარიტი პოეზიისათვის დამახასიათებელი სახეებითა და სურათებით.

აქ დარიალის მცველად დამტოვეს,
მთებში ვგუგუნებ თერგის ნაღარით,
აქ უთვალავმა წლებმა დამთოვეს
დაუნდობელი თოვლის ჭაღარით.
ცა მშობლიური ავწიე ზურგით,
ქვეყნებს ვუსწორებ თვალს ამაყურად,
ტანთ „ვეფხისტყაოსნის“ მაცვია ქურქი,
თავზე რუსთველის ქუდი მახურავს.

ამ საერთო შესავლის შემდეგ პოეტი აცოცხლებს წარსულ ამბებს და გამოხატავს ბუნების შეუდრეკლობას.

ლექსს ახასიათებს ეპიკური ნაწარმოებისათვის ნიშანდობლივი ინტონაცია.

ალიო მირცხულავას მიზანია გაანათოს საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, გვიჩვენოს მისი გრძნობების სიმაღლე და სიღრმე. ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შემოქმედებითი გადაწყვეტისათვის პოეტმა სხვადასხვა ხასიათის ამბავი გამოიყენა.

ლექსი „ძმები“ ყურადღებას იქცევს დრამატიზმით. — გადმოცემულია სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლი ძმების მძაფრი განცდები.

ჰოსპიტალში მოხვედრილი დაჭრილი ძმები ერთიმეორის ბედზე უფრო სწუხან, ვიდრე

საკუთარ თავზე. ლექსში გამოვლინებული ძმების ხასიათი, მათი ურთიერთსიყვარული ერთგვარად განზოგადებულად მიგვანიშნებს არა მხოლოდ ძმების, საერთოდ საბჭოთა ადამიანის ბუნებაზე.

ლექსები — „ორიოლი", „როსტოვი ჩვენია", „კიევი", „სმოლენსკი" სწრაფად იწერებოდა; თითქმის იმავე დღეს მიდიოდა მკითხველებთან, როცა ის საინფორმაციო ბიუროს ცნობებით იგებდა ამ ქალაქების განთავისუფლების ამბავს.

ალიო მირცხულავას მუზამ ეს ოპერატიულობა ომისშემდგომ პერიოდშიც შეინარჩუნა, იგი ენერგიული სტრიქონებით ეხმაურებოდა გამარჯვებულ საბჭოთა ხალხის წარმატებებს ომისაგან დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენისათვის ბრძოლაში, მის ლექსს ძველებური ხალისიანი პათოსი შეემატა, მთლად ოპტიმიზმით გაიმსჭვალა.

ველზე ფარჩებად გაფენილან
ხეთა ჩრდილები,
სივრცე თაწლათან იელინთება
შრომის ჰანგებით,
ჩაის ბუჩქები,
გალალებით გაფურჩქვნილები,
კორდზე მოჩანან,
როგორც მწვანე ფარშავანგები
მიჭქრის ნათელა,
ხელგაშლილი, გახარებული,
თითები თითქოს მერცხალია
კუდმაკრატელა;
მზემ ჩაის ბუჩქებს
ბრწყინვალების მადლი მოჰფინა.
დილის ნიავმა
ააჟრჟოლა, ააფოფინა.
ბაღში ჩაის ჰკრეფს
კოლექტივის ქალთა კრებული,
ჰილოფის ქუდში
მზესუმზირას მოგავს ნათელა.
(„კომბაინერების სიმღერა")

ეს სურათი მკაფიოდ მიგვანიშნებს პოეტის პალიტრის სიმდიდრეზე.

ლექსში „ღამის ფიქრები" დახატულია ქართლის ღამის რომანტიკული სურათი. ქართლის პეიზაჟით დატყვევებული პოეტი გრძნობს სიცოცხლის მარადიულ სრბოლას, სამყაროს შეუჩერებელ მოძრაობას და ღამის დუმილის თავისებურ სილამაზეს.

მოვიდა ღამე... მოიხურა ბუნების კარი,
შიგ საოცნებო ქართლის მხარეა,
შეწყდა მდინარის გულისცემა და სუნთქვა ჩქარი,
თვლემს არემარე... რა სიწყნარეა?
შეწყდა ვარსკვლავთა ჟრიამული და გატაცება,
გაოცებული სდუმან სივრცენი,
ო, მაპატიეთ უეცარი [illegible]
მე დედამიწის ბრუნვას [illegible]

ალიო მირცხულავას საქართველოს ყოველი კუთხის პეიზაჟი აქვს დახატული, მაგრამ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამეგრელოს შთამბეჭდავ სურათებს.

მ. გორკის უკვდავმა ქმნილებებმა, მისმა იდეურ-ესთეტიკურმა კონცეფციამ დიდი გავლენა მოახდინა ლიტერატურულ აზროვნებაზე. მის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა. გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებამ გაკაფეს ჩვენი საბჭოების დიდი ქვეყნის ლიტერატურის მაგისტრალური ხაზიც. ამ მოწინავე იდეების გავლენა ალიო მირცხულავამაც განიცადა.

მისი ნაწარმოებები იმთავითვე გამსჭვალული იყო ოპტიმისტური პათოსით, ახალი ცხოვრების სილამაზისა და სიმშვენიერის გრძნობით. ამიტომ ვამბობთ, რომ ალიო მირცხულავა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ალიო მირცხულავა სიცოცხლისა და სიყვარულის მომღერალია:

მზე ამოდის ქვეყნის კიდით,
განთიადმა გახსნა კარი,
თეთრი სოფლის თეთრი ხიდით
მოაქროლებს ქალ-ვაჟს ქარი.

ალიო მირცხულავას პოეზიაში სიყვარული წარმოდგენილია კეთილ და მშვენიერ გრძნობად, იგი ამ გრძნობას დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა.

პოეტი უმღერის სიყვარულს, ხალხთა მეგობრობას, სამშობლოს, დედას — სიცოცხლის წყაროს, რევოლუციას — თავისუფლების სათავეს.

მეგრულ კერასთან ხშირად, საღამოს,
გამიგონია ლეგენდა, ერთი,
თუ როგორ, ციური ცეცხლის გამო,
რისხვით შეიბნენ კაცი და ღმერთი.
როგორ დასწყევლა კაცი ზეცამაც.
როგორ განრისხდა ღმერთი მსაჯული
და ამირანიც როგორ ეწამა —
კავკასიონის კლდეს მიჯაჭვული.
მან მოიტაცა შუქი მზისაგან,
ოქტომბრის ცეცხლიც მან გააჩინა.
ხალხი დაიხსნა მონობისაგან,
მისგან სიცოცხლეც გადაარჩინა.
მეც ამ ლეგენდას ცეცხლის შესახებ,
ბავშვობიდანვე ხშირად ვიგონებ,
მისი აზრები გულს ჩამესახენ,
ოქტომბრის ცეცხლით ვანთებ სტრიქონებს

ალიო მირცხულავა წინ მიმავალი ეპოქის შვილია, მის პოეზიას „აცისკროვნებს რწმენა მზიანი", მის ლექსებში სიცოცხლე მღერის, ცხოვრება ხმაურობს:

მზისკენ მიდის, მხოლოდ მზისკენ,
გზა გრიგალით ნათელი,
გზის უშრეტი ნაწილია,
ალბათ, სულის ნათელი
ჯადოქარად მოვარდნილი,
ბედთან შეურიგალი,
ისევ მზისკენ, სიცოცხლისკენ
მიჰქრის ჩემი გრიგალი.

ლექსში „მე და ზაფხული" ნათლად ჩანს, თუ რაოდენ რთული, მძიმე, დიდი და სასარგებლოა მწერლის შრომა. შემთხვევითი როდია, რომ ალიო მირცხულავა მწერლის შრომას ბუნების შრომას ადარებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტს ზაფხულის პერიოდი აქვს აღებული. ზაფხულში მზე მცხუნვარეა, ამ დროს მზის სხივებს მეტი ძალა აქვს, უფრო მეტად ბრწყინავს, ასევე ითქმის პოეზიაზეც. როგორც მზე, პოეზიაც აბრწყინებს ქვეყანას, ჭეშმარიტი სიდიადით ავსებს ადამიანს, საშოქმედოდ აღგვაგზნებს, გვეხმარება დედამიწაზე კეთილი ურთიერთობის დამყარებაში.

არა ერთხელ თქმულა, რომ მწერალს ყველაზე მეტად მოეთხოვება დაიცვას ენის სიწმინდე, მწერლის ენას სწავლობს მილიონობით ადამიანი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა წარმოუდგენელია ენის ნორმების დაცვის გარეშე. მწერალი ხატავს სიტყვებით, და ხატავს როგორც ფერწერის ოსტატი, ცდილობს გამოხატოს ადამიანი განუწყვეტელ მოძრაობასა და შემოქმედებაში, შრომასა და ბრძოლაში.

ალიო მირცხულავას პოეზიაში მტკიცედ არის დაცული ხელოვნების სამი ძირითადი პრინციპი: სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა. პოეტის ენა მდიდარი და სადაა. „ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟების" და სხვა მრავალი ლექსის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ რაოდენ მდიდარია და კეთილხმოვანი რითმებით ხასიათდება ა. მირცხულავას მთელი პოეზია. იგი ქართული ლექსის ერთ-ერთი ნოვატორია. მაგალითად, ის პოეტური მეტრი, რომლითაც დაწერილია „დგას ორი ქალაქი", „ტალა" „მოგონების მაგიერ" და სხვა, ძველ ქართულ პოეზიაში არ გვხვდება. მაგრამ ეს სიახლე დაფუძნებულია კლასიკურ ტრადიციაზე. პოეტის შემოქმედება მარტო თემატიკური მრავალფეროვნებით როდი ხასიათდება, არამედ მეტრის მრავალმხრივობითაც გამოირჩევა. მისი ყოველი ლექსი ატყვევებს მკითხველს, უმორჩილებს მას თავის მომხიბვლელ ძალას.

1937 წელს ალიო მირცხულავამ გამოაქვეყნა პოემა „ენგური".

როგორია ამ პოემის შინაარსი, რა არის მისი მიზანი? „ენგურის" მიზანია გამოხატოს ის გრანდიოზული მშენებლობა, რაც თან მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას საქართველოში; წარმოსახოს საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა, მისი ბრძოლა ბუნების გარდაქმნისათვის, გვიჩვენოს ის წინააღმდეგობა, რაც მტრული ელემენტების სახით წინ ეღობებოდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას ოცდაათიან წლებში.

მდინარე ენგური და მისი მიუვალი ტყიანი ნაპირები, რომლებიც არა მარტო ადამიანს, არამედ ნადირსაც კი შიშს ჰგვრიდა, ხალხმა ქაღალდის კომბინატის მშენებლობის უბნად აქცია. იმისათვის, რომ ნათლად დაგვანახოს და განგვაცდევინოს, თუ რა დიდი ჭიდილი დასჭირდა ადამიანს თავნება ბუნებასთან, პოეტი ენგურის სტიქიურ ძლიერებას შეულამაზებლად, მაგრამ მისი დამახასიათებელი სიმკაცრით გადმოგვცემს.

მოჰქუხს, მოელავს ენგურ-მდინარე,
მოაქვს ტალღები ნადავლიანი,
აბობოქრებულ სახით მძვინვარებს,
მუდამ მრისხანე ავლარიანი,
წყლისპირ, ხეებში, ცას რომ ჩრდილავენ,
ძნელად გაივლის ადამიანი!...

პოემაში მოქმედება თავიდან ბოლომდე დრამატულად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, აქ ერთმანეთს ეჯახებიან საპირისპირო ხასიათები.

ახალი მშენებლობის ხე-ტყით მომარაგებას ხელმძღვანელობს ბურდღუ შელია, მისი ბრიგადა მოედება ტყესა და ხეობას, რათა კერძო მფლობელთა ეს საგანძური ხალხის ავლადიდებად გადააქციოს. მაგრამ ამ პროგრესულ მოძრაობას მაშინვე წინ აღუდგებიან კლასობრივი მტრები, ისინი, ვისაც კვლავ თავის პირად საკუთრებად მიაჩნიათ ბუნების ეს სიმდიდრე. ამ ნიადაგზე წარმოიშობა მძაფრი სოციალური კონფლიქტი. ბურდღუ შელიას ყოველნაირად წინააღმდეგობას უწევს ბესა ბუკია და გადაგვარებული მაქაცარია, ისინი ებრძვიან ტყის ახალ ბატონ-პატრონს — ხალხს. ამ ბრძოლის, ძველისა და ახლის ჭიდილის პროცესის ასახვისას პოეტმა გამოკვეთა ახალი ადამიანის ბურდღუ შელიას სახე. სიუჟეტის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ბურდღუ შელიასა და ლია ლანდიას სიყვარულის ამბავი. ამ ლამაზი გრძნობის პირველი ნაპერწკალი ლიას გულმა იმ კრებაზე შეიგრძნო, სადაც შელიამ ბესა ბუკიას პროვოკაციული ხრიკები ამხილა.

თანდათანობით ღრმავდება შრომასა და ბრძოლაში ჩასახული სიყვარული. მაგრამ შემდეგ ბურდუს სულში სევდა შეიჭრა, ჰგონია, რომ ლიას ახალგაზრდა ინჟინრის არჩილის სიყვარული დაუფლებია. სინამდვილეში ლიასა და არჩილის ურთიერთობა საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს არ სცილდება. ლიას სიყვარულით თავდავიწყებამდე მისული ბურდუ კი ასე არ ფიქრობს, ეჭვების ბურუსში გახვეული სწორი განსჯის უნარს კარგავს.

გადის გმირული შრომით აღსავსე დღეები, ქარხნის მშენებლობა დამთავრდა, ხალხი გამარჯვებას ზეიმობს, თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობს ამ საყოველთაო სიხარულს და სადღესასწაულო ფერებს აფრქვევს —

იყო საღამო სურნელოვანი,
მეგრულ ატლასში იწვა ზაფხული,
და ცისარტყელა სრულფეროვანი
ელავდა ცაზე გამოსახული.

ბესა ბუკია და მაქაცარია შეეცდებიან ჩაშალონ ეს ზეიმი ისე, რომ თავიანთი თავი არ გამოამჟღავნონ. ენგურზე აგებულ ახალ ხიდთან მორები გაიჩხირება და შეგუბებული, ყალყზე შემდგარი მდინარე ხიდს წალეკვით ემუქრება. საქმე შეუპოვრობასა და თავგანწირვას მოითხოვს. ბესა ბუკია, ხალხს რომ ერთგულ ადამიანად მოაჩვენოს თავი, „მოინდომებს“ მდინარეში გადაეშვას, მაგრამ მაქაცარიას ხელი შეაჩერებს. პოეტი მხატვრული სიმართლით გადმოგვცემს ამ ორი თვალთმაქცის მთელ სიყალბეს. აქაც ბურდუ შელია გამოიჩენს ვაჟკაცობას, გადაეშვება გაშმაგებულ მდინარეში და შეგუბებულ წყალს გზას მისცემს, ბურდუ განსაცდელში ჩავარდება, მაგრამ საყვარელ გმირს ხალხი გადაარჩენს, ლიაც ამ დროს მის გვერდით აღმოჩნდება. შრომაში გამარჯვებულმა ვაჟკაცმა სიყვარულშიც გაიმარჯვა. საზოგადოებრივი და პირადი სიხარულით გულანთებული ბურდუ კვლავ სახალხო ზეიმის მონაწილე ხდება.

„ენგურში“ მხატვრულად ხორცშესხმულია ის აზრი, რომ ძველთან გაბედულ და შეუპოვარ ჭიდილში იმარჯვებს ახალი, მოწინავე და პროგრესული.

ალიო მირცხულავამ 1951 წელს გამოაქვეყნა პოემა „რუსთავი“, რომლის სიუჟეტი გაშლილია ქალაქ რუსთავის მშენებლობის ფონზე. ამ ნაწარმოებში ვხვდებით ენგურში გაცნობილ ბურდუ შელიას, არჩილ დევიძეს, ლია ლანდიას. პოემა „ენგურის“ გმირები ჩვენ იმ დროს დავტოვეთ, როცა ისინი უკვე სავსებით მომწიფებული იქვნენ დიდი გმირობისა და შემოქმედებითი შრომისათვის. ამ ნაწარმოებში ჩამოყალიბდა ბურდუ შელიას დასრულებული სახე.

პოემის შესავალი ბედნიერი და თავისუფალი შრომის სადიდებელი ჰიმნია. მგზნებარე ლირიკული სტრიქონები საბჭოთა ადამიანების დიდ გამარჯვებებზე მეტყველებენ.

სხივთა ბრწყინვალე ტალღების რხევით
ჟღერს და ბიბინებს ირგვლივ ბუნება,
როცა გაისმის ხევიდან-ხევით
ქარხნის საყვირის აბუბუნება:
შრომის უბნებთან მჭიდრო კავშირით
ფხიზლობს, ღუმელი რომ არ ჩააქროს.

ტყიბულს ეძახის, რომ ქვანახშირი
მისცეს რუსთავის დიად საამქროს.
შორით, ტყვარჩელის მდიდარ მაღაროს

წვდება მისი ხმა — დაუხშობელი,
უხვი მადანით რომ გაახაროს
ქართულ ფოლადის მკვიდრი მშრომელი...
ასე ამაყად ამაღლებული,
ბოლავს რუსთავის ქარხნის ღუმელი,
გუგუნებს შრომა განაღრებული,
შორს იფანტება კვამლის ღრუბელი.

თუ პოემა „ენგურის“ მიხედვით ბურდუ შელიასა და მის თანამებრძოლებს კლასობრივი მტრების ათასგვარი ფანდები ეღობება წინ, ახლა უკვე სულ სხვა პრინციპულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, პოემის კონფლიქტიც სხვა საფუძველს ემყარება. იქ, სადაც გიგანტური მეტალურგიული კომბინატი აშენდა, შეუნელებელი შრომაა გაჩაღებული იმისათვის, რომ ნაშალაქარზე აღმოცენებული ქალაქი არქიტექტურულად ლამაზი სახლებით და ფართო ქუჩებით დამშვენდეს. და აი, ეს მშენებლობაც უკონფლიქტოდ როდი ხდება. წინააღმდეგობები აქ ძველსა და ახალს შორის ქალაქის დაპროექტებაში იჩენს თავს. ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელი პროფესორი ვასილ გარიშვილი დარწმუნებულია, რომ მას, როგორც ინჟინერს, არ შეიძლება ჰყავდეს მეტოქე. თვითდაჯერებული გარიშვილი ჯიუტად და ქედმაღლურად იცავს თავის პროექტს და კატეგორიულად მოითხოვს მის განხორციელებას. გარიშვილის პროექტს მკვეთრად უპირისპირდება ახალგაზრდა არქიტექტორის არჩილ დევიძის მიერ შესრულებული პროექტი, რომლის უპირატესობაშიც ბოლოს და ბოლოს გარიშვილიც რწმუნდება და მეგობრული სიხარულით იზიარებს ახალგაზრდა ინჟინრის გამარჯვებას. ეს ყველაფერი უცბად როდი ხდება. პოემაში გარიშვილის ხასიათის გარდაქმნა ნაჩვენებია, როგორც რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მკაფიოდ არის გამოკვეთილი სხვა გმირების ინდივიდუალური სახეებიც. არჩილ დევიძე დინჯი, თავდაჭერილი ადამიანია, ბურდუ შელია კი უფრო გრძნობის ამყოლი, ფი-

ცხი და ტემპერამენტიანი. ლია ლანდიას, სხვა მრავალ ძვირფას თვისებასთან ერთად, მეგობრისათვის უსაზღვრო ერთგულება და თავდადება ახასიათებს, რაც კონკრეტულად ვლინდება ავადმყოფი არჩილისადმი მზრუნველობასა და პროექტის განხილვისას მხარდაჭერაში.

ეს ადამიანები ქმნიან ერთსულოვან და მთლიან კოლექტივს, ახალი სამყაროს მშენებელთა სახელოვან პლეადას. თუმცა „რუსთავს“ არ ახასიათებს მოვლენების ისეთი ძლიერი პოეტიზირება როგორც „ენგურს“, მაგრამ ეს ნაწარმოები, ჩვენი აზრით, მაინც ეკუთვნის იმ საყურადღებო მხატვრულ ქმნილებათა რიცხვს, რომლებშიაც ნაჩვენებია ჩვენი გმირული და ბობოქარი დღეების სიდიადე და ძალუმად ჩქეფს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პათოსით აღსავსე ცხოვრება.

ალიო მირცხულავას ბავშვებისთვისაც მრავალი ლექსი დაუწერია, სადაც უხვად იყენებს ლამაზ პოეტურ თქმებსა და ნათელი სახეებით უხსნის პატარა მკითხველს, რომ „წიგნი აზრის და სიბრძნის წყაროა, წყარო მარად დაუშრობელი“, რომ შრომა ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას.

ალიო მირცხულავა ბუნების სურათების საუკეთესო მხატვარია, ამას მოწმობს მისი საბავშვო ლექსებიც: „გაზაფხული“, „მაისი“, „ზამთარი“, „გაზაფხულის მახარობელი“, „მდინარე“ და სხვ. ისინი ხელს უწყობენ ბუნების სილამაზის შეგრძნებას, მშობლიური ქვეყნის სიყვარულის გაღრმავებას.

ალიო მირცხულავამ შესანიშნავად თარგმნა და ქართველ მკითხველს მიაწოდა პუშკინის, ნეკრასოვის, ლესია უკრაინკას, მიცკევიჩის და თანამედროვე გამოჩენილი საბჭოთა პოეტების მთელი რიგი ლექსები.

ალიო მირცხულავას ლექსები და პოემები ახალი ცხოვრების სიმღერებია. მის შემოქმედებაში სრული გამოხატულება პოვა პოეტის იდეურმა რწმენამ და ზნეობრივმა კონცეფციამ.

ალიო მირცხულავა რევოლუციის პირმშოა და მას სრული უფლება ჰქონდა თავისი შემოქმედებაც ეგულისხმა სტრიქონებში:

რაც კი ცხოვრებით არის შობილი,
იცოცხლებს მარად დაუჭკნობელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ქუმსიშვილი

# ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფის სამწუხარო შედეგი

მარქსისტული ისტორიზმის პოზიციებიდან უხეშ შეცდომად ითვლება არქაიზაციისა და მოდერნიზაციის ისეთი შემთხვევები, როდესაც ობიექტის დახასიათება ხდება იმ ცნებებისა და კატეგორიების მეშვეობით, რომლებიც ეკუთვნის არა ისტორიული განვითარების მოცემულ საფეხურს, არამედ ისეთ საფეხურებს, რომლებიც ისტორიულად ან წინ უსწრებენ, ანდა გვიანდელია განსახილველთან შედარებით.

ისტორიზმის პრინციპის შესაბამისად ობიექტური სამყაროს განვითარების პროცესები განხილულ უნდა იქნას იმ სახით, როგორც ისინი სინამდვილეში მიმდინარეობდნენ. ნებისმიერი მოვლენა, ნებისმიერი საგანი შეიძლება სწორად გაგებული და შეფასებული იქნას, მხოლოდ ერთი პირობის დაცვით, თუ მას განვიხილავთ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, ისტორიულ კავშირში სხვა მოვლენებსა და საგნებთან. ამავე დროს ნებისმიერი მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი დარგიდან შეიძლება უაზრობად ვაქციოთ, თუ მას არ განვიხილავთ ისტორიზმის პოზიციებიდან.

ანტიისტორიზმი — ხელს უშლის მოვლენების მეცნიერულ შესწავლას, წარსულის, კერძოდ, ამა თუ იმ ეპოქის მოაზროვნეთა, ხელოვანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ჭეშმარიტი რაობის დადგენას, მათ სწორ კვალიფიკაციასა და შეფასებას.

ანტიისტორიზმი მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის მტერია, ანტიმეცნიერულია და დიდი ზიანის მომტანი.

ისტორიზმის ძირითადი პრინციპები ნათლად ჩამოაყალიბა ლენინმა. იგი წერდა: «Весь дух марксизма, вся его система требует, чтобы каждое положение рассматривать лишь (а) исторически; (в) лишь в связи с другими; (γ) лишь в связи с конкретным опытом истории»[1].

სამწუხაროდ, ზოგიერთი რუსთველოლოგის შრომებში უგულებელყოფილია ისტორიზმის პრინციპი, ეს ერთადერთი მეცნიერული მეთოდი ლიტერატურის ისტორიის მოვლენების სწორად განსაზღვრისა და შეფასებისა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და მისი ავტორის მსოფლმხედველობის რაობის გარკვევის საქმეს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია აკადემიკოს ალ. ბარამიძის რუსთველოლოგიური ნაშრომები.

არაერთხელ დაუშვა ალ. ბარამიძემ უხეში შეცდომა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის რაობისა და შეფასების საკითხში, არაერთხელ უარჰყო თავისი უწინ გამოთქმული შეხედულებები და შეცვალა ისინი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებებით...

ალექსანდრე ბარამიძის შეხედულებების ასეთი მერყეობა, აიხსნება უპირველესად ყოვლისა, ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფით ლიტერატურული მოვლენების კვლევისას. ასე მაგალითად, ალ. ბარამიძე 1966 წელს თავის მონოგრაფიაში — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ წერს:

„რუსთაველმა დედაკაცი მამაკაცს გაუთანაბრა **მორალურად** და **ინტელექტუალურად**, გარკვეულ პირობებში პოეტს შესაძლებლად მიაჩნია მამაკაცისა და დედაკაცის პოლიტიკურუფლებრივი თანასწორობაც“. და იქვე დასძენს: „შოთა რუსთაველი მხატვრული ენით ამტკიცებს, რომ *მამაკაცის* მსგავსად **ქალიც კაცია**, ადამიანი, *დედა-კაცი*. ამ დებულებას

[1] В. И. Ленин, Соч., т. 35, გვ. 200.

რუსთაველის შემოქმედებაში აქვს **უნივერსალური მნიშვნელობა**“[1] (ხაზი ჩვენია დ. ქ.).

ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „თამარის მოღვაწეობით აღფრთოვანებულმა პოეტმა არა თუ დაუშვა ქალის ტახტზე ასვლის შესაძლებლობა, **არამედ მან განაზოგადა იდეა დედაკაცისა და მამაკაცის მორალურ — ინტელექტუალური** და, გარკვეულ პირობებში, პოლიტიკურ-უფლებრივი **თანასწორობისა**“ (ხაზი ჩვენია დ. ქ.).[2]

„დედაკაცს რუსთაველი თვლის სრულყოფილ ადამიანად. ამით ქართველმა პოეტმა დაარღვია მუსლიმანური აღმოსავლეთის სინამდვილეში საზოგადოდ და კერძოდ პოეზიაში გაბატონებული თვალსაზრისი დედაკაცის უსრულობისა და ზნეობრივ-გონებრივი შეზღუდულობაზე“.[3]

ალ. ბარამიძე შოთა რუსთაველს მიაწერს კაცისა და ქალის საყოველთაოდ გათანაბრების იდეის ქადაგებას, ვითომ დიდი პოეტისათვის **ქალიც კაცი იყოს,** როგორც იგი წერს — დედა-კაცი. და ვითომ ამ დებულებას **უნივერსალური** ხასიათი ჰქონდეს, ანუ იგი არა მარტო მეფის ასულებს ეხებოდეს, არამედ დედაკაცს საერთოდ.

ჯერ ეს ერთი, თუ „ვეფხისტყაოსანში“ ლაპარაკია ქალისა და კაცის თანასწორობაზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ მეფის საგვარეულოს წევრებს ეხებათ და არა დიაცებსა და დედაკაცებს. შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. — სწორედ ამაზე მეტყველებს. აქ ლაპარაკია ლომის ლეკვებზე (ლომი მეფურობის სიმბოლოა). ამ აფორიზმით შოთა რუსთაველი ასაბუთებს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეის მართებულობას იმის შესახებ, რომ მეფის შთამომავალი, ქალი იქნება თუ კაცი, ერთნაირი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, ამიტომ თინათინიც თუმცა ქალია, მაგრამ რადგან მეფის ასულია, ღვთიური წარმოშობისა (მართ ღმრთისა დანაბადია) ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მეფის ძე. რუსთაველის აზრით, ყველა ქალისა და კაცის გათანაბრება კი არ შეიძლება, არამედ მხოლოდ სამეფო ჩამომავლებისა, რადგან ისინი განირჩევიან ჩვეულებრივ მოკვდავთაგან. მეფის შვილები ღვთიური წარმოშობისა არიან. რუსთაველი ამ გარემოებას საგანგებოდ უსვამს ხაზს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ
**მართ ღმრთისა დანაბადია.**
ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს, თუნდა
ხვადია“. (39)

პირველი სტრიქონის აზრი ასეთია: თუმცა ქალია თინათინი და არა მამაკაცი, მაგრამ იგი რადგან, როგორც ყველა ხელმწიფე, ღვთისაგან არის ხელმწიფედ დაბადებული, მისმა ქალობამ არ უნდა შეუშალოს ხელი სამეფო ტახტზე ასვლაში. აქედან ლოგიკურად გამოდის მეორე დასკვნა — თინათინი რომ ხელმწიფის ჩამომავალი არ ყოფილიყო, იგი ჩვეულებრივ დიაცად ჩაითვლებოდა, და, ცხადია, მამაკაცთან მის თანასწორობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა.

ამრიგად, ცხადია, როდესაც რუსთაველი ლაპარაკობს ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობაზე, მას მხოლოდ სამეფო გვარის ჩამომავლები ჰყავს მხედველობაში.

სხვა შემთხვევა, სხვა მაგალითი გარდა აღნიშნულისა, არ მოიპოვება „ვეფხისტყაოსანში“. ხოლო იმის დამადასტურებელი ადგილები, სადაც ლაპარაკია კაცისა და დიაცის, დედაკაცისა და მამაცის (მამაკაცის) სხვაობაზე, როგორც მორალურ, ისე ინტელექტუალურ უთანასწორობაზე, მრავლად შეიძლება მოვიტანოთ. მათ კი სწორედ „უნივერსალური“ ხასიათი აქვთ (სამეფო გვარის წევრების გამოკლებით).

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. თვითონ ნესტან-დარეჯანი, რომელსაც რუსთაველი მეფის ძის სწორად მიიჩნევს, არ თვლის თავის თავს ზოგიერთ შემთხვევაში მამაკაცის სწორად. ასე, მაგალითად, თუმცა ნესტან-დარეჯანი აღიარებს თავის უფლებას ტარიელთან ერთად დაიკავოს სამეფო ტახტი, („მე და შენ დავსხდეთ **ხელმწიფედ**“ — ეუბნება იგი ტარიელს), მაგრამ მაინც არ ივიწყებს, რომ იგი ქალია და მას არ შეჰფერის ჩაიდინოს ის, რაც მამაკაცს შეუძლია. ნესტანი ტარიელს ეუბნება:

„მიბრძანა, თუ: **ხამს დიაცი დიაცურად,**
**საქმე — დედლად,**
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნები
შუა კედლად“.

მეორეგან ნესტანი თავის თავს კნინობითად დედაკაცს უწოდებს და აღნიშნავს იმ სხვაობას, რომელიც დედაკაცსა და მამაკაცს შორის არსებობს:

„თუმცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა“ (412), ან კიდევ, ნესტანი თავის თავზე ამბობს: „დიაცურად რად მოვლორდი?“ (შევცდი, 524). თინათინიც, თუმცა იგი როსტევანმა სამეფო ტახტზე აიყვანა, გრძნობს იმ განსხვავებას, რომელიც ქალსა და ვაჟს შორის არსებობს უფლებრივად და დიდად შეწუხებულია.

---

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966 წ. გვ. 141 — 142.

[2] იქვე. გვ. 144.

[3] იქვე. გვ. 142.

„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ
ეღირსებოდა,
ამად სტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა
აივსებოდა“. (47)

რაც შეეხება თვითონ რუსთაველს, იგი ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს მამაცსა (მამაკაცს) და დიაცს (დედაკაცს) და მათ შორის განსხვავებას საგანგებოდ უსვამს ხოლმე ხაზს. მოვიტანოთ მრავალთაგან რამდენიმე მაგალითი:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა
მეჭველსა,
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა
მბეჭველსა?“ (799).

როგორც ვხედავთ, ჯაბანი, შეშინებული, შემდრკალი მამაცი (კაცი) ჰგავს დიაცს (ქალს), რომლის საქმე ომი კი არ არის, არამედ ქსელის ქსოვაა. რუსთაველი კაცს უშიშრად, შეუდრეკლად, გმირული სულის მატარებლად სახავს, ხოლო დიაცს (ქალს) მშიშრად, სიკვდილით შეცბუნებულად და სხვ. მეორე ადგილას ვკითხულობთ:

„თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და
მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა
კრულსა,
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა
უთხრობს სრულსა“. (1093)

აქაც, როგორც ვხედავთ, ავთანდილი ისეთი ეპითეტებით აჯილდოებს ზოგადად ქალს და მის ისეთ უარყოფით თვისებებზე მიუთითებს, რომლებიც მას მამაკაცისაგან განასხვავებენ. ქალს ცუდის ჩადენა, ცუდის თქმა არაფრად მიაჩნია. ავთანდილი დიაცს წყეულად აცხადებს. ან კიდევ, 1081 სტროფში შოთა რუსთაველი დიაცის (ქალის) მიმართ ამბობს:

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა
დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და
მოგენდობის,
მართ ანაზდად გიღალატებს, გაჰკვეთს რასცა
დაესობის, —
მით დიაცსა სამალავი არასთანა არ
ეთხრობის“.

მამაკაცისაგან განსხვავებით, რუსთაველის აზრით, დიაცისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება ღალატისაკენ, დაუნდობლობა, საიდუმლოს შეუნახველობა, ამიტომ კაცი არ უნდა ენდოს დიაცს, და, თუ შეუძლია, სულაც შორს დაიჭიროს მისგან თავი (ეს არ ეხება მხოლოდ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს).

ფატმანის მაგალითზე, რუსთაველმა დაამტკიცა, რომ ქალს საიდუმლო პირზე არ დაადგება. მან „დიაცურად, ხელურად“ (1206) ნესტანის ამბავი თავის საყვარელს ჭაშნაგირს უამბო და ამით კინაღამ მთელი თავისი ოჯახი დაღუპა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა ეხება მხოლოდ მეფეთა საგვარეულოს ჩამომავლებს, მეფეთა ასულებს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მეფეს ძე არ ჰყავს, და არა საერთოდ ყველა ქალსა და კაცს. რუსთაველი არ ჰქადაგებს, და ვერც იქადაგებდა ქალთა ემანსიპაციას. ეს იმ დროს ისტორიული ანაქრონიზმი იქნებოდა. ალ. ბარამიძის აზრი იმის შესახებ, რომ „თამარის მოღვაწეობით აღფრთოვანებულმა პოეტმა არა თუ დაუშვა ქალის ტახტზე ასვლის შესაძლებლობა, არამედ მან განაზოგადა იდეა დედაკაცისა და მამაკაცის მორალურ-ინტელექტუალური და, გარკვეულ პირობებში, პოლიტიკურ-უფლებლივი თანასწორობისა“, არ არის მართალი და ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ მთელ შინაარსს.

შოთა რუსთაველი სრულიად რეალისტურად ასახავს ქალთა მდგომარეობას ფეოდალურ საზოგადოებაში და სწორედ იმაშია მისი სიდიადე, რომ აქაც, ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს მხატვრულ სიმართლეს.

შოთა რუსთაველი იმდენად დიდი პოეტია, რომ მას არ სჭირდება შელამაზება და იმისი მიწერა, რაც მას არა აქვს და რაზეც არ უფიქრია. ქალთა ემანსიპაცია რუსთაველთან პატივცემულ ალ. ბარამიძის ფანტაზიის ნაყოფია. საერთოდ, წარმოუდგენელია საუბარი ქალთა და მამაკაცთა მორალურ-ინტელექტუალურ, პოლიტიკურ-უფლებრივ თანასწორობაზე კლასობრივ საზოგადოებაში, მაშინ როდესაც თვით ქალთა შორისაც შეინიშნება მორალურ-ინტელექტუალური და სოციალური უთანასწორობა.

ასეთსავე არასწორ, მცდარ თვალსაზრისს ავითარებს აკად. ალ. ბარამიძე თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში ბედისა და ბედისწერისადმი დიდი პოეტის დამოკიდებულების საკითხის განხილვის დროსაც.

ახლა ვნახოთ, რას წერს ამ საკითხზე ალ. ბარამიძე 1966 წელს:

„პოეტს სჯერა, რომ ცდით, მოქმედებით, ბრძოლით **სავსებით** (ხაზი ჩვენია დ. ქ.) შესაძლებელია ბედის განაჩენის დაძლევა. რუსთველის თვალსაზრისით ყოველი გამარჯვების, მათ შორის ბედისწერაზე გამარჯვების, პირობა და საწინდარია აქტიური ბრძოლა“.[1]

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966 წ. გვ. 207. შეადარე: „საყურადღებოა ამ მხრივ ძეგლის მკაცრი ფატალიზმი: **ფატუმის, ბედის გარდუვალობის პირდაპირ პე-**

არ შეეფერება სიმართლეს ალ. ბარამიძის მტკიცება იმის შესახებ, რომ ვითომ რუსთაველის შეხედულებით **ბედის განაჩენის დაძლევა სავსებით** შესაძლებელია, რომ ადამიანს შესწევს უნარი, წინ აღუდგეს, განგებას, ბედისწერას. „ვეფხისტყაოსანში" სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისია განვითარებული. შოთა რუსთაველის ღრმა რწმენით ბედისწერის, განგების შეცვლა, დაძლევა ძე ხორციელს არ ძალუძს.

მოგვყავს საილუსტრაციოდ რამდენიმე ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან":

1. „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა
გარდავლენა" (797),

2. „ულმრთოდ ვერას ვერ მოვიწევ, ცრემლი
ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი
არ იქმნების" (191)

—აცხადებს ნესტან-დარეჯანი.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

ალ. ბარამიძე თავისი მცდარი დებულების დასამტკიცებლად იშველიებს 903 სტროფის მეოთხე ტაეპს:

„ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს,
მო-ცა-გხვდების".

მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ცდა-ს" ბედის შეცვლა კი არ შეუძლია, როგორც ალ. ბარამიძე ფიქრობს, არამედ აქ ნათქვამია, რომ ბედიც, ცდაც და გამარჯვებაც — ყველაფერი საბოლოოდ ღმერთზეა დამოკიდებული. ეს იგრძნო, ეტყობა, ალ. ბარამიძემ, ამიტომ სტროფი მთლიანად არ დაიმოწმა, არამედ შეკვეცილი სახით შეიტანა წიგნში — „ბედი, ცდა და გამარჯვება"... უფრო მეტიც, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტიც კი შეცვალა ახალ გამოცემაში, სადაც ვკითხულობთ — **„ბედი ცდაა"**. ეს შესწორება მიუღებელია. ბედი სხვაა, ცდა სხვაა. ბედი „ცდა" ვერადროს ვერ იქნება.

უკეთესად არ გამოიყურება რუსთაველის კლასობრივი პოზიციის ბარამიძისეული ინტერპრეტაცია.

ალ. ბარამიძის მონოგრაფიის 192-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„სახელოვანმა გმირებმა თავიანთი ქვეყნები რომ საგარეო ხიფათისაგან დაიხსნეს, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარეს საშინაო ცხოვრების მოწესრიგებას, დაამყარეს ჰუმანური გამგებლობა, **აღმოფხვრეს ძალადობა და უსამართლობა, ბოლო მოუღეს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა** და ყვლეფას. ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონის ქვეყნებში თითქო **პრაქტიკულად მოისპო ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმა,** თითქო ხორცი შეისხა თავისუფლებისა და სოციალ-ქონებრივი სრული თანასწორობის იდეალებმა". „პოეტს საოცნებოდ ეხატებოდა ისეთი დრო, როდესაც **ადგილი არ ექნებოდა ერთი ადამიანის ბატონობას მეორე ადამიანზე"** (ხაზი ჩვენია დ. ქ).

ალ. ბარამიძე სრულიად სერიოზულად ფიქრობს, რომ XII საუკუნეში, ფეოდალიზმის გაფურჩქვნის პერიოდში, შოთა რუსთაველი იბრძოდა საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლებისათვის და რომ მის მიერ დახატულ სახელმწიფოებში პრაქტიკულად მოისპო ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმა.

უპირველეს ყოვლისა, ალ. ბარამიძის გამონაგონია ის, რომ, ვითომ ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა „თავიანთი ქვეყნები საგარეო ხიფათისაგან დაიხსნეს". გარეშე მტრებისაგან არავითარი ხიფათი არ ელოდა არაბეთს და ავთანდილს იგი არ დაუხსნია ხიფათისაგან. პირიქით, „ვეფხისტყაოსანში" ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. რაც შეეხება ფრიდონს, მის ქვეყანასაც „საგარეო ხიფათისაგან" დახსნა არ სჭირდებოდა. თავის ბიძაშვილებთან პატარა კინკლაობა სანადიროდ განკუთვნილი კუნძულის გამო, მხოლოდ სასაზღვრო ინციდენტად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ნათესავებს შორის მოხდა. ერთადერთი ინდოეთი რჩება, რომელზეც შეიძლება განვავრცოთ ალ. ბარამიძის გამოთქმა, მაგრამ რა შუაშია ავთანდილისა და ფრიდონის ქვეყნები!? ამას ჩვენ არ გამოვედევნებით, რადგან ეს მცდარი აზრი შეიძლება პატივცემული მკვლევარის დაუდევრობით აიხსნას, და უბრალო უზუსტობად ჩავთვალოთ. ასეთი, ტექსტის უცოდინარობიდან გამომდინარე, შეცდომა ეპატიება მკვლევარს, მაგრამ ძნელია გვერდი ავუაროთ პატ. აკად. ალ. ბარამიძის ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ განცხადებას, იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში" ასახულ ქვეყნებში **ბოლო აქვს მოღებული ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და ექსპლუატაციას,** ვითომ რუსთაველი ჰქადაგებდეს ადამიანთა შორის სციალურ-ქონებრივ სრულ თანასწორობას, რომ ვითომ რუსთაველი ოცნებობდეს ისეთ დროზე, „როდესაც ადგილი არ ექნებოდა ერთი ადამიანის ბატონობას მეორე ადამიანზე" და სხვადასხვა ამდაგვარი.

ჩვენ კარგად გვესმის პატივცემული მკვლევა-

---

**დანტურ-ფანატიკური დაცვა. ფატუმის აღიარება კი რელიგიური ცრუმორწმუნეობის ერთ-ერთი უსაძაგლესი ფორმაა.** თხზულების ავტორი (ე. ი. რუსთაველი დ. ქ.) ფატალისტური მოტივების გამძაფრებით საზოგადოებრივ ურთიერთობაში მოცემული სოციალური განრიგების დაკანონებას ქადაგებს **(18, 1-2)". ალ.** ბარამიძე, ნარკვევები... 1932 წ. გვ. 152.

როგორც ვხედავთ, შოთა რუსთაველი სამარცხვინო ბოძზეა გაკრული...

რის ზრახვანი. დიდად დასაფასებელია მისი ერთგულება იმ იდეალების მიმართ, რომელთა განხორციელებისათვის დღესაც იბრძვიან კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა დროშაზეც დაწერილია — ძმობა, ერთობა, თავისუფლება, რომლებიც ებრძვიან ეროვნულსა და სოციალურ ჩაგვრას, ვმობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და სხვ. მაგრამ რა შუაშია აქ ფეოდალიზმის ეპოქაში შექმნილი ნაწარმოები და ამ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი შოთა რუსთაველი? ეს პრობლემები არ მდგარა იმ ეპოქაში და არც შეიძლება, რომ მდგარიყო. და რომ ვინმეს კიდეც დაეყენებინა ისინი, მისი ხმა იქნებოდა „მღაღადებელი უდაბნოსა შინა". ვიმეორებთ, ეს იქნებოდა ისტორიული ანაქრონიზმი.

ვინმემ შეიძლება თქვას, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ისეთი, ალექსანდრე ბარამიძემ, მართალია, მიაწერა რუსთაველს იდეები, რომელთა შესახებ პოეტს არც უფიქრია, მაგრამ ცუდი ხომ არაფერი მიუწერია? ამით რუსთაველს მოემატა, ხომ არ დააკლდაო? მაგრამ ეს მთლად ასე არ არის.

ჯერ ერთი, რუსთაველი იმდენად დიდი და განუმეორებელი პოეტია, რომ მას ალ. ბარამიძის მოწყალება არ ესაჭიროება, ეს რომ ასე იყოს, ჩვენ ხმას არ ავიმაღლებდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამით დიდ პოეტსა და მის პოემას განუზომელი ზიანი მიადგა.

იმაზე ლაპარაკმა, რაც სინამდვილეში არ არის „ვეფხისტყაოსანში", დაჩრდილა ის, რაც ღირსშესანიშნავი და ჭეშმარიტად დასაფასებელია პოემაში. ალ. ბარამიძე, სამწუხაროდ, ლაპარაკობს იმაზე, რაც სულაც არ არის პოემაში, ხოლო მისი ყურადღების გარეშე რჩება ყველაფერი ის, რაც შოთა რუსთაველს ჭეშმარიტად დიდ პოეტად ხდის.

ალ. ბარამიძეს იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონის სამეფოში პრაქტიკულად მოსპობილია ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმა და დამყარებულია სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობა, მოჰყავს 1664-ე სტროფი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს" (1664)

ამ სტროფით პატივცემული ალ. ბარამიძე ფიქრობს თავისი აზრის დასაბუთებას, თუმცა სწორედ ეს სტროფი მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

პირველივე ტაეპი გვამცნობს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები სხვებს წყალობას ისე მოათოვდნენ, როგორც თოვლს [illegible] ნანს, რომ მათს საბრძანებელში დიდი უთანასწორობაა, რადგან ყოფილან ისეთნიც, რომელთაც შესძლებიათ წყალობის გაცემა, და ისეთნიც, რომელთაც წყალობა სჭირდებოდათ. ე. ი. ყოფილან მდიდრებიც და ღარიბნიც. სადღა არის ალ. ბარამიძის მიერ დანახული ქონებრივი თანასწორობა!

მეორე ტაეპიდან ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის" გმირთა სამფლობელოში ყოფილან ღარიბნი, ობლები და ქვრივნი, რომელთაც დახმარება სჭირებიათ, ყოფილან აგრეთვე გლახაკნი; მართალია, მათ იმდენი საჩუქარი უბოძეს, რომ აღარ ითხოვდნენ, მაგრამ, ნუთუ ალ. ბარამიძეს ჰგონია, რომ საჩუქრებით შეიძლება საბოლოოდ მოისპოს მათხოვრობა?

რაც შეეხება ავის მქნელთ, ისინი ვერ აღმოუფხვრიათ მთლად, ისინი მხოლოდ დროებით დააშინეს.

ალ. ბარამიძის მთავარ არგუმენტად მაინც მეოთხე ტაეპი რჩება, რომლის მიხედვით, თურმე „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს". ალ. ბარამიძე ამბობს: ნახეთ, ისეთი ჰარმონიული და ჰუმანური სახელმწიფოები შექმნეს ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა, რომ მგელი თხას აღარას ერჩისო. ეს ფიგურალური გამოთქმა, სამწუხაროდ, ალ. ბარამიძეს პირდაპირ გაუგია და რეალობად მიუჩნევია.

გამოთქმა — „თხა და მგელი ერთად სძოვდეს" მარტო შოთა რუსთაველთან არ გვხვდება და რუსთაველის სოციალური შეხედულებების დასამტკიცებელ არგუმენტად ვერ გამოდგება. მაგალითად, გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების შემდეგ სახელმწიფოში დამყარებული ბედნიერებისა და მშვიდობის სურათის გადმოსაცემად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გვამცნობენ: „და შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთმაგად ძოვდეს ლომი და ქარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხვართა თანა".[1] ეს ფიგურალური გამოთქმა, რომელიც პირდაპირ კი არ უნდა გავიგოთ, არამედ გადატანითი მნიშვნელობით, სახარებაშიაც გვხვდება.

თავის დროზე, ვეფხისტყაოსნის ასეთი ვულგარიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა, დიდმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ. იგი წერდა: „პოეტის აზრით, ფეოდალიზმის ძირითადი საფუძვლები ურყევია, სოციალურად განსხვავებული საფეხურების არსებობა საზო-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 54-55.

გადოებრივი ცხოვრების ურყევი კანონია“.[1] კორნელი კეკელიძე, აგრეთვე, ვერ ხედავს რუსთაველის მხრივ პროტესტს მიმართულს „არსებული სოციალური მდგომარეობის წინააღმდეგ“.[2] სამაგიეროდ, ალ. ბარამიძე ირწმუნება, რომ „პოეტს არ აკმაყოფილებდა მისდროინდელი საზოგადოებრივი წყობილება“, რომ რუსთაველი ოცნებობდა „ადამიანთა და ხალხთა უნივერსალურ თავისუფლებასა და ბედნიერებაზე“.[3]

ცნობილმა რუსთველოლოგმა გაიოზ იმედაშვილმა ბრწყინვალედ დაასაბუთა ამდაგვარ შეხედულებათა მთელი უსუსურობა და ანტიმეცნიერული ხასიათი. იგი წერს: „რუსთაველისათვის სოციალური ტრაგედია არ არსებობს, მის მიერ დახატულ საზოგადოებას სოციალური ტკივილები არ აწუხებს“... შემდეგ იგი აგრძელებს: „ამდენად, საქართველოსა და ვეფხისტყაოსნის პატრონყმური ურთიერთობით აგებულ საზოგადოებაში, მიუხედავად საერთო კეთილდღეობისა, სახელმწიფო ძლიერებისა, საკმაო სიმდიდრისა, ძალმომრეობის აღკვეთისა და პატრონყმური სამართლიანობისა ობიექტურად არსებობდნენ ღარიბები და გლახაკებიც“...[4]

ალ. ბარამიძის აზრით კი, თითქოს ვეფხისტყაოსანში „ხორცი შეისხა თავისუფლებისა და სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის იდეალებმა“, ესე იგი იქ უკვე აღარც გლახაკნი იყვნენ და აღარც ღარიბნი.

გაიოზ იმედაშვილი სრულიად მართებულად აღნიშნავს:

„ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსანში ამდენი ჩუქება, ბოძება, დამწყალობება, გლახაკთა გამდიდრებაა, თავისთავად ცხადყოფს, რომ პატრონყმურ საზოგადოებაში არსებობს მდიდარზე მდიდარი, ღარიბზე ღარიბი და დოვლათის ასეთი განაწილების მიზეზებიცა და განსაკუთრებული ფორმებიც.“[5]

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ უკანონოდ გამოიყენა ალ. ბარამიძემ 1664-ე სტროფი, რათა ეჩვენებინა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოსპობილია ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმა და გაიმარჯვეს სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის იდეალებმა“.

გაიოზ იმედაშვილი კი, სრულიად მართებულად, საწინააღმდეგო ამბებს ხედავს ცნობილ სტრიქონებში:

„ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს“ (1664)

და შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: „ამრიგად, ჩუქება-ბოძების ჩვეულება საზოგადოებრივი დოვლათის პატრონყმური ურთიერთობით გაპირობებული ერთგვარი გადანაწილების სავალდებულო ფორმაა, რასაც რუსთაველი ეკონომიური უთანასწორობის სოციალურ გადაწყვეტაში კი არ ვამოხატავს, არამედ მორალურ კატეგორიებში, რადგან მისი დრო ჯერ არ აყენებს უფრო მეტად თამამ პრობლემას და არ უჩვენებს უფრო რეალურ გზას სოციალური უთანასწორობის მოსპობისათვის.“[1]

ჩვენი დიდი მეცნიერის კორნელი კეკელიძის და გაიოზ იმედაშვილის ბრძოლას „ვეფხისტყაოსნის“ ვულგარიზატორთა წინააღმდეგ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან ალ. ბარამიძე, მაინც თავისაზე დგას და ცდილობს მეცნიერული სოციალიზმის იდეები შოთა რუსთაველს — მეთორმეტე საუკუნის პოეტს მოახვიოს თავს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ ადგილი არა აქვს სოციალური უთანასწორობის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას დღევანდელობის თვალსაზრისით, როგორც ეს ალ. ბარამიძეს მიაჩნია.

პირიქით, ავთანდილის, ტარიელის და ფრიდონის სამფლობელოები არიან ფეოდალურ-მონარქიული კლასიკური ტიპის სახელმწიფოები, რომლებშიც არის წოდებრივი, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, მათში არიან გლახაკებიც, ღარიბებიც, მონებიც, ყმებიც და ბატონებიც. ამ დებულებას მტკიცება არ სჭირდება, რადგან შოთა რუსთაველი, საბედნიეროდ, პირდაპირ მიგვითითებს ამის შესახებ. ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე ტაეპს, რომლებიც ყოველგვარი კომენტარის გარეშე ამის შესახებ ლაპარაკობენ:

1. „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“. (803)

ამ ტაეპებიდან ჩანს, რომ როსტევანის იდეალურ სამეფოშიც კი ყოფილან გლახაკები, მონები, არას მქონენი, ობლები, მაშასადამე, ყოფილა სოციალურ-ქონებრივი უთანასწორობაც და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაც. ეს რომ არ ყოფილიყო, ვერც გასცემდნენ, ვერც გაათა-

---

[1] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958 წ. გვ. 176.

[2] იქვე, გვ. 177.

[3] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 192-193.

[4] გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, 1968 წ. გვ. 82-83.

[5] იქვე, გვ. 83.

[1] გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, 1968 წ. გვ. 84.

ვისუფლებდნენ მონებს და ვერც დაამდიდრებდნენ არას მქონეთ.

2. „გლახაკთათვის საბოძვარსა საჭურჭლესა
ერთგან ჰყრიდეს. (1640)
დედოფალმან ეგრე ბრძანა: „ობოლ-ქვრივნი
მოასხენით,
ყველაკაი დაამდიდრეთ, საბოძვრითა
აავსენით“. (1641)

ინდოეთშიც ჰოფილან „გლახაკნი“, არაფრის მქონე ობოლ-ქვრივნი, რომელთაც საბოძვარი სჭირდებოდათ.

3. შოთა რუსთაველი პირდაპირ აცხადებს, რომ უნდა შენარჩუნებულ იქნას ის საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რომელიც არსებობს მის მიერ აღწერილ სამეფოებში.

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს
და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი
გულოვნობდეს“; (11)

ასეთი აზრისაა შოთა რუსთაველი პატრონყმობის შესახებ. რაც არ უნდა შეალამაზოს ალ. ბარამიძემ პატრონყმობა, მაინც ფაქტად დარჩება, რომ პატრონყმობა სოციალური და ქონებრივი უთანასწორობის საფუძველია. პატრონს მეტი აქვს, ვიდრე ყმას. ყმა დამოკიდებულია პატრონისაგან და უფლებებს მოკლებული. რუსთაველი თავის ნაწარმოებში კი არ იბრძვის პატრონყმობის წინააღმდეგ, არამედ იცავს, და, მაშასადამე, არ ილაშქრებს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

ალ. ბარამიძე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ რუსთაველი გამოიყვანა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლად. მისივე აზრით, შოთა რუსთაველი უდიდესი ინტერნაციონალისტიც იყო, რომელმაც მხატვრულად დაასაბუთა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა.

ალ. ბარამიძე გვამცნობს: „ამრიგად, **რუსთველმა მხატვრულად დაასაბუთა ხალხთა ძმობა-მეგობრობის უკვდავება.** რუსთაველის მიერ ჯერ კიდევ XII-საუკუნეში წამოწყებული იდეა **ხალხთა ძმობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობისა თვისებრივად** ახალი შინაარსით და არსებითად განსხვავებული ფორმით **რეალურად განხორციელდა ჩვენს დროში, საბჭოთა წყობილების პირობებში**“.[1]

რის საფუძველზე აკეთებს ასეთ თამამ დასკვნას ალ. ბარამიძე? იძლევა თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ რაიმე საბაბს იმისას, რომ რუსთაველი ინტერნაციონალისტად, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის მომღერლად გამოვაცხადოთ? ალ. ბარამიძისათვის საკმარისი საფუძველია ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ინდოელად, ავთანდილი არაბად, ფრიდონი მულღაზანზარელად იწოდებიან. მაგრამ განა ეს საკმარისი საფუძველია დასკვნისათვის, რომ რუსთაველმა ეს იმიტომ გააკეთა რათა ხალხთა შორის ძმობის იდეა ექადაგა?

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 156.

ალ. ბარამიძის მიერ შექმნილ ინტერნაციონალს ამ თავითვე ფრიდონი უნდა გამოაკლდეს, რადგან მის ეროვნებით კუთვნილებაზე „ვეფხისტყაოსანში“ არაფერია ნათქვამი. თვითონ ალ. ბარამიძეც აღნიშნავს: „ფრიდონი — მულღაზანზარელი (გაურკვეველი, მხატვრულად გამოგონილი ეროვნების წარმომადგენელი).[1] შოთა რუსთაველს თუ ხალხთა შორის ძმობის იდეის ნათელყოფა უნდოდა, ნუთუ ფრიდონსაც ვერ გამოუნახავდა ეროვნებას?

მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ეროვნული საკითხი სულაც არ იდგა „ვეფხისტყაოსანში“ და არც შეიძლება რომ წამოჭრილიყო XII საუკუნის ნაწარმოებში.

ხალხთა ძმობის, თანაარსებობის, ინტერნაციონალიზმის იდეა, რა თქმა უნდა, დიდებული იდეაა. ჩვენ ყველანი ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ნუთუ აუცილებელია ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში იყოს იგი. ნუთუ ალ. ბარამიძე ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ იქნებოდა დიდი ნაწარმოები, რომ შოთა რუსთაველს ინტერნაციონალიზმი არ ექადაგა? ჩვენ ვიცით მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრი, რომლებშიც სულაც არ დგას ხალხთა ძმობის საკითხი, ისინი სულ სხვა თემებს შეეხებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ხელის-ხელ საგოგმანები“ არიან.

ნუთუ ალ. ბარამიძეს ჰგონია, რომ იმის დანახვა მხატვრულ ნაწარმოებში, რაც მასში სულაც არ არის, რაიმეს ჰმატებს ამ ნაწარმოებს?

ალ. ბარამიძის აზრით, **„ტარიელი გამოხატავს თავისი ქვეყნის და თავისი ხალხის, ინდოელი ხალხის, საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. ავთანდილი, თავის მხრივ, გამოხატავს არაბ ხალხს, ფრიდონი — მულღაზანზარელთ“.**[2] პირიქით, ვეფხისტყაოსნის გმირებს არ გააჩნიათ არავითარი დამახასიათებელი ეროვნული თვისებები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებდა, როგორც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. ვეფხისტყაოსნის გმირებს არ გააჩნიათ არც განსხვავებული ენა, არც სარწმუნოება, არც განსხვავებული კულტურისა და ფსიქიკური წყობის დამახასიათებელი ნიშნები (რუსთაველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი გმირები „ტკბილ-ქართულით“ ლაპარაკობენ).

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 151.

[2] იქვე.

იმით არაფერი შეიცვლებოდა, რომ ავთანდილისათვის ინდოელი ეწოდებინა რუსთაველს, ხოლო ტარიელისათვის არაბი. არც ტარიელს აქვს ინდოელისათვის დამახასიათებელი რაიმე თვისება და არც ავთანდილს — არაბისათვის, ხოლო რაც შეეხება ფრიდონს — მას ეროვნებაც კი არ გააჩნია.

ალ. ბარამიძე კი თვლის, რომ მიუხედავად მათი სხვადასხვა ეროვნებისადმი კუთვნილებისა, „უცხოური წარმოშობა სრულიად არ უშლიდა ხელს გმირების დაახლოებასა და დაძმობილებას“.[1] ალ. ბარამიძე იმასაც კი ამბობს, ვითომ პოეტი საგანგებოდ აღნიშნავდეს მათს უცხოურ წარმოშობას, ვითომ უცხოელობას. ამის საბუთად მას მოტანილი აქვს 282,988, და 666, სტროფების ტაეპები. მაგრამ ეს ტაეპები ალ. ბარამიძეს ვერ გამოადგება საბუთად, რადგან ამ ტაეპებში სიტყვა „უცხოობით“, „უცხო“ ნახმარია — „უცნობის“, მნიშვნელობით და არა „უცხოელის“.

ასე მაგალითად, აკად. აკ. შანიძის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ვკითხულობთ: „უცხო: უცხოობა 282,1 უცნობობა“.[2]

აღნიშნული სტროფების კონტექსტიდან ნათლად ჩანს თუ რა უნდოდა ეთქვა შოთა რუსთაველს.

პირველ შემთხვევაში, 282 სტროფში ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს ახლოს არ იცნობდნენ (ეს იყო მათი პირველი შეხვედრა), უცნობები იყვნენ, ამას არ მოერიდნენ და ერთმანეთს კოცნით მიესალმნენ. „მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს“.

მეორე შემთხვევაშიც, ავთანდილისა და ფრიდონის პირველად შეხვედრის გამო შოთა რუსთაველი აღნიშნავს: „მოეხვივნენ ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ“. აქაც სიტყვა „უცხო“ ნახმარია „უცნობის“ და არა უცხოელის მნიშვნელობით, როგორც ეს ალ. ბარამიძეს მიაჩნია. ადამიანები შეიძლება ერთი ტომის, ერთი ერის, ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთისათვის უცხონი ანუ უცნობნი.

მესამე შემთხვევაშიც, რომელსაც ალ. ბარამიძე იმოწმებს, სიტყვა „უცხო“ ნახმარია „უცნობის“, „გარეშეს“, „არა მახლობლის“ მნიშვნელობით. აი, ეს ტაეპიც:

„მან მიუგო: უცხოს უცხო ეგრე ვით შეგიყვარდი?“ (666,1)

აქ უცხო ნიშნავს არა „უცხოელს“, არამედ შორებელს, უცნობს, მართლაც, ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ, რადგან მათ პირველად ნახეს ერთმანეთი.

ვიმეორებთ, ვეფხისტყაოსნის გმირებს არ გააჩნიათ არავითარი „ეროვნულ-ინდივიდუალური“ თვისებები. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს ავთანდილსა და ტარიელს შორის. ისიც ცნობილია, რომ შოთა რუსთაველმა შექმნა ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები და ავთანდილი პირობითად არის არაბი, ხოლო ტარიელი — ინდო. სინამდვილეში კი რუსთაველმა ქართველი ადამიანის ტიპიური ხასიათები შექმნა.

ამრიგად, თუ რუსთაველმა, მხოლოდ ეთნოგრაფიული სახელები და ზოგიერთი უმნიშვნელო ელემენტი გამოიყენა, შეფარვის, შენიღბვის მიზნით საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი, სინამდვილის გადმოსაცემად, მაშინ თავისთავად იხსნება საკითხი — ხალხთა შორის ძმობის შესახებ, რადგან ტარიელი პირობითად არის ინდო, ავთანდილი კი არაბი, და არა ფაქტიურად.

ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ამდაგვარი ხასიათის ვულგარიზაციას, მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში არ არსებული ეს საკითხი ფართოდ არის გაშლილი. უფრო მეტიც, ხშირად სტუდენტებსა და მოწაფეებს აძლევენ დასაწერად თემას: „ხალხთა ძმობა და მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“.

როგორც ცნობილია, ფეოდალური სახელმწიფოების გაფურჩქვნის პერიოდში, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ჯერ არ ჰქონია ადგილი ცალკეული სახელმწიფოების მტკიცე ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ერები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებული და საიდან ექნებოდა ადგილი ერთა შორის ძმობასა და მეგობრობას. იმ დროს ხალხები ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ სამეფოებისა და სარწმუნოებრივი კუთვნილების მიხედვით.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნულ საკითხზე ვერ შეიწყნარებს XII საუკუნეში ხალხთა შორის საერთაშორისო სოლიდარობის იდეის არსებობას, რადგან არსებობს მხოლოდ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და, ხალხთა შორის სოლიდარობა .

ჩვენ იძულებული ვართ მოიყვანოთ საყოველთაოდ ცნობილი მარქსისტული განსაზღვრებები ერისა და ერთა საერთაშორისო სოლიდარობისა.

1962-67 წლებში გამოცემულ ფილოსო-

---

1 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966 წ. გვ. 151-152.

2 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1957 წ. გვ. 386.

ფიურ ენციკლოპედიის ფურცლებზე ვკითხულობთ:

«Нельзя подменять национальную общность расовой, племенной, равно как и религиозной и государственной общностью».

არ შეიძლება ეროვნული (ნაციონალური) ერთობლიობის შენაცვლება რასობრივი, ტომობრივი, ისევე როგორც რელიგიური და სახელმწიფოებრივი ერთობლიობით.

«Роды и племена — исторические общности людей эпохи первобытнообщинного строя, а народности — эпохи рабовладельческого и феодального общества — предшествуют нации. Экономической основой процесса образования нации, цементирующей их языковую, территориальную и культурную общность, было развитие товарного производства, появление местных рынков, их слияние в единный национальный рынок. «Создание... национальных связей, — писал Ленин, — было ничем иным, как созданием связей буржуазных» (Соч., т. I, стр. 137, 138).

«В эксплуататорском обществе классовое положение и интересы людей, а не их национальная принадлежность определяют решающим образом движущие мотивы и цели их деятельности в том числе их национальную волю, чувства, сознание и самосознание»[1].

„ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანთა კლასობრივი მდგომარეობა და ინტერესები, და არა მათი ნაციონალური კუთვნილება, გადამწყვეტად განსაზღვრავს მათი საქმიანობის მიზანსა და მამოძრავებელ მოტივებს, მათ შორის მათს ეროვნულ ნებას, გრძნობებს, შეგნებასა და თვითშეგნებას“.

«**Интернационализм** пролетарский (от лат. inter — между и natio — народ) — международное единство рабочего класса в борьбе за свержение капитализма, построение социализма и коммунизма, за мир, национальную независимость всех народов и демократию»[2].

„ინტერნაციონალიზმი პროლეტარული (ლათინ. inter შორის და natio — ხალხი) ერი, მუშათა კლასის საერთაშორისო ერთობა კაპიტალიზმის დამხობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მშვიდობისათვის, ყველა ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში“.

ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფამ, რომელიც დამახასიათებელია ალ. ბარამიძის რუსთველოლოგიური ნაშრომებისათვის, გამოვლენა VIII კლასის სახელმძღვანელოშიც ჰპოვა.[1] სწორედ ამით აიხსნება ის, რომ შოთა რუსთაველი გამოცხადებულია ინტერნაციონალისტად, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ მებრძოლად, ამ ცნებების დღევანდელი გაგებით.

აი, რას ვკითხულობთ ამის თაობაზე სახელმძღვანელოში: „შუა საუკუნეებში, ფეოდალური დაქუცმაცებისა და კუთხური კარჩაკეტილობის პირობებში, როცა ეროვნული შუღლი, ქიშპობა, მტრობა, სისხლის ღვრა ბატონობდა, **რუსთაველი გამოდის ხალხთა გაერთიანების, ხალხთა ძმობის იდეით. ამით რუსთაველი წინ უსწრებს თავის ეპოქას და მოწინავე საკაცობრიო იდეებით ჩვენს ეპოქას ეხმაურება**... „ვეფხისტყაოსნისათვის“ უცხოა **ნაციონალიზმი** და **შოვინიზმი.** პოემა გამსჭვალულია **ფართო ინტერნაციონალიზმისა** და ძლიერი პატრიოტიზმის სულისკვეთებით“.[2] დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

„ნაციონალიზმი“, „შოვინიზმი“, „ფართო ინტერნაციონალიზმი“ ბურჟუაზიული, კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ეპოქის შესატყვისი ცნებებია და, ცხადია, მათ შესახებ რუსთაველს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა და არც შეიძლება რომ ჰქონოდა. შეიძლება სასწაულსა აქვს ადგილი და „ვეფხისტყაოსანი“, მართლაც, „გამსჭვალულია ფართო“ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, და რუსთაველმა კარლ მარქსამდე შვიდასი წლით ადრე იწინასწარმეტყველა ინტერნაციონალის ჩამოყალიბების აუცილებლობა?

ჩვენ ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ პირობითად ტარიელი ინდოელად, ავთანდილი — არაბად, ხოლო ფრიდონი — მულღაზანზარელად იწოდებიან, არ არის საკმარისი საფუძველი „ხალხთა საერთაშორისო სოლიდარობისა და მეგობრობის იდეის“ არსებობის დასამტკიცებლად.

მეორე მხრივ, თუ სახელმძღვანელოს ავტორს დავუჯერებთ „რუსთაველის პოემაში XII საუკუნის საქართველოს სოციალური ურთიერთობის რეალური სურათია გადაშლილი“ და „რუსთაველი თავის პოემაში აგვიწერს **არა უცხო ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრების ამბავს, არამედ საქართველოს სინამდვილეს**“ (გვ. 155).

ხომ შეიძლება მოსწავლემ გვკითხოს:

— თუ რუსთაველი თავის პოემაში აგვიწერს არა უცხო ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრე-

---

[1] Философская энциклопедия, т. 4, М., 1967 г., стр. 13.

[2] Философская энциклопедия, том 2., М., 1962 г., стр. 293.

[1] გრ. ბარამიძე, გიორგი ჯაკობია, ქართული ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1972 წ.

[2] იქვე, გვ. 151.

ბის ამბავს, არამედ საქართველოს სინამდვილეს და თუ ტარიელი და ავთანდილი მხოლოდ პირობითად იწოდებიან ინდოელად და არაბად, სინამდვილეში კი ქართველი კაცის ბუნებასა და ხასიათს გამოხატავენ, მაშინ სადღაა პოემაში „ფართო ინტერნაციონალური" სულისკვეთება, რომელიც ნარკვევის ავტორმა აღმოაჩინა „ვეფხისტყაოსანში"?

ხოლო, როდესაც მოწაფე ამავე სახელმძღვანელოში წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანი ძლიერი ანტისპარსული ტენდენციით არის გამსჭვალული-ო" და გაიხსენებს, რომ ტარიელი სასტიკ ომს აწარმოებს ხატაელთა წინააღმდეგ, ნესტანი კი კატეგორიულად წინააღმდეგია ინდოეთის ტახტზე ხვარაზმეთიდან მოყვანილი უფლისწულის გამეფებისა, აუცილებლად იკითხავს:

— თუ რუსთაველი „ფართო ინტერნაციონალიზმის" მქადაგებელია — რატომ არის სპარსელების, ხატაელების და ხვარაზმელების წინააღმდეგ სიძულვილით გამსჭვალული?

აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ლიტერატურათმცოდნეობაში ისტორიზმის ლენინური პრინციპის უგულებელყოფამ!..

„ვეფხისტყაოსანში" არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი „ფართო ინტერნაციონალიზმის" იდეის ქადაგებას და არც ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობაა ხალხთა შორის ძმობისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების გამოხატულება.

ავთანდილს ტარიელსა და ფრიდონს ინტერნაციონალური პრინციპები კი არ ასაზრდოებენ, არამედ ვაჟკაცური სიტყვის ერთგულება და ძმადნაფიცობა. ავთანდილი ტარიელს იმიტომ კი არ ეხმარება ნესტანის მოძებნაში, იმიტომ კი არ უწევს უდიდეს თანაგრძნობას, რომ იგი უცხო ერის, ინდოეთის წარმომადგენელია, არამედ იმიტომ, რომ იგიც მასავით მიჯნურია (მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების!) და მათ ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს („ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს").

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ალ. ბარამიძეს სჩვევია მხატვრულ ნაწარმოებში იმის დანახვა, რაც მასში სულაც არ არის და ამა თუ იმ ავტორისათვის ისეთი აზრებისა და შეხედულებების მიწერა, რომელიც არ შეიძლება რომ მას ჰქონოდა. ასე, მაგალითად, ალექსანდრე ბარამიძემ „ხოსროვშირინიანში" ამოიკითხა ვითომ ნიზამი განჯელი ამტკიცებდეს, რომ საქართველო (აფხაზეთი) სომხეთის სამფლობელოში შედიოდაო. აი, სათანადო ადგილიც ალ. ბარამიძის მონოგრაფიიდან.

„**საგულისხმოა,** რომ ხოსროვშირინიანის" მიხედვით, **შირინის** მამიდის ბანუ შამირას( და შემდგომ თვითონ შირინის) **სამფლობელოში შედიოდა საქართველო.** ბანუ შამირა დროდადრო მგზავრობდა, ნადირობდა და დროს ატარებდა აფხაზეთში (საქართველოში)",[1] და რომ შირინი იყო „სომხეთის მეფის ასული, **ეროვნებით თითქო სომეხი**".[2]

არაფერი ამის მსგავსი არ წერია „ხოსროვშირინიანში", ჯერ ეს ერთი, არსაიდან არ ჩანს რომ შირინს ჰქონოდეს სამეფო. პირიქით, ნიზამი განჯელს უწერია, რომ მას სამეფო არ ჰქონია: „აქვს ყველაფერი, გარდა ტახტისა და გვირგვინისა" — ვკითხულობთ შირინის მამიდის შემირას (შამირას) შესახებ. ამრიგად, შემირა (შამირა) და შირინიც, თუმცა სამეფო გვარის შთამომავლები იყვნენ, ციხე-ქალაქებისა და დიდი მამულების პატრონნი, მაგრამ, როგორც ასეთი, სამეფო მათ არ ჰქონიათ. მაშინ როგორღა გამოდის, რომ მათ სამფლობელოში საქართველოც შედიოდა. ეს დასკვნა ალ. ბარამიძემ მხოლოდ იმის საფუძველზე გააკეთა, რომ შემირა თურმე საქართველოში (?) დადიოდა საagარაკოდ და სანადიროდ.

„შემოდგომაზე ის ყოველთვის აფხაზს ეწვევა და ხალისიან ნადირობას ის იქ ეწევა", ე. ი. შემოდგომით სანადიროდ აფხაზეთში (?) (საქართველოში) მიდიოდა ხოლმე სანადიროდ. მაგრამ განა ეს საკმარისი საფუძველია დასკვნისათვის, რომ საქართველო სომხეთის სამფლობელოს წარმოადგენდა?

ალ. ბარამიძემ ნიზამი განჯელს მიაწერა ის, რაც არ არის „ხოსროვშირინიანში". ერთი ქვეყნიდან მეორეში საagარაკოდ წასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ქვეყანა, სადაც აგარაკი იმყოფება, იმ ქვეყნის ნაწილია, რომლიდანაც მოაგარაკეა. კიდეც რომ დავუშვათ, რომ ნიზამი განჯელის „ხოსროვშირინიანში" ადგილი აქვს ისეთ შეცდომას და ნათქვამია, რომ საქართველო სომხეთის სამფლობელოში შედიოდა, ალ. ბარამიძეს ეს ისტორიულ-გეოგრაფიული შეცდომა განა უნდა გაეზიარებინა? უფრო მართებული იქნებოდა ალ. ბარამიძეს აეხსნა, თუ საიდან გაჩნდა ასეთი შეცდომა „ხოსროვშირინიანში"? ან კიდევ.

ალ. ბარამიძის აზრით, ასმათი დაბალი, უბრალო წრის ქალია, როგორც იგი ამბობს „მდაბიო წრიდან გამოსულია".

„ვეფხისტყაოსნის" მიხედვით კი, ასმათი პრივილეგირებული, ფეოდალური არისტოკრატიული წრის წარმომადგენელია. ამაზე მეტყველებს თუ გინდ ის გარემოება, რომ ასმათი მონების პატრონია, მონათმფლობელი („მონაათ ასმათისი" 392). ამასთან ერთად ასმათი ძალზე მდიდარია. ამის დამადასტურებელია 385-ე სტროფი:

[1] ალ. ბარამიძე, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა", 1966, გვ. 272.

[2] იქვე, გვ. 272.

„ასმათს მივართვი რჩეული თვალი
ოქროსა ჯამითა;
მან მითხრა: „არა, არ მინდა, ვარ
გამაძღარი ამითა“.
ერთი აიღო ბეჭედი, მარ აწონილი დრამითა:
ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ სხვად
ხელის შესაბამითა“. (385).

ასმათი მდაბიო, უბრალო დაბალი წრის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ **სეფე-ქალია**, დიდ-აზნაურთა გვარიშვილი, რომელსაც ტარიელი დად იხსენიებს, რომელიც ნესტან-დარეჯანთან ერთად იზრდებოდა და მისი მესაიდუმლეც იყო. „ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად საესავისა“ — ამბობს ტარიელი. ასმათი, რომ მეფედ დასვეს, ესეც მის დიდ შთამომავლობაზე ლაპარაკობს. ასმათის მდაბიურობის ავტორისეულ მოსაზრებას სრულიად არ უდგება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული ამ სიტყვის ახსნა. აი, რას ვკითხულობთ იქ:

„**მდაბიო** (მდაბიოსი )ძვ. სოციალური უთანასწორობის გამო არაპრივილეგირებული, დაბალი (ხალხი, წოდება); გლეხკაცობა; უგვარო (ადამიანი).“[1]

ერთიც ვნახოთ და, ვინმემ ასეთი საკითხი დასვას — როგორია მდაბიო ქალის დახასიათება ასმათის მიხედვით?..

დაბოლოს ფატმანის შესახებ.

წინაალმდეგობრივია ალ. ბარამიძის დახასიათება ფატმანისა.

აი, რას წერდა იგი ფატმანზე 1932 წელს გამოცემულ „ნარკვევებში ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“: „ნესტანის ადგილს იჭერს ფატმანი: ჭკვიანი და გაიძვერა დედაკაცი, ლოთი და ბოზი“.[2] როგორც ალ. ბარამიძეს უყვარს თქმა: „გამოტეხილადაა“ ნათქვამი. ალ. ბარამიძემ შემდგომში, ეტყობა, იგრძნო, რომ ასეთი სიტყვებით არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟების დახასიათება, ამიტომ თავისი ნარკვევების ახალ გამოცემაში, 1945 წელს ცოტა შეარბილა მაგარმაგარი სიტყვები და გვამცნო: „ერთი სიტყვით, უდაოა, რომ რუსთველი უარყოფითად უყურებს ფატმანსა და მის სიყვარულს, ფატმანის სიყვარულს ახლდა სიძვა, ფატმანი სიძვიანი (!) ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გამომხატველია. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება გაიგივება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სიძვისა და პროსტიტუციისა საერთოდ. ფატმანი, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა გარყვნილი ქალი, მეძავი, პროსტიტუტკა (თანამედროვე მნიშვნელობით). (აკი, ლოთი და ბოზი

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. V გვ. 129.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1932, გვ. 165.

იყოო! დ. ქ). ის იყო თავისუფალი ყოფაქცევის, თავისუფალი სიყვარულის მიმდევარი, სიძვას აყოლილი (რუსთაველური გაგებით), ე. ი. ისეთი ქალი, რომელიც მამაკაცთან იჭერს **სქესობრივ კავშირს** მეუღლეობის გარეშე“ სქესობრივი კავშირი! — რა უხამსობაა!). აქვე ალ. ბარამიძე იძლევა შემდეგ შენიშვნას: „ამდენადვე უმართებულოდ მიგვაჩნია პროფ. კ. დონდუას შენიშვნა:

«По недоразумению, ее (т. е. Фатман, А. Б.) обычно считают за отрицательный тип на том только основании, что не питая любви к мужу, она сохраняет чувство независимости в своих личных делах».

რუსთაველის იდეურ-მხატვრულ კონცეფციით, ფატმანი უპირისპირდება ნესტან-თინათინს, ის ვულგარული სიყვარულის გამომხატველია და, ამდენადვე, **საერთოდ და მთლიანად უარყოფითი ტიპია,** მიუხედავად იმისა, რომ მას (ფატმანს) ამკობს დადებითი ადამიანური ღირსებანი“.[2]

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნესტანთინათინისა და ფატმანის დაპირისპირება არ იქნება მართებული, რადგან ისინი სულ სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან და არც რუსთაველს ჰყავს ისინი დაპირისპირებული. ანდა, როგორ უნდა შეადარო მზე და ჭრაქი...

რუსთაველის შეხედულებით ნესტანსაც და თინათინს ღვთიური წარმომავლობა აქვთ, ისინი ღვთის სწორნი არიან, ფატმანი კი ჩვეულებრივი მოკვდავია, დიაცი, თუმცა აღზევებული, მაგრამ მაინც ვაჭრის ცოლი.

ფატმანს პოემაში სულ სხვა მხატვრული ფუნქცია აქვს. იგი გარკვეულ როლს თამაშობს ნესტანის პოვნის საქმეში და დიდ დახმარებას უწევს ავთანდილს ნესტანთან კავშირის დამყარებაში.

არაფერი არ არის გასაკვირველი და დასაძრახი იმაში, რომ ფატმანს ავთანდილი შეუყვარდება და მოეწონება, მოეწონება ისე, რომ იგი დიაცურ კრძალვას სძლევს და პირველი თვითონ უმხელს მამაკაცს თავის გრძნობებს. არ არის გასაკვირი იმიტომ, რომ თვითონ რუსთაველი წერს ავთანდილის გულანშაროში გამოჩენის შესახებ.

„ზარი გახდა, შემოკრბეს ქალაქისა
ერნი სრულად,
იქით-აქათ იჯარვოდეს: „ვუჭვრიტოთო
ამას რულად!“

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 177 — 178.

[2] იქვე, გვ. 178.

ზოგნი ნდომით შეჰფრვინვიდეს,
ზოგნი იყვნეს სულ-წასრულად:
მათთა ცოლთა მოიძულვნეს, ქმარნი
დარჩეს გაბასრულად". (1075)

როგორც ვხედავთ, რუსთაველის სიტყვით, ავთანდილის სილამაზემ გულანშაროში ისე მოხიბლა ყველა ქალი, რომ მათ საკუთარი ქმრები შეიძულეს და, რა გასაკვირველია, რომ ფატმანმაც მარტო საკუთარი ქმარი კი არა, საყვარელიც მოიძულა და ავთანდილის მიმართ დაუძლეველი ტრფობით აღივსო. რუსთაველი ფატმანის გრძნობას ავთანდილისადმი ადარებს ვისის სიყვარულს რამინისადმი:

„ფატმანს ჰკლავდა უმისობა (ავთანდილისა) რამინისი ვითა ვისსა" (1080).

1966 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა" ალ. ბარამიძემ საგრძნობლად შეარბილა ფატმანის უარყოფითი დახასიათება. მას იგი ლოთსა და ბობს აღარ უწოდებს, მაგრამ მაინც ამბობს. „რუსთაველის მთლიან სახეობრივს სისტემაში ფატმანი უარყოფითი პერსონაჟია"[1]. ალ. ბარამიძე აგრეთვე წერს:

„ფატმანი სისტემატურად (!) ღალატობდა ქმარს". ფატმანისათვის ნიშანდობლივია — შიშველი, ხორციელი წადილი, ავხორცული „მდაბიო" (!) სიყვარული: „ფატმანი იყო თავისუფალი ყოფაქცევის ქალიო" — აცხადებს მკვლევარი, და აქვე დასძენს: „არ შეიძლება გაიგივება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის სიძვისა პროსტიტუციის ცნებასთან. ფატმანი, რასაკვირველია, არ ყოფილა გარყვნილი ქალი, მეძავი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით".[2]

მერედა, ვინ ამბობს, რომ ფატმანი პროსტიტუტკა და მეძავი იყო? ვის ედავება ალ. ბარამიძე? ანდა რატომ უნდა დაებადოს მკვლევარს ასეთი აზრი? ეს ძალიან გავს შინაგან მონოლოგს.

ამ შემთხვევაში ალ. ბარამიძის შეცდომის სათავეა საკითხის არასწორად დასმა. მკვლევარს არც კი უნდა დაჰბადებოდა კითხვა იმის შესახებ — ფატმანი „პროსტიტუტკა" იყო თუ არა.

მკვლევარს, რომელიც თავის კვლევაში ისტორიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობს, არ დაებადება კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა მეთორმეტე საუკუნის პოეტი ხალხთა შორის მეგობრობის მქადაგებელი, ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობის დამცველი, ქალისა და კაცის თანასწორობის მომხრე და სხვ.

მეცნიერული კვლევის დროს მთავარია საკითხის სწორად დაყენება. თუ საკითხი სწორად არ არის დასმული, ცხადია, მისი გადაწყვეტაც მცდარი იქნება. ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაში, მკვლევარი თუ ისეთ რაიმეს ეძებს, რაც მასში არ არის და ობიექტურად არც შეიძლება იყოს — მისი შრომა წყალში გადაყრილია. ამ შემთხვევაში, მცდარ გზაზე მდგარი მკვლევარი, თავისდაუნებურად შესასწავლ ლიტერატურულ მოვლენას მიაწერს მისთვის უცხო ნიშნებსა და თვისებებს, რითაც სიყალბის ბურუსში ხვევს ჭეშმარიტებას. ასე, მაგალითად, საკითხი იმის შესახებ — არის თუ არა რუსთაველი ადამიანთა შორის „სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის" (ალ. ბარამიძე) იდეის მქადაგებელი, ფუჭია და უსაგნო. საკითხი არ არის მართებულად დასმული და ამიტომ პასუხიც, ცხადია, ჭეშმარიტებისაგან ძალზე შორს იქნება. აბსოლუტური მონარქიის აყვავების პერიოდში, ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ამსახველ მეთორმეტე საუკუნეში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის იდეას. ეს იმას ნიშნავს, ზღვაში ვარსკვლავები ვეძიოთ, ანდა ადრეული ბრინჯაოს დროის სამარხებში წყალბადის ყუმბარების ნაშთები, და, თუ გნებავთ, ვიპოვოთ კიდეც!

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ჭეშმარიტი რაობის გამოსავლენად საჭიროა გავანთავისუფლოთ დიდი პოეტის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი" იმ დანაშრევებისაგან, რომელიც ამა თუ იმ მკვლევარმა თვითნებურად შეიტანა მასში და შოთა რუსთაველს მიაწერა ყოველგვარი მეცნიერული საფუძვლის გარეშე და თვით ნაწარმოებში მოცემული იდეების საპირისპიროდაც კი.

შოთა რუსთაველისადმი მექანიკურად მიწერილი იდეები ჩქმალავენ „ვეფხისტყაოსნის" ჭეშმარიტ არსს, ყველაფერ იმას, რაც ძვირფასია და დასაფასებელი ნაწარმოებში. მეორე მხრივ XIX—XX საუკუნეების იდეები, მიწერილი რუსთაველისადმი, ჰკარგავენ თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, არაფრისმთქმელი და შინაარსიდან დაცლილი ხდებიან.

დაბოლოს, უნებლიედ ისმება კითხვა — სად უნდა ვეძებოთ „ვეფხისტყაოსნისადმი" მიდგომის ანტიმეცნიერული, ანტიმარქსისტული მიდგომის სათავე?

ჩვენ გვეჩვენება, რომ აკადემიკოსი ალ. ბარამიძის ცდები „ვეფხისტყაოსნის" მოდერნიზირებისა და სააგიტაციოდ გამოყენებისა სხვა

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966 წ. გვ .197.

[2] იქვე.

არაფერი არაა, გარდა პრაგმატიზმისა[1] და პრეზენტიზმის[2]. გამოვლენისა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

მხოლოდ ამის შემდეგ, ჩვენს წინაშე აღიმართება რუსთაველი მთელი თავისი სიდიადით, როგორც მე-12 საუკუნის საქართველოს იდეების, ცხოვრებისა და სინამდვილის უბადლო გამომხატველი და თავისი დროის დიდი მხატვარი და მოაზროვნე. თუ ჩვენ რუსთაველს თავის წარმომშობ ისტორიულ სინამდვილეს არ დავუბრუნებთ, და მას მთლიანად ჩვენს თანამედროვედ გავხდით, ჩვენი თანამედროვე ადამიანის იდეების გამომხატველად ვაქცევთ, მაშინ მე-12 საუკუნეში, იმ ადგილას, სადაც რუსთაველი უნდა იყოს, სიცარიელე დაგვრჩება.

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ჭეშმარიტი სახის აღდგენა, მისი განთავისუფლება სხვადასხვა მინარევებისაგან აუცილებელი და საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ძეგლის, სწორი გაგებისა და შეფასებისათვის. ავტორის მსოფლმხედველობის სწორ განსაზღვრისაგან კი დამოკიდებულია „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკური საფუძვლის დადგენა, პერსონაჟების და მათი ურთიერთმიმართების, პოემის მთელი მხატვრული კონსტრუქციის ჭეშმარიტი სურათის დახატვა.

დადგა დრო რუსთველოლოგია ისტორიზმის მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დავაყენოთ.

---

[1] «Американские прагматисты (Дж. Дьюи, историки К. Беккер, Ч. Бирд и др.) абсолютизировав связь исторического познания с потребностями современного общества, утверждают, что история вообще не отражает прошлого, а является только проекцией современных чаяний и стремлений людей и должна поэтому переписываться заново с каждым новым поколением (презентизм).

Все эти концепции, отражающие кризис буржуазной исторической мысли, фактически отрицают возможность объективного исторического познания, теоретически обоснованная модернизацию и фальсификацию прошлого».

«Последовательные «презентисты» рассматривают историческую науку как подсобное средство пропаганды и т. д.» (Философская энциклопедия, т. 2, 1962 г., стр. 374. Там же, стр. 273).

[2] «**Презентизм** (от англ. present — настоящее) — субъективно-идеалистическое течение в буржуазной философии, итсории... рассматривающее историческую науку как проецирование в прошлое современных стремлений и чаяний... Презентизм объективно является теоретическим обоснованием модернизации прошлого». «Философская энциклопедия, т. 4, 1967 г., стр. 360).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ფორმის ძიებაში

ლიტერატურისმცოდნეობამ მხატვრული პროდუქციის თანმიმდევრული შესწავლისა და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე უკანასკნელ ხანს მრავალი განზოგადებული დასკვნა გააკეთა ნაწარმოების ჟანრული სტრუქტურის თვალსაზრისით. დადგენილია რომანისა თუ ნოველის ფორმალური ჩარჩოები, შესწავლილია ჟანრთა უმეტესობის განვითარების გზები და მათი სრულყოფის საშუალებანიც. რასაკვირველია, ლაპარაკი როდია ჟანრთა გრანიტის ყალიბებზე, მხატვრული შემოქმედება ფორმის წინასწარმოცემულ ჩარჩოებს არ დაემორჩილება, მაგრამ ლიტერატურული სხეულის მრავალგვარობისა და ხშირად ფორმისადმი თავისუფალი დამოკიდებულების გამო თანამედროვე საუკუნეში ჟანრის ზოგადი კანონების ცოდნა აუცილებელი ხდება მწერლისათვისაც და მკითხველისთვისაც. დღეს, როცა უამრავი ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევი ნოველის, იგავ-არაკის, ოდის თუ ელეგიის ჟანრული კანონების შესწავლას *დამთავრებულად თვლის და ლიტერატურის* ხვალინდელ დღეს მხოლოდ ამ ჟანრთა გამდიდრების ან გამრავალფეროვნების ამოცანას უტოვებს, თანამედროვე პოემის ფორმის შესახებ გამოთქმული აზრები კვლავ მოკრძალებული ჰიპოთეზებისა და მასალის შეგროვების ფარგლებში რჩება.

მეცნიერებამ საფუძვლიანად შეისწავლა ე. წ. კლასიკური პოემის გამომსახველობითი საშუალებანი და ის იყო პოემის ძირითადი ჟანრული კანონები ძველ პოემა-რომანთა მხატვრული მოდელების გაანალიზების საფუძველზე უნდა გამოეტანა, რომ გამოჩნდა „ახალი პოემა“ და ლიტერატურულმა პრაქტიკამ აიძულა ლიტერატურის თეორია დასკვნების გამოტანა გადაევადებინა. რომანის გალექსვის ძველთაძველი ტრადიციის გაგრძელების საკითხი, თუ ეჭვის ქვეშ დადგა, ახალი ე. წ. ლირიკული პოემის დამკვიდრებასაც ბევრი სიძნელე გადაეღობა. კლასიკურმა პოემამ ახალ ლიტერატურულ ვითარებასთან შეგუება იწყო ნაკლებადმკვეთრსიუჟეტიანობითა და ლირიკულის და ეპიკურის სინთეზით, ხოლო ახალმა პოემამ ზოგიერთი პოეტის ხელში დაკარგა ამ ჟანრის ძირითადი ნიშნები და იგი ერთ გრძელ ლექსად ან ლირიკული ასოციაციების უსისტემო ნაკადად იქცა. თანამედროვე პოემის ჟანრული ფორმირების პროცესი თანდათანობით რთულ განვითარებას იძენს. ახლებურად დგება პოემის სიუჟეტის, კომპოზიციის, არქიტექტონიკისა და სხვა ლიტერატურულ აქსესუართა საკითხები. რასაკვირველია, ბოლოსდაბოლოს ყველაფერი პოეტურ ოსტატობაზეა დამოკიდებული; ჭეშმარიტი შემოქმედის ხელში ყველაზე „მოსაწყენი ჟანრიც“ ახალ განუმეორებელ ელფერს იძენს, მაგრამ როგორც თანამედროვე ქართული პოემის *განვითარების გზა გვიჩვენებს, პოემის ჟანრული* კანონების გაუთვალისწინებლობამ ან ზედმეტად თამამმა ფორმალურმა ექსპერიმენტებმა ყოველთვის როდი მიგვიყვანა სასურველ შედეგამდე. გადაწყვიტა პოეტმა ტრადიციული სიუჟეტიანი პოემის ერთგული დარჩენილიყო, დაიწყო „თხრობა“ და ხელთ შეგვრჩა გალექსილი პროზა. მეორე შემთხვევაში პოეტმა მიზნად დაისახა ლირიკული მონოლოგებით მოეტანა სათქმელი ჩვენამდე, მაგრამ ხშირად ეს ექსპერიმენტიც უმწეო ჩანს: ხელიდან გვეცლება დრამატურგიის რკინის კანონები, მკითხველის ყურადღება იფანტება, გონების არაჩვეულებრივი დაძაბვა გჭირდება, რომ ნაწარმოების ლაიტმოტივს მიწვდე. არ ჩანს მხატვრულად გამოკვეთი-

ლი პერსონაჟი, არ არის ხასიათი. აღგება პოეტი და მოთხრობის გალექსვის უხერხულობიდან თავდასაღწევად თვით შევა პოემაში მოქმედ პირად. ლირიკული წიაღსვლებით სურს ამოავსოს ბზარი ამ პოემის პოეტურობასა და პროზაულობას შორის რომ გაჩნდა. მეორე შემთხვევაში პოეტი აჩრდილთა მოხმობით, პოეტური დიალოგებით, პროზაული ელემენტების ჩართვით ცდილობს თავისი თხზულების დრამატურგიულ სიმშვლეთა დაფარვას. პოეტური ეპოსის ამ რთულ სურათს გაცნობილი თეორეტიკოსი გულმოდგინედ ცდილობს პოემის მეტამორფოზის ახსნა კონკრეტულ სოციალურ-ლიტერატურულ ვითარებას მიუსადაგოს. იქნებ სიუჟეტიანი პოემა — ფიქრობს იგი — გმირულ-რომანტიკული ან ისტორიული მოვლენების გადმოსაცემად უფროა ხელსაყრელი, ხოლო თანამედროვეობის ეპიკური ხორცშესხმა პოემის ძველი კანონებით თითქმის არ ხერხდება? პოემის ჟანრის შესახებ ატეხილ დისკუსიაში გამორჩეული ეს გაბედული აზრიც, რასაკვირველია, საკამათოა. კლასიკური პოემის ხელაღებით უარყოფამ საბჭოთა პოეზიის ჟანრთა გაღარიბებამდე არ მიგვიყვანოს, ხოლო ლირიკული პოემის მოდად ქცევაში არ იმალებოდეს პოეტის დრამატურგიული დაუდევრობა ან ხასიათთა შემჩნევისა და გამოკვეთის ლიტერატურული უუნარობა. შედეგი კი უმეტეს შემთხვევაში ერთია — პოემის ფორმა არნახულ ძიებაშია. ცალკეული საინტერესო ექსპერიმენტები მის ჟანრულ საიდუმლოებათა სრულყოფილი წვდომის გასაღებს ჯერ კიდევ ვერ გვაწვდის. ჩვენი ლიტერატურული პერიოდიკა იმდენ „საკამათო" პოემას ბეჭდავს, რომ საბჭოთა სინამდვილის პოეტური ეპოსით გამოხატვის ცალკეულმა ცდებმა ბესარიონ ჟღენტი ლირიკულ პოემათა ასეთ სამართლიან, მკაცრ შეფასებამდე მიიყვანა: „ლიტერატურულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდება და ცალკე წიგნადაც გამოდის „ლირიკული პოემები", რომელთა უმრავლესობა პოეტის ნაფიქრ-ნაგრძნობის თუ ნაოცნებარის, მისი განცდებისა და განწყობილების ზოგჯერ ნიჭიერს, მაგრამ იმდენად ქაოტურსა და მოუწესრიგებელ გადმოცემას წარმოადგენს, იმდენად დაცლილს რაიმე საზოგადოებრივი მიზანდასახულობისა და დანიშნულებისაგან, რომ შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა უნდა ეთქვა ავტორს ამ ნაწარმოებით, რისთვის, რა იდეალებისადმი სამსახურისათვის, რისი დამკვიდრების, ან რისი უარყოფისა და აღმოფხვრისათვის წერდა პოეტი ამ პოემას."[1]

რასაკვირველია მხატვრული ჩანაფიქრის ინტროსპექტულობამ პოეტს ხელი როდი უნდა შეუშალოს ნაწარმოების ნათელ მხატვრულ ფორმად ჩამოყალიბებაში. გაუთავებელი ფილოსოფიური ჩხირკედელაობა და წრეგადასული ლირიზმი პოემაში ისევე მოსაწყენია, როგორც პრიმიტიული სიუჟეტის მონოტონური თხრობა ან უფრო უარესი — წმინდა პროზაული სტრიქონებისათვის ნათხოვარივით უცხო, ძალადმორგებული პოეტური ქურქის ჩაცმევა. სიუჟეტის გალექსვის თავგამოდებული დამცველი ლირიკულ პოემას ზოგჯერ საერთოდ გამორიცხავს პოემათა რიგიდან. ესეც იმის მიზეზით ხდება, რომ „კლასიკური" პოემის ავტორიტეტი და ტრადიცია მკვიდრია და ძლიერი, ხოლო ახალი პოემა კი საკმაოდ ნელი, ზიგზაგებიანი გზებით აღწევს თავის ჟანრულ გარკვეულობას. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშიც ხდება ზოგჯერ პარადოქსები მხატვრული ქმნილებისათვის ჟანრული ტიტულის მინიჭებისას. მაგალითად: არცერთ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი" პოემად არ ჩაუთვლია, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის რუსული და ევროპული პოემის ცნობილი მკვლევარი პროფ. ი. ნეუპოკოევა „მერანს" ფილოსოფიურ-სიმბოლურ პოემად მიიჩნევს; და „ბაირონის „მანფრედის", ლერმონტოვის „დემონის" და პეტეფის „მოციქულის" გვერდით განიხილავს. ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას" თვით ავტორმა ლექსების ციკლი უწოდა, რუსულ თარგმანს კი პოემა აწერია. სანამ პოემის მხატვრული ფორმა შესწავლისა და გაანალიზების პროცესს განიცდის, რასაკვირველია საკამათოა საკითხიც იმის შესახებ, „მერანი" თავისი მხატვრული კონკრეტულობითა და შინაგანი დრამატიზმით, მონოლითური ლაიტმოტივითა და სიუჟეტური გარკვეულობით შეიძლება თუ არა პოემად ჩაითვალოს. რაც შეეხება ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას," რომელიც რუსთაველის პოეტურ ხმებს წარმოადგენს და „ვეფხისტყაოსნის" ავტორის შინაგანი სამყაროს მხატვრული პერსევერაციის ცდაა, ასევე უფლება აქვს იხსენიებოდეს პოემად, მით უმეტეს რომ ქართული პოეტური ეპოსი ამ ფორმის სხვა ნაწარმოებსაც იცნობს სიმონ ჩიქოვანის „დავით გურამიშვილის" სახით.

ჩვენი საუკუნის პოემის კლასიკური ფორმა თანამედროვე გამოჩენილ პოეტთა დაუცხრომელი ძიების საგანი იყო. ამ ძიების კვალი საბჭოთა პოეზიის ჩასახვისთანავე იგრძნობოდა. ჩვენი ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე წლების განმავლობაში დაგროვდა

---

1 ჟღენტი ბ. — „მნათობი", №10, 1970 წ; გვ. 136.

1 Неупокоева И. Т. — Революционно-романтическая поэма первой половины XIX века, «Наука», Москва, 1971, стр. 293.

დაუმთავრებელი პოემების მთელი წყება. დაიწყებდა პოეტი პოემას და, როცა მის წინაშე დადგებოდა ამ ურთულესი ჟანრის უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, მაშინვე იგრძნობოდა, რომ სხვა გზით მიდიოდა და ეპიკოსის პალიტრას დროებით თავს ანებებდა. საოცარია, რომ ისეთი დიდი პოეტიც კი როგორიც გალაკტიონია ,მთელი სიცოცხლის მანძილზე წერდა პოემებს, მაგრამ მისთვის ჩვეულ მაღალმხატვრულობას და ჟანრულ სრულყოფილებას ვერცერთ პოემაში ვერ მიაღწია. ეპიკური ფორმების ძიებამ იგი ერთ დროს „ჯონ რიდის“ ფორმალურ-გამომსახველობით საშუალებებამდე მიიყვანა. „ჯონ რიდი“ თანამედროვე პოემის ჟანრულ სისტემაში საეტაპო ნაწარმოები იყო.

„ჯონ რიდმა“ როგორც ერთერთმა პირველმა საბჭოთა პოემამ მარტო თემატიური გავლენა როდი მოახდინა ქართულ პოემაზე. „ჯონ რიდის“ დეპეშური სტილი და პოეტურად გაუშიფრავი ინფორმაციულობა ეტყობა ტიციან ტაბიძის პოემების ზოგ ადგილს. მაგ...

... და მისით მოდის
ეს ლოზუნგი:
— Бей спекулянтов!
ჯარიც ახლოა,
„ნატკოვიჩა“
ირის ეინემ,
ირის ტიანუშკა,
ყველაზე ადრე
გაჩენილი
„ბეზპრიზორნები“.
ომის „ბეჟენცი“
ენვერ ფაშას
შვილობილები.[1]

ეს ადგილი ამოწერილია პოემიდან „თვრამეტი წელი“, იმავე (1928წ.) წელს დაწერილ მეორე პოემაშიც — „როალდ ამუნდსენ“ ტიციან ტაბიძეს აშკარად ეტყობა „ჯონ რიდის“ ლექსის რიტმისა და პოეტური ინტონაციის გავლენა:

ოპერის თეატრში
ცეცხლი ვარვარებს.
დროშები ბურავენ.
თავდაცვა-ავიაქიმიის
ქიმიან ვარსკვლავებს.
მოხსენებას
კითხულობს
პროფესორი
სამოილოვიჩი.[2]

მაგრამ „ჯონ რიდის“ მელოდია, როგორც ჩანს, ქართული ლექსის ტრადიციისათვის უჩვეულო იყო და ამ გზით პოემა არ განვითარდა. რა თქმა უნდა, საქმე რაიმე ჟანრულ რეცეპტებს და ყველასათვის სავალდებულო კანონს კი არ შეეხება, მაგრამ პოემასაც ხომ უნდა გააჩნდეს მისი სტრუქტურის, ფორმის თავისებურებების ზოგადი კანონები, როგორც ეს, მაგალითად, რომანს, ნოველას ან სხვა ჟანრებს გააჩნია.

პოემა გალექსილი რომანი და მოთხრობა არ არის; პოემის გამოსახვის ხერხები სხვაა, პროზის სხვა. პოემა პოეზიაა და ამიტომ მის მხატვრულ სახეს მარტო ლექსის ფორმა კი არ განასხვავებს პროზაული ნაწარმოებისაგან: პოემაში სხვაგვარად დგება მოვლენათა ხილვის, პოეტური ფოკუსის, ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის, დრამატიზმის, სიუჟეტის, მოქმედ პირთა დახასიათებისა და მთელი რიგი სხვა მხატვრული ხერხები. როგორც კი ლირიულის და პოეტურის სიმაღლიდან დავეშვებით, ჩვენს წინაშე მაშინვე დადგება ეჭვისაღმძვრელი კითხვა — იყო ამის გალექსვა საჭირო? როცა პროზა როგორც მხატვრული აზროვნების ერთი ფორმა (თუ სახე..) არ არსებობდა და „გრძელი ლექსი“ იყო მხატვრული სინამდვილის გამოხატვის უმთავრესი ფორმა, მაშინ სრულიად ორიგინალური გახლდათ ცივილიზაციის ბავშვობის ხანაში კლასიკური პოემის ჩასახვა. ჟანრთა განვითარების თანამედროვე ეპოქაში კი სხვა სურათია: როცა პოეტი პროზაული მხატვრული არსენალით აღიჭურვება და გაცვეთილი ლიტერატურული გზით ეცდება პოემის შექმნას, იგი სასურველ შედეგს ვერა და ვერ მიაღწევს. ჩანაფიქრისთვის ჟანრის ზუსტად მორგების და სათქმელისათვის სასურველი ფორმის პოვნის შედეგს ხომ არ მივაწეროთ ის გარემოება, რომ პოემის ნაცად ავტორთა ერთმა მეწინავე რაზმმა პროზაში ასე სახელოვანი კვალი დატოვა? ყველაზე ადრე კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გადაინაცვლა ტრადიციული პოემის ფორმიდან პროზაზე და მკითხველმა იცის, რა იღბლიანი აღმოჩნდა ქართული პროზისათვის მწერლის ეს ჟანრული მეტამორფოზა. მე მინდა შევახსენოთ გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის და ამ ბოლო დროს ოთარ ჭილაძის პროზაული დებიუტი. თქვენ ცდებით, მიკიჟინებს ალბათ პოლემიკის გუნებაზე დამდგარი, ჩემი კეთილმოსურნე მკითხველი. პოეტისათვის ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეული ჟანრები როდი არსებობს, მაშინ აღნიშნულ მწერლებს ნაწარმოების თემამ პოემის შექმნა უკარნახა, ახლა კი მათმა მხატვრულმა ალღომ და ჩანაფიქრმა პროზის ფორმა მოითხოვაო. განა თემატურად ან სინამდვილის აღქმის პრინციპებით ასე განსხვავებულია გრიგოლ აბაშიძის „გიორგი მეექვსე“ და მისი ისტორიული რომანები? განა კონსტან-

---

1 ტიციან ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I. გვ. 216.

2 იქვე.

ტინე ლორთქიფანიძის პოემა „ერთი მათგანი“ მისი შესანიშნავი პროზის ინტონაციებს არ შეიცავს? განა „ბერშოულას“ მხატვრული მოდელი და პერსონაჟთა ხატვის ხერხები „ნატვრის ხეში“ ორიგინალურად არ გადაზრდილა, ან ოთარ ჭილაძის საინტერესო რომანი („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), „თიხის სამი ფირფიტისა“ თუ „დევებით სავსე ქუდის“ თემატურ და პრობლემურ ნათესაობაზე არ ლაპარაკობს?

ეპიკურ ნაწარმოების პერსონაჟის ხატვის ხერხები ცნობილია. ქართული პოეტური ეპოსის სწორუპოვარ მოქმედ პირთაგან მარტო რუსთაველის პერსონაჟთა დასახელება რადა ღირს. თანამედროვე ქართული პოემა, რომელიც თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ეპიკური ჟანრის განვითარების ისტორიაში, რომლის წილად მოდის ახალი ქვეყნის მონუმენტური ეპიკური ხატების შექმნა და ეპოქის ადეკვატური პოეტური ფორმის ხშირად წარმატებით დამთავრებული ძიებანი, მოქმედ პირთა ასევე მონუმენტური და გამოკვეთილი გალერეით ვერ დაიკვეხნის. დღეს, როცა ხელთა გვაქვს თანამედროვეობის თემაზე შექმნილი არაერთი პოემა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი პოეტური ეპოსი თანამედროვის რთული სახის შექმნის გზაზე პროზას საგრძნობლად ჩამორჩა. თანამედროვე ადამიანის განზოგადებულ ხასიათებს, რითაც ასე გამოირჩევა ჩვენი რომანისტიკა (გვადი ბიგვა, თარაშ ემხვარი, მექი ვაშაკიძე, ყვარყვარე თუთაბერი, ბათა ქექია ...) თავისი სისხლსავსეობით და შთამბეჭდაობით თანამედროვე ქართული პოემის ვერცერთ პერსონაჟს ვერ ამოვუყენებთ გვერდით. რასაკვირველია იმას როდი ვამტკიცებთ, რომ თითქოს ქართულ ეპოსს საინტერესო და დასამახსოვრებელი ხასიათები სრულებით არ გააჩნდეს, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ეპიკურმა პოეზიამ განსაკუთრებით თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გმირი ჯერჯერობით ვერა და ვერ დახატა.

იქნებ ამოვხსნათ ამ გარემოების საიდუმლო. იქნებ არსებობს რაიმე შინაგანი კანონზომიერება თანამედროვე პოემის ფორმასა და პერსონაჟის ხატვის მეთოდებს შორის. იქნებ პერსონაჟის ხატვის ტრადიციულ ხერხებს თანამედროვე პოემაში სხვაგვარი მომარჯვება სჭირდება? იქნებ პოემის გარეგნული ფორმა შეიცვალა, მისმა შინაგანმა სტრუქტურამაც საგრძნობი ცვლილება განიცადა, ხოლო პერსონაჟის ფსიქიკის პოეტურ გარდასახვას კვლავ დრამატურგიის ძველი კანონებით ვეწევით? ეს საკითხები უაღრესად საკამათოა და მათზე ამომწურავი პასუხის გაცემის პრეტენზია ამ სტრიქონების ავტორს რასაკვირველია არა აქვს.

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი:
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი...“—

ასე ახასიათებს რუსთაველი თავის პერსონაჟს. აქ ნუ გამოვეკიდებით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ მოქმედი პირის დახასიათების სხვა ხერხებს — გარეგნული პორტრეტი, სიტუაციაში ჩვენება, ფიქრებისა და განწყობილებების ხატვა და ა. შ. ამჯერად მარტო პერსონაჟის გამოკვეთის ამ მოდელით დავკმაყოფილდეთ. დამეთანხმებით, რომ აქ არ არის რაიმე პოეტური ხატოვანება და ორიგინალურ თვისებათა დეტალიზაცია. აქ მხოლოდ თვისებათა ემპირიული ჩამოთვლაა მოქცეული მელოდიურობისა და სიტყვათა უბადლო შერჩევით მიღებულ შესანიშნავ ლექსიკურ სამოსელში.

ახლა ვნახოთ თანამედროვე პოემის ავტორთა მიერ ხატვის იგივე ხერხის გამოყენება. ილო მოსაშვილი „ბაზალეთის ტბის“ მთავარ მოქმედ პირს ასე ახასიათებს:

ლეგა ცხვარშია,
უვლის თრიალეთს,
ებრძვის ავდარს და ებრძვის ნადირებს,
ელვა და მეხი თავს დასტრიალებს
ჯანგაუტეხელ მოჯამაგირეს.[1]

პოემის მოქმედი პირია ჩვენი ერთერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. ნაწარმოებში იგრძნობა ავტორის მოწიწება და პატივისცემა ს. მ. კიროვის პიროვნებისადმი. ერთგან ვკითხულობთ:

სძინავს კავკავს, თერგის წილი
სთვლემენ სანაპირონიც,
სთვლემს ქალაქი,
მხოლოდ ძილი
არ აძინებს მირონიჩს.[2]

ალიო მირცხულავას ბესა ბუკიას („ენგური“) ასე ვეცნობით:

ხელში რაც მოყვა, სულ სახლში ზიდა,
ადგა, აშენდა რომ ვთქვათ მართალი,
ოჯახის კეთილმოწყობის გზითაც
ბესას არ ჰყავდა სოფლად ბადალი.[3]

როცა მოჩხუბარ მუშებს შემთხვევით შემოუსწრო, ბურდღუ შელიამ („ენგური“) ასეთი სიტყვით მიმართა მოშუღართ:

---

1 ილო მოსაშვილი, სამტომეული 1968 წ. ტ. I, გვ. 20.

2. იქვე, გვ. 244.

3 ა. მირცხულავა, „ენგური“, „ნაკადული“, 1971, გვ. 9.

— რა მოხდა? რა გაქვთ გასაყოფელი?
რა გაქვთ სადაო და საკამათო!
სიცოცხლეთ გვილირს წუთი ყოველი,
თქვენ კინკლაობით საქმეს ღალატობთ!
თქვენ ამით ებრძვით თქვენსავე რიგებს,
ამით თქვენივე მტერი სარგებლობს,
რომ აყოლიხართ ჭორებს, ინტრიგებს,
სირცხვილი თქვენი, ამხანაგებო.[1]

ალბათ არც არის საკამათო, რომ ამდაგვარი დახასიათების შემდეგ ნამდვილად დიდი ოსტატობა და ფსიქიკურ ნიუანსებში წვდომა დასჭირდებოდა პოეტს, რომ თავისი გმირის ხასიათის სწორხაზოვნების და სქემატურობის საფრთხე აეცილებინა პოემისათვის.

ზოგჯერ პოეტი გრძნობს, რომ ნაწარმოების დეტალი ან ეპიზოდი პროზის სამანს ვერ სცილდება, აეჭვებს შეუსაბამობა მოვლენის შინაარსსა და მისი გალექსვის საჭიროებას შორის. აქ იგი თეთრი ადგილებივით ურთავს თავის პოემას პროზაულ სტრიქონებს და პროზისა და ლექსის მონაცვლეობით თავს აღწევს პროზის გამლექსავის მოსაწყენ ფუნქციას. ტიციან ტაბიძე თავის ერთ პოემას („თვრამეტი წელი“) ასე იწყებს: „ეს კაცი იყო გორელი ტელეგრაფისტი ალექსანდრე ტატიშვილი. დასტოვა მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილი და გორიდან წავიდა სამხრეთ ამერიკაში და იქ არგენტინაში ცხოვრობდა თექვსმეტი წელიწადი. რევოლუციის დროს დაბრუნდა საქართველოში და გააწყო კოლონიალური დუქანი „ბუენოს აირესის“ სახელწოდებით. თეატრალურ შესახვევში. ალექსანდრედან სახელი კასტილიურად ალეხანდროდ გამოიცვალა. გულს უკლავდა მაშინდელი თბილისის შიმშილობა და ამდენი წუხილისაგან გაკოტრდა კიდეც, დანარჩენი ამბავი ქვევით“.[2]

როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ადვილად რწმუნდებით, რომ გორელი ტელეგრაფისტის მიერ თბილისში „კოლონიური დუქნის“ გახსნის პროზაულ ამბავს, ტიციან ტაბიძე იოლად მოაქცევდა პოეტურ ქურქშიც, მაგრამ პოეტურმა გუმანმა თუ სმენამ მას ამ ექსპოზიციის პროზად დატოვება უკარნახა. ესეც პოემის რთული ფორმის წიაღში პოეტის ძიების კიდევ ერთი ნიშანი გახლავთ; დასტურად იმისა, რომ ლირიკოს პოეტს პროზის გალექსვა დიაღაც რომ ეხამუშება. პოემის კონტექსტში პროზაული ადგილების გამოყენებას ვხვდებით შოთა ნიშნიანიძის ახლახან გამოქვეყნებულ პოემაში — „აქილევსის ქუსლი და ფარი“. მხატვრული ინტუიციით ნაკარნახევი ამ პოემის პროზაული ადგილები ნაწარმოების სტრუქტურას ორგანულად ერწყმის და ბუნებრივად მოჩანს. ხოლო პოემაში ჩართული მსუბუქი იუმორით და ღრმა ალეგორიულობით შეზავებული ნოველა „პროვოკატორი თხა“[1] პოემის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს.

როცა მოვლენის აღწერის პროზისეულ ხერხს ვეყრდნობით, ჩვენს წინაშე მეორე უხერხულობა წამოიჭრება: როგორც ცნობილია, პოეზია ვერ იტანს დეტალიზაციას და საგნის დაწვრილებით დახასიათებას. პოეზიისათვის ნიშანდობლივია მოვლენის პოეტური აღქმა მისი გარეგნული თუ შინაგანი ნიშნის ჩვენებით. მოვლენასთან პროზაული „ახლოს მისვლით“ ჩვენ ხელთ გვრჩება ხელოვნურად წაშლილი ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის. ხოლო ეს უკანასკნელი, პროზის სამანებში ძალად ჩატენილი, წელში ტყდება და თავის ბუნებრივ მომხიბვლელობას ჰკარგავს.

პაოლო იაშვილი თავისი დაუმთავრებელი პოემის „გზა მშვიდობის“. შესავალში ერთგან პეიზაჟს ასე ხატავს:

მთის მდინარე, გესმის, რეცხავს
კლდის ნაპირებს სოფლის ქვემოთ,
აგერ მოაქვს შენთან მერცხალს
იმ მდინარის შხეფის გემო.[2]

ამ ამონაწერში ჩანს პოეტის ცდა თავი დააღწიოს მოვლენის პროზაული ხატვის ხერხებს და სურათთან მკითხველი, რაც შეიძლება, ლირიულად დააკავშიროს, მაგრამ როცა ავტორის წინაშე მოქმედი პირის შემოყვანის საკითხი დგება, იგი წერს:

იმ სოფელში, იმ დაბაში
ერთია უეჭველი;
ვაჟი იყოს სულ მთა-ბარში,
ქალი — მატყლის მჩეჩელი..[3]

აქ უკვე საგრძნობია პროზაული აღწერის ხელოვნურად გაპოეტურების უხერხულობა. ფრაზა რებუსურია. აზრს გამოკვეთა და სიცხადე აკლია.

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ თემატურ-ემოციური სამყარო ცნობილია. რელიგიური (მწირი, მისი ნიადაგ ლოცვა, მწირის სიკვდილი) და ეგზოტიკური (ბეთლემის მო-

1 იქვე, გვ. 23.
2 ტიციან ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, 1966, გვ. 215

1. შოთა ნიშნიანიძე, „აქილევსის ქუსლი და ფარი“, მერანი, 1971, გვ. 7
2 პაოლო იაშვილი, საბჭოთა მწერალი, 1959, გვ. 155
3 იქვე, გვ. 155.

ნასტერი მიუვალ მთებში, წარღვნის მსგავსი სტიქია, ულამაზესი მწყემსი ქალი) გარემო პოეტმა რომ დაგვიხატა, სწორედ რომ შეესაბამება კლასიკური პოემის ჟანრულ თავისებურებებს და ამიტომაც ბუნებრივად მოჩანს. ახლა ვნახოთ ამ პოემის უშუალო მიბაძვით და თანამედროვეობის კონკრეტულ სინამდვილესთან მისი ხელოვნური მისადაგებით რა მხატვრულ ეფექტს მიაღწია სხვა პოეტმა. მოვიგონოთ „განდეგილის" დასაწყისი სტრიქონები („სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა"...) და ჩავხედოთ გიორგი ქუჩიშვილის პოემის („რისთვის") ექსპოზიციას:

...ჯიხვთა საბუდე მთებში
ცად აზიდული
მოსჩანს ფრიალო
და იმ უკაცურ,
ყრუ ადგილებში
ხალხის მოსარჩლე
და სატრფიალო
ეფრემ დევნილი
ნადირთა შორის
დაძრწის უთვისოდ,
ხშირად მშიერი
მაგრამ ვეფხია
იგი მთა-გორის
და ვერას აკლებს
მოსისხლე მტერი.[1]

ამ ამონაწერის ბოლო სტრიქონებმა იქნებ „კაკო ყაჩაღის" „და ვერას აკლებს აქამდის მტრობა" გაგახსენოთ, მაგრამ ჩვენ ამ დეტალს ნუ გამოვედევნებით, „განდეგილიდან" „რისთვის" მარტო ფორმით როდია დავალებული. გიორგი ქუჩიშვილმა ჩანს გადაწყვიტა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის რევოლუციურ მებრძოლზე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებულ კაცზე კლასიკური პოემის ფორმით მოეთხრო და მოქმედება ეგზოტიკის და რომანტიკული ჰეროიკის ბურუსში გაეხვია. თუ ილიას მწირს ცხოვრებისაკენ ლამაზმა მწყემსმა ქალმა მოუხმო. ეფრემ დევნილს გზად ჩავლილმა გლეხკაცმა გაახსენა ბრძოლის არენა და ამქვეყნიური სიდუხჭირე, თუ განდეგილი თავისივე ცოდვის მსხვერპლი ხდება, გიორგი ქუჩიშვილის გმირი ალყაშემორტყმულ ციხეში იღუპება. და მაინც, განდეგილობის პრობლემის ეპოქის თვისებათა შესაბამისად მხატვრული დაკონკრეტებით პოეტმა სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. როგორც კი „განდეგილმა" რელიგიურ-რომანტიკული ქურქი მოიცილა და ალიხანოვის მათრახს გამოქცეულ თანამედროვედ იქცა, მაშინვე გაჩნდა ის უფსკრული, რაც პერსონაჟის ზოგად ხასიათსა და მისი ხატვის ფორმებს შორის არსებობდა. ეფრემისადმი ინტერესი მკითხველმა დაკარგა, მას ვერ უშველა ვერც „წარღვნის" პოეტურმა სურათებმა (აქაც ილიას გავლენა) და ვერც ძველ ფეოდალურ ციხეში უთანასწორო ბრძოლაში დაცემამ. „ტყის ძმა" ეფრემი მოსწყდა ეპოქისეულ რეალურ გარემოს და ვერც „განდეგილის" სამყარომ შეითვისა. იგი სადღაც შუაში დარჩა და მხატვრული სქემის სახე უფრო მიიღო ვიდრე შთამბეჭდავი პერსონაჟისა. მიზეზი კვლავ პოემის ჟანრულ საიდუმლოებებთან მიგვიყვანს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ პოეტის შედარებით ხარისხიანი პოემები „ტოროლა", „ჯაჭვის ხიდი", „ჩადრი", „ლეგენდა გორის ციხისა" აგებულია ისტორიულ, მითოლოგიურ ან ზღაპრულ-ჰეროიკულ სიუჟეტებზე.

პოემის ჟანრულ სტრუქტურაში საგულისხმოა პოეტის, ლირიკოსის ადგილის საკითხი. კლასიკურ პოემებში იგრძნობა ავტორის გააქტიურება, მისი როგორც მთხრობელის დამოკიდებულება ასასახავი მასალისადმი („მო დავჯდეთ ტარიელისთვის..."), ლირიკული საწყისების გარეშე თანამედროვე პოემა წარმოუდგენლად მეჩვენება.

ტიციან ტაბიძის „რიონი-პორტის" ძირითადი პრობლემა, ახლის და ძველის შეპირისპირება და ამის საფუძველზე სოციალისტურის უპირატესობის ჩვენება პოემაში მთხრობელის ეპიკურ წარმოსახვაში კი არ გადაწყდება, არამედ მოვლენების მომსწრისა და მონაწილის მხატვრულ პრიზმაში. ლირიკული ნაკადი პოემის დასაწყისშივე იგრძნობა:

ამხანაგებო,
მეზობლებო,
სახლისკაცებო!
მინდა შორიდან
მოგესალმოთ
ძმა-ამხანაგი,
მაინც თქვენი ვარ
თქვენი მიწის,
თქვენი ორპირის
თუმცა საგრძნობი
არ მიმიძღვის
თქვენთან ამაგი[1]

თუ მოიგონებთ ქართული კლასიკური პოემების დასაწყისში ლირიკული გმირის ადგილს და განწყობილებას („მოგესალმებით ქედფბო"... „ჰოი ნაპირნო"), დარწმუნდებით რომ „რიონი-პორტი" ამ მხრივაც ქართული პოემის ტრადიციების ერთგული რჩება.

ილო მოსაშვილის პოემაში „ბაზალეთის ტბა" დასაწყისშივე პოეტის და მისი ახლობ-

1 გიორგი ქუჩიშვილი, ორტომეული, 1963. ტ. II, გვ. 17.

1. ტიციან ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, გვ. 210

ლების გარემოში ექცევა მკითხველი. კავკასიონის მაღალი ქედი მოჩანს და ეზოში ძროხები ბღავიან. „მე აღარ ვიყავ პატარა ბავშვი, მედგა პირველი ჯეჯილი წვერის და ალუბლებით დათოვლილ ბაღში სატრფოსთან ლექსად ვქარგავდი წერილს“.1 — წერს პოემის ავტორი. მერე ეზოში ცხენს შემოაჯირითებს ვაჟა-ფშაველა, რომელიც ბაზალეთის ტბის მიდამოებში ფშაველთა ჩამოსახლებაზე უამბობს მასპინძლებს. ავტობიოგრაფიული დეტალიზაციით და ვაჟას სტუმრობით პოეტმა ინტიმური, ლირიული განწყობილება შექმნა და თვითონაც ბუნებრივად შემოვიდა ნაწარმოებში, როგორც მოვლენების მომსწრე და მონაწილე.

დიდხანს ამაოდ ველოდით პოემას, რომელიც თანამედროვეობას სრულყოფილად ასახავდა. ველოდით პოემის ფურცლებიდან გადმოსულ ტიპს თანამედროვე კაცის განზოგადებული ნიშან-თვისებებით. ჩვენი პრეტენზია პოემის მიმართ სრულიად სამართლიანია, მაგრამ რაიმე დამაფიქრებელი საიდუმლოება ხომ არ იმალება იმაში, რომ მიუხედავად სიტყვის პირველხარისხოვან ოსტატთა არაერთგზისი ცდისა, ჩვენი ეპოქის ხასიათის დიდებულად ამსახველი ეპიკური პოემა ვერა და ვერ შეიქმნა? ლიტერატურულ ძალებზე მითითება აქ სანუგეშოს ვერაფერს მოგვცემს. სწორედ ჩვენს საუკუნეში დაიწერა „ლურჯა ცხენები“ და „ოლე“, ქართული ლექსი არნახულ სიმაღლეებს ეზიარა და ვერსიფიკაციულ საშუალებათა ფეიერვერკს მიაღწია. სწორედ ჩვენს საუკუნეში განახლდა და მკვიდრ მხატვრულ საყრდენებზე დადგა ქართული კლასიკური ნოველა, განვითარდა და მსოფლიო ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურს გაუწონასწორდა ჩვენი რომანი. კონსტანტინე გამსახურდიას და მიხეილ ჯავახიშვილის პროზაული ეპოპეა ჩვენი თანამედროვეობის ბრწყინვალე მხატვრულ მატიანედ იქცა.

პოემის შექმნა თითქმის ყველა პირველხარისხოვანმა ქართველმა პოეტმა სცადა. რასაკვირველია ეს ცდები მეტნაკლები წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ ერთი დასკვნის გაკეთება ამთავითვე შეიძლება: როცა პოემის თემად თანამედროვეობა აირჩიეს, ხოლო გამოხატვის ფორმად სიუჟეტიანი „თხრობითი“ პოემის ტრადიციული გზა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს: ერთ შემთხვევაში გალექსილი პროზა შეგვრჩა ხელთ, ხოლო მეორე შემთხვევაში ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურაში უცხო სხეულად გაჩენილი ლირიკული წიაღსვლები და სისხლისაგან დაცლილი, სქემატური ხასიათები. შედარებით უკეთესი მხატვრული ეფექტი მივიღეთ, როცა პოემა ლირიკული მსოფლაღქმის პრინციპებით დაიწერა და გმირის სულიერი სამყაროს გადმოსაცემად უპირატესად ლირიკული მონოლოგი იყო გამოყენებული. იქნებ თვით პოემის ჟანრულ სახეშია ამ მოვლენის საიდუმლო? იქნებ „თხრობითი“, პოემა თანამედროვეობის ასახვის ადექვატურ ფორმად აღარ გამოდგება? ამ სტრიქონების ავტორს შიშსა ჰგვრის ამ მისთვისაც ძალიან საეჭვო დასკვნამდე მისვლა, მაგრამ საკითხის დაყენებას ერთი გარემოებაც აბედვინებს: მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძალიან ცოტა ხომ არ არის ისეთი კლასიკური პოემა თანამედროვე ამბები რომ უდევს საფუძვლად? ჩამოვთვალოთ მსოფლიო ლიტერატურის რამდენიმე შედევრი — ეპიკური პოეზიის გვირგვინი: ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა,“ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ბაირონის „დონ-ჟუანი“ ან დრამატული პოემები „კაენი“ და „მანფრედი“, ლერმონტოვის „მწირი“ და „დემონი“, პუშკინის „ბრინჯაოს მხედარი“, პეტეფის „მოციქული“, ყველა ისინი სიუჟეტიანი ე. წ. ტრადიციული პოემებია, რომელიმე მათგანს სიუჟეტად თავისი დროის სინამდვილე უდევს? მე ვლაპარაკობ ნაწარმოების თემატურ ქსოვილზე, სიუჟეტურ ფაქტურაზე, თორემ რასაკვირველია, ამ ნაწარმოებებში თავისი ეპოქის საჭირბოროტო საკითხები, უმთავრესი ცხოვრებისეული პრობლემები აისახა და ეპოქის სისხლხორცეულ კითხვებს გენიალური პასუხი გაეცა. იქნებ რაიმე სიმპტომურია იმაში, რომ ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც შესანიშნავად ასახა თავისი დრო, ბევრ თავის პოემას საფუძვლად თანამედროვეობის კონკრეტული მხატვრული სინამდვილე არ დაუდო? ან სიუჟეტიანი პოემა ნაკლებად იტანს „თანამედროვე მასალას“, ან იმდენად დიდია კლასიკური პოემის ტრადიცია, რომ ჰომეროსის, რუსთაველის და დანტე-ალიგიერის მიერ კანონდებული ჟანრული სისტემის გადალახვა ვერ შეუბედავთ. ფაქტი კი კვლავ ჯიუტად ღაღადებს: მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ეპიკურ პოემას სიუჟეტად რომანტიკული, გმირულ-რომანტიკული, ისტორიული, მითიური ან გმირულ-ჰეროიკული ამბები უდევს. თანამედროვეობას კლასიკური პოემა სწორად ამგვარი ფილოსოფიურ-სიმბოლური პოემით გამოხატავს. ერთი წუთით დავუშვათ, რომ რუსთაველმა თავისი გმირები ინდოეთის, არაბეთის თუ მულღაზანზარის გეოგრაფიული მასშტაბებიდან ქართულ სინამდვილეში ჩამოიყვანოს და საქართველოს ცალკეული კუთხის წარმომადგენლებად აქციოს, ქაჯეთის ციხის აღებაც არა ირეალურ არსებებს-კონკრეტულ მტრებს უკავშირდებოდეს (სიმბოლურად ეს იქნებ

1 ილო მოსაშვილი, ტ. I, 1968, გვ. 215.

ასეა, მაგრამ მე ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილზე მოგახსენებთ) იქნებოდა „ვეფხისტყაოსანი“ ისეთივე დიდებული და სრულქმნილი, როგორადაც იგი ახლა გამოიყურება? არ ვიცი. ლიტერატურის ისტორიამ კი იცის მაგალითი იმისა, რომ პუშკინმა გადაიკითხა რა რეალურ ამბებზე რეალურად დაწერილი თავისი სწორუპოვარი „ევგენი ონეგინი“ მას პოემა კი არა „რომანი ლექსად“ დააწერა.

განვიხილოთ ამ ასპექტით მეოცე საუკუნის ქართულ პოემათა შორის, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესო გიორგი ლეონიძის „ამბავი თბილისისა“.

გიორგი ლეონიძემ კარგად იცოდა თანამედროვე პოემის ჟანრული თავისებურებანი და როცა „თბილისს...“ სწერდა, ეტყობა ფიქრობდა იმის შესახებაც, რომ მთხრობელის ტრადიციულ როლში გამოსვლით და თუნდაც V საუკუნის საქართველოს რომანტიზმით აღსავსე ისტორიულ-ჰეროიკული ამბის გალექსვით გაუჭირდებოდა პოემის წინაშე დასმული მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა. ამიტომაც პოემის შესავალშივე გაამაგრა იგი ლირიკულობით და ნაწარმოების პროზაულ ქსოვილს პოეტურ-რომანტიკული ექსპოზიცია ააფარა:

სადაც ნანგრევში ქარი უბერავს,
მე იქ ვეძებდი ქართლის ბუმბერაზს.
— მითხარი, ხავსო,
მითხარ, ფათალო,
სად იყო გმირი
აქ უბადალო...
როგორ იბრძოდა აქ გორგასალი,
ან მისი მტერი როგორ განივლტო?
მიამბე, სურო
წარსულის სულო,
რომ ოქროს ძაფზე მოვმარგალიტო!
პასუხად მესმის ჩხერა აბჯრისა,
ხელში ხმლით ვხედავ დაჭრილ
                                        გოლიათს.
მოჟონავს სისხლი გორგასალისა,
რკინის პერანგის ნამსხვრევ რგოლიდან.[1]

წმინდა აჩრდილთა სამეფოდან ვახტანგ გორგასალის გამოხმობამ და უჯარმის ციხის ქონგურებზე ალანდულმა მშვენიერმა სახემ მეფის ასულისა, პოემა ზღაპრულ-რომანტიკულობით დატვირთა, ხოლო სტრიქონებმა:

მე ვეკითხები ჩაწნულ უსურვაზს
ბედმა კეთილი ქალს არ უსურვა?
სიყვარულის დღე მას არ ეღირსა? —
პასუხად მესმის თრთოლა ვერხვისა,
ქრიალი ოქროს სამაჯურისა
და ნატირალი ხმა მიჯნურისა![1]

1. გიორგი ლეონიძე, ამბავი თბილისისა, 1969, ნაკადული, გვ 7.

იგი ლირიული განწყობით გაამდიდრა და ავტორიც პოემაში ასახულ მოვლენებს ძხილველისა და შემფასებლის უხილავი ძაფით დააკავშირა. ამის შემდეგ იწყება პოემის ძირითადი ნაწილი. მკითხველს მოეხსენება რომ ეს სქელტანიანი ისტორიული პოემა ვახტანგ გორგასალის ცხოვრებასა და ბრძოლაზე გვიამბობს, გვიყვება იგი სამგორის ომზე და თბილისის დაარსებაზე, თუმცა გიორგი ლეონიძის პოეტური ოსტატობა ეჭვს არ იწვევს და ნაწარმოების სიუჟეტიც ისტორიული ფაქტებითაა განმტკიცებული, პოემის ეპიკური ნაწილის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ვლაპარაკობთ ზოგი ეპიზოდის მკრთალ ფერწერულობაზე.

ეპიკური ე.წ. „თხრობითი“ პოემის ჟანრული სირთულენი მეტნაკლები წარმატებით გადაიჭრა გრიგოლ აბაშიძის, ოთარ ჭელიძის და მურმან ლებანიძის პოემებში. ლირიკული და ეპიკური საწყისების ორგანული სინთეზით, დაწვრილებითი დეტალიზაციისათვის თავის არიდებით, საინტერესო სიუჟეტებით და ვერსიფიკაციის კანონების სათანადო მოშარჯვებით მათ სასიამოვნო მხატვრულ ეფექტს მიაღწიეს.

პოემის განვითარების გზა კი ჯერჯერობით კვლავ საკამათო ჩანს, მიუხედავად უკანასკნელ წლებში შექმნილი არაერთი საინტერესო პოემისა. როგორც ირკვევა ჯერ არა გვყავს პოეტური ეპოსის თვითმყობადი წარმომადგენელი, რომელიც, ჟანრული ჩარჩოების რღვევით ან მისი ახლებური მომარჯვებით თეორეტიკოსებს თავის ესთეტიკურ ნებას უკარნახებდა.

რაც შეეხება ე.წ. ლირიკულ პოემას, როგორც უკანასკნელი წლების ლიტერატურული პრაქტიკა გვიჩვენებს (ო. ჭილაძის, ჯ. ჩარკვიანის, ტ. ჭანტურიას, გ. გეგეჭკორის, ე. კვიტაიშვილის, რ. ამაშუკელის, ნ. ჯალაღონიას პოემები, კარლო კალაძის ბოლოდროინდელი ლირიკული პოემა „ფიქრები“), იგი ეპიკურ ქმნილებათა შორის თანდათანობით გაბატონებულ მდგომარეობას იძენს. მართალია ჯერჯერობით იგი შორსა დგას ჟანრული სრულყოფისაგან, ჯერ კიდევ სუსტად განსხვავდება გრძელი ლექსისაგან და ხშირად ფრაგმენტულობისა და ამორფულობის საშიშროება ემუქრება, მაგრამ, ვფიქრობთ, ლირიკულ პოემას შედარებით მეტი საშუალება აქვს დაიხვეწოს, დაიწმინდოს, გამოიკვეთოს და თანამედროვეობის ასახვის მოქნილ და მოხერხებულ ეპიკურ ფორმად იქცეს.

1 იქვე.

## წიგნების მიმოხილვა

# „მორბის არაგვი, არაგვიანი“

სახელოვანი მეცნიერი, შთაგონებული საზოგადო მოღვაწე და ნიჭიერი მწერალი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი კარგა ხანია მუშაობს ნაწარმოებთა თავისებურ ციკლზე, რომელსაც საერთო სათაურად „ჩვენი სამშობლო“ უწოდა. სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად გამოვიდა: „თოვლიან მთებში“, „ხუთი მდინარის სათავეში“, „კაუჩუკის მაძიებელნი“, „ცხრათვალა მზის ქვეშ“. ამავე ციკლის მორიგი წიგნია „მორბის არაგვი, არაგვიანი“.

აღნიშნული ნაწარმოებები ძალზე ფართო პროფილისაა და ძნელია, ისინი რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს მივაკუთვნოთ, ამგვარი ნაწარმოებები ქართულ ლიტერატურაში აქამდე არ გვხვდება და იგი სრულიად ახალ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ერთგვარი სიახლოვე იგრძნობა ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიასა“ და იოანე ბაგრატიონის „კალმასობასთან“, მაგრამ ეს მსგავსება ძალზე შორეულია. ნ. კეცხოველის მიზანიც ფართოა და მიზნის განსახორციელებელი მხატვრული საშუალებებიც განსხვავებული, ორიგინალური.

მწერალ-მეცნიერს მიზნად დაუსახავს, მკითხველს გააცნოს ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე — მისი გეოგრაფიული მდებარეობა, გეოლოგიური წარსული, მცენარეული საფარი, ფაუნა, ისტორიული ძეგლები... მოკლედ, ქვეყნის წარსული და აწმყო. ასეთი ფართო პროფილის ნაწარმოების დაწერა შეეძლო მხოლოდ დიდი ენციკლოპედიური ცოდნისა და მხატვრული ნიჭით უხვად მომადლებულ ადამიანს. მიზანი იმდენად ფართოა, რომ თითქოს წარმოუდგენელია მთელი ამ მასალის ერთ ნაწარმოებში ჩატევა და ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული მოვლენების ერთ სიუჟეტურ ჩარჩოში მოქცევა, ერთმანეთთან ორგანული დაკავშირება. საჭირო იყო, ავტორს თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად თავიდანვე მოეძებნა უფრო ტევადი ფორმა, ვიდრე ჩვეულებრივი მოთხრობა ან რომანია. ნ. კეცხოველმა მიაგნო ასეთ ფორმას: ნაწარმოების გმირები სამოგზაუროდ მიდიან. მაგრამ ეს არ არის არც სპეციალური დარგობრივი ექსპედიცია და არც უბრალო ექსკურსია. ახალგაზრდებს განუზრახავთ, შეისწავლონ სამშობლოს მთაბარი. მათთანვეა შესანიშნავი მეგზური-მეცნიერი გიორგი (მასში მკითხველი ადვილად იცნობს თვით ავტორს), რომლისთვისაც მთავრობას დაუვალებია რესპუბლიკის მცენარეული საფარის მდგომარეობის შესწავლა. მკითხველი თვალს ადევნებს მათ მოგზაურობას და მათთან ერთად ეცნობა თავის სამშობლოს. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. კეცხოველი თავისი გმირების მიერ ნახულსა და განცდილს მშრალი დღიურების სახით როდი გადმოგვცემს. ჩვენს წინაშეა დასრულებული მხატვრული ნაწარმოები — მკვრივი სიუჟეტითა და მიმზიდველი პერსონაჟებით, რომლებიც ღრმად აღიბეჭდებიან მკითხველის ცნობიერებაში.

ნ. კეცხოველი წიგნის მოკლე საგამომცემლო ანოტაციაში წერს: „მორბის არაგვი, არაგვიანი“ აგვიწერს არაგვის, ქსნის და ნაწილობრივ ივრისა და თერგის ხეობებს. ჩვენმა მოგზაურებმა ბევრი იარეს და ბევრიც ნახეს... მცხეთიდან დაიწყო მათი მგზავრობა. მოიარეს მუხრანის ვაკე, სარკინეთი, შიომღვიმე, ახალგორი, ლარგვისი, ყელის ტბა, ლიახვის სათავეები, ლომისა, გადაკვეთეს ალევის ქედი და ჩავიდნენ არაგვის ხეობაში. მლეთიდან ჯერ თერგის ხეობას ეწვივნენ, სადაც ბევრი რამ საინტერესო იხილეს, თერგის ხეობიდან იბრუნეს პირი და არაგვს ჩამოჰყვნენ, ჟოპორტში კვლავ ძია პავლეს შეხვდნენ და მასთან ერთად ივრის ხეობის ნაწილიც მოინახულეს. გზადაგზა გაეცვნენ მხარის გეოლოგიურ წარსულს, მცენარეულ საფარს, ფაუნას, ისტორიულ ძეგლებს“. ასე ფართოა ნ. კეცხოველის ნაწარმოების პერსონაჟთა სამოქმედო არე და მოგზაურობის მიზანი.

მოგზაურობა მცხეთიდან იწყება. აი, ნაწარმოების პერსონაჟები გასცდნენ მცხეთას და

---

**ნიკო კეცხოველი, „მორბის არაგვი, არაგვიანი“, ნაკადული, 1971.**

მათ თვალწინ გადაიშალა ქართლის ველი. ისინი ხომ უბრალო მოგზაურები არ არიან, რომ მხოლოდ ბუნების ეგზოტიკური სანახაობით დატკბნენ. ყველაფერს აკვირდებიან, მეცნიერულად სწავლობენ. მათ, რა თქმა უნდა, თავიდანვე გარკვეული წარმოდგენა აქვთ იმ მხარის წარსულზე და ამიტომაც მათს ყურადღებას თავიდანვე იქცევს ის გარემოება, რომ ახალ დროში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ბუნების გარდაქმნისათვის. ამ საქმეს ემსახურება უამრავი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი შალვა ამბობს: „აგერ, მუხრანიც, იქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელი მეურნეობაა; მთის ძირას, წილკანსა და ნატახტარშუა კი განთქმული ნატახტარის სასელექციო სადგურია!.. ჩვენს მამებს სიზმარშიც კი არ მოეჩვენებოდათ ამდენი სამეცნიერო დაწესებულება ამ პატარა კუთხეში. გორთან ხელთუბნის საცდელი სადგურია, ატენში მევენახეობის დასაყრდენი პუნქტი, სკრაში მეხილეობის საცდელი სადგური, გორში წმინდაწყალზეც, მეხილეობის მევენახეობის და მეღვინეობის საცდელი სადგურის ფილიალია. ჩვენი ბოტანიკოსები კავკასიონსაც მისწვდნენ და იქ მემღელეობის საცდელი სადგური დააარსეს, რისთვისაც ყაზბეგში შესანიშნავი შენობა აიგო“.

შალვას ეს სიტყვები უდაოდ მრავალისმთქმელია და ცხადად გვიჩვენებს ახალი დროის ყოველმხრივ სიკეთეს. მართლაც, თვალსახარებს ბაღ-ვენახებით დამშვენება იმ კუთხეებისა, რომლებიც ვახუშტის „გეოგრაფიაში“ „უნაყოფოდ და უვენახოდ“ იხსენიება. მაგრამ ამ ახალი დროის სიკეთეს ნ. კეცხოველი განყენებულად როდი გვიჩვენებს. მის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ბუნების გარდამქმნელი ადამიანი, ადამიანი, რომელიც თავისი შრომითა და გარჯით აშენებს ბაღებსა და ზვრებს. და აი, ნაწარმოებში ჩნდებიან ახალი სოფლის შესანიშნავი ადამიანები, ჭეშმარიტად ახალი ადამიანები — ახალგაზრდები თუ მოხუცები, რიგითი კოლმეურნეები თუ სოფლის თავკაცები, — რომლებიც, მართალია, ეპიზოდურად გამოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ სამუდამოდ რჩებიან მკითხველის ცნობიერებაში. ასეთი კოლორიტული სახეა, მაგალითად, შემთხვევით შეხვედრილი ახალგაზრდა გივი წიკლაური, რომელმაც თავიდანვე მიიქცია მოგზაურთა ყურადღება და აღტაცებულებს ათქმევინა: „აი, წამდაუწუმ რომ იძახი, კაი ყმაო, რით ვერ არის კაი ყმა? გულდია, სალმიანი, მოსიყვარულე, წყნარი, კაი ყმა ყოველდღე გვხვდება, ჩვენს ირგვლივ არიან, არა ყვირიან.. გაჭირვებაში ეგ ჩვენი გივი ალბათ ლომად იქცევა“. შემდეგ თავისივე სახლ-კარში ვეცნობით გივის და ვრწმუნდებით, რომ იგი მართლაც „კაი ყმაა“ — თანამედროვე სოფლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც შესანიშნავად მოუწყვია თავისი კარ-მიდამო და საკოლმეურნეო მინდვრებზეც გმირული შემართებით შრომობს, თან დაუსწრებლად ეუფლება უმაღლეს განათლებას. აქვე ვეცნობით გივის მოხუც პაპას, თევდორეს, რომლისთვისაც ბრიგადირს უთქვამს: „ახლა შენ გეყოფა, დაწექი და ხვეწით კოვზები ან ჩანახი გამოხვეწეო“. მაგრამ უსაქმოდ რა გააჩერებს ჯერ კიდევ ჰარმაგ მოხუცს? მას გული ერჩის და ჯანიც მოსდევს. ამიტომაც ამბობს მოხუცი: „თუ მაგ შენ ბრიგადირს ცელში ვერ კაჯობე, ეს ულვაში გამითეთრდესო“.

თანამედროვე „კაი ყმას“ განასახიერებენ, აგრეთვე, მჭადიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — გმირი თინანოსა თუ ქრისტინეს ჩამომავალი, ცხავატელი ონისე, ძია პავლე და სხვები, რომელთა თავდადებული შრომით შენდება და მშვენდება ჩვენი სოფელი. მათი საქმიანობის მოკლე, მაგრამ საყურადღებო აღწერით ავტორი ბევრ საგულისხმოს ამცნობს მკითხველს.

საკოლმეურნეო სოფლის კულტურული აღმავლობის შთამბეჭდავი სურათებია მოცემული ჩართულ ნოველებში, რომლებიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და თავისთავადაც მაღალ მხატვრულ ღირსებებს შეიცავს: წირქოლის ტაძრის დათვალიერებისას წვიმა მოვიდა. მგზავრებმა ტაძარს შეაფარეს თავი და გიორგიმ ახალგაზრდებს „რამდენიმე ნამდვილი ამბავი“ უამბო. ეს ამბები ჩვენ დასრულებულ ნოველებად მიგვაჩნია. ერთ-ერთ მათგანში („სკოლა და მიხა“) ნ. კეცხოველი ჰყვება თუ როგორ დააარსეს ოქტომბრის რევოლუციამდე სოფელ ტყვიავში სკოლა. სკოლა დაუარსებიათ, მაგრამ მეორე წელსვე გლეხებს გადაუწყვეტიათ, სკოლა დაეხურათ და შენობა დაენგრიათ, სოფელს ზარალის მეტს არაფერს აძლევსო. მაშინ რის ვაივაგლახით გადაურჩენიათ სკოლა დანგრევას. გავიდა ხანი. სოფელმა ახალი, კეთილმოწყობილი სკოლის შენობა ააგო. დირექტორად იმ მიხას შვილიშვილი დაუნიშნავთ, რომელიც ადრე ყველაზე აქტიურად მოითხოვდა, სკოლა დავხუროთო. ზეიმის მონაწილეთა შორის არის მოხუცი მიხაც, რომელიც მწარედ იგონებს ძველ დროს და თავის წარსულზე თავს ასე იმართლებს: „სიბნელისა და დუხჭირი დროის ბრალი იყო, შვილო... ომიც იყო, გვიჭირდა“. ასევე, ნოველაში „სიხარულის ცრემლი“ ნაჩვენებია თუ როგორ იზრდება, ძლიერდება სოფლის ინტელიგენცია. რევოლუციამდელი უღარიბესი გლეხი ქალის სოფიოს შვილები ერთი ექიმი გამხდარა, მეორე მასწავლებელი, მესამე კი ჯერ კიდევ სწავ-

ლობს, დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და სპეციალისტი დაუბრუნდება სოფელს.

„მორბის არაგვი, არაგვიანის“ ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ამაღლებული პატრიოტიზმის გრძნობით, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური წინსვლა — სახალხო მეურნეობისა და კულტურის განუხრელი აღმავლობა. მაგრამ ეს დიდი სიყვარული არასოდეს არ გადადის გულუბრყვილო აღტაცებაში, როდესაც წარმატებებით აღფრთოვანებული მწერალი ვერ ამჩნევს ან განზრახ არიდებს თვალს ნაკლოვანებებს. სამშობლოს სიყვარულის ყველაზე საუკეთესო გამოვლინებად ის მიგვაჩნია, რომ მწერალი სინამდვილეს ყოველმხრივ განიხილავს და თავის წიგნსაც პუბლიცისტურ სიმახვილეს აძლევს. ნ. კეცხოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის თვალით უყურებს სინამდვილეს და უამრავ მიღწევათა შორის ძალზე დამაფიქრებელ ნაკლოვანებებსაც ხედავს. ეს ნაკლიც სააშკარაოზე გამოაქვს და გვეუბნება, რა უნდა გაკეთდეს მის აღმოსაფხვრელად. ფაქტიურად, ნ. კეცხოველი საგულისხმო რეკომენდაციებს აძლევს ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო დაწესებულებებს, თუ რაზე უნდა იზრუნონ მათ, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ლამაზი და თანაც უხვმოსავლიანი იყოს. მძაფრი პუბლიცისტური პათოსით დაწერილი მამხილებელი სიტყვები საყურადღებო გაფრთხილებაა რიგითი მკითხველის, ხოლო საგანგაშო სიგნალია მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება ჩვენი ბუნების დაცვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ 1972 წ. სექტემბერში საგანგებო კანონი მიიღო „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ“, სადაც საგანგებოდ არის აღნიშნული: „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად ჩაითვალოს დაუცხრომელი ზრუნვა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, მიწისა და მისი წიაღის, ტყეებისა და წყლების, ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის განუხრელად შესრულება. ამასთან, მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებული უნდა იყოს ბუნებისა და მისი რესურსებისადმი სათუთ დამოკიდებულებასთან“.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი დოკუმენტის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდება ნ. კეცხოველის წიგნის მამხილებელი მნიშვნელობა, მწერალი-მეცნიერის შთაგონებული ზრუნვა მშობლიური ბუნების დაცვისათვის. „მორბის არაგვი, არაგვიანის“, ისე როგორც ნ. კეცხოველის სხვა წიგნების, ძირითადი პათოსია გადმოცემული შემდეგ სიტყვებში: „კვლავ გავახალისოთ აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეები, დაე, შრიალებდნენ ტყეები, ტყეში ფრინველი გალობდეს, ტყის [illegible] ქორბუდიანი ირემი გამოდიოდეს, შვლის ნუკრი ეთამაშებოდეს დედას, კვლავ ღუღუნებდეს ხის ტოტებში მტრედი და ქედანი, ჭახჭახებდეს კაკაბი, რუკრუკებდეს გნოლი და არწივი ცაში ჰკიოდეს, დაე, კვლავ მოისმინონ და ნახონ ჩვენმა ჭალებმა ტყის ეს შესანიშნავი სიმფონია. იგი გააკეთილშობილებს ადამიანის ბუნებას“. და ეს არის არა მარტო სურვილი ნ. კეცხოველისა, არამედ ეს სიტყვები ჟღერს ღრმა მამულიშვილურ მოწოდებად, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ჩვენში ყველაფერი კეთდება თუ არა იმისათვის, რომ ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა შესაფერისად გადაწყდეს? ნ. კეცხოველის პასუხი ამ კითხვაზე ძალზე დამაფიქრებელია და ზოგჯერ შემაშფოთებელიც კი.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მგზავრები გზადაგზა ხვდებიან და აკვირდებიან ფართო მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სამუშაოებს. მათ ახარებთ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობა. მაგრამ ნ. კეცხოველი იქვე მკითხველის წინაშე აყენებს კითხვას: ყველა ეს საქმიანობა წინასწარ მოფიქრებული და ყოველმხრივ განსჯილია? შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ერთის შეხედვით დიდი სახალხო მეურნეობრივი ეფექტის შემცველი მშენებლობა ზოგჯერ საბოლოოდ შეიძლება დიდად საზიანოც კი იყოს — ბუნებაც გავანადგუროთ და ზარალიც ვნახოთ.

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნის პირველი თავის პირველსავე ქვეთავს „ძეძვი და მუხა შეიბნენ“ ჰქვია. აქ ჩანს ავტორის დიდი მამულიშვილური გულისტკივილი იმის გამო, რომ ხშირად ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს ჩვენივე გეგმაშეუწონავი მოქმედებით ვანადგურებთ. ავტორმა, როგორც დიდმა სპეციალისტმა მეცნიერმა, იცის, რომ ყველგან არ შეიძლება ტყის გამინდვრება თუნდაც ბაღ-ვენახების გასაშენებლად. აი, რას წერს ამის გამო ნ. კეცხოველი: „ქსნის გაღმა, თხოითის მთის კალთაზე მოჩანდა აღაიანი, იმის გაღმა, მთის ძირას თეზი, ოკამი და ოკამის დიდი მინდორი, ისიც ბაღ-ვენახოვანი, მწვანით აბიბინებული. ეს მხარე ჯერ კიდევ ახლო წარსულში უღრანი მუხნარით იყო დაფარული, რომელიც წყლისპირისაკენ ვერხვნარში გადადიოდა, მაგრამ თანდათან გაიჩეხა, განადგურდა. მუხნარის ადგილი ძირითადად სახნავ-სათესმა დაიჭირა, ვერხვნარი კი — რიყემ. რადგან დაბლობში თხელი ნიადაგი იყო, ხოლო ქსანი, როდესაც თავს მოიგიჟიანებს, წყლით ჰფარავს, გლეჯს ნიადაგს, მო-

აქვს ხრეში. მუხნარშიც ბევრი იყო ხირხატი ნიადაგი და სახნავსათესად არ გამოდგა. იქ უკვე ძეძვი დასახლდა თავის ამფსონებით (შავჯაგა, ჩიტავაშლა, კვრინჩხი, კოწახური). თხოითის მთის ფერდობი ჯერ კიდევ ტყითა და ბუჩქნარითაა დაფარული; სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ იგი შევინახოთ, მოვუაროთ, ვაახოვებთ, ვძირკვავთ, ვხნავთ და ხორბალს ვთესავთ. თხოითის ფერდობზე ნიადაგი თხელია, მოხნული და ნირშეშლილი. წვიმის წყალს ადვილად მოაქვს ქვემოთ და ნახნავის ადგილას ნიადაგის ქვედა ფენას — კონგლომერატსა და ქვაღორღს ტოვებს. რასაკვირველია, ეს ფართობი აღარც სახნავ-სათესად ვარგა და მასზე ტყის აღდგენაც გაძნელებულია. ამ ტყეს კი დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ასეთ სურათს მოგზაურები ხშირად ხედავენ და გული სტკივათ ბუნების მიმართ დაუდევარი მოქმედების გამო. აქ კიდევ ერთი ამონაწერი უნდა მოვიტანოთ, გიორგი სარკინეთის მთას უყურებს და თანამგზავრებს მიმართავს: „აბა, გახედეთ სარკინეთის ჩრდილოეთის ფერდას — წეროვნიდან მტკვრის ციხემდე. წეროვნის თავზე კარგად აქოჩრილი ტყეა. როგორც ჩანს, ან ძნელად მისადგომია, ან იცავდნენ და მუხნარ-რცხილნარმა ტყემ ჩვენამდე კარგად მოაღწია. ასეთი ტყით იყო დაფარული მთელი სარკინეთის მთა, მაგრამ ადამიანის ხელმა არ დაინდო. ამ ფერდობზე კარგად ჩანს ტყის მოსპობის ყოველი ეტაპი... თუ მთის წვერებზე შემორჩენილ ტყეებს არ გავუფრთხილდით, არ გავავრცეთ, ისიც მოისპობა და ვენახსაც არ დაადგება ხეირი“.

მოტანილი ვრცელი ამონაწერები, ერთის შეხედვით, მეცნიერის მშრალი მსჯელობის მსგავსია, მაგრამ როდესაც მას ნაწარმოების სიუჟეტურ მთლიანობაში აღვიქვამთ, ვრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს ძალზე მრავლისმთქმელ დიალოგებთან.

საქართველოში ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა კაკლის კულტურას და უზარმაზარი კაკლის ჭალებიც გაუშენებიათ ჩვენს წინაპრებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ჭალებიც განადგურდა დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის გამო. კაკლის ხეებისადმი უსულგულო, დანაშაულებრივი დამოკიდებულების ძალზე დრამატული სურათია ნაჩვენები ნ. კეცხოველის წიგნში. არ შეიძლება გულისტკივილის გარეშე წავიკითხოთ ძია პავლესთან შეხვედრის სცენა, საიდანაც ვიგებთ, რომ ბულაჩაურში მრავალწლიანი კაკლები ამოუძირკვავთ — მათ ადგილზე ვენახი უნდა გავაშენოთო. აი, ეს სცენაც:

„— სხვა, აქეთ რა ამბავია?

— რომ გითხრათ, კაი ამბავი-მეთქი, მართალი არ იქნება.

— რაშია საქმე?!

— რაშია და ბულაჩაურის კაკლები ძირს დასცეს, — ორასამდე ძირი.

— როგორ დასცეს, რას ამბობ?

— რასა და, აქ ხომ საბჭოთა მეურნეობა დაარსდა, ვენახი უნდა გავაშენოთო, დაუბეს ტრაქტორი და ბულდოზერი და ორას-სამასი წლის კაკლები ძირ-ფესვიანად დაგლიჯეს, რომ ნახო, გული მოგიკვდება...

— კაცო, მაგას ხომ შაჰ-აბასიც არ იზამდა!

— შაჰ-აბასი როგორ იზამდა, იმას ხომ ტრაქტორები არა ჰქონდა? — ჩაერია ლაპარაკში ერეკლე“.

ძია პავლემ ანახვა დაგლეჯილი კაკლის ხეები. „შეჩერდნენ და გეგონებოდათ ძმათა სასაფლაოზე, დახოცილი ვაჟკაცების ახალ სამარესთან დგანანო, — ყველას თითქოს ენა ჩაუვარდა“.

ნ. კეცხოველი ამ საქმესაც შესანიშნავ კვალიფიკაციას აძლევს: „მტრობით არ არის გაკეთებული, მაგრამ დიდი უვიცობის შედეგი კია!“

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბის სამუშაოები წარმოებს წყალსაცავების, ჰესების, კაშხალების ასაშენებლად, მაგრამ ეს სამუშაოები ყოველთვის გეგმაშეწონილად მიმდინარეობს? ნ. კეცხოველი მკითხველს ამცნობს, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. ხშირად ერთ საქმეს აკეთებენ, მაგრამ არ ითვალისწინებენ, ე.წ. გვერდით მოვლენებს. ასეთ შემთხვევებში შეიძლება, თავიდან კარგად მიჩნეულმა საქმემ სავალალო შედეგი გამოიღოს. ასეთი გარემოების გამო აფრთხილებს ნ. კეცხოველი ჟინვალის წყალსაცავის მშენებლებს: „დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყდა, კვლავ არაგვს მიმართონ და მისი წყლით გაამდიდრონ თბილისის წყალსადენი. ჟინვალთან უნდა აშენდეს წყალსაცავი. ეყოფა ამას არაგვი? იქნებ ქსნის ზედმეტი წყალიც (რაც სარწყავს არ სჭირია) არაგვს მიემატოს? როგორ? ეს ჩვენმა ინჟინრებმა იციან. თუ საჭირო იქნება, მთას გახვრეტენ. მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა, დადგინდეს, რა მდგომარეობაშია ამ მდინარეთა ხეობები, როგორია წყლის რეჟიმი, მცენარეული საფარი, როგორ მიმდინარეობს ეროზიული პროცესები, უზრუნველყოფს თუ არა ხეობის ბუნებრივი პირობების განვითარება არაგვში და ქსანში წყლის შედარებით თანაბარ დინებას. იქნებ, ეს პროცესები ისე მიმდინარეობს, რომ ქსანმა და არაგვმა უარიც კი თქვან ხალხის სამსახურზე“. ამ საკითხს ნ. კეცხოველი შემდეგაც უბრუნდება და კატეგორიულად აცხადებს, რომ ასეთი წყალსაცავების აგების დროს „გარდა წმინდა საინჟინრო პროექტისა, უნდა გაკეთდეს აგრომელიორაციული პროექტი“, რომელიც გაითვალისწინებს

წყლის რესურსების შენარჩუნებისათვის საჭირო სამუშაოებს. აქვე შევნიშნავთ, რომ ნ. კეცხოველმა იგივე საკითხები კიდევ უფრო მეტის სიმწვავით დააყენა საგაზეთო წერილში (გაზ. „კომუნისტი“, 1973 წ. 18 თებერვალი).

„მორბის არაგვი, არაგვიანის“ ერთ-ერთი ქვეთავია „მკერდში დაჭრილი ხეობა“, სადაც ნ. კეცხოველი ძალზე მუქ ფერებში გვიჩვენებს ერთ-ერთი ულამაზესი ხეობის, არაგვის ხეობის მართლაც საგანგაშო მდგომარეობას. გვიჩვენებს იმ მიმდინარე პროცესებს, რის შედეგად კატასტროფული მდგომარეობა იქმნება და დღემდე გადამჭრელი ზომები კი არ არის მიღებული მის დასაცავად.

ძნელია, არასპეციალისტმა ადამიანმა წარმოიდგინოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ხავსს ნიადაგის და, საერთოდ, მიწის მცენარეული საფარის დასაცავად. ამასაც თვალსაჩინოდ უხსნის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გიორგი თავის თანამგზავრებს და მკითხველსაც აცნობს ხავსის მნიშვნელობას — თურმე ათი ათასი ჰექტარი ტყე მარტო ხავსით აკავებს ნახევარ მილიონ კუბურმეტრ წყალს. ამიტომ ამბობს ნ. კეცხოველი, „სამწუხაროდ, საქართველოს მეყვავილე-დეკორატორებმა ამ ბოლო დროს ფართოდ დაიწყეს ქალაქების ხავსით გამწვანება, ხავსი კი ტყიდან ჩამოაქვთ, ატიტვლებენ დიდ ფართობებს, რაც ყოვლად დაუშვებელია“. თითქოს უბრალო ფაქტია, მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით მის არსს დავრწმუნდებით, რომ მასზეც ღირს დაფიქრება. სწორედ აქეთ მიგვითითებს სახელოვანი მწერალი-მეცნიერი.

ნ. კეცხოველი ჩვენი ქვეყნის მდიდარსა და მრავალფეროვან ფაუნასაც არ ტოვებს უყურადღებოდ. საგანგებო თავში „დაე, იცოცხლოს ხოხობმა და ირემმა“ დიდად დამაფიქრებელი ცნობები მოაქვს იმის შესახებ თუ როგორ სწრაფად ნადგურდება ჩვენში გარეული ცხოველები. თურმე ესეც მარტო ბრაკონიერობის შედეგი არ ყოფილა, აქაც თურმე უფრო მეტი ბრალი ჩვენვე მიგვიძღვის, გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს ჩვენვე ვანადგურებთ ჩვენი უღიერი მოქმედებით. „ადამიანის უარყოფითი, უგუნური ზემოქმედების შედეგად სრულიად ქრება მრავალი გარეული მცენარე, ნადირი და ფრინველი“, — გულისტკივილით ამბობს ნ. კეცხოველი და მოაქვს ასეთი ფაქტი: „როცა დიდი რაოდენობით შხამიან ქიმიურ ნივთიერებებს ვიყენებთ სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ, ანგარიშს არ ვუწევთ სხვა ცოცხალ არსებათ... სწამლავენ ბაღებს, ებრძვიან მავნებლებს და ხშირად ავიწყდებათ, რომ ფუტკარიც მწერია და სხვა მწერებთან ერთად ისიც იწამლება და იხოცება“. მტაცებელ ცხოველთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც გარკვეული ზომიერების დაცვააო საჭირო, — გვეუბნება ნ. კეცხოველი და გვიხსნის, რომ, მართალია, ეს მტაცებლები დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას, მაგრამ „მათ მიერ მოტანილი ზარალი ნაკლებია სარგებლობაზე“, რადგან ისინი ცხოველთა სამყაროში თავისებური სანიტრების როლს ასრულებენ, რითაც ხელსაც უწყობენ გარეული ნადირის შთამომავლობის გაუმჯობესებას.

ნ. კეცხოველმა თავის ნაწარმოებში შექმნა შესანიშნავი სახე ქართველი გლეხისა. ეს არის ძია პავლე-კეთილი, გულღია, მშრომელი, მიწის-მოყვარე, რომელიც მიწის ყოველ მტკაველს შესაფერისად იყენებს. სწორედ პავლეს ხასიათის ჩვენებას ეძღვნება წიგნის ბოლო თავი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ნოველათაგანია „მორბის არაგვი, არაგვიანში“. სწორედ პავლეს ბაღ-ვენახის მაგალითზე გვიჩვენებს ავტორი თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი სოფლები — როგორ დამშვენდეს იგი ბაღებით და ვენახებით. აქვეა საუბარი იმაზე, თუ რა უარყოფითი შედეგი გამოიღო ერთ ხანს ჩვენს სოფლის მეურნეობაში უცხოური ჯიშის მცენარეულობით გატაცებამ. ადგილობრივი ჯიშები დაივიწყეს და უცხოურმაც კარგი შედეგი არ მოგვცა. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდესო, — გვაფრთხილებს ნ. კეცხოველი და დასძენს: „რამდენი თაობის მუშაობა იყო საჭირო, რომ გამოეყვანათ ისეთი ვაზის ჯიშები, როგორიცაა რქაწითელი, საფერავი, გორულა, ციცქა, ალადასტური, ალექსანდრეული, ოჯალეში? თვითონვე უპასუხა, მრავალიო და რად უნდა დავკარგოთ რომელიმე მათგანი?“

ერთ დროს ძალიან ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ბარად ჩამოსახლებამ. ცალკეული ოჯახების ჩამოსვლის მაგიერ ორგანიზებული ჩამოყვანა დაიწყო და ზოგ შემთხვევაში იძულებითაც კი. დღეისათვის უკვე სადაო აღარავისთვის არ არის, რომ თავის დროს დიდ „საშვილიშვილო“ საქმედ მიჩნეულმა ღონისძიებამ სახარბიელო შედეგი ვერ გამოიღო. გაუკაცრიელდა ჩვენი მთის ზოგიერთი ისეთი ადგილი, სადაც ადრე სიცოცხლე სჩქეფდა და დღესაც საუკეთესო საცხოვრებელი იქნება, თუ მას ყურადღებას მივაქცევთ. ნ. კეცხოველი ამ საკითხზეც გვაფიქრებს, როდესაც თავის გმირების თვალებით შეგვახედებს მთათუშეთის ნამოსახლარებში, სადაც ჯერ კიდევ დგას „ქანგმოკიდებული, ფიქლით გადახურული სახლები და კოშკები. ისინი დღესაც ფეხზე დგანან და თითქოს ელიან, რომ წასულნი მოვლენ, კვლავ აანთებენ კერას“.

ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას ნ. კეცხოველი და მკითხველსაც აფიქრებს. წიგნში მნიშვნელოვანი

ადგილი აქვს დათმობილი ნახული კუთხეების ისტორიულ წარსულს, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, არქიტექტურას და სხვ. აქაც დიდ ცოდნასა და დაკვირვების უნარს იჩენს ავტორი და ამ დარგის სპეციალისტებსაც ანგარიშგასაწევ მასალას აწვდის.

ნ. კეცხოველმა „მორჩის არაგვი, არაგვიანით" კიდევ ერთი საყურადღებო ფურცელი შეავსო თავისი ისედაც მდიდარი ბიოგრაფია და ვფიქრობთ, ეს წიგნი მრავალ ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, აღუძრავს სურვილს — საფუძვლიანად შეისწავლოს თავისი ქვეყნის მთა-ბარი, მისი ფლორა, ფაუნა, ისტორიული წარსული... იმასაც ვფიქრობთ, რომ ნ. კეცხოველის გმირებს თუ თან ვახუშტის გეოგრაფია ჰქონდათ წაღებული გზამკვლევად, მომავალი მოგზაურები — ნიკო კეცხოველის წიგნებსაც არ დაივიწყებენ.

ნ. კეცხოველი მკითხველს ჰპირდება: ჩვენი მოგზაურები „მომავალ წელს დაივლიან ქართლს, მესხეთ-ჯავახეთს და მესხეთიდან გოდერძის ზეკარით გადავლენ ჰოროხის ხეობაში". ვფიქრობთ, ამ მოგზაურობის შედეგი იქნება ავტორის მორიგი შემოქმედებითი გამარჯვება, რაც მკითხველსაც მორიგ სიხარულს მოუტანს.

**ანდრო მირიანაშვილი**

# „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან"

სად ვეძებოთ სათავე, **პირველწყარო, საი**დან დაიწყო მდინარება ქართულმა საბავშვო მწერლობამ — ამ ძნელად საძიებელი და ასევე ძნელად მისაგნები გზის გაკვლევა დაუსახავს მიზნად ანა ღვინიაშვილს სარეცენზიო წიგნში.

ყოველი ეპოქის თანამგზავრია ბავშვი და ყოველ ეპოქაში ბავშვს გარს ეკვრის გარემო, ბუნება, ცხოველები, ფრინველები, რომლებიც მშობლების უტყუარ და ერთგულ დამხმარე ძალად ითვლებიან ბავშვის აღზრდისა და ფორმირების პროცესში; უხსოვარი დროიდანვე ბავშვს თან მოჰყვება აღზრდის ისეთი წყარო, როგორიცაა ზეპირთქმულებები, ლიტერატურული ქმნილებანი, სიმღერები, გალობანი, თამაშობანი, სხვადასხვა სახის რიტუალები. და აი, ყველა ეს მასალა ავტორის მიერ ასეთი მზრუნველობით დაგროვილი და სათანადოდ გარჩეულ-გარკვეული, წარმოდგენილია სარეცენზიო წიგნში. წიგნი მიზნად ისახავს გაკვალოს გზა საბავშვო ლიტერატურის პირველწყაროებისაკენ, და ეს ძირითადი გეგმა დინჯად, აუჩქარებლად და საკმაოდ გეგმაშეწონილად მიემართება ამ მიზნისაკენ: წარმართობის ხანის ძეგლები, ადრინდელი ხანის ქართული მწერლობა — აი საკითხები რომელთა გარკვევასა და ანალიზს ეცადა ავტორი და გარკვეულად მიაღწია კიდეც დასახულ მიზანს. უპირველეს ყოვლისა, წიგნში თვალნათლივაა ნაჩვენები ბავშვისადმი ის დიდი ყურადღება, რაც იმთავითვე გამომუშავებულა ქართველ ხალხში. ავტორის დებულება: „ის დიდი ჰუმანიზმი, რაც ახასიათებდა ქართველ ხალხს, ქართული საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებსაც გადაეცათ; სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული თავგადასავალი, ბრძოლები. რაც ქართველმა ხალხმა განიცადა შემოსეულ ურდოებისაგან და აისახა როგორც ხალხურ, ისე ადრინდელ ლიტერატურულ ქმნილებებში, — საკმაო რაოდენობით გადაეცა ქართულ საბავშვო ლიტერატურას და იქ დამკვიდრდა". — ყოველივე ეს ნათელ დადასტურებას იღებს ამ ფუნდამენტალურ ნაშრომში: ბავშვებისათვის წესდებოდა დღესასწაულები. მათთვის იქმნებოდა სიმღერები, ლექსები, თამაშობანი, არსებობდა ჰიმნოგრაფიული და ჰაგიოგრაფიული ნიმუშები; ქართველ ხალხს შეუქმნია საბავშვო ზღაპრები, ლექსები და ყოველივე ეს წიგნში ქართული საბავშვო ლიტერატურის სათავეებად არის მიჩნეული. წიგნში უხვადაა წარმოდგენილი სათანადო მასალა: — წარმართული სარწმუნოების სხვადასხვა რიტუალები, წესჩვეულებანი, კერპები, ქურუმები, სავედრებელი ლოცვები, ღეობები და სხვა, რომლის ფონზედაც ბავშვი მოჩანს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოქცეული: ბავშვი მონაწილე ამ რიტუალებისა, წეს-ჩვეულებისა; რაც მთავარია, აქ გამოსჭვივის იმდროინდელი მოზარდის აღზრდის წესები: რით საზრდოობდა იგი, როგორ ეწაფებოდა, იმახსოვრებდა და სწავლობდა ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. წიგნის ამ ნაწილში **დიდი ადგილი** ეთმობა სახალხო თამაშობებს, როგორც ძველი ცხოვრების კულტურის, გარემოსა და ყოფის თავისებურ მაჩვენებელს. ავტორი ჩერდება ამ თამაშობების არსზე, შინაარსზე, მის

**ანა ღვინიაშვილი, „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან", ნაკადული, 1972.**

სიმბოლურ მნიშვნელობაზე და ყოველივე ეს ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ქართული საბავშვო ლიტერატურის სათავეებზე.

უამრავ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა შორის ავტორს განსაკუთრებით იზიდავს „წამებაჲ ყრმათაჲ წმინდათაჲ რიცხვით ცხრათაჲ“ ანუ „ცხრა ძმათა კოლოელთა მარტვილობა“, რომელიც ავტორს ქართული საბავშვო ლიტერატურის წერილობითი თხზულების პირველ ძეგლად მიაჩნია და განკუთვნილია ბავშვის ზნეობრივი აღზრდისათვის და რომ ამ ნაწარმოების სტრუქტურა, წყობა, ენა და სხვა მონაცემები ამის უტყუარი საბუთია. ავტორის აზრით, პირველადი ტექსტი მე-4-5 საუკუნით თარიღდება ე.ი. როდესაც გამწვავებული იყო წარმართობისა და ქრისტიანული სარწმუნოების ჭიდილი, ასევე ყურადსაღებია ისიც, რომ წამყვანი მოქმედი ძალა ამ ნაწარმოებში ბავშვებია.

განსაკუთრებული ემოციურობით, სიღრმითა და ერთგვარი გატაცებითაც გვაძლევს მკვლევარი ჰიმნის —„შენ ხარ ვენახის“ ანალიზს. მას იზიდავს ამ ჰიმნის მელოდიურობა, ჰარმონიული შეხმატკბილება ჰანგისა სალექსო სტრიქონებთან. მისი შესრულება სავალდებულო ყოფილა ქართული ოჯახის ყველა ბავშვისათვის. მას ასრულებდნენ ბავშვთა გუნდები (ეს ჩვენს დროშიაც გრძელდება-ბ.მ.). „შენ ხარ, ვენახი“ განხილულია როგორც სახოტბო პოეზიის შესანიშნავი ნიმუში, ოჯახური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე. „შენ ხარ ვენახით“ ავტორმა წიგნის მე-3 ნაწილი დაასათაურა, სადაც აგრეთვე წარმოდგენილია ხალხური „იავნანა“, „ნანა“, „მზეშინა“, „ნანი-ნანა“ და სხვ. თავისი მრავალნაირი ვარიანტებით, ნოტების დართვითაც-კი და შესრულების რიტუალებით. ყოველივე ეს ნათლად წარმოგვიჩენს ქართული საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელოვან სათავეებს: ჰაგიოგრაფიულ ძეგლს — „წამებაჲ ყრმათაჲ წმინდათაჲ რიცხვით ცხრათაჲ“ და ჰიმნოგრაფიულს — „შენ ხარ ვენახი“ — დაკარგვიათ თავისი პირვანდელი რელიგიური დანიშნულება და მიცემია ზოგადი ხასიათი: პირველი ქცეულა ბავშვთა გმირობის, თავგანწირულობის ნიმუშად, ხოლო მეორე — მკვლევარის ენით რომ ვთქვათ: „ადამიანის ჰიმნად“ — ასე დაასკვნის ავტორი და მკითხველიც ეთანხმება მას.

შემდეგ თავში ავტორი ეხება ქართულ ზღაპრებს, მისი წარმოშობის სათავეებს, რომელთა შორის „ნაცარქექია“ მიაჩნია ნამდვილ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ, სრულიად დამოუკიდებელი სიუჟეტის ნაწარმოებად, — გარკვეულ ისტორიულ დროში და გარკვეულ საფუძველზე აღმოცენებულად. ავტორის ვარაუდით, ამ ზღაპრის სათავეები უნდა დავძებნოთ მე-17-18 საუკუნეებში — ქართველთა ისტორიული ცხოვრების ავბედითობის ხანაში, როდესაც ქართველ ხალხს უთანასწორო ბრძოლა უხდებოდა ფიზიკურად მძლავრ თავდამსხმელებთან.

ნარკვევის ავტორის ყურადღების ცენტრში დგას ზღაპარი „წიქარა“. დაწვრილებით იხილავს ავტორი „წიქარას“ წარმოშობის ისტორიას, იშველიებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მეტად საინტერესო წყაროებს და მიყავართ დასკვნამდე რომ „წიქარას“ სიუჟეტი რეალური ამბავია: „მთის ხალხმა თანმიმდევრულად და გეგმაშეწონილად ეს ნამდვილი ამბავი ზღაპრად აქციაო“. ავტორი აქ მეტად შორეული წარსულისაკენ უკვლევს გზას მკითხველს და დაბეჯითებით ცდილობს „წიქარას“ სათავეების მიკვლევას. საერთოდ, წიგნის ეს ნაწილი სათაურით: „იყო და არა იყო რა“ — უთუოდ მდიდარ მასალას შეიცავს, დამაჯერებელსა და უდაოს. ამ ნაწილის ბოლოში — სქოლიოში ავტორი გვამცნობს: „ამ თავში ჩვენი პოზიციების განსამტკიცებლად ამ გამოცემას ვერ ერთვის ახალი მოძიებული მასალები და მოსაზრებანიო“.

საქართველოში არ დარჩენილა სახელმწიფო მოღვაწე ან მწიგნობარი, რომ არ დაინტერესებულიყოს ბავშვის ზნემაღალი წვრთვნითა და რაინდული აღზრდითო, გვაუწყებს ავტორი, რომ მათ თავიანთ ნაწერებში უხვად არ მოეპოვებოდეთ საგულისხმო აზრები ბავშვის სულიერი და ფიზიკური აღზრდის შესახებო ამ აზრის თანმიმდევრულ ანალიზს მივყავართ საბავშვო ლიტერატურის განვითარების შემდგომ სათავესთან-მე-17-18 საუკუნესთან, როდესაც საბავშვო ლიტერატურის გზები მხატვრულმა დიდაქტიკურმა ლიტერატურამ განსაზღვრა და ამის ფუძემდებლად ავტორს ქართულ მწერლობაში არჩილ მეფე მიაჩნია.

ფართოდ არჩევს ავტორი ამ თემას და გვიჩვენებს „საქართველოს ზნეობის“ მხატვრულ-საზოგადოებრივსა და სოციალურ-ყოფაცხოვრებითი ხასიათის საფუძვლებს, რაზედაც ეს დიდაქტიკური პოემა აღმოცენდა. ავტორის აზრით მოზარდისათვის განკუთვნილი იყო აგრეთვე მე-17 საუკუნის პოპულარული რომანი „ყარამანიანი“; გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“, თავისებური ლირიკული კრებული „ნარგიზოვანი“, ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი“ და სხვ. ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ამ თავში უნდა ჩაითვალოს პეტრე 1 ბრძანებით 1717 წელს გამოცემული წიგნი: Юности честное зерцало და არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობის“ შედარებითი დახასიათება, ურთიერთგავლენის საკითხი, რომელიც გამორიცხავს არჩილის მიერ ხსენებული წიგნის მიბაძვის საკითხს, ვინაიდან ზემოხსენებული წიგნი გამოიცა „საქართველოს ზნეობის“ გამოცემიდან ოცდაათი წლის შემდეგ.

ესა და სხვა მრავალი მონაცემები ხსენებული წიგნისა ნათლად მეტყველებს ქართული საბავშვო ლიტერატურის შორეული საუკუნეებიდან მომდინარეობას იმ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო ვითარების ბაზაზე, რომელზედაც ამოიზარდა აგრეთვე ქართველი ბავშვის სწავლა-განათლებისა და აღზრდის პრინციპები.

ანა ღვინიაშვილი იმ მოღვაწეთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც აქვთ გარკვეული მიზანი, დანიშნულება, რისთვისაც არ იშურებენ ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას. გარდა კრიტიკული წერილებისა, რომელიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული, უნდა აღინიშნოს მისი ფუნდამენტალური შრომები საბავშვო ლიტერატურის ირგვლივ, სადაც მან ბევრი მივიწყებული მოღვაწე გააცოცხლა. ბევრი საბავშვო ჟურნალი, ცალკეული წიგნები — ფერფლით დაფარული — სინათლეზე გამოიტანა. ანა ღვინიაშვილის მიერ გამოცემული სქელტანიანი წიგნები, საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათიები, ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, „ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა 1921-1940 წლები“ და სხვ: — ყოველივე ეს კარგ დახმარებას უწევს დღეს ახალგაზრდა მკვლევარებს, სტუდენტობას.

მინდა გამოვთქვა ზოგიერთი შენიშვნა:

1. როგორც ავტორი თვითონვე გვაუწყებს, საბავშვო ლიტერატურის, როგორც ლიტერატურის ცალკე არსებობის საკითხი ყოველთვის იწვევდა დავას. ავტორი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ შეიძლება ესა თუ ის ნაწარმოები პირდაპირ არ იყოს გამიზნული ბავშვებისათვის, მაგრამ ბუნებრივი მონაცემების მიხედვით იგი მიისაკუთროს ბავშვმა. ავტორის ცოტა თამამ აღიარებად, ხომ არ უნდა ჩაითვალოს, რომ რომელიმე ძველმა მწერალმა თუ მწიგნობარმა განსაკუთრებით ბავშვისათვის გამიზნეს თავისი ქმნილება, თუ ეს ჩაითვალოს გადაუწყვეტელ და სავარაუდო საკითხად.

2. ცალკეული ეპოქების მიმოხილვის დროს ავტორი საკმაო სიღრმით იჭრება ხოლმე ისტორიულ პროცესებში, რაც ზოგჯერ ანელებს დასახული თემის რელიეფურად აღქმას.

წიგნი, რომლის რედაქტორია ა. ბექიშვილი, მხატვარი თ. მირზაშვილი, გამოცემულია ლამაზად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავად შერჩეული შრიფტი, თუმცა ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ წიგნის სათაურის გაფორმებას გარეკანზე: ქართული ასოების მოხაზულობის გვერდის ავლა, — რა მიზნითაც არ უნდა იყოს იგი, ნამდვილად დანაშაულია. ქართული ასოების სპეციფიკა მის სიმრგვალეშია და სისადავეში — ე.წ. „ნაქიმი“, „ვოლოსნაია“, — ქართული ასოებისათვის დამახასიათებელი არ არის, ეს ჩვენს შრიფტს უკარგავს იმ თავისებურებასაც, რითაც იგი განსხვავდება არსებული ყველა შრიფტისაგან, ისე, როგორც განსხვავდება მისი ენა და გარემო.

წიგნი „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“ მეტად სასარგებლო შენაძენია არა მარტო ქართველი მკითხველისათვის, არამედ საერთოდ ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია საბავშვო ლიტერატურის წარმოშობის საკითხით.

ველით ავტორის დანაპირებს: წიგნის გაგრძელებას.

**გ. მჭედლიძე**

## საინტერესო მონოგრაფია ეროვნულ საკითხზე

ვ. ი. ლენინის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა და პროპაგანდა საბჭოთა ისტორიკოსების კეთილშობილური მოვალეობაა ამჟამად განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ლენინური მოძღვრება ეროვნულ საკითხზე, რომლის სიდიადეზე ნათლად მეტყველებს სსრ კავშირის შექმნა-განმტკიცებისათვის გმირული შრომისა და ბრძოლების ისტორიაც. იგი საქვეყნოდ ცხადყოფს ანტიკომუნიზმის, ანტისოვეტიზმის პროპაგანდის უსუსურობასა და უნიადაგობას.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა რ. გრძელიძისა და დ. ჯაბიძის წიგნი „ლენინური თეორია და პროგრამა ეროვნულ საკითხში“, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს. მისასალმებელია, რომ ავტორებმა ეს პრობლემა მონოგრაფიულად პირველად გააშუქეს ქართულ ენაზე. იგრძნობა, რომ მონოგრაფია ხანგრძლივი და ღრმა მეცნიერული მუშაობის შედეგია.

სარეცენზიო წიგნი შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, კერძოდ ვ. ი. ლენინის ნაშრომების საფუძველზე. მასში ფართოდ არის გამოყენებული დიდძალი წყაროები, ლიტერატურა, დოკუმენტები და მასალები. ნაშრომს, რომელიც დაწერილია სკკპ XXIV ყრილობის მასალების ღრმად შესწავლის შედეგად, წითელ ზოლად გასდევს მებ-

---

**რ. გრძელიძე, დ. ჯაბიძე, „ლენინური თეორია და პროგრამა ეროვნულ საკითხში“, საბჭოთა საქართველო, 1972.**

-რძოლი პარტიული სულისკვეთება.. საკითხები სწორად, თანმიმდევრულად, ისტორიული და თეორიული მხარის სათანადო შეთანხმებით არის გაშუქებული; კარგად არის წარმოდგენილი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, ეროვნულ საკითხში ლენინური თეორიის, პროგრამისა და პოლიტიკის ისტორიულ-ლოგიკური ორგანული ურთიერთკავშირი. ავტორები საინტერესოდ გადმოგვცემენ ლენინის მიერ ეროვნულ საკითხში პარტიის თეორიისა და პროგრამის შემუშავებისა და ცხოვრებაში განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორიას. ნაშრომის ღირებულებას ზრდის ის, რომ იგი ორგანულად არის დაკავშირებული თანადროულობასთან და მასში უხვად არის გამოყენებული ადგილობრივი მასალები.

პირველ თავში — „კ. მარქსი და ფ. ენგელსი ეროვნულ-კოლონიური საკითხის შესახებ“ — ვრცლად არის გარჩეული მეცნიერული კომუნიზმის მამამთავართა ფუძემდებლური მითითებები, დებულებები ეროვნულ საკითხში, ნათლად არის ნაჩვენები, რომ მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს კაპიტალიზმის დამარცხებისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა, გამოარკვიეს პროლეტარიატის ისტორიული როლი და ასწავლეს მას მისი განხორციელებისათვის ბრძოლა. მათ ეროვნული ჩაგვრა კლასობრივი ჩაგვრის ორგანულ ნაწილად გამოაცხადეს და მოითხოვეს, უწინარეს ყოვლისა, სოციალური ჩაგვრის მოსპობა, რაც ეროვნულ თავისუფლებასაც მოასწავებდა.

ავტორები სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ მარქსმა და ენგელსმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პროლეტარული რევოლუციის ბუნებრივ მოკავშირედ გამოაცხადეს, რომ ისინი მოითხოვდნენ ეროვნული საკითხისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას. მათ ჩაგრული ერის გამოყოფა ფედერაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდათ (დემოკრატიზმის გზაზე). კ. მარქსი 1869 წელს მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას ინგლისისაგან არა დაქუცმაცებისათვის, არამედ ინგლისთან ირლანდიის თავისუფალი კავშირისათვის, არა „სამართლიანობისათვის ირლანდიისადმი“, არამედ ინგლისის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ინტერესებისათვის. „ასეთი მოთხოვნა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — იყო თანმიმდევრულად რევოლუციური პროგრამა, მხოლოდ იგი შეეფერებოდა ინტერნაციონალიზმს, მხოლოდ იგი იცავდა კონცენტრაციას **არა იმპერიალისტურად**“. (თხზ., ტ. 21, გვ. 502).

ნაშრომში მოტანილი და გაანალიზებული მასალები ცხადყოფს მსოფლიო რევოლუციურ პროცესში ეროვნულ-კოლონიური საკითხის როლისა და მნიშვნელობის შესახებ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულების სისწორეს.

ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მარქსმა და ენგელსმა ეროვნულ-კოლონიური საკითხი მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დააყენა და ევროპისა და აზიის ქვეყნების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს ძირითადი დებულებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების შესახებ.

წიგნის მომდევნო მონაკვეთი — „ვ. ი. ლენინის მიერ ერის მარქსისტული თეორიის განვითარება და პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი პრინციპების შემუშავება“ ცხადყოფს ლენინური თეორიის არსსა და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფუძემდებლურ მითითებათა შესაბამისად პარტიის ეროვნული პროგრამის შემუშავების ისტორიას. ლენინიზმის მიხედვით ერი ისტორიული კატეგორიაა, იგი აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში შეიქმნა. საქმე ის არის, რომ კომუნიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების, მისი განვითარების მაღალ საფეხურზე საზოგადოებაში არ იქნება ეროვნული განსხვავებულობა. ლენინმა მოგვცა ერის არსის გაგება, მისი სავალდებულო და აუცილებელი ნიშნების ვაშლილი დახასიათება, რამაც ცხადყო ამ მხრივ იდეალისტური, მეტაფიზიკური ინტერპრეტაციის უსუსურობა, არამეცნიერული ბუნება. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა, კერძოდ, მეორე ინტერნაციონალის ავსტრომარქსისტების ლიდერების ოპორტუნიზმი ეროვნულ საკითხში და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ერი აღმოცენდა ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე. ნაშრომში სავსებით სწორადაა მითითებული, რომ ი. ბ. სტალინმა, ეყრდნობოდა რა ერის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, პირველად ჩამოაყალიბა ერის ცნების სინთეზირებული განმარტება. სწორედ სტალინმა მოგვცა ერის კლასიკური განსაზღვრა, რომელიც დამკვიდრდა კომუნისტური პარტიის თეორიასა და პრაქტიკაში. „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 319). ეს განსაზღვრა ლახვარს სცემს ყველა სახის იდეალისტურ, ბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ თეორიებს, რომელთა მიხედვით ერის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია რელიგია, „ეროვნული სული“ და სხვ. ერის სტალინური განსაზღვრა ლახვარს სცემს როგორც II ინტერნაციონალის,

„ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსებს, ისე მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა სხვა ჯურის აშკარა და ფარულ მტრებს“. ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობდა და ცდილობს „შესწოროს“ ერის ეს ცნობილი განმარტება, მაგრამ ამაოდ. ჯერჯერობით ამ ცდას წარმატება არ მოყოლია და ასეთივე ბედი ეწვევა მომავალშიც.

ნაშრომში ფართოდ არის გაანალიზებული ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერისა და ეროვნული ურთიერთობის თეორიის აქტუალურ საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული სამეცნიერო თეორიული კონფერენციებისა და სემინარების მუშაობის შედეგები. სწორად არის ხაზგასმული ერის ცნობილი განსაზღვრების გადასინჯვის ან შეცვლის ცდების უნიადაგობა. ნაშრომში სათანადო მასალის ილუსტრაციით კარგად არის გაშუქებული საკითხები: ლენინი ორი ისტორიული ტენდენციის შესახებ ეროვნულ საკითხში: ლენინური ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის ძირითადი პრინციპები; ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ისტორიკოსი სამართლიანად არის გაკრიტიკებული.

მესამე თავში — „ვ. ი. ლენინის მიერ პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი პრინციპების დაცვა და განვითარება ახალი რევოლუციური აღმავლობისა და მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში“ — გაშუქებულია ერთა თვითგამორკვევის უფლების ლენინური პრინციპი; ლენინი ერთა სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმების შესახებ; ეროვნულ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპი; პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მუშათა კლასის აღზრდა; ვ. ი. ლენინის მიერ „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომიის პროგრამის მხილება, მისი იდეური განადგურება; აგრეთვე სხვა საკითხები.

ნაშრომში სწორად არის ნაჩვენები ერთა თვითგამორკვევის უფლების არსი და მნიშვნელობა. ლენინის მიხედვით ერთა თვითგამორკვევის უფლების არსი მდგომარეობს სხვადასხვა ერის პროლეტარების არა დაქსაქსვაში, როგორც ეს ზოგიერთს უნდოდა დაემტკიცებინა, არამედ მათ ურთიერთ დაახლოებასა და შეკავშირებაში. ლენინმა დაუნდობლად ამხილა რა ყველა, ვინც კი შეეცადა ერთა თვითგამორკვევის არსის გაყალბებას, ცხადყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კლასობრივი ბუნება და დაასაბუთა ერთა თვითგამორკვევის უფლებისადმი მჩაგვრელი და ჩაგრული ერების პროლეტარიატის დამოკიდებულების თავისებურება. საქმე ის იყო, რომ იმპერიალიზმმა დიდ სახელმწიფოთა მიერ ერების ჩაგვრა საერთო მოვლენად გადააქცია. ამიტომ დიდმპყრობელი ერების სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლა მეტად აუცილებელი გახდა. ვ. ი. ლენინს ამის გათვალისწინება სოციალ-დემოკრატიის ნაციონალურ პროგრამაში გადამწყვეტ, [illegible] მომენტად მიაჩნდა. ამიტომაც ერების თვითგამორკვევის თავისუფლებაზე უარის თქმას ლენინი დემოკრატიის, ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის პირდაპირ ღალატად თვლიდა. „ჩვენ მოვითხოვთ, — აღნიშნავდა ლენინი — 1915 წელს, — ჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებას, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას არა მარტო იმიტომ, რომ ვოცნებობდეთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, ოღონდ ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“ (თხზ., ტ. 21, გვ. 506). ლენინის ეს დებულებაც ისტორიამ დაადასტურა.

ნაშრომში ნათლად არის წარმოდგენილი ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად განხორციელების გზების, თანასწორუფლებიანი ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე ხელსაყრელი ფორმების, ეროვნულ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის ლენინური დახასიათება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ლენინური ეროვნული პროგრამის ძირითადი მოთხოვნისადმი — მუშათა კლასის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ჩაისახა მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ინტერაციონალური, საბრძოლო თანამეგობრობის რევოლუციური იდეა, რომელიც მარქსიზმმა მეცნიერულად დაასაბუთა. ვ. ი. ლენინმა იგი ახალი ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე მწყობრ სისტემად განავითარა.

ავტორები საინტერესოდ აშუქებენ თუ როგორ ამხილა და იდეურად გაანადგურა ლენინმა „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომიის პროგრამა და როგორ დაასაბუთა საოლქო ავტონომიის მოთხოვნის სისწორე.

ნაშრომის მეოთხე თავში — „ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში“ დიდძალი მასალების ღრმა ანალიზით ვრცლადაა მიმოხილული შემდეგი საკითხები: თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება და ეროვნულ-განმათავისუფლებე-

ლი მოძრაობის ზრდა, ეროვნული საკითხის განხილვა რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციაზე, ლენინის მეთაურობით ბოლშევიკების ბრძოლა დროებითი მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი ეროვნული პოლიტიკის დარგში. ამ საკითხებს დათმობილი აქვს ნაშრომის თითქმის მესამედი, რაც ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ პერიოდში საქვეყნოდ გამოვლინდა ლენინური ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის სიდიადე, უძლეველობა და სიცოცხლისუნარიანობა. ავტორები ცხადყოფენ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების მოღვაწეობას მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაერთებლად მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ მოძრაობასთან. რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენცია, რომელმაც დაგმო ეროვნულ საკითხში ლენინური ხაზიდან გადახვევის ცდები, მიიღო გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის რევოლუციის განვითარებას. ლენინი და ბოლშევიკები დროებითი მთავრობის ანტიხალხური ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის მხილებით სულ უფრო და უფრო მეტად იმსახურებდნენ განაპირა მხარეების მშრომელი და ჩაგრული მასების მხრივ მხარდაჭერას, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდა, რომლის კონკრეტული გეგმა შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა და დაამტკიცა აპრილის VII კონფერენციამ. ლენინური ეროვნული პროგრამითა და პოლიტიკით შეიარაღებულმა ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით უზრუნველყვეს მჩაგვრელი და ჩაგრული ერების, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის დარაზმვა მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დასამხობად, რაც დიდმა ოქტომბერმა განახორციელა.

ავტორები უჩვენებენ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით, რომელმაც ბოლო მოუღო სოციალურ კლასობრივ ჩაგვრას, ძირი გამოუთხარა ეროვნულ ჩაგვრასაც, დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ხალხთა ურთიერთობის ისტორიაში. ამიერიდან დაიწყო ლენინური ეროვნული პროგრამის ხორცშესხმა. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა და გაატარა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებანი. პრაქტიკულად განხორციელდა თვითგამორკვევის უფლება თვით ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფამდე. ამასთან საფუძველი ეყრებოდა ყველა ერის ნებაყოფლობით ერთიანობას.

რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა ფასდაუდებელი ძმური დახმარება აღმოუჩინა ცარიზმის მიერ წინათ ჩაგრულ ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ ვითარებაში იბრძმედებოდა ურთიერთობისა და გაგების დიადი ატმოსფერო.

ნაშრომის მეხუთე თავი, — ვ. ი. ლენინი — „საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი“ ცხადყოფს ვ. ი. ლენინის მიერ სსრ კავშირის შექმნის მომზადებასა და განხორციელებას, მის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

ავტორები მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ ახასიათებენ საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობის ფორმებსა და გაერთიანების დამაჩქარებელ ფაქტორებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ლენინურ გეგმას.

ნაშრომი ცხადყოფს ვ. ი. ლენინის მიერ გაწეულ უდიდეს თეორიულ და ორგანიზატორულ მოღვაწეობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისათვის. ავტორების მიერ საინტერესო მასალების ანალიზით სწორად არის გაშუქებული საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობის ფორმები და გაერთიანების ხელშემწყობ-დამაჩქარებელი ფაქტორები, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ლენინური გეგმა, თეორიული, პოლიტიკური და ეკონომიური წინამძღვრები. მათ მიერ სათანადოდაა დასაბუთებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობა, რომელიც ნაკარნახევი იყო ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით, ახალი საზოგადოების მშენებლობისა და შენარჩუნების უზრუნველყოფასთან ერთად მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი ინტრიგებისაგან თავის დაცვის ამოცანებით. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. მისი სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ლენინური ეროვნული თეორიის, პროგრამისა და პოლიტიკის დიადი გამარჯვების დადასტურებაა, ლენინიზმის ზეიმია. „სსრ კავშირის შექმნა იყო პარტიის თეორიული და პოლიტიკური მუშაობის, საბჭოთა ხალხების მრავალმხრივი გამოცდილების შედეგი და ასახავდა მათს მისწრაფებებს (სკკპ ცკ-ის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ თბ., 1972, გვ. 9).

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს შენიშვნები, სურვილები. ჩვენის აზრით, მიუ-

ხედავად იმისა, რომ ნაშრომის არქიტექტონიკა საერთოდ მოსაწონია, სასურველი და უკეთესი იქნებოდა ნაშრომი დასათაურებული ყო, არა ისე როგორც მოცემულია, არამედ შემდეგი სახით: „ვ. ი. ლენინის მიერ ეროვნულ საკითხში პარტიის თეორიისა და პროგრამის შემუშავება-განვითარება“. ცხადია, რომ ამას უფრო მეტად შეესაბამება ნაშრომის აღნაგობა. მოცემული დასათაურების მიხედვით კი ავტორებს მოეთხოვებოდათ პარტიის მიერ ლენინური პროგრამისა და თეორიის დაცვისა და შემდგომი განვითარების ვრცლად გაშუქება, რაც ნაშრომში არ არის შესრულებული. ამასთან, სასურველი იქნებოდა, რომ ნაშრომს ჰქონოდა საერთო ვრცელი დასკვნები, რის აუცილებლობაც უსათუოდ იგრძნობა.

ნაშრომის 62-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ი. ბ. სტალინმა ერის ცნობილი განმარტება 1929 წელს „...ერთხელ კიდევ დააზუსტა და სოციალისტურ ერებსაც მიუყენა“. სწორედ ეს გამოთქმა არ უნდა იყოს ზუსტი. ჯერ ერთი, კი არ დააზუსტა (ის თავიდანვე ზუსტი იყო), არამედ, პირიქით, ერთხელ კიდევ მიუთითა იმაზე, „რომ ერის რუსული მარქსისტული თეორია ერთადერთი სწორი თეორიაა“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 371).

და შემდეგ, ცხადია, რომ ერის სტალინური განსაზღვრება თავიდანვე კაპიტალისტური, ისევე სოციალისტური საზოგადოების ერის არსს გამოხატავდა, ისე როგორც კლასების კლასიკური განსაზღვრა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოგვცა, ყველა კლასობრივი საზოგადოების კლასის არსს გამოხატავს.

სასურველი იქნებოდა აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება ამ პრობლემაზე შემდგომ მუშაობაში, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა ნაშრომის ღირებულებას.

ავტორებმა შექმნეს მეტად საინტერესო მონოგრაფია, რომელიც სათანადო დახმარებას გაუწევს ამ პრობლემით დაინტერესებულთ.

**გ. გამსახურდია**

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ